ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

პოეტის შთაგონებული თვალი, რომელიც შემკვრივებით სიტყვისა და აზრის სამფლობელოს სცილდება, თავის თავისაგან თვითმყოფ თუ ნასესხებ იდეალთა მთლიანობას ჰქმნის...

ამის შესახებ ამბობენ: სარასვატი (დიაცი ღმერთი პოეტური შთაგონებისა) დიდ პოეტს სიტყვებსა და აზრებს შთაუნერგავს, ოდეს მას სძინავს კიდეც; მაშინ როცა სხვა პოეტი, მღვიძარსაც კი, თვალი მისი ნებას აძლევს იყოს ბრმა. ამბავის წინაშე, რაც შეგნებული და გამოყენებული იყო სხვის მიერ, დიდი პოეტები ბრმად არიან დაბადებულნი; წინაუკმოდ, ახალი ამბავის (სიუჟეტის) წინაშე, მათ აქვთ ღვთიური ჭვრეტა. ვერც სამ-თვალიანი (ღმერთი შივა), ვერც ათას-თვალიანი (ღმერთი ინდრა) ვერ ხედავენ მას, რასაც პოეტები თავისი ადამიანური თვალებით უჭვრეტენ. ყველაფერი გამოიყურება იმ სარკიდან, რომელიც არის ფიქრი პოეტთა.

„როგორ ღა ვღებულობთ ამ ჭვრეტას?“, – და ამ ფიქრზე სიტყვა და აზრი მოსჩქეფს ზეშთაგონებულთა წინაშე, – ესაა რაც პირველად მოდის. რასაც ხედავს იოგინ თავისი იდუმალი შემკვრივების მეოხებით, – ეს არის თვით ის საფუძველი, სადაც პოეტები მოძრაობენ თავიანთი სიტყვებით, და ამგვარად, გამოთქმანი ლამაზნი დაუსრულებელნი არიან დიდთა პოეტთა შორის...

ცოდნა ბევრი რამისა, – ეს არის გემოვნება, – ამბობენ ოსტატნი. რამეთუ სიტყვანი პოეტისა მიჰქრიან ყველა მიმართულებით. უთქვამთ – მისი სიტყვა ვრცელდება თანისთანობით და არ იციან: როგორ; ვრცელდება სამფლობელოზე, რომელი ჯერ არ შეხებულა: ეს არის თვით საკუთარი პოეტისა; მისი, რომლის სიტყვანი ყველა მიმართულებით მიდიან...

პოეტი, რომელს აქვს სურათოვნება და გემოვნება, – არის ჭეშმარიტი პოეტი (კავიამიმამსა.12,5. ძველი ინდოეთის ენციკლოპედიიდან: ნამიაშასტრა).

უწყებულება მკითხველისათვის

იტალიელი უდიდებულესი მწერალის დანტეს (1265–1321) „ღვთიური კომედიის“ (დივინა კომედია) წყაროთა სრული შესწავლა იქნებოდა, – ამბობს ე. ბლოშე, ერთსა და იმავე დროს უმნიშვნელოვანესი და უძნელესი, რაც მწერლობის ისტორიას გაგვიხსნიდა. მრავალი გამოკვლევის მიუხედავად, რომლის საგანი იგი მუდმივ იყო, „ღვთიური კომედია“ მაინც დარჩა ლექსთა ბევრ ადგილზე მეტის მეტად გაუგებარი ტექსტი, რომელიც

ჩვენ შუა საუკუნემ გვიანდერძა. ეს სიძნელე და ეს გაურკვევლობა უფრო ნაკლებად ენას მიეწერება, და იგია იმ განსხვავების შედეგი, რომელიც ახლანდელ აზროვნებასა და იმდროინდელ განათლებას შორის არსებობს, ანუ უფრო მეტად: იგი ამ ორი მოვლენის შორისაა. ის, რაც გაურკვეველად და გაუგებარად გვეჩვენება „დივინა კომედია“-ში, და საერთოდ მეათე, მე-11 – 12 საუკუნის მწერლობაში, აღარ იქმნებოდა იგი, თუ ჩვენ გვეცოდინებოდა უფრო სრულოვანად იმ დროინდელი ღმრთის მეტყველება, და განსაკუთრებით: სხოლასტიკაო, – დაასკვნის იგი.1.

თუ ეს ითქმის დანტეს „დივინა კომედია“-ზე, – უფრო მეტად, უფრო სამართლიანად, უფრო ხმამაღლად ითქმის იგივე ვეფხისტყაოსანის შესახებ, რომელში ბევრი ადგილი ბნელი და გაუგებარია. გაუგებარ ლექსთა სიბნელეს ხშირად იმ იოლ საბუთს მიაწერენ, თითქო ლექსი ჩამატებულია და ყალბი, რიოში, ან გადამწერთაგან უვიცად დამახინჯებულიო. უეჭველია, ასეთი შემთხვევა ვტნში არა ერთია, მაგრამ მთავარი მაინც არის არა ეს მოვლენა, არამედ თანამედროვე მკვლევარისა და მკითხველის უვიცობა.

ვეფხისტყაოსანი მეთორმეტე საუკუნის შესანიშნავი მხატრული თხუზულებაა, და გადაუჭარბებელი თქმით, იგი ევროპისა და აზიის არც ერთ ნაწარმოებს არ ჩამოუვარდება. მაგრამ სამწუხაროდ, ქართული პოემის ბევრი ადგილი მართლა გაუგებარია და ბნელით მოცული მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ აღარ გვესმის ამ ლექსთა მნიშვნელობა, რომელიც გარდასრული მისი მკითხველისათვის იოლად გასაგები იყო, რადგან იგი მისჟამადი განათლების ნაყოფს წარმოადგენდა. ფილოსოფია და თეოლოგია, ასტრონომია და ასტროლოგია მთელი იმჟამადი ანუ მეთორმეტე საუკუნის უმაღლესი განათლებული საზოგადოების სიბრძნის საუნჯე არის შესასწავლი, და ვინც ამას სავსებით მოახერხებს, იგი ვეფხისტყაოსანის ბევრი გაუგებარი ლექსის სიბნელეს გაჰფანტავს და მზის სინათლეზე გამოიტანს, – მაშინ ყველაფერი ნათელი გახდება.

ჩემი მხრივ ვეცადე ამ მიმართულებით და ამ ცდის შედეგს ამ წიგნშიც წარმოვადგენ. მცოდნე მკითხველისათვის აქ შეიძლება ზოგი სადავო საკითხი წამოიჭრას, მაგრამ ესეც თავის მხრივ სასარგებლოა, ვინაიდან ეს ეჭვი და კამათი საბოლოო გამოკვლევას ხელს შეუწყობს.

წინამდებარე წიგნი ორ თითქმის დამოუკიდებელ ნაწილად განიყოფება. პირველ ნაწილში განხილულია მოკლედ და შეძლებისამებრ თვით მზის თავგადასავალი. ამ საკითხის გასარკვევად იძულებული ვიყავი, რადგან მზის ისტორია ჯერ არავის დაუწერია, სათანადო ცნობანი ბევრ სხვა და სხვა თხუზულებაში მეძებნა; ეს ძებნაც ჩემს პირობებში ადვილი არ იყო; ზოგი მიმოხილვა საკმაოდ არ არის მოცემული, და ეს არა მარტო ჩემი ბრალია, რადგან თუ ხშირად შეუძლებელი არა, ყოველ შემთხვევაში, მეტისმეტად ძნელი იყო ყველა საჭირო მასალის გამოძებნა, განსაკუთრებით სამხრეთ ამერიკაში ყოფნის დროს, სადაც ევროპიულ ბიბლიოთეკებთან შედარებით, წიგნთსაცავნი დიდად ღატაკნი არიან.

ამ მიმოხილვათა მიზანია მკითხველმა დაინახოს მზის მნიშვნელობა როგორც რელიგიაში, ისე სულიერი ცხოვრების ყველა ნაწილადში, და შემდეგ შესძლოს ვეფხისტყაოსანის მზის მნიშვნელობის გაგებაც.

წიგნის მეორე ნაწილი თვით ვტნის მზის საკითხის ჩხრეკასა და კვლევას შეიცავს. ამ შემთხვევაში არ ვხელმძღვანელობდი რაიმე წინასწარად დადგენილი დებადის თანახმად. არამედ თვით შაირთა დაწვრილებითი განხილვა სათანადო დასკვნას თავისთავად მაძლევდა, ხოლო მზის თავგადასავალის მიმოხილვა იმ ადგილს მიჩვენებდა, სადაც ვეფხისტყაოსანის მზე უნდა მოთავსებულიყო. თუ სულ მთლიანად არა, ზოგი მხარე მზის საკითხისა ვტნში გავანათე, და ამ თქმას კადნიერებად ნუ ჩამომართმევენ და ნურც გამიწყრებიან, რამეთუ, მიქელ მოდრეკილის თქმა რომ გამოვიყენო, „კნინაკი ესე ნამუშევარი უნდოთა ხელთა ჩემთაჲ“ არს...

რა თქმა უნდა, ამ წიგნის დაბეჭდვა შეუძლებელი იქმნებოდა, თუ ქართული მამულიშვილური გრძნობა შეგნებულად მსხვერპლს არ მიიტანდა სიყვარულით ვეფხისტყაოსანის ძეგლის წინაშე, – ამ მსხვერპლის შეწირვაც აღასრულა ვეფხისტყაოსანით მოჯადოებულმა ავთანდილ მერაბაშვილმა, და ჩემი მხრივ მას ამ წმიდა ქმედობისათვის უგულითადეს მადლობას მივუძღვნი. მადლობას ვეტყვი მასვე ანაბეჭდთა წაკითხვისათვის.

ვ.
ნოზაძე.

სანტიაგო დე ჩილე

მაისი, 1947 წელი.

რვეული პირველი

მზე რელიგიაში

კარი პირველი

მზის თაყვანება წინა აზიაში

1. მზის უფლობის ამბავი
2. სუმერული მზე: ნინუტრა, უტუ, შამაშ
3. სუმერულ–ბაბილონური მზე – შამაშ
4. ბაბილონურ ასირული მზე: შამაშ

5. ასირული მზე: აშშურ

6. ქალდეური მზე

7. ხეთური მზე: ისტანუ

8. ფინიკეური ღმერთი: საპას, ნერ

9. ებრაული მზე: შემეშ

10. ესსაერული მზე

11. წინარისლამური მზე

1. მზის უფლობის ამბავი

დედამიწის ზურგზე არ არსებობდა, არც არსებობს ისეთი ხალხი, რომელს ცის, ვარსკვლავთა, კერძოდ მნათობთა, და მათ შორის, მზის თაყვანისმცემლობის ისტორია არა ჰქონოდეს. მზის თაყვანება საერთაშორისოა პირველყოფილ კულტურაში და იმ ხანას, მზე-ღმერთის ხანას უწოდებს ცნობილი გერმანელი მკვლევარი ლეო ფრობენიუს.2.

არავინ იცის და არც არავის ეცოდინება ოდესმე, – ამბობს ვილ დურანტ, – თუ ადამიანმა რომელ ხანაში დაიწყო თაყვანისცემა და როდის დასახა მან ღმერთი. ერთად ერთი, რაც გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს, ეს არის მთვარის ღვთიურობა. ადამიანის ერთი პირველი ღმერთი იყო მთვარე: იგი იყო მამაკაცი-ღმერთი და საყვარელი არსება დიაცთა, ქალთა მფარველი და უფალი.

უცნობია მზემ როდის შესცვალა მთვარე. ვილ დურანტი ფიქრობს, მთვარის ღმერთობა იმ ხანას ეკუთვნოდა, როცა ადამიანი მონადირე იყო, ხოლო მზის ღმერთობა მაშინ დაიწყო, როდესაც კაცი სასოფლო მეურნეობაზე გადავიდა და ხვნა-თესვას ხელი მიჰყო. შემდეგ ხანაში კი, როგორც მთვარე, ისე მზე და ვარსკვლავნი, მთელი ცა – უუძველეს რელიგიაში გაღმერთდნენ და ცივილიზაციის მაღალ დროშიც დარჩნენ ღმერთებადო.3.

2. სუმერულ მზე: ნინუტრა, უტუ, შამაშ.

სუმერთა შორის მრავალნი ღმერთნი არსებობდნენ, – და მათ შორის ნინუტრა – ღმერთი გაზაფხულის მზისა და ღმერთი ომისა.

უტუ – მზე-ღმერთი, ღმერთი ნათელისა (გისსირ) დაპირისპირებულია „დიდ ნათელთან“, ანუ ღმერთ-მთვარესთან. მზე-ღმერთს ცოლი არა ჰყავს.

ბაბილონის ხანაში ნინუტრა არის მზე გაზაფხულისა და მისი ცოლია ნინ-ნიპჰურ, უტუ – ღმერთი მზისა ოცდაექვსი სახელის მატარებელია. მისი ცოლია – აია.

ნინუტრა – გაზაფხულის მზე-ღმერთი, არის დაუმარცხებელი (სოლ ინვიკტუს); იგი გარდაიქცა ომის ღმერთად; მისი კულტის ცენტრი იყო

დასავლეთის კიშ-ში და მის ტაძარს ერქვა „ემეტეურსაგ“ – სახლი გმირთა ღირსი.

სუმერთა რწმენით, ნინუტრამ დაამარცხა წყვდიადის გველეშაპი და შექმნა მსოფლიო და კაცობრიობა. შემდეგ ეს თხრობა გადაიტანეს მზე-ღმერთ მარდუკზე ბაბილონში, სუმერულ ბაბილონურ ხანაში უდიდესი მზე-ღმერთი იყო „შამაშ“.4.

3. სუმერულ – ბაბილონური მზე – შამაშ

არ არსებობდა და არც დღეს არსებობს სადმე ისეთი ხალხი, რომელს თავისი რელიგია არა ჰქონოდეს. პირველყოფილი კაცი უკვე რელიგიასთან არის დაკავშირებული და უძველესი ცივილიზაცია უკვე დამუშავებულ და გამომუშავებულ რელიგიას გვიჩვენებს. მაგრამ ამ რელიგიას ყველგან თავისებური ხასიათი ჰქონდა და კაცთა ურთიერთობა ღმერთებთან მრავალგვარად გამოიხატებოდა. ამ ღმერთთა რიცხვიც დიდი იყო, რადგან თითოულ ქალაქს, თითოულ სოფელს, თვითეულ ტომს ზოგად ღმერთთა გარდა, საკუთარი ადგილობრივი ღმერთებიც ჰყავდათ. ოფიციალური აღწერით, რომელიც ბაბილონში მოახდინეს მეცხრე საუკუნეში ქრისტეს წინ, ამ სახელმწიფოში ითვლებოდა 65. 000 სხვა და სხვა ღმერთი.3. (ინდოეთში რამოდენიმე მილიონი ღმერთი ითვლებოდა). სუმერულ ბაბილონურ უძველეს ღმერთთა შორის იყვნენ: შამაშ – მზე; ნანნარ – მთვარე და ბელ ანუ ბაალ – მიწა, ხმელეთი, რომლის წიაღს ყველა უბრუნდება. ყველა ოჯახს, ყველა კერას თავისი კერძო ღმერთებიც ჰყავდა, (რომელთაგან შემდეგ ანგელოზები წარმოიშვნენ), მაგრამ ნელ-ნელა ღმერთთა რიცხვი მაინც მცირდებოდა და ერთი რომელიმე დიდი და ზოგადი ღმერთი პირველ ადგილს იკავებდა. ასეთი იყო ბაბილონში ღმერთი „მარდუკ“, წარმოშობით ღმერთი-მზე, რომელიც ყველა დანარჩენ ღმერთზე მაღლა დადგა; აქედანაა წარმომდგარი მისი სახელიც: – ბელ–მარდუკ, ანუ მარდუ–უფალი, ბელ–მარდუკთან გვერდით იდგა იშტარ (ფოენიკიელთა – ასტარტე, ებრაელთა – აშტორეთ, სპარსთა – იშტრია, ეგვიპტელთა –იზის, ბერძენთა – აფროდიტე, ლათინთა – ვენუს – ქალწული, წმიდა ქალწული) და მთვარე – სინ, ესენი სამებას ჰქმნიდნენ.

ბაბილონური წარმოდგენით, თავდაპირველად არსებობდა მხოლოდ ქაოსი და ოკეანემ შეჰქმნა ღმერთები. ტიამატმა (დიდმა გველმა) მოისურვა სხვა ღმერთებზე ბატონობა, მაგრამ იგი მარდუკმა, (მზემ) დაამარცხა, რომელმაც ცა და ხმელეთი შეჰქმნა, წესრიგი დაამყარა და ადამიანიც წარმოშვა ღმერთთა სამსახურად. ეს ადამიანი ცხოვრობდა სამოთხეში: იონნესმა ადამიანს ასწავლა ხელოვნება და მეცნიერება, ხოლო თვითონ კი ნახევრად თევზი, ნახევრად ბრძენი, ზღვაში ჩაიძირა. განრისხებულმა ღმერთებმა ადამიანი დასაჯეს და წარღვნა მოუვლინეს. ღმერთმა ეა-მ წარღვნისაგან გადაარჩინა მხოლოდ ერთი მამაკაცი „შამაშნაპიშტიმ“ და მისი ცოლი, რომელთაც მან კიდობანი გააკეთებინა. წარღვნის შემდეგ ეს კიდობანი დაეშვა მთაზე ნაზირ, საიდანაც შამაშნაპიშტიმ ჯერ ტრედი, მერე ყვავი

გააფრინა იმ ამბავის გამოსარკვევად, გამშრალია თუ არა მიწაო; შემდეგ ადამიანმა ღმერთებს მსხვერპლი შესწირა და ღმერთებიც კმაყოფილი დარჩნენ, და სხვა ასეთი ამბავი, რომელს თითქმის ყველა რელიგიაში შევხვდებით, და კერძოდ, ბიბლიაშიც.

შამაშ იყო ღმერთი ცისა; ენლილ – ღმერთი მიწისა; ეა – ზღვისა. ეს არის სამება ბაბილონურ ღმერთთა, კოსმოსის, ანუ ქვეყნიერების სამება (ტრიადა), ოღონდ ამ სამებას შეეტყვისება და უდრის მეორე სამება – სინ (მთვარე), შამაშ (მზე) და იშტარი (აფროდიტე, ვენუს). ესენი არიან მმართველნი ზოდიაკოთა, ციური მიწისა და მეტყველნი ღვთიური ნებისა.

სუმერულ–ბაბილონური ბაბბარ–შამაშ არის ციური მსაჯული და უფლების დამცველი პატრონი. შამაშ–მზე არის მეფე ცისა და მიწისა, მომგვარებელი და მომწყობი ციურ და მიწიურ საქმეთა, გარდაცვალებულთა მკვდრეთით აღმადგენელი, მიუდგომელი მსაჯული, ადამიანთა შორის წესრიგის დამამყარებელი მძლეთა მძლე. ბრწყინვალე ვაჟი, განმანათლებელი ქვეყანათა, შემქმნელი ყოველივესი ცაში და დედამიწაზე, – ეს არის შამაშ...მზე. მზის შესახებ წარმოდგენას სავსებით გვაცნობს საგალობელი, რომლის ნაწყვეტი შემდეგს შეიცავს –

შამაშ! (მზე).

განმანათლებელი უკუნისა, გამაშუქებელი ცისა.

დამამხობელო ბოროტთა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა!...

მწყემსო დამხე ქვეყანისა, მფარველო ზესთაისა, გამგებელი და ნათელი ხარ ქვეყანისა შენ, შამაშ, მხოლოო!

შეგხარიან ამასთან შენ მომაკვდავნი: ოჰ, შამაშ, შენს სინათლეს შენატრის მთელი ქვეყანა!

რომელი ფიცს გასტეხს, მას სჯი შენ სწრაფად,

რომელსა წმიდანი შიშს არა ჰგვრის, არ ძალუძს დამალვა შენგან;

უსამართლო მსაჯულთ უჩვენებ ბორკილებს შენ:

რომელი მექრთამეობს და სამართალს აბრუნდებს, აკისრებ მას სასჯელს...

ხარ გამგებელი ყველა ბრძანებათა, ხსნი ჩახლართულს,

ისმენ შენ, შამაშ ვედრებას, ლოცვას და თაყვანებას,

მორჩილებას, დაჩოქებას, ჩურჩულით ლოცვას, მუდარას,

მაღალი ხმით მოგიწოდებს ბეჩავი შენ!

საწყალი, სუსტი, მიმძლავრებული, ჩაგრული

მარად გევედრება შენ, მონანიებით ლოცვითა და წერით...

(ყველა მლოცველი)

მოწიწებით გეპყრობა შენ, აქებს შენს სახელს;

ადიდებს მარადჟამს შენს დიდებას! ...

მოწყალეო ღმერთო, რომელი მოხრილთ გამართავ, უსუსურთ იფარავ...

მთელი ქვეყანის ენებს განაგებ შენ ერთნაირად;

აღმართავენ ისინი თავებს, რათა იხილონ სინათლე მზისა;

რაწამს ერთად გამოჩნდები, აღსავსენი არიან ისინი სიხარულითა და ყიჟინით.

შენა ხარ სინათლე შორეულ ცისკიდურთა,

შორეული მიწისა თვალ მიზანი ხარ შენ,

შენნი მაცქერალნი იხარებენ მრავალნი ადამიანნი!

შამაშ!

მიუდგომელო მსაჯულო, რომელი ადამიანთ ხელმძღვანელობ...

შამაშ, მაღალო მთვარო, მოსამართლე ხარ ცისა და მიწისა, შენ!

***

შამაშ, უფალო ცისა და ხმელეთისა, აღმაშენებელი ქალაქისა და სახლისა ხარ შენ!

ბედისწერა და ბედის გარდაწყვეტა შენთა ხელთა არს!

ცხოვრების განგებას განსაზღვრავ მხოლოდ შენ,

სიცოცხლის ბედისწერას აწესებ მხოლოდ შენ, ოჰ, შამაშ, დიდო ბატონო...

***

ჯამრთელობა შორეულ დრომდე, სიმტკიცე ტახტისა და მეუფებისა მრავალჟამიერ,

გენებოს შენ, ბაგითა შენითა მომანიჭო მე!

ჯამრთელობა უკუნისამდე და სიმტკიცე ტახტისა მოწყალებაა შენი.

დაე, ჟამი ჩემი მეფობისა იყოს უგრძელეს!

სამართლიანი სკიპტრა, კეთილი მწყემსობა; კეთილი მწყემსობა,

რომელი ხალხს გამაჯვებას მოუტანს,

დაე იყოს ჩემი სამეფოსათვის განთვისებული.

რისხვიანი საჭურველით ბრძოლაში რომ შეიჭრებიან, –

ხარ შენ, შამაშ, ერთად ერთი დამცველი ჩემთა ლაშქართა.

სამსჯავროში და მარჩიელობაში მომეც მე მართალი პასუხი,

შენი წმიდა აღთქმით, რომელი უცვლელ არს;

დაე საჭურველი ჩემი იქმნეს ამოწვდილი და ბასრი,

და მტერთა ჩემთა საჭურველი, დაე იქმნნას უძლურ![5].

***

ტიგლატ-პალასერ პირველი (1100 წელი ქრისტეს წინ) მზეს ასე მიმართავს –

მსაჯულო ცისა და ხმელეთისა, შენგან მივიღე მე სამეფო კვერთხი...

ასურნასირპალ (884 – 860), ასურეთის დიდი მეფე ამტკიცებს, მზისაგან შთამომავალი ვარ და შამაშ არის ჩემი სინათლეო.

სალმანასარ მეორე მზეს უწოდებს – გმირი, მსაჯული ქვეყანისა ფრთეთა, ხელმღვანელი ადამიანთა.

ბაბილონის მეფე იყო მზე–ღმერთის გამოსახულება. მის დღეობაზე, რომელი დიდი ზეიმით ეწყობოდა, შვიდი დღის განმავლობაში ხდებობა სოციალური გათანასწორება; ყველა – მეფე და მონა, ბატონი და ყმა, უფალი და მსახური, მდიდარი და ღატაკი, – ყველა ერთი იყო და თანაბარი.

***

მზეს ბაბილონში აქვს აგრეთვე ქვესკნელის ხელისუფლება. მართალია მზეს მოაქვს სიცხე, გვალვა, სიკვდილიც; ამას გარდა მზის სხივებში იკარგებიან ვარსკვლავნიც (გვიანი ასტროლოგია იტყოდა: მზე სწვავს მნათობებსო!), მაგრამ მზე–შამაშ გაუთანასწორეს ღმერთს „ნერგალს“, რომელიც ქვესკნელის ღმერთია.

***

მზე დღე ჩანს; ღამე კი არა. სად არის ღამით მზე და შეიძლება თუ არა მისი ხილვა? როდესაც ზამთრის მზის მოქცევაში მთვარე ბადრი, ანუ სავსე თავის უმაღლეს წერტილს აღწევს ცაზე, მაშინ მზეს შუადღისას თავის უმდაბლესი ალაგი აქვს ცაზე, და წინაუკმოდ. შუაღამის მზის ხილვა, – ამბობს პროფ. ა. იერემიას, – არის უძველესი მოტივი, რომელიც ზამთრის მზის მოქცევას შეეხება. მისტიკოსთ სურთ შუაღამისას ბადრი მთვარის პირდაპირ 180 გრადუსზე მდგარი მზე დედამიწის იქით, ხმელეთის გადაღმა იხილონ.6.

4. ბაბილონურ–ასირული მზე: შამაშ

ბაბილონელთა და ასირიელთა ღმერთებს შორის მთავარი ადგილი უკავია მზე–ღმერთს „შამაშ“. ეს სახელი სემიტურ ენებში ზოგადია მზისათვის. ბაბილონურ–ასირიული შამაშ მამრობითი სქესისაა, თუმცა სამხრეთ არაბეთში იგი არის დიაცი–ღმერთი. შამაშის ტაძარი იყო სამხერეთ ბაბილონის ქალაქში ლარსა, და ჩრდილოეთ ბაბილონის ქალაქში სიპპარ. ორივე ეს ტაძარი იწოდებოდა: ე–ბაბბარ, წმიდა, ბრწყინვალე სახლი, ბინა ცისა. შამაშის ცოლს ერქვა აია (ცოლი) და მის შვილებს: კიკეტტუ (სამართალი) და: მეშარუ (პირდაპირობა); მასთანაა აგრეთვე დაკავშირებული მზის ეტლი, ცხენთა გამრეკი: ბუნენე. მზე–ღმერთი ითვლებოდა სამართლიანობისა და პირდაპირობის არსებად, ნათელის მომცემად, ღმერთთა უმჯობესად, უზენაეს მოსამართლედ, ყოველგვარი სიავისა და ბოროტების მოწინააღმდეგედ, შურის მაძიებელად. შამაშ არის

განსაკუთრებული უზენაესი მსაჯული ცათა და ქვეყანათა ზედა და ამიტომ მას კანონმდებლობა მიეწერება. შამაში არის ღმერთი ორაკულთა (წინასწარმეტყველთა, მკითხავთა, მარჩიელთა), რომლის სახელით მომავალი განიმარტება. ამიტომ იგი იყო პატრონი მკითხავთა, მარჩიელთა, რომელთ ბაბილონში დიდი ადგილი ეკავათ.

მეორე ღმერთი „მარდუკ“ ქალაქ ბაბილონის ღმერთი იყო და მისი სახელი გაძლიერდა ქალაქ ბაბილონის პოლიტიკურად გაძლიერებასთან ერთად. ბაბილონურ ღმერთთა სიაში იგი არის ახალგაზრადა და მის ტაძარს ჰქვია: ე–საგილა, კოშკით: ე–ტემენანკი, ცათა და ქვეყანის დაარსების სახლი. მისი დღეობა იყო გაზაფხულის დღედაღამის გასწორებისას, 21 მარტს. ამიტომ მარდუკ იყო გაზაფხულის მზე–ღმერთი, ბუნების გამაცოცხლებელი, სიცოცხლის განმაახლებელი და განახლებული ნათელის მომნიჭებელი. მარდუკ იყო ახალწლის ღმერთი–მზე და ამ დღეს წყდებოდა ყველას ბედი; ამ დღეს იწერებოდა ყველა კაცის მომავალი. მარდუკ იყო ამასთანავე მკურნალი და გაჭირვებაში შემწე. ამიტომ მას მარტივად უწოდებდნენ: ბელ, ანუ უფალი, ბატონი.

„აშშურ“ იყო ასირიელთა ღმერთი, რომელი მთავარ ღმერთად გადაიქცა მას შემდეგ, რაც ასურეთის სატახტო ქალაქი „აშშურ“ პოლიტიკურად გაძლიერდა; იგი იყო ომის ღმერთი და ამასთანავე ითვლებოდა მზე–მარდუკად.7.

5. ასირიული მზე: აშშურ

ასირიაში ეროვნული ღმერთი იყო „აშშურ“, ღმერთი–მზე, მეომარი. ამის გამო ასურელნი ტყვეთ მზე–ღმერთის აშშურის საკურთხეველის წინ ხოცავდნენ ხოლმე.

აშშურბანიპალ (668 – 626) თავის თავის შესახებ ამბობს –

მარდუკმა, ბრძენმა ღმერთმა მზე ცოდნა და გონება მომანიჭა...

ასირიაშიც თითქმის იგივე ღმერთები ბატონობდნენ, რაც იყვნენ ბაბილონში; მაგრამ ამ ღმერთთა შორის მთავარი იყო მზე–ღმერთი: აშშურ, რომელს ისევე მიმართავდნენ, როგორც შამაშს –

ოჰ,შამაშ...

მომანიჭე სიცოცხლე,

ოჰ, შამაშ, მეფე ხარ ცათა და ქვეყანათა,

შენ განაგებ ყველაფერს, ზემოდან დამხემდე...

შამაშ, ხელთა შენთა დაუბრუნო სიცოცხლე მკვდართ, დაიხსნა ტყვეობაში მყოფი. შენ ხარ უმწიკლო მსაჯული, შენ მართავ კაცობრიობას...

შვილი ძლიერი, ქვეყანათა მოზიმზიმე სიმართლე... 8.

6. ქალდეური მზე.

ქალდეანთა შესახებ დღესაც გაურკვეველი ვითარებაა. მათი მსოფლმხედველობა დროთა განმავლობაში ცვლილებას განიცდიდა და ვინაიდან მათმა შესწავლამ მთელი მაშინდელი მსოფლიო დაიპყრო, ამიტომ ძნელი გახდა მათი თავდაპირველი შეხედულების აღდგენა. დიოდოროს სიკულუს (პირველი საუკუნე) მათ შესახებ ამბობდა – მათ სჯერათ, მსოფლიო ბუნება უკვდავია, იგი არასოდეს არ დაწყებულა, არასოდეს არ დასრულდებაო; მისი მოწყობა და წესრიგი არის ღვთიური განგების საქმე, და ის, რაც ცათა შინა ხდება, არაა შემთხვევითი და უცაბედი, ან ღრმა ბრმა მოვლენა, არამედ განსაზღვრული და დადგენილი ღმერთთა მიერო. მსოფლიო არის ჰარმონიულად მოწყობილი და ყველაფერი რაც ხდება, ციურ მოძრაობაზეა დამოკიდებულიო; მათი სარწმუნოება იყო ვარსკვლავური: ისინი თაყვანსა სცემდნენ უმთავრესად მზეს, მთვარეს, ხუთ მნათობთ, თორმეტ ზოდიაკოს, რომელიც მათი აღმოჩენილია.

ვინაიდან ეს ვარსკვლავნი ღმერთებად ითვლებოდნენ, და მაშასადამე, ყველაფერის გადამწყვეტნი იყვნენ, ამიტომ ქალდეველ მღვდელთა მოვალეობა იყო, სათანადო ნიშნებით გამოეცნოთ კაცის მომავალი, ვარსკვლავებზე დაკვირვებითა და მათზე ცნობების მიღებით. და ეს შესაძლებელი იყო, რადგან ქალდენათა სწავლით, თითოეულ ვარსკვლავს თავისი ბუნება აქვს, კარგი თუ ავი, და ვარსკვლავთა განლაგება და ურთიერთობაც მომავალის გამოსაცნობათ მნიშვნელოვანია.

ბელუსი და მილიტტა (იუპიტერ და ვენუს) კეთილმომქმედი იყვნენ; სატურნუსი და მარსი – ბოროტი; ნებო (მერკურიუს) – ხან კეთილი, ხან ბოროტი, ხან თავისი ადგილის მიხედვით ცაზე. თორმეტ ზოდიაკოთა შორის ზოგი სქესს წარმოადგენდა, ზოგი – მოძრაობას; ზოგი – განსვენებას; ზოგი – ცხოვრების სხვა და სხვა მოვლენას, და ეს ზოდიაკონი საერთოდ მომავლის გამგედ ითვლებოდნენ; ამათ გარდა დიდ გავლენიანი იყო 24 ვარსკვლავი. ხუთ მნათობს თავის მხლებელად ჰყავდა თითოეულს მეორე ხარისხოვანი 30 ვარსკვლავი; ისინი მოძრაობენ ერთი ჰემისფეროდან მეორეში და მათ აცნობებდნენ, თუ მსოფლიოში რა ხდებოდა. ესენი იყვნენ ღმერთნი–მრჩეველნი. ყველა ამ ციურ ლაშქართა ზემოდ იყო მზე და მთვარე. მზე წარმოადგენს მამაცის დასაბამს, ანუ მოქმედებას; მთვარე არის დიაცის პრინციპი, ანუ უმოქმედო, და სხვა.9.

7. ხეთური ღმერთი: ისტანუ

ხეთთა (ჰატტ, ხეტტიტ) სარწმუნოებაში მრავალი ღმერთი იყო და ზოგადი სახელი მათი იყო: „ათასი ღმერთი ჰატტი“-სა.

მეორე ათასეულ წლებში ქრისტემდე, მესოპოტამიის ღმერთები შეიცვალნენ ბაბილონური განათლების გავლენით. ახალი იმპერიის ხანაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ღმერთი იყო: ღმერთი–დიაცი, რომელიც ჰურრ-ების ღმერთს „ჰაპტ“-ს ემსგავსებოდა, და რომელს შემდეგ ეწოდა: არინნა – „მზე“,

რაც აგრეთვე ჰატტის, ხეთთა მეფესაც ერქვა. ქების საგალობელნი ამ მზე–ღმერთის მხოლოდ საპატვიო სახელთ შეიცავენ, და იგი წარმოდგენილია ღმერთთა ჯგუფში მისი ქმარის, ჭექაქუხილის ღმერთის პირდაპირ.

როგორც ამბობს ლ. დელაპორტ, – ეგვიპტეს გავლენით, მზის კულტის განვითარებამ წინა აზიაში, ფარაონთა ამეფონის მესამისა და ამეფონის მეოთხეს დროს, დიდად წაიწია და ხეთთა ქვეყანაში მზის ღმერთს უდიდესი მნიშვნელობა მიეცა, და სულ მალე იგი, ეს მზე–ღმერთი სხვა ღმერთთა შორის პირველ ადგილს იჭერს. ეს მზე–ღმერთი „ისტანუ“ არის ღმერთი უფლებისა და სამართლიანობისა.10.

8. ფინიკეური ღმერთი: საპას, ნერ

ფინიკეელთა შორის მზეს ქვემდებარე ადგილი ეკავა; იგი იყო ღმერთი–დიაცი საპას. იგი არის მანათობელი, და აქედანაა მისი ზედმეტი სახელი „ნერ“; იგია წესიერი აღმასრულებელი ცის ღმერთის „ელ“-ის ბრძანებათა.10.

9. ებრაული მზე: შემეშ

ბიბლიის შეხედულებით, მზე და ვარსკვლავნი ღმერთმა შეჰქმნა მეოთხე დღეს, და მაშასადამე, მზე არის უზენაესის მიერ წარმომქნარი. ღმერთი (იაჰვე) მზისა და ვარსკვლავთა თაყვანებას ჰკრძალავს, მაგრამ ბაბილონელ–ქალდეველთა ზეგავლენით, მზეს ისრაელნიც თაყვანსა სცემდნენ და მზე „შემეშ“ სინათლისა და ჭეშმარიტების, სამართლიანობის მომნიჭებელ ღმერთად იქმნა აღიარებული, რასაც აგრეთვე ეგვიპტურმა გავლენამ შეუწყო ხელი. მზის თაყვანება გავრცელებული იყო იერუსალიმში და მის მხარეში მანასესა და ამონის დროს; იოსიამ შემოიღო მზის გამომსახველი ნიშნებიც (თეთრი ცხენი, ეტლი) სპარსთა გავლენით. ამ წარმართულ მოვლენას მართლმორწმუნენი სასტიკად ებრძოდნენ.

კანეი ამბობს – ისრაელნი უძველეს დროში მნათობთა მოთაყვანენი იყვნენო. იაჰვეჰ ელოჰიმ, ისრაეული ღმერთი შეიძლება მზედ ჩაითვალოსო.11.

ებრაელთა თავგადასავალის მკვლევარი ლოდს ადასტურებს: – ძველ სემიტთა სათაყვანებელნი იყვნენ ვარსკვლავნი, ვით ბუნებრივ ძალთა მქონენიო. ებრაელთა ისტორიის იმ ხანაშიც, როცა ისინი ერთ ღმერთს: „იაჰვე“-ს აღიარებდნენ. ოდეს მზის ამოსვლას იხილავდნენ, მაინც უნებურად ხელს ტუჩებისაკენ წაიღებდნენ მასზე საკოცნელად, მზის თაყვანების ნიშნადო.12.

ბეთალფაში აღმოაჩინეს ისრაელთა სამლოცველო, რომლის მოზაიკა გაასუფთავეს და ნახეს, რომ მზე–ღმერთი, ზოდიაკოთა და წელიწედის ოთხი დროის ნიშანთა შორის არის გამოსახული. რომ ებრაელთა შორის მზის თაყვანება იყო, სჩანს იქიდანაც, რომ არა ერთჯერ არის აკრძალული მნათობისადმი მიმართვა და ლოცვა. ისრაელთა მეფე იოსიას შესახებ

ნათქვამი არის, მან 621 წელში ქრისტეს წინ, ყველა ისინი მოსპო და გაჟლიტა, ვინც ბაალს, მზეს, მთვარეს და ცის მთელ მხედრობას უგალობდნენ და უკმევდნენო. იერუსალიმის ტაძარის დანგრევის შემდეგ დიდ პატივში იყო სვეტი, რომელიც აღმართული დარჩა, მასზე გამოქანდაკებული მზით. ეს სვეტი ითვლებოდა მსოფლიოს შუაგულად. და ამის შესახებ ცნობილი იყო ღმრთის მსახურთა განკარგულება: პალესტინის გარეშე მყოფნი მორწმუნენი ლოცვის დროს მიმართავენ პირს პალესტინისაკენ, პალესტინაში მყოფნი – იერუსალიმისაკენ; იერუსალიმში მყოფნი – ტაძარისაკენ; და ტაძარში მყოფნი – სიწმიდისაკენ; ხოლო ეს სიწმიდე იყო – მზიანი სვეტი.13.

10. ესსაერული მზე

ისრაელი ისტორიკოსი იოსებუს ფლავიუს გადმოქვცემს: ებრაელთა შორის ეგრეთ წოდებულნი „ესსაერნი“ (სექტა) თუმცა მზეს ღმერთად არ აღიარებდნენ, მაგრამ მას მაინც თაყვანსა სცემდნენო. ისინი მზის ამოსვლას სიხარულის კიჟინით ეგებებოდნენ და მზეს მსხვერპლს მიართმევდნენ ხოლმეო. მათთვის სავალდებულო იყო: მზის ამოსვლამდე არ წარმოეთქვათ არც ერთი არა-წმიდა სიტყვა, ხოლო მიემართათ მნათობისათვის ძველთა მიერ გადმოცემული ლოცვებით, თითქო გსურდეს მზის ამოსვლას ემუდაროო.

ი. კროლლის თქმით, ესსაერთა მოძღვრება, რომელი ქრისტეს წინა ხანაშიც იყო გავრცელებული, თავის მიმდევართ ავალდებულებდა ლოცვა წარმოეთქვათ მზის ამოსვლისა და ჩასვლის შემდეგ. ოდეს მზე აღმოჰხდება, ისინი ხელთ აღაპრობდნენ ცის მიმართ და ითხოვდნენ კარგ დღეს (დღეს მშვიდობისას), სამართალსა და ძალასო.14.

11. წინარისლამური მზე

ისლამის დამკვიდრებამდე (მეშვიდე საუკუნე) ძველ არაბეთში ვარსკვლავთ გაბატონებული მნიშვნელობა ჰქონდათ სამხრეთის ღმერთთა სამყოფელშიო, – ამბობს გ. რიკმანს. პირველ რიგში იყო მთვარე–ღმერთი: „სიმ“ და ათარ – აშტარტე – ასტარ ბიბლიური, ანუ ვენუსი, და ამათ გარდა მრავალნი და მრავალნი ზოგადნი, ადგილობრივნი და ოჯახურნი ღმერთნი არსებობდნენო.

ამ ცხელ ქვეყანაში – არაბეთი – მზეს მაინც და მაინც დიდი პატივი არ ერგებოდა, თუმცა იგი ღმერთთა რიგში იმყოფებოდა. ყველაზე უფრო საბიანნი ეთაყვანებოდნენ მას. მზიური ღმერთი საბიანთა შორის ცნობილი იყო ორი სახელით: თატ (დჰატ) ხიმიამ და თატ ბა’დან. დ. ნილსენის თქმით, პირველი უნდა იყოს ზაფხულის მზე. ხოლო მეორე – ზამთარისა. ეს ორი სახელი ხშირად იხსენება სამებაში მთვარის შემდეგ. მზე, სახელით „შამს“, არის მზე – ღმერთი–დიაცი ჰადრამაუტელთა და ყატაბანთა შორის.

საბიანთა შორის ეს სახელი მზე–ღმერთისა „შამს“ ჩვეულებრივ საოჯახო ღმერთს მიეკუთვნება.

ყატაბანთა ერთი ტომი არაბთა იწოდება – „ყვითლად მოოქრულისა და აღმოსავლეთისა“; „შამს“-ს ჰქვია აგრეთვე „ტანუფ“, ანუ ბრწყინვალე, რომელი აღმოჰდება, და „ტატუნ“, ანუ: რომელი მდაბლდება, რომელიც ჩადის. სახელი „სამაიჰატ“ (ციური) და „ნაკრახ“ უნდა იყოს აგრეთვე დიაცი–ღმერთი–მზის სახელი. იგი ცნობილია საბიანთა შორის წოდებით: „უძძაი“, „უზზაიან“ (ძლიერი), ხოლო ჩრდილოეთ არაბეთში: „ალ-უძძა“. დიაც–ღმერთ–მზეს აქვს კიდევ სხვა სახელი: თატ რახბან, თატ ღათრან, თატ ზაჰრან, თატ ნაშკ, თატ ბარრან...

მაჰმადის გამარჯვების შემდეგ ეს ღმერთი და სხვა მრავალი ღმერთიც დაემხო და ერთმა ღმერთმა „ალლაჰ“ გაიმარჯვა.15.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მეორე

მზის თაყვანება აზიაში

1. იაპონური მზე
2. ჩინური მზე
3. ჰინდური მზე: სურია, აგნი
4. ირანული მზე: ჰვარ
5. ფარსული მზე

1. იაპონური მზე.

უძველეს იაპონიაში, სხვა ვარსკვლავთა შორის, მზე და მთვარე ღმერთებად ითვლებოდნენ; იაპონურ ეროვნულ რელიგიაში (შინტო) მზე–დიაც–ღმერთს პირველი ადგილი ეჭირა და წინაპართა თაყვანებასთან დაკავშირებით, მზე უკვე მეფის წინაპარად ითვლებოდა და იაპონიის მეფე

– მზის შვილად. ეს შეხედულება იაპონიაში დღემდეა დარჩენილი: იაპონიის იმპერატორი – მზის შვილია.

2. ჩინური მზე

ძველ ჩინურ რელიგიაში მთავარი ღმერთია ცა, და ჩინური ტაძარის უზემოესი სართული მას ეკუთნის. შემდეგი, ქვემო სართული კი – მზეს და მასთან ერთად დანარჩენ ვარსკვლავთ. ისე ვით იაპონიაში, ჩინეთშიაც იმპერატორი ცის შვილად, მზის შვილად ითვლებოდა უკანასკნელ დრომდე. წინაპართა თაყვანება მზის თაყვანის ცემაში გადავიდა და იმპერატორი ცისა და მზის შვილი გახდა.16.

ასეთი არის პროფ. ჯევონსის დასკვნა... მაგრამ ჩინელი მკვლევარი ტ. ფუ არდგენს საკითხს – იყო თუ არა ჩინეთში მზისა, მთვარისა და საერთოდ ვარსკთლავთა თაყვანება? ამ საკითხის გადაწყვეტა დამოკილებულია თვით სიტყვისა „თაყვანება“ მნიშვნელობაზეო, – ამბობს იგი. თუ თაყვანისცემა არის თაყვანება, მსხვერპლი, ქებადიდება, ლოცვა, მადლობა და სხვა პატივსაცემი მოქმედება უზენაესი არსებისა, ანუ ღმერთისადმი მიმართული, მაშინ, ამ შემთხვევაში, არასოდეს არ ყოფილა მზისა და მთვარის თაყვანება ჩინეთშიო. არც ერთი ციური სხეული ჩინელისათვის უზენაესი ღმერთი არა ყოფილა. ღმერთი იყო ჩინეთში „ტიე“ (ღმერთი), ხოლო ციურნი სხეულნი ღმერთზე დაქვემდებარებულნიო. თუ თაყვანისცემა ნიშნავს დადრკომას, დაჩოქებას, დავარდნას მიწაზე, ან პატივისა, ან შიშისა გამო უფროსისა და უმაღლესის წინაშე, მაშინ არც ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, ჩინელნი მზესა და მთვარეს და ვარსკვლავთ თაყვანსა სცემდნენო.17.

3. ჰინდური მზე: სურია, აგნი

ინდოეთის რელიგია იყო მრავალ ღმერთიანი, რომელთა დაკავშირებით წარმოშობილნი არიან უუძველესნი საგალობელნი „ვედთა“. ეს გალობანი ბუნების ძალებს მიეძღვნებიან, განსაკუთრებით სინათლის მოვლენებს, ცეცხლს, რომელიც ცის სივრცეში მოძრაობს, დევას, ანუ დევს, რომელიც არის ნათელ მფენი. ბუნების მოვლენანი არიან მგრძნობიარენი, ვითარცა ადამიანნი; ამიტომ ცოცხალსა და არა–ცოცხალს შორის განსხვავება არაა; ყველაფერი არის: გრძნობა და ნება.

ბრაჰმანული პანთეიზმით, მრავალრიცხოვანნი ღმერთები სამ უზენაეს ღმერთს ექვემდებარებიან. მათ უკან არსებობს დიდი სული (ატმა), რომელიც ყველაფერს ამოქმედებს და აცოცხლებს; მისი ორგანო არის – მზე. დაბოლოს, მზისა და მისი სინათლის გადაღმა არსებობს ძალა, რომელს ეწოდება „ლოცვა“, ანუ სიტყვა წმიდა: „ბრაჰმა“. ყველაფერი გამოდის ღვთიური სულისაგან და მასვე უბრუნდება ყველაფერი.18.

საგულისხმოა, ს.ს. ორბელიანის სიტყვას „სურია“ ასე განმარტავს: სურია – ნათელი მათი, გინა განცხრომა.

სურია არის მზე. „გიატრის“ უძველესი ლექსის მიხედვით, თვითეული ჰინდო, ანუ ინდოელი თავის დღეს მზისადმი მიმართული ლოცვითა და ქებადიდებით იწყებდა, – მზე, რომელი სინათლეს, სითბოს, ნაყოფიერებას იძლევა.

ინდოეთის პოეზიის საუნჯე, ვედთ-ური გალობა სურია–მზეს ასე მიმართავს –

ნათელის შუქნი გვაცნობებენ მთელი მსოფლიოს წინაშე ღმერთს, რომელმან ყოველივე იცის, – მზე

ვარსკვლავნი მიიპარებიან ვით ქურდნი ღამის წყვდიადთან ერთად მზის წინაშე, რომელი ყველაფერს ანათებს

შუქნი მისნი ზიმზიმებენ ვით ცეცხლნი და ყველა არსებას უმზერენ

შენ მსვლელობ, შენ აჩვენებ შენს თავს ყველა არსების თვალთ

შენ ჰქმნი სინათლეს, ოჰ მზეო, და აღავსებ ჰაერს ბრწყინვალებით

შენ აღმოხდები ღმერთთა ლაშქარის წინაშე, ადამიანთა წინა, მთელი ცის წინაშე, რათა ყველამ შეგხედოს და ყველა გეთაყვანოს შენ

იმავე ნათელით, ოჰ ღმერთო განმწმენდელო, მფარველო, რომლითაც შენ ადამიანის სამყოფელ მიწას ჰფარავ, აღავსებ ცას, უვრცელეს ჰაერს, არდგენ დღესა და ღამეს, უმზერ ყველაფერს, რაც ცოცხლობს.

შვიდი ქერა ცხენი მიაქროლებს ეტლს, რომელსაც შენ მიყევხარ, ოჰ მზეო, მომხიბვლელო შენი შვენიერი ქოჩორი თმა შეგვირგვინებულია სხივებით, ღმერთო, რომელი ყველაფერს ხედავ

და ეტლი მიიწევს; მას მიაქროლებენ შვიდნი ცხენნი, რომელნი მზემ შეჰკაზმა თავისი ხელით; და რომელთაგან თითოეული ცალკე უღელ ქვეშ დააყენა.

და ჩვენ, წყვდიადის შემდეგ, მნახველნი უფრო ლამაზი სინათლისა ვემხობით მზის წინაშე, რომელი ელვარებს ყველა ღმერთთა შორის და რომელი უუმშვენიერესია ყოველთა ნათელთა შორის

დღეს შენი ამოსვლისას, ოხ ღმერთო ქველო, ცათა მწვერვალზე ასვლისას, განკურნე,

ოჰ მზეო, მწუხარება გულისა ჩემისა და სიფითრე პირისა ჩემისა

მე გადავუგდებ ჩემს სიყვითლეს, რომელი მჭამს მე, თუთიყუშებს და ჩხართვებს;

მე გადავუგდებ სიფითრეს ჩემსას, რომელიც მჭამს მე, ყვავილთ, ზრუნვისაგან გაყვითლებულნი რომ არიან. 19.

***

ძველი ინდოეთის თხუზულებაში „რიგვედთა“, რომელი 1017 საგალობელს შეიცავს და უმთავრესად რელიგიურ ლექსთა და გალობათა კრებულია, დაწერილი სანსკრიტულ ენაზე ხუთი ათასი წლის წინად, მზე ანუ „სურია“ გვესახება ვითარცა სათაყვანებელი არსება მრავალი სახელითა და სახით.

მზე – ღმერთი არის აგრეთვე „სავიტარ“.

ბჰაგა არის მზის მესამე გვარი განპიროვნება. ეს სიტყვა ნიშნავს: ნეტარი, რასაც ამ ვარსკვლავს უწოდებენ. იგია ამასთან ბრძენი, მორჭმული და სხვა. 20.

ერთი უძველესი მისი სახელია აგრეთვე „მიტრა“, რომელი სპარსულ „მითრას“ უდრის.

არაა არავითარი საბუთი უარვყოთ, ან დავეჭვდეთ იმ ცნობით, რომელს მეათე საუკუნეში მცხოვრები სანკარუ გადმოგვცემს, თითქო მის დროს ინდოეთში არსებობდნენ დაჯგუფებანი, რომელნი მზეს თაყვანსა სცემდნენო. მისივე ნათქვამის თანახმად, ერთი ასეთი ჯგუფის მიმდევართ შუბლზე და მკერდზე მზის სიმბოლო ჰქოდათ დადაგულიო, – გვაცნობებს პროფ. ე. ვ. ჰოპკინს. 21.

ინდოეთის არ-არიულ ხალხთა შორის მზის თაყვანება უფრო ფართოდ იყო გავრცელებული: დრავიდები და კოლარები მზის მოთაყვანენი იყვნენ, და ეს ამბავი ხშირად იხსენიება „პარამეშვარ“-ში, სადაც მზე არის შემოქმედი ქვეყანისა და მფარველი მისი, ლოცვებითა და მსხვერპლითა. ახლაც ინდოეთში მოიპოვებიან ისეთი ტომები, რომელთაც სჯერათ, რომ ისინი მზისაგან ჩამომავალნი არიანო, – ამბობს ს. ჯილენ. 22.

ბუდთიზმის რელიგიაში, ხალხური შეხედულებით, ციურნი მნათობნი ითვლებიან ეტლებად იმ ღმერთთა, რომელნიც კვლავ დაიბადნენ თავიანთ ღირსებათა წყალობით, და ეკუთვნიან პირველ 33 ღმერთს, მაგრამ უფრო მაღლა სდგანან. მზე და მთავარე არიან ღმერთები, რომელნი ბუდთას ეწვივნენ, და „თარმასამგრაჰა“-ში, მზე და მთვარე, მიზა და ასურა–რაჰუ არიან ქვეყნისა ათი მხარის გუშაგნი. 23.

ინდოეთის რელიგიურ თხუზულებაში „პურანა“ (მეოთხე–მეხუთე საუკუნე) ჩამოთვლილია განბანვის წესები, რომლის დასასრულს განმბანელი გულ მხურვალედ მზის სახელებს ჩამოსთვლის. „და როცა იგი ასე მზეს თაყვანსა სცემს სამჯერ მარჯვენით მოტრიალდება“... 24.

რასაკვირველია, მზეს მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა მიწათმოქმედთათვის, ვინაიდან მათი შრომის ნაყოფი მზეზეა დამოკიდებული. ისინი მზის ამოსვლისას ცეცხლში ცოტა რძეს ასხამდნენ. ამ მოქმედების მიზანი იყო, თვით ცეცხლის პატივი და ამას გარდა რწამდათ, ამით მზის ამოსვლას ვეხმარებითო. გავრცელებული იყო აგრეთვე ჩვეულება: როცა მზე მიიქცეოდა და მოკლე დღენი იწყებოდნენ, ამ ამბავს მცხოვრებნი ხმაურობითა და რახუნით შეხვდებოდნენ ხოლმე ყოველ წლიურად. მზის პატივი გამოიხატებოდა აგრეთვე იმ წესით, რომლის მიხედვით, მზის

მოთაყვანეთა მსგავსად, ვინმესადმი პატივისცემის გამომხატველი, წამსვლელი მარჯვენით ბრუნდებოდა, მზის სვლის მიბაძვით.

მახსოვს, საქართველოშიც წამსვლელს სამჯერ მარჯვენით მოატრიალბდნენ ხოლმე...

ინდოეთის ზოგ მხარეში მზე არის ცხელი, აუტანელი სიცხით, საშინელი გვალვით, და ამიტომ ასეთ მხარეში მზის დიდი შიში აქვთ და მას უბედურ სასტიკ ღმერთად სთვლიდნენ და მას კიდეც ებრძოდნენ. 25.

***

ინდურ მსოფლმხედველობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია „აგნის“ (ლათინურად – იგნის). აგნის არის სამ-პიროვანი ცეცხლი ღმერთი, და თვითეულს მათგანს საკუთარი სახელი აქვს, თუმცა საერთო მათი სახელია „ტრინამან“, ანუ: რომელს აქვს სამი სახელი. ეს სამპიროვანი ცეცხლი–ღმერთი აგნის არის: 1. მზე, 2. ცეცხლი და 3. ელვა. და „რიგვედთა“ მათ შესახებ ამბობს –

სხვა და სხვა გვარად უწოდებენ მას, რომელი ნამდვილად არის ერთი. იგია შუამავალი ადამიანთა და ღმერთთა შორის; მას მიაქვს მსხვერპლი ღმერთებთან და მოაქვს წყალობა ღვთიური. მაგრამ იგი არაა შუამავალი კაცისა და რომელიმე უზენაეს ღმერთ შორის. იგი არის უბრალო შიკრიკი კაცთა ღმერთებთან და ღმერთებისა ადამიანებთან. და თვითონ იგი არის პირველი მიმღები მსხვერპლის შეწირვისა, რომელს იგი პირდაპირ მოითხოვს... ვით ცეცხლი იგი არის სიცხე და შემოქმედი ძალა, როგორც მზეში, ისე ყოველნაირ წარმომშობ, შემქმნელ ძალაში; ამიტომ იგი არის შემოქმედი ღმერთი მამა–ღმერთი ადამიანისათვის და მსოფლიური შემქმნელი; მაგრამ ამასთანავე, იგი არის გამანადგურებელი ძალა, დამწველი სახლთა და ცოდვილთა. მას ევედრებიან ვით კანონთა მფარველს და ცოდვილთა მომსპობს; იგი დაიბადა ცაში და ღმერთთა ნებართვით კაცს ცეცხლი მიანიჭა.

აგნი არის სამება (მზე, ცეცხლი, ელვა); სამი ნათელი, მარადი ცეცხლი, შემოქმედი, მრავალი სახელით სათაყვანებელი ვითარცა ვიშნუ, ინდრა, ვარუნა, რუდრა, მკეთებელი შემოქმედი მზე–ბჰაგვა, რომელი გწყალობს მაშინაც ოდესაც გწვავს. „მე ვარ სამ ჯერ ნათელი, სიცხე და მსხვერპლი“. იგი არის ინდრა და ვარუნა, რადგან ეს ღმერთები არიან ქარიშხლისა და წვიმის ღმერთები, და „აგნი“ დაბადებულია როგორც ელვა წვიმაში, „ხმა წყლისა“ აგნი არის შვილი მზისა; იგია: მზე.

„რიგვედას“ ერთი გალობა ამბობს დ ძმა ელვისა არის ცეცხლი; ელვა არაა სახე (ფორმა) ცეცხლისა, ან ძმა ცეცხლისა, არამედ ცეცხლი ღრუბლებში, ისე როგორც მზეა ცეცხლი ცაში. ამიტომ აგნის არის მუდმივი სახელი, იგი „რომელსაც აქვს სამი სახე“, „რომელს აქვს სამი ბინა“: მიწაზე, ღრუბლებში და ცაში, ანუ როგორც წირვის წესით განმარტავენ: მას აქვს სამი საკურთხეველი.

ხალხურ რწმენაში მზე გახდა – ვიშნუ; ელვა – შივა, გაიგივებული ელვის ღმერთთან – რუდრა. ცეცხლს, მესამე წევრს შერჩა სახელი შემოქმედი ღმერთისა, რაც არის აგნის ერთი მარავალ სახელთაგანი. 26.

ბრაჰმანულ რელიგიაში „ბრაჰმა“ გახდა მთავარი ღმერთი – შემოქმედი, ვიშნუ – შემნახველ-დამცველი. და შივა – გამანადგურებელი, სადაც ვიშნუ იყო: მზე–ძალა, შივა: ელვა–ძალა და ბრაჰმა: შემოქმედი. ესაა სამი სახის სამება. ანუ ტრიმურტი. „აქ გაქვთ თქვენ კეთილი ნათელის ღმერთი მზე, რომელი მფარველობას წარომადგენს; აქვეა გამანადგურებელი ღმერთი ელვის სახით და აქვეა ღმერთი–შემოქმედი. ეს სამება იყო ბრაჰმანიზმისა და რელიგიური სექტების შეზავების ნაყოფი“-ო, ამბობს პრ. ჰოპკინს. 21. გვ. 305. ფილოსოფიაში, რასაკვირველია, ბრაჰმა არის მსოფლიო სული, ყოვლადი სული. 21. გვ. 309.

***

აგნი არის ყოველი გვარი ცეცხლის ღმერთი: მიწიურისა, ჰაერისა, ციურისა; აგნი მიაქანებს კაცის მიერ შეწირულს ცისაკენ; იგია „მჭამელი მსხვერპლთა“. აგნი არის ყოვლადი ღმერთიც; იგია შთამაგონებელი წმიდა პოემათა, მსხვერპლითი წირვის შვენებისა –

„მარგალიტნი მეტყველებისა პატივსა სცემენ ვაისვანარა-ს (ესაა აგნი „ყველა კაცისათვის ყოველ საზოგადოებრივ ფენაში“); ღმერთი ფართო გავლენისა იმ ზომად, რომ (სიტყვა მისი) მიდის ხმელეთზე. რამეთუ ესაა აგნი, უკვდავი, რომელი ღმერთთა შორის მშვიდობას ამყარებს: დიადი ხანიდან მას ვნება არ მიუყენებია თავის მოინახეთათვის.

„საკვირველი მეცნე, იგი წრიადობს ორი ქვეყანის (ცისა და ხმელეთის) შორის; დადგენილი ვითარცა სულიერი მოხელე, ვითარცა მღვდელი კაცის. დღიდან დღემდე ამშვენებს იგი თავის ზესთა სასუფეველს, – აგნი, – მდიდარი სიბრძნით, რომელს ღმერთები იწვევენ.

მედროშენი მსხვერპლისა, გამანამდვილებელნი წირვისა, – მღვდელნი – ადიდებენ აგნის თავიანი ფიქრით; მათ დაამკვრივეს მასზე თავიანთი შრომანი, გალობანი; მხოლოდ მისგან მოელის წყალობას შემწირველი.

„მამა მსხვერპლთა, უფალი შთაგონებულთა, ზომა და წესი მგოსანთა, – აგნი შევიდა ორ მრავალ სახიან ქვეყანაში (ცა და ხმელეთი): იგი არის მხედველი ფრიად საყვარელი, რომელს მის გამოცხადებაში მიესალმებიან.

„აგნი ბრწყინვალე, ეტლით ბრწყინვალით, კანონით მოოქრული, – ვაისვანარა, – რომელი ზის წყალში და აღმოაჩენს ნათელს ინთქმება, ამოირტყოცნება, ხლებული ძალთაგან, აღტაცებული, აღსავსე დიდებით: იგია, რომელი აქ დაადგინეს ღმერთებმა.

„აგნი, რომელს მიაქვს მსხვერპლნი, ლოცვით მდიდრულად შემკულნი, წყალობითა ღმერთთა, წყალობითა მანუ-ს შთამომავალთა განმახორციელებელი წესთა, – იგი ტრიალებს შორის (ქვეყანათა), მჯდომი თავის ეტლზე, ვითარცა მოქმედი უფალი, განმაძევებელი უკეთურებათა.

„აგნი მფარველობს ჩვენს სიცოცხლეს და ჩვენთა შთამომავალთა, – აღგვავსე შენ საკვებითა, განავრცე ჩვენზედა სასმელი! გამოაცოცხლე ძალანი ჩვენნი ზესთანნი, ოჰ მეთვალყურე! შენა ხარ შუამავალი ღმერთებთან, კარგი აღმასრულებელი შთაგონებულ სიტყვათა!

„თავი ტომისა, სტუმარი ყმაწვილი, ხელმძღვანელი ლოცვათა, და შუა მავალი მგოსანთა, ალი წესთა, იატვედას (აგნი, რომელში დაბადებულია სიბრძნე): კაცნი მარად დღეობენ მათი პატივით, მათი აღელვებით რათა იგი განდიდდეს.

„ღმერთი ბრწყინვალე, მოლხინე, – აგნი, – ლამაზ ეტლზე, გარს შემოერტყა თავის ძლიერების სადგომებს; ჩვენ გვწადია გავამშვენიეროთ კანონნი ამ დიადი მასაზრდოებელისა, სახლში კარგად ნათქვამი პოემებით.

„ოჰ, ვაისვანარა, მე მსურს შენნი გამოცხადებანი, რომელთა მეოხებით შენ გამოაჩინე ნათელი, შენ რომელი ხედავ შორს; დაბადებისათანავე აღავსე შენ ტალღანი, ცა და ხმელეთი: რაც კი არის, მას შენ შემოერტყმები თვით შენი პიროვნებით, აგნი!

„საკვირველებანი ვაისვანარასი, მხოლოო მხედი (აგნი); მან გადმოაფრქვია მაღალი (პოემა). თვით თავისი რუდუნებით; იგი ადიდებს თავის მშობელ ღმერთებს, ცასა და ხმელეთს მდიდარი თესლით. აგნი იშვა“. (რგვედა, 3, 3). 16ა. გვ. 14.

„ისინი არიან შვიდნი, რომელნი შებმულ არიან ერთ ბორბალიან ურემში; ერთი ცხენი, შვიდ სახელიანი, მას სწევს; ბორბალს, რომელზე შემსხდარნი არიან ყველანი ეს არსებანი, აქვს სამი ისარი: იგი დაზღვეულია დაცვეთისაგან და ძალადობისაგან.

[განმარტებანი: ისინი – მზე, ვით დროის სიმბოლო, გაორებული ვით წამყვანი, შვიდი ცხენით – შვიდი შუქი და ერთ ცხენი, სამი (ისარი) – სამგვარი დაბადება აგნისა (ელვა, მზე და ცეცხლი), ან სამი (ორმაგი) სეზონი].

„მე უბრალო სული; მე, რომელმან არ ვიცი; ვკითხულობ ფიქრით: სად არიან ღმერთთა დაფარულნი კვალნი? მხილველმა გადააფარა შვიდნი შვილნი ერთი წლის ხბოს, რათა სთვას.

[განმარტებანი: მსხვერპლი ჩვეულებრივი სახით საქსოვი ძაფისა; ხბოც არის მსხვერპლი, ან მზე, რომლისაგან წესნი შეწირვისა დამოკიდებულნი არიან.].

„არ გამეგება და ვეკითხები მხილველთ, რომელთაც გაეგებათ, რათა ვიცოდე მე, რომელმან არ ვიცი. იგი, ვინ აშორებს და ეხმარება ამ ექვს სივრცეს, რომელ არს იგი ერთი, რომლსაც აქვს სახე არა დაბადებულისა?

[განმარტება: ექვსი სივცე არის სამი ცა და სამი ხმელეთი].

„გვითხრას მან აქ, რომელმან უწყის სადგომი მალული ძვირფასი ფრინველისა! ზროხები იძლევიან თავიანთ რძეს თავით და ჩაცმულნი საბურავით, სვამენ წყალს ფეხებით“... (რგვედა, 1, 164). 16 ა. გვ. 21.

[განმარტებანი: ძვირფასი ფრინველი – მზე. ზროხანი – ღრუბელნი ასხამენ თავიანთ წვიმას – რძეს ზემოდან: თავიდან; მზე შთანთქავს ამ წვიმას თავისი ფეხებით, ანუ სხივებით. მთელი ეს სურათია: მზის ხატი, მზე მიწიურ ნოტიოს აიზიდავს და მერე ციდან წვიმა ჩამოაქცევს]. 24. გვ. 21.

4. ირანული მზე: ჰვარ

ძველ სპარსულ ენაზე (ფალაური) მზეს ერქვა „ხვარ“ და „ჰვარ“ (ზენდა-ში: ჰვარე, სანსკრიტული – სვარ (სურია)). 27.

პროფ. ცინნერის თქმით, ძველ ირანში მთავარ ღმერთებად ითვლებოდნენ: მზე, მთვარე და ვენუსი, და სირიუსი. ცეცხლი იყო მზის წარმომადგენელი და ორივე: მზე და ცეცხლი – სიმბოლო აჰურა-მაზდას ყოვლად შემძლებლობისა. აჰურა-მაზდა იყო კეთილისა და ნათელის შემქმნელი. უძველესი საკურთხეველი ცეცხლისა არსებობდა რადეს-ში. დიდი მეფე კიროსის დროს (გარდაიცვალა 529 წ. ქრისტეს წინ) ქალაქ პერსეპოლისში რამოდენიმე საცეცხლური ანუ ცეცხლის საკურთხეველი იყო. მზის დღეობაში მეფეს მიჰყავდა თეთრი ეტლი, რომელში გაბმული იყო ოთხი თეთრი ცხენი. ამ თეთრ ცხენებს ზეიმის შემდეგ მზეს მსხვერპლად შესწირავდნენ ხოლმე.

მზის სარწმუნოება მითრაიზმთან ერთად სპარსეთიდან შემდეგ გავრცელდა მთელს დასავლეთ აზიაში და რომის იმპერიაში.

მზის თაყვანება უარჰყო არტაქსერქსესმა (არტახშათრა – არდაშირ). და მის ნაცვლად შემოიღო სპარსეთში ვენუსის (იშტარ, ინაჰიტა) თაყვანება, მაგრამ მალე ისევ მზეს დაუბრუნდნენ. არდაშირ პირველი პაპანაკ (212–242), სასანიანთა დინასტიის დამაარსებელი ზოროასტრის მტკიცე მიმდევარი იყო და ამნაირად, ამ სამეფო გვარის ბატონობის ხანა მზის ბატონობის ხანაც არისო, – დაასკვნის პროფ. ცინნერ. 28

მაგრამ ასეთ განმარტებას შესწორება მაინც სჭირდება, რადგან პროფ. ცინნერი მზის მნიშვნელობას სპარსულ რელიგიაში აჭარბებს. ფონ ვეზენდონკი ამ საკითხს დაწვრილებით ეხება და მზის მნიშვნელობას სათანადოდ არკვევს. 29.

***

ზარათუშტრას რელიგიაში აჰურა-მაზდა, ანუ ნათელი, თეთრი უფალი არის სულიერ მხარეში მყოფი ციური არსება, რომელიც თავის ძალთა მეოხებით ნივთიერ ქვეყანაში ერევა და მოქმედებს. შვიდ-კარიან გალობაში: „იასნა“ აჰურა-მაზდა უკვე კეთილი ღმერთია. იასნა (გალობა) 36-ში აჰურა-მაზდა არის ნათელის გამოხატულება. აქედან განვითარდა ის შეხედულება, რომლის თანახმად აჰურა-მაზდა არის იმ ქვეყნიური ანუ ციური ღმერთი მზე და ამ ქვეყნიური, ანუ დედამიწის სინათლე. აქ იწყება მზის (ჰვარ) გაღმერთება, რაც მაზდაიზმში დამკვიდრდა. აჰურა-მაზდა გარდაიქცა არა მარტო ნათელის არსებად, არამედ იგი გაადამიანდა კიდეც გახდა მამა და

ქმარი. და ახალ „ავესტა“-ში ცეცხლი შეიქმნა თეთრი უფალის, აჰურა-მაზდას შვილი (ისნა 38). ხოლო წყალი – მისი ქალიშვილი, მიწა კი – მისი მეუღლე; მას კიდევ ბევრი ცოლი ჰყავს და არის ძლიერი ბატონი. ამნაირად, აჰურა-მაზდას, ანუ მაზდაიზმის, მაზდეანობის სარწმუნოების შემდეგ განვითარებაში მაზდა არის ცის უფალი, ღმერთთა ღმერთი, რომლის სიმბოლო არის ფრთოსანი მზიური მრგვალი დაფა, აგრეთვე მეფის სიმბოლოც; ცეცხლი (სპენიშტთა – წმიდა ცეცხლი) მაზდეიზმში არის აჰურა-მაზდას წინაშე აბრიალებული ცეცხლი ცაში, და ამ ქვეყანაზე კი მისივე გამოხატულება და მიწიურ მეფეთა-მეფის ნიშანი.

ცის (ასან) გარდა, რომელი აჰურა-მაზდასთან გაიგივებულია – პირველ რიგში სდგას მზე და მთვარე. მზიური დაფა აჰურა-მაზდას გამოსახვაა. მზე (ჰვარ) დაკავშირებულია მეფესთან, რომელსაც აბრწყინვებს საიდუმლო ხვარენაჰ, ისე ვით აჰურა-მაზდას მითრას, ან ბაჰს, გიშტრიას და სხვა ვარსკვლავთ. ესაა დიდება, გლორია, შარავანდი (სამეფო გვირგვინი მსგავსად სხვითა, – როგორც ს. ს. ორბელიანი განმარტავს), ან მზის სხივის ძლიერება, გინა მეფეთ-მეფობა და (ს. ს. ორბ). ამგვარად მეფე არის ციური უფალის, აჰურა-მაზდას წარმომადგენელი.

მზე ცეცხლსა ჰგავს თავისი ბუნებით და ცეცხლი (და ოქროც) მზის გამოსახვაა. აქედანაა ცეცხლის სიწმიდის აღიარება.

ახალი „ავესტა“-ს მიხედვით მაზდეანობის კულტში ცეცხლს (ატრ) პირველი ადგილი უკავია და ირანულ სამეფოსთან მეფის ხვარენაჰსთანაა დაკავშირებული. ხვარენაჰ უკვე ბედნიერების ნიშანია. მზე–ჰვარ ახალ ავესტაში არის ხშაეტა, ანუ ბატონი, მფლობელი, მეფე ცისა და ღვთიური არსება. მასთან ერთად მთვარე (მაჰ), ცა (ასმან), მიწა (ზამ) არიან აგრეთვე ღვთიური არსებანი.

იმავე ახალი არესტას მიხედვით, მითრა დაკავშირებულია სინათლესთან, მზესთან. თავდაპირველად მითრა იყო მეომართა ღმერთი და პირობის სიმტკის დამცველი. იგი გახდა ირანის მეფისა და ირანის ქვეყანათა მფარველი. მითრა ანიჭებს მეფეს ხვარენაჰ-ს (შარავანდს) და ხშათრას (ხელისუფლებას, მფლობელობას). მითრა–მზე შეიქმნა „ბაგან“ ანუ „ბაღა“ ანუ ღმერთი.

პროფ კ. ჰარლეზის გამორკვევით, ზოროასტრიზმში, ანუ ზარათუშტრას რელიგიაში მზე ღმერთი არ არის, მაგრამ იგი დიდი პატივის ღირსია, ვითარცა მანათობელი. პატივ ეც მზესა, – ამბობს ერთი გალობა, – ვინაიდან, თუ იგი არ აღმოჰხდება, დედამიწა დარჩება სიბნელეში და ამის შედეგად დევები, დემონები, ეშმაკები მას დაეპატრონებიანო. ეს გალობა მზეს უკვდავს უწოდებს. გალობა 36-ის მეოთხე მუხლი, – ამბობს პროფ. კ. ჰარლეზ, – შეიძლება ისე განვიხილოთ, თითქო მზე იყო აჰურა-მაზდას ხილული სახე. გალობა 1,35 მზეს უწოდებს: აჰურა-მაზდას თვალი, შედარებისათვის; მზე არის სწრაფი მსრბოლი, მღვივე, განმაწმედელი მიწისა და გარყვნილ ნივთთა, თვით მძორთაც კი. 30.

5. ფარსული მზე

ზარათუშტრას სწავლის შემდეგი განვითარება მოცემულია წიგნში „ბუნდეჰეშ“, რომელიც ფარსთა რელიგიას საფუძვლად უძევს, ამ მოძღვრების თანახმად, დასაწყისში არსებობს მარადი არსი (ზვრანა აკერანა) – დაუსრულებელი დრო, რომელმა ორი უდიდესი ღვთიური არსი წარმოშვა; პირველი, ვინც მისი ერთგული დარჩა, არის აჰურა მაზდა, მეუფე ნათელისა; მეორე არის აჰრიმან (ანგრა მაინიუს), მეუფე ბნელეთისა. აჰურა მაზდა დაბინავდა ნათელის სამეფოში; ხოლო აჰრიმან – უსაზღვრო წყვდიადში. და მათ შორის მუდმივი ბრძოლაა. აჰურა მაზდამ შეჰქმნა უწინარეს ყოვლისა „ფრავაში“, წმიდა სულნი; სანამ იგი ნივთიერ ქვეყანას შეჰქმნიდა, მან წარმოქმნა სულიერი და უხილავი ქვეყანა, რომლის სურათია, ხატია ნივთიერი ქვეყანა, მაზდამ შეჰქმნა სამყარო, ცა და ხმელეთი, რომელს პირველი ემყარება. მან შეჰქმნა მზე, მთვარე და ვარსკვლავნი, რომელნი შემოქმედს ექვემდებარებიან. პირველად მან შეჰქმნა გმირი მარბენალი, რომელიც არასოდეს არა კვდება, – მზე, და დასახა იგი ნივთიერი მსოფლიოს მეუფედ და გამგედ. ალბორჯის მთიდან იგი თავის სრბოლას იწყებს, აკეთებს წრეს ცის უმაღლეს მხარეში და საღამოს ბრუნდება ისევ უკან. მაზდამ შეჰქმნა მერმე მთვარე, რომელიც თავისი საკუთარი ნათელით ნათობს. იგი გამოდის ალბორჯის მთიდან, აკეთებს წრეს ცის ქვემო მხარეში და ბრუნდება ისევ უკან. მერმე შეჰქმნა მან ხუთი მომცრო მნათობი, და უძრავ ვარსკვლავთა მთელი მხედრობა, ცათა უმდაბლეს მხარეში...

მანძილი ხმელეთიდან ცათა უუმაღლეს სამყარომდე გაყოფილია სამ მხარედ: 1. მხარე მზისა, 2. მთვარისა და 3. ვარსკვლავთა. ეს უკანასკნელნი არიან უბრალო მეომარნი აჰრიმანთან ომში. ეს ლაშქარი ოთხ რაზმს წარმოადგენს და თითოულს თავისი სარდალი ჰყავს. თორმეტი რაზმი დაჯგუფულია თორმეტ ზოდიაკოდ. ყველა ეს დაწყობილია ოთხ დიდ დივიზიად აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით. მნათობი იუპიტერი აღმოსავლეთში სარდლობს და იგია თავადი ვარსკვლავთა. სატურნუსს ეკუთვნის დასავლეთის დივიზია; მერკურიუსს – სამხრეთის; მარს – ჩრდილოეთის; ხოლო ცათა შუაში არის ვენუსი, რომელიც მთელს ამ ლაშქარს ხელმძღვანელობს წყვდიადის ღმერთის აჰრიმანის წინააღმდეგ, რომელმაც თავისი ბნელი ძალები ციურ ძალებს დაუპირისპირა... და სხვ. 31.

დასაწყისზე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მესამე

მზის თაყვანება ეგვიპტეში

1. ეგვიპტური მზე: ჰორუს
2. ეგვიპტურნი მზე–ღმერთნი
3. ამენჰოტეპის გალობა
4. მზე – ხეპრა
5. მზის სიკვდილი და აღდგომა
6. ღამის ცა

1. ეგვიპტური მეზე: ჰორუს

ეგვიპტის პირველი სამი დინასტიის ხანაში (სულ 31 დინასტიიდან, დაახლოებით ხუთი ათასი წელი), რომელიც ზემო ეგვიპტეში მეფობდა, ღმერთთა შორის პირველ ადგილზეა მზე–ღმერთი „ჰორუს“, ვითარცა ქვეყანის მფარველი და დამცველი. ეგვიპტის მეფის, ანუ ფარაოს სახელიც იყო – ჰორუს, როცა ეგვიპტის სატახტო ქალაქად ჰელიოპოლისი (ბერძნულად – მზის ქალაქი) გახდა, სამეფო ტახტი აქ ადგილობრივ მზე–ღმერთს (რომელს ერქვა „რე“) დაუკავშირდა და ამას შემდეგ მეფეს ეწოდებოდა შვილი „რე“-სი

ეგვიპტის შუა ხანის სახელმწიფოში (დაახლოებით ოთხი ათასი წლის წინად) ღმერთთა გაერთიანების ამბავი იწყება და იმ დროს არის წარმოშობილი მზე–ღმერთი „ამონ –რე“ ქალაქ თებენ-ისა. ამ თებენის დინასტიამ მზის კულტი გაავრცელა მთელს ეგვიპტეში. ფარაო ამენოფის მეოთხემ (ამენჰოტეპ, ამენოთეს, დაახლოებით 1380 წლებში, მეთვრამეტე დინასტიიდან) სცადა ერთად ერთ ღმერთად ერთი მზე დამკვიდრებულიყო და საამისო კანონებიც გამოაცხადა. ამ ფარაოს ეწოდა „ეხ–ენ–ატონ“ (ახნა-ტონ), – სული მზისა. მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ ეს მისი მონოთეისტური, ან ერთღმერთიანობის ცდა მოიშალა და ეგვიპტეში ისევ მრავალი ნაირი ადგილობრივი მზე–ღმერთი დარჩა.

ეგვიპტის სახელმწიფოს გვიან ხანაში წინ გამოდის მზე–ღმერთი „რე–ახტ“, და ბოლოს მზის თაყვანება გადადის „ოზირის“-ის ოჯახის კულტში. ამგვარად, მზე ეგვიპტური რელიგიის შუაგულშია მოქცეული და ეგვიპტის მზე–ღმერთთა სახელნი შემდეგნი არიან:

2. ეგვიპტურნი მზე დღმერთნი

1. რე – არ არის მზე–ღმერთის სახელი, არამედ სახელია მზისა, ვით მნათობისა, ოღონდ ზოგ ადგილზე იგი „რე“ ღმერთად ითვლებოდა.

2. ამონ–რე. ეს სახელი შესდგება თებენის ღმერთის სახელისაგან „ამონ“ – შემოქმედი და შემქმნელი ღმერთი, და სახელისაგან „რე“– მზე. იგია ღმერთთა მეფე და ქვეყნიერების მეუფე.

3. ამონ–რე-ს უერთებენ კიდევ „ჰარახტე“-ს. ჰარახტე არის ჰორუსის მეორე სახე – დილის, ან შუადღის მზე–ღმერთი. და ამნაირად მოცემულია მზე–ღმერთი: „ამონრეჰარახტა“.

4. ამონრეხარახტეატუა. გაერთიანებული ღმერთი – ამონ, რე, ჰარახტე და ატუა – მსოფლიო უფალი.

5. ჰორუსი. იგია მზე–ღმერთი, შვილი ოზირის-ისა და ოზისი–სა, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ ტახტზე აბრძანდა. იგია მეუფე ცოცხალთა.

6. ჰორ–ბეჰედტი, ანუ ჰორუსი ედფუ-დან, ზემო-ეგვიპტის ქალაქ ედფუს მზე–ღმერთი.

7. ჰარახტე. ჰორუსის მეორე სახეობა, შუადღის, ხან დილის მზე.

8. რა–ჰარახტე, ორმაგი სახელი, რომელიც მზე–შავარდენს ერქვა. იგი გაუერთიანეს ატუმს.

9. ატუმ (ატუმონ, ატმუ, ტუმუ, ტმონ, ტუმ) – ღმერთი მზე ჰელიოპოლისში, მეფე და მამა ღმერთთა, მსოფლიო უფალი.

10. ეტეუმ–რე–ჰარახტე. ღმერთთა მეფე და მსოფლიო ბატონი. იგია აგრეთვე საღამოს მზე.

11. ხეპრა (ხეპერა, ხოპრი, ხეპრერ, ხოპირონ). სახელი „ხეპრა“ ნიშნავს – აღმდგარი. მზე – ხეპრა არის მზე ღმერთის პირველი აღდგომა. იგი არის შემოქმედი. იგი ზის ნავში და ისე უვლის მსოფლიოს გარეშემო. მზე ღმერთთა შორის ხეპრა არის საღამოს და ღამის მზე, რომელი ქვესკნკლში, ქვენაარში მკვდართა შორის გაივლის.

12. ატონ. მხოლოო ერთად ერთი ღმერთი მზე, ბუნების ძალთა გამოსახება.

***

ამენჰოტეპ მეოთხე (1375 – 1358) იყო ის პირველი ფარაონი, რომლის მამაცური ცდა იყო უმაღლესი მონოთეიზმის, ანუ ერთღმერთიანობის დამყარება – მზე უნდა გამხდარიყო მხოლოო ღმერთი, მზე, რომელსაც ფარაომ ძველი ღვთიური სახელი დაარქვა: „ატონ“, და თავის სახელად მიიღო: იხნატონ, ანუ სული ატონისა. ამ ფარაომ მიატოვა ძველი სატახტო ქალაქი თებეს და დააფუძნა ახალი დედაქალაქი ახეტატონ (კიდე, ჰორიზონტი ატონისა), სადაც მან მზისადმი მიძღვნილი სამი ტაძარი ააგო, და სხვა ქალაქებიც გაამდიდრა მზის სალოცავებით.

რასაკვირველია, მზის მხოლო ღმერთად გამოცხადებამ სხვა ღმერთთა მსახურთა შორის და თვით ხალხშიც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ აჯანყებამდე საქმე არ მისულა. სხვა ღმერთთა მსახურნი ამ მონოთეისტური რელიგიის დამაარსებელ ფარაოს ებრძოდნენ, მაგრამ სანამ იგი ცოცხალი იყო, მზის უპირატესობა ბატონობდა; მისი სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი უფროსი ასული, რომელიც მალე შესცვალა ერთმა სიძემ, ტუტენხატონ-მა (ატონის ცხოველის სახე); ამ უკანასკნელმა სატახტო ქალაქი ისევ თებესში გადაიტანა და თავისი სახელიც გამოიცვალა; ამას მოჰყვა შეტრიალება, და მზესთან ერთად, სხვა ღმერთთებიც აღადგინეს. 32.

ეს დიდი ფარაო დიდი პოეტიც იყო და მისი ზოგი ნაწერი დარჩენილია. აი ერთი ნიმუში ამენჰოტეპის გალობისა მზისადმი –

3. ამენჰოტების გალობა.

შენ მოსჩანხარ შვენებად ცის ტატნობზე,

შენ, ცოცხალო მზეო, რომელი უწინარეს იყავ ცოცხალ

შენ აღმოჰხდები აღმოსავლეთის კიდეზე და აღავსებ ქვეყანას შენი შვენებით

შენ ხარ შვენიერი და დიდი, მოზიმზიმე და უზენაესი მიწიდან

შუქნი შენნი ეხვევიან ქვეყნებს, რომელი შენ შეჰქმენ

დაჰხდები ძირს დასავლეთის კიდეზე და მიწა ხდება ბნელი, თითქო მკვდარ იყოს

მათ სძინავთ თავიანთ საკანში, დახურული თავებით

ცხვირნი მათნი დახურულნი არიან და ვერც ერთი თვალი მეორეს ვერა სჭვრეტს

გამოგაცლიან თავქვეშ ქონებას და ვერაფერს გაიგებ

თითოული ლომი გამოდის თავისი ბუნაგიდან, და ყველა ქვეწარმავალი იკბინება

მიწა სდუმს – ის, რომელმან იგი შეჰქმნა, განისვენებს თავის კიდეში

ადრე დილით ამოხვალ კიდეზე და ანათებ ვით მზე დღით

ბნელი და მწუხრი გარბის, ოდეს შენ შუქთ მოაფრქვევ

ეგვიპტის მკვიდრნი ლხინობენ

იღვიძებენ და დგებიან ფეხზე, როცა შენ მათ ააყენებ

ისინი იბანებენ და სამოსელს ხელს სტაცებენ

აღაპყრობენ ხელებს რათა გადიდონ შენ

მთელი ქვეყანა თავის საქმეს ეწევა

ყველა ოთხფეხი კმაყოფილია თავის საძოვარზე

ხენი და მწვანილნი მწვანდებიან

ფრინველნი ფრთხიალებენ თავიანთ ბუდეში და

აღიმაღლებენ ფრთებს, რათა გადიდონ შენ

ყველა ცხოველი კუნტრუშებს

რაც ფარფატებს და ფრენს, ცოცხლობს რაჟამს მათთვის ამოხვალ

ნავნი ადიან და ჩადიან მდინარეზე და ყველა გზა ღიაა რამეთუ ამოხვალ შენ

თევზნი წყალში ხტიან წინაშე სახისა შენისა

შუქნი შენნი ერჭობიან მზის სიღრმეში

შენა ხარ, რომელი ჰქმნი დროთა დანაწილებას,

რათა შექმნილნი დაიცვა

ზამთარს, რათა ისინი განაგრილო

სიცხეს, რათა მათ გიგემონ შენ

შენ ჰქმნი შორეულ ცას, რამეთუ განაშუქო იგი,

რათა შექმნილი ყოველი შენი იხილო

შენ ჰქმნი მიწას მათთვის, რომელნი შობილ არიან მხოლოდ შენგან

დედაქალაქნი, ქალაქნი, ტომნი, გზანი და მდინარენი...

4. მზე დ ხეპრა.

ქვესკნელში მზის ღამით მგზავრობის შესახებ არა ერთი და ორი თქმულება არსებობს. 22.

ეგვიპტელთა რწმენით, მზე დილით ამოდის აღმოსავლეთით, გადაივლის ცაზე, ჩადის დასავლეთით და დასავლეთით ჩასული მზე დედამიწას უვლის ქვესკნელის ქვემოდან, და ისევ აღმოსავლეთით ამოდის. და ასე მარად. დედამიწის ქვეშ, ანუ ქვესკნელში არსებობს სხვა ქვეყანა, რომელიც მკვდრებს ეკუთვნის, – იქ არის გარდაცვალებულთა სამეფო, მკვდართა სამყოფელი. როგორც კი მზე–ხეპრა, რომელიც დღით ცაზე სვლას ასრულებს და დასავლეთით ჩადის, იგი ჩაბრძანდება ამ მკვდართა ქვეყანაში და მისცურავს იქ. ამ დროს ყოველი მხარიდან აღსდგებიან მკვდარნი, აღაპყრობენ ხელებს მზისაკენ, მას ქება-დიდებას შესძახიან და უგალობენ. ღმერთი მზე–ხეპრა ისმენს მკვდართა ვედრებას, მკვდარნი მას სიცოცხლეს სთხოვენ კუბოებიდან და ვით მოწყალე იგი, მზე–ხეპრა მათ აძლევს სუნთქვას ცხვირიდან.

ამას გარდა განსაკუთრებული ლოცვა გარდაცვალებულთ შეაძლებინებს რათა მათნი სულნი ჩავიდენ და ჩასხდნენ მზე ღმერთის ნავში და მასთან

ერთად გაემგზავრონ დღიური ქვეყნისაკენ. ამ ლოცვათა გარდა, ჭირისუფალნი მკვდართ გაატანდნენ ხოლმე აგრეთვე მზის გამოქანდაკებას სხვა და სხვა სახით. ამ ქანდაკებათა და ლოცვათა შემწეობით მკვდართა სულთ შეეძლოთ მზეს თან გაჰყოლოდენ ნავში და ამგვარად, დღის მზესთან ერთად ევლოთ. 33.

5. მზის სიკვდილი და აღდგომა

მზის სიკვდილი, – ამბობს აკად. რენე ბერთელო, – შემდეგ აღდგომა მზისა, ისე ვით ყოველ წლიური სიკვდილი და აღდგომა ხორბალისა, გარდაიქცა კაცის სიკვდილისა და აღდგომის სიმბოლოდ. ეგვიპტეში, ოზრისის სიკვდილი და აღდგომა დაუკავშირეს მზის სიკვდილსა და აღდგომას, და ამგვარად, ამ სარწმუნოების წევრი თვით ოზირისს დაუკავშირდა და ამით თვით მზეს შეუდგა. ამგვარად ეს ეგვიპტური რელიგია, სასოფლო სამეურნეო წესის სარწმუნოება ოზირისისა მზის კულტს გადაებაო. 34.

6. ღამის ცა

ეგვიპტურ მზის სარწმუნოებაში მზის ცხოვრება კაცის ცხოვრების მსგავსად იყო წარმოდგენილი. ცის ღმერთი დედა ყოველ დღიურად შობს მზეს, ვით დედაკაცი ბავშვს. როგორც ადამიანი უნდა მოკვდეს ასევე უნდა მოკვდეს მზეც, მაგრამ იგი კვდება ყოველ დღიურად. მზე ჩადის ოზირისის სამეფოში, იქ სადაც სიკვდილი სუფევს. დიდი გაჭირვებული მგზავრობის შემდეგ, რომელიც 12 საათი გრძელდება (ღამით), ახალი მზე ღმერთი დილით გამოდის ქვესკნელიდან თავისი ნავით, ხოლო სიკვდილის მიერ შეპყრობილი მისი ტანი, ანუ მისი მუმია ქვესკნელში რჩება. ეს რწმენა ეგვიპტელთა დამყარებულია იმ ფიქრზე, რომ დღის ცას შეეტყვისება ღამის ცა, ანუ არსებობს დღის ცა და მისი მსგავსი ცა ღამისა, ქვესკნელის ცა. 35.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მეოთხე

მზის თაყვანება ევროპაში

1. ელინური მზე: ჰელიოს

2. რომაული მზე: სოლ
3. მითრაული მზე

4. ჰერმეს ტრისმეგისტოსის მზე

5. მზე წარმართულ გნოსტიციზმში

6. მანდაიაური მზე

7. მზე – მარადი

1. ელინური მზე: ჰელიოს

მზის თაყვანებას ვხვდებით ევროპის ყველა პირველად რელიგიაში, და ამის გამო იყო, რომ მაქს მუელლერის სკოლა შეეცადა: ბერძნული მითოლოგიისა და ყველა რელიგიის წარმოშობა აქედან აეხსნაო, –ამბობს კაენ. 36.

თვით მარტო სიტყვა "ჰელიოს" (მზე) ძველი ბერძენისათვის ერთსა და იმავე დროს ნიშნავს გაგების ერთიანობას, რომელიც ჩვენთვის ძნელი მისახვედრია. ნიშნავს ვარსკვლავს, ძალას, რომლის აშკარად გრძნობადი გამოხატულება იგი არის; და ამასთანავე იგია ძალის განპიროვნებაო. უუძველესი ხანიდან საბერძნეთში დარჩენილნი არიან მზის გამოხატულებანი: ეტლნი, დისკონი, დაფანი, ჯვარნი კუთხურნი (სვასტიკა), ცხენნი, მზის ნავნი და სხვა ძეგლნი, რომელნი გვიმტკიცებენ რომ უძველეს საბერძნეთში მზის თაყვანება არსებობდა (სიროსის ძეგლები, მიკენო–კრეტოსული ხელოვნება და სხვ.). პლატონი გადმოგვცემს იმ ჩვეულებათა შესახებ, რომელნი მზის სარწმუნოებასთან იყვნენ დაკავშირებულნი – რიჟრაჟისა და მწუხრის ლოცვა მზის ამოსვლისა და ჩასვლის დროს, მაგრამ ეს მის დროს იყო მხოლოდ გამოძახილი და გადმონაშთი ძველი ხანიდან. მზის ღვთაებრივობა ჰომეროსისა და კლასიკურ ხანაში უკვე აღარ არსებობდა. ამ მოვლენის მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ მზე შეიფლო, გაიერთიანა აპოლლო – სმა (აპოლონმა), მზე განპიროვნდა აპოლლოსში. 35. გვ. 1357. და ეს მოხდა ადრე, რადგან ჰომეროსსა და ჰეზიოდს ამის შესახებ ცნობები არ მოეპოვებათო. ორფეოსულ თეოლოგიაში მოხდა მზისა და აპოლოსის გაერთიანება და ამგვარად აპოლოსმა მზე– ღმერთი ჩრდილში დააყენაო. 36.

***

მზე არის შემოქმედი – მზის შუქთა შეხვედრამ ნოტიო მიწასთან წარმოშვა პირველი ცოცხალი არსება, – იგია მსოფლიოს ერთი ელემენტი – ცეცხლი, მზე და მიწა (ჰელიოს და გე) არიან მშობლები, ყოველი არსის დასაბამი. სოფოკლეს (496 – 406) მზეს პირველ ღმერთს უწოდებს, მაგრამ ამის მიუხედავად ძველ საბერძნეთში მზის სარწმუნოება მცირედ იყო გავრცელებული.

ბერძენთა ძველი ღმერთები იყვნენ ადამიანთა თანამებრძოლნი და მათთან საერთოდ ერთგვარ ურთიერთობაში. მზეს არ შეუძლია ჩამოვიდეს, ცა მიატოვოს და ბრძოლაში და ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღოს. მას არ შეუძლია ჩამობრძანდეს და ტაძარში დადგეს. მზე ვერ დაიკავებს პირად დამოკიდებულებას ვინმესთან. ამიტომ მზე ვით თაყვანების არსება დანარჩენ ღმერთებზე უკან იდგა. მართალია, მზეს ჰქონდა საკუთარნი სამლოცველონი და ტაძარნი, განსაკუთრებით პელოპონესში და როდოს-ზე, მაგრამ მზის თაყვანება მაინც ნაკლებ იყო აღიარებული. არისტოფანეს და ლუკიან მოწმობენ. ბარბაროსები (სხვა ხალხები) მზეს უფრო მეტს პატივსა სცემდნენ, ვიდრე ელლინები (ბერძნებიო).

მზე ღმერთის თვისებანი ბერძნებმა გადაიტანეს სხვა ღმერთებზე. აპოლლო (აპოლონის) საკითხი დღესაც სადავოა: ზოგნი სთვლიან მას მზე ღმერთად. ამგვარადვე დიონოსიოსის შესახებაც. დანარჩენ ღმერთებსაც არ აკლიათ მზისგან მითვისებულნი ღირსებანი.

ბერძნებს მზე წარმოდგენილი ჰქონდათ თვალად. იგი იყო თვალი იმ ღმერთისა, რომელიც ცის უზენაეს ღმერთად დაესახათ. მაგალითად: თვალი ზევესისა, თვალი სარაპისისა, თვალი ჰორუსისა და სხვ. 37.

***

მარჩენალი და სამართლიანი, ყოვლის მხედველი, ყოვლის მცოდნე, უფალი დროთა –მზე საბერძნეთში კლასიკური ხანიდან და განსაკუთრებით ორფეოსული სწავლის გავლენით, – როგორც ამბობს აკადემიკოსი ფრანს კიუმონ, – გახდა ყოვლად შემძლე ღმერთი: სიცოცხლისა და მაცხოვარობისა; მზე დიდი ღმერთია, მაცხოვარი და განმათავისუფლებელი, კეთილმოქმედი და სახიერი...
შემდეგ ხანაში უკვე ჰელენისტურ დროში, მზის მსოფლიური ხასიათი განმტკიცდა: რელიგიური სინკრეტიზმის, ანუ შეზავების წყალობით, მზე გარდაიქცა აპოლოდ და სხვა დიდ ღმერთთა სახელიც მიიღო მან; მზე ზევესიც გახდა. სტოელთა ფილოსოფიაში და ნეოპლატონიზმში მან ღმერთის ღირსება მიიღო და გახდა დემიურგოსი, მსოფლიოს შემოქმედი (კოსმო კრატორ); არის საბუთები იმის საჩვენებლად, რომ მზეზე ასეთი შეხედულება არა მარტო ფილოსოფიურ მიმართულებებს, არამედ უბრალო ხალხსაც ჰქონდაო.[38]

პირველი ნიშანი ღმერთი –ძისა არის მის ვარსკვლაურ ბუნებაშიო, –ამბობს ა. ოდენ. მაკრობიუსის თქმით, ღმერთი დიონოსის, ან მისი თანატოლი ლიბერ, მზის განპიროვნებაა.[39]
ქრისტიანობის ხანაშიც მზეს საბერძნეთშიც პატივი არ მოჰკლებია. და საერთოდ, ქრისტიანობის გაბატონების მიუხედავად, ბიზანტიაში ხალხი ჯერ კიდევ დიონისიოს, ბაკხოსისა და პანის კულტს მისდევდა; რთველის დროს დიონისიოს დღესასწაულობდა; ახალ მთვარეზე სახლებსა და ქუჩებს ანათებდნენ; და მზის თაყვანებიდან დარჩენილი იყო აგრეთვე ჩვეულება მზეზე გადახტომისა (ქართული ჭიაკოკონა!). ეს იყო მეშვიდე საუკუნეშიც. მაგრამ 629 წელს საეკლესიო ყრილობამ ყველა ეს ძველი წესი აკრძალა, ოღონდ მათ მეცხრე საუკუნეშიც ვხვდებით და ალბათ მერმეც გრძელდებოდაო –ამბობს პროფ. კარლ როთ.[40]

2. რომაული მზე: სოლ

ძველთა ძველი გადმოცემით, თითქო მზე და მთვარე რომაელთა უუძველეს ღმერთებს ეკუთვნიან; თითქო ისინი საბინელთა ღმერთები იყვნენო, როგორც ამბობს ვარრო, მაგრამ ეს ამბავი სწორად არ ითვლება და მზე ღმერთის იტალიაში წარმოშობას ბერძნულ გავლენას მიაწერენ.
„სოლ“ არის მზე, მზე ღმერთი რომაელთა. მისი ტაძარი იყო ორი: ცირკუს მაქსიმუმ-ში და კვირინალ-ზე. რომაული მზე ღმერთი გაიგივებული იყო ბერძნულ ჰელიოს და აპოლლოსთან.
კეისარ აურელიუსის მიერ ქრისტეს შემ. 274 წელს შემოღებული მზის თაყვანება რომში, პალმირის მეფე-ქალის ზენიობაზე გამარჯვების შემდეგ, იყო ღმერთ მალაჰ-ბელის სარწმუნოება, რომელიც ძველადაც გავრცელებული იყო. კერძოდ. ამ დროს ეკუთვნის მრავალი წარწერა რომაულ ფულებზე. 41.
მზის ნამდვილი ღმერთობა დაიწყო რომში აღმოსავლურ (ორიენტალურ) სარწმუნოებასთან ერთად, განსაკუთრებით მითრაიზმთან დაკავშირებით. რომაული მზე ღმერთის სახელწოდებაც გვიჩვენებს მისი წარმოშობის სამშობლოსაც –
1. სოლ აეტერმუს (სირიული მზე ღმერთი).
2. სოლ დივინუს (სირიული მზე ღმერთი).
3. სოლ ჰიერობულუს (პალმირის მზე ღმერთი: იარობულოს).
4. სოლ ინვიკტუს (სირიული ბაალ) და სხვა.
ეს უკანასკნელი მზე ღმერთი დამკვიდრდა რომში კეისარ ალაგაბალ-ის წყალობით და მას ერქვა – ინვიკტუს სოლ ალაგაბალ.
5. სოლ ინვიკტუს მითრას (სპარსული).
6. სოლ მალახბერლს (ქალაქ პალმირას მზე –ღმერთი), ანუ: სოლ სანკტისიმუს. 42.

იმ ღმერთთა შორის, რომელთაც რომში უპირატესობა დაიმტკიცეს, როგორც ვთქვი, რამოდენიმე სირიული სახელისა იყო:

1. იუპიტერ დოლიხემუს,

2. იუპიტერ ჰელიოპოლიტანუს. (ბაალბეკ),

3. სოლ ინვიკტუს, პალმირელი,

4. დეუს სოლ ელაგაბალუს, ემესელი (ჰუმს.)

იუპიტერნი იყვნენ ცის ღმერთნი და უფრო ხშირად მზე ღმერთნი. ხოლო სოლ ინვიკტუს არის მზე მძლეთა, მძლე დაუმარცხებელი; და სოლ ელაგაბალუს არის მზე ალაგაბალისა.
იუპიტერ დოლიხემუს-მა ადგილი დაიკავა პირველად რომაულ ლაშქარში და იმპერატორ კომოდუს-მა (180 – 192) და სევერუს-მა (193 –211) მისი კულტი რომში განამტკიცეს. იმპერატორ სეპტიმუს სევერუს-მა ცოლად მიიყვანა ელაგაბალის მღვდელის ასული, დააწესა დეუს სოლ (ღმერთი მზისა) ელაგაბალუსის კულტი. კარაკალლამ (211 –217) განაგრძო ეს საქმე, ხოლო მისმა ბიძაშვილმა და ნაშვილებმა, იმპერატორმა ელაგაბალუსმა, (რომლის ნამდვილი სახელი იყო: მარკუს აურელიუს ანტონიუს), რომელიც ამ სირიელი ღმერთის მზეს მღვდელი იყო, და შემდეგ მისმა ბიძაშვილმა სევერუს ალექსანდრემ მზე ღმერთის კულტს ოფიციალური უპირატესობა და გამარჯვება დაუმკვიდრეს. სევერუს ალექსანდრემ (222 – 235) დეუს სოლ ალაგაბალუს თავის პატრონად და მფარველად გამოაცხადა (სოლ კონსერვატორ ავგუსტი) და რომის იმპერიის მთავარ ღმერთად გადააქცია (დომინუს იმპერი რომანი).
მზისადმი მიძღვნილი ტაძარი კამპუს აგრიპპაე-ზე დღესასწაულობდა 25 დეკემბერს, დაუმარცხებელი მზის დაბადების დღეს, (ნატალის ინვიკტის). ბოლო ერთი საუკუნის შემდეგ დამარცხებელი მზის დაბადების დღეს (ნატალის სტეს დაუთმო და 25 დეკემბერი ქრისტეშობის თვედ გადაიქცა. სოლ ვერუს, სოლ ნოვუს ნოსტერ, როგორც პირველ სახელს – წმიდა კიპრიანე და მეორეს – წმიდა ამბროსი მას უწოდებს. 43.
ამას გარდა რომში შემოიღეს დღეობანი, უქმობანი მზისა, რომელთ ერქვათ „ნეონენიუმ“, განახლება თვისა, ანუ ახალი წელიწადი. ეს დღე სასწაული იწყებოდა 25 დეკემბერს ცირკში მზის საპატივცემოდ. ეს იყო – მძლეთა მძლე სოლ ინვიკტუს. ეს დღეობანი დააწესა აურელიუსმა 274 წელს.
მზე მნათობთა შორის აწესრიგებს ცაზე თანხმოვანებას, აღდგენს ჰარმონიას; ასევე მონარქი, იმპერატორი დედამიწაზე, რომელსაც იგი მართავს. ამიტომ იყო მზის კულტი რომაელი იმპერატორებისათვის ასე სათაყვანებელი. 44.

3. მითრაული მზე

მზის სარწმუნოებასთან დაკავშირებით, რომელიც თითქმის მთელ მსოფლიოში, და განსაკუთრებით წინა აზიაში და რომის იმპერიაში ძალიან იყო გავრცელებული ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, უნდა გავიხსენოთ მითრას წარმოშობის ამბავი.
მეხუთე ათასეულ წლებში, ძველი ინდოეთის, „ვედთა,“ ანუ საღრმთო წიგნში მოიპოვება „მიტრა“-ს სახელი. „მიტრა“ იქ ნიშნავს მეგობარს და არის

ნათელისა და მზის ღმერთი. მაგრამ მიტრას სარწმუნოება სპარსეთში, ძველ ირანში განვითარდა.
თავიდანვე მითრაიზმი ვითარდებოდა ცალკე, მაზდეანობისაგან დამოუკიდებელად. მაზდეიზმის რელიგიაში აჰურა მაზდა იყო ცის უმაღლესი ღმერთი. შემდეგ მითრაიზმი და მაზდეიზმი ერთმანეთს შეერივნენ და ამ გაერთიანებულ-შეთხზულ რელიგიაშიც აჰურა მაზდა გახდა უმაღლესი ღმერთი, რომელს ქვეყნიერების მართვისათვის ჰყავდა თანაშემწედ ექვსი ამშასპანდი. მითრა მოათავსეს მხოლოდ ბუნების კეთილ ღმერთთა შორის, აჰურა მაზდას მიერ შექმნილ იაზატას-თა შორის. მაგრამ მითრას მნიშვნელობა თანდათან იზრდება. მითრა გადაიქცა მოლაშქრეთა მფარველად და იგი დაუკავშირეს „ვერათრანღა“-ს; ვით დამცველი სამართლიანობისა – სათნოების ღმერთს „სრაოშა“; სამართლიანობის ღმერთს – „რაშნუ“; პატიოსნების ღმერთს – „არშტ“; ვით ბედნიერების მომნიჭებელს დიდხანს მომართავდნენ ხოლმე სიმდიდრისა და უხვობის ღმერთთან ერთად: „პარენდი“. სრაოშა და აშნუ-ს თანხლებით მითრა იცავს მართალთა სულებს ეშმაკთა წინააღმდეგ და თავმჯდომარეობს სასამართლოს, რომელიც ნებას იძლევა გამართლებულმა სულმა საშიში ხიდი (ბეწვის ხიდი) „ინვატ“ გაიაროს და ზეცას აღვიდეს. აქედანაა წარმოშობილი ის რწმენა, რომ მითრას ცხონება შეუძლიაო.
მითრა გაიზარდა განდიდდა და მას მიმართავენ ახლა აჰურა მაზდასთან ერთად. ორივე ღმერთი: აჰურა მაზდა და მითრა ერთ წყვილს წარმოადგენენ, ვინაიდან ციური სინათლე და ნათელის მომფენი, მანათობელი ცა არის განუყრელი; აჰურა მაზდამ მითრა შეჰქმნაო, როგორც ყველაფერი სხვა. მაგრამ მითრა მან გადააქცია ისე დიდ და ძლიერად, როგორიც თვითონ არისო. აჰურა მაზდამ მითრა დანიშნა მთელი მსოფლიოს მმართველად და მეთვალყურედო. ბერძენი ისტორიკოსი პლუტარხოს (40 – 120) ასე ახასიათებს მითრას სარწმუნოებას –
ორომაზდეს (აჰურა მაზდას) ტახტია მარადულ სინათლეში, ზემოდ, მზეზე ზემოდ; ისე დაშორებული მზისაგან, ვით მზე დედამიწისაგან. ბოროტების ღმერთი აჰრიმან მართავს ქვესკნელის სიბნელეში, ქვენაარსსო. მითრას მათ შორის შუა ადგილი უკავიაო.
სპარსთა დიდი მეფენი მითრას განსაკუთრებით ეთაყვანებოდნენ და მას თავიანთ მფარველად სთვლიდნენ. მითრას მოუწოდებდნენ ისინი დაფიცების დროს, მართალი სიტყვის დასადასტურებელად. მითრას მიმართავდნენ ლაშქრობის დროს, ვინაიდან მითრა, ვით მზე, რომელიც ყოველთვის სიბნელეზე იმარჯვებს. მითრა, მათივე წარმოდგენით, მეფეებს ბრწყინვალებას, იდუმალ ელვარებას აძლევდა, რაც მაზდეიზმის მიხედვით, იყო მეფეთა წარმატების მუდმივი წყარო – ჰვარენა. ამიტომ მითრამ სამეფო წრეებში პირველი ადგილი დაიკავა
ძველ სპარსულ კალენდარში თითოული მეშვიდე თვე იყო წმიდა თვე მითრასადმი მიძღვნილი. და თითოული 16 დღე თვისა იყო მითრას წმიდა დღე. ამ დღეობებზე მეფეს ჰქონდა უპირატესობა მსხვერპლი მიეტანა და სარწმუნოებრივი როკვა (რელიგიური ცეკვა) შეესრულებინა. მითრაკანა,

ანუ მითრაობა დიდი ზეიმი იყო და მისი ნაშთი ახლანდელ მუსლიმანურ სპარსეთშიც არის დარჩენილი: დღეობა „მიჰრიგან“.

***

როდესაც სპარსელებმა 558 წელს (ქრისტეს წინ) ბაბილონის იმპერია დაიპყრეს, აქ სპარსული მითრაიზმი ბაბილონურ–ასირულ ვარსკვლავთ თაყვანებას, ანუ ასტროლატრიას შეერია. მითრა გახდა დაპყრობილ ხალხთათვის მზე ღმერთად, რომელსაც ამ ხალხთა შორის ეწოდებოდა: მარდუკ, შამაშ, ნაბუ და სხვ.

მითრაიზმში შეიჭრა ბაბილონურ ასტროლოგიასთან დაკავშირებით ასტრო ლატრია, ანუ ვარსკვლავთ თაყვანება, განსაკუთრებით მზის თაყვანება ანუ ჰელიო ლატრია (სოლელატრია).

შამაშ – მზე ბაბილონში, ისე ვით მითრა სპარსეთში, სამართლიანობის ღმერთი იყო. მითრაც და შამაშიც ორივე ამოდის აღმოსავლეთით, გადადის ცას ბრწყინვალე ეტლით. ისინი მოლაშქრეთ გამაჯვებას ანიჭებენ და დამცველნი არიან.

შემდეგ ალექსანდრე მაკედონელმა (356 – 323) დაიპყრო დასავლეთი აზია და ელლინთა განათლება გავრცელდა აქ. მითრაიზმისა და ბერძნულ და სხვა ადგილობრივ ღმერთთა შეხვედრა-შერევისაგან და გაერთიანებისაგან წარმოიშვა სინკრეტიზმი ანუ შეზავებული, შენათხზი ახალი რელიგია, ნათესაურ რელიგიათა გაერთიანება, და მითრაიზმა საბოლოოდ გარკვეული სახე მიიღო, რაც მაშინდელი რთული განათლებმის რთული ნაყოფი იყოო, როგორც ამბობს აკად. ფ. კიუმონ. – იქედან მითრას კულტი დიდი სისწრაფით მთელ რომის იმპერიას მოედო; რომის კეისრებმა ამ ახალ რელიგიას ყურადღება მიაქციეს და ვინაიდან ეს რელიგია კეისართა სახელმწიფო პოლიტიკისათვის და პირადი ძლიერება-სიმტკიცისათვის გამოსადეგი იყო, მას დახმარება აღმოუჩინეს და ბოლოს აღიარეს იგი კიდეც. კეისარი (ცეზარი) კომოდუს (180 –192) მითრას სარწმუნოების მოზიარე გახდა. 274 წელს კეისარმა აურელიანუს-მა მითრა აღიარა. 307 წელს დეოკლეტიანუს, გალერიუს და ლიციანუსმა თავიანთი დაზავებისა და შეხვედრის აღსანიშნავად მითრას ტაძარი აუგეს. მითრაიზმი ბრწყინვალედ იმარჯვებდა. მაგრამ მას გამწარებით ებრძოდა ქრისტიანობა, რომელმაც დაბოლოს დაამარცხა იგი.

325 წელს კონსტანტინე დიდმა აკრძალა მითრაიზმი და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. მაგრამ ამას მოჰყვა შემდეგ ერთი შეტრიალება, როდესაც იულიანუს ფლავიუს კლაუდიუს (332 – 364), რომელსაც ქრისტიანებმა განდგომილი, „აპოსტატა“ უწოდეს, განუდგა ქრისტიანობას და აღადგინა მითრას რელიგია, მაგრამ მის სიკვდილთან ერთად ქრისტიანობამ სამუდამოდ გაიმარჯვა. მაგრამ მაინც ქრისტიანობა ვერ განთავისუფლდა მითრაიზმისაგან, მრავალი მისი წესი შეითვისა და მასთან დაკავშირებით წარმოშობილმა მანიქეიზმმა კიდევ მრავალი საუკუნე იცოცხლა.

***

მითრაიზმის მოძღვრების თანახმად, – როგორც ამბობს ბელგიელი აკადემიკოსი ფრანს კიუმონ, მითრაიზმის ცნობილი მკვლევარი, რომლის გამოკვლევას ხშირად, და ამ საკითხშიაც, ვეყრდნობი და ვთარგმნი, – ღმერთთა შორის უმაღლესი შემომქმედი ცათა და ქვეყანისა არის უბოლოო დრო, დაუსრულებელი დრო – ღმერთი. იგია დაუსრულებელი, უჟამო ჟამისი ღმერთი, მარადიული (ზრვან აკარანა). მას უწოდებენ ამ სპარსულ სახელს გარდა: პაიონ, ანუ საეკულუმ, კრონოს ანუ სატურნუს. მაგრამ ეს სახელები მხოლოდ პირობითი და შემთხვევითი იყო, რადგან „დაუსრულებელი დრო“, მარადული ღმერთი, იყო გამოუთქმელი, უსახელო და უსქესო, უვნებო. იგი წარმოდგენილი იყო ვითარცა უჯმაჯური უცნაურობა, რომელსაც ჰქონდა ადამიანის გვამი, თავი – ლომისა; გვამზე – შემოკლაკნილი გველი. მას აქვს ხელში კვერთხი და ელვა, როგორც უზენაეს ღმერთს. მას აქვს ხელში გასაღები როგორც ცის მეუფეს, რომლის კარს იგი აღებს და ჰკეტავს. მას აქვს ფრთები და ეს არის მისი სვლის სისწრაფის ნიშანი, ხოლო გველი და კლაკნილი გზა, მზის გზა. ამ კაც-ლომის ტანზე ან ფეხებთან გამოხატულია ზოდიაკოთა ნიშნები, დროთა მარადულ წელთა მსვლელობის გამომხატველი. ეს უსახელო და უზენაესი ღმერთი ჰქმნის და ანადგურებს ყოველივეს, რომლისაგანაც ქვეყნიერება შესდგება და აერთიანებს თავის თავში ყველა ღმერთის ძალას, რომელსაც მხოლოდ ერთად ერთი იგი ბადებს. ეს არის „დაუსრულებელი დრო“, ღმერთი, „ზრვან აკარანა“.

***

სხვა ღმერთთა სახელი მრავალია, განსაკუთრებით ელინურ, ბერძნულ ღმერთთა. ეს მრავალი ღმერთი ძველ საბერძნეთში ცხოვრობდა ოლიმპოსის მთის მწვერვალზე და ტახტს მჯდომარე იუპიტერის გარშემო თავს იყრიდა. ამ ციურ ღმერთებს მოწინააღმდეგედ ჰყავს ღმერთთა-ღმერთი ქვესკნელისა, რომელს ჰქვია: აჰრიმან, და რომელიც „დაუსრულებელმა დრომ“ (ზვარ აკარანა), ისე ვით იუპიტერი, შეჰქმნა. აჰრიმან მეფობს ქვესკნელში და იგი, მისი დემონები, სატანები, ეშმაკები იბრძვიან, რათა კრონოსის მემკვიდრე ორმუზდი, ანუ იუპიტერი ტახტიდან ჩამოაგდონ. ეს ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის მუდმივია. – ასეთი არის მითრაიზმის თეოგონია, ანუ ღმერთის შესახები სწავლა.

***

მითრაიზმის კოსმოლოგია, ანუ სწავლა მსოფლიოს შექმნის შესახებ, ქადაგებდა: მთელი მსოფლიო არის სავსე ენერგიითო. ცეცხლი, რომელიც განპიროვნებული იყო „ვულკანი“-ს სახელით, არის უზენაესი ბუნებრივ ძალთა შორის – ყველა მის გამოსახულებას თაყვანსა სცემდნენ. მითრას ტაძარში უქრობელი ცეცხლი ენთო. ცეცხლი და წყალი წარმოდგენილი იყო ვით დაჲ და ძმა (დაძმა). ამიტომ თაყვანსა სცემდნენ ზღვასა და მდინარეებს და ტაძართან იყო წყარო, დაუსრულებადი დროის მსვლელობის

გამოსახულება. მიწასაც სათანადო ადგილი უკავია და იგი იყო „ტერრა მატერ“, ანუ დედა–მიწა – ღმერთი. და მასთან დაკავშირებით წელიწადის ოთხი დრო და ქარი. ამას გარდა გაღმერთებული იყო ჰაერი, ყოველი სიცოცხლის დებულება. ეს არის მითრაიზმის ფილოსოფია, რომლის მიხედვით გაღმერთებულია ოთხი კავშირი, ანუ ელემენტი, რომლისაგან ყოველი ნივთი და არსება შესდგება: ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი. სიცოცხლე არის ამ ოთხი კავშირის შეერთება და სიკვდილი კი – მათი დაშლა.

***

მითრას რელიგიის მიმდევარნი ლოცულობდნენ მზეზე, რომელი ყოველ დღიურად ოთხ ცხენიანი ეტლით გადაუვლის ცას და ოკეანეში ჩადის. აღმოსავლისას იგი მზე ანათებს და გარეკავს ბრწყინვალე შუქით სიბნელის შუქებს და მათ სიცოცხლეს უბრუნებს. ამიტომ თაყვანს სცემდნენ მზეს აგრეთვე სახელით: „ორიენს“ (აღმოსავლეთი).

***

როგორც ვთქვი, ირანული მაზდეიზმი შეერია ბაბილონურ-ასირულ, ქალდეურ ასტროლატრიას და ამ ნიადაგზე მითრაიზმში მნათობთა და ვარსკვლავთა თაყვანება დამკვიდრდა. ამ მოძღვრებათა მიხედვით, მნათობნი ღმერთები იყვნენ და თითოულ მნათობს თავისი დღე ჰქონდა განკუთვნილი, თავისი წმიდა ლითონი, თავისი საფეხური მასრულობისა(ინისიასიონ), ანუ მოძღვრების საიდუმლო სწავლის მიღწევისა.

მზეს ხან მითრად აღიარებდნენ. ხან მასთან აიგივებდნენ, ხან ცალკე იხსენიებდნენ. მითრაულ მისტერიებში ეს არის ორგვარი მზე: 1. ერთი ირანული, რომელიც სპარსული „ჰვარეს“ მემკვიდრეა და 2. მეორე – სემიტური, რომელიც ბაბილონური მზე არის: შამაშ, რომელთანაც მითრა გაიგივებული იყო. გაღმერთებული არის ყველა მნათობი, ყველა ზოდიაქო, ყველა ვარსკვლავი. მაგრამ მნათობებმა და ზოდიაკოებმა შეინარჩუენეს უპირველესი ადგილი, რადგანაც ასტროლოგიის თანახმად, მნათობნი და ზოდიაკონნი ადამიანის მომავალსა და საერთოდ, მოვლენებს განაგებენ.

მთავარი მოძღვრება, რომელიც ბაბილონმა მაზდეიზმში შეიტანა, არის ბედის წერის რწმენა, შეხედულება აუცილებელი, გარდაუვალი ბედის შესახებ, რომელიც ამ ქვეყნიურ მოვლენებს განაგებს და ვარსკვლავიანი ცის ბრუნვასთანაა გადაბმული. მაგრამ ბედი, რომელიც აუცილებელია და გარდაუვალი, შესუსტებული შეიქმნა იმ რწმენით, რომ ღმერთები მოწყალე არიან, და ისინი სასტიკ ბედს კაცს შეუცვლიან. თვით მნათობნიც კი მოწყალენი და შემბრალებელნი არიან. ვით ბაბილონურ-ასირულ-ქალდეურ რელიგიაში, ისე მითრაიზმშიც მნათობნი არიან ღვთიურნი

არსებანი, რომელნი ხან მხიარულნი, ხან მოწყენილნი, ხან მრისხანენი არიან და რომელთა გულის მოგება და დაწყნარება ლოცვითა და მსხვერპლის შეწირვით შეიძლებაო.

ძველად მითრა იყო სინათლის ღმერთი და ვინაიდან სინათლეს ჰაერი ატარებს, ამიტომ ეგონათ, მითრა არსებობს შუა ადგილზე ზესკნელსა და ქვესკნელს შორისო. როცა მითრა გადაიქცა შამაშ, მაშინ მას განუმტკიცდა სახელი „მესიტეს“ – შუამავალი, რადგან ქალდეური შეხედულებით შამაშ–მზეს მეოთხე ადგილი, შუა ადგილი უკავია მნათობთა შორის. მითრა გახდა მიუღწეველ და გამოუცნობ, უთქმელ ღმერთსა და კაცს შორის შუამავალი. ბაბილონური შამაშიც ასეთი იყო.

***

ბერძენი ფილოსოფოსები მზეს განიხილავდნენ ვითარცა უხილავი არსების წარმომადგენელს, როგორც მის ხატს, რომლის მიწვდომა მხოლოდ გონებით შეიძლებაო. ბერძნული ფილოსოფიის სწავლით არ იყო გამოწვეული, – ამბობს ფრ. კიუმონ, –მნათობთა თაყვანისცემა: იგი ეყრდნობოდა ქალდეურ მოძღვრებას, რომლის მიხედვით: მზე, რომელს მეოთხე ადგილი უჭირავს მნათობთა შორის, და მათ შუა ვით მეფე სდგას, რომელს მხლებელნი შემორტყმიან, არის მზე მეფე, ბასილეოს ჰელიოს, რომელი სხვა მნათობთა სვლას განსაზღვრავს; მზე – მხურვალე ბურთი, დანარჩენ მნათობთ გზებს უჩვენებს. მზე არის გული მსოფლიოსი – კარდია კოსმოვ, რომელი თავისი სითბოთი უუზარმაზარ სხეულთ აცოცხლებს. აქედან დასკვნა – მზე არის უმაღლესი ღმერთი მთელი მსოფლიოსი. და ვინაიდან ასტროლოგიის თვალსაზრისით, ყველა ფიზიკური და მორალური მოვლენა მნათობთა მოძრაობაზეა დამოკიდებული, ამიტომ ბუნებრივია, რომ მზე, რომელიც სხვა მნათობთა განაგებს, თვითონ იყოს მეუფე ბედისა და ბატონი მთელი ბუნებისა. ოღონდ ეს მოწესრიგებული მსოფლიო არ შეიძლება რომელიმე ბრმა ძალის მმართველობაში იყოს. როგორც შეგნებული სინათლე (ინტელიგენტური ნათელი) ისე უნდა ყოფილიყო მის მოთაყვანეთათვის: მმართველი მსოფლიო გონება – მენს მუნდი ეტ ტემპერაციო, და ლოღიკურად, აგრეთვე კაცის გონების შემქმნელი –როგორც განგვიმარტავს ფრ. კიუმონ.

***

მითრა არის დამხმარე ღმერთი; გულუხვი შემწე და საყუდელი კაცისათვის მისი გაჭირვების გზაზე. მითრა არის დამცველი სამართლიანობისა და სამართალისა; მფართელი სიწმიდისა და სასტიკი მებრძოლი ჯოჯოხეთურ ძალთა წინააღმდეგ. მარად ჭაბუკი და ძლიერი, იგი მათ შეუბრალებლად სდევნის და ყოველ ბრძოლას გებულობს. ამიტომ ჰქვია მას სპარსულად: საბარზეს, ბერძნულად – ანიკეტოს, ლათინურად –ინვიკტუს. ქართულად – მძლეთა მძლე, დაუმარცხებელი. საერთოდ იგი დაუმარცხებელია ვითარცა

ლაშქართა ღმერთი, რომელიც თავის ლაშქარს მუდამ ამარჯვებინებდა, ხოლო მორწმუნეთ ამაგრებდა და განამტკიცებდა.

სიცრუვეს იწვევენ ძალნი ბოროტნი, რომელთაც მითრა მარად ებრძვის, და ამგვარად მითრა თავის მორწმუნეთ ცოდვებისაგან იხსნის და მათ სააქაოსა და საიქიოს უზრუნველ ჰყოფს.

მითრას მიმდევრებს რწამდათ კაცთა სიცოცხლე საიქიოში, სასჯელი და ჯილდო საიქიოში; კეთილნი სულნი ადიან საიქიოს, ზეცად; ხოლო ბოროტნი სულნი მიდიანი ჯოჯოხეთს, ქვენაარში, ქვესკნელში. არის შვიდი ცა და თითოული ცა თითო მნათობს ეკუთვნის. მათ ცათა ზემოდ არის უძრავ ვარსკვლავთა ცა, სადაც კეთილნი სულნი მითრას მიჰყავს და იქ ისინი ნეტარებით განისვენებენ. იქ არის "ემპირეუმ."

სულის ამ უკვდავების მოძღვრებას, რასაკვირველია, თან ახლდა სწავლა ხორცის აღდგენისა, ანუ, აღდგომის შესახებ.

სიკეთესა და ბოროტს შურის ბრძოლა მუდმივია, მაგრამ როცა ამ ბრძოლისათვის დაწესებული ვადა გაივლის, ბოროტი ღმერთი ახრიმან ქვეყნის დასასრულის შესახებ განაცხადებს და იწყება უკანასკნელი შებმა კეთილსა და ბოროტს შორის. მითრა ჩამობრძანდება ქავეყანაზე; აღზდგებიან მკვდარნი და მთელი კაცობრიობა თავს მოიყრის ერთ ვეებერთელა ყრილობაში, სადაც სამართლის ღმერთი მითრა გაშინჯავს და გამიჯნავს კეთილთ ბოროტთაგან. მერმე დაჰკლავს იგი ღვთიურ კუროს ვით მსხვერპლს უკანასკნელს; მის ქონს შეურევს ნაკურთხ ღვინოს და მიაწოდებს მართალთ სასმელად, რითაც ისინი უკვდავებას მიიღებენ; ხოლო დანარჩენნი, ცოდვილნი და ბოროტნი ცეცხლით დაიღუპებიან. ეს იქნება საბოლოო გამარჯვება კეთილისა ბოროტზე; განახლდება ქვეყნიერება და დამყარდება ნეტარი ბედნიერება. ასეთია მითრაული ესხატოლოგია...

***

მითრაიზმში არსებობდა შვიდი ხარისხი მორწმუნეთა – 1. კორაქს (ყორანი), 2. კრიფიუს (მალული), 3. მილეს (მხედარი), 4. ლეონ (ლომი), 5. პერსეს (სპარსელი), 6. ჰელიოდრომეს (მზის მორბენალი) და 7. პატერ (მამა). (აქედანაა წარმომდგარი რომაული კათოლიკური ეკლესიის მთავარის სახელი – პაპა).

მორწმუნენი ერთმანეთს ძმას, მოყვასს უწოდებდნენ. წევრად გახდომა შედარებით ადვილი იყო, მაგრამ საფეხურიდან საფეხურზე ასვლა კი მეტად ძნელი. ამის შესასრულებელად საჭირო იყო აგრეთვე საიდუმლო ზიარება (საკრამენტუმ) და უკვე ნაზიარებნი ერთმანეთს თანაზიარს უწოდებდნენ (კონსაკრანეი). წყლით გაწმენდა იყო ერთგვარი ნათლობა. იგი

გამოიხატებოდა ან წყალის მოსხურებით, ან აბანოს მიღებით. მორწმუნე როდესაც მხედარი ხდებოდა, მას შუბლზე ნიშანს უკეთებდნენ; როცა ლომის ხარისხს ღებულობდა, მაშინ თაფლით ინათლებოდა იგი: ხელებზე გადაასხამდნენ ნაკურთხ თაფლს და ენაზე წაუსვამდნენ ხოლმე, რათა თაფლს იგი სიბილწისაგან დაეცვა. წირვის დროს მღვდელი აკურთხებდა ხოლმე პურსა და წყალს, რომელს წინასწარ გამზადებულს, ჰაომა-ს წვენს შეურევდნენ და ამ შენაზავს მღვდელი მიირთმევდა ღმრთის მოქმედების დროს. ხოლო ვინაიდან ეს მცენარე ჰაომა დასავლეთის ქვეყნებში არ იშოვნებოდა, ამიტომ ჰაომას ნაცვლად ღვინოს ხმარობდნენ. მორწმუნეთა წინ მღვდელი დადებდა პურს და დგამდა წყალს სასმისით, რომელზე ლოცვას წარმოთქვამდა. წყალს მერმე ღვინოს ურევდა. ეს წესი იყო მხოლოდ იმ მორწმუნეთათვის, რომელთაც ლომის ხარისხს მიაღწევდნენ. პურზე ჯვარს ასვამდნენ ან ჯვარით იყო იგი დაღარული, გაკვალული. იყო წესი სერობისა, ანუ ერთად პურის ჭამისა, აღაპისა. ამ წესის შესასრულებელად საჭირო იყო წინასწარ მარხვა, ლოცვა და სხვა. საკურთხეველზე მარად ენთო ცეცხლი და მას მღვდელი მსახურებდა. სამჯერ დღეში მას მზეზე უნდა ელოცა, დილით – აღმოსავლეთისაკენ მიმართული პირით; შუა დღისას – სამხრეთისაკენ; საღამოს – დასავლეთისაკენ. მოგვთა, ანუ მღვდელთა სამოსელით ჩაცმული მორწმუნე მსხვერპლს დაჰკლავდა და სისხლს აგროვებდნენ პატარა ორმოში, ანდა ამ სისხლს მლოცველთ ასხურებდნენ ხოლმე, გალობდნენ საგალობლებს და მათ თან მუსიკა მიჰყვებოდა; განსაკუთრებულ საზეიმო ადგილზე წირვის დროს გაისმოდა ზართა რეკა (როგორც ეს დღეს რომაულ-კათოლიკურ წირვაშია) და სხვ.

თითოულ დღეს თითოული მნათობის სახელზე იყო წირვა და კვირადღე, როგორც მზის დღე განსაკუთრებული საზეიმო დღესასწაულის დღე იყო. 25 დეკემბერს, როცა მზე თავის დაბალ გზაზე ჩადის და მერმე გაზაფხულისაკენ იწყებს სვლას, დღესასწაულობდნენ მზის ხელახლა შობას: ნატალის ინვიკტის, შობა დაუმარცხებელისა, მზის შობის დღე. მორწმუნეთა მიღება წევრად ხდებოდა გაზაფხულზე, დაახლოებით იმ დროს, როცა შემდეგ ქრისტეს აღდგომა დაწესდა და სხვ.

დედაკაცთ არ შეეძლოთ აღნიშნულ მორწმუნეთა რიგში ყოფილიყვნენ. მათთვის არსებობდნენ ცალკე რელიგიურნი საზოგადოებანი. დედაკაცნი უმთავრესად ფრიგიულ დიაც ღმერთის კიბელას მიმდევარნი იყვნენ.

მითრაიზმში იყო მზის თაყვანისცემა, რომელიც დამყარებული იყო მაღალ ზნეობაზე და მას ერთგვარი მამაკაცურ-ასკეტური ხასიათიც ჰქონდა: მხნეობა, ვაჟკაცობა, თავის დაჭერა, ზიზღი სიცრუვესადმი, სიტყვის შესრულება, მთავრობის პატივი, მოვალეობის მოხდა, განსაკუთრებით მხედართათვის, მოხელეთათვის და სხვ... მითრაიზმი იყო მომთმენი რელიგია. რომელი სხვა ხალხთა ღმერთებსაც თავის კულტში სათანადო ადგილს უთმობდა. იგი იყო შესაფერი რელიგია რომაული უზარმაზარი

იმპერიისათვის, სადაც კეისარის კულტი და მითრას თაყვანება იმპერიის მთლიანობას ჰქმნიდა: მაგრამ ქრისტიანობამ მათრაიზმს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა არა მარტო იმიტომ, რომ მას პრინციპულად არ იგუებდა; არა მარტო, რათა თვით გამხდარიყო უდავო რელიგიათ, არამედ იმიტომაც, რომ მითრაიზმს ქრისტიანობა ბევრ რამეში დიდად წააგავდა. მითრა ამ ბრძოლაში ქრისტემ დაამარცხა. 45.

4. ჰერმეს ტრისმეგისტოსის მზე

ჰერმეს ტრისტოგისტოს ითვლებოდა ღმერთად მაგრამ არც მისი პიროვნება და არც მისი არსებობა გამორკვეული არაა, – ყოველ შემთხვევაში, ჰერმეტიული თხუზულებანი 1 – 4 საუკუნეთ ეკუთვნიან და თუმცა მათი რიცხვი დიდია, ცნობილ და მნიშვნელოვანად ითვლება: პოიმანდრეს, ასკლეპიოს, კორე კოსმოვ...

ამ ჰერმეტიულ მიმართულებათა შესახებ სტ. ჯორჯ სტოკ ამბობს: აიღეთ პლატონი, სტოელნი, ფილო, კათოლიკური ქრისტიანობა, გნოსტიციზმი, ნეოპლატონიზმი, ნეოპითაგორაიზმი, – კარგად აურიეთ ისინი ერთმანეთში, კარგად გათქვიფეთ, მერმე მოაყარეთ მას ძველი ეგვიპტური სუნნელი და მიიღებთ დომხალს, რომელს ჰერმეს ტრისმეგისტოს თხუზულებანი ემსგავსებიანო. 46.

ჰერმეს ტრისმეგისტოს სწავლაში ვარსკვლავნი ყოველთვის არ არიან ღმერთებად წარმოდგენილნი, არამედ არიან ისინი გარეგანი სახვეველნი, გასახვევნი, რომელთ ღმერთნი ხმარობენ, რათა მით ხილულ იქმნენო. მზეს ჰერმესი არ უწოდებს: ძე ღმერთისა, მხოლოდ სთვლის მას, მზეს მეორე ღმერთად, როგორც ეს ნათქვამია „ასკლეპიოს“-ში. ვარსკვლავნი არიან გამოცხადებულნი ღმერთნი და მათ შორის ყველაზე უფრო გამოცხადებული არის მზე, რომელი უფრო ფართოა ვიდრე ხმელეთი და ზღვა, – როგორც ეს სწერია პოიმანდრეს-ში. 46. გვ. 629. ჰერმესის მოძღვრებაში მზეს, როგორც ვხედავთ ჩვენ, განსაკუთრებული ადგილი უკავია. მზეს რომ ამ მსოფლიოში პირველი ადგილი მიეკუთვნება მნათობთა შორის, და მათზე გავლენას ახდენს, – ეს რა გასაკვირია, – ანუ ეს როგორც გამოთქმულია თხუზულებაში: კორე კოსმოვ: მზე არის პირველი მნათობთა შორის, სატურნუსისა და იუპიტერის წინო. ამ მზე ჰელიოსის შესახებ ნათქვამია: „ჰელიოს, დიდო ღმერთთა შორის ცათა შინა; რომელს გზას უცლიან ყოველნი ციურნი ღმერთნი, ვითარცა მეუფესა და მეფეს ... იგია უდიდესი ვიდრე მიწა და ზღვა...“

მზე მთვარესთან ერთად ყველა არსების ყოფნასა და დასასრულს ხელმძღვანელობს; მას მიჰყავს ყოველი და მსოფლიოში ყველაფერს ანათებს; იგია მაცოცხლებელი; იგია მეორე ღმერთი, რომელს, ყოვლად

ძლიერის შემდეგ, თაყვანება ეკუთვნის, იგი მზე მონაწილეობდა ქვეყნის შექმნაში; იგი არის მამა, პატერ; ვით შემომქმედ ღმერთს, მას აქვს შემქმნელი ძალა; არა მარტო ეს, – იგია თვითონ დემიურგოსი (არქიტექტორი, მაშენებელი) და კიდევ მეტი: „ნუს“, გონება. მზის ნიშანნი არიან: სიცოცხლე, სული, პლევმა (სული გონებრივი), უკვდავება, წარმოშობა. მზე ჰქმნის ყველაფერს; უბოძებს უკვდავთ მარად სიცოცხლეს და მოაქვს მას ჩვენ ქვეყანაში: სიცოცხლე, ყოფნა და ცვალებადობა. მზე შემორტყმულია დაემონთა გუნდებით, რომელნი მის არხონ-ებად ითვლებიან... მთელი ეს შეხედულებაო, – ამბობს მკვლევარი ჰერმეს ტრისმეგისტოსისა ი კროლლ, – დამყარებულია სიბრძნისა და ღმრთის მეტყველების შემდეგ დებულებაზეო: იდეათა მხარისაგან დამოკიდებულია გრძნობადი ქვეყანა. მზე ამ ჩვენს ქვეყანაში არის ცენტრი ჩვენის სფეროჲსა, უძრავ ვარსკვლავთა, მნათობთა ექვსის სფეროჲსა. ამ სფეროთაგან თავის მხრივ დამოკიდებულნი არიან დაემონები; დაემონებისაგან დამოკიდებულნი არიან ადამიანნი. „აქედან ამაღლება, ზემოდ სვლა, ყველაფერი დამოკიდებულია ღმერთზე“. ღმერთი არის „პატერ პანტონ“, მამა ყოვლადი. მზე არის დემიურგოსი (შუამდგომელი, არქიტექტორი, შემომქმედი); მსოფლიო არის ამ დემიურგოსის მიერ შექმნილი.

მზის შემოქმედებასთან დაკავშირებული იყო ის შეხედულებაც, რომლის თანახმად მზე არის აგრეთვე შთასახვის ღმერთი; იგი აძლევს ბავშვებს მშობლებს, ხოლო უბავშვონი მზისაგან დაწყევლილებად ითვლებოდნენ. როგორც ამბობს ი. კროლლ, – ჰერმესის მერმინდელ სწავლაში მზემ დაჰკარგა თავისი დიდი მნიშვნელობა, თუმცა ერთ დროს, მეთუთხმეტე ნარკვევის მიხედვით, იგი დიდ ღმერთადაც ჩაუთვლიათ. მაგრამ ჩვეულებრივ მაინც, მზე არის მხოლოდ მეორე არსი, რომელს ზემოდ ღმერთი ჰყავს.

ქალდეველ ასტრონომოს-ასტროლოგოსთა მიერ აღმოჩენილია, რომ მნათობთა გზანი მზის მოტრიალებათაგან არიან დამოკიდებულნიო, და აქედან დაასკვნეს: მზე მნათობთა სრბოლას მიმართავს; მზეს ისინი მიჰყავსო. ეს შეხედულება შემდეგ განამტკიცეს პანაეტიოსმა (180 – 110), პოსეიდონიოსმა (135 – 51), და ამგვარად, მზე გახდა აგრეთვე უფალი, ხელმძღვანელი ყველა ვარსკვლავისა.

მზე სინათლესა და მაცოცხლებელ სითბოს იძლევა; ეს ძველი შეხედულება გააღრმავეს საბერძნეთში და მზე გამოაცხადეს სიცოცხლისა და წარწყმედის უფალად, რომელი თავისი ყოველ დღიური მოქმედებით მატერიას ანაყოფიერებს. ეს აზრი განმეორებულია აგრეთვე ჰერმეს ტრისმეგისტოს ნაწერებშიც. და რადგან მზე ყველა მატერიას ჰქმნის და აცოცხლებს, ამიტომ მზე გახდა მთელი მსოფლიოს ხელმძღვანელი და მპყრობელი; ასტროლოგოსებიც ამასვე ქადაგებდნენ. და ვითარცა მზე მნათობ გზას უჩვენებს, მათ მიიზიდავს და უკუაქცევს, აგრეთვე მზე ახლად შობილის გვამში სულს აგზავნის, რომელიც, ეს სული, ამ გვამის სიკვდილის შემდეგ,

მზეს უკანვე მიუბრუნდება. მზის ეს ძალა სულის მიმართ დამყარებულია გონების პრინციპზე. მზეს მიეკუთვნება გონება; მზე გახდა ნათელი გონიერი (ფოს ნოერონ) და ამის შედეგად მსოფლიო გონება, ანუ როგორც ამბობს მარკუს ტულლიუს ციცერო (106 – 43): მენს მუნდი ეტ ტემპერაციო: გონება და მთავრობა მსოფლიოსი.

მზე ქალდეანთა სწავლის მიხედვით, იყო გონებრივი არსი; როგორც ვთქვი, ეს აზრი განამტკიცა პოსედონიოსმა, ოღონდ ჰერმესის სწავლაში მაინც მზე არის მხოლოდ მეორე ხარისხის ღვთაება, მაგრამ მას ახალი მნიშვნელობა მიეცა: ახლა მზე არის გონიერი; მზე არის არსი, რომელში გონება (ნუს) მოათავსეს. მზე არის გონება მზე (ნოეტოს ჰელიოს).

მზესთან ერთად მთვარესაც დიდი პატივი ედებოდა. თხუზულება „კორე კოსმოვ“-ში, სადაც მნათობთა რიგია ჩამოთვლილი, მთვარე სხვა მნათობთაგან გამოყოფილია და მათ წინ დაყენებულია მზე, რომელს პირველი ადგილი უჭირავს, ხოლო მთვარეს – მეორე ადგილი მიეკუთვნება (ამის შესახებ იხილეთ ქვემოდ). 47.

5. მზე წარმართულ გნოსტიციზმში

ჰერმეტიზმში და წარსულ გნოსტიციზმში (ცოდნით ღმერთთან მიღწევა და მასთან გაერთიანება) მსოფლიოს განაგებს აუცილებლობა, პროვიდენცია, განგება, – ესაა დიდი კანონი, რომელი ამავე მსოფლიოში არის, იგია ეს მსოფლიო რომელს ბერძნულად ეწოდება „კოსმოს“, ანუ მწყობრი, წესრიგი, მოწყობილობა. აუცილებლობის ნამდვილი ადგილი არის თვით მსოფლიოს შიგნით, ყველაზე კარგად მოწყობილ არსებებში, რომელთა საუკუნოებრივი წრიადი ტრიალი საუკეთესოდ გამოხატავს უცვალებელ აუცილებლობას და უზენაეს გონებას გვიჩვენებს. ესენი არიან ვარსკვლავნი. ამიტომ ჰერმეტიზმში თაყვანება ვარსკვლავიან ცას, ვარსკვლავთ, “მწყობრის მიზეზთ და სიმბოლოთ” ეკუთვნის და სხვა.

***

წარმართნი გნოსტიკოსებიც ფიქრობდნენ, ყველაფერს გარდაუვალი აუცილებლობა და განგება განაგებს, რომელიც ვარსკვლავთაგანაა დამოკიდებულიო, მაგრამ მათთვის მსოფლიო არ არის მწყობრი; ქვეყნიერება არ არის ჰარმონია, არამედ წინაუკმოდ: იგი არის დაუწყობელობა, აშლილობა, არევდარევა. მსოფლიო არის მატერია ბოროტი, სამეუფო ბოროტებისა და სიავისა. და მაშასადამე: მზე, მნათობნი და ვარსკვლავნი არიან ბოროტნი არსებანი; და რადგან მსოფლიო არის ცუდი და ბოროტი, და მზე, ვარსკვლავებით მოჭედილნი ცანი არიან ბოროტების პირველნი მიზეზნი, ამიტომ ღმერთის მოსანახად ცათა

სარტყელებს უნდა გადასცილდე და ცათა გადაღმა უნდა მონახო ღმერთი კეთილი, სახიერი, უხილავი, ფარული, უცნაური, უცოდნელი, აგნოსტოს. 48.

ამგვარად, გნოსტიკოსთა შეხედულებაში ვარსკვლავთ დიდი ადგილი უკავიათ და გერმანელი მკვლევარი მ. ანც ფიქრობს, გნოსტიციზმის ყველა მიმართულება გაერთიანებულია ერთი აზრითო: სულის ხატმა უნდა გაიაროს შვიდთა ცათა მნათობნი, – ეს ბოროტნი არსებანი! საამისოდ ხმარებაში იყვნენ სხვა და სხვა გვარი ნიშანნი, გამოთქმანი, საიდუმლოებანი, რიცხვნი, და სხვა, რომელთა შემწეობით სული გუშაგ ბოროტ მნათობებს აიძულებს გაუღონ მას მნათობის ცის კარი და ამგვარად სული ციდან ცაზე ავიდეს, სანამ ჭეშმარიტ ღმერთს მიაღწევდეს.

ეს აღსვლა სულისა მნათობთა გზით არისო, – ამბობს ფრანგი მკვლევარი ს. პეტერმან, – ყველაზე უფრო დამახასიათებელი მითოსი გნოსტიციზმისათვის, და ესაა სურათი, რომელიც დიდხანს ცოცხალი დარჩა როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთშიო. 49.

ზოგი გნოსტიკოსის შეხედულებით, მზეს გონება არ გააჩნია და ცას არა აქვს სულიო. სწორედ ასეთი შეხედულების გამო ფილოსოფოსი პლოტინოსი (205 – 270) მათ დიდ საყვედურს ეუბნებოდა (ენნეადას 2. 9,5). და რასაც პლოტინოსი გნოსტიკოსებს უსაყვედურებდა და მათ შეხედულებას უარჰყოფდა (ცას არა აქვს სული და მზეს – გონებაო) დღეს ყველა ჩვენ მიერ საყოველთაოდ აღიარებულიაო, – დასძენს. ს. პეტერმან. 49. გვ. 270.

6. მანდაიაური მზე

„მანდა“ არის ცოდნა, იგივე „გნოსის“ – ცოდნა. მანდაია – მანდას მიმდევარი. მანდაიზმის მიხედვით, მორწმუნეს შეუძლია მანდას – ცოდნის მეშვეობით ღმერთ–სიცოცხლეს შეუერთდეს.

მანდაიზმი წარმოიშვა დაახლოებით მეოთხე – მეხუთე საუკუნედან და მას დღესაც ჰყავს მცირე რიცხოვანი მიმყოლი ერაყში (ირაკი). ნესტორიანთა ეპისკოპოსი თეოდორე ბარ კონაი (მერვე საუკუნეში) მათ უწოდებს: ნასსორაიე, ანუ ნაზარეველნი.

მანდაიანთა რწმენით მსოფლიო 480.000 წელიწადს იცოცხლებს; ეს ვადა გაყოფილია თორმეტი ზოდიაკოს შორის. შვიდი ხანა შვიდ მნათობთ ეკუთვნის; შამიშ (მზეს). სინ (მთვარეს) და სხვათ, რომელნი ბოროტნი არსებანი არიან... ამგვარად, მზე მანდაიზმში არის ბოროტი არსება. 50.

7. მზე – მარადი

მოკლედ გავიცანით რომში მზის ბატონობის ამბავი. მზე იქ გამოცხადდა დაუმარცხებელად: სოლ ინვიკტუს.

აპოლლონიუს ტიანელი რომში მზის კულტის ყოვლადობაზე ქადაგებდა და მზის თაყვანებაც შემოღებულ იქმნა რომაულ მრავალ ღმერთიანობაში ვითარცა გამოსადეგი მონარქიული დებულება. მზის გაბატონებას სტოელნი ფილოსოფოსნიც მხარს უჭერდნენ და მზეს, ვითარცა ყველა ღმერთის შემცვლელს, პირველ ადგილს ანიჭებდნენ. იმპერატორი აურელიანის (270 – 275) შესახებ ამბობდნენ, იგი იყო მზის მღვდელ დიაცის ვაჟიო...

მზე რომში გამოცხადდა რომის იმპერიის უფალად: დომინუს იმპერიი რომანი, მაგრამ ამის მიუხედავად, ყველა ეძებს მაინც ერთ ღმერთს, უმაღლეს, უზენაეს ღმერთს: სუმმუს დეუს.

ღმერთნი: იზისი, სერაპისი, ბაალ ემესელი, კიბელა, მითრა და სხვანი ცდილობენ უმაღლეს ღმერთად გახდენ... მითრაიზმმა ერთ დროს გარეკა სხვა ღმერთები და მზეს პირველობა დაუსახა. ქალდეველ ასტროლოგოსებმა მზე – ბაალ გამოაცხადეს „ცის უფალად და ყოვლადი მსოფლიოს ბატონად“. ეს ვარსკვლავური უფალი, – როგორც ამბობს მ. გორს, – არის კიდევ იგივე „მზე დაუმარცხებელი“: სოლ ინვიქტუს: ახალა უკვე იგი ხდება უზენაეს ღმერთად: სუმუს დეუს... მაგრამ ეს მხოლოდ მცირე ხანით...

აპოლლონიუს ტიანელის ცხოვრების აღმწერმა ფილოსტრატესმა, თუმცა ძველი ტრადიციული ღმერთები არ უარჰყო, მაინც აღიარა უზენაესი შემოქმედი ქვეყნისა და მომწყობი მსოფლიოსი. ამ უზენაესი ღმერთის ხილულ სიმბოლოდ, ღმერთის ხატად მან მზე გამოაცხადა. და ამით მზის ღმრთეების თავგადასავალი უკვე თავდებოდა.

მეორე საუკუნეში, როცა სურდათ ერთი რომელიმე ღმერთი ყველა ღმერთზე მაღლა დაეყენებინათ, იტყოდნენ: იოვი აეტერნო, ანუ იუპიტერი მარადი, საუკუნო.

მესამე საუკუნეში „იუპიტერი მარადი“ მზემ შესცვალა და მზის შესახებ ამბობდნენ: სოლ აეტერნუს – მზე საუკუნო, მარადი.

მეოთხე საუკუნის დამლევს უკვე იტყვიან: დეუს აეტერნუს – ღმერთი მარადი; დეუს სანკტუს აეტერნუს – ღმერთი წმიდა მარადი, საუკუნო; დეუს მაგნუს აეტერნუს – ღმერთი დიდებული მარადი. აი, ეს ერთი ღმერთი გახდა მარადი, და ამით წარმართულმა რელიგიამ უკვე მოიხარა ქედი ქრისტიანობის წინაშე.

312 წელს იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა ბრძოლის წინა დღით გამოცხადება იხილა: მზე ჩადიოდა; ჩამავალი მზის თავზე ცაში გამოჩნდა ნათელის ჯვარი შემდეგი წარწერით: „ამით გაიმარჯვებ!“

სულ მცირე ხნით აღიარებული მზე მარადი ჩავიდა. ჯვარმა გაიმარჯვა.

იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა (274 – 337) ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ოღონდ მოხდა კიდევ წარმართული ერთი შეტრიალება, როდესაც იმპერტორმა იულიანუსმა, განდგომილმა ქრისტიანობა უარჰყო, მზეს თავისი დიდებულება დაუბრუნა, გარნა ძალიან ცოტა ხანით 51. (ამის შესახებ იხილეთ ქვემოდ, აქვე).

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მეხუთე

მზე ქრისტიანობაში

1. მზე ბიბლიაში
2. ქრისტიანული შობა და აღდგომა
3. მზე ქრისტიანულ განხრებში
4. მანიქეიზმი

1. მზე ბიბლიაში

ქრისტიან მწერალთა შორის ვარსკვლავთა რელიგიური მნიშვნელობა სავსებით მოსპობილია. არც ვარსკვლავთა მითოლოგიას აქვს აქ გასავალი. აქ ბატონობს ერთი ღმერთი, უზენაესი და სამპიროვანი. და თუ ბუნების შვენებას ეტრფიან ქრისტიანი მწერალნი და მას გატაცებითაც აგვიწერენ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთის ძლიერება, დიდება და შვენება გვაჩვენონ, მისი უდიდესი შემოქმედების წარმტაცი სურათი ჩვენს თვალ წინ გადაგვიშალონ, გაგვაგებინონ და შეგვაყვარონ იგი...

საღმრთო წერილის, ანუ ბიბლიის მიხედვით, ღმერთმა შეჰქმნა მზე, მთვარე და ვარსკვლავნი მეოთხე დღეს და ფსალმუნიც იმეორებს, ღმერთმა შექმნა მზეო (73/74), იობი ამბობს, ღმერთი განაგებს და უბრძანებს მზეს, და იგი მას ემორჩილებაო (9,7); მზემ იცის თავისი დაწოლის დრო (ფსალ. 103,4).

მზე, რასაკვირველია, შექებულია ვით ბრწყინვალე (ეკლ. 42,16); მის ნათელს მთვარის სინათლე ვერ შეედარება (1 კორ. 15,14); იგი განაგებს დღეს, რომელს იგი ჰქმნის თავისი გამოჩენით (ფსალ. 135,8; ეკლ. 33,7; იერ). მზე ცხელია და მას ვგრძნობთ მზის ამოსვლისათანავე (1 მეფ. 9,9; 2 მეფ. 13,14 და სხვა). ეს სიცხე იზრდება მზის ამაღლებასთან ერთად (გამოს. 16,21); იგი ჰფანტავს ღრუბელთ (სიბრძ. 2,3); ამწიფებს ხილს; აშავებს პირს (ქება 1,5) და ხან და ხან მოაქვს გვალვაც და ჭირნახულს აფუჭებს. (ესაია 49,10; იოანე 4,8; მათე 13; მარკოსი 4,6) და სხვა.

მზე დაბნელდა სასწაულებრივ ქრსიტეს ჯვარცმისას (ლუკა 23,45). მზე თავისი ღვაწლით აქებს და ადიდებს მეუფეს (ფსალ. 148,3; ეკლ. 49, 2; დან. 3,62).

რომელნი ხედავენ მზეს, არიან ცოცხალნი (ეკლ. 7,12); ვერ იხილო მზე, ნიშნავს: არ დაიბადო (ფსალ. 57,9; ეკლ. 6,5), ან იყო ბრმა (საქმენი 13,11). მზე ბნელდება მოხუცთათვის, რომელთა მზერა სუსტდება (ეკლ. 12,1). მზე ჩადის მათთვის, რომელნი კვდებიან (იერენ. 195, 9), ან ვისაც ღმერთის შემწეობა და წყალობა აღარა აქვთ. (მიხ. 3,6). მზის წინაშე, მზის სახის წინ ნიშნავს, რომ საქმე ხდება ყველას დასანახად; სანამ მზე არსებობს, ნიშნავს: მარად, მუდამ (ფსალ. 72,5; 17; 88,38; ეკლ. 27,12), თუმცა მზემ თვითონ უნდა შესწყვიტოს არსებობა (ეკლ. 17,30); ღმერთს ამოჰყავს თავისი მზე ბოროტზე და კეთილზე, ესე იგი, ყველას გამოუკლებლივ ანიჭებს იგი სიკეთეს (მათე 5,45); მზე არ უნდა დაწვეს ჯავრით, რისხვით, ესე იგი, ადამიანმა თავისი გაჯავრება თუ რისხვა მზის ჩასვლამდე უნდა დაიწყნაროს (ეფეს. 4,26).

ბიბლიაში მზე ხშირადაა გამოყენებული შედარებისათვის. იოსები სიზმარში ხედავს მზეს, მთვარეს და თერთმეტ ვარსკვლავს, რომელნიც მას თაყვანსა სცემენ და იაკობი ფიქრობს, რომ იგი თვითონაა მზე (დაბ. 37,9). მზეს აქვს კარავი მზეში, ესე იგი, დიდება და ბრწყინვალება (ფსალ. 18,6) ღმერთის თვალნი უფრო ბრწყინვალენი არიან ვიდრე მზე (ეკლ. 23, 28); თვითონ ღმერთი არის მზე მართალთა (მიხ. 4,2); მზე სამართლიანობისა (ესაია 40,19); იესო ქრისტე განსხივოსნებაა (მათე 7,2) და ბრწყინვალება (გამოცხ. 21,23; 22,5).

ქება – ქებათა-ში სატრფო არის ლამაზი ვით მზე (6,9) სიბრძნე არის უფრო ლამაზი ვიდრე მზე ცაში (სიბრ. 4,29); მზესთან შედარებულნი არიან: მღვდელთმთავარი სვიმეონი (ეკლ. 1,7), მართალნი (მათე 13,43), სათნო საქმენი (ეკლეს. 17,16). მზე გონებისა არის ნათელი სიბრძნისა (სიბრ. 6,6); მარდახას სიზმარში მზე არის ებრაელთა უზრუნველყოფა და კეთილყოფა (ესთერ 10,6 და სხ.) მოციქული პავლე დამასკოსაკენ გზაში ყოფნისას ხედავს ნათელს, რომელი მზეზე უფრო მოელვარეა (საქ. 16,13); გამოცხადებაში იოანე ხედავს ანგელოზს, რომლის პირი ბრწყინავს ვით მზე (გამოც. 10,1);

მეორე ანგელოზს, რომელიც მზეზე სდგას (გამ. 19,17), და ერთ დიაცს, მზით მოსილს (გამ. 12,1).

ღვთაებრივი სამართლიანობის ჩვენებაში მზე არის უფალის სიკეთისა და წყალობის გამომხატველი, წინააღმდეგ შემთხვევაში მზე დაფარულია და ბნელდება (ესაია 13,10; 24, 23; ეზეკ. 37, 7. იობი 2,10 და სხვა); ოღონდ შემწეობის მზე უფრო ბრწყინვალეა ვიდრე არასოდეს (ესაია 0,26).

მზის თაყვანება აღმოსავლეთში გავრცელებული იყო და ერთ დროს ესრაელთაც შეითვისეს იგი. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ბიბლიაში, ძველ აღთქმაში სასტიკად აკრძალულია მზისა და ვარსკვლავთა თაყვანება და ამ კანონის დარღვევისათვის დაწესებულია სიკვდილი ჩაქვავებით; იობი ღმერთის წინაშე თავს იმართლებს, მე არასოდეს მზისა და მთვარისათვის თაყვანი არ მიცია ხელზე კოცნითო (31, 26 დ 28). მაგრამ იუდეელთა სამეფოში მეფე მანასესა და ამონის დროს იერუსალიმში დამყარდა მზის თაყვანება, რომელიც შემდეგ იოსიამ მოსპო. სიბრძნის წიგნი დასცინის მათ, რომელთაც ქმნილებანი ღმერთებად მიუმჩნევიათ და თაყვანსა სცემენ ცეცხლსო (132).

საკვირველია: ქართულ ბიბლიაში (გამოცემა 1884 წლისა) სწორად არაა ნათარგმნი ის ადგილი, რომელიც ამბობს: – ღმერთი არის მზე და ფარიო. ეს ადგილი არის დავითნ-ში, ანუ ფსალმუნ-ში (81, 11/12) და იგი ნათარგმნია ქართულად ასე: „რამეთუ წყალობა და ჭეშმარიტება უყვარს უფალსა, მადლი და დიდება მოსცეს ღმერთმან, უფალმან არა მოაკლოს კეთილი, რომელი ვლენან უბიწოდ“ (83,11). ბერძნულ ბიბლიაში ნათქვამია: – რამეთუ უფალი ღმერთი არსი მზე და ფარი; გერმანულ ბიბლიაში: დენნ გოტტ დერ ჰერრ ისტ ზონნე უნდ შილდ; ფრანგულში: კარლ ლ’ეტერნელ ნოტრ დიო ე ენ სოლეი ე ენ ბუკლიე; რუსულში: იბო გოსპოდ ესტ სოლნცე და შჩიტ. რატომ არის გამოტოვებული „მზე და ფარი“, გავმოურკვეველია და დღემდე არც არავის მიუქცევია ამისათვის ყურადღება. ამ საკითხის შესახებ პირადად გარკვეული ეჭვი მაქვს, ოღონდ აქ ამაზე საუბარი ზედმეტად მიმაჩნია.

ღმერთთან ერთად ქრისტეც და ანგელოზიც არიან მზე, ან ვითარცა მზე. ქრისტე – მზე – „და იცვალა მათ (მოწაფეთა წინაშე) სხვა ფერად, და განჰბრწყინდა პირი მისი (ქრისტესი), ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი სპეტაკ, ვითარცა ნათელი“ (მათე 17,2). ანგელოზი – მზე – „პირი მისი ვითარცა მზე“ (გმოცხ. იოანესი 10,1). დედაკაცი – მზე – „და სასწაული დიდი გამოჰსჩნდა ცათა შინა; და დედაკაცი, რომელსა ემოსა მზე; და მთოვარე იყო ქვეშე ფერხთა მისთა, და თავსა ზედა გვირგვინით ათორმეტთა ვარსკვლავთა (გამოც.12,1).

2. ქრისტიანული შობა და აღდგომა.

ქრისტიანობას ორი უდიდესი დღესასწაული აქვს: ქრისტეს შობა და ქრისტეს აღდგომა.

დიდი ხნის ყოყმანისა და რჩევის შემდეგ ეს ორი უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული მზის დღეობას შეუერთეს.

ეგვიპტელთა შეხედულებით, უმოკლესი დღე წელიწადში არის 25 დეკემბერი; ეს დღე მათთვის იყო მზის დაბადების დღე, როდესაც მზე ახალ წელიწადს იწყებს, მაღლდება და ძლიერდება.

ბერძენი ასტროლოგოსი ანტიოხოს, დაახლოებით ორას წელს ქრისტეს შემდეგ, თავის კალენდარში 25 დეკემბრის შესახებ სწერდა: – „მზის შობის დღეს იზრდება ნათელი“. ეს თქმა უკვე შესული იყო სირიაში, სირიულ წირვაში, სადაც მზე ღვთიური ქალწულის შვილად შექებულია.

რომის იმპერატორმა აურელიანუსმა 274 წ. დააწესა 25 დეკემბერი დაუმარცხებელი მზის დღესასწაულად.

მეოთხე საუკუნეში ქრისტიანობამ მიიღო ეს დღე – 25 დეკემბერი – ქრისტეს შობის დღედ.

ქრისტე, მაცხოვარი, სოტერ, მხსნელი არის სახელისა მზისა, რომელსაც წარმართნი მზეს უწოდებდნენო, ამბობს პროფ. ფ. ბოლლ. „კრესციტ ლუკს“ – იზრდება ნათელი, – ეს თქმა ძველ ქრისტიანულ წირვაში ჩვეულებრივი იყო და ამ სიტყვას ამბობს იოანე ნათლისმცემელიც: იგი უნდა იზრდებოდეს და მე – ვცირდებოდეო. იგივე გამოთქმა – კრისციტ ლუკს – იოანე ნათლისმცემელის დაბადების დღის წირვაშია, და კვირა დღე ხომ მზის დღეა! 52.

მოსაზრება, თუ წმიდა მამებმა რატომ დააწესეს ქრისტეს შობა 25 დეკემბერს იყო შემდეგიო, – ამბობს ერთი სირიელი ქრისტიანი,

პაგანთა (წარმართთა) ჩვეულება იყო: 25 დეკემბერს მზის დაბადება ედღესასწაულათ... ამ დღეობაში და ზეიმში ქრისტიანებიც მონაწილეობას ღებულობდნენ, როდესაც ეკლესიის მამებმა დაინახეს, რომ ქრისტიანებს ამ დღეობისაკენ მიდრეკილება ჰქონდათ, გადასწყვიტეს – იესო ქრისტეს შობა ამ დღეს ედღასასწაულათო. „შობა“, როგორც აკადემიკოსმა ფრ. კიუმონმა გვაჩვენა, არის მითრაული დღეობა ქრისტიანების მიერ მიღებულიო. (იხილეთ წინ, გვ. 27).

25 დეკემბერს მზე ძლიერდება თავისი ნათელით, იწყებს მსვლევობას გაზაფხულისაკენ და როდესაც დღისა და ღამის გასწორება ხდება, როდესაც იბადება გაზაფხული და მკვდრეთით სდგება ბუნება, მკდრეთით აღსდგება აგრეთვე იესო ქრისტე. ამგვარად, ეს დიადი დღესასწაული ბუნების აღდგომას დაუკავშირეს წმიდა მამებმა, ხოლო დღე „კვირა“ მზის დღე არის, როგორც ეს არა ერთჯერ ითქვა.

„მზის დღეს, – სწერდა წმიდა მამა იუსტიანე, – ჩვენ ყველა ვდღესასწაულობთ შეკრებულებაში, რადგან ეს არის პირველი დღე, როდესაც ღმერთმა გარდაქმნა წყვდიადი და მატერია, შეჰქმნა მსოფლიო, და რადგან იესო ქრისტე... ამავე დღეს აღსდგა მკვდრეთით“-ო.

ქრისტიანული ეკლესია და საკურთხეველი აღმოსავლეთით არის მიმართული (აგრეთვე სასაფლაოც) და ლოცვა აღესრულება აღმოსავლეთის გეზით. ამიტომ ძველად ქრისტიანებს მზის თაყვანებას შესწამებდნენ და ამის გამო წმიდა მამა სემპტიმუს ფლორენს ტერტულიანუს (160 – 200) ამბობდა: „სხვებსა სჯერათ, ჩვენი ღმერთი მზე არისო... ეს შეხედულება იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ჩვენ აღმოსავლეთით ვლოცულობთ“-ო. და ამას წმიდა მამა დასძენს: მართალია! ოღონდაც სიხარულით ვეგებებით დღის მზეს-ო. 53.

3. მზე ქრისტიანულ განხრებში.

ქრისტიანობამ წარმართობა დაამარცხა, ოღონდ მისგან ბევრი რამ თვითონ შეითვისა. რასაკვირველია, ასტროლოგიურმა მოძღვრებამ დიდი გავლენა მოახდინა ყველა იმ სწავლაზე, რომლითაც ქრისტიანული პირველი ხანა სავსე არის. მართალია, ქრისტიანობამ უარჰყო ასტროლოგია, დაჰგმო ვარსკვლავთა ღმრთეება, – რადგან ქრისტიანული მრწამსით არსებობს მხოლოდ ერთი ღმერთი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, რომელმა ყველაფერი შეჰქმნა: ცანიც, მათი ვარსკვლავებით და ხმელეთით მთელი მისი ქმნილებებით. მაგრამ იმ აზრთა და რწმენათა ბრძოლაში, რომელიც ქრისტიანობას თან დაჰყვა, ვარსკვლავურ მსოფლმხედველობას თავისი გავლენა ჯერ მაინც ჰქონდა. აქ მოკლედ აღინიშნებიან ის მიმდინარეობანი, რომელნიც ასტროლოგიის გავლენაში მოექცნენ.

კოლარბესიანნი (მეორე საუკუნეში). ამტკიცებდნენ, ადამიანის ცხოვრება შვიდ მნათობზე არის დამოკიდებულიო.

ბასილეიდიანნი. მეორე საუკუნის დასაწყისში გნოსტიკოს ბასილეიდეს ალექსანდრიელმა, პითაგორასზე და პლატონზე დაყრდნობით შეიმუშავა მოძღვრება, რომელმა საერთოდ შემდეგი სახე მიიღო: მსოფლიოს გონება არსებობს მზეში, რომელი თავის გავლენას მთელს ბუნებაზე ახდენს. მან მათემატიკური ანგარიშით დაასკვნა, რომ ამ გონების კეთილმყოფელი გავლენის მიღება შეიძლება სამას სამოც და ხუთი რიცხვითო (365– წელიწადის დღენი), და რადგან მაშინ რიცხვებს ანბანით სწერდნენ, ეს 365 იწერებოდა ასოებით: „აბრახსას“ (აბრახსას, აბრასახს – 1; 2; 100; 1; 200; 1; 60 =365). ამ რიცხვმა რწმენაში ისეთი ძალა მიიღო, რომლითაც შეიძლებოდა მსოფლიოს შემოქმედის: მზის გავლენის მოპოვება. ამნაირად, სიტყვა აბრახსას გარდაიქცა მზის დამახასიათებელად. ეს სიტყვა ყველგან გავრცელდა და სიტყვის მაგიერ „მზე“, იხმარებოდა სიტყვა „აბრახსას“, როგორც ლოცვებში, ისე წირვაში.

ბასილეიდესის აზრით, ქრისტე იყო მზეში და ამგვარად, „აბრახსასით“ შეიძლებოდა ქრისტეს წყალობის მიღება.

ეუფრატიანნი. ეუფრატეს მიმდევარნი (მეორე საუკუნეში) აღიარებდნენ ქრისტეს და ამავე დროს შვიდ მნათობთა ბატონობასაც ცნობდნენ. მათ დაარქვეს ორფიტნი, ანუ სერპენტიანნი (გველიანი), რადგან მათი აზრით,

ადამისა და ევას შემაცდუნებელი გველი ან თვით ქრისტე, ან სოფია (სიბრძნე) იყო, ცხოველის სახითო.

სატურნალიანნი. გნოსტიკოსის სატურნალიუსის მიმდევარნი ფიქრობდნენ (მეორე საუკუნე), რომ უზენაეს ღმერთისაგან გამოვლინებით წარმოიშვა შვიდი მდაბიო სული, რომელთაც ქვეყანა და კაცი შეჰქმნესო. თითოული ამ სულთაგანი დაბინავებულია შვიდ მნათობზე ცალკეულად. ამ შვიდ სულს შეეძლო ადამიანისათვის მხოლოდ პირუტყვული ცხოვრება მიენიჭებინა. მაგრამ ღმერთმა შეიბრალა ადამიანი და აღჭურვა იგი გონებრივი სულითაც, ოღონდ მან მსოფლიო და ადამიანიც ამ შვიდ მნათობს დაუქვემდებარაო.

ჰერმესიანნი. (მეორე საუკუნე) ამტკიცებდნენ, ღმერთი არის სული მსოფლიოსი. იესო ქრისტე სხეულით აღმაღლდა ცად, მაგრამ სხეული მან მზეზე დასტოვა, რადგან ქრისტემ თავისი გვამი მზისაგან მიიღოო.

თეოდოტიანნი. ქრისტიანები იყვნენ, ოღონდ აღიარებდნენ, რომ სააქაო ცხოვრება და ადამიანთა მოქმედებანი ვარსკვლავთაგან არიან დამოკიდებულნიო.

ორიგენეს. (მესამე საუკუნე), უდიდესი თავი ქრისტიანული ღრმთისმეტყველებისა, ანუ როგორც მას უწოდებდნენ: ბრწყინვალე ნათელი ეკლესიისა, – განხრით ასწავლიდა, რომ სულნი შექმნილნი იყვნენ ქვეყნის დაბადებამდეო (სწავლა: პრაეექსისტენცია) და ისინი სრულოვანნი, იყვნენ თანასწორნი, და ნაზი გვამითო. ვინაიდან ამ სულებმა სხვა და სხვა შეცდომა ჩაიდინეს, ამიტომ ისინი სხვა და სხვა გვამში იქმნენ გადაყვანილნი: ანგელოზებში, ადამიანებში, მზეში, ვარსკვლავებში იმის მიხედვით, თუ როგორი იყო მათი ცოდვა; ხოლო წმიდა სული განუყრელად იესო ქრისტეს შეუერთდა. მონობისაგან განთავისუფლებული სული მიდის სამოთხეში პირდაპირ, სიკეთის შედეგად, ან ჯოჯოხეთში ბოროტისა გამოო და სხვა. 543 წელს კონსტანტინოპოლს მოწვეულმა საეკლესიო ყრილობამ ეს მისი მოძღვრება დაჰგმო. 54.

ორიგენესი ვარსკვლავებს სულიერ არსებად სთვლიდა; მისი აზრით, ისინი იყვნენ თითქმის სრულყოფილება სიწმიდისა, გონებითა და ნების თავისუფლებით დაჯილდოებულნი; მისივე შეხედულებით, ანგელოზთა ცხრა ხორო ცას განაგებდა.

ჰიპსიტარიანნი (მეოთხე საუკუნე) თაყვანსა სცემდნენ ზესთა-ზეს; იგი იყო მზე.

კოელიკოლესიანნი (მეხუთე საუკუნე) იყვნენ ქრისტიანები რომელნიც აგრეთვე ცასა და ვარსკვლევებს ეთაყვანებოდნენ.

ეთნოფრონესიანნი (მეშვიდე საუკუნე) ქრისტიანობასა და ვარსკვლავთ თაყვანებას ერთმანეთს უკავშირებდნენ.

სელეუსიანნი არ ინაწილებდნენ იმ შეხედულებას, თითქო ქრისტე ცად ამაღლდა თავისი გვამითა და სულით. ისინი ამტკიცებდნენ, ქრისტეს გვამი

მზის სფეროს არ გასცილებია და ის მზეზე დარჩა, ხოლო მისი სული კი ღმერთთან ავიდაო. 55.

4. მანიქეიზმი.

მანის, ანუ მანიხეოს-ის მოძღვრების შესახებ დიდი გაუგებრობა იყო, რადგან მანიქეიზმი ქრისტიანობის ერთ უდიდეს მოქიშპედ გარდაიქცა და ქრისტიანობამ მასთან ბრძოლაში იმდენი რიოში, ყალბი ცნობა და ჭორი გაავრცელა, რომ დღესაც იგი ამ სიყალბისაგან სავსებით განწმედილი არაა. მანიქეიზმი გახდა ერთ მსოფლიო რელიგიათაგანი და იგი თვით ქრისტიანობას დიდ საფრთხეს უმზადებდა. ქრისტიანობამ და იძულებით მასთან მოკავშირე სპარსულმა რელიგიამ მანიქეიზმი დაამარცხა და მას, ამას გარდა ბევრი ცილისწამებაც გააყოლეს.

მანის მოძღვრების მიხედვითო, – სწერდნენ, – ხსნა და ცხონება ხდება მატერიაში ჩაჭედილი სინათლის განთავისუფლებით და სინათლის სამეფოში დაბრუნებით. დედამიწაზე დაჭერილი სინათლის ნაწილაკები ნაწილობრივ მზის ძალით, ნაწილობრივ დედამიწის გარშემო გარშემორტყმული ჰაერის გავლენით თანდათანობით შეიწურებიან და თავისუფლდებიან. ამიტომ ეს დიდი სინათლის გროვა, როგორიც არის მზე, მანიქეიზმში იწოდება მაცხოვარ, დამხსნელ ქრისტედო; ამიტომ მანიქეანნი მზეს თაყვანსა სცემდნენო; ხოლო ჰაერს კი სულიწმიდად სთვლიდნენო. თვით იესო ქრისტე, მათი რწმენით, მზიდან ჩამოვიდა და მხოლოდ მოჩვენებით მიიღო გვამიო; ისინი უარჰყოფდნენ კვდრეთით აღდგომას და ეთაყვანებოდნენ მზეს, რომლის არსება ღვთიურია, რომელიც (მზე) თვითონ ქრისტე არისო; ასე ახასიათებს პროფ. ფესლერი მანის სწავლას საეკლესიო ლექსიკონში. 56.

მანიქიანთა აზრით, – ამბობს მღვდელი ბერჟიე, – იესო ქრისტეს სული მზეს შეუერთდა; მზეზე იკრიბებიან მართალთა სულები; ამიტომ ისინი მზეს ეთაყვანებოდნენ, არა მარტო იმიტომ, რომ ისინი მარადული სინათლის სიმბოლო არიანო, და ამასთანავე წმიდა სულთა სადგომნიც, არამედ ვით ღვთიურ არსებასო; ვინაიდან მანიქეანნი ფიქრობდნენ სულნი იწმიდებიან გვამიდან გვამში გადასვლითო (ტრანსმიგრაციო), ამიტომ ძნელი გასაგებია, თუ ნათლობას და სხვა საიდუმლოთ, რა სიკეთეს მიაწერდნენ ისინიო, – დაასკვნის მღვდელი ბერჟიე. 57.

პროფ. ბევან მანიქეიზმს ასე ახასიათებს – ადამიანში არის ორი მოწინააღმდეგე მიდრეკილება და ვინაიდან სული სავსებით კეთილი არ არის, ამიტომ არც გვამია სავსებით ბოროტი. სიკვდილის შემდეგ კეთილი ადამიანის ძალებს, რომელთაგან მისი გვამი შესდგება, ანუ სახელდობრ: წყალი, ცეცხლი და ზეფირი, ამოსწურავს მზე, მთვარე და მანათობელნი ღმერთნი, ხოლო მისი გვამი დანარჩენი, რომელიც სავსებით წყვდიადია, ჯოჯოხეთში ვარდებაო. 58.

აკად. ფრ. კიუმონის გამოკვლევით, მანიქეიზმის სწავლის მიხედვით, სულნი მთვარეზე და მზეზე ნავებით ადიანო. როცა მთვარე იზრდება, იქ სულები იყრიან თავს, ხოლო როცა მთვარე იკლებს, იგი ამ დროს ამ სულებს მზეზე აგზავნისო. მთვარის ნავს სულები დედამიწიდან მიჰყავს და ყოველთვიურად მთვარეს ეს სულები მზის უფრო დიდ ნავზე გადაჰყავს და მზის ნავით ეს სულები შემდეგ მზეზე გადადიანო. 59., საიდანაც ისინი მერმე ღმერთის სასუფეველში ადიანო.

ცნობილი მეცნიერის სალომონ რენაკის გამორკვევით, მანის მიმდევარნი ლოცულობდნენ ოთხჯერ ყოველ დღიურად მთვარისა და მზის წინაშე, მაგრამ ისინი მთვარესა და მზეს ღმერთებად კი არა სთვლიდნენ, არამედ ნათელის ხილულ გამოცხადება-დო. 60.

რომის წმიდა პაპა ლეონი, 443 წელს ამტკიცებდა, მანიქეანნი მზეს თაყვანსა სცემენ, რომლის საპატივოდ ისინი კვირესა და შობას მარხულობენო; მათი ლიტურღიული დღეობის პირობა იყო წმიდა პროსტიტუციაო...

სხვა მოწმობით კიდევ, ქრისტემ, რომელი ზეცაში დიდებით სუფევს, თავისი გვამი მოიხსნა და იგი მზეზე დასტოვაო, და ამიტომ მანიქეანნი მზეს ეთაყვანებიანო. გაიგივება იესოსი მზესთან ხშირად გვხვდებაო, – ამბობს პროფ. ალბერ დიუფურკ, – ნერეე-ახლეეს-ში. ამ ნერეს წიგნში (რომელიც საეჭვოა), ქრისტე აღწერილია მზის მსგავსად და თითქმის მასთან გაიგივებულიაო. ყველაზე უფრო ცოცხალნი ნაწილნი და შეიძლება, ყველაზე უფრო მაცოცხლებელნი ნაწილნი მანიქეანთა კულტისაო, – ამბობს პრ. დიუფურკ, – იყვნენ ლოცვანი, მიმართულნი, მზისა და მთვარისადმი, როგორც უზენაეს წარმომადგენელთადმიო. მზე და მთვარე ჩვენს ქვეყანაზე არიან წარმომადგენელნი მიუწვდომელი და კეთილი, სახიერი ნათელისაო. 61.

ასეთი არის ზოგადად გავრცელებული შეხედულება მანიქეიზმზე, მოკლედ რომ აღვნიშნო იგი. ხოლო დღეს თითქმის უკვე აღდგენილია მანიქეანთა მოძღვრების სურათი და მას უნდა გავეცნოთ; ამას ის ვითარება მაიძულებს, რომ პავლე ინგოროყვამ სრულიად უსაფუძვლოდ და ზეპირად შოთა რუსთაველი „მანიქეველად“ გამოაცხადა და ვეფხისტყაოსანში მან მანიქეური შეხედულებანი მოჩვენებით დაინახა. მე აქ მომაქვს უკანასკნელი (1947 წლის) დასკვნითი გამოკვლევა ფრანგი მეცნიერისა: შარლ პუეშე, რომელი მოთავსებულია მსოფლიო რელიგიათა ისტორიაში. 62.

***

მანი, მანეს, მანიხეოს, მანიკეუს, სპარსი ჩამომავლობით, დაიბადა ბაბილონის სამხრეთით მდებარე სოფელში „მარდინუ“ 215/16 წელს. როგორც ყველა წინასწარმეტყველს ისე მასაც; გამოეცხადა ანგელოზი და უბრძანა ახალი რელიგია ექადაგებინა. მანი გაემგზავრა და წელიწად ნახევარი დარჩა ინდოეთში; მერმე მობრუნდა სპარსეთს და მეფე არდაშესაგან ნებართვა მიიღო თავისი რელიგია გაევრცელებინა (242 წ.). იქიდან იგი გადავიდა ბაბილონის მხარეს, მოიარა სუსიანა და სხვა

ქვეყნები. რასაკვირველია, სპარსული რელიგიის მოგვებმა მას ომი გამოუცხადეს და სპარსეთის მეფე ვაჰრამ პირველის დროს იგი სიკვდილით დასაჯეს, 276 წელს. მის გარშემო შეიქმნა მრავალი თქმულება, და ერთ მათგანი ამბობს, იგი ჯვარცმის შემდეგ ცად ამაღლდაო. დაიწყო მანის მიმდევართა დევნა და მისი მოადგილე სისინნიოს აგრეთვე სიკვდილით დასაჯა 296/292წელს.

ირანის სასანიდთა გვარის მეფე, ბაჰრამ პირველმა 200 მანიქეანი, ფეხებ გაკრული, თავით მიწაში ჩაარჭობინა. აი, ამას ეწოდება ბაჰრამის ბაღი". 62ა. მაგრამ მაინც მანის მოძღვრება ძალიან სწრაფად გავრცელდა აღმოსავლეთის და დასავლეთის მიმართულებით; მან დიდ ხანს იცოცხლა მრავალი დევნის მიუხედავად.

***

მანიქეიზმი არის ყველაზე უფრო გნოსტიკოსური რელიგია; მასში თავმოყრილია გნოსტიციზმის ყველა დამახასიათებელი ელემენტი – გაორება = დუალიზმი ღმერთისა და მატერიისა, კეთილი ნათელისა და ბოროტი წყვდიადისა; ცხონება არის მისი მთავარი დებულება და ამის მიღწევა ხდება ცოდნით, ანუ ცნობით (გნოსის).

მანიქეიზმი არის ცხონების რელიგია, მაგრამ იგი დამყარებულია არა რწმენაზე, არამედ ცოდნა-ცნობაზე, გნოსისზე. იგი მიმართავს არა რწმენას, არამედ მეცნიერებას, ცოდნას; მიმართავს არა გულს არამედ გონებას, – გონებას სადას და წმიდას: კაცმა არ უნდა იწამოს, თუ რწმენის საგანი თავისი თვალით არ იხილა! არა მარტო ცხონების, ანუ სოტეოროლოგიის საკითხი მჭიდროდ დაკავშირებულია მანიქეიზმის სისტემაში კოსმოგონიასთან, რომელიც ამავე დროს არის კოსმოლოგიაც, არამედ ასტრონომია, ფიზიკა, ანთროპოლოგია და თვით ბოტანიკაც, გეოლოგიაც, და დუალიზმის ცნობაც, ცოდნა იმისა, რომ შეუთავსებელია ნათელი და ბნელი, სიკეთე და მატერია, და აქედან გამომდინარე პრაქტიკული დასკვნით ზნეობისა და კულტის შესახებ. ამით მანიქეიზმი არის რელიგია ნოუსისა (ნუს), გონებისა, რომელსაც ესმის, გაეგება; რომელიც ანათლებს და ხელმძღვანელობს; რომელიც იხსნის, აცხონებს და ცხონდება. ამგვარად, მანიქეიზმი არის ტიპიური გნოსტიციზმი და მეორე მხრივ ისტორიულად იგი დაკავშირებულია ქრისტიან გნოსტიკოსებთანაც.

***

მანის მოძღვრების მთავარი ამოცანაა ადამიანის გადარჩენა, და ხსნა, ცხონება. ადამიანი იმყოფება ტანჯვაში, ცოდვაში, ბოროტებაში. მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს. ადამანი თავისი ნამდვილი ბუნებით და თავისი წარმოშობით უცხო უნდა იყოს და მაღლა უნდა იდგეს იმ მდგომარეობაზე, რომელში იგი დღეს იმყოფება. ეს პირველადი სიწმინდე, რომელიც იყო ლხინი, სიხარული, მშვიდობა და თავისუფლება, გასვრილია და გათახსირებული იმ გვამისაგან, რომელთანაც ადამიანი დაკავშირებულია; გაფუჭებულია გარეგანი ქვეყანისაგან, რომელიც მას მძიმედ აწევს;

დაძაბუნებულია იმ მატერიისაგან, რომელიდანაც მისი გვამი და ეს ქვეყანა არის შემდგარი. „მე“ არსებითად არის სულ სხვა ბუნების, ვიდრე გვამი და ქვეყანა, რომელიც მას სავსებით ეწინააღმდეგება. ეს წინააღმდეგობა შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: – ერთი მხრივ ნათელი და კეთილი არსება, რომელიც მეორე მხარესთან არის შერეული, ბნელ და ბოროტ არსებასთან, რომელიც პირველს შხამავს. ეს თანამედროვე და არა-ნორმალური შერევა არის შედეგი დაცემისა: უწინ იყო მდგომარეობა, სადაც ნათელი არსებობდა მთელი თავისი სისრულით და სრული დამოუკიდებლობით, სავსებით გამოყოფილი იყო წყვდიადისაგან. იმედია, მომავალში ეს პირველყოფილი მდგომარეობა აღსდგება და ნათელი წყვდიადისაგან განცალკევდება.

***

წარმოდგენილია ორი დებულება: ნათელისა და წყვდიადისა, რომელსაც მოსდევს სამი ჟამი: 1. დრო, როდესაც ნათელი და წყვდიადი განცალკევებული იყო (ჟამი წინარი), 2. დრო სინათლისა და სიბნელის შერევისა (დრო მყოფი), 3. აღდგენა ცალკეულისა, განყოფა ნათელისა და წყვდიადისა (ჟამი შემდეგი და საბოლოო).

დღესაც არსებობს ორადობა, არის ორი „ბუნება“, ანუ ორი არსი: ნათელი და წყვდიადი, სახიერება (სიკეთე) და ბოროტი (ავი). თითოული მათგანი არის დებულება მარადული; თითოულს აქვს თანასწორი ღირებულება და ძალა. ამ ორივეს არ აქვს რაიმე საერთო და ერთი მეორეს ყველაფერში ეწინააღმდეგება.

ორივე ეს დებულება წარმოდგენილია სივრცითაც: 1. სიკეთის მხარე არის ჩრდილოეთში; 2. სიბოროტის მხარეა – სამხრეთი. თითოულ მხარეს განაგებს საკუთარი მეფე; სინათლის მხარეშია „დიდების მამა“, მამაღმერთი ქრისტიანული, „სრაოშა“ სპარსული, „ზერვანა“ (ანუ ზურვან, ზრვან) მასდეურ-ბაბილონური. წყვდიადის მხარეში მეფობს წყვდიადის თავადი (ქრისტიანული სატანა, სპარსული აჰრიმან). –

ნათელისა და წყვდიადის სამეფო, თითოული შემდგარია ხუთი ელემენტისაგან, რომელი ხუთ ნათელ და ხუთ ბნელ ხეს წარმოშობს. ხუთი ნათელი ხეა: მეცნიერება, გონება, აზრი, ფიქრი, ნება, რომელიც არის სასუფეველი, წევრი მამისა, ანუ ბრწყინვალე ეთერისა, რომელიც ნათელის ხმელეთს გარს ახვევია, სადაც „მამა“ ცხოვრობს.

კვამლი, ცეცხლი მშთანთქმელი, წყალი და წყვდიადი, რომელნიც გამოდიან ხუთი ნაპრალიდან, ხუთ ქვეყანას შეადგენენ, სადაც ხუთი მეფე მეფობს: 1. დემონი, 2. ლომი, 3. არწივი, 4. თევზი, და 5. გველეშაპი. ამ ხუთ მეფეს შეეტყვისება ხუთი მეტალი (ოქრო, სპილენძი, რკინა, ვერცხლი, კალა) და ხუთი გემო: (მარილიანი, მწკლატე, მჟავე, მწუთხე, მწარე).

ორივე სამეფოს, ნათელის და წყვდიადის მხარის მოსახლეობა ძალიან მდიდარია. „დიდების მამა“, რომელიც თავის ნათელთან, თავის ძალასთან და თავის სიბრძნესთან ერთად ჰქმნის უზენაეს სამეულს და რომელიც

ფლობს „დიდ სულში“ ერთგვარ პარედრს, გარშემორტყმულია 12 მთავარი ეონით (ციური სულით); ეს ეონები (ციურნი სულნი) განაწილებულნი არიან სამეულად ნათელის ქვეყნის მთავარ ოთხ წერტილში და მათ მიჰყვებიან ურიცხვი ეონები.

ხუთი წყვდიადის სამეფოში ცხოვრობენ ხუთნი გუნდნი ქვესკნელ არსებათა: დემონნი, ოთხფეხნი, ფრინველნი, თევზნი და ქვეწარმავალნი.

***

ამასთანავე სინათლისა და სიბნელის, ამ ორი მთავარი პრინციპის წარმოდგენა შეიძლება დინამიურადაც. მათი გავრცელება ბუნების სივრცესა და მიმართულებას განსაზღვრავს. სიკეთე მიდის ზემოთ და ვრცელდება დაუსრულებლივ ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ, დასავლეთისაკენ; სიბოროტე კი ვრცელდება სამხრეთისაკენ. ეს ორი დაუსრულებელი გავრცელება, – პირველი სამი მიმართულებით და მეორე მხოლოდ ერთი მიმართულებით, – შეხვედრისას ერთმანეთს აჩერებენ, რომლის შედეგად სინათლე სწყდება ქვემოდ, ხოლო სიბნელე კი ზემოდ, სადაც იგი იჭრება როგორც კუთხე სინათლეში, რომელიც მას სამი მხარიდან ალყად ერტყმევა. ამით შეგვიძლია გავიგოთ, თუ როგორ მოხდა და როგორ დაიწყო ნათელისა და ბნელის შერევა, როდის წარმოიშვა ამჟამადი ვითარება, ორი პრინციპის გადალახვა... და ეს მოხდა იმიტომ, რომ მატერიას აქვს ძალა დაიპყროს და შთანთქას სინათლე. ამიტომ წყვდიადი მარად მიილტვის ნათელის ჩასაყლაპად; დემონები იბრძვიან სინათლის მოსასპობად. მაგრამ „დიდების მამა“ შეებრძოლება დემონთა თავდასხმას და ბრძოლაში იგი გარდმოავლენს პირველად ყოვლისა „სიცოცხლის დედის“ სახეს, ანუ „ცოცხალთ“, რომელთა პირველი სახე არის „დიდი სული“. ეს „დედა“, რომელს ხან და ხან ეწოდება „რამრატუხ“, წარმოშობს თავის მხრივ „პირველად ადამიანს“ (მას უთანასწორებენ ღმერთ ორმუზდს). პირველი ადამიანი თავისი ხუთი შვილით (ჰაერი, ქარი, სინათლე, წყალი და ცეცხლი) გადალახავს საზღვარს, სადაც მას დაამარცხებს სიბნელე, და მის შვილებსაც დემონები შთანთქავენ. ეს გაგზავნა და დამარცხება არის შერევის პრინციპი, ნათელისა და წყვდიადის აღრევა და აქვე ედება საძირკველი დახსნის, ცხონების წარმოშობის ამბავსაც.

***

„პირველი ადამიანი“ არის დიდების ჰიპოსტასი, მისი სახე, თვით ღმერთი; ეს პირველი ადამიანია იგივე, რაც ღმერთის სული. ამ ადამიანის ცოცხალი სული ღმერთის ნაწილია, რომელს მატერია ებრძვის და რომელიც ამ მატერიამ გადაყლაპა. მაგრამ მომავალში, ცხონების ხანაში თვით ეს ღმერთია მაცხოვარი და მხსნელი, მაგრამ ჯერჯერობით სული დემონებს ჰყავთ შეპყრობილი, ოღონდ უწინარეს ყოვლისა უნდა დახსნილ იქმნას თვით ეს „პირველი ადამიანი“. როდესაც „პირველი ადამიანი“ გონზე მოვიდა, რაც მან დაჰკარგა წყვდიადში ჩავარდნისა გამო, მან „დიდების მამას“ შვიდ ჯერ ლოცვით მიმართა. ღმერთმა მამამ მისი ლოცვა შეიწყნარა და შეჰქმნა მეორე ქმნილება, „სინათლეთა მეგობარი“ (ნარისაფ, ნარიშანხ),

და ამ „სინათლეთა მეგობარმა“ გამოიწვია „დიდი ხუროთმოძღვარი“ (დიდი ბან) და ამ “დიდმა ხუროთმოძღვარმა“ გამოიწვია „ცოცხალი სული“, და ამ „ცოცხალმა სულმა“ გამოიწვია თავისი ხუთი ვაჟი და მათ გასწიეს წყვდიადის მხარეში მისასვლელად; და როდესაც ისინი ქვესკნელთა ნაპრალებს ჩააცქერდნენ, იქ დაინახეს „პირველი ადამიანი“, წყვდიადისაგან შთანთქმული. მაშინ „ცოცხალმა სულმა“ ხმამაღლა დაიყვირა და „პირველმა ადამიანმა“ თავისი პირველი სახე მიიღო და „ცოცხალმა სულმა“ მას უთხრა –

– სალამი შენ, რომელი იმყოფები წყვდიადში. ღმერთი, რომელი ხარ ტანჯვის ცხოველთა შორის; რომელმა არ იცის თავისი ბედნიერება!

ამაზე „პირველმა ადამიანმა“ უპასუხა:

– კეთილი იყოს შენი მობრძანება, რომელს მოგაქვს ცნობა მშვიდობისა და ცხონებისა

და მან კიდევ უთხრა:

– როგორ არიან ჩვენნი მამანი, ნათელის შვილნი მათ სამყოფელში?

და „მოწოდებამ“ უპასუხა:

– კარგად არიან.

„მოწოდება“ და „პასუხი“ ერთმანეთს შეუერთდნენ და ამაღლდნენ „სიცოცხლის ბედისაკენ“ და „ცოცხალი სულისაკენ“; და „ცოცხალმა სულმა“ შემოსა „მოწოდება“, და „სიცოცხლის დედამ“: „პასუხი“. ისინი ჩავიდნენ წყვდიადის მხარეში, იქ სადაც იყვნენ „პირველი ადამიანი“ და მისი შვილები. იქ „ცოცხალმა სულმა“ ჩაუწოდა თავისი მარჯვენა ხელი ადამიანს და ამოიყვანა იგი ბნელეთიდან და ადამიანი განთავისუფლდა მატერიისაგან, გახდა ისევ ღმერთი, და ამაღლდა ნათელის სამოთხეში.

***

ამ დოგმატიურ მითოსში, – ამბობს შარლ პუეშ, – „პირველი ადამიანი“ მოსჩანს ვითარცა მხსნელი, მაცხოვარი, რომელმან იხსნა თავისი თავი. ხსნა აღწერილია როგორც გამოღვიძება შეგნებისა, რომელიც დროებით მოსპობილი იყო დავიწყებითა და უვიცობით, რასაც გვამი იწვევს; და იგი დასრულდა გაღმერთებით, ესე იგი, თავის ღვთიურ წარმოშობასთან დაბრუნებით. ეს სულიერი აღდგომა არის ქმედობა გონებისა, მხსნელი ელემენტისა, რომელს „პირველი ადამიანი“ შეიცავს, მაშინ როცა მისნი შვილნი, რომელნიც წყვდიადში ჩარჩნენ, წარმოადგენენ იმ ელემენტთ, რომელნი დახსნილ უნდა იქმნან, „ფსიხეს“ გამოსახავენ; „გონების“ („ნუს“) გამოღვიძება გამოწვეულია, თუ წარმოდგენილია (ცოცხალი სულის) ჩარევით, რომელს მოაქვს სულისათვის „სასიცოცხლო ძალა“, „პნევმა“, ანუ გონება, ესპრი, მისი ხუთი ნიჭით (სიცოცხლე, ძალა სინათლე, სიმშვენიერე, სინაზე). მაცხოვარობის საჭიროება და სურვილი აქ პოულობს წარმტაც სიმბოლოებს; ხვეწნა-ლოცვას, რომლითაც „პირველი ადამიანი“ „მამას“ მიმართავს, მოსდევს სულის საშინელი ყვირილი, მოწოდება რომელსაც

შემდეგ მოსდევს პასუხი „პირველი ადამიანისა“; მოწოდება და პასუხი გამოსახულია ორ პირში, ეს ორი პირი მანიქეიზმის ორ ღმერთად ხდება: „ხროშტაღ“ და „პათვახტაღ“. მოწოდებას ეძლევა „ცოცხალი სული“ და მას ეპასუხება. ესაა მოწოდება დახსნისაკენ, ცხონებისაკენ, იდუმალი ხმა გამოსული ზესთადან, და ის ჩაწვდება სულს და განაღვიძებს მასში იმედს და სურვილს, რათა იგი დახსნილ იქმნას. სული აძლევს პასუხს ამ მოწოდებას თავისი სურვილით, ნდობითა და მინდობით; იგი გამომდინარეობს ადამიანისაგან, ან უფრო ზუსტად: რადგან ეს თითქმის წყალობის ნიჭია „დედისაგან“, რომელიც არის დედა ცოცხალთა, ესე იგი: ყველა მორწმუნეთა, – მომავალში. ეს ღვთიური სიტყვა-პასუხი სრულდება მოწოდებისა და პასუხის მჭიდრო გაერთიანებით ისე, რომ ისინი წარმოადგენენ უკვე „სიცოცხლის სურვილს“, და მათი ამაღლებით დახსნილია ადამიანი.

***

მაგრამ პირველყოფილმა ადამიანმა წყვდიადში დატოვა თავისი ხუთი შვილი, ესე იგი: თავისი სული, რომელი მატერიას შეელია და ასე თვითონაც დასუსტდა, დაისვარა, დავიწყებაში ჩავარდა, ტანჯვაში და გაჭირვებაში მოხვდა. ამ შვილების, ანუ სულის დახსნისათვის ხდება ქვეყნის წარმოშობა და შექმნა. შუამავალი (დემიურგოს) არის ცოცხალი სული (სპირიტუს), რომელს ხან და ხან „მიჰრიაზდს“ (მითრა) უწოდებენ; ხუთი თავისი შვილის დახმარებით იგი დემონებს ამარცხებს; მათი ტყავისაგან ცას აკეთებს, მათი ძვლებისაგან – მთებს, მათი ხორცისაგან – მიწას. ამგვარად შემდგარი მსოფლიო შეიცავს ათ სამყაროს თორმეტი კარებით, და რვა მიწას, რომელთაც თავის ბეჭებზე ატარებს „ომოფორე“. მეორე მხრივ, დემიურგოსი ნათელის პირველ განთავისუფლებას ახდენს სინათლის იმ ნაწილებისაგან, რომელიც სიბნელესთან შერევით არ დაკნინდა, ამნაირად იქმნება მზე და მთვარე; მეორე ნაწილისაგან, რომელიც მცირედ დაზიანდა, შეიქმნებიან ვარსკვლავნი; მესამე ნაწილი, რომელი შერყვნილი იყო, იგი თავისი განთავისუფლებისათვის კიდევ დროს მოითხოვს. „სიცოცხლის დედის“, „პირველადი ადამიანის“ და „ცოცხალი სულის“ თხოვნა-ვედრებით „დიდების მამა“ მესამე ქმედობას იწყებს, რომლის მთავარი პირი არის „მახარობელი“, ანუ „მესამე წარგზავნილი“, „ღმერთი ნათელის ქვეყანისა“, „ნარისაჰ“ (ხან და ხან: მითრა), მამა „თორმეტი ქალწულისა“ (სამეფო, სიბრძნე, გამარჯვება, დაჯერება, სიწმიდე, ჭეშმარიტება, რწმენა, მოთმენა, პირდაპირობა, სათნოება, სამართლიანობა, სიმართლე), რომელიც თორმეტ ზოდიაკოს შეეტყვისება.

ეს მესამე წარმომადგენელი დაიხსნის მსოფლიოს იმდენად, რამდენადაც იგი აწყობს მანქანას, რომელმაც უნდა ამოსწუროს და განასხივოსნოს გაქცეული სინათლე. ბორბალნი ამ მანქანისა არიან ქარისა, წყალისა და ცეცხლისა, რომელთაც ატრიალებს „ცოცხალი სულის“ შვილი, მეფე სახელოვნებისა, და განსაკუთრებით: მზე და მთვარე. თითოული განთავისუფლებული არსი, სრულოყოფილი ადამიანი სინათლის სვეტით

ადის მთვარეზე, რომელიც ასეთი მიმატებით იბერება და ივსება, ხდება ბადრი. თავისი უკანასკნელი თუთხმეტი დღის განმავლობაში სრულყოფილი ადამიანი ადის, ანუ მაღლდება მთვარიდან მზეზე, საიდანაც იგი შემდეგ ადის ციურ სამშობლოში. ოღონდ ეს მესამე წარგზავნილი ხმარობს უფრო ნაკლებად მექანიკურ საშუალებას: – იგი თავისი ბრწყინვალე სიშიშვლითა და როგორც „ქალწული ნათელისა“ გამოეჩვენება მზეზე დემონ–მამაკაცებს ხან ვით დიაცი, და დიაც დემონებს ხან ვით მამაკაცი; იგი ამნაირად იწვევს მათში სურვილს და ავრცელებს მათ თესლთან შერევით იმ სინათლეს, რომელიც მათ ჩაყლაპეს. მათი ცოდვა „ცვივდება“, იყრება მიწაზე; სოველი ნაწილისაგან იგი ჰბადებს ზღვაურ საშინელებას, რომელსაც „ადამას“ – სინათლე დალახვრავს; მშრალი ნაწილისანგან იგი ჩანერგავს ხუთ ხეს, რომლისაგან მცენარეულობა წარმოიშვება. თავის მხრივ, დიაცი დემონები, შეწუხებულნი ზოდიაკოთა ტრიალით, რომლებთანაც ისინი დაკავშირებულნი არიან, მკვდრად ჰბადებენ „მაზანს“ და „ასრეშტარს“; ესენი მიწაზე ჩამოვარდებიან, შესჭამენ ხეებს, შეურევენ სინათლეს თესლთან და ერთი მეორეს შეეუღლებიან, რათა თავიანთი დემონური შთამომავლობა წარმოშვან. ეს არის ცხოველთა, პირუტყვთა სამეფოს წარმოშობა.

***

დაჩენილი ნათელი არსის ნაწილი, რომელი უნდა გადარჩენილ, დახსნილ იქმნას, იკრიბება მიწაზე, მაგრამ იგი შეპყრობილია მცენარეთა და დემონთა გვამებში. კიდევ მეტი, მესამე წარმომადგენელის გამოჩენა შიშსა ჰგვრის მატერიას, რომელიც განპიროვნებულია „აზ“-ში; ეს მატერია ცდილობს, რათა მას არ გაექცეს ჩაყლაპული სინათლე, და ამიტომ ორი დემონი, მამაკაცი „აშაყლუნ“ და დედაკაცი „ნამრაელ“, მას შემდეგ რაც აშაყლუნი მაზნისა და ასრეშტარის შვილებს შესჭამს, რათა შთანთქას ყველა ის სინათლე, რომელიც მათშია, შეუღლდებიან და წარმოშობენ პირველ ორ ადამიანს: – ადამსა და ევას, ანუ „გეჰმურდ“ და „მურდიიანაღ“-ს; ამით უკვე კაცობრიობა დაბადებულია კაციჭამიობისა და შეუღლების საშინელი მოქმედებიდან, და ამის ნიშნებს დღესაც ატარებს; ესაა გვამი, რომელიც პირუტყვული ფორმაა; ესაა სქესი, რომელიც ადამიანს იწვევს შეუღლებისა და გამრავლებისაკენ. ეს ხდება მატერიის გეგმის მიხედვით, რომლის მიზანია სამარადისოდ დაპყრობილი იყოლიოს ნათელი სული. ამგვარად, ადამი და მისი ჩამომავლობა ახლა ხდება განთავისუფლების, დახსნის, ცხონების მიზნად. მატერიამ შეჰქმნა პირველი ადამიანი, ყრუ, ბრმა, შეუგნებელი, რომელმაც არ იცოდა არც თავისი წარმოშობა, არც თავისი მოდგმა, არც ღვთიური ოჯახი. მან შეჰქმნა გვამი და საპყრობილე; მან გაჯაჭვა სული, რომელმა დაჰკარგა შეგნება. „აზ“-მმა სული შეუერთა წყეულ გვამს, ტანს მტკიცედ; მან იგი ქმნა საშინელ და ცუდ, აღსავსე მწუხარებითა და შურის ძიებით. როდესაც ეს სივაგლახე დაინახეს, ხუთმა ანგელოზმა, რომელიც ხუთ ციურ დატუსაღებულ ელემენტს შეეტყვისება, თხოვა „სიხარულის მახარობელს“, „სიცოცხლის დედას“, „პირველ ადამიანს“ და „ცოცხალ სულს“ გამოუგზავნონ ადამიანთ დამხსნელი, რომელიც მას

დაუბრუნებს შეგნებას და გამოჰგლეჯს მას დემონის ხელიდან. ისინი აგზავნიან იესო ქრისტეს, იესო ბრწყინვალეს (ზოგ წერილში მის მაგიერ მოხსენიებულია ოჰრმუზდი, ანუ „პირველადი ადამიანი“ ღმერთი, ან კიდევ „შვილი ღმერთისა“, რომელმაც უნდა დაიხსნას ადამი).

განკაცებული იესო მაცხოვარი ჩამოდის მიწაზე, სჯის „აზ“-სს და შემომქმედ ორ დემონს, და ადამიანს უახლოვდება. მან ადამიანი გააღვიძა სიკვდილის ძილისაგან, რათა დაიხსნას იგი მავნესაგან, და დააბას შორს მისგან ძლიერი დემონი დედაკაცი. ადამიანმა განიხილა თავისი თავი და იცნო იგი.

იესო ქრისტემ უჩვენა ადამს „მამანი“, მსხდომარენი ცაში და თვით ადამის სული. იესომ წამოაყენა ადამიანი და აგემა მას სიცოცხლის ხე. ადამმა შეხედა მას – დაიწყო ტირილი და ხმა მაღლად ყვირილი, თან თმებს იგლეჯდა, მკერდს იცემდა და ამბობდა: ვაი მას, ვაი მას. ჩემი გვამის, ტანის შემქმნელს; ვაი მას, ვინც სული ჩემი შეჰკრა და ვაი მათ, აჯანყებულთ, რომელთაც მე დამიმონეს!

ადამიანი ამაღდლა და ავიდა სამოთხეში, ნეტართა სამეუფოში. ეს ამბავი გვიჩვენებს, რომ კაცობრიობაც მომავალში დახსნილი და ცხონებული იქნება. ამ ცხონებაში მთავარი მომქმედია ადამიანის შეგნება, მისი ცოდნა, გნოსის, რომელსაც მას მაცხოვარი ანიჭებს.

***

ამგვარად, ისტორიაში ორი მიმართულებაა – 1. ნათელისა და წყვდიადის შერევა; 2. ამავე დროს თანდათანობითი ცხონების შესრულება. საუკუნეთა განმავლობაში მოხდება ეს პროცესი და დაბოლოს, ღვთიური არსი, სიბნელეში ჩაყლაპული, მისგან განთავისუფლდება, ნელ ნელად მატერიის სიცოცხლე ამოიწურება და დაიშრიტება. ოღონდ ეს მსვლელობა, ეს პროცესი შეფერხებულია და შენელებული კაცობრიობის ცოდვით, რომელიც ნათელისა და წყვდიადის შერევას მხარს უჭერს; იმის მიუხედავად, რომ იესო ქრისტემ ადამს ურჩია, ადამიანი ავრცელებს თავის შთამომავლობას, და მანამ გაავრცელებს და გაზრდის მას, სანამ იგი თავს არ შეიკავებს სქესობრივი კავშირისაგან. ეს თავშეკავება გამოიწვევს სინათლის საბოლოო გამოხსნას და მსოფლიოს დასასრულს, რაც დაიწყება დიდი ომით და რომელს მოჰყვება მანიქეიზმის სრული გამარჯვება. ამ გამარჯვების შემდეგ ხდება უკანასკნელი განსჯა იესო ქრისტეს სამსჯავროში. უკვე ნაცხონები, მანიქეანნი „რჩეულნი“ მონაწილეობას მიიღებენ ვითარცა მსაჯულნი ამ სამსჯავროში და მათ ექნაბათ სახენი ანგელოზთა, რომელნიც ქრისტეს გარს ერტყმიან. ღირსეულნი მორწმუნენი დასდგებიან სამსჯავროს მარჯვენა მხარეზე, ხოლო ცოდვილნი – მარცხნივ, და ესენი დემონებს გადაეცემიან.

დახსნილ კაცობრიობაში იესო ქრისტე ცოტა ხანის მეფობის შემდეგ ქვეყანას დასტოვებს. ქვეყანა 1. 468 წელიწადის განმავლობაში განიწმიდება და შემდეგ დაიღუპება, მოისპობა. სინათლის ნაწილაკნი, რომელთა გადარჩენა კიდევ შესაძლებელია, შეიკრიბებიან „დიდი აზრ“-ში („მოწოდება“ და

„პასუხი“) „უკანასკნელი ქანდაკების“ სახით, რომელიც ამაღლდება ზეცად, ხოლო მისჯილნი და დემონები, მატერია თავისი სქესით დატყვევებულნი იქმნებიან „ბოლოს“-ში და იქ ჩამარხულნი და „ბოლოს“ დაედება უზარმაზარი ლოდი. ასე დასრულდება ნათელისა და წყვდიადის ერთი მეორისაგან განშორება და პირველყოფილი მდგომარეობის აღდგენა. ბრძოლა კეთილობისა და ბოროტების, სახიერებისა და ავობის შორის ამგვარად ნათელის გამარჯვებით დასრულდება.

***

პიროვნების დასხნა და ცხონება მოხდება მისი სიკვდილის შემდეგ და სიკვდილით, რომელიც გვამის მოსპობას იწვევს. სული სტოვებს გვამს, რომელიც უკანასკნელად განიწმიდება მზისა, მთვარისა, ნათელის მეოხებით, რომელნიც მას, გვამს გამოაცლიან მის ძალებს, ანუ: წყალს, ცეცხლს და სუნთქვას. გვამის ნაშთი, რომელიც არის სიბნელე, ჯოჯოხეთში ჩავარდება. ამგვარად სიკვდილი არის „გასვლა“ გვამისა და „გასვლა“ ქვეყნის გარედ, განთავისუფლება ნამდვილი „მე“-სი, განშორება საბოლოო ცოცხალი სულისა და ბნელი გვამისა. მაგრამ სიკვდილი არის დახსნა და ცხონება მხოლოდ მათთვის, ვინც მანიქეური ცხოვრების წესები შეასრულა; ვინც არის „სრულადი“. სხვებისათვის არსებობს გარდამავალი მდგომარეობა; „არა სრულად“ ადამიანს მისჯილი აქვს დაბრუნება შერეულთან და ბოროტთან, სანამ იგი თავის მანიქეურ სრულადობას არ მიაღწევს. ხშირად „არა სრულადი“ არსება, შეცდომათა შედეგად, რომელიც მან ჩაიდინა, და მისგან არ განიწმიდა, დაიბადება უკვე არა ადამიანის სახით, არამედ პირუტყვად, რითაც მისი გამოხსნის საშუალება მცირდება.

ამგვარად, მანიქეიზმის წარმოდგენით, ეს უზენაესი მოვლენა დასახულია როგორც გამოცხადება, წარდგომა „ახალი და ძველი ადამიანისა“ „დიდი მსაჯულის“, ანუ „ჭეშმარიტების მსაჯულის“ წინაშე, რომელიც სულს ან ანთავისუფლებს სამუდამოდ, ან უბრუნებს სიცოცხლეს სამუდამოდ; ხოლო ძველი ადამიანი გადაეცემა ანგელოზებს, რომელნიც მას უთვალყურებენ უკანასკნელ დაბრკოლებამდე, ან მიჰყავთ იგი შერევის სამეფოში, რათა იქ კვლავ შევიდენ, ან ჰკრულავს მას საბოლოოდ და აგზავნის სასიკვდილოდ, ჯოჯოხეთში. მხოლოდ სული „სრულადისა“, ანუ „რჩეულისა“, ღმერთთა და გამაცილებელ ანგელოზთა მიერ ხლებული, რომელნიც მას იცავენ დემონთა უკანასკნელი თავდასხმისაგან, გვამს საბოლოოდ სტოვებს და იმოსება სინათლის სახით, ხდება ერთგვარი ახალი ადამიანი, თავისი მეორე „მე“, გამოვლენა გონების (ნუს) სინათლისა, რომელიც ატარებს მაცხოვარის ნიშნებს, როგორიცაა იესო, მანი, ან გონება; სული ღებულობს სამოსელს, სინათლის გვირგვინს და გამარჯვების ნიშნებს, რომელიც ერთსა და იმავე დროს არის წყვდიადზე გამარჯვების სიმბოლო და თავისი უხრწნელობის აღიარების დადასტურება. ზეიმით მიდის ეს სული მთვარეზე, მზეზე, და იქედან სასუფეველში და სალხინოში, ნათელის მარადულ სამეფოში.

ასეთია თეორიული იდეალი და საბოლოო მიზანი, ცხონებისა, მაცხოვარობისა. უკანასკნელი და წინასწარმეტყველი და დამხსნელი არის

თვითონ მანი, მანიქეოს; მანი – პარაკლეტოს, ანუ მაცხოვარი. ამ მოძღვრებაზე არის აგებული მანიქეური ეკლესია და მისი მორალი.

***

სულს, რომელიც თავის თავად არის სინათლე და სიკეთე, არა აქვს ცოდვა თავისთავად და არც არის იგი ცოდვისათვის პასუხისმგებელი. მაგრამ ეს სული ცოდვილიანდება ხორცთან დაკავშირებით; ერთად ერთი მიზეზი ცოდვისა არის მატერია, რომელიც თავისი არსებით არის სიბოროტე. ეს სიბოროტე, რომელიც მატერიის თანაბუნებრივია, არსებობდა და იარსებებს მუდამ. მხოლოდ გონებას შეუძლია დაეხმაროს სულს ბოროტისადმი გამძლეობაში, და სხვა. აქედან გამომდმნარეობს ზნეობრივი წესები, რომლის ძალით მანიქეანმა უნდა დაიცვას თავისი სიწმიდე. მან უნდა გასწყვიტოს კავშირი მატერიასთან, განკერძოვდეს მისგან, არ შეეხოს მას, დაჰგმოს სურვილები და უარჰყოს ქვეყანა. იგი უნდა მოსცილდეს ხორცს და ქვეყანას, მას არ უნდა ჰქონდეს არაფერი; ყიდვა და ქონება სახლისა, ზვარისა, მონისა არის ბოროტება; სიმდიდრე და საკუთრება დაგმობილია; ომი, ნადირობა, ვაჭრობა, მეურნეობა და საერთოდ: ყველა საერო მოქმედება „სრულადი“ მანიქეანისათვის უარყოფილია; მას შეუძლია მხოლოდ ერთ ჯერ სჭამოს დღეში და წელიწადში ერთ ჯერ გამოიცვალოს სამოსელი...

გარეგანი ქვეყანა სავსეა სულებით; ნაყოფი სტირის, როცა მას მოსწყვეტ; მიწა იტანჯება, როცა მას ხნავ; ჰაერი ზუზუნებს მწუხარებით, როცა მას დაჰკრავ; წყალი ისვრება, როცა მასში იბანებ; ყველაფერი ეს არის ცოდვა და დანაშაული როგორც მოკვლა ადამიანისა და პირუტყვისა.

მატერიას აქვს არსებაში სურვილი გავრცელდეს თავისი შეუღლებით; ამიტომ თავი უნდა შეიკავო სურვილებისაგან. სქესობრივი კავშირი არის უდიდესი გასვრა და ჭუჭყი. სურვილი იბადება გვამისაგან, განსაკუთრებით იმ გვამისაგან, რომელიც ხორცის ჭამით არის გახურებული; ეს სურვილი სულში მთელს შეგნებას და მთელს სიბრძნეს ანადგურებს. იგი არის მხეცური და დემონური; შეუღლების მიბაძვაა და მისი შედეგი არის კაცთა გამრავლება, პირველად სიბოროტეზე გადაცემა. ამით კაცი ხდება მატერიის იარაღად, რომლის ერთად ერთი მიზანია სინათლის ნაწილაკები გვამში ჩაიჭიროს და მუდმივ ტყვეობაში ამყოფოს. სქესობრივი ცხოვრება აბრკოლებს და აგვიანებს კაცობრიობის ცხონებას. ამიტომ უარი უნდა ითქვას ხორციელ სიამოვნებაზე, ცოლქმრობაზე; ბავშვის გაჩენა უნდა გეზიზღებოდეს, და სხვა ასე...

***

მანიქეური მთელი წესი სამ ბეჭედს (ტრია სიგნაკულა) შეიცავს: 1. ბეჭედი პირისა, რომელი ბრძანებს ხორცის, სისხლის, ღვინოს, მაგარი სასმელის და ღმერთის გმობის აკრძალვას; 2. ბეჭედი ხელისა, რომელი ჰგმობს ყოველ გვარ თავდასხმას „სინათლის ჯვარზე“ და 3. ბეჭედი გულისა, რომელი მოითხოვს თავისდაჭერას, თავშეკავებას და სქესობრივ სიწმიდეს.

როგორ შეეძლოთ მანის მიმდევრებს ყველა ეს მოთხოვნილება აღესრულებინათ? და აი აქ ჩნდება ორმაგი მორალი, ორნაირი ზნეობა.

ზემო აღნიშნული მორალის შედეგად უნდა ყოფილიყო ქვეყნის უარყოფა და სიკვდილი. მაგრამ ასეთი იდეალი განუხორციელებული იყო ხალხისათვის და თვით რჩეულთათვისაც. ამიტომ მანის მიმდევართა წრე გაყოფილი იყო ორ ბანაკად: 1. რჩეულნი (სრულადნი) და 2. მსმენელნი (არა-სრულადნი). თითოული ამ ორი ბანაკისათვის არსებობდა საკუთარი ბრძანება. „სრულადთათვის“ იყო ხუთი აღთქმა: 1. ჭეშმარიტების სიყვარული, 2. სიწმიდე, 3. რელიგიურ წესთა დაცვა, 4. პირის სიწმიდე და 5. სიხარული ღატაკობაში. მსმენელთათვის ათი მცნებით აკრძალული იყო: 1. კერპთ თაყვანება, 2. სიცრუვე, 3. სიძუნწე, 4. მკვლელობა, 5. მრუშობა, 6. ქურდობა, მკითხაობა, მარჩიელობა. 7. ორმაგობა, ორგულობა. 8. მცონარობა კეთილ საქმეში, 9. სიზარმაცე და 10. იყო ვალდებულება ლოცვისა. „მსმენელი“ არის ჩვეულებრივი ადამიანი, რომელი ხნავს, თესავს, სჭამს ხორცს, ირთავს ქალს და სხვა. თავისი არჩივი მან უნდა მიართვას რჩეულთ, სრულადთ, რომელთაც დაკისრებული აქვთ „სამი ბეჭედის“ შესრულება; რჩეულთ აკრძალული აქვთ ხორცის ჭამა, სასმელი, ყოველი გვარი მოქმედება, რომელი მცენარეს ზიანს მიაყენებს და აკრძალული აქვთ კიდევ სქესობრივი კავშირი. რჩეულთ აჭმევენ უბრალონი და ამ შემთხვევაში ცოდვა მსმენელებს ედებათ, ოღონდ ეს მათ ეპატივება, ვინაიდან ესაა ქველმოქმედება. და თუ რჩეულნი საკვებს ვერ ღებულობენ, ამ შემთხვევაში მათ უნდა იმათხოვრონ, ისინი მათხოვრად მიდიან.

***

მანიქეანთა ეკლესიის თავი არის თვით მანი, და მისი მოადგილე: მამა მთავარი, პაპა; ეკლესიის დანარჩენნი მსახურნი განიყოფებიან წმიდა რიცხვით ხუთი. ამ ხუთი ხარისხიდან პირველი ხარისხი შეიცავს 12ს; მეორე – 72ს; მესამე – 360 მღვდელმსახურს (ქრისტიანული თორმეტი მოციქული, სამოცდა თორმეტი მოწაფე, სამოცდათომეტი ერი). პირველ ხარისხში შედის თორმეტი მოციქული = უფალი, რომელთა პაპა, არის მეცამეტე. მერმე მოდის 72 ეპისკოპოსი, ანუ უფალი ჭეშმარიტებისა, რომელთაც მოციქულები ნიშნავენ. 360 მღვდელს, მამასახლის, ანუ კანონის დარბაზის უფალთ ნიშნავენ ეპისკოკოსები. მეოთხე ხარისხში შედიან „სრულადნი“, ანუ რჩეულნი, ხოლო მეხუთე ხარისხს ეკუთვნიან მოწაფენი, ძმანი და დანი.

***

ასეთი არის საერთოდ მანიქეიზმის მოძღვრება და მისი ეკლესია. აქ აღარ ვეხებით მანიქეანთა წირვას, მათ კულტს. ჩვენთვის აქ საინტერესოა მხოლოდ გალობა–ლაცვა, რომელიც სავალდებულოა რჩეულთათვის. რჩეული, „სრულადი“ ლოცულობს დღეში შვიდ ჯერ; მსმენელი ოთხ ჯერ. ლოცვას წინ უნდა უძღოდეს განწმედა მიმავალი მზის მიმართულებით და მლოცველი უნდა იჩოქებდეს, ემხობოდეს ექვს ჯერ. მლოცველი მსმენელი მამართავს მზესა და მთვარეს. ეს ლოცვა არის საგალობელი, ჰიმნი,

რომელიც მიმართულია აგრეთვე მანისადმი, იესოსადმი, „ვნებისადმი“, „სულისადმი“, ცოცხალი „მე“-სადმი, „პირველი ადამიანისადმი“ და სხვა.

თითოეული მანიქეანი ვალდებული იყო ეზრუნა თავისი მოძღვრების გავრცელებისათვის და ამ გზით მანიქეიზმმა ასპარეზი მოიპოვა: მესოპოტამია, სირია, ჩრდილოეთ არაბეთში ეგვიპტე, ჩრდილო აფრიკა, რომში, დალმაცია, აკვიტანია (სამხრეთი საფრანგეთი), ესპანეთში. მისი გავრცელება დასავლეთში დასრულდა მეხუთე საუკუნეში და უკვე მეექვსე საუკუნეში იგი ეცემა. ხოლო აღმოსავლეთის ეკლესიაში იგი კიდევ დიდ ხანს ცოცხლობს და მას ვხედავთ ბიზანტიაში მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში. აღმოსავლეთით იგი გავრცელდა სპარსეთში, ტრანსოქსანიაში, თურქესტანში, ჩინეთში, იუგურთა სამეფოში, ჩრდილოეთ მონღოლეთში, (სადაც ის სახელმწიფო რელიგად გამოცხადდა), მაგრამ იუგურთა სამეფოს დანგრევასთან ერთად მოისპო 840 წელს. თურქესტანში მოისპო იგი მონღოლთა შემოსევის დროს, მეცამეტე საუკუნის დამდეგს; ჩინეთში აიკრძალა 843 წელს, მაგრამ ზოგ ადგილზე მანიქეანთა მრევლი გადარჩა, და მათაც აუკრძალეს არსებობა 1370 წელს. და ამით დასრულდა მანიქეანთა არსებობაც.

ასეთია მოკლედ მანიქეიზმი და მისი ამბავი.

***

რა კავშირი აქვს მანიქეიზმს ვეფხისტყაოსანთან?

მხოლოდ უვიცობის შედეგია, ვინმე ვეფხისტყაოსანის მსოფლმხედველობას მანიქეიზმს ადარებდეს და მათ შორის რაიმე საერთოს ჰპოვულობდეს!... ოღონდ ამის შესახებ მე გზა და გზა და განსაკუთრებით ჩემს წიგნში: „ვეფხისტყაოსანის ღრმთისმეტყველება“, კიდევ მექნება საუბარი.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მეექვსე

ასტროლოგიური თეოლოგიის მზე

ქარრანელნი, ანუ საბიაჰ-ნნი

ქარრანელნი იყვნენ სირიაში მცხოვრებნი. მათი სახელი წარმოშობილია ადგილის სახელიდან ჰარრან (ძველი ქალაქი: კარრჰეს, სადაც პართებმა რომაელთა კავალერიის სარდალი პუბლიუს გაანადგურეს პირველ საუკუნეში). 62ა. გვ. 210

პირველად ისინი მოიხსენებიან დიონისიოს ტელლ-მაჰრელის ქრონიკაში, დაახლოებით 840 წელს. იგი მათ მანიქეანებში ურევს; მაჰმადიანმა მწერლებმა მათ ყურადღება მიაქციეს და მათ შესახებ ცნობებია დარჩენილი. იბნ ალ-ნადიმ თავის თხუზულებაში „ფიჰრისტ“, ანუ წიგნთა აღწერაში (ბიბლიოგრაფია), რომელიც შედგენილია 987 წელს, გადმოგვცა ზოგი ცნობა ჰარრანელთა შესახებ; ცნობები მოიპოვება აგრეთვე მასჰუდის „მურუჯ ალ-თაჰაბ“-ში (943 წ) და „ტანბიჰ“-ში (956წ.). ზოგი ცნობაა კიდევ შაჰრასტანის (გარდაიცვალა 1153 წ.) ნაშრომში სექტათა შესახებ, და მოსე მაიმონიდეს ნაწერებში (გარდაიცვალა 1204წ.). როგორც სჩანს, ჰარრანელთა მრევლი სირიაში მოისპო მონღოლთა შემოსევის დროს, მეცამეტე საუკუნეში.

მუსლიმანი მწერლები ჰარრანელთ ჩვეულებრივად „საბიაჰ“-ს უწოდებენ და ზოგის ცნობით, ამ საბიანებმა გარეგნულად ისლამი აღიარეს (883წ.) რათა თავისი კულტი დევნისაგან დაეცვათო. მაგრამ ეს სახელი „საბიაჰ“ მიეკუთვნებოდა აგრეთვე სხვა მორწმუნე მრევლთაც, მაგალითად მანდაენთ.

***

ყველა არსებული ცნობის მიხედვით, ქარრანელნი აღიარებდნენ ორ მარადულ პრინციპს: კეთილი და ბოროტი; ისინი თაყვანსა სცემდნენ შვიდ მნათობსა და თორმეტ ზოდიაკოს და ხატავდნენ მათ თავიანთ ტაძრებში. ისინი მათ მსხვერპლსა სწირავდნენ და სუნნელს უკმევდნენ. მათ ჰქონდათ ხუთი ლოცვა, როგორც ეს ისლამის წესშია და საჭმლის შესახებ იმავე წესს მისდევდნენ; მათი რელიგია იყო მაჰმადიანური, იმ დამატებით, რომ საბიანნი შვიდ მნათობს და თორმეტ ზოდიაკოს ემსახურებოდნენო, – ამბობს მარგოლიოთ, – ოღონდ ბევრი არაა სწორი წვრილმანებშიო. ჰარრანელთა ერთი რელიგიური წიგნი ჰარანს ერთმა ყადიმ გადაათარგმნინა და „ფიჰრისტ“-ის ავტორის მიხედვით, ამ წიგნს ბევრი მკითხველი ჰყავდაო; ხოლო მეორე წიგნმა (ხუთი საიდუმლოს წიგნი) ჩვენამდე დამახინჯებულად მიაღწიაო. ჰარრანული კალენდარი შეადგინა აბუ სა-იდ ვაჰბ ბენ იბრაჰმა და მას ვრცელად გადმოგვცემს მისი თანამედროვე ქრისტიანი იბნ ალ-ნადიმ; ალ ბირუნს იგი შეტანილი აქვს თავის „ძველ ერთა ქრონოლოგია“-ში (999 წ), „ფიჰრისტი“-ში მოთავსებულია ჰარრანელთა ღმერთების სახელები და მოგვური თხზულება (ღაიატ ალ-ჰაკიმ) 1048 წლისა; იგი მათი წიგნებიდან ამონაწერებს შეიცავს: დაბოლოს, შაჰრასტანს აღნიშნული აქვს ბაასი საბიანსა და ჰანიფს შორის. ამ ცნობათა შედარებიდან პროფ. ხვოლსონს ის დასკვნა გამოაქვს, რომ საბიანნი ანუ ჰარრანელნი პაგანნი, ანუ წარმართნი იყვნენო; მათი სარწმუნოება არის ბაბილონური და ელინური (ბერძნული)

რელიგიის ნარევი, რომელს ზედ დაერთო კიდევ ნეოპლატონური ფილოსოფია (სწავლულთათვის), მაგრამ ამასთანავე მათ რწმენაშია აგრეთვე გავლენა მონოთეისტური (ალბათ ისლამური) კულტისო. ზემოაღნიშნულ საბუთებში ყველაზე უფრო სწორია და მართლადაა გადმოცემული სახელები ჰარრანელ ღმერთებისა, თუმცა ისინიც დამახინჯებული არიანო, - ამბობს პროფ. მარგოლიოთ. 63.

ამბობენ, ჰარანნელნი შვიდ მნათობს, შვიდი დღის ღმერთს, რომელთა სახელნი ნაწილობრივ ბაბილონურნი და ნაწილობრივ ბერძნულნი არიან, მსხვერპლსა სწირავდნენო; ამ ღმერთთა გარდა, მათი საღრმთო კალენდარი ასახელებს კიდევ „ჯინნ“-ს, დემონებს, სულებს, „ჯინნ“-ის ღმერთს, საათის-ჟამის ღმერთს; ღმერთს, რომელიც ისარის ტყორცნას და მის გეზს განაგებს; ღმერთს „თავუზ“-ს (თამუზ), რომელიც მოჰკლა მისმა ბატონმა, მისი ძვლები დაფქვა და ქარს გაატანა; ჰამან თავადი, მამა ღმერთთა, თავადი ჯინნთა, უდიდესი ღმერთი, ჩრდილოეთის ღმერთი, უფალი ბედისა და სხვა.

ცნობები მათი მსხვერპლის შესახებ ბევრ რამეს ისეთს შეიცავს, რომ დაუჯერებელია: შესაწირავ მსხვერპლს ჰარრანელნი ცოცხლად სწვავდნენო! ერთ ერთ დღეს ისინი ბავშვს სწირავდნენ; მის ხორცს ძალიან ხარშავდნენ; მისგან ნამცხვარს აკეთებდნენ და მორწმუნეთა ერთი დასი მიირთმევდაო! ერთ განსაკუთრებულ დღეს ისინი ლოცულობდნენ ჰარრანის მეჩეთის, ქრისტიანული ეკლესიის და დედაკაცთა ბაზარის დამხობაზე და თავის სამეფოს აღდგენაზეო. მეტად ცხადია, ეს კალენდარი არის ჰარრანელთა მტრების მიერ შედგენილი; ადამიანთა შეწირვის ამბავი ხშირადაა მოთხრობილი და იგი ძალიან წააგავს იმ ბრალდებით, რომელთ ებრაელებს ურდგენენო. დიონისიოს ტელლ-მაჰრელი ამტკიცებს, ჰარანნელნი კაცს იჭირავენ, მას ერთი წელიწადის განმავლობაში ასუქებენ, მერე თავსა ჰკვეთენ, რათა მისი თავის მიხედვით იმკითხაონ, იმარჩიელონო! იგივე ამბავი „ფიჰრისტი“-ში სხვა გვარადაა გადმოცემული: თავის მოჭრის ნაცვლად ნახსენებია ტანის მოხარშვა იმდენად, სანამ თავი ტანს თვითონ არ მოსწყდებაო! ამ ცნობის მიხედვით, მსხვერპლს უნდა ჰქონოდა მერკურიუსის თვისებანი, რაც განმარტებულია „ღაიატ ალ ჰაკიმ“-ში (1048 წ.).

მკვლევარი მარგოლიოთ დარწმუნებულია, ასეთი წესები ჰარრანელებს არ შეიძლება ჰქონოდათ და მათ მუსულმანი მმართველები არ შეიწყნარებდნენო.

ჰარრანელნი ლოცულობდნენ ჩრდილოეთის მიმართულებით და მარხულობდნენ 30 დღის განმავლობაში, რაც განაწილებული იყო დეკემბერ, თებერვალ და მარტს შორის. მათ ჰქონდათ სიწმიდის დაცვის კანონი და ნუსხა უკანონო საჭმელთა. ჰარანელთ შესახებ ცნობათა უმრავლესობა მათ ახასიათებს ვით ვარსკვლავთა მოთაყვანეთ. დოზი-გოეს მიერ გამოცემული მოგვური თხუზულებანი გვიჩვენებენ, რომ მათი, ე. ი. საბიანური სისტემა იყო ასტროლოგიური ღრმთისმეტყველება. მაგრამ

თვით ავტორს მოაქვს მოსაზრებანი, რომელთა მიხედვით ეს თხუზულებანი ნამდვილნი არ არიანო. 63.

საბიანთა შესახებ დარჩენილი ნაწერები მათი მსოფლმხედველობის დამახასიათებელ საკმაო მასალას არ იძლევა და სანამ ახალი რამ არ აღმოჩნდება, მანამ ჰარრანელთა სარწმუნოების შესახებ ცოდნა ბნელაში დარჩებაო, – დაასკვნის მარგოლიოთ. 64.

საინტერესოა, არაბი მეცნიერნი და ფილოსოფოსნი, როგორც მაგალითად ავისენა, იბნ ჰაზიმ, შაჰრასტანი და სხვანი, რელიგიათა დაჯგუფების დროს, ჰარანელთა რელიგიას მონოთეისტურად სთვლიანო, – ამბობს ცნობილი მკვლევარი დოზი. 65. ჩვენი ტექსტის მიხედვითო, – ამბობს იგი, – მლოცველმა უნდა მიმართოს თავისი ლოცვით პირველად ციურ სხეულთ, მნათობებს, მაგრამ ამ ციურ გვამთა, ანუ მნათობთა ძალა მოდის უზენაესი არსებისაგან; ეს ძალა მათ მიანიჭა უფალმა ღმერთმა; ეს მნათობნი არინ შუამავალნი ღმერთსა და კაცს შორის; მნათობნი მიმართავენ ღმერთს და შუამდგომლობენ ღმერთის წინაშე მათთვის, ვინც შემწეობას ითხოვს. მაინც დამტკიცებული არაა, დოზისა და გოიეს მიხედვით, – რომ ეს სწავლა ჰარრანელი ხალხისა იყოო. ხვოლსონი ფიქრობს, იგი შემოიღეს ფილოსოფიურმა სკოლებმაო, და ამავე აზრისაა ნოლედეკე-ცო. მან მე მომწერაო, – ამბობს დოზი, – ჰარრანელთა მონოთეიზმი მათი არაა, და იგი უნდა მიეწეროს ბერძნულ და ქრისტიანულ გავლენასო...

რათა მლოცველს მნათობთა წყალობა მიეღო, ამისათვის მას უნდა აერჩია შესაფერი წუთი, შეეწირა მნათობისათვის სათანადო მსხვერპლი. შეუძლებული იყო პირველი პირობის ასრულება, თუ მლოცველმა არ იცოდა კარგად ციურ გვამთა მოძრაობანი და გზანი, და თითოული მნათობის განსაკუთრებული გავლენა ხმელეთზე

და ხალხებზე, და ის ცვლილებანი, რომელთაც ერთი ვარსკვლავი სხვა ვარსკვლავისაგან განიცდის; იგივე ეხება მსხვერპლის შეწირვას: საჭირო იყო მნათობთა თვისებების და სხვა ციურ გვამთა ცოდნაც.

***

ვარსკვლავთა თაყვანებისათვის ასტროლოგია და მაგია აუცილებელია, და ამ მალული, ანუ ოკულტური მეცნიერების შეთხზვა და სწავლა შუა საუკუნეთა მანძილზე, ნამდვილად იყო ბაბილონური წარმართობის გაგრძელება, რომელსაც მუსულმანური, ან ქრისტიანული სამოსელი ეცვაო. ნაპოვნი ტექსტი მოწმობს, ქარრანელებმა ეს მეცნიერება წასწიეს და განავითარესო. ქარრანელნი ამბობენ, მათი თაყვანების წესები მათ ასწავლა ჰერმესმაო, რომელიც მათ ლოცვებში გამომცხადებელის სახელს ატარებს, ან სიოსის თქმით, მერკურიუსი ატარებს სახელს: „თავადი ჰარრან კაცთა“-ო. კალანჩადისგან ვიცით, ქარრანელთა უდიდესი უქმე ის დღე იყო, როდესაც მზე შედის ვერძის ზოდიაკოში, ანუ გაზაფხულზე დღისა და ღამის გასწორებისას – 21 მარტი. ჩემი ტექსტის მიხედვითო, – ამბობს დოზი, – ამ დღეს უქმობდნენ მარსის სახელზე, რომელსაც ზიანის მოტანა შეუძლია და

ამიტომ კაცი ცდილობს მისი წყალობა მოიპოვოსო. საბიანნი მარსს უწოდებდნენ: „ღმერთი ბრმა“, ვინაიდან მრისხანებისას იგი არავის ხედავს და არავის არ არჩევსო...

***

ქარრანელთა სწავლის მიხედვით, თითოული მნათობი არის სასუფეველი ღვთაებისა, ან ანგელოზისა, რომელიც მას განაგებს, ისე ვით სული კაცის გვამს განაგებსო. ეს ღვთაებანი, ანუ ანგელოზნი იმ ვარსკვლავთა სახელებს ატარებენ, რომელზედაც ისინი ცხოვრობენ, მაგრამ მათ აქვთ აგრეთვე განსაკუთრებული სახელებიც. მაგალითად, სატურნუსის ვარსკვლავს ჰქავია მიშბილნ, მთვარისას დ მსალლაელნ, მზეს და სხვა მნათობთა ანგელოზებს აქვთ აგრეთვე თავისი სახელები, ოღონდ მათ გარდა მნათობის ყოველ სულს აქვს თავისი მოგვური, ჯადოსნური სახელი: დარის, ტამის და სხვა... ამ მნათობთა შესახებ აქ უკვე სიტყვას აღარ ვაგრძელებ, რადგან მათ შესახებ დაწვრილებით მქონდა ლაპარაკი ჩემს წიგნში: მვტნის ვარსკვლავთმეტყველებან, სანტიაგო დე ჩილე, 1957. წ. გვერდი 95 დ 101.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მეშვიდე

მაჰმადიანურ განხრათა მზე

1. მაჰმადიანური მზე

2. ისმაილ‌ია

3. ნოსაირთა მზე

4. სიპასიანნი

5. პიკარიანნი

1. მაჰმადიანური მზე

ძველ არაბეთში გავრცელებული იყო ვარსკვლავთ თაყვანება კიდევ მაჰმადის დროს, ამიტომ არც ისე ადვილი იყო, განსაკუთრებით ზოგ

მხარეში მზე ღმერთის მოსპობა. მაჰმადმა განაცხადა: არსებობს მხოლოდ ერთი ღმერთი, ალლაჰ, რომელმან ყოველივე და ყველაფერი წარმოშვა, და მათ შორის ყველა მნათობი ღმერთის მიერ არის შექმნილიო.

ყურანი 41, 37 ღამე, დღე, მზე და მთვარე აცხადებენ მის (ალლაჰის) დიდებას. ნუ ეთაყვანებით ნურც მზესა და ნურც მთვარეს. ეთაყვანეთ ალლაჰს; მან გამოიყვანა ისინი არარაობისაგან...

ამიტომ მაჰმადიანობა ყოველ გვარ ვარსკვლავურ თაყვანებას სასტიკად უარჰყოფდა; და თვითონ მაჰმადმა დაადგინა: ლოცვა შესრულებულიყო არა მზის ამოსვლისას, ან მზის ჩასვლისას, არამედ გათენებისა და მწუხრი ჟამს, რათა ისლამის სარწმუნოება მზის თაყვანებასთან არ შეერიათ. მაგრამ მაჰმადიანობისათვის ამას ხელი არ შეუშლია ასტროლოგია შეეთვისებინა, ოღონდ იმ შესწორებებით, რომ მნათობნი და ვარსკვლავნი თვით ღმერთზე არიან დამოკიდებულნი და ღმერთის გამგებლობაში იმყოფებიანო.

ამგვარად, მზე ვით მნათობი მაჰმადიანობაში, ვით მონოთეისტურ, ანუ ერთღმერთობის რელიგიაში არავითარი ღვთიური ღირსებით არაა შემკობილი და მისი მნიშვნელობა მხოლოდ ასტროლოგიიით განისაზღვრება.

აღსანიშნავია მაჰმადიანური თქმულება: – იესო ქრისტე ჯვარზე არ აცვეს, ოღონდ იგი ამაღლდა ცად. როდესაც იესომ მეოთხე ცას მიაღწია, სადაც მზე არის, ღმერთმა გაგზავნა მთავარანგელოზი გაბრიელი, რათა ენახა, აქვს რაიმე კიდევ მიწიური იესოს თუ არაო. იესოს აღმოაჩნდა ნემსი და თასი, და ამიტომ იგი უფრო ზემოდ ვეღარ ამაღლდა: იგი მზეზე დარჩაო. 66.

2. ისმაილდია

ისმაილდია არის ისლამური განხრა, სექტა. ეს სწავლა იმ დებულებაზეა დამყარებული, რომ ღმერთს არ შეეფერება არავითარი ამქვეყნიური მოვლენებისაგან გამოსული შედარება და სახელიო. „პირველადი ერთი“. თავისი უწინარესად კუთვნილი ნებით წარმოქმნის პირველ გამოვლენას (ემანაციო), ანუ „მუნბ’ათ“; პლოტინოსურ სისტემასთან თანხმობით, ეს არის „აყლ ალ–კულლ“, ანუ ყველაფერში შემავალი შემოქმედი პრინციპი, რომელიც ქვეყანის ნამდვილი შემოქმედი (მუბდი) არის. მეორე გამოვლენა, რომელიც ამისგან გამოდის, არის სიცოცხლის მომნიჭებელი პრინციპი, „ნაფს ალკულლ“ (მესამე წევრი პლოტინოსური სამებისა). შემდეგ ეს სწავლა პტოლემეოსის ასტრონომიულ სისტემას უკავშირდება. სხვა და სხვა ცა (ფალაკ), ანუ უძრავ და ზოდიაკოთა ცანი. ხუთნი მნათობნი, მზე და მთვარე არიან შემდეგნი შემოქმედნი უკანასკნელნი შემოქმედნი, ანუ „აყლ“ არის მთვარე, რომელიც დედამიწას განაგებს, ნამდვილი შემოქმედი სახეთა; მას ეწოდება მეორე „აუბდი“ (ქვეყანა); ასტროლოგიური შეხედულებანი, ცრუმორწმუნოებითი წარმოდგენანი რიცხვთა და ანბანთა მნიშვნელობის შესახებ, განსაკუთვრებით რიცხვისა „შვიდი“ მიმართ და სხვა ამგვარი ამ მიმართულების დამახასიათებელნი არიან. 67.

***

იოანე ბატონიშვილი (1768 – 1830) თავის შესანიშნავ „კალმასობა“-ში გვაცნობებს: ქურთნი მზეს თაყვანსა სცემენ ყოველ დღე და ესენიც მსგავსნი არიან კერპთ თაყვანის მცემელთაო. 68.

პირადად საამისო ცნობა სხვაგამ არსად არ შემხვედრია.

3. ნოსაირთა მზე.

ჩრდილოეთ სირიაში ბინადრობს გაურკვეველი შთამომავლობის მცირე რიცხოვანი ხალხი, რომელს „ნოსაირ“-ს უწოდებენ. ფიქრობენ, ეს სახელი წარმომდგარია სახელისაგან: „მოჰამედ იბნ ნოსაირ“, რომელმაც მეცხრე საუკუნეში ახალი რელიგია იქადაგა, ოღონდ ეს საკითხი ნათელი არის.

ნოსაირთა რწმენა დროს ჰყოფს შვიდ კიკლოსად, წრიადად, და თითოული დროის დანაწილება დაკავშირებულია შვიდ მნათობთან. თვით ნოსაირთა შორის ოთხი განხრაა, მაგრამ აქ მხოლოდ საერთო რწმენა გვაინტერესებს.

ნოსაირნი აღიარებენ „ალი“-ს, რომელს ისინი მაჰმადზე უფრო მაღლა აყენებენ, სიტყვა „მა–ნა“ არის „ალი“–ღმერთის სახელი. „ალი“ არის „მა–ნა“, როგორც ქრისტიანთათვის ქრისტე არის „სიტყვა–ლოგოს“. ცათა და ხმელეთის შემქნეილი არის „ალი“ (ეს ალი არის ალი იბნ ტალიბ, მაჰმადის სიძე, რომელიც ხალიფას ტახტისათვის ბრძოლაში დაიღუპა 656 წელს). ალი არის ღმერთი ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. იგი არის ერთად ერთი, მხოლოო ღმერთი, უკვდავი და მარად არსებული. მისი არსი არის ნათელი და მისგან ბრწყინავენ ვარსკვლავნი; იგი არის ნათელი ნათელთა. ნოსაირთა რწმენით, ალი იმყოფება მზეზე, ან თვითონ მზე არის ალი–ღმერთი, ხოლო მაჰმადი–მთვარე. ზოგი თვითონ მაჰმადს სთვლის მზე ღმერთად...

ალიმ შეჰქმნა მაჰმადი თავისი ნათელისაგან, და მაჰმადმა შეჰქმნა სალმან თავისი ნათელის სინათლისაგან. სალმან არის ბაბ, კარი. ამგვარად, მოცემულია სამება: 1. ალი, 2. მაჰმადი და 3. სალმან. ამას გარდა არსებობს შვიდი „შეუდარებელი“ (გენია), რომელიც შვიდ მნათობს მართავს. ეს „შვიდი“ შეეტყვისება შვიდ ანგელოზს, ანუ შვიდ მნათობს. თითოულ მნათობზე ცხოვრობს ღვთაება, რომელიც მას ხელმძღვანელობს. ვარსკვლავნი არიან მართალთა ბინა. ერთ ლოცვაში ნათქვამია: ღმერთმა შეგვყაროს ჩვენ და თქვენ სამოთხეში, ცის ვარსკვლავთა შორის...

ალის ერთი სახელთაგანია: ემირი ფუტკარი. ფუტკარი აქ ვარსკვლავს ნიშნავს. ასეთია მოკლედ ნოსაირთა „შამალი“-ს განხრა. ეს სექტა მზეს ეთაყვანება: ხოლო „კალაზი“, ანუ ყამარის სექტა მთვარეს აღმერთებს. რომელში ალი ცხოვრობს. „შამალის“ სექტა ღვინოს სთვლის მზის სიმბოლოდ, ხოლო ყამარიანნი მას მთვარის სიმბოლოდ აცხადებენ. ღვინის სმა არის შინაგანი ცნობა მზისა, (ან მთვარისა): მიღწევა ღმერთამდე (მისტიციზმი) და სხვა. 69.

4. სიპასიანნი

სიპასიანთა შესახები ცნობანი მოთავსებულნი არიან სპარსულ თხუზულებაში „დაბისტან“, ანუ „სკოლა ზნეთათვის“, რომელიც მოჰსან ფან-ის მიეწერება (დაიბადა 1615 წ.); მან ბევრი მოგზაურობის შემდეგ რელიგიურ სექტათა შესახებ ეს თხუზულება დასწერა.

სპარსულ რელიგიურ განხრათა შორის არის სიპასიანთა სექტაც. იგი არის საიდუმლო მიმართულება და ემყარება ზარათუშტრას ორ დებულებას: ღმერთი და მსოფლიო, კეთილი და ბოროტი, სული და გვამი, ღვთიური განგება და ნების თავისუფლება, უფლებათა თანასწორობა და მოვალეობათა თანასწორობა, ბრძოლა ცხოვრებაში სიკეთისათვის და მომზადება საუკუნო ცხოვრებისათვის. ღმერთი არის საყოველთაო, მხოლოო არსება, ერთიანობა, უკვდავება; ყველაფერი მისი არსების თანამოზიარეა და ამიტომ მსოფლიო უკვდავია; იგი არა შექმნილი, არამედ უკუნითით, წყვდიადიდან გამოვლენილი; პირველი, რაც ღმერთისაგან გამოევლინა, გამოვიდა იყო „აზად ბაჰმან“. იგი წარმოადგენს მსოფლიურ გონებას; იგი სუფევს უუწმინდესი ნათელის მხარეში და არის შუამავალი უზენაეს დასაბამსა (პირველად პრინციპსა) და მდაბიურ არსებათა შორის. თავის მხრივ ეს შუამავალი გონება წარმოშობს ურიცხვ იერარქიას ანგელოზთა, გენიათა, სულთა, რომელნიც სულს უდგამენ და ხელმძღვანელობენ ვარსკვლავებს, ელემენტებს, პირუტყვებს და ადამიანებს; მთელი ბუნება არის არსება ცოცხალი, გონიერი, რომლის ნაწილნი ერთი მეორესთან გადაბმულნი არიან და ერთმანეთზე გავლენას ახდენენ, როგორც ეს არის ადამიანის გვამში.

ეს სიცოცხლე არის მსოფლიური; მარადული და გაყოფილი ასტრონომიულ ხანებად. როდესაც ერთი ხანა იწყება, ამ ხანაში ბატონობს ერთ ერთი უძრავი ვარსკვლავი და იგი მართავს მსოფლიოს მარტოდ ათასი წელიწადის განმავლობაში. ამ ხანის დასასრულს მას უკავშირდება მეორე ვარსკვლავი და იგი მასთან ერთად მართველობას აგრძელებს კიდევ ათასი წლით. ამგვარად, თითოული ვარსკვლავი ხდება მსოფლიოს მარტოდ გამგედ და ამას ათასი წელიწადი სჭირდება. ადამიანის სულიც ამ წყობასთან არის დაკავშირებული. სულნი ჩამოდიან ცის სხვა და სხვა მხარედან: ერთნი – მზიდან, მეორენი – უძრავ ვარსკვლავებიდან, მესამენი – მნათობებიდან იმის მიხედვით, თუ კაცის გვამი რომელისათვის არის განმზადებული. თუ კაცი კეთილ ცხოვრებას ეწევა, კეთილი მორწმუნეა და კეთილ მოქმედი, სიკვდილის შემდეგ მისი სული ისევ ვარსკვლავებს უბრუნდება და იქედან ეს სული თანდათანობით ადის ეთერულ მხარეში, რომელიც არის წმიდა სულთა სასუფეველი, და იქ რჩება ნეტარებაში, – ესაა უზენაესი ჭვრეტა, ხილვა, რომელიც არის „მინენივანმინუ“ (უზენაესი ნათელი).

ცოდვილთა სულნი გადადიან ადამიანებში, პირუტყვებში, მინერალებში, მცენარეებში დარჩებიან მათთან. თუ კეთილი და ბოროტი სულში თანასწორ არიან მაშინ სული განიწმიდება გვამიადან გვამში გადასვლით,

და ბოლოს მას ეღირსება უზენაესი ნათელის ჭვრეტა. ისე ვით ვარსკვლავნი ჰქრებიან მზის წინაშე, ამგვარადვე სული ჰქრება ღმერთის წინაშე, ინთქმება მასში, ამ ღმერთში, რომელიც არის მზე არსებათა. 73.

5. პაიკარიანნი

სპარსულ მსოფლმხედველობაში პაიკარიანთა მიმართულება შექმნილია პაიკარის მიერ; ესაა სექტა, რომლის სწავლით ღმერთი არის ცეცხლი. ამ ცეცხლის ნათელმა წარმოშვა მზე და ყველა დანარჩენი ვარსკვლავი. ოღონდ ცეცხლი არის არა მარტო მანათობელი, არამედ წარმომშობი ყოველივესი. 73. გვერდი 1296.

***

მეჩვიდმეტე საუკუნეში, მაჰმადიანმა აკბარმა სცადა მზის თაყვანება აღედგინა, მაგრამ მისთვის მზე იყო მხოლოდ სიმბოლო. იგი შეეცადა შეექმნა ახალი რელიგია, რომელში მზის კულტი იქმნებოდა მხოლოდ წმიდა ღმერთის რწმენის გამოხატულება, ოღონდ ეს ცდა სრული დამარცხებით დასრულდა. 74.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მერვე

არევორდს – მზის ძენი

არევურდს, არევორდს, ნიშნავს: მზის ძენი, მზის შვილნი. ასე იწოდებოდნენ სომხური (არმენიული) ერთი სექტის მიმდევარნი, რომელთა მრწამსი წარმართული მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობდა.

სომეხთა კათოლიკოსს, იოანე მეოთხეს (მერვე საუკუნეში) მიეწერება თხუზულება სომეხ პაულიკიანთა წინააღმდეგ. სომეხი პაულიკიანნი ხატების მტერნი იყვნენ და ემხრობოდნენ მზის შვილებს, ანუ მზის მოთაყვანეთო; (მათნი ნაშთნი სომხეთში მეცამეტე საუკუნემდე დარჩნენ). ეს პაულიკიანნი ორთოდოქს ქრისტიანებს, ვინაიდან ისინი ხატსა და ჯვარს ეთაყვანებოდნენ, კერპთა მოთაყვანედ სთვლიდნენ და იმავე სიტყვებით

მიმართავდნენ როგორც წინასწარმეტყველნი წარმართთო. მაგრამო, – ამბობს კათოლიკოსი იოანე, – პაულიკიანნი არიან თვითონ გარყვნილნი ძველი სპარსული სიბინძურით; ისინი მზეზე ლოცულობენ; ბავშვის სისხლს ურევენ სერობის საჭმელში; ისინი წრეს აკეთებენ და დაჩხვლეტილ ბავშვს ერთი მეორეს გადასცემენ და ვის ხელშიაც ბავშვი მოკვდება, იგი გახდება მერმე სექტის უფროსიო და სხვა. [70] აქ, ცხადია, დიდი საბრძოლო გადაჭარბებაა და უცნაური ჭორი.

თუ მზის თაყვანება სომეხთა შორის რამდენად გავრცელებული იყო, ეს საკითხი ბნელითაა მოცული. ცნობილია, ერთი ქალაქის, სამუსეტას მცხოვრებლებმა სომეხ კათოლიკოსს, ნერსეს მეორეს (გარდაიცვალა 1173 წელს) სთხოვეს, მიგვიღე სომხური ეკლესიის წიაღშიო. სომეხმა კათოლიკოსმა მათი თხოვნა შეასრულა და მისი პასუხიდან ვტყობილობთ, რომ ისინი, არევორდიანნი (მზის ძენი) მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს და ალვას, ანუ კიპარისს თაყვანსა სცემდნენო. კათოლიკოსის მოსაზრება იყო, მზის ძეთა, არევორდიანთა სომხურ ეკლესიაში მიღებით ისინი მართალ რჯულზე მოეყვანა, გაექრისტიანებიაო.

გრიგოლ მაგისტროსის ცნობით, არევორდიანნი თავის თავს ქრისტიანებს უწოდებდნენ, მაგრამ მზეს თაყვანსა სცემდნენო; იგი მათ ზოროასტრიანთა (ზარათუშტრას) მიმდევარად აღიარებს. სხვები კიდევ, მათ მანიქეანთა მიმდევარად აცხადებენ, და ამის გამო პროფ. რანსიმენ ამბობს: ვინაიდან მცირე დამოწმებანი გვაქვს ამ საკითხის შესახებ, ჩვენ არ შეგვიძლია გადავწყვიტოთ, იყვნენ არევორდიანნი მანიქეანთა რწმენის გამზიარებელნი, თუ უბრალოდ ზოროასტრიანნიო.[70ა]

პროფ. ცორკის შეხედულებით, არევორდიანთა რწმენა დაკავშირებული იყო ბაბილონურ – ქალდეურ მსოფლმხედველობასთან და ასტროლოგიურ თეოლოგიასთანო. [71]

ის სოფელნი, სადაც მზის ძენი, ანუ არევორდნი ცხოვრობდნენ, გაპარტახდნენ თემურ ლენგის შემოსევათა დროს 1395 წ. და შემდეგ უკვე მათი არსებობის შესახებ აღარაფერი ისმის.

ერთი ისტორიული წყარო გადმოგვცემს, რომ პარკ-ის ეპისკოპოსი იაკობი (დაახლოებით 1000 წელს) არევურდსი იყო და ამიტომ გადაყენებულ იქმნაო, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, ეს საეკლესიო ბრძოლაში ხმარებული ცილისწამებაც იყო. ეს გამოურკვეველია. [71]

მზის თაყვანება „მზის ძეთა“ მიერ, ამბობენ, დარჩენილი იყო ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში და რ. რ. შტაკელბერგ ფიქრობს, „მზის ძეთა“ რწმენა სემიტურ საფუძველზეა დამყარებულიო და ხვოლსონი „მზის შვილთ“ ეგრეთ წოდებულ „შემსეის“ სწავლის მიმდევრებად სთვლის. [72]

***

დასკვნა

რელიგიის დარგში მზის საკითხის შესახებმა მიმოხილვამ ჩვენ გვაჩვენა, რომ ერთღმერთობა, ანუ მონოთეიზმი არსებობდა და არსებობს მხოლოდ მოსეს, ქრისტესა და მაჰმადის რჯულში. მზე ვით ერთი ღმერთი, ანუ მზის ერთღმერთობა არც ერთ რელიგიაში არ არსებობდა, თუმცა საამისო ცდა მოხდა ეგვიპტის ფარაო ამენჰოტეპის დროს და რომაულ მითრაიზმში. ორივე ეს ცდა უნაყოფო აღმოჩნდა და მან ფუჭად ჩაიარა. კაცი ეძებდა ერთ ღმერთს და მან იგი მონახა მოსეს, ქრისტეს და მაჰმადის რჯულში.

ბაბილონურ – ქალდეურ – ჰელენისტურ და რომაულ ცივილიზეციაში მზე არსად ერთი და მხოლოო ღმერთი არა ყოფილა; მზე ყველგან იყო ერთი ღმერთთაგანი მრავალ ღმერთთა შორის.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

რვეული მეორე

მზე ფილოსოფიაში

კარი პირველი

მზე პლატონურ ფილოსოფიაში

1. მზე წინარ-პლატონურ ფილოსოფიაში
2. მზე პლატონის ფილოსოფიაში
3. მზე პლუტარხოსის ფილოსოფიაში

1. მზე წინარ-პლატონურ ფილოსოფიაში

ვარსკვლავთ, და კერძოდ მზეს, არა მარტო რელიგიაში ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა, არამედ ვარსკვლავთა შესახები სწავლანი ფილოსოფიურ მოძღვრებებშიც შესამჩნევ ადგილს იკავებენ და საკუთარ განვითარებას ღებულობენ.

ინდურ ვედანტას ფილოსოფიაში მსოფლიოს საფუძველია ბრაჰმან, უწინარესი ნათელი. ბრაჰმანის არსი ისაა, რომ იგი თვით ნათელი იყოს. მსოფლიოს მთელი განვითარება მთელი თავისი ქმნილებით გამოწველია ამ პირველი მიზეზით – ბრაჰმან, ხოლო ამის გამოცხადება, ჩვენება ყველა არსებისა, არის ნათელის ბუნების მიზეზი.

ასტროლოგიურ თეოლოგიაშიც, რომელიც ქალდეველებმა განავითარეს, ნათელსა და მზეს მთავარი ადგილი უკავია; ამგვარადვეა ეგვიპტურ რწმენაში. აღმოსავლეთიდან ეს ასტროლოგიური ფილოსოფია პირველად ყოვლისა საბერძნეთს გადაეცა. მეექვსე საუკუნეში ქრისტეს წინ, მცირე აზიის ნაპირებზე შეხიზნულმა ბერძნულმა მოსახლეობამ, რომელიც აღმოსავლეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა, ადვილად გაიცნო აღმოსავლეთის როგორც ასტრონომიული, ისე ასტროლოგიური და ფილოსოფიური შეხედულებანი; და იონელთა ფილოსოფიამ ბუნებისა, ისინი დედა–საბერძნეთს გადასცა.

ფილოსოფოსები გაიტაცა უწინარეს ყოვლისა მათთვის უცნობმა და გამოუცნობმა ასტრონომიის სწავლამ. ხოლო ასტროლოგია, ანუ სწავლა, რომლის მიხედვით ხალხთა და კაცთა ბედს ვარსკვლავნი განაგებენ, პითაგორას (570–500) მიმდევართა შორის გავრცელდა, და განსაკუთრებით ორფეოსულმა მისტერიამ იგი თავისად გაიხადა. მაშინდელი სხვა ფილოსოფოსნი ვარსკვლავთა საკითხს სხვა და სხვა ნაირად განიხილავდნენ –

ანაქსიმანდრესის (611–547) აზრით: ვარსკვლავნი არიან ჰაერისა და ცეცხლის რგვალნი კრებულნი; ისინი არიან ღმერთები, ან დასახლებულნი ღვთიურობის ნაწილებით.

ანექსიმენესის (დაახლ. 524 წ.) შეხედულებით: ღვთიური ენერგია ჰაერში, ან ეთერში სუფევს. მზე და ვარსკვლავნი არიან ცეცხლებრივნი გვამნი და წრიადი სიბრტყე.

ანაქსაგორასმა (დაახლ. 500 წელს) არ გაიზიარა შეხედულება მზის ღვთიურობის შესახებ; მან მზეს „გავარვალებული ბელტი“ უწოდა; ათინელებმა იგი ქალაქიდან გააძევეს.[75]

პითაგორასიანთა სწავლის მიხედვით, თავდაპირველად არსებობდა მხოლოდ ცეცხლი ცენტრალური, მონადეს, ანუ ერთიანობა სრულყოფილი: ჰესტია ტოვ პანტოს, კერა და ცენტრი ყველაფერისა. ამ ცეცხლმა მიიზიდა თავისაკენ ახლო მყოფნი ნაწილნი განუსაზღვრელისა, ანუ უსახო მატერიისა. ამ მიმზიდველი გავლენის შედეგად მომხდარი შეკუმშვა, შექუჩება და გაფართოება, გაგანიერება მსოფლიოს შექმნას განმარტავს. მსოფლიო ვეებერთელა სფეროს წარმოადგენს, რომლის ცენტრშია ჰესტია (ცეცხლი) და ჩასმულია იგი თვითონ ცეცხლის წრიადში. ცეცხლისაგან დიდად დაშორებულ ნაწილში იმყოფებიან ვარსკვლავნი, მიჭედილნი წრეებზე, ანუ გამჭვირვალე სფეროებზე, რომელთაც მოძრაობა მიაქანებს, რაც ამ სფეროებს თავისი ღერძის გარშემო ატრიალებს; მერმე მოდიან

ხუთნი მნათობნი; მერმე – მზე, მთვარე; მთვარეს შემდეგ – უხილავი მიწა და შემდეგ – ჩვენი, ხილული მიწა. ამგვარად, მოცემულია ათი სფერო, წმიდა რიცხვი ათი (ტეტრაკტის) პითაგორასიანთა.

მიწა და სხვა ციურნი გვამნი ცენტრალური ცეცხლის გარშემო მოძრაობენ. ჩვენ ვცხოვრობთ დედამიწის იმ ნაწილში, რომელიც მზეს უყურებს, და მზე ჩვენ არა პირდაპირ ცენტრალური ცეცხლის ნათელს გვაძლევს. ვარსკვლავთა და მანათობთ, ისე ვით დედამიწასაც, აქვს ატმოსფერო და ჰყავთ მცხოვრებნი, მაგრამ იქ უფრო დიდი კეთილყოფაა და დიდი ბედნიერება, – ამიტომ სწორედ იქ მიდიან ის სულნი, რომელთაც გვამთან ერთად ყოფნის დროს სიკეთე და ღირსება დაიმსახურეს; იქ ისინი ბრწყინვალე სიცოცხლითა და უკდავებით ცხოვრობენ. სფერონი მოძრაობენ სხვა და სხვა სისწრაფით და სხვა და სხვა ხმას გამოსცემენ, და რადგან ყველა მოძრაობა მოწესრიგებულია რიცხვთა სასტიკი წესით, ერთობა ამ ხმათა ჰქმნის მომხიბლველსა და ტკბილ მწყობრს (ჰარმონიას, კონცერტს), სფეროთა ჰარმონიას, რომელიც ჩვენ აღარ გვესმის, ვინაიდან ჩვენ მას მარად ვისმენდით.[76]

ემპედოკლესის (490–435) რწმენით, ყველაფრის დასაბამი ანუ პირველადი, ანუ პრინციპი არის ღმერთი, ანუ მოქმედება; და მატერია, ანუ უმოქმედობა. მოქმედი პრინციპი არის ნაზი ეთერული ცეცხლი, გონებრივი და ღვთიური. იგი სიცოცხლეს იძლევა და ყველაფერი მასვე უბრუნდება. დაემონები, ანუ ღვთიური ბუნების ნაწილნი ჰაერში იმყოფებიან და კაცთა საქმეს განაგებენ. ცა არის მყარი ჰაერი, განმტკიცებული ცეცხლის მიერ. ვარსკვლავნი არიან ამ ცის ბროლზე მიჭედილნი და მნათობნი თავისუფლად მის ქვემოთ მოძრაობენ. მზე არის ცეცხლადი მასსა. [77]

ემპედოკლესის აზრით, არსებობს ორი მზე: ჩვენი მზე არის მკრთალი ანარეკლი იმ მზისა, რომელიცაა დიდად ბრწყინვალე და უხილავი, მყოფი სხვა ჰემისფეროში. ნამდვილი და უხილავი მზის ნათელი ჩვენამდე პირდაპირ არ აღწევს, არამედ მას გვაწვდის ცის თაღი, რომელი მას გადმოაფრქვევს. [77a] გვერდი 68.

ქსენოფანესის (გარდაიც. 470 წ.) აზრით, მზე და ვარსკვლავნი შესდგებიან ნათელი ნაწილაკებისაგან, ატომებისაგან, რომლებიც საერთო ცენტრის გარშემო ტრიალებენ; მისივე აზრით, მსოფლიო მრავალია; მას არა აქვს სულიერი პრინციპი, ანუ დასაბამი, არამედ ყველაფერი მოძრაობს ატომთა სწრაფი მოძრაობით და მსოფლიური ცეცხლის ჩადგომით. [77] გვ. 428.

ალკმაენოსის აზრით, მზე და ვარსკვლავნი არიან უკვდავნი და დასახლებულნი ღვთიური ცეცხლის ნაწილებით, რაც ბუნების სათავეა, ანუ საწყისი, პრინციპი. [77] გვ. 401.

სოკრატესი (469–399), პროფ. ფრანც ბოლლის თქმით, თავის ლოცვას ამომავალი მზის წინაშე სხვა გვარად არ ასრულებდა, ვინემ ბრაჰმანი, რომელიც მზის ამოსვლასა და მოძრაობას როკვით (ცეკვით) ჰბაძავდაო.[78]

ამ როკვის გარდა, ძველ საბერძნეთში კიდევ ერთი ჩვეულება იყო გავრცელებული: თუ კაცი ცუდ სიზმარს ნახავდა, შემაწუხებელი სიზმარის მნახველი დილით მზეს მიმართავდა და ამ თავის ცუდ სიზმარს მას მოუთხრობდა, ესე იგი, მზის წინაშე სიზმარს სიტყვიერად განიმეორებდა, მზის შუქით განიწმიდებოდა, მერმე აპოლოს წინ ლოცვას იტყოდა; ამ ლოცვით იგი მზიურ ღმერთსა თხოვდა: თუ ეს სიზმარი კარგის მომასწავებელია, ამისრულე იგი, – თუ არა, მიაქციე იგი ჩემს მტრებზეო. [79]

2. მზე პლატონის ფილოსოფიაში

პლატონის (427 – 347) მიერ დაარსებულ აკადემიაში, სადაც პითაგორასიანთა სკოლის მეცნიერული და რელიგური დებულებანი აღიარეს, ვითარდებოდა ასტროლოგიური მოძღვრებაც და თვითონ პლატონს რწამდა მნათობთა ღვთიურობა, მათ მიერ სულის ქონება.

პლატონის თხუზულებაში (პოლიტეია, წიგნი 6) საუბარია ნათელისა და ხედვა – მზერის შესახებ. (აქ არის თარგმანი პლატონის თხუზულებათა ინგლისური თარგმანის მიხედვით). [80]

– როგორც ვიცით, მრავალი (საგანი) შეიძლება დავინახოთ, მაგრამ მათ არ ვიცნობთ, ხოლო იდეებს კი ვიცნობთ და მათ ვერ ვხედავთ.

– და რომელია ის ორგანო, რომლითაც ჩვენ ხილულ საგნებს ვხედავთ?

– მზერა, ხედვა, – თქვა მან.

– ჩვენ შევნიშნეთ: ხედვა არის უძვირფასესი და ურთულესი... ხედვა არის, როგორც მე მესმის, თვალებში, და ფერებიც მას წარედგინება, მაგრამ ამას გარდა საჭიროა მესამე ბუნება, რომელსაც განსაკუთრებული დანიშნულება აქვს, რომლის გარეშე თვალთა პატრონს არაფრის დანახვა არ შეეძლება და ფერებიც უხილავი იქნება.

– რომელ ბუნებაზე ლაპარაკობ?

– იმაზე, რომელს უწოდებთ: ნათელი, – ვუპასუხე.

– მართალია, – თქვა მან.

– კეთილშობილი, ვინაიდან იგია კავშირი, რომელი აერთებს ხედვას და ხილვას... და რომელი ღმერთთაგანი იქნებოდა ცაში, შენის თქმით, უფალი ამ ელემენტისა? ვისია ის ნათელი, რომელიც თვალს საშუალებას აძლევს ცხადად იხედოს, იმზიროს და ხილული გამოჩნდეს?

– შენ ფიქრობ: მზე, როგორც შენც და ყველამ იცის.

– არ შეიძლება ეს დამოკიდებულება ხედვისა ამ ღვთიურობასთან შემდეგ ნაირად ავწეროთ?

– როგორ?

– არც ხედვა და არც თვალი, რომელშიც ხედვაა, არ არის მზე?

– არა.

– მაგრამ ყველა გრძნობის ორგანოთა შორის თვალი ყველაზე უფრო ემსგავსება მზეს?

– ყველაზე უფრო ემსგავსება.

– და ძალა, რომელს თვალი ფლობს, არის ერთგვარი გამომდინარეობა, რომელს მზე იძლევა?

– ჭეშმარიტად.

– მაშ მზე არ არის ხედვა, არამედ ავტორი ხედვისა, რომელსაც ხედვით ვცნობთ?

– მართალია, – თქვა მან.

– და ეს არის ის, რომელს მე ვეძახი: მე სახიერებისა = კეთილობისა, რომელი სახიერება დაჰბადა თავის მსგავსად, რათა იგი იყოს ხილულ ქვეყანაზე, ხედვასთან და ხედვის საგნებთან დამოკიდებულებაში, ისევე როგორც სახიერება = სიკეთე არის გონების მხარეში გონებისა და გონების საგანთა მიმართ?

– შეიძლება ცოტა გასაგებად ახსნა? – თქვა მან.

– რატომ არა;

– შენ იცი, რომ თვალნი... როცა მთვარე და ვარსკვლავნი არიან, ბუნდოვნად ხედავენ, თითქმის ბრმანი არიან...

– მართალია.

– მაგრამ როცა თვალნი საგნებს უყურებენ, როდესაც მზე ანათებს, მათ ისინი ნათლად ხედავენ, და არის ხედვა მათი?

– რასაკვირველია.

– და სულიც ამგვარადვე მსგავსია თვალისა... არსებობს ხილული და გონების მხარე... ხილული ქვეყანა შესდგება ხატებისაგან. და ხატებად მე ვგულისხმობ პირველად ყოვლისა, ჩრდილებს; მეორედ – ანარეკლს წყალში, და მკვრივ, ნაზ და მოკრიალებულ საგნებს და ამგვართ. [80.]

აქ მოსაუბრე ასახელებს აპოლლოს, და პლატონის თხუზულებათა ფრანგულად მთარგმნელი ლეონ რობენ, თავის შენიშვნაში ამბობს – რაც გლაუკონის თქმას შეეხება, ამით ჩანს, რომ აპოლლო არის ღმერთი მზისა; რომ სოკრატესი სახიერებას, რომლის ხატი არის მზე, სთვლიდა უზენაეს სინამდვილედ „ღირსებაში და ძალაშიო“. [80]ა. (რეპუბლიკ 6. გვერდი.1098. შენიშვნა 96).

გონების მხარეში სახიერების იდეა ყველაზე უპირველესია, და მისი ხილვა მხოლოდ გონების დაჭიმვით შეიძლება. და ოდეს იხილავ, ნახავ, რომ იგი არის მსოფლიური ავტორი ყველა ლამაზი, ჭეშმარიტი არსებისა, მშობელი ნათელისა და უფალი ნათელისა ამ ქვეყანაზე, და წყარო ჭეშმარიტებისა და გონებისა ამ ქვეყანაზე. [81.]

პლატონის ფილოსოფიაში მთავარი მნიშვნელობა აქვს ცნებას: საიქიო **ერთი;** ეს არის საიქიო კეთილობა, სახიერება, (რომელს ეწოდება ღმერთი); და **იდეათა** მხარე, აგრეთვე საიქიოში. იდეა სახიერებისა, იდეა კეთილობისა (სიკეთისა) უზენაესია ყველა სხვა იდეათა მიმართ; იგი არის ყოფნის, არსების გადაღმა, ზესთა ზემო. ამას გადაება შემდეგში, – როგორც ამბობს პროფ. კურტ შილლინგ, – როგორც ნეოპლატონიკოსთა, ისე ქრისტიანთა დებულება საიქიო ღმერთის შესახებ.

***

როგორც აქ მოტანილი ამონაწერიდან პლატონისა ცხადია, ამ ქვეყანაში, ხილულ მხარეში ხილვა ხდება ნათელის, მზის მეოხებით. აგრეთვე თვალი არის მზიური. ოღონდ მზე არამც თუ მარტო ხილვის, მზერის აუცილებელი პირობაა, არამედ იგი არის აგრეთვე მაცოცხლებელი; ყველაფერი ცოცხალი თავის ყოფნას, არსებობას მზისგან ღებულობს და მით ცოცხლობს. ის, რაც არის **მზე ხილული** ქვეყნისათვის, ამგვარადვე არის **იდეა კეთილობისა**, სახიერებისა **იდეათა უხილავი** მხარესათვის. ეს უხილავი მხარე იდეათა არის ამასთანავე პირობა მთელი გამოყვანილი და შექმნილი ყოფნისათვის, არსებათათვის ჩვენს ხილულ ქვეყანაში. [81]ა.

ერთისა, სახიერებისა და იდეასა და მზის ამ შედარებაზე დაყრდნობით, ფილოსოფიის შემდეგ განვითარებაში, კერძოდ ნეოპლატონიზმში მზემ განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა, როგორც ამას ქვემოთ გავეცნობით.

***

პლატონის აზრით, დრო შექმნილია ცასთან ერთად... ღმერთმა შექმნა მზე და მთვარე და ხუთი მნათობი, რომელთ პლანეტას უწოდებენ, რათა გაარჩიონ და განასხვავონ დროთა რიცხვნი, და მოათავსა ისინი თავიანთ სარტყელში, ორბიტაში. არის შვიდი სარტყელი და შვიადია ვარსკვლავიც: 1. მთვარე, ყველაზე უფრო ახლო მყოფი დედამიწასთან; 2. მზე, მეორე ახლო მყოფი დედამიწასთან; 3. დილის ვარსკვლავი, და წმიდა ჰერმესი..., – ისევე სწრაფად მოძრავი ვითარცა მზე, მაგრამ წინაუკმო მიმართულებით. [82].

შემდეგ პლატონი ხსნის ვარსკვლავთა მოძრაობას, მათ სიჩქარეს და სინელეს, მათ წრიადსა და სპირალ სვლას, დროთა განსაზღვრას მათ მიერ და სხვა. და შემდეგ განაგრძობს – უწინერეს და სანამ დრო დაიბადებოდა, შექმნილი მსოფლიო გაკეთებულ იქნა მსგავსად ორიგინალისა (იდეათა მხარეში), მაგრამ რამდენადაც ყველა ცხოველს იგი ჯერ კიდევ არ შეიცავდა, მის გაკეთებას შეუდგა შემოქმედი ნიმუშის (ხატის, მაგალითის) ბუნების მსგავსად. ვინაიდან იდეალურ ცხოველში გონებას წარმოუდგენია იდეები და გვარი, ჯიში, ერთგვარი ბუნებისა და რიცხვისა, ამიტომ შემოქმედმა იაზრა, რომ ამ ქმნულ ცხოველს უნდა ჰქონდეს გვარი, ჯიში, მოდგმა მსგავსად ბუნებისა და რიცხვისა, რომელიც ამ ნახატს, ამ კოპიოს სრულოვნად გახდის. ასეთი იყო ოთხი: 1. ციურ ღმერთთა ჯიში, 2. მფრინველთა ჯიში, ჰაერში რომ მოძრაობს, 3. წყალში მცხოვრებნი, და 4. ფეხოსანი და ქვეყნის ქმნილებანი. ღვთიურის დიდი ნაწილი მან შეჰქმნა

ცეცხლისაგან, რათა ისინი (ეს ღვთიურნი ვარსკვლავნი) ყოფილიყვნენ ყველაზე უფაროესნი და სახილველად უუშვენიერესნი, და გააკეთა მან ისინი კოსმოსის მსგავსად წრის სახით... და გაანაწილა ისინი ცის წრეში...

კანონთა მეშვიდე წიგნში საუბარია კიდევ მზისა და მთავრის, და საერთოდ ვარსკვლავთა შესახებ.

ათინელი უცხოელი ამბობს:

– ჩემო კარგო მეგობრებო! დღეს ყველა ათინელი ლაპარაკობს რიოშად, თუ შეიძლება ასეთი გამოთქმა ვიხმაროთ, იმ დიდ ღმერთთა, მზისა და მთვარის შესახებ... ისე როგორც მეგილლოს და კლეინიას, მეც ვფიქრობ, ჩვენმა მოქალაქეებმა და ჩვენმა ახალგაზრდობამ უნდა ისწავლონ ცაში მყოფ ღმერთთა ბუნების შესახებ, რათა შეეძლოთ შესწირონ მსხვერპლი და ილოცონ მათზე სათნო ენით, და არა ჰგმონ ისინი.

კლეიანას. – მართალი ხარ, თუ ასეთი ცოდნა კი მისაღწევია...

და აქ უცხოელი ათინელი განმარტავს მზისა და მთვარის, და საერთოდ ვარსკვლავთა მოძრაობას, თუ რომელ გზას მისდევენ ისინი, ზოგი რატომ ნელა და ზოგი რატომ სწრაფად....

კანონთა მეათე წიგნში ათინელი თავის მესაუბრეს უმტკიცებს, ღმერთები არსებობენო.

კლეინიას. – განა ძნელია ღმერთთა არსებობის დამტკიცება?

ათინელი. – როგორ დაამტკიცებ მათ არსებობას?

კლეინიას. – პირველად ყოვლისა დედამიწა და მზე, და ვარსკვლავნი, და მსოფლიო, და კეთილი წყობა დროთა და დანაწილება მათი წელიწადებად და თვეებად, მათ (ღმერთთა) არსებობის საბუთს გვაძლევს; მაგრამ ამას გარდა სინამდვილეა, რომ ელლინთაც და ბარბაროსთაც რწამთ ისინი (ღმერთები).

აქ ათინელი გრძლად უპასუხებს და სხვათა შორის საყვედურს ამბობს იმ ფილოსოფოსთა შესახებ, რომელნიც ვარსკვლავთ ცხელ ქვას უწოდებენ... საუბარი ამის შესახებ გრძელდება კანონთა მეათე წიგნში –

– სული არის სიცოცხლე; სული განაგებს და მართავს ყველაფერს. მზესა და ვარსკვლავთ აქვთ სული. და ეს სული მზისა, რომელიც უკეთესია ვიდრე თვით მზე, იწოდება თუ არა ღმერთად?

– ოღონდაც. ყველა გონიერი ამას იტყვის.

– ყველა ხედავს მზის გვამს, მაგრამ ვერავინ ვერა ხედავს მზის სულს, და ვერც სულს სხვა რომელიმე, ცოცხალი ან მკვდარი გვამის სულს ხედავენ. მაგრამ მისი გაგება შეიძლება გონებით. სული არის მზეში, ვარსკვლავებში და ყველაფერში, და იგი არის ღვთიური (მუხლი 895, 6, 7, 8).

კანონთა მეთორმეტე წიგნში (მუხლი 967) კიდევ არის ამის შესახებ საუბარი.

ათინელი. – იმათ გონიათ, ვისაც ასტრონომიულ მოვლენებთან აქვთ საქმე, რომ შეუძლიათ უღმერთო იყონ; ვინაიდან ისინი ხედავენ, რამდენად მათ ხედვა შეუძლიათ, რომ ყველაფერი ხდება აუცილებლობით და არა გონივრული ნებით, რომელიც სიკეთეს ასრულებს.

კოენას. – მაგრამ რა სინამდვილე?

ათინელი. – სწორედ წინააღმდეგი ამ აზრისა, რომელიც ერთ ხანს სჭარბობდა კაცთა შორის, თითქო მზე და ვარსკვლავნი უსულონი არიანო. იმ ხანაშიაც ადამიანები ჰკვირობდნენ მათ გამო, და ის, რაც ახლა მტკიცეა, ზოგიერთმა მაშინაც კარგად იცოდა –თუ ისინი (მზე და ვარსკვლავნი) უსულო საგნები არიან და მათ არა აქვთ გონება, მათ არასოდეს არ შეეძლებოდათ მოძრაობა ასეთი ზუსტი ანგარიშის თანახმად; მაშინაც კი ზოგი ბედავდა ეფიქრა, გონება არის მსოფლიო გამგებელიო, მაგრამ კარგად არ ესმოდათ სულის ბუნება, რომელი მათ წარმოედგინათ უფრო გვიანდელად, ვიდრე გვამი... არავინ არ შეიძლება იყოს ღმერთთა ნამდვილი მათაყვანებელი, თუ მან ორი დებულება არ უწყის: სული არის უფროსი (უწინარესი) ყველაფერზე, რომელიც დაბადებულია, არის იგი უკვდავი და განაგებს ყოველივეს... ვისაც არ შეუძლია განჭვრიტოს გონება, რომელიც ვარსკვლავებში არსებობს, მას არ შეუძლია... და სხვა.

პლატონის შეხედულება ვარსკვლავთა შესახებ მოკლედ ასე განიმარტება: 1. ვარსკვლავებში ბინადრობს ღვთიური სული, რომელი ვარსკვლავებს თავისი შინაგანი ძალით ამოძრავებს. 2. სულს აქვს ცეცხლადი გვამი, იგია ერთგვარი პნევმა; 3. ვარსკვლავთ სულს არა აქვს არავითარი გვამი, მაგრამ მას აქვს ძალა, რომელიც ამ გვამს ამოძრავებს.

პლატონის სკოლის, ანუ პლატონის ფილოსოფიის გამზიარებელნი ასწავლიდნენ, ვარსკვლავნი გონებით დაჯილდოებულნი არიანო. ამიტომ მათ თვალში ვარსკვლავნი სათაყვანებელ არსებად ითვლებოდნენ.

3. მზე პლუტარხოსის ფილოსოფიაში

პლუტარხოსი (46 – 120) იყო დელფოსის აპოლლოს წინამძღვარი და დიონისიოსის მისტერიის მიწევნილი, მაგრამ მისი შემეცნება შესახებ ღმერთისა პლატონისებურია. იგი აღიარებს ერთს (ღმერთს), რომელი არის მარადი, უცვლელი, სრულოვანად კეთილი; მისი აზრი და მიზანია განგება, რომელიც ყოველივეს ხელმძღვანელობს, მართავს საკეთილდღეოდ და ყოველივე კეთილს მიუძღვის. ეს ღმერთი თვით არ მოქმედებს ამ ქვეყანაში, ნივთიერ მსოფლიოში; მისი ნება ბუნებაშია და მისი განგება ნამდვილდება ზესთაკაცურ არსებათა, დაემონების საშუალებით (როგორნიც არიან ანგელოზნი მოგვიანო იუდაიზმში); ბოროტი თუ არსებობს, ეს ამ დაემონთა (დემონთა) ბრალია, რომელნიც ღმერთმა დასაჯა ბოროტებისათვის. ციურნი სხეულნი და ყველაზე უწინარეს: მზე, რომელი კაცობრიობის კეთილყოფას განაგებს, არიან ღმერთები და მათ შორის დიდი ღმერთი არის: მზე. მდაბიური ღმერთები კეთილ დაემონთა დასს ეკუთვნიან.

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მეორე

მზე სხვა და სხვა ფილოსოფიურ სკოლაში

1. არისტოტელესის სწავლა
2. ეპიკურეიოსის შეხედულება
3. სტოელთა ფილოსოფიური სკოლის მოძღვრებანი ვარსკვლავთა შესახებ
4. ფილოს ეუდაეიოსის სწავლა
5. ციცერონისა და მაკრობიუსის შეხედულება მზის შესახებ

1. არისტოტელესის სწავლა

არისტოტელისათვის (384 – 322) მნიშვნელოვანი იყო აეხსნა ციურ სხეულთა არსებობა და მათი მოძრაობა. არისტოტელესი, – პროფ. მორის აზრით, – ამ საკითხს უახლოვდება თითქმის თანამედროვე ასტრონომიის თვალსაზრისით: კონცენტრული სფერონი მიწის გარშემო ტრიალებს, მათი მოძრაობის მიზეზი არის პრიმუმ მოვენს (პირველადი მოძრავი), თვითონ უძრავი, რომელიც უკიდურესი სფეროს გარეშე იმყოფება. ეს პირველადი მოძრავი არის არა ნივთიერი (იმმატერიალური) და იგი ამოძრავებს, არა გამომდინარე ფიზიკური ძალით, არამედ სულიერი მიზიდვით. იგია გონება (ნუს); მისი მოქმედებაა წმიდა აზრი; გონება მოაზრე თვითონ დაუსრულებელი, უბოლოო მოქმედი, აქტიური გონება არის ღმერთი; ღმერთია სრულყოფილი; მას აქვს სიცოცხლე, არსებობის განუწყვეტელობა.

არისტოტელესის ღმერთი უფრო განყენებულია ვიდრე პლატონისა. არისტოტელისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს სხვა ღმერთთა აღიარებაც, მაგალითად: ციურ გვამთა ღმერთებად გამოცხადება, და მის მოძღვრებაში არაფერია ისეთი, – ამბობს მორ, – რომ ასეთი არსებანი გამორიცხულნი ყოფილიყვნენო. 83. ანუ როგორც ამბობს პალორი – ვარსკვლავთა მრავალღმერთიანობა აქ ღმერთის ერთიანობას ეგუებაო. 84.

***

არისტოტელესის შეხედულებით, მსოფლიო არის ერთი, დასრულებული და წესიერად მოწყობილი; იგი არის კარგი და შვენიერი; მას აქვს სრულყოფილი სახე და ეს სახე (ფორმა) არის სფერიული. იგი შესდგება ორი თანაბარი ნაწილისაგან: 1. მთვარის ზესთა, ანუ ციური მხარე, და 2. მთვარის ქვემო, ანუ მიწიური მხარე. ციური მხარე ასულდგმულებულია ტრიალი მოძრაობით, რომელიც წამოშობილია ღმერთის მიერ. განუხრწნელი ბუნება ვარსკვლავთა და უცვლელი წესი მათი მოძრაობისა, მათ სავსებით განასხვავებს მიწიურისაგან, რომელიც მუდმივ ცვლილებას ემორჩილება. ვარსკვლავთა მატერია არის ეთერი, ანუ მეხუთე ელემენტი, განუხრწნადი, რომელს არა აქვს არავითარი შეცვალება, გარდა ადგილის ცვლისა, და არავითარი მოძრაობა, გარდა წრიადისა. მიწიურს კი თანა სდევს გახრწნილობა და მას აქვს მოძრაობა ქვემოდან ზემოდ, და ზემოდან ქვემოდ, და არა წრიადი. უძრავ ვარსკვლავთა ცა არის არსებათა სასუფეველი და სრული სიცოცხლის ბინა, შეუცვლელი წესრიგის სავანე. ვარსკვლავებმა არ იციან მოხუცობა და ბერობა; მათ მინიჭებული აქვთ ნეტარი სიცოცხლე და დაუღალავად თავის მარადიულ მოქმედებას განაგრძობენ. ვარსკვლავნი უფრო ღვთიურნი არიან, ვიდრე ადამიანები, ჩვენს წინაპრებს უსათუოდ ჰქონიათ შეუცნობელი ალღო ჭეშმარიტებისა, როდესაც ისინი ვარსკვლავთ ღმერთებად აღიარებდნენო, – ამბობს არისტოტელესი.

არისტოტელესი 47 სფეროსა სთვლის და ისე ვით პირველ ცას, ყველა ამ სფეროს უსხეულო, უგვამო არსმა, სულმა მისცა მოძრაობაო. ვარსკვლავნი, რომელნიც სფეროთა მოძრაობისა მიზანნი და საგანნი არიან, სულდგმულნი, უზენაესნი და გონივრულნი არიან ადამიანზეო. 85.

2. ეპიკურეიოსის შეხედულება ვარსკვლავზე

ეპიკურეიოსის (341 – 270) შეხედულებით, ცა, ვარსკვლავნი, მათნი მოძრაობანი ღმერთის ქმნილებანი არ არიან. ვარსკვლავთა ტრიალნი არიან აუცილებელნი მოძრაობანი, რომელთაც აქვთ ადგილი იმის შედეგად, რომ ვარსკვლავნი თავიდანვე მოხვდნენ ატომთა ტრიალში, რომელიც მსოფლიოს წარმოშობსო. 86.

3. სტოელთა ფილოსოფიური სკოლის მოძღვრებანი ვარსკვლავთა შესახებ

მზის თაყვანება ბაბილონურ–ქალდეური სარწმუნოების ნაყოფია; იგი გადაიღეს და შეითვისეს ბერძნებმა; როგორც ცნობილია, სოკრატესი მზის ამოსვლას როკვითა და ლოცვით ეგებებოდა; სოფოკლესი იტყოდა, მზე – მამა ყოველთა არისო...

სტოელთა ფილოსოფიურ სკოლაში (დაარსებულია ზენონის მიერ) მზის თაყვანება მოძლიერდა, რადგან სტოელ ფილოსოფოსებმა ძველი სწავლა ცეცხლის უწინარესობის, პირველადობის შესახებ, რომლის მიხედვით ღმერთი ისახებოდა ცეცხლად, განაახლეს; ამ ღმერთ–ცეცხლზე არის

ყველაფერი დამოკიდებულიო, – ამბობს კლეანთესი (301 – 225); პოსეიდონიოსმა (136 – 51) ეს შეხედულება გაავრცელა ასტრონომიული სწავლით მნათობთა შესახებ და იგი დასავლეთს უანდერძა.

ზოგი სტოელი ფილოსოფოსის აზრით, მზის სფერო დიდია ვიდრე ხმელეთისა; მზე შესდგება უწმიდესი ცეცხლისაგან; ამიტომ იგი არის სულიერი არსება და პირველი, შექმნილი ღმერთთაგან.

ვარსკვლავნიც მზისებურნი არიან; ისინიც სულიერნი, ანუ გონებრივნი არსებანი არიან; ისინიც შექმნილნი ღმერთნი არიან (შემოქმედია ღვთიური ბუნება). ვინაიდან ციურნი არსებანი გონებრივნი არიან, ამიტომ მათ შეუძლიათ მომავლის განჭვრეტა, ბედის გადაწყვეტა და სხვა ამგვარი. 87.

სტოელთა ფილოსოფია, – როგორც ამბობს პროფ. მორ, – არის უმთავრესად რელიგიური. მათი მოძღვრება იყო პანთეისტური, ანუ გაღმერთებული ბუნება: მათი პანთეიზმი მათ ხელს არ უშლიდა, რასაკვირველია, რომ მზე, მთვარე და სხვა ციურნი გვამნი ღმერთებად გამოეცხადებინათ. ხალხური რელიგიის ღმერთები სტოელებმა ციურ გვამებთან გააიგივეს; ღმერთის გამოცხადებად დასახეს ბუნების სხვა და სხვა დარგში: ეთერში – ზევესი; ჰაერში – ჰერა; წყალში – პოსეიდონიოს; აპოლლო (ფოებოს) – ფართოდ ბრწყინვალე ჰაერი ანუ ცეცხლი, ან უმრავლესობის აზრით: მზე, მისი დაჲ, არტემის – მთვარე და სხვა. 88.

***

სტოელთა სწავლის თანახმად, არსებობს ცეცხლი, ყველაზე კეთილშობილი, ანუ წესნიერი მატერიათა შორის, – ცეცხლი ცისა, რომელი შეიცავს ყოველივეს, – ცეცხლი სუფთა, რომელს აქვს სიცოცხლე, აზრი, გონება და არის ცხოველი, ყოვლად მცოდნე, ყოვლად ძლიერი, ხელოვანი უზენაესი.

ცეცხლი არის ღმერთი, რომლის ხელმწიფება ცხადდება ვარსკვლავთა მოძრაობით, სადაც ყველაფერი არის წესრიგი, ზომა და შვენება.

მზე, მთავარე, მნათობნი (პლანეტანი), უძრავნი ვარსკვლავნი არიან ღმერთნი გონიერნი, შემდგარნი ცეცხლისაგან. ცეცხლის ერთ-ება უზრუნველ ჰყოფს მსოფლიოს ერთ–ებას, რომელი მსოფლიო ღმერთს უზენაესს წარმოადგენს, რომელიც არის ცხოველი არსება, გონიერი, ყველაზე ყოვლად ძლიერი და ყველაზე უკეთესი არსებათა შორის; რომელი მუდმივად ყველა ცხოველს წარმოშობს. ეს ცეცხლი ღმერთი შესულია უმოქმედო და უთვისებო მატერიაში და მან წარმოშვა ოთხი კავშირი, ანუ ელემენტი, მათ დაწინააღმდეგებულ თვისებებთან ერთად: მძიმე (მიწა და წყალი), და სუბუქი (ჰაერი და ცეცხლი); პირველი ორი, რასაკვირველია, ქვე ეზიდება ქვეყნის ცენტრისაკენ; მეორენი – კიდეებისაკენ. ეს ოთხი კავშირი ერთმანეთს შეეზავება და ერთ მეორეში გადადის, და ნივთებსა ჰქმნის, და სხვა.

განსაზღვრულ ხანაში მთელს მსოფლიოს გადაბუგავს და შთანთქავს ცეცხლი, ოღონდ ქვეყანა ისევ მალე აღორძინდება.

ასეთი იყო ზენონის (336/5 – 264/3) შეხედულება; ხოლო კლიანთეზმა (331 – 232/1) ამ სწავლაში მცირე შესწორება შეიტანა.

***

ხრიზიპოსი (281 – 208/4) შემოქმედ დასაბამს უწოდებს: ხან ცეცხლი, ხან სუნთქვა (ქარი) და ეს არის ცეცხლისა და ჰაერის შენაზავები. ეს პნევმა (სუნთქვა, ქარი) შედის ყველა ნივთში და ბადებს ყველა სახესა და ყველა თვისებას. და სხვა. ცეცხლი არის მოქმედი მიზეზი, ცოცხალი მიზეზი. ღმერთი, ანუ ცეცხლი არის მიზეზი ყოველივესი და სხვა.

ზენონის აზრს რომ დაუბრუნდეთ, ღვთიური ცეცხლი, რომელიც ყოველივეს შეიცავს და არის ძალიან სუფთა, წრფელი, გონიერი, ვარსკვლავთა მოძრაობას განაგებს. თვით ცეცხლისაგან შესდგებიან ვარსკვლავნი, და ცეცხლია მამა ყოველი ნივთისა.

კლეანთესის აზრით ცეცხლი არის მძრადი, მოტორი მსოფლიოს ცოცხალი პნევმისა და იგი იმყოფება მზეში, რომელი ყოველივეს ანათებს თავისი ტკბილი და კეთილ მყოფელი სითბოთი, გარდა იმისა, რომ განსაზღვრულ ხანაში იგი თავისი მშთანთქმელი სიცხით და დამღუპველი ხანძარით ყოველივეს გადასწვავს, რათა ყოველივე შემდეგ კვლავ აღორძინდეს.

მზის, ანუ ზევესის მუდმივი მოქმედების გარეშე, ყველა სიცოცხლე ჩაჰქრებოდა. მზე უვლის დედამიწას გარშემო, და მას არასოდეს ძალიან არ შორდება; მზეს უწოდებენ ჰელიოს ან აპოლლო, და ამ უკანასკნელის სიმბოლოდ, მაგალითად „კითარა“ (გიტარა) მოგვაგონებს მზის დანიშნულებაზე მსოფლიოს ცხოვრებაში. არა ერთჯერ, განსაზღვრულ დროს მთვარე და ვარსკვლავნი ჩავარდებიან მზეში და მოხდება მსოფლიო ხანძარი.

ხრიზიპოსი იმასაც ამბობს, რომ გადამწვარი მსოფლიოსაგან (გადაწვას, ცხადია, გადაურჩება ზევესი) წარმოიშვება ისევ ძველი მსოფლიო, იმავე ვარსკვლავებით და კაცებით: სოკრატესი, პლატონიც, ქსანთიპპეც, ანიტოს, მელეტოს და სხვანიც აღსდგებიანო. 77ა. წიგნი 1. გვ. 358 დ 374.

***

სტოელთა შუა ხანის ფილოსოფოსი პოსეიდონიოსი (დაახ. 135 – 51) ამტკიცებდა: მსოფლიო, უნივერსუმი არის ღმერთი და იგი შექმნილია ცეცხლისაგან. აგრეთვე ღმერთნი არიან ვარსკვლავნი, ოლიმპიელნი ღმერთნი, ათასი და ათასი ღმერთი უცხოეთის სხვა და სხვა მხარისა; მათ შემდეგ მოდიან კეთილნი და ბოროტნი დემონები; მერმე მოდის მსოფლიო სული და სხვა. 77. წიგნი 1. გვერდი 445.

საერთოდ, სტოელთა აზრით, ვარსკვლავნი ღვთიურნი არსებანი არიან. მათ მიეწერებათ გონივრული და აზროვნებითი მოქმედება, ანუ შემოქმედებითი ცეცხლი, ან მოძრავი და წმიდა ეთერი. ამის მიხედვით, ეს ნათელნი ღმერთნი, ანუ ნათელნი არსებანი აღჭურვილნი არიან ენით, სმენით და

პირით. ამიტომ შეიძლება მათზე ილოცო, მათ ელაპარაკო და მათ მსხვერპლი მიართვაო.

***

ასტრონომიის საკითხში დიდი გავლენა მოახდინა ცნობლმა ასტრონომოსმა ჰიპარხოსმა (მეორე საუკუნე ქრისტეს წინ) და მას ფართო გასაქანი მისცა; ამიტომ ამბობს პლინიუსი მის შესახებ: ჰიპარხოსი ვერასოდეს ვერ მიიღებს ყველა იმ ქებადიდებას, რომელიც მას ეკუთვნისო; არავის არ დაუმტკიცებია როგორც მას, კაცთა და ვარსკვლავთა ურთიერთობა, ანუ არავის არ ურჩევნია ისე ცხადად, რომ ჩვენნი სულნი ციური ცეცხლის ნაწილაკნი არიანო.

***

4. ფილოს იუდაეოსის სწავლა

ალექსანდრიელი ებრაელი ფილოსოფოსი ფილო (ფილონ) ფიქრობდა: ვარსკვლავთ სიცოცხლე და გონება აქვთო. 89.

ფილო იუდაეოს (25 წ. ქრისტეს წინ და 50 წ. ქრისტეს შემდეგ) ღმერთს აცხადებს უწინარეს ნათელად, და ხილულ ქვეყანაში, ყველა არსებათა შორის ნათელი არის საუკეთესოო. ხილული ქვეყანის შემოქმედია ნათელი (ფოს); იგი არის წინარი ხატი და ნიმუში ხატი ყველა სინათლისა; იგი არის გონებრივი მზე (ნოეტის ჰელიოს), პირველადი მცხინვარება, ნათელის მატარებელი, რომელიც მრავალ შუქს აფრქვევს; რომელსაც არა გრძნობა, არამედ მხოლოდ გონება შეიმცნებს, გაიგებს. მისნი ძალნი არიან ჭეშმარიტება, სამართლიანობა და სხვა. იქ, სადაც ამ უხილავი სულიერი მზის ბრწყინვალება ამოდის, იქ ჩადის ყველა ქვემო-ნათელი. მაგრამ იმ შუქთა ნათება ისეთი ნათელია, რომ მათ ამ ქვეყანაში იხილავთ, თუ თვალს შეეძლება მზეთა შუქთ გაუძლოს. ამგვარად, ფილოს აზრით, ღმერთი არის ნათელთან გაიგივებული. 90.

***

ფილოსათვის ღვთიური ნათელი და მისი გამოშუქება არის ნამდვილი სინათლე, ხოლო ხილული სინათლე კი არის ძალიან შორს მყოფი საფეხური. მაშინ როცა სტოელთა სკოლის მოძღვართა შეხედულებით, ღვთიური უწინარესი ცეცხლი მსოფლიოში მომქმედ ძალად, და დაბოლოს მატერიაში ნამდვილდებოდა, და მათ შორის მხოლოდ სიწმიდისა და სათუთობის მხრივ იყო განსხვავება, ფილოს მოძღვრებაში, გონებრივი ნათელი და გვამობრივი, სხეულებრივი ნათელი ერთი მეორესაგან მკაცრად გამიჯნულია. ფილოსათვის ხილული ნათელი არის მხოლოდ ნახატი, გადმონახატი თავისი წინარი, უკვე არსებული ხატისა, გონებრივი ხატისა. ღმერთი არის თვით ნათელი და წყარო სინათლისა; იგი არის უხილავი; ხოლო ამ უხილავისაგან გამოდის ხილული სინათლე, მისი ხატი.

არსი, არსება, ფილონისათვის არის ისრაელთა ღმერთი, მაღლით მაღალი, უზენაესი, უზესთაესი არსებისა, აზრისა, მიუწვენელი კაცის გონებისათვის

და... გარეშე ყოველი სივრცისა და დროისა... მისი სახელია: ერთი, უზენაესი, იაჰვე (იეგოვა). ეს ღმერთი არის მზე გონებრივი და სხვა. 77ა. წიგნი1. გვერდი 478–9.

5. ციცერონისა და მაკრობიუსის შეხედულება მზის შესახებ

მაკრობიუსი ამბობს: ეს არაა სიტყვათა ბოროტად ხმარება, არც გადაჭარბებული ქება, როდესაც ციცერონი (106 – 43) მზეს უწოდებს – მთავარი, მეფე, შემანელებელი სხვა ციურ ცეცხლთა, გონება და დასაბამი, პრინციპი მსოფლიოს მწყობრისა, მოწყობისა. ეს სახელნი არიან ამ ვარსკვლავის (მზის) ნამდვილნი გამოხატულებანიო.

მაკრობიუსის აზრით, მზე არის მთავარი, ვინაიდან მისი დიდებული ბრწყინვალება მას ყველაზე უფრო ღირსეულ ადგილს ანიჭებს; იგი არის მეფე, ვინაიდან იგი სჩანს მარტოდ ყველაზე უფრო დიდად; მისი ლათინური სახელიც „სოლ“ მოდის სიტყვისაგან: – „სოლუს“ (მარტო); იგი შემანელებელია სხვა ციურ ცეცხლთა, ვინაიდან იგი განსაზღვრავს წრეს, რომელშიც მათ უნდა იტრიალონ წინ და წინაუკმოდ... იგია გონება მსოფლიოსი, ვინაიდან იგია გული მისი; რადგან ყველა მოვლენა, რომელსაც ჩვენ ცაში ვხედავთ, ემორჩილება ურყევ კანონებს; ეს დღე და ღამე, მათი სიგრძე, ხან დიდი, ხან მცირე; მათი სრული გათანასწორება წელიწადის განსაზღვრულ დროს; ეს სიცხე ზომიერი და კეთილის მყოფელი გაზაფხულისა; მწველი სიცხე „კირჩხიბისა“ და „ლომისა“; შემოდგომის ნელი ქარი და მკაცრი ზამთარი, რომელიც ორ ზომიერ დროს გაჰყობს; ყველაფერი ეს არის გონივრული არსების წესიერი სვლის შედეგი. მართლაც, სწორად დაარქვეს ცის გული იმ ვარსკვლავს, რომლის ყველა მოქმედებას ღვთიური გონიერების ბეჭედი ასვია... და თუ ამ გულის ფეთქა შესწყდა, ცხოველის არსებობაც შესწყდება. იგია მსოფლიოს მომწესრიგებელი, ეს მზე, რადგან იგი აწესრიგებს არა მარტო მიწის სითბოს, არამედ ცის სითბოსაც... 91.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მესამე

სწავლანი მზის შესახებ ასტროლოგიურ - ფილოსოფიურნი

1. მზე – ხორიფეოსი

2. ჰერმეტული სწავლა მზის შესახებ

3. გნოსტიკოსთა შეხედულებანი მზის შესახებ

ა). წარმართული გნოსტიციზმი

ბ). ქრისტიანული გნოსტიციზმი

1. მზე – ხორიფეოსი

ასტროლოგიური მოძღვრებანი, რასაკვირველია, მზეს პირველ ადგილს უჩემებენ. ძველ ასტრონომიაში მსოფლიოს ცენტრი იყო დედამიწა, რომლის გარშემო ცა მისი გვამებით ტრიალებს; შვიდი მნათობიც დედამიწას უტრიალებს. ამ შვიდი ცის მხარეში მზეს მეოთხე ალაგი უჭირავს: იგია თავი, მეფე მსოფლიოსი, და მას გარეშემო ერტყმიან დანარჩენნი მნათობნი, მისნი მხლებელნი; მზე იზიდავს და უკუაგდებს ცის დანარჩენ გვამთ თავისი ცეცხლით და ამნაირად მზე მათ ჰარმონიულ, მწყობრ მოძრაობას აწესრიგებს, ისე ვითარცა ხორიფაეოსი (გუნდის ანუ დასის ხელმძღვანელი) ხოროს ხელმძღვანელობს.

ვარსკვლავნი არიან ყველა ფიზიკური და ზნეობრივი მოვლენის შემქმნელი დედამიწაზე; და ცხადია, ის ვინც ამ ვარსკვლავთა მსვლელობას განაგებს და ხელმძღვანელობს, იგი არის ამასთანავე ბედის უფალი მთელი ბუნებისა. ვინაიდან მზე მოთავსებულია ვეებერთელა მსოფლიოს შუაგულში; ვინაიდან იგი ამოძრავებს, აცოცხლებს მას თავისი სითბოთი, ამიტომ იგი არის მსოფლიოს გულიც. ოღონდ ამ მსოფლიოს არ შეიძლება ბრმა ძალა განაგებდეს. ამიტომ მზე არის გონებრივი სინათლე; იგი არის მიმმართებელი და განმაკარგუნებელი გონება. მზე გადაიქცა პიროვნების გონების შემქმნელადაც და ადამიანის, ანუ პატარა მსოფლიოს (მიკროკოსმოსის) მმართველიც გახდა, გარდა იმისა, რომ ეს მზე დიდი მსოფლიოს (მაკროკოსმოსის), ქვეყნიერების მმართველიც არის. მზეა თაობათა შემქმნელი; ამიტომ გვამის სიკვდილის შემდეგ, სული ისევ მზეს უბრუნდება. 92.

2. ჰერმეტული სწავლა მზის შესახებ

ჰერმეს ტრისმეგისტოსის (დაწერილი უნდა იყოს მესამე – მეორე საუკუნეში) ნაწერებში ვარსკვლავნი თვით კი არ არიან ღმერთები, არამედ არიან ისიანი ღმერთთა გარეგანი სახვევნი, რომელთაც ღმერთები ხმარობენ, რათა თავიანთი თავნი ხილულად აჩვენონო. იგივე შეხედულება ვარსკვლავთა შესახებ, რომლის მიხედვით ვარსკვლავნი არიან ღმერთთა მატარებელნი და გამოცხადების სახენი, გამოთქმული აქვს პლუტარხოსს და ტოლემაიოსს და სხ.

რასაკვირველია, ხილულ ღმერთთა შორის მზეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ჰერმესი მზეს პირველ ადგილს ანიჭებს; იგი იმყოფება სატურნუსზე და იუპიტერზე წინ, და მის შესახებ ამბობს: მზე ყველა ღმერთზე უდიდესია ცაში, რომლის წინ ყველა ციური ღმერთი უკან იხევს ვით მეფისა და მფლობელის წინაშეო... უდიდესი ვიდრე მიწა და სხვა, იგი მზე (მთვარესთან ერთად) ყველაფერს, გვამობრივის ქმნასა და მოსპობას მართავს; მზე ხელმძღვანელობს და ანათებს ყველაფერს მსოფლიოში; იგი არის **მეორე ღმერთი**, რომელსაც უზენაესის შემდეგ უნდა ეევედრო; მან მონაწილეობა მიიღო ქვეყნის შექმნაში; ვით შემოქმედ ღმერთს, მას აქვს შემოქმედებითი ძალა; არა მარტო ეს; ამას გარდა, იგი არის თვითონ დემიურგოსი; კიდევ მეტი: იგი არის ნუს, გონება; კიდევ მეტი: იგია უზენაესი ღმერთი ქვეყანისა.

ჰერმეს ტრისმოგისტოს მე-15 წიგნში მზე აღწერილია მრავალი თვისებით: იგია მეეტლე კოსმოსური ეტლისა; აღვირნი მისნი არიან: სიცოცხლე, სული, უკვდავება, დაბადება... მზე ჰქმნის ყველაფერს; ანიჭებს უკვდავთ უკვდავ ცხოვრებას და მოაქვს სიცოცხლე კოსმოსში, ცხოვრება მსოფლიოში. ამ მე-15 წიგნში მზე უზენაესი ღმერთი არის, თუმცა იგი სხვაგან მეორე ღმერთად მოიხსენება, მაგრამ რადგან მზე ყველაფერს ქმნის და აცოცხლებს; ამიტომ იგი მზე თავის თავად მთელი მსოფლიოს ხელმძღვანელი და უფალი არის. ასეთია მოკლედ ჰერმეტული ფილოსოფიურ–თეოლოგიური სწავლა მზის შესახებ. 93.

3. გნოსტიკოსთა შეხედულებანი მზის შესახებ

ა). წარმართული გნოსტიციზმი

გნოსტიკოსთათვის სტოელთა შეხედულება ცეცხლის შესახებ, – ამბობს პროფ. ბაეუმკერ, – ნათესავური იყო. სვიმონ მაგუსისათვის ძალა ღვთიური არის უხილავი ცეცხლი, რომლისაგან ხილული სინათლე გამოდის; დოკეტებისათვის ნათელი არის აეონთა ღვთიური ქვეყანა, სინათლე, რომელიც ყველა სიცოცხლის იდეას შეიცავს და მას ქვემოდ ხაოსში აგზავნის. ამასვე ქადაგებენ სეთიანელნი. იგივე აზრისაა თხუზულება „პისტის სოფია“ და კოპტურ გნოსტიკოსთა წიგნები (იეუ). ცნობილ თხუზულებაში „ხალდეურნი ორაკულნი“ (მესამე საუკუნის დამდეგს) დასაბამი, ანუ პირველადი, პრინციპი საიქიოსა არის მამა, რომელიც არის ცეცხლი; მისგან გამოდის საიქაო იდიალური ცეცხლი – ნათელი ქვეყანა, და ხილული მზეც არის ღვთიური ნათელის გამონავალი.

იმ თხუზულებაში, რომელს აპულეოსს მიაწერენ („ასკლეპიოს“), უფალი დასაბამი არის მზე; მზის პირველი არსი („ოვსიარხოს“) არის ნათელი. ოღონდ ნათელის ეს ზესთა ბუნებრივობა, ანუ სინათლის მეტაფიზიკა გააღრმავა, გააფართოვა და მთლიან მოძღვრებად წარმოადგინა ნეოპლატონიზზმა. 94.

ბ). ქრისტიანული გნოსტიციზმი

გნოსტიციზმი ქრისტიანულ ნიადაგზე არ წარმოშობილა; იგი ქრისტიანობამდეც არსებობდა. ოღონდ იგი შემდეგ ქრისტიანობას დაუკავშირდა და მან ქრისტიანობა საფრთხეში ჩააგდოო, – ამბობს იულიხერ. 95.

გნოსის (ცნობა, ცოდნა) მოძღვრებანი პირადულნი არიან და გნოსტიკოსები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ხოლო რამდენადაც მათი აზრების შეჯამება შეიძლება, ზოგიერთ საერთო დებულებას ვღებულობთ: 1. ზესთა – სადგური ნათელისა, ბედნიერებისა და უკვდავებისა; და დამხე, ქვეშეთი – სამეფო ბნელისა, ცოდვისა, ჭირისა და სიკვდილისა. იმ მიუღწეველი ნათელის ცენტრში სუფევს უზენაესი არსება, პროპატორ. იგი, ეს პროპატორ, არა ჰქმნის, მაგრამ თავისგან წარმოშობს ყველაფერს, რაც მასში წინასწარ არსებობდა. ეს წარმოქმნა მასთან ერთად შეადგენს მსოფლიოს, „პლერომე“ რომელსაც საერთოდ „ეონს“ უწოდებენ, ან ციურ სულს, ანგელოზს. ეს გამოვლინება მრავლდება შეუღლებით (სიზიგია); იგი ჰქმნის ზესთას მსოფლიოში მოშუალეს, დემიურგოს, რომელიც მიწიერ მსოფლიოს, დამხეს ანუ ქვეშეთს აწესრიგებს. დემიურგოსი ჰქმნის ქვეყანას პროპატორის გარეშე. ქრისტე არის პირველი გამოვლინება ცისა, რომელმაც ადამიანის სახე მიიღო და სხვა. კაცის ბუნებაში სამი სულებრივი მოვლენაა: 1. ჰილიკური, ანუ მატერიული, ნივთიერი, 2. ფსიხიკური, ანუ გრძნობადი და 3. პნევმატური, ანუ სულიერი გონიერი. ჰილიკური კვდება კაცთან ერთად; ფსიქიკური გრძნობადობის საზღვარს ვერ გადასცილდება და ვერ გადავა წმიდა გონებრივში; პნევმატური სული კი მიდის პლერომში, ანუ უზენაეს ნათელის სამეუფოში... და სხვა. 96.

ქრისტიან გნოსტიკოსთა შეხედულებითაც, ღმერთი მიუწვევნელია გაუგებარი და შეუგებელი; იგი არის ნათელი და იმყოფება მიუწვდომელ ნათელში, ჩვენთვის – წყვდიადში.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მეოთხე

მზე ნეოპლატონიზმში

1. პლოტინოსის სწავლა ცათა შესახებ

2. იამბლიხოსის სწავლა

3. მოოქრული ლექსები; მსოფლიო ხატი

4. ელინიზმი (ჰელენიზმუს)

5. იმპერატორ იულიანოსის მზენი

6. პროკლოსის მოძღვრება მზის შესახებ

1. პლოტინოსის სწავლა ცათა შესახებ

ნეოპლატონიზმი წარმოიშვა ალექსანდრიაში, გაიზარდა და დავაჟკაცდა რომში, და გარდაიცვალა ათინაში. ალექსანდრია, რომი, ათინა, და ყველგან სხვაგან, ნეოპლატონურმა ანუ ახალმა პლატონურმა სკოლამ თავისი მთავარი თვისება შეინარჩუნა: იგი იყო შენაზავები სხვა და სხვა სწავლათა, თავისი დაბადებითა და განვითარებით; იგი იყო მისტიციზმი, იდიალურად დასახული; იგი იყო ქრისტიანული თეოლოგიის მტერიო, – ამბობს პალორიეს. 97. მაგრამ იგი გარდაიცვალა ქრისტიანობაში, ანუ შევიდა მასში და დამკვიდრდა იქ. მეორე მხრივ იგი აღსდგა შემდეგ არაბულ ფილოსოფიაში და ესპანეთის გზით ევროპიულ ფილოსოფიას შეეხიზნაო.

***

პლოტინოსი (205 – 270) იყო ნეოპლატონიზმის ნამდვილი სულის ჩამდგმელი. მისი მოძღვრების თანახმად არსებობს სამება: 1. **ერთი**, ანუ ღმერთი (ანუ სახიერება, კეთილობა), 2. რომელიც წარმოქმნის **გონებას**, რადგან თვით იგი, **ერთი** არის სრულ ყოფილი, უზენაესი გონიერი. ეს ერთი არის პირველი, როგორც პირობა და ობიექტი გონებისა, 3. გონება თავის მხრივ წარმოქმნის ისე ვითარცა მზე სითბოსა და სინათლეს, **სულს**, ფსიხეს. ამგვარად მოცემულია სამება: 1. ერთი, 2. გონება, 3. სული. უწინარესი და პირველადია ერთი (სახიერება, ღმერთი); მისი ქვემდებარეა – გონება. გონება მოდის ერთისაგან და არის მისი ხატი; ეს ხატი, რაც შეიძლება, წმიდად მის სახეს ღებულობს. ერთსა და გონების შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი (ერთი, სახიერება, კეთილობა) წარმოქმნის; მეორე კი (გონება) წარმოშობილია. ეს წარმოშობილი არის მისი ძე; ძე უფროსია მსოფლიო სულზე, და მსოფლიოს სული უფროსია ყველა არსებაზე, რომელთაც იგი თავის მხრივ წარმოქმნის, რომლისაგანაც ყველაფერი ციური და მიწიერი გამოდის; მსოფლიოს სული, გონებისაგან წარმოქმნილი, არის ქმედი და შემომქმედი, არქიტექტორი, დემიურგოსი. სული არის უკვდავი, რადგან იგი დაბოლოს მსოფლიოს სულს უბრუნდება და მასში ინთქმება, ისე როგორც მსოფლიოს სული გონებაში ინთქმება, გონება კი ერთში ინთქმება.

დაბადება, მოძრაობა, ჭამასმა მოდის გვამისაგან: სულისაგან არის გრძნობა, ნება, გონება, და სხვა. გვამთან ანუ ტანთან გაერთიანებით სული საბოლოოდ არ შორდება მსოფლიო სულს, და ამგვარად, გონებას,

რომლისაგანაც მას მოაქვს წარმოდგენა სიკეთე, სიმშვენე, ჭეშმარიტებაზე და სხვა ასეთზე. მაგრამ სული გვამში, სხეულში ირყვნება და სანამ იგი ერთი გვამიდან მეორეში გადასვლით არ განიწმიდება, იგი მსოფლიო სულს ვერ დაუბრუნდება. ოღონდ სულს შეუძლია გვამის ბოროტებისაგან განთავისუფლდეს, გვამის სიავეს თავი დაახწიოს ფიქრით, ჭვრეტით, გვამის დაგმობით. აქ იბადება მისტიციზმი, რას უჭვროიტოს, რაზე იფიქროს, რას უმზიროს ადამიანის სულმა? ჭეშმარიტება, შვენება, იდეა, – აი ჭვრეტისა და ფიქრის საგანი, რომელსაც უნდა მოსდევდეს ექსტასის, – ანუ სული უნდა ამაღლდეს გონებაზე, გადასცილდეს მას და წმიდა აზრს მიაღწიოს და იხილოს ერთი (სახიერება, სიკეთე, ღმერთი). ამ შემთხვევისათვის მთავარი აზრი აქვს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს, რომელიც ადამიანის სულს დაიპყრობს და მას გაუჩენს სურვილს: იხილოს ერთი, გაუერთიანდეს მას, ჩაენთქას მასში. ამის მიღწევა ადამიანს შეუძლია, თუ იგი ჩამოიცილებს ყოველივე მიწიურს და თავისი სულით მხოლოდ ღმერთს მიმართავს. ასეთი მიღწევა, რასაკვირველია, მეტად ძნელია, თუ სავსებით შეუძლებელი არა. პლოტინოსმაო, – ამბობს მისი მოწაფე პორფირიოს – მხოლოდ ოთხჯერ იხილა ღმერთიო (იქვე, 97. გვ. 215 – 246).

კერძო სულნი, კაცთა სულნი მსოფლიო სულისაგან გამომდინარეობენ. ამ კერძო სულთა ზემოდ არიან წმიდა იდეანი, რომელნიც გონების მხარეს ეკუთვნიან; ამ გონების მხარეში იმდენი იდეები არიან, რამდენიც მიწიურ ქვეყანაში მათი მატარებელნი გვამნი არიან; ეს იდეები, რასაკვირველია, სრულ ყოფილნი არიან. ამ გონების მხარეში იდეები ერთმანეთს ხვდებიან, ერთმანეთში შედიან, რადგან განსხვავება იდეათა შორის არ არსებობს. იმ გონების სფეროში ანუ იდეათა მხარეში ყველაფერი გამჭვირვალეა – არავითარი ჩრდილი ხედვას არა საზღვრავს; ყველა არსი ხილულია და შეიძლება მათი ბუნების უშინაგანეს სიღრმეს ჩასწვდე; ყველა მხარედან ნათელი ხვდება ნათელს. თვითეული არსი თავის თავში გონების მხარეს სავსებით შეიცავს; ყველაფერი ყველგანაა; თითოული რამ ყველაფერია; თითოული იქ არის დიდი, ვინაიდან პატარა იქ არის დიდი. იმ მხარეს აქვს თავისი მზე და ვარსკვლავნი; თითოული მათგანი ერთსა და იმავე დროს ბრწყინავი თავისი საკუთარი ელვარებით, გამოსცემს სხვათა სიანათლესა. (იქვე, 97. გვ. 226).

***

რატომ არიან ციურნი სხეულნი მარადიულნი და არა – მოკვდავნი? – ჰკითხულობს პლოტინოსი. პლატონი ამბობსო და ღვთიურნი ცხოველნი. თვით ღმერთის მიერ არიან შექმნილნიო, ხოლო მიწიურნი ცხოველნი არიან იმ ღმერთთაგან, რომელნიც მისნი შვილნი არიანო („ტიმეაე“), და ის რაც თვით ღმერთისაგან არის შექმნილი, არ დაიღუპებაო, – დასძენს თვითონ პლოტინოსი. ეს იმას ნიშნავს, რომ შუამავალის, ანუ დემიურგოსის, ესე იგი, გონების ზემოდ არის ციური სული; ამ ციური სულისაგან მოდის, გამომდინარეობს ერთგვარად ხატი (იმაგო, იმაჟ, ინდალმა), სული ქვემოთი, ბუნება, რომელსაც მიწიერნი ცხოველნი შეადგენენ. ეს მიწიური სული თავის პრინციპს გონივრულს (ციურ სულს) ჰბაძავს, მაგრამ ეს მხოლოდ

წაბაძვაა და იგი სრულ ყოფილი არასოდეს არაა; ამიტომ მიწიური არის მოკვდავი, ხოლო ციური კი მარადიული (მეორე ენეადას, წიგნი პირველი).

გონება არის სიტყვა და საქმე ერთისა. სული არის სიტყვა და საქმე გონებისა. გონება არის ხატი (იმაჟ) ერთისა; სული არის ხატი გონებისა (მეხუთე ენეიადას, წიგნი პირველი, 6, 7).

არსებობს სამი ღვთიური ჰიპოსტასის (პირი, გვამი): ა). ერთი ბ). გონება გ). სული.

უწინარეს საუკუნეთა **ერთი** წარმოქმნის **გონებას**; გონება წარმოქმნის **სულს**; ხოლო სული წარმოქმნის **ბუნებას** (ნატურას). ამგვარად ხდება გამოვლინება (პროცესსიონ. თანამედროვე ისტორიკოსები ფილოსოფიისა აღარ ხმარობენ ცნებას „გამოვლინება“ – პროცესსიონ, არამედ სწორად სთვლიან ცნებას „პროდუკციონ“, წარმოქმნა; მეც ამ ცნებას ვხმარობ ხოლმე).; ხდება წარმოქმნა პირველიდან უკანასკნელამდე, ვინაიდან არავითარ სრულ ყოფილ ძალას არ შეუძლია ბერწი დარჩეს (იქვე).

მეხუთე ენნეადას მეხუთე წიგნში, 8, პლოტინოსი ამბობს: ყველაზე მაღლა დგას უზენაესი პრინციპი, ანუ დასაბამი, რომელს ეწოდება ერთი, რადგან იგი უზენაესად მარტივია და პირველი, ვინაიდან იგი უზენაესად თვით მყოფია. მის ქვემოდ არის გონება. პირველმა პრინციპმა, დასაბამმა (ერთმა, პირველმა) წარმოქმნა იგი, გონება, ვინაიდან ერთი არის პირველადი ძალა, მეფე მეუფეთა, მამა ღმერთთა, უზენაესი ღმერთი – ერთი. ყველა არსება წარმოქმნა ამ ერთმა, ოღონდ იგი თვითონ დარჩა უძრავი; ყველა არსება ატარებს სახეს (ფორმას); რადგან არსი, სუბსტანცია წარმოქმნილი ერთის მიერ, არის სახე (ფორმა), ამიტომ მას, ერთს არა აქვს სახე; მაშასადამე, იგი არსზე უზენაესია ისევე, როგორც გონებაზე უზენაესი. ერთს ხედავს გონება, რადგან ეს ერთი არის ნათელი გონებრივი, რომელი ანათებს. გონებას შეუძლია იხილოს ღვთიური ნათელი... ანუ სიტყვა სიტყვით: „ოდეს გონება შეამჩნევს ამგვარად ამ ღვთიურ ნათელს, არავინ იცის, საიდან მოდის იგი ნათელი, შიგნიდანაა იგი თუ გარედან; როდესაც იგი შესწყვიტავს ბრწყინვალებას, შეიძლება იფიქრო, რომ იგი ხან მოდის შიგნიდან და არც მოდის იქედან. მაგრამ უსარგებლოა სძებნო, საიდან მოდის ეს ნათელი – არ შეიძლება წარმოადგინო ადგილის სახელის საკითხი. მართლაც, იგი არც შეიძლება დაშორებულ იყოს, არც მოახლოებული ჩვენსკენ; იგი ჩვენ გვიცხადდება მხოლოდ, ან დაფარულია იგი ჩვენგან. არ უნდა მოძებნო, მაგრამ მოსვენებით უცადო, რათა იგი ჩვენ გამოგვეცხადოს, და მოემზადო იხილო იგი ისევე როგორც უცდი მზის ამოსვლას, რომელიც ჩნდება ჰორიზონტის ზემოდ, ან ამოიტყორცნება ოკეანედან, როგორც პოეტები ამბობენ. საიდან ამოდის იგი, რომლის ხატი არის ჩვენი მზე? რომელი ჰორიზონტის ზემოდ უნდა გამოცხადდეს იგი, რათა ჩვენ გაგვანათოს? იგი უნდა გამოცხადდეს გონების ზემოდ, რომელიც მას უცქერს. ამგვარად, გონება უნდა დარჩეს უმოძრავო ცქერაში, შეკუმშული და ჩაფლული მზერაში მხოლოდ იმ შვენებისა, რომელიც ამოდის და მას ავსებს სიმხნით.

მაშინ გონება გრძნობს, რომ იგი არის უშვენიერესი უბრწყინვალესი, ვინაიდან იგი უახლოვდება პირველს“-ო. 98.

***

ამგვარად, პლოტინოსის სწავლით: დასაბამი, ანუ პრინციპი, ანუ პირველადი არსება არის ერთი; ეს ერთი არის სახიერება (კეთილობა, ღმერთი); ერთისაგან წარმოიქმნება გონება (ნუს); გონებისაგან წარმოიქმნა მსოფლიო სული; მსოფლიო სულისაგან წარმოიქმნა ეს ჩვენი მსოფლიო, ანუ მთელი ბუნება (ნატურა). მთელ მსოფლიოში ცა არის, რომელიც პირველადი სულით ივსება და ამიტომ ცას უწმიდესი, უკეთილშობილესი სული ეკუთვნის; მას შემდეგ მოდიან მნათობნი, ვარსკვლავნი, რომელთაც პლოტინოსი ხილულ ღმერთთ უწოდებს. ვარსკვლავთა და ხმელეთს შორისი სივრცე არის ყოველნაირ დემონთა სამყოფელი. მზე არის ხატი ერთისა. 99.

2. იამბლიხოსის სწავლა ვარსკვლავთა შესახებ

იამბლიხოსი (გარდაიც. 329/30წ.) ვარსკვლავებს ხილულ ღმერთებს უწოდებს. ვარსკვლავებზე ცხოვრობენ სულნი, რომელნიც მათთან ერთად სვლას ასრულებენო. იამბლიხოსმა ცა დაასახელა ღმერთებით; ეს ღმერთები ორადობის (დიადოს) მეოხებით წარმოშობენ ორეულს; მერმე სამობით (ტრიადოს) წარმოშობენ სამეულს; მერმე ხუთობის (პენტაპლასიოს) მეოხებით – ხუთეულს და შვიდების (იბდომადიკოს) მეოხებით წარმოშობენ შვიდეულ ღმერთებს და ამგვარად აუარებელი ღმერთები იქმნებიან. 100.

ვითარცა ნეოპლატონიანი, იამბლიხოსი აღიარებს 1. ერთს, 2. გონებას, უხილავ ქვეყანას და 3. გრძნობა, ხილულ ქვეყანას პირველი არის სინამდვილე, ერთად ერთი სინამდვილე, ღმერთები, – ამბობს იგი, – რომელნიც ამ უმაღლეს მხარეს სჭვრეტენ; ვარსკვლავნი, ანუ ხილულნი ღმერთნი არიან მხოლოდ გარეგნულნი გამოხატულებანი (ხატნი), წარმოშობილნი ღვთიური და გონებრივი ნიმუშებით. ერთიანობის კავშირი ამ ორ წყობას ერთმანეთთან აკავშირებს განუყრელად; ხილულ ღმერთებს შეიცავენ, შეიფლობენ გონებრივი ღმერთებიო. 101.

3. მოოქრული ლექსები; მსოფლიო ხატი.

არსებობს ერთი შესანიშნავი თხუზულება ლექსთა, რომელიც პითაგორას მიეწერება, მაგრამ დაწერილი უნდა იყოს მეოთხე საუკუნეში ვინმე ნეოპლატონიანის მიერ. ესაა ეგრეთ წოდებული „პითაგორასის მოოქრული ლექსები“, რომელიც ჰიეროკლეს აქვს დაცული. ამ ლექსებშიც იგივე დებულებაა, რაც ნეოპლატონიზმს ახასიათებს: მთელი ხილული მსოფლიო არის ხატი ღვთიურობისა.101. გვერდი 410.

იმავე ხანაში ვინმე ნეოპლატონიანმა ლეგენდარულ ორფეოსს მიაწერა ყველა მეცნიერების შექმნა და მათ შორის თეოლოგიისაც. ამ ვინმეს მიერ დაწერილ პოემაში, რომლის მხოლოდ ნაწყვეტია გადარჩენილი ორფეოსი ამბობს: უზენაესი ღმერთის, იუპიტერის წიაღში მთელი მსოფლიოა შენაფლობი; იგია მარადულობა; ყველაფერი მის არსს ეზიარება; ეს არის მხოლოო ძალაა, მსოფლიური; ის წარმოდგენილია ყველაფერში. იგი ასულდგმულებს ყველაფერს; მართავს ყველაფერს; ყველა არსება არის მხოლოდ ნაწილი და ნაწევარი ღმერთისა; უზენაესი პრინციპი არის უხილავი, მიუწვდომელი კაცის გონებისათვის; მსოფლიო არის ხატი. 101. გვერდი 414. პროკლოსსაც აქვს ორფეოსის ერთი ლექსის ნაწყვეტი, რომელში ნათქვამია – ღმერთი შეიფლობს ყველა მოკვდავ და ბედნიერ ღმერთებს... და ყველაფერს რაც ქვეყანაზე არის, იყო და იქმნება. ყველაფერი არსებობს ღმერთის წიაღში.

4. ელინიზმი (ჰელენიზმუს)

ნეოპლატონიზმის განვითარება პლოტინოსის სიკვდილის შემდეგ მეტად რთული იყო. თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში ნეოპლატონიზმმა განვლო რთული ისტორია როგორც დოგმათა მხრივ, ისე რელიგიურად და პოლიტიკურად. რელიგიურად იგი წარმართულ მიმდინარეობას შეუერთდა და პაგანურ რელიგიათა საჭურველად გადაიქცა. პლოტინოსის რელიგიური სწავლა ციურ არსებათა, ვარსკვლავთა ღმერთობას აღიარებდა და ამით მან მითრაიზმს და მზის მოთაყვანეთ ზურგი გაუმაგრა, და ამნაირადაც პოლიტიკურად რომის იმპერატორთა დამხმარე შეიქმნა.

სალუსტიუსმა (გარ. 370 წ.), იულიანოს აპოსტატას მეგობარმა და ფილოსოფოსმა დასწერა სახალხოდ გასაგები წიგნი „ღმერთთა და ქვეყანის“ შესახებ, რომელი პროფ. ბრეიერის თქმით, ნეოპლატონიზმის ერთგვარი კატეხიზმოსი იყო. მისი სწავლის ფუძე დებულებაა: ქვეყანის მარადულობა, ახლანდელი მისი წესით; უარყოფა მსოფლიოს შექმნისა. ქვეყანის შექმნის, დაბადების დებულების აღიარება ნიშნავდა იმასაც, რომ ღმერთმა ქვეყანის შექმნასთან ერთად ვარსკვლავნიც შექმნა, და, რასაკვირველია, ამით ვარსკვლავნი და მათ შორის მზე, თავის ღვთიურობას ჰკარგავდა. ამიტომ ნეოპლატონნი, პორფიროსიდან დაწყებული პროკლოსამდე (412 – 484) ქრისტიანულ შეხედულებას დაბადებაზე (ქვეყნის შექმნაზე) უარს ამბობდნენ. მას უარსა ჰყოფდნენ და ამტკიცებდნენ: ქვეყანის წარმოშობა იყო აუცილებლობის შედეგი და ამიტომ ეს შექმნა მარადიულია ღმერთის ბუნებისათვის, და ეს ღმერთი კი მუდამ შემოქმედიაო.

ამავე დროს ნეოპლატონიზმმა დაადასტურა მაგია, მოგვოსნობა, ჯადოსნობა, შელოცვა, მარჩიელობა–მკითხაობა და სხვა ასეთი, რაც მესამე საუკუნიდან მეტის მეტად გაფურჩქვნილი იყო. თეურგიამ ფეხი მოიდგა; თეურგია ხომ არის ცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა მოიყვანო ღვთიური გავლენა სადაც გსურს, როგორც გსურს და რისთვისაც გსურს. თეურგიას ჰქონდა თავისი სახარება, წიგნი, რომელს ეწოდებოდა „ეგვიპტურ

საიდუმლოთა შესახებ“. ვარსკვლავთა ღვთიურობა, მსოთლიოს მარადულობა, მოგვოსნობა–ჯადოსნობა, მრწამსი, რომ ღმერთის მიერ წარმოშობილნი სულნი დანიშნულნი არიან ისევ ღმერთს დაუბრუნდენ, ასეთი არის, – პროფ. ბრეიერის თქმით, – ის მოძღვრება, რომელსაც ჰელენიზმს–ელინიზმს უწოდებდნენ, ქრისტიანობისაგან განსასხვავებელად. ამ რწმენას თავისი წიგნებიც ჰქონდა, და მათ შორის „ხალდეურნი ორაკულნი“, რომელიც მესამე საუკუნეს ეკუთვნის, და რომელსაც პლოტინოსის მოწაფე პორფირიოს ხმარობს, ფილოსოფოსი და ასტროლოგიის მოყვარული, მზის ამოსვლისას და ჩასვლისას, ყოველ დღე რომ ლოცულობდა. 102.

5. იმპერატორ იულიანოსის მზენი

იმპერატორი იულიანუს ფლავიუს კლაუდიუს (332 – 364), ქრისტიანობისაგან გამდგარი და ამიტომ „აპოსტატა“-დ (განდგომილად) წოდებული თავის შესანიშნავ სიტყვაში მეფე-მზის საპატივცემოდ ამბობს: –

ეს მომხიბლველი და ღვთიური ქვეყანა, რომელიც არსებობს ცის თაღიდან მიწის უკანასკნელ კიდემდე, ღმერთის შეუცნობელი განგების კანონით, მარად არსებობდა, უქმნელი და მარად იარსებეს; პირველად ყოვლისა მისი პირდაპირი ხელმძღვანელია და დამცველი მეხუთე სხეული, ანუ სათავე, პრინციპი მზიური, რომლისაგან იგი გამოდის; ამას ზემოდ არის გონების მხარე და მას ზემოდ კიდევ მესამე მიზეზი, მეფე ყველა არსებათა, რომლისაგან ყოველივეა დამოკიდებული. ეს არის უწინარესი მიზეზი, სათავე, დასაწყისი, ან პრინციპი, წინასწარი ხატი, პროტოტიპი (წინარი ტიპი), არსება ერთად ერთი და მხოლოო, ანუ ერთი, ანუ როგორც პლატონი უწოდებს: სახიერება (ტო აგათონ – კეთილობა, სიკეთე), ანუ კეთილი უზენაესი; ესაა მიზეზი, რომელიც არის ნიმუში მარტივი და მხოლოო ყველაფერისა, რომელიც თავისთავში წარმოქმნის თავისი პირველადი და მუდმივი ძალით არსებებს, რომელიც თვითონ მას ემსგავსებიან, ღმერთ მზეს, რომელსაც უკავია შუა ადგილი გონებრივ მიზეზთა და უმეშვეო მოქმედ პრინციპთა შორის...

მზის ნათელს, ყველა მასთან რაც ხილულია, უნდა ჰქონდეს მსგავსება, რომელიც აქვს ჭეშმარიტებას, ყველაფერ მასთან, რაც არის გონებრივი. ოღონდ ეს პირველი მსოფლიური ნაწარმოები (ლოგოს), რომელიც გამოდის პირველადი და უზენაესი სახიერებისაგან, მფლობელობს ყველა გონებრივ ღმერთებზე, რომელთაც იგი ანიჭებს იმავე ნიჭთ, რომელნიც მან მიიღო უზენაესი სახერებისაგან, ერთისაგან; ესაა ხომ წყარო გონებრივ ღმერთთა სიკეთისა...

ეს მეორე და დიდი მზე, აცნობებს და აძლევს, უნაწილებს არა ნივთიერ, ანუ გონიერ არსებებს იმავე კეთილ ნიჭთ, რომელნიც მან პირველისაგან მიიღო, ესე იგი, სახიერებისაგან უმთავრესად, რომლისაგან იგი დავალებულია მათზე იმეფოს, თუმცა იგი ისევე ნაწარმოებია მათთან ერთად, ვით თვით

ისინი (ეს არა ნივთიერნი არსებანი), იმ განზრახვით უეჭველია, რომ ერთად ერთი პრინციპი, წარმომადგენელი სახიერებისა, თავჯდომარეობდა გონებრივ ღმერთებს და განაგებდა ყველაფერს ბრძნულად. მაგრამ მესამე მზე არის ხილული: მე ვლაპარაკობ იმ მანათობელ დისკოსზე, რომელიც არის გრძნობად ყველა არსებისათვის სიცოცხლის შენარჩუნებისა და დაცვის სათავე; და რომელიც ანიჭებს ხილულ არსებებს ყველაფერს იმას, რომელსაც დიდი მზე გონებრივ და არა-სხეულებრივ ღმერთებს უზიარებს-ო... 103.

როგორც ვხედავთ, იმპერატორ იულიანოსს წარმოდგენილი აქვს სამი მზე, რომელთაგან ორი უხილავია. **პირველი მზე** არის პირველადი სათავე, პირველადი საწყისი, ანუ პრინციპი; ეს არის ერთი, ანუ ღმერთი, უწინარესი მიზეზი, ყველა არსებათა წინაარი. **მეორე მზე** წარმოშობილია უწინარეს საუკუნეთა პირველი მზისაგან, და იგი არის გონებრივი მხარე, გონება, ანუ სიტყვა, ანუ ლოგოს. ეს მეორე მზე ჰგავს პირველს და მას დავალებული ჰქონდა, დანიშნულიყო უწინარეს საუკუნეთა ხილული ქვეყანა წარმოექმნა. და ბოლოს, მესამე მზე, **ხილული მზე** – ხილულ ქვეყანასთან ერთად წარმოშობილი; ეს ხილული მზე არის მეორე მზის (გონების) ხატი. ხილულ მზეს გონებრივი (მეორე) მზისაგან ნაზიარები აქვს გონება და მისგან მიღებული აქვს ყოველი სიკეთე, რომელთაც იგი არსებებს ანიჭებს.

იმპერატორ იულიანოს შეხედულებით მეორე მზე არის მეხუთე სხეული. რას ნიშნავს ეს? ძველთა ფილოსოფოსთა შეხედულებით არსებობს ოთხი ელემენტი (კავშირი): ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი, რომელთაგან ყველა სხეული, გვამი შესდგება; მაგრამ ამ ოთხ ელემენტს უმატებდნენ კიდევ მეხუთეს: ანიმუს, ანუ სული. იმპერატორი იულიანოს მეხუთე ელემენტად სთვლის მზის სულს, მეორე მზის, ანუ უხილავი მზის სულს, რომელიც არის მსოფლიო სული.

მზე – მსოფლიო სული – მეორე მზე – დიდი მეფე მზე – უხილავი მზე – გონების მხარე წარმოქმნილია პირველი მზის, არხეტიპოსის, ანუ პირველადი ტიპის მიერ, რომელიც არს პირველი მიზეზი (სახიერება, ღმერთი). ხოლო მეორე მზისაგან წარმომდგარია მესამე, ანუ ხილული მზე, რომელიც არის ხატი, მსგავსება მეორე მზისა.

ამგვარია იმპერატორ იულიანოსის სწავლა და იგი თავის სიტყვას მეფე–მზის შესახებ ასე ასრულებს: – მე მსურდა ჩემი მადლობა გამომეთქვა ჩემი სიტყვით ღმერთისათვის; მე მგონია, ჩემ ძალთა მიხედვით განვიხილე მისი ღვთიური არსება; და ჩემი ცდანი, მგონია, დაკარგული არ არიან; მე მივდიე ნიმუშს: „ღმერთებს შეწირე შენი ქონების მიხედვით“-ო (ჰეზიოდოს 1. 1,5). და ამას ვანამდვილებ არა მარტო მსხვერპლითა, არამედ პატივითა და დიდებით რომელთა ღირსნი ღმერთები არიან; ამგვარად, მესამე ჯერ ვევედრები მზე მეფეს ყველა არსთა, მიპასუხოს თავისი კეთილი ყურადღებით ჩემს გულს წრფელ სათნოებაზე; მომმადლოს კეთილი

ცხოვრება, ტკბილი სიკვდილი ბედის მიერ დაწესებულ ვადაზე, და ამ ცხოვრების შემდეგ მომანიჭოს ბედნიერება დაუბრუნდე მას წიაღში, დავრჩე მასთან მარადულად, თუ ეს შესაძლებელია; და თუ ასეთი დიდი ღირსება-სიყვარული ჩემი ცხოვრების დამსახურებას აჭარბებს, მაშინ, დაე, დავრჩე მასთან ახლოს მაინც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში-ო. 103. გვ. 424.

6. პროკლოსის მოძღვრება მზის შესახებ

პროკლოსის (410/12 – 484/5) მოძღვრებით ხილულნი ვარსკვლავნი, რომელნიც ხილული მზისაგან ნათელს ღებულობენ, თვითონ მზეს ემსგავსებიან; ამნაირადვე, საიქაო ქვეყანაში ყველაფერი ღვთიურია იმ ნათელის მეოხებით, რომელსაც სახიერება აფრქვევს. მზე, რომელიც ყველა მანათობელის წინ ამ ქვეყანაზე, ვით ერთიანობა, წინასწარ არის, მალულიდან გამოდის და ყველაფერს ამ ქვეყანაში, მიმღეობის შეძლების მიხედვით, ზესთა ბუნებრივი, საიქიო მხარის ნათელს ანიჭებს. საიქაო ნათელი, რომელი იდეური მხარის მანათობელია, არის ნამდვილი ნათელი. სააქაო ნათელი მისი მსგავსებაა, მისი ხატია. ხილული ნათელი, – ამბობს პროკლოსი, – არის მხოლოდ გამოშუქება, რომელიც ხდება საიქაო მზის მსგავსი ხატის, სააქაო მზის საშუალებით, და რომელიც ნამდვილი ნათელისაგან გამოდის არა ისე, როგორც სტოელთა სკოლას ესმოდა, – ნივთიერი არსის პანთეისტური გამოვლინებით –, არამედ დინამიური გამოვლინების გვარად, ანუ ემანაციო პერ უირტუტემ. 104.

***

პროკლოსი „პარმენიდეს“-ის კომენტარიებში ამბობს: „ნათელის ხილულნი მიზეზნი მრავალნი არიან, ზოგნი – ცაში, ზოგნი – მთვარის ქვემოდ: რადგან ესენი არიან სხვა და სხვა ნათელნი ნივთიერი ცეცხლისაგან, მთვარისაგან, სხვა ვარსკვლავთაგან, ამ ქვეყანად სხვა და სხვა სახით ჩამოდიან. მაგრამ თუ მთელი შინა-კოსმოსური (ამ ქვეყნიური) ცეცხლის ერთ მონადას (ერთეულს) მოვძებნით, რომელზე სხვა ნათელი არსებანი დამოკიდებულნი არიან, და რომლის ნათელის ხორო არიან, მგონია, შეიძლება წარმოიდგინოთ მხოლოდ ხილული ტრიალი მზისა“-დო.

ამ საკითხის გარკვევა პროკლოსს კიდევ სხვა ადგილზე აქვს, სადაც ამბობს –

„ჩვენ მზეს განვიხილავთ ორი სახით: ერთიანი 1). ვითარცა შვიდთა მნათობთაგანი ერთი, 2). ვით მთავარი ყველაფერისა, როგორც შინა-კოსმოსურ (ამ ქვეყნიური), ისე ზე-კოსმოსური (იმ ქვეყნიური), იმის მიხედვით, თუ როგორ აბრწყინვალებს იგი ღვთიურ ნათელს, ისე ვითარცა სახიერება აბრწყინვალებს ჭეშმარიტებას, რომელიც აღვთიურებს, ან ავრცელებს მას ორივე მსოფლიოზე გონებრივ და გონიერ მხარეში...

... ზე-კოსმოსური (იმ ქვეყნიური) მზე ნათელ წყაროებს ავრცელებს, და ყოვლად საიდუმლო გადმოცემა გვაუწყებს მის ერთობლივობას (ტოტალობას) ზე-კოსმოსურში; რადგან იქ არის მსოფლიო მზიური და ნათელი უნივერსალური, როგორც ამბობენ სიტყვანი ჭეშმარიტნი

ქალდეანთა... და როგორც მე თვითონ დარწმუნებული ვარ“-ო (პროკ. ინ ტიმ. 264 გ.).

„აი, სწორედ ამიტომ: მზე, რომელიც არის ამ ქვეყნიურთა მწვერვალი და რომელიც გამოდის ეთერის უფსკრულებიდან, ანიჭებს თავის ზესთა-ბუნებრივ სრულყოფილებას ხილულთ და მათ ხდის, შესაძლებლობის ზომით, ზემო-ციურ მსოფლიოთა მსგავსად“-ო.

„მართლაც იგი, ეს მონადა ზემოთის რომელიღაც ადგილიდან გამომავალი უხილავი და ფარული ნათელისაგან და ზემო ციურ მსოფლიოთაგან, პროპორციის კანონით ამ ქვეყნიურ ყველაფერს ნათელს მიუთესავს და უნაწილებს; რადგან რომელი სხვა წყაროთი ეზიარებიან ნათელს ვარსკვლავნი და მატერიის ბნელი ელემენტი? მერმე რა! ვუწოდოთ ამ ხილულ და ბუნებრივ მოვლენის გვამს პრინციპი ნათელისა? არა! რადგან იგი განაწილებულია სივრცეში: სხვა და სხვა ნაწილნი, რომელთ იგი შეიცავს, სხვა და სხვა ნათელისგან გამოდიან, და ჩვენ კი ნათელის მხოლოო სათავეს, პრინციპს ვეძებთ...

აღვიაროთ უნდა სული, რომელიც გვამთა მოძრაობას მიმართავს, როგორც ისეთი, რომელს თვითონ თავისით შეუძლია ნათელის წარმოშობა? უეჭველია, ნათელს სულიც წარმოშობს, მაგრამ, ცხადია, არა თავდაპირველად, რადგან იგი სული არის მრავლობა და ნათელი კი არის მარტივი ერთ-სახე ჰიპოსტასის (პირის, გვამოვნების) გამოცხადება. იქნებ ეს არის გონება, მიზეზი სულისა, რომელიცაა წყარო ნათელისა? მაგრამ გონება მეტად მჭიდროდ შინაგან არის შეკავშირებული სულთან, და ჯერ კიდევ არაა პრინციპი უზენაესი და პირველი. მაშ რჩება მხოლოდ ის, რომ ჰენადა ამ გონებისა, მისი ჰიპარქსის, და ვთქვათ ასე, მისი ყვავილი არის პირველი პრინციპი და პრინციპი ამ ნათელისა. რამეთუ ჭეშმარიტი მზე, რომელიც ხილულ ქვეყანაში მეფობს, არის ძე სახიერებისა. ყველა ჰენადა მისგან (პირველი პრინციპისაგან) გამოდის; ყველა ღმრთეება მოდის ჰენადათა ჰენადისაგან და ღმერთთა წყაროდან-ო. და ამის შესახებ იგი სხვა შემთხვევისათვის ამბობს:

რადგან მონადა ამქვეყნიურთა არის ზე-ქვეყნიური, და მონადა ზექვეყნიური არის გონიერი, და მონადა გონიერთა არის გონებრივი, ამგვარადვე გონებრივნი შეჩერებულ არიან თავდაპირველ მონადაში, რომელიც არის გონებრივთა ზემოდ, სავსე მისგან და გავსებული იმავე ღვთიურობისაგან, მანათობელია გონებრივი ნათელით იმისაც, რაც მცირედიც კი არის-ო...

და პროკლოსი განაგრძობს ისევ პარმენიდეს განმარტებაში –

„ისე როგორც ეს წყარო (პირველი პრინციპი: სახიერება) არის გონიერთათვის პრინციპი გონიერი ნათელისა, ასევე მზიური წყობის ჰენადა არის ხილულთათვის პრინციპი აქაური, ქვემოთის ნათელისა: და ისე რომ, თუ გვსურს შევიგნოთ მიზეზი ერთი და პრინციპი ერთი შინაკოსმოსური (სააქაო) ნათელისა, მაშინ უნდა ვიცნოთ ეს ჰენადა, რადგან

იგი არის მსგავსი ერთისა, დამყარებულია მასში ჩამალული იდუმალი წესით, და არის მისგან განუყოფელი“-ო. 104 ა.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მეხუთე

ქრისტიანული ფილოსოფიურნი სწავლანი ნათელის შესახებ

1. უარყოფა ვარსკვლავთა ღვთიურობისა

2. შეხედულებანი ნათელის შესახებ

1. უარყოფა ვარსკვლავთა ღვთიურობისა

ქრისტიანობამ, რომლის მრწამსია ერთი ღმერთი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, რასაკვირველია, წარმართულ ღმერთებს, და მათ შორის ციურ, ვარსკვლავურ ღმერთებს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა. განსაკუთრებით მიუღებელი იყო ქრისტიანი ფილოსოფოსებისათვის პლატონისა და სტოელთა შეხედულება, რომლის მიხედვით ღვთიური სული ვარსკვლავებში არსებობსო და ვარსკვლავნიც კი ღმერთნი არიანო.

ა). არნობოისი (მონათლული 297 წ.) პლატონის შეხედულებას ამ საკითხში სასტიკ ბრძოლას უმართავს და

ბ). ლაკტანციუსი (გარდაიც. 325 წ.) ვარსკვლავთა ღვთიურობის შესახებ სწერდა: თუ სტოელნი ფილოსოფოსნი ვარსკვლავთა ღვთიურობას მნიშვნელობას ანიჭებენ, ეს წინააღმდეგს ამტკიცებსო. ისინი ფიქრობენ, ვარსკვლავნი იმიტომ არიან ღმერთები, რომ მათ აქვს მარადული წესიერი მსვლელობა და გონიერი არისო და სწორედ, რადგან მათ არ შეუძლიათ თავიანთ გზას გადაუხვიონ, გასცილდენ მას, ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ ისინი ღმერთები არ არიან; ისინი რომ ღმერთები ყოფილიყვნენ, მათ შეეძლებოდათ თავისუფალი მსვლელობა, და ვითარცა ცოცხალ არსებათ, თავისუფალი ნების პატრონთ, შეეძლოთ, სადცა სურდათ, იქ ყოფნა, მიწაზეც კიო.

ვარსკვლავთ თაყვანების წანააღმდეგ ბრძოლას ქრისტიანების მხრივ გრძელი ისტორია აქვს და ამ ბრძოლაში ქრისტიანობამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა. 106.

2. შეხედულებანი ნათელის შესახებ

ქრისტიანულ ფილოსოფიაში და თეოლოგიაში ნათელმა და მზემ თავისი მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა

1. წმიდა აუგუსტინუსი (354 – 430). ახალგაზრდობაში იგი მანიქეანი იყო. როდესაც ქრისტიანობა მიიღო, ამ დიდმა თეოლოგოსმა, ნეოპლატონური სწავლა ნათელის შესახებ ბიბლიის სწავლას დაუკავშირა და ამით მანიქეიზმს ბრძოლა გაუმართა. მანიქეანთა შეცდომა ისაა, რომ ისინი გრძნობადსა და გონებრივ ნათელს ერთმანეთისგან ვერ არჩევენ; რომ ისინი შექმნილს და უქმნელს ნათელს ერთი მეორისაგან ვერ მიჯნავენ. ღმერთი არის **უქმნელი გონებრივი ნათელი**, რომლის მეოხებით ყველაფერი ნათლდება და მნათობს. იგი არის გონებრივში, როგორც პლატონი ამბობს, ვითარცა მზე ხილულში. ღმერთი არის მარადი ჭეშმარიტება, რომელიც ვით ჭეშმარიტება ამავე დროს არის ნათელი; ნათელი, რომელიც არა უცხო და სხვისი, არამედ თავისი საკუთარი მცხინვარებით, თავისი ელვარებით ყველაფერს ანათებს. ეს **ნათელი** (ღმერთი) არის ერთი, ღვთიური პიროვნების **სამების** მიუხედავად; **ნათელი, უქმნელი. ნათელი არის ერთი, განუყოფელი სამება.**

მამა–ღმერთის თანაარსი უკვდავი, **მარადი სიტყვა, მარადი სიბრძნე** (იესო ქრისტე) აგრეთვე ნათელად იწოდება, – მამასთან თანასწორი უკვდავი, მარადი ნათელი, რომელიც არ არის შექმნილი, არამედ შობილი.

როდესაც აუგუსტინუსი „ღვთიურ სიტყვას“ „ნათელს“ უწოდებს, ეს თქმა არ არის უბრალო შედარება, ისე როგორც ეს უბრალო შედარება არაა არც ნეოპლატონიზმში. აუგუსტინუსი ღმერთს უწოდებს: „შეუდარებელი საუკეთესო ნათელი“. ქრისტე მისთვის ნამდვილი ნათელია. უქმნელ ნათელს მოსდევს შექმნილი ნათელი.

ეს ქმნილი ნათელი აუგუსტინოსისათვის, – ამბობს პროფ. კ. ბაეუმკერ, – ხან არის შემეცნების წყარო, რომლის წყალობით საგანნი ხილულ არიან; ხან არის იგი გონებრივი სინათლე, ანუ როგორც პლატონიზმშია: უსხეულო, ანუ სულიერი, გონებრივი ნათელი, და გვამობრივი, გრძნობადი ნათელი. უგვამო ნათელი არის ანგელოზი; იგი არის ამას გარდა, გონიერი ნათელი, გონივრული ჭეშმარიტება; აგრეთვე მადლი, ვით სულიერი ნათელი.

გვამობრივი ნათელი არის გარეგანი ნათელი, ხილული ქვეყანის ნათელი. ამას ემატება კიდევ – როგორც პლოტინოსს აქვს – გარეგან გრძნობად ნათელსა და გონიერ ნათელს შორის მყოფი შემეცნებითი სულის შინაგანი ნათელი.

ამგვარად, საერთოდ ნათელი სამი გვარისაა: 1. ხილული ნათელი, 2. შინაგანი, შემეცნებითი, და 3. გონებრივი.

პლოტინოსი ამბობდა, ნათელი მზეზე უწინარესიო, და აუგუსტინუსიც ამბობს: ნათელი ყველაზე პირველიო; იგი არის უსათუთესი და მქმედი ძალა გვამობრივ ქვეყანაში და ამიტომ სულთან ახლოს არისო; ამიტომ, ნეოპლატონიზმის სწავლის მიხედვით, აუგუსტინუსი ფიქრობს, ნათელი არის კავშირი სულსა და ხორცთა შორის და იგი სულიერი შემეცნებისათვის საშუალება არისო.

ამნაირად: აუგუსტინუსი ნათელის შესახებ სწავლაში სავსებით ნეოპლატონიზმს ემყარება:

1). **ღმერთი არის ნათელი**, არა გადატანითი და შედარებითი მნიშვნელობით, არამედ ნამდვილი აზრით; 2). **ნათელი არის გონებრივში, სულიერში** უფრო ვიდრე გვამობრივში; 3). გვამობრივში ნათელი არის პირველი, უნაზესი, უსათუთესი და უმოქმედესი.

მაგრამ ქრისტიანული ფილოსოფია – თეოლოგიისათვის ნათელის შესახებ მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა არა აუგუსტინუსის სწავლას, არამედ დიონისიოს არეოპაგიტას მოძღვრებას, რომელიც თავის ფილოსოფიაში პროკლოსს ემყარება.

2. დიონისიოს არეოპაგიტა (მეხუთე–მეექვსე საუკუნე) ღმრთის სახელთა შორის პირველ რიგში ასახელებს: „სახიერებას“ (კეთილობა, სიკეთე), რომელსაც მისდევს **ნათელი**. ღმერთი არის სახიერება: ღმერთი არის ნათელი.

დიონისიოს არეოპაგიტა აცხადებს, რომ მისთვის სახიერება არის პირველი, ანუ უწინარესი ხატი, რომელსაც იგი მზეს ადარებს, ხოლო მზის ნათელს იგი სთვლის მსგავსად მისსა, გადმონახატად. ღმრთის სახიერება, რომელიც ყველაფერზე უზენაესია, ყველაფერს გაივლის და ყველაფერზე მაღლა რჩება; რომელიც ყველაფერს ანათებს; ყველაფერს აცოცხლებს და მიზნისაკენ მიჰყავს; ასევე ამდაგვარად არის მანათობელი მზე, რომელიც არის **ხატი ღვთიური სახიერებისა**, ყველაფერს ანათებს ზემოდან ქვემომდე თავის სინათლით. სახიერება არს ღმერთი და მისი **ხატი არის მზე**. როგორც ღმერთი ანუ სახიერება ყველას არსებობას ანიჭებს და ყველაფერი მასვე უბრუნდება, ამგვარადვე მზე ყველაფრისაკენ პირსა შვრება და ყველაფერი მისკენ მიისწრაფვის. ამგვარია ხატი, ვინაიდან **მზის ნათელი არის ღმრთის მხოლოდ სიმბოლო**. ამიტომ ღმერთი გონებრივი, სულიერი ნათელის სახელით უნდა იდიდებოდეს და მას ამნაირი სახელით ქება უნდა ეთქმოდეს.

გონებრივ ნათელს ჰქვია სახიერება (ღმერთი), რადგან იგი ციურ გონებათ, ზეციურ სულებს, ანგელოზებს გონებრივი ნათელით აღავსებს და ადამიანთა სულებს სიბნელისაგან ანთავისუფლებს და მათ წმიდა ნათელს ანიჭებს, სახიერება (ღმერთი) თავისი ნათელ მფრქვევი შუქით და თავისი ნათელი წყაროთი ზესთა მხარის სულებს თავისი სიუხვით აღავსებს და

ვით პირველადი ნათელი და ზესთა ნათელი ნათელის მთელ ძალებსა ჰფლობს, ყველა ნათელზე უზენაესია, და ამიტომ ჰქვია გონებრივი ნათელი. ამნაირად, მზის ნათელისაგან განსხვავებით, გონებრივი ნათელი არა მარტო ხატი უნდა იყოს; და როცა განსაკუთრებით აღნიშნულია ამ ნათელზე ღვთიური უზენაესობა, ეს შეხედულება დიონისიოსის საერთო თვალსაზრისს შეეფერებაო, – დაასკვნის პროფ. კლემენ ბაეუმკერ. 107.

***

ნათელის შესახებ მოძღვრებამ ნეოპლატონური შინაარსით, – მბობს კ. ბაეუმკერ, – გავლენა მოახდინა ებრაულ თალმუდურ-მიდრაშულ მწერლობაზე და კაბბალისტური მწერლობაც მით არის შეპყრობილიო. მეორე მხრივ, იგივე მოძღვრება ისლამურ ფილოსოფიაში დამკვიდრდა და იქ განვითარდა, ხოლო შემდეგ, ევროპის ფილოსოფიას, სხოლასტიკას შეეხიზნა და შუა საუკუნეთა ფილოსოფიაში მან თავისი განვითარება მოიპოვა. 107.

3. თომას აკვინელი (1226 – 1274), შუა საუკუნეთა უდიდესი ქრისტიანი ფილოსოფოსი, თეოლოგოსი, რომლის სწავლა დღესაც ცოცხალია და დიდად გავრცელებული, ასტრონომიის დარგში პტოლემაიოსის შეხედულებას იზიარებდა და ვარსკვლავთა განმარტებაში იგი არისტოტელესის აზრს იზიარებდა... არისტოტელესის თქმით, გონივრულნი და ღვთიურნი ვარსკვლავნი არიან ისინი, რომელნიც სფეროებს ატრიალებენ. ამ მოქმედებას წმიდა თომა აკვინელი გონივრულ მოტორებს, ანგელოზებს მიაწერს, რომელნიც სფეროებს ატრიალებენ. 108.

4. დუნს სკოტუს (1266/74 – 1308), ირლანდელი ფილოსოფოსი და თეოლოგოსი ვარსკვლავთა შესახებ ასწავლიდა: ვარსკვლავთა მსოფლიოს ყველა მოვლენა შემთხვევითია და მათ მოძრაობას განაგებენ ანგელოზნი, რომელთაც შეუძლიათ მოაგვარონ იგი თავიანთი სურვილისამებრო. 108ა.

***

ნათელსა და სინათლის საკითხს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შუა საუკუნეთა აზროვნებაში და ღმრთისმეტყველებაში, მაგრამ აქ მისი განვითარების აღნიშვნა შორს წაგვიყვანდა.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მეექვსე

ისლამური ფილოსოფიურნი სწავლანი ცათა შესახებ

1. ისლამური ნეოპლატონიზმი

2. ალ – ფარაბის სწავლა

3. ავისენას სწავლა

4. ალ ღაზზალის სწავლა

5. იბ როშდის, ანუ ავეროესის სწავლა

6. ისმაილიანთა მოძღვრება

დასკვნა

1. ისლამური ნეოპლატონიზმი

მაჰმადის მოძღვრებით გატაცებულმა და დაპყრობითი სურვილით აღტაცებულმა არაბულმა ლაშქრობამ თავის ხელ ქვეით მოაქცია ვეებერთელა სივრცე, ინდოეთიდან დაწყებული და ესპანეთით გათავებული. სირია იმ ხანად გახდა ფილოსოფიური და რელიგიური აზროვნების ბუდედ. სირიულ ენაზე უკვე გადათარგმნილი იყო ბევრი ბერძნული ფილოსოფიური თხუზულება და ახლა იგი სირიული ენიდან არაბულად ითარგმნა. არაბული, ანუ უფრო სწორად, ისლამური ფილოსოფიის წამოწყებაში და განვითარებაში სირიელთა მუშაობას სათანადო ორნატი ჰქონდა, რომელიც შემდეგ სპარსული მუშაობით გაღრმავდა. მთელი იმ მაშინდელი მოღვაწეობის ცენტრი იყო ქალაქი ბაღდადი...

ისლამური ფილოსოფია სავსებით ბერძნულს დაეყრდნო და პლატონიზმ–არისტოტელიზმის მოწაფე გახდა. ნეოპლატონიზმს ისლამში დიდი გასავალი ჰქონდა და ბევრი მიმდევარი გაუჩნდა. ეგრეთ წოდებული „არისტოტელესის თეოლოგია“ იყო ნამდვილად პლოტინოსის „ენნეადა“-ს მეოთხე და მეექვსე წიგნიდან ამონაწერი, ხოლო „ლიბერ დე კაუსის“ (მიზეზთა წიგნი) იყო ამონაწერი პროკლოსის „სტოიხეიოს თეოლოგიკე“-სი („ღმრთისმეტყველებითნი კავშირნი“). ორივე ეს წიგნი გადაითარგმნა არაბულ ენაზე და აქედან ისლამურ ფილოსოფიაში ნეოპლატონიზმმა ფეხი მოიდგა. 108ბ.

2. ალ – ფარაბის სწავლა

ალ ფარაბი (გარდაიცვალა 950 წ.) იყო ნეოპლატონიკოსი, ისე როგორც ავისენა. მისი სწავლით, ღვთიური არსიდან გამომდინარეობს სხვა და სხვა საფეხურით არსება; პირველი საფეხურის ქვეშ არიან არსნი გონიერნი, ანუ

გონებანი, რომელნი, ვათარცა სულნი ცებს, სფეროებს ამოძრავებენ. ავისენაც ასე ფიქრობს. 108ბ.

3. ავისენას სწავლა

მუსულმან ფილოსოფოსთა შორის დიდად ცნოფილი არის აბუ ალი ელ ჰოსეინ, ძე აბდ ალლაჰ, ძე სინა–სი, რომელს იბნ სინა, ანუ ავისენა ეწოდებოდა (958 – 1043). ავისენას მოძღვრებით, პირველადია და უზენაესი: ღმერთი, პრინციპი პრინციპთა, ანუ დასაბამი დასაბამისა, არსება წმიდა, სიბრძნე წმიდა, მხოლოო თვითმყოფი, ერთიანობა ერთად ერთი. ამ არსებისაგან გამოდის სული წმიდა, რომელსაც ეწოდება პირველი ნამიზეზევი; ამ პირველი ნამიზეზევიდან (ანუ რაც პირველად წარმოიშვა), გამომდინარეობენ სულნი და გვამნი იმ სფეროსი, რომელიც მსოფლიოს არტყია და რომელიც არის გონება. ამ გონებისაგან გამომდინარეობს სული და გვამი. ყველაზე უფრო შორს მყოფი მნათობისა, როგორიც არის სატურნუსი და მესამე გონება. ამ მესამე გონებისაგან გამომდინარეობს სული და გვამი შემდეგი მნათობისა, რომელიც არის იუპიტერი, და მეოთხე გონება. შემდეგ მოდის რიგი სხვა მნათობთა და გონებათა და დაბოლოს უკანასკნელი მნათობის გონებისაგან, რომელიც არის მთვარე, გამომდინარეობს წმიდა გონება, რომელიც არის გონება-აგენტი. ამ გონება-აგენტისაგან გამომდინარეობს მთვარის ქვეშეთი ქვეყანა, ანუ დედამიწა, და სხ. 109.

4. ალ ღაზზალის სწავლა

ალ ღაზზალის (1059 – 1111) ფილოსოფიური სწავლით არსებობს: 1). **ერთი** (ღმერთი).

2). გონება (ნუს), 3). სული და დაბოლოს 4). მატერია. „ყველაზე უწინარესი არსებეთა შორის, – ამბობს იგი, – არის „აყლ“ („გონება“). ღმერთმა იგი წარმოქმნა **„სიტყვით“**, („ვერბუმ“). ეს „სიტყვა“ გაიგივებულია ანგელოზთან, რომლის სახელია „ობეი“, და „სიტყვას“ ეწოდება „მალაკუტ“, რაც არის ალლაჰის სასუფეველი. „მალაკუტ“ არის სინამდვილე, ნამდვილობა; ხილული ქვეყანა კი არის ჩრდილი, ხატი, ასლი მისი. „მალაკუტ“ არის მხარე გონებრივი; ხილულუი ქვეყანა არის გრძნობადი, რასაც ეწოდება „მულკ“. არ არის არაფერი ამ ქვეყანაზე – მულკ –, რაც არ შეესიტყვებოდეს იმას, რაც არის „გონების მხარეში“ – „მალაკუტ“-ში. ყველაფერი ამ ქვეყანაზე არის **ხატი** იმ მხარისა; ყველაფერი „მულკ“-ში არის **ხატი** „მალაკუტ“-ის მხარისა. მალაკუტში არსებობენ უმაღლესნი არსებანი ნათელნი, რომელთ ეწოდებათ ანგელოზნი. ზოგნი მათგანი ავრცელებენ ნათელს კაცთა სულში, ამიტომ მათ ეწოდებათ „უფალნი“. ანგელოზთა ხარისხი მათი სინათლის მიხედვით სხვა და სხვა სიძლიერისაა, ასე რომ მათნი **ხატნი** ამ ხილულ ქვეყანაზე არიან: **მზე, მთვარე და ვარსკვლავნი**. მისტიკოსს შეუძლია მიაღწიოს თავისი გონებით უფრო მაღალ ხარისხს, ვიდრე არის მთვარე და

მივიდეს იმ ხარისხამდე, რომლის **ხატი არის მზე**. და აქ მას შეუძლია თქვას: „მე ვიზამ ჩემს პირს **იმისაკენ**, რომელმან შექმნა ცანი და ხმელეთი“-ო... ამ მსჯელობაშიო, – ამბობს პროფ. ა. ვენზინკ, – გამოურკვეველია, – თუ რა არის „იმისაკენ“.

ღმერთი არის ნათელი; ერთად ერთი, მხოლოო ნათელი, რომლისაგან ყველა ნათელი გამოდის. ამგვარად, ნათელი ალლაჰისა გადადის მთავარანგელოზზე, რომელს ეწოდება მობეინ, ანუ მისი ნამდვილი სახელით: მისრაფილნ; შემდეგ ნათელი გადადის ანგელოზ გაბრიელზე; შემდეგ – ყველა ანგელოზზე, რომელნიც ნათელნი არსებანი არიან; შემდეგ – წინასწარმეტყველზე, და დაბოლოს ჩვეულებრივ არსებათა გულში; და სხვა.109ა.

5. იბნ როშდის, ანუ ავეროესის სწავლა

იბნ როშდი, ანუ ავეროეს-ის (1120 – 1198) მოძღვრებით, მსოფლიოს მთავრობა ქალაქის მთავრობას წააგავს, სადაც ყველაფერი ერთი და იგივე ცენტრიდან გამოდის, მაგრამ სადაც ყველაფერი უზენაესის ნაღვაწი არაა. ღმერთსა და ქვეყანას შორის არსებობს პირველი გონება, რომლისაგან შემდეგ მრავლობა გამოდის; ეს პირველი გონება არის პირველი მოტორი უძრავ ვარსკვლავთა; ეს პირველი გონება არის ცის სული. ცა არის ცხოველი, დაუსრულებელი, მარადი, უხრწნელი, ასულდგმულებული წრიადი მოძრაობით. აქ არის მთელი ჰიერარქია სფეროთა, რომელთაც გონიერი სული აქვთ და რომელთაგან თითოული თავის მომდევნო სფეროსათვის არის მოტორი. 109. გვ. 45.

6. ისმაილიანთა მოძღვრება

ეს არის ისლამური განხრა, ერთი შტო შიიტობისა, რომლის დასაწყისი მერვე საუკუნეშია და დაკავშირებულია იმამ ჯაფარ ალ სადიყის შვილის სახელთან: ისმაილ.

ამ განხრას თავისი მხრივ ბევრი განშტოება აქვს, მაგრამ ზოგადად ეს სწავლა ნეოპლატონიზმით ნასაზრდოებია –

უწინარეს ყოვლისა, წინასწარ საუკუნეთა, არსებობს პირველადი **ერთი** (ღმერთი), რომელიც თავისი ნებითი ქმედობით თავისი თავისაგან პირველ პრინციპს, დასაბამს გამოავლენს, რომელიც არის ნამდვილი შემოქმედი ქვეყანისა. ამისაგან წარმოიქმნება სიცოცხლის მომნიჭებელი პრინციპი ფალაკისა, ანუ ცისა, უძრავი ცისა, ზოდიაკოთა ცისა და შვიდთა მნათობთა შვიდთა ცათა. ეს ცანი თავიანთი ვარსკვლავებით მსოფლიოს განაგებენ; ისინი არიან ნამდვილნი შემქმნელნი ხილულ სახეთა, ქვეყნიურ სინამდვილეთა წინასწარი ხატის მიხედვით. თავის თავად ცხადია, ამ მოძღვრებაში ასტროლოგიას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. 100.

დასკვნა

პლატონმა მზე ერთს, ანუ სახიერებას, სიკეთეს, ღმერთს შეადარა. ეს შედარება ნეოპლატონიზმში სინამდვილედ იქცა. ერთის შემდეგ დასახეს გონება და მას გონებრივი მზე უწოდეს. ეს გონებრივი მზე არის ხატი ერთისა; ხოლო ხილული მზე კი არის ხატი გონებრივი მზისა, და ამით ხატი ერთისა.

ნეოპლატონიზმში გაბატონებული აზრი არის – როგორც ამბობს პროფ. მ.ვ. ვულფ, – რელიგიური მისტიციზმი. ადამიანმა ბრძოლით უნდა მოსპოს თავისი გრძნობები და მიუახლოვდეს ღმერთებს, გაუერთიანდეს დაუსრულებლობას და შევიდეს მასში. ამ მისტიური დებულებიდან გამოდის სრული მეტაფიზიკა, რომელიც სრულყოფილი პანთეისტური მონიზმია. მართალია, აღიარებულია მრავალი ხილული ღმერთი, მაგრამ არის ერთი, მხოლოო ღმერთი, რომლისაგან გამოვლინებით ყველაფერი წარმოიქმნა. ერთი სიტყვით, – ამბობს პროფ. ვულფ, – ნეოპლატონიზმის დამახასიათებელი არის რწმენა: – არსება ერთისა, მხოლოო ღმერთისა მთელს მსოფლიოში და სულის დაბრუნება ამ ერთში, ღმერთში. ციური ღმერთები, ვარსკვლავური ღმერთები, ის ხილულნი ღვთაებანი არიან მეორე ხარისხოვანნი, არიან წარმოშობილნი. მათზე მაღლა სდგას ერთი, უზენაესი მხოლოო ერთი (სახიერება, კეთილობა, ღმერთი). 105.

***

ნათელისა და კერძოდ მზის შესახები დებულება დამკვიდრებულია აგრეთვე ქრისტიანულ თეოლოგიურ ფილოსოფიაში; და რადგან ქრისტიანობა, ისე ვითარცა მაჰმადიანობა **ერთ** ღმერთს აღიარებდა და ვარსკვლავურ ღმერთებს, თავის თავად ცხადია, უარჰყოფდა, ამიტომ ერთ–ღმრთეების რელიგიაში არ შეიძლებოდა ნეოპლატონური შეხედულება ვარსკვლავთა ღვთაებისა და სულიერობის შესახებ განმეორებულიყო. ოღონდ ღმერთი, როგორც ქრისტიანობაში, ისე მაჰმადიანობაში არის ნათელი. ქრისტიან ფილოსოფოსთა სწავლაში ღმერთი წარმოდგენილია ვითარცა ნათელი უხილავი და მიუწვდომელი, ხოლო მზე კი არის ამ ნათელის მარტოოდენ **ხატი**. ის რაც ღმერთი არის საიქაო, გონების მხარეში, სააქაო ქვეყანაში არის მისი ხატი – მზე. თვით ღმერთიც იწოდება: მზე, გარნა ეს მზე არის არახილული მზე, არამნათობი ვარსკვლავი, არამედ უხილავი ნათელი, – **მზე ღმერთი მიუწვდომელი, საიქიაოში**.

ღმერთი არის ერთი, განუყოფელი სამება; ნათელი უქმნელი, გონებრივი ნათელი უქმნელი; სახიერება (ერთი) არის **ღმერთი** და **ამ ერთის ხატი არის მზე**. **მზის ნათელი არის ღმრთის მხოლოდ სიმბოლო**.

ასეთია ქრისტიანული თეოლოგიის ფილოსოფიური დებულება ერთისა და მისი ხატის მზის შესახებ.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

რვეული მესამე

მზე მწერლობაში

კარი პირველი

მზე უუძველეს მწერლობაში

1. თქმულებანი
2. ინდური გალობა მზისადმი
3. სუმერულ – ბაბილონური გალობა მზისა
4. ასირული გალობა მზისადმი
5. ეგვიპტური გალობა მზისადმი

1. თქმულებანი

არ არის დედამიწის ზურგზე ისეთი ხალხი, რომელიც ოდესმე ცას არ ეთაყვანებოდა. ცა და მისი მოჭედილობა კაცის თვალს ხიბლავდა, გონებას იპყრობდა, გულს ატყვევებდა. ამიტომ ვარსკვლავთა შესახებ აუარებელი თქმულებაა შექმნილი და ცა ვარსკვლავებითურთ მრავალ ჯერ ნაგალობევი. ქვეყნის წარმოშობის ამბავი ცასთან და ვარსკვლავებთან არის დაკავშირებული და ძველთა ხალხთა ისტორიებიც აგრეთვე მასთანაა გადაბმული.

ბაბილონური თქმულება თამუზის შესახებ, ეგვიპტური თქმულება ოზირისზე მზის ამბავია. ბერძნული თქმულება ჰერკულესის შესახებ მზისა და თორმეტი ვარსკვლავედის ამბავს გამოხატავს. დიონისიოსის კულტი იგივე მზის კულტია და ნონნუსის პოემა, ანუ ორმოცდათ თავიანი ნაწარმოები მზის შესახები გალობაა. ესაა, – როგორც ამბობს დიუპუი, – გალობა ბუნებაზე და მზის კეთილმყოფელ, ცხოველ ძალაზე. იასონის თქმულება, მედეას სიყვარული და კოლხიდიდან ოქროს ვერძის მოტაცების

ამბავი, ანუ არგონავტური თავგადასავალი აგრეთვე ასტრონომიულია. ეს დიდი მეზღვაური იასონი არის მზე, მისი გენი – ვარსკვლავედი, და ოქროს ვერძი კი – ზოდიაკო ვერძია, გაზაფხულის დამდეგის ნიშანი.111.

ბერძენთა უუძველესი მგოსანი, ჰეზიოდოსი (მერვე საუკუნე ქრისტეს წინ) და დიდებული ჰომეროსი (მეშვიდე საუკუნე ქრისტეს წინ) თავიანთ უკვდავ ნაწარმოებში ვარსკვლავებსა და ვარსკვლავედთ არა ერთ ჯერ იხსენიებენ, ხოლო მათზე უუძველესი, განთქმული სუმერულ–ბაბილონური პოემის („გილგამეში“) დამწერი (მესამე ათასეული წელი ქრისტეს წინ) ვარსკვლავთაც უგალობს და ბიბლიის არა ერთი ადგილი ვარსკვლავთ შეეხება. მრავალზე მრავალია რელიგიური გალობა ცისა და ვარსკვლავთადმი მიძღვნილი, ოღონდ აქ ჩვენ მხოლოდ ნიმუშებს მოვიტანთ.

2. ინდური გალობა მზისადმი

ინდოეთის მწერლობაში, როგორც უუძველესში (რიგვედთა 1,50), ისე უგვიანესში (მაჰაბჰარატა 3,3) არა ერთი და ორი მზისადმი მიძღვნილი გალობაა დაცული. ესაა მესამე ათასეული წელი ქრისტეს დაბადებამდე და ათასი წლის შემდეგ კიდევ ერთი მგოსანი სწერს გალობას მზის მიმართ, რომლის თარგმანი (ინგლისურის მეშვეობით) შემდეგია –

შენა ხარ, ოჰ მზეო, თვალი მსოფლიოსი,

წყარო ყოველივესი, რაც არის, სათავე ყველაფერისა

სავანე სიბრძნისა; კარი, მფარველი მათი,

ვინც დახსნასა და ცხონებას ეძებს.

შენ მფარველობ ქვეყანას შებრალებით,

მღვდელნი გეთაყვანებიან შენ,

წმინდანი გეთაყვანებიან შენ.

გაწმედილნი და ანგელოზნი და მგალობელნი ცისანი.

მისდევენ შენ გზას.

ღმერთმანი ყველანი გეთაყვანებიან შენ და შვიდმა მამამ,

შენდა თაყვანებით და შენდამი ციურ ყვავილთა მიძღვნით

გაინამდვილა ყველა მათი წადილი;

ვინაიდან (თავიდანვე) შენდა თაყვანებით დაიმკვიდრე ზეცა.

ყველა შვიდ ქვეყანაში არაფერი არ არის შენზე უზენაესი,

არც ერთი არსება ცისა არ გეთანაბრება შენ, შენს დიდებაში;

ვინაიდან შენში სუფევს ყველა ნათელი;

ხარ უფალი ნათელისა შენ;

და შენში არიან კავშირნი ყველანი,

შენში არიან ცოდნანი და სიბრძნენი ყველანი და სარწმუნოებრივი სითბო.

ღმერთ ხელოსანთა (რომელთ ეწოდების ყოვლად მოქმედნი) ძალის საშუალებით გააკეთე შენ დისკოსი, რომლითაც ვიშნუ-მ დახოცა დემონნი წყვდიადისა.

თვით შენა ხარ ყველად მოქმედი, რადგან შემოქმედი ხარ შენ.

რამეთუ შენა ხარ, რომელი ანიჭებს სიცოცხლეს,

რომელს ზაფხულობით შუქთა შენთა შემწეობით აგროვებ

მაღლა მიწის ნოტიოს და აქცევ, ასხამ მას უკანვე წვიმის დროს,

იძლევი სიცოცხლეს.

ოდეს მეხი იჭრება ღრუბლებში და ღრუბელნი აფრქვევენ სინათლეთ,

ესენი არიან შუქნი შენნი, რომელნი ბრწყინავენ

ღრუბელთა შორის, ვით მანათობელნი ისარნი.

ოღონდ ხარ შენ კეთილ. არცა ცეცხლი, არცა მატყლის სამოსელი

არ გვათბუნვებს ვითარცა შენ.

მთელი დედამიწა თავისი ცამეტი ხმელეთით განათებულია შენს მიერ

ვით ერთი (შენ ღმერთი აერთიანათებ ქვეყნის ყველა სხვა და სხვა მხარეს);

და ყოველთვის ერთ და იმავ გვარად ხარ შენ მანათობელი;

ხარ შენ მხოლოო ღმერთი მუდამ საქმიანი,

ვინაიდან სიკეთე მოგაქვს შენ ადამიანთათვის,

და არა მარტო ადამიანთათვის, არამედ ყველა სამივე მსოფლიოსათვის.

/მიწა, ჰაერი და ცა /

რომ მოხდეს ასე, და აღარ აღმოჰხდე, ქვეყანა გახდება ბრმა;

მხოლოდ წყალობითა შენითა შეუძლიათ ადამიანთ აღასრულონ თავიანთი ამოცანები. შემოქმედი ბრაჰმანის დღე გრძელდება ათასი საუკუნით;

ამ დღისა ხარ შენ დასაბამი და დასასრული;

შენა ხარ უფალი უფალთა ყველა საუკუნეზე

და აეონებზე (მეუფე მთელი ჟამისა) და

ოდეს დაბოლოს მოვა აღსასრული ამ დიდი დღისა,

შენგან გამოვარდება აგრეთვე ის ცეცხლი, რომელიც

მსოფლიოს შთანთქავს... 112.

***

ძველი ინდოეთის ხელოვნების ენციკლოპედიაში – ნატიაშასტრა – (პირველი საუკუნეებისა ქრისტეს შემდეგ), სადაც გარჩეულნი არიან პოეტურნი სამკაულნი, ანუ შედარებანი, „მზე“ ისე ხშირად არაა დასახელებული, როგორც „მთვარე“, მაგრამ მაინც იგი არა ერთჯერ მოიხსენება ვით მაგალითად –

მზე ელავს თავისი ბრწყინვალებით; გმირი ელავს თავისი მშვილდით... შეხე, ეს მთვარე წითელი (მზე) აღმოსავლეთის მხარისა პირსა ჰკოცნის და სხვა... 113.

3. სუმერულ–ბაბილონური გალობა მზისადმი

„გილგამეში“ ბაბილონური ეპოსია მესამე, ათასეული წლებისა ქრისტეს წინ. და პირველადვე ვხვდებით აქ ლოცვას მზისადმი (შამაშ). გილგამეში საბრძოლელად მიდის ენკიდუსთან ერთად ჰუმბაბას წინააღმდეგ და მზეს ევედრება ასე:

მოვილტვი შენდა, შამაშ, და ვემთხვევი ხელთა შენთა!

უვნებელ დაშთეს სიცოცხლე ჩემი ამიერითგან!

დამაბრუნე ფოლოციალ ურუკის ნაპირს!

მეყავ მფარველად!...

უხუცესნი ქალაქისანი მას უსურვებენ –

აღგისრულოს შამაშმან სურვილი შენი!

რაიცა სთქვა პირმან შენმან, თვალით განახვოს იგი!

გაგიხსნას გზა დახშული.

მიანიჭოს გზა ნაბიჯთა შენთა, მთა – ფერხთა შენთა...

***

თავის მხრივ გილგამეშის დედა ევედრება მზეს შამაშს –

რად მიუსაჯე მოუსვენრობა ჩემს შვილს გილგამეშს?

რად მიეც გული, რომ არ იცის, რა არს სიმშვიდე?

ახლაც შენ წააქეზე იგი, წასვლა რომ უნდა

შორს, ჰუმბაბას საბრძანებელში.

ბრძოლა სწადია. ჯერ რომ არ იცის!

წასვლა სწადია იმ გზით, ჯერ რომ არ იცის!

იმ დღემდის, ოდეს წავიდეს და დაბრუნდეს,

ოდეს მიაღწევს ნაძვის ტყეს,

ოდეს დასთრგუნავს ჰუმბაბას, ძლიერს,

და ყოველს ბოროტს შენს წინააღმდეგ

ქვეყანაზედ აღმოფხვრის – დაიცავ იგი...

(თარგმანი მ. წერეთელისა) 114.

4. ასირული გალობა მზისადმი

ხმელეთის დასასრულს, ცის შუაგულში ხარ მიჭედლი.

მსოფლიოს ხალხთ მბრძანებლობ შენ;

განაგებ შენ ყველაფერს მას, რაც ღმერთმა „ეა“-მ, მეფემ შექმნა;

ზრუნავ შენ ყველასათვის, რომელი ცოცხლობს;

შენა ხარ მწყემსი მათი, – ზემოთში, – და მათი – ქვემოთში;

სრბოლავ შენ ცის სამყაროში;

რათა დაიპყრო ხმელეთი მობრძანდები ყოველ დღე.

ვარსკვლავი ვერც ერთი ვერ იარსებებს უშენოდ;

ღმერთთა ყველა ლაშქარიდან, ვინ არს უძლიერეს შენისა!

სატუსაღოს დამკეტველთ – მის საყვირს სპობ შენ;

მოძალადეთ, რომელნი თავიანთ ქვეყანას სჩაგრავენ,

უსამართლო მსაჯულს, მას უჩვენებ შენ ბორკილებს.

რომელნი ქრთამს ღებულობენ და სამართალს არ ჰქმნიან,

მათ პასუხსა თხოვ ცოდვათათვის.

განა რომელი ქრთამს არა ღებულობს, რომელი სუსტთ მფარველობს,

მას მიენიჭება სიკეთე მზე – ღმერთისაგან, და მრავალ ჟამიერ! 115.

5. ეგვიპტური გალობა მზისადმი

დიდება შენდა, ჰარმაშის ხეპრა, რომელი თავის სახეს თვითონა ჰქმნი!

შუქთა მფენია ამოსვლა შენი ცის კიდურზე, გამანათებელი მიწისა შენთა შუქით.

ყველა ღმერთი ლხინობს, ოდეს ისინი გიმზერენ შენ, ცათა მეუფეო...

„ტიაუ“-ს მცხოვრებნი ეგებებიან დიდებულებას შენსას, რათა მოზიმზიმე ნიშანი იხილონ.

მოვალ შენთან, დავრჩები შენთან, რათა დისკოსი შენი დღე ყოველ ვიხილო.

არა მსურს ვიყო სატუსაღოში, არა მსურს ვიყო უკუგდებული; განმიახლდენ მე გვამის წევრნი ჩემნნი.

რათა ბრწყინვალებას შენსას ვუმზირო, ვითარცა ცა რომელიმე რჩეული შენი;

რამეთუ ვარ მე ერთი მათთაგანი, რომელი ამ ქვეყანას შენთვის საკურთხი ვიქნები. მოვალ მე მარადისობის მხარეში, მოვაღწევ მე მარადულობის ქვეყანას, და შენ

ბრძანე ჩემთვის, რომ მე ვარ „რა“ – თვითეულ ღმერთში.

ქება შენდა, რამეთუ ამოხვალ ცის კიდეზე დღე ყოველ და ბედნიერად

გადაივილი ჭეშმარიტების სიტყვის ნიჭით!

თითოული სახე მხიარულია შენი შეხედვით;

შენ მიდიხარ

მათგან და ყოველ დილას გვაჩვენებ შენ თავს.

ბედნიერ არს

სრბოლა შენი შენს სიწმიდეში მათთვის, რომელთა სახეს შენი სახე ანათებს.

ბნელ არს ოქროს ზიმზიმი; შეუდარებელია ბრწყინვალება შენი...

შენა ხარ მხოლოო, რომელი „ნუნისაგან“ გამოვალს.

მწადს ვიარო, ვით შენ ვალ, შეუჩრებლივ, ვით უწმიდესობა შენი,

ო, მზეო! რომელს არა გყავს ვინმე ბატონი, დიდო მსრბოლო სივრცეთა შორის, რომლისათვის მრავალნი და ათასნი ბევრნი წელიწადნი მხოლოდ წამ არს.

ჩაესვენები შენ, გარნა განაგრძობ სიცოცხლეს.

ჟამნი, დღენი, ღამენი

ერთნაირად მრავლდებიან შენგან, და შენ ცოცხლობ შენი საკუთარი კანონებით...

ო, შუქთა მფენო ცათა მაღალთა შინა! მომანიჭე მე, რათა

მოვაღწიო ცათა სიმაღლეს საუკუნოდ, შენთა მეგობრთა ბინას, რათა შევუერთდე ნეტართ და სრულ სულთ ღვთაებრივ ქვესკნელში, რათა

შენთან ერთად ამოვიდე, რათა ვიხილო ბრწყინვალება შენი შენს ამოსვლისას და

საღამო ჟამს, ოდეს შენ შეუერთდები დედა შენს „ნუტ“, და ოდეს შენს პირს

დასავლეთისაკენ იზამ, ხელნი ჩემნნი აღეპყრობიან ლოცვით,

შენს ჩასვლისას სიცოცხლის მთის იქით.

შენ კი, მარადულობის დასაბამო, გევედრებიან ხვეწნით მკვდართა სამეფოშიც... 115. გვ. 97.

***

ქება დიდება ამმონ რა-ს,
... ყოველი ღმერთის უფალს
კეთილ, დიდად საყვარელ ღმერთს,
რომელი ყოველ სულდგმულს სიცოცხლეს ანიჭებს,
და ყველა კეთილს მაძოვარ ჯოგს.
დიდება შენდა, ამმონ-რა, უფალო მსოფლიოს საყდარისა,
უფროსო სატახტო ქალაქისა,
მეუღლე დედისა მისისა, მოურავი მის ველთა,
ბატონო აღმოსავლეთისა, მეფეო „პუნტი“-სა;
უდიდესო ცათა შინა, უხუცესო ამ ქვეყანად,
უფალო არსისა, დამცველო საგანისა, შემნახველო ყველაფერისა...
ბატონო სამართლიანობისა, მამაო ღმერთთა,
შემქმნელო ადამიანთა, შემქმნელო ცხოველთა,
ბატონო არსებათა, შემქმნელო ხეხილისა,
შემქმნელო მწვანილისა, მაძოვარ ჯოგთა საკვებისა...
დიდება შენდა ყველა ცხოველისაგან,
ქება შენდა ყველა ქვეყანისაგან,
ცათა უმაღლესობამდე, ცის კიდემდე,
დიდთა ზღვათა სიღრმემდე... 115. გვ. 125.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მეორე

მზე კლასიკურ მწერლობაში

1. მზე ბერძნულ მწერლობაში

2. ორფეოსის გალობა

ა). სურნელი ვარსკვლავთა

ბ). სურნელი მზისა

3. არატოს

4. მანეთონ

5. ჰიგინოს

6. ემპედოკლეს

7. ერატოსთენეს

8. დიოგენეს ანტონიო

1. მზე ბერძნულ მწერლობაში

ჰომიროსის თეოლოგიაში მზეს ისეთი დიდი პატივი არა აქვს, როგორც ოლიმპოსის ღმერთებს, იგი არა ცხოვრობს მათთან; თავის გალობაში ჰომეროსი მზეს უწოდებს: თანაბარი ღმერთთა.

პინდარი მზეს ეძახის – დაიმონ (კეთილი სული); მზეს (ჰელიოს) მიაწერენ სადა ფიზიკურსა და ზნეობრივ ნიშნებს; პირველად ყოვლისა მზეს აქვს სითბო და ბრწყინვალება, ძალა მასაზრდოებელი და ნაყოფიერი.

ორფეოსის გალობებში მზეს უწოდებენ: ლამფარი; ევრიპიდესი მას ეძახის მათმუნვებელს თვით მზის შვილის სახელს: ფაეტონ. მზე ყველაფერს ხედავს; ყველაფერს ასაზრდოებს (სოფოკლესის თქმით); იგი სტყორცნის ისრებს, აბრმავებს კაცთ და აუხელს მათ თვალებს; იგია მოსავალის ღმერთი, ღმერთი ნაყოფთა, ხილთა (ორფეოსის გალობანი 8,12. ნონნიოს–დიონისიოს 7,291); მზე ვინაიდან ყველაფერს ხედავს, ამიტომ იგი კაცის ყოველი მოქმედების მოწამეა (აესხილოს, „პრომეთეოს“ 91; სოფოკლეს „აგ“. 1323) და იგია საფიცარი, ღმერთი მზღველი (პინდარ მოლნ 7,58), ღმერთი წმიდა, რომელიც თავისი ნათელით ყველაფერს სწმიდავს... მრავალია ასეთი გამოთქმა ბერძნულ მწერლობაში-ო, – დაასკვნის ფ. კიუმონ.116.

***

ორფეოსული გავლენით, მზე კლასიკურ ხანაში წარმოდგენილია ვით ძლიერი, ღმერთი სიცოცხლისა და შენახვისა; იგია მხსნელი, განმათავისუფლებელი, მაცხოვარი (სოტერ): (პაუზანიას 8,31,7; აესხილოს, დამატ. 213); დიდი ღმერთი მომქმედი მკვდართათვის (ჰომეროსი: ოდისეა 12, 269). მზე არის სიცოცხლის მომცემი. დაიბადა ბავშვი და „ხედავს მზის სხივებს“ (ილიადა 16,188) და ცოცხლობს იგი, ვიდრე „მზის ქვეშ არსებობს“ (ილიადა 18,11); იგია ბრწყინვალება ვით დისკოსი ჭრტიალი, ლამპაროს; სითბო და სიცხე მისი ძალაა (ილიადა 23, 190); იგი აგზავნის თავის ბრწყინვალებას და სითბოს ქვეყანად თავისი შუქით და ამით ყველაფერს

აცოცხლებს; მზე არის ღმერთი, რომელი ყველაფერს ხედავს (სოფოკლეს: ეიდიპოს 869); იგია არსთა მარჩენალი; სინათლითა და სითბოთი ანაყოფიერებს და ასაზრდოებს ყველაფერს (სოფოკლეს: ეიდიპოს 1245) და ამ მხრივ იგი მცენარეთა ღმერთია, უფალი ხილთა. მზე სინათლის წყაროა და ქველმოქმედი სითბოს სათავე, ჟამთა მომაწესრიგებელი, ბუნების ძალთა მაცოცხლებელი. მზეზე ლოცულობს ღმერთის უარისმყოფელიც კი (აესხილოს: სპარსნი 496): ტანჯულ-გვემული მზეს მიმართავს ვით პრომეთეოსი (აესხილოს: პრომეთეოს 88); მზეს შესჩივიან თავის მწუხარებას და მზის შუქნი ბოროტებას აჩერებენ (დემოსთენეს 19,267). მზე ყველაფერს ისმენს (ილიადა 3,277); იგი ზღვასა და ხმელეთს თავისი შუქით უთვალთვალებს; მზეს ვით მოწამესა და ბოროტის დამსჯელს მიმართავენ; მზე იცავს წმიდა ხეს და საფლავებს აოხრებისაგან. მზე აფრთხილებს თვითეულს; იგია მოწამე ფიცის დროს და დაფიცებას ამტკიცებს, ადასტურებს, რადგან იგი მართალი და სამართლიანია. მზე შეყვარებულთა მნათობია; ვაჟთათვის სიყვარულში დამხმარე არის მზე, ასულთათვის კი მთვარე. სიყვარულის ფიცში მზე და მთვარე მოწმენი არიან. მზე არის წმიდა და კეთილმომქმედი. ყველაფერი – სიყვარული, თავისუფლება, ჯანმრთელობა, ბედნიერება – მზის საქმეა; მზე არის ღმერთი სიბრძნისა და სამართლისა, თვალის სინათლისა, მომარჩენელი ბრმათა, ხოლო დამნაშავეთა დამაბრმავებელი. მზე დიდი ღმერთია, რადგან ოლიმპოსის ღმერთებსაც არ შეუძლიათ უმზეოდ ცხოვრება. თვით ელინთა დიდი ღმერთი ზევესი მზეს მსხვერპლსა სწირავს, და სხვა და სხ. ამგვარად, როგორც ვხედავთ, თუ ხალხურ რელიგიაში მზეს დიდი ადგილი არ ეჭირა, სამაგიეროდ პოეტებისა და მწერლების თვალში, ბერძენ მისტიკოსთა შეგნებაში მზეს დიდი ადგილი ეკავაო, – დასძენს ემილ კაენ. 116, გვერდი 1375.

***

ჰომიროსს მიაწერენ ერთ გალობას მზისადმი:

მუზა კალიოპ, ასულო იუპიტერისა, უგალობე პირველად შუქმფენ მზეს, მას, რომელიც ლამაზმა ეურიფაესსესმა შთაისახა მიწისა და ვარსკვლავიანი ცის შვილისაგან. ჰიპერიონმა შეირთო განთქმული ეურფაეს, თავისი დაჲ რომელმაც შობა ულამაზესნი ბავშვნი – განთიადი – ვარდის თითებით, მთვარე – ლამაზი თმით და დაუღალავი მზე, მსგავსი უკვდავთა, რომელი მიჰქრის სწრაფი ეტლით და ანათებს ერთნაირად ღმერთებსაც და ადამიანებსაც. მისი ოქროს მუზარადიდან თვალნი მისინი ისვრიან უდიდეს მზერას; შუქნი მისნი მოელვარენი იტყორცნებიან მისი წიაღიდან; მისი მუზარადი აფრქვევს მღვივე ბრწყინვალებას და შორს გადაისვრის სინათლეს თავისი შუქთა მფრქვევი სახიდან.

მისი ტანის გარშემო ელვარებს მსუბუქი ფარდა, რომელსაც ქარის სუნთქვა ასწევს და აფრიალებს; მის ხელთ კარგი მარბენალნი არიან... მას შემდეგ რაც გადაირბენს იგი ცას, და ჩაეშვება ოკეანეში, იგი აჩერებს თავის ცხენებს და თავის ეტლს მოზიმზიმე ოქროს წკეპლით. სალამი, ო, დიდო მეუფეო! იყავნ

მწყალობელი ჩემი და მომანიჭე ბედნიერი ცხოვრება; მე დავიწყე თქვენით და ახლა ვუგალობ ადამიანთა იმ მოდგმის ნახევარ-ღმერთთ, რომელნიც უკვდავებმა მოიყვანეს მიწაზე დიდებულ საქმეთათვის. 117.

2. ორფეოსული გალობა

ა. სურნელი ვარსკვლავთა

ციურ ვარსკვლავთა წმიდა ნათელს მივმართავ უწინარეს, და მოვუწოდებ ხელმძღვანელ დაიმონთა წმიდა სიტყვებით.

ციურნო ვარსკვლავნო, ძვირფასნო შვილნო შავი ღამისა, რომელნი ტრიალებთ მისი ტახტის გარშემო, ბრწყინვალენო, ცეცხლის მსგავსნო, რომელთაც წარმოშობეთ ყველანი რაც მოირებს (ბედს) ემორჩილებიან, გამომაცხადებელნო ყველა მოწევნადისა, რომელნიც უჩვენებთ მოკვდავათ ღვთიურ გზას, რომელთაც გაქვთ შვიდი შუქი, რომელნი ანათებთ ყველა მხარეს, რომელნი ხეტიალობთ ჰაერში და სრბით ცეცხლში, ციურნო, და მიწიურნო, რომელნი ანათებთ ღამის შავს თავსაფარს, შემოსილნო ბრწყინვალებით, თავაზიანნო და ღამურნო, მობრძანდით! მობრძანდით წმიდა საიდუმლოებით და განათლებულთ ბედნიერი გზა მიანიჭეთ!

ბ. სურნელი მზისა

გამიგონე ნეტარო, რომელი მარადულად ყველაფერს ხედავ, ოქროთი მოზიმზიმე ვაჟკაცო, ჰიპერიონ, ციურო ნათელო, ძალაო ბუნებრივო, დაუღალავო სარკეო და სიტკბო ცოცხალთა, მარჯვნივ წარმომშობო დილისა, მარცხნივ – ღამისა; მზომელო დროთა, რომელს მიგყავს ოთხი ცხენი ხმოვანი ფეხებით, რომელნიც მიაქროლებენ მკვეთრს ცეცხლში, ცხადი პირით, და რომელი მიხვალ გზით დაუსრულებელი მოძრაობის ტრიალში, წამყვანო სათნო კაცთა კეთილ გზაზე; მტერო უკეთურობისა, რომელი ატარებთ ოქროს ჩანგს, რომელი ხელმძღვანელობთ მსოფლიოს ჰარმონიულ სვლას; სირინქსის დამკვრელო; რომელი სრბი ცეცხლში; რომელი ტრიალებ წრეში; ნათელის მატარებელო; რომელი ანათებ ცვალებად საგნებს; რომელს მოაქვს სიცოცხლე, მღვივე და წმიდა; ვადაო დროთა; უკვდავო; მშვიდო; ყველგან ხილულო; მსოფლიოს წრიადო სინათლევ; რომელი აფრქვევ შვენიერ შუქთ: დამბადებელო სამართალისა, მოყვარულო შადრევანთა; უფალო მსოფლიოისა; ფიცის დამცველო; უძლიერესო მფარველთა შორის; სამართლიანობის თვალო; რომელი მიჰყევხარ ცხენებს; და რომელი მიაქროლებს შენს ეტლს მათრახის შხუილით; გაიგონე სიტყვანი, რომელი გევედრებიან შენ, და მოანიჭე კეთილი და ტკბილი ცხოვრება მათ, ვინც შენ საიდუმლოთა მიწევნილ არიან. 118.

3. არატოს

არატოს ჩამომავლობით იყო ბერძენი. იგი დაიბადა კილიკიაში 320 წ. და გარდაიცვალა 280 წელს ქრისტეს წინ. არატოსი იყო ასტრონომოსი და ცხოვრობდა პტოლემაიოს ფილადელფოს სასახლეში; მან დასწერა ასტრონომიული პოემა „ფაენომენოს“, რომელსაც 35 მწერალმა თავისი განმარტება მიუძღვნა. ეს ასტრონომიული პოემა მან ძღვნად მიართვა მაკედონიის მეფეს ანტიგონოსს. რომაელებმა არა ერთჯერ გადათარგმნეს ეს პოემა და უკანასკნელი თარგმანი ციცერონს ეკუთვნის (106–43). არატოსის პოემა სამ ნაწილად იყოფა – პირველი აღწერს ვარსკვლავთ 450 ლექსით; მეორე ნაწილში აღწერილნი არიან ზოდიაკონი და მათთან ამომავალ-ჩამავალნი ვარსკვლავნი; მესამე, რომელს „პროგნოსტიკონ“ ეწოდება და 733 ლექსისაგან შესდგება, ეხება ამინდს, თუ რა ნიშნებით შეიძლება იგი გამოიცნო. ეს პოემა პოეზიის თვალსაზრისით დიდ არაფერს წარმოადგენს, ოღონდ ასტრონომიის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი არისო, – ამბობს პოგგენდორფ. 119.

პროფ. დელამბრის აზრით, არატოსი არც ასტრონომოსი იყო კარგი და არც ნამდვილი პოეტი; იყო უბრალო მოლექსე, მაგრამ ზოგი მისი ლექსი მაინც ლამაზი არისო. 120.

აქ მომაქვს მხოლოდ ერთი მცირე ნიმუში – ვერძს იცნობთ ანდრომედას სარტყელის შემწეობით, რომლის ქვეშ იგი არის. იგი მისდევს ცის შუა გზას, როგორც მის წინ ხელაე და ორიონი, ბრწყინვალე მკერდით...

ფიცხი კუროს ქვეშ ცოტა ირიბულად სდგას ორიონი; ვინც ნათელ ღამეს თავის თვალს გაასეირნებს ცის ფართო სივრცეზე და ამ ვარსკვლავს ვერ შეამჩნევს, მან უნდა უარი თქვას სხვა რამეს უმზიროსო.

მის ფეხთა ქვეშ მოსჩანს ძაღლი (კანის, სირიუს) ალ მოდებული, მოვარვარე ცეცხლი ბრწყინვალებით თავის ვარსკვლავთა; ის სტყორცნის ერთსა და იმავე ცეცხლს თავისი გვამის ყველა ნაწილიდან; მისი მუცელი, მკერდსქვეშ, ბნელია; მაგრამ ზაფხულის დღეებში, ცეცხლიანი და მწველი სუნთქვა მოჰქრის მისი მაგარი ფილტვებიდან და მის დაღებულ პირიდან; და იგი ესვრის შთანთქმულ ცეცხლს მოკვდავთ. როდესაც მისი ამოსვლა მზის ამოსვლას ემთხვევა, ჩვენ იგი ნებას გვაძლევს მისგან აღტაცებული, მოხიბლული ვიყოთ მიუდგომელად, უგულოდ... (თუ უწინ) იგი ჰკვებავდა მცენარეთ მაცოცხლებელი სუნთქვით, რომელს იგი აგზავნიდა, ახლა (როდესაც ძაღლი მზესთან ერთად ამოდის), ახმობს ყველაფერს ფესვს, რომელი ღრმად გამდგარი არაა; განძარცვავს ფოთელთაგან ხეებსა და შესამოსელთაგან შტოებს...

ორიონის ქვეშ ჩვენ ვხედავთ კიდევ, დიდ ძაღლთან, (სირიუს) ახლო, სწრაფ კურდღელს, რომელიც შეპყრობილია მისი (ძაღლის) შიშით; იგი გარბის, და არასოდეს დაქანცულობა მას არ აიძულებს შეანელოს თავისი რბოლა; ძაღლი მას მისდევს მიწყივ, მაშინაც კი, ოდეს ცისკიდურზე ჩადის, და მაშინაც, ოდეს აღმოხდება... 91. წიგნი 4, გვ.631.

4. მანეთონ

მანეთონ ითვლთება ეგვიპტელ მღვდელად პტოლემაიოს ფილადელფოს ხანაში (285 – 247) და მიეკუთვნება ასტრონომიული პოემა – „აპოლეტესმატიკა“. თავის პოემას იგი იწყებს მნათობთადმი გალობით და ყველა მნათობს ორ სტრიქონში ათავსებს, შემდეგ კი ერთში. თავის პირველ წიგნში ის ლაპარაკობს კაცის ბუნების შესახებ მნათობთა გავლენით; მეორეში იგი აღწევს უძრავ ვარსკვლავებსა და ცის საერთო ვითარებას; შემდეგ – ზოდიაკოებს, რძის გზას, მათ გავლენას კაცზე. მეოთხე და მეხუთე წიგნშიც იგივე საკითხია გარჩეული. ერთი მაგალითი – ოდეს ბრწყინვალე მერკურიუსის ვარსვლავი თავის სხივებს სტყორცნის დენუსს, და ოდეს ისინი ორივე ერთად, ბრწყინავენ ვარსკვლავიან ცაზე ზოდიაკოს ნიშანთა შორის, თუ იმჟამად ბავშვი დაიბადა, იგი იქნება გეომეტროსი, მათემატიკოსი, ასტროლოგოსი, მწირველი, მოგვი, მარჩიელი და მკითხავი. 121.

5. ჰიგინოს

ჰიგინუს (ჰიგინოს) იყო კაიუს იულიუს ცესარუს აუგუსტუს-ის (63 – 14) მიერ განთავისუფლებული მონა. მას ეკუთვნის „პოეტიკონ ასტრონომიკონ“; იგი გვაცნობებს, რომ მას მიზნად აქვს აღწეროს ცა და ვარსკვლავნი უფრო ცხადად და გასაგებად, ვიდრე ეს არატოსმა მოახერხაო. მაგრამ ცის აღწერასთან ერთად თავის პოემაში მას ბევრი თქმულება აქვს ჩართული. მაგალითად, ვარსკვლავედი „გედი“-ს შესახებ იგი ამბობს – იუპიტერმა შეიყვარა ნემესის და რადგან მან სიყვარულითვე არ უპასუხა, იგი თვით გედად გაფრინდა და დაუვარდა მკერდზე ნემესის, რომელმაც იგი მოხვევითა და ტკბილად მიიღო. იუპიტერმა ისარგებლა ნემესის დაძინებით. ნემესმა დასდო კვერცხი. იუპიტერმა აიღო იგი და ლედას მუხლზე დაუდო.

ამ კვერცხიდან დაიბადა ჰელენე და ღმერთმა იგი თავის ასულად დასახა, და სხვა. დელამბრის თქმით, ჰიგინუსს ასტრონომიაზე ზერელე წარმოდგენა ჰქონდაო. 121. გვ.264.

6. ემპედოკლეს

დიდ ბრძენ მწერალს, ემპედოკლეს (490 – 300) მიეწერება პატარა პოემა „ემპედოკლესის სფერო“, ოღონდ ეს პოემა უფრო გვიან ხანაშია დაწერილი უცნობის მიერ. მასში აღწერილია ვარსკვლავთა განლაგება ცაზე, და როგორც ამბობს პროფ. დელამბრი, იგი არატოსის პოემის მოკლე შინაარს წარმოადგენსო. 121. გვ. 98.

7. ერატოსთენეს

ერატოსთენეს (მეორე საუკუნეში ქრისტეს წინ) იყო მათემატიკოსი, ასტრონომოსი, ფილოსოფოსი, გეოგრაფოსი, ალექსანდრიის ბიბლიოთეკის გამგე პტოლემაიოს–ევერგეტესის დროს (170 – 116); მას ეკუთვნის ვარსკვლავთა აღწერა ლექსად („პრიგონე“) და ხმელეთის ხუთ კლიმატად დაყოფა. მანვე შეაგროვა ვარსკვლავთა შესახები თქმულებანი: „კატატერის-მოი“, ყველაფერი რაც კი ბერძნულმა ოცნებამ წარმოშვა. 122.

8. დიოგენეს ანტონიო

დიოგენეს ანტონიო იყო ბერძენი მწერალი მეორე თუ მესამე საუკუნეში, და მას ეკუთვნის თუხუზულება კითხვა–პასუხით, რომელიც 24 წიგნისაგან შესდგება. მას აუარებელი მითოლოგიური და ზღაპრული ცნობა აქვს მოთხრობილი, და რასაკვირველია, ვარსკვლავთაც ეხება.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მესამე

მზე რომაულ მწერლობაში

1. ლუკრეციუს კარუს ტიტუს

2. პუბლიუს ვირგილიუს მარო

3. პუბლიუს ოვიდიუს ნასსო

4. მარკუს მარინიუს

5. პრისციუს

6. იულიუს ფირმიკუს მატერმუს

დასკვნა

1. ლუკრეციუს კარუს ტიტუს

ლუკრეციუს კარუს (94 წ. ქრისტეს წინ, თავი მოიკლა 44 წ.), რომაელი ფილოსოფოსი და პოეტი, თავის პოემაში „დერერუმ ნატურა“, რომელიც

ბუნების არსებობასა და ფილოსოფიას განმარტავს ატომიზმის სწავლის მიხედვით, რასაკვირველია, ცასა და მის გვამთ ეხება და დასახელებული პოემის მეხუთე წიგნში ამბობს – აგიხსნი, თუ ბუნება (ნატურა), როგორი ძალით მართავს მზის სრბოლასა და მთვარის ბრუნვას (ლექსი 77). ყველაფერი ატომებისაგან შესდგება: მიწა, ტალღანი ზღვისა, ცა, ცხოველნი... (ლექსი 432). ლუკრეციუსი განმარტავს, თუ ატომთაგან ყველაფერი როგორ წარმოიშვა .... დაბოლოს, დაიბადნენ მზე, მთვარე, ვარსკვლავნი (ლექსი 472), და სხ. 120.

2. პუბლიუს ვირგილიუს მარო

ვერგილიუსი, ანუ ვირგილიუსი (70 – 19), რომის უდიდესი პოეტი, პოემაში „გეორგიკონ“ სოფლის მეურნეობას ეხება, და რასაკვირველია, მასთან დაკავშირებით ცასა და ვარსკვლავებს იხსენიებს, რომელთაც სოფლის მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვთ. იგი ამბობს: რათა ჩვენნი მუშაობანი მოწესრიგებულნი ყოფილიყვნენ, ცა დაყოფილ იქმნა სხვა და სხვა მხარედ, და 12 ვარსკვლავი აღნიშნავს მთელ მსოფლიოში ბრწყინვალე მზის გზასო. ხუთი სარტყელი ცის მთელ სივრცეს შეიცავს; ერთი მარად ბრწყინვალეა ნათელით, ყოველთვის დღის ცეცხლით იწვის; მის გარშემო, მარჯვნივ და მარცხნივ, იქაა ორი სხვა, რომელიც ვრცელდება ქვეყანის პოლიუსებამდე, და რომელთა ქვეშ დაგროვილია საუკუნო ყინული და შავი წყვდიადი. მათ შორის... არის ორი ზომიერი სარტყელი, რომელიც ღმერთთა წყალობამ საბრალო მოკვდავთ მიანიჭა... როდესაც ფოებუსის მარბენალნი (მზის ეტლი ცხენებით) იწყებენ თავის ცეცხლიან სუნთქვას, იქ ბრწყინვალე „ვესპერ“ ანათებს ღამეში თავისი ჟინჟღილით...

„გეორგიკონ“ – ის მეორე წიგნი ასე იწყება – ვუგალობ აქ მინდვრის მეურნეობას და ვარსკვლავთა სრბოლას...

ვირგილიუსი თავის შესანიშნავ პოემაში – „აენეიდოს“ ხშირად ახსენებს ვარსკვლავთ, მაგრამ მას რაიმე განსაკუთრებული გალობა ვარსკვლავთადმი არა აქვს. 120.

3. პუბლიუს ოვიდიუს ნასსო

ოვიდიუს ნასსო (43 წ. ქრისტეს წინ და 17/18 წ. შემდეგ) თავის შესანიშნავ თხუზულებაში „მეტამორფოსეს“, წიგნი 15, თავი 8, ამბობს – კაიუს იულიუს კაესარი (ცეზარი) სიკვდილის შემდეგ ვარსკვლავად გარდაიქცა და იგი ბრწყინავს ვარსკვლავთა შორის ვით ახალი კომეტაო. და იგი ამ დიდი პოემის დასასრულს თავისი პიროვნების შესახებ გვაცნობებს – დაბოლოს დავასრულე თხუზულება, რომელს ვერც რისხვა იუპიტერისა, ვერც რკინა, ვერცა ალი, ვერც წელიწადთა კბილნი ვერ მოსპობენ! მოვა დრო გარდაუვალი, რომელიც ჩემი ცვალებადი სიცოცხლის სვლას შეაჩერებს. მას აქვს უფლობა მხოლოდ ჩემს გვამზე. ჩემი გვამის უკანასკნელი ნაწილი, უკდავი, აღტაცებულ იქმნება ვარსკვლავთა მხარეში, და სახელი ჩემი

არასოდეს დაიღუპება... და მგოსანის წინამგრძნობანი არ არიან მატყუარანი; ვიცოცხლებ დიდებით ყველა საუკუნის სიგრძეზე...

ოვიდიუსის „ფასტი“, ანუ დღეობანი ექვს პოემას შეიცავს, და ეს არის რომაული კალენდარი; იქ დღიდან დღემდე აღნიშნულნი არიან დღეობანი, მათი წარმოშობა, მათი აღწერა და დახასიათება. ამასთანავე აღწერილ არიან დღენი, თვენი და მათნი ვარსკვლავედნი, ხალხურ ჩვეულებასთან ერთად. ერთი მაგალითი – შემდეგ დღეს, ოდეს მზე, რომელი მზადაა ჩაესვენოს ჰესპერიას ზღვაში, გამოხსნის თავის ცეცხლურ რაშებს ბრწყინვალე პატიოსან თვალთაგან მოოჭვილი ეტლიდან; ნუ იკითხავ, თვალმიჭედილი ციურ თაღზე, თუ სად არის ამ ღამით ლირა (ვარსკვლავედი), რომელი ჯერ კიდევ გუშინ ზიმზიმებდა. ლირა მოსწყდა ჩვენს მზერას და აი, ანაზდეულად ვარსკვლავედი ლომი ნახევრად ჩაიძირა ტალღებში... 123.

4. მარკუს მანილიუს

მარკუს მანილიუს იყო რომაელი პოეტი პირველ საუკუნეში ქრისტეს შემდეგ. მას ეკუთვნის ხუთ წიგნიანი პოემა, რომელში აღწერილნი არიან ცანი, ვარსკვლავნი, ვარსკვლავედნი, მნათობნი და მათი ასტრონომიული, ასტროლოგიური მნიშვნელობა. ეს დიდი პოემა, რომელს ჰქვია „ასტრონომიკონ“, იმდენად ასტრონომიული არაა, რამდენადაც ასტროლოგიურია. მანილიუსი თავის პოემაში თავის თავს აქებს – მე ვიწყებ სიმღერით, რათა ჩამოვიტანო ციდან ცნობანი ჭეშმარიტად ღვთიურნი და თვით ვარსკვლავნიც, მცოდნენი ბედისა, რომელთა ძალა, უზენაესი სიბრძნით წარმართული, წარმოშობენ ამდენ ცვალებადობას ადამიანის ცხოვრების მსვლელობაში. მე ვიქნები პირველი (რომაელი), რომელიც ჰელიკონზე გაგაგონებთ ამ ახალ კონცერტს, და რომელი დაასვენებს ამ ხეთა ძირთ, რომელთა წვერო მუდამ მწვანე, შეუწყვეტელ აღელვებულია, იმ განძით, რაც ჯერ არავის არ შეუწირავს...

პირველ წიგნში პოეტი აღწერს ციურ სფეროებს და ამტკიცებს, ცათა და ვარსკვლავთა მარადული და უცვლელი მოძრაობა გვიჩვენებს ღმერთის არსებობასო. ეს ღმერთი არის მსოფლიოს სული. მეორე წიგნში მანილიუს აღწერს ვარსკვლავთა განლაგებას, მათ ენერგიას, მათ თვისებებს, მათ გავლენას ქვეყანაზე, ხალხებზე, ადამიანებზე. მესამე წიგნში მას განხილული აქვს ჰოროსკოპის ტექნიკა და საშუალება. მეოთხე წიგნში იგი ეხება ხალხთა და ადამიანთა ხვედრს, რომელსაც ვარსკვლავნი, მნათობნი და მათი ურთიერთობანი ანიჭებენ ბავშთ მათი დაბადების წამში. მეხუთე წიგნი ეხება ზოდიაკოთა გარეშე მყოფ ვარსკვლავედთ, მათ გავლენას კაცზე და მის მოქმედებაზე. ეს მძიმე და მშრალი საგანი აღწერილია პოეტური, ენერგიული სტილით, რომელიც პენგრესის თქმით, აუგუსტუსის ხანას შეეფერებაო. იგი მართლაც პირველი რომაელი მგოსანია, რომელმაც ცა და მისი დანიშნულება ასტროლოგიური თვალსაზრისით აღწერა. 124.

მანილიუსი ამბობს – მე არა მრწამს შემთხვევა, მოულოდნელობა; არა მჯერა უცებადობა როდესაც ვხედავ, რომ ერთი და იგივე ციური მოვლენა მარადიულად მეორდება, ერთი და იგივე მზე მარად ერთი მხარედან ამოდის; ბუნება იცავს თავის საკუთარ კანონებს და არასოდეს იგი შეცდომას არ ჩაიდენს... ჩვენა ვართ შვილნი ვარსკვლავთა... შეიძლება განა ვიჭოჭმანოთ იმის გამო, რომ ღვთიურობა არა ცოცხლობს ჩვენს სულში? და რომ სული, რომელსაც ჩვენ ციდან ვღებულობთ, მუნვე მასვე არ უბრუნდება? 124. გვერდი 712.

მანილიუსი ჩამსოთვლის იმ ბერძენ და რომაელ გმირთა, მხედართა, დიდკაცთა და იმპერატორთა სულთ, რომელნიც რძის გზით ვარსკვლავებზე განისვენებენ და სუფევენ. 124. გვერდი 654–655.

5. პრისციუს

ცნობილ ლათინ გრამატიკოსს პრისციუსს (დაახლოებით 525 წ.) მიაწერენ აგრეთვე პოემას ვარსკვლავთა შესახებ. ზოგი ამტკიცებს, ეს პოემა რჰენნიუსს ფანნიუსს ეკუთვნისო.

6. იულიუს ფირმიკუს მატერნუს

იულიუს ფირმიკუს მატერნუს, სიცილიელი (ცხოვრობდა მეოთხე საუკუნეში), არის დამწერი რვა წიგნისა „ასტრონომიკონ“, ოღონდ ეს შრომა უფრო ასტროლოგიურია, და ძალიან შემაწუხა მისმა წაკთხვამო, – ამბობს პროფ. დელამბრ.

ფირმიკუსის ლოცვა შვიდთა მნათობთა მიმართ დავბეჭდე წიგნში „ვტნის ვარსკვლავთმეტყველება“. სანტიაგო დე ჩილე, 1957 წ. გვერდი 238.

***

რუფუს ფესტუს ავიენუსმა აღწერა ცანი და მისნი სამკაულნი (და სხვა).

დასკვნა

როგორც ვნახეთ, წარმართთა (პაგანთა) მიერ ცის აღწერანი არიან: ან რელიგიურნი, ან ასტრონომიულნი, ან ასტროლოგიურნი, ან მითოლოგიურნი. ყველა მწერალი, რასაკვირველია თავისი პოეტური ხერხით ვარსკვლავებს აღწერს, მაგრამ ვერც ერთი მწერალი ვარსკვლავთა ხელოვნებითი გამოყენებით და პოეზიის ამაღლებით ცას ვერ სწვდება. ცანი და ვარსკვლავნი წარმართულ მწერლობაში უფრო შემთხვევითნი სამკაულნი არიან და მათ წინასწარ გამიზნული ხელოვნებითი დასახულობა არ გააჩიათ. აქ მეფობს მხოლოდ ასტრონომია და ასტროლოგია.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მეოთხე

ცა და მზე ქრისტიანულ ბერძნულ მწერლობაში

1. მზე საღმრთო წერილში
2. წმიდა სამება – ნათელი, მზე
   1. წმიდა ბასილ დიდი
   2. წმიდა გრიგოლ ნაზიანზელი
   3. წმიდა ეფრემ სირელი
   4. იოანე ოქროპირი
   5. წმიდა ტერტულიანუსი
   6. წმიდა ათანაგორას
   7. წმიდა ათანასე
3. ბასილ დიდი
4. გრიგოლ ნაზიანზელი
5. იოანეს ხრიზოსტომოს
6. სინესიოს
7. ნონნოს
8. იოანეს კამატეროს
9. სოლომონის გალობანი

1. მზე საღმრთო წერილში

ცხადია, არ ძალ მიძს მთელი ქრისტიანული მწერლობის შესწავლა ცისა და მზის საკითხისათვის, მაგრამ მაინც აქ მოტანილნი ნიმუშნი საკმაოდ ცხად ჰყოფენ მზის მნიშვნელობას ქრისტიარულ მწერლობაში.

თუმცა ბიბლია პირდაპირ ბერძრულ მწერლობას არ უკნთვნის, მაინც ამ შესანიშნავი წიგნით ვიწყებ, რადგან მთელი ახალი აღთქმა (მათეს სახარების გარდა, რომელიც არამეულ ენაზე იყო დაწერილი) პირველად ბერძნულად დაიწერა და მას ხომ ქრისტიანულ მთელ აზროვნებაზე და მწერლობაზე უდიდესი გავლენა ჰქონდა.

***

მზე არის ქმნილება ღმრთისა და მაჩვენებელი მისი შემქმნელის დიდობისა და დიდებულობისა; ღრმთის ბრწყინვალება არის ვითარცა მზის ნათელი (ამბაკუმი 3,4); მზე არის ხატი ზეციური ბრწყინვალებისა და ამიტომ სასიძო შედარებულია სოლომონის ქებათა ქებაში მზესთან. ეგრეთ წოდებული სოლომონის „ქება ქებათა“, რომელიც ბიბლიის ნაწილს შეადგენს და სიყვარულის პოეზიის საუკეთესო ნიმუშია, გადარჩენილია და შეტანილი ბიბლიაში მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სიყვარული ღმერთზეა გადატანილი, თუმცა იგი „ქება“ მესამე საუკუნეშია ქრისტეს წინ შედგენილი და, რასაკვირველია, სოლომონ მეფეს არ ეკუთვნის, არამედ სახალხო მგოსანთა შემოქმედების ნაყოფია. იქ შვენიერნი პოეტურნი შედარებანი მოიპოვებიან, და კერძოდ მზის შესახებაც. შეყვარებული საყვარელის შესახებ ჰკითხულობს –

ვინაა იგი, რომელი გამოიცქირება როგორც ცისკარი, ლამაზია ვითარცა მთვარე, შვენიერი როგორც მზე (ქება ქებათა, თარგმანი პროფ. არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძისა. პარიზი, „ჯვარი ვაზისა“, ნომ. 2. გვ. 45). ანუ ძველი თარგმანის მიხედვით – ვინ არს ესე, რომელი აღმოიჭირვების ვითარცა ცისკარი, კეთილ ვითარცა მთოვარე, რჭეთელი ვითარცა მზე...

ფსალმუნში ღმერთს პირდაპირ ეწოდება მზე – ღმერთი არის მზე და ფარი (83,11 /12). მზესავით ბრწყინავს პირი ქრისტესი –

მათე 17,2 და იცვალა (იესო) მათ წინაშე სხვად ფერად, და განჰბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე

გამოცხადება იოანესი 1,16 და პირი მისი ვითარცა მზე, ბრწყირავს ძალითა თვისითა

გამოცხადება 10,1 და პირი მისი ვითარცა მზე

საქმე მოციქულთა 26,13 ვიხილე მეუფე უბრწყინვალესი მზისა, გამომიბრწყინდა მე ნათელი.

სიმართლე (მალაქია 4,2), შეცნობა (სიბრძნე), ჭეშმარიტი ბედნიერება (იერემია15,9) მზეს ედარება.

მზის მუდმივი და შეუცვალებელი სრბოლა წმიდა ადამიანის უცვლელობასა და მტკიცობას (ისო ზირაქისა 22,12) და მესიის მეუფების გარდაუვალობას შეედარება.

მზის მუდმივი წრიადი ტრიალი არის სურათი ქვეყანისა, რომელს არაფერი ახალი არ მოაქვს:

ეკკლესიასტე 1,10 და არა რაჲ არს ყოველივე ახალ მზესა ქვეშე

ჭირი და ვაება გამოხატულია მზის დაბნელებით –

მათე 24, 29 შემდგომად ჭირისა მის დღეთასა, მზე დაბნელდეს (მარკოზი 13, 24)

ლუკა 23,45 და დაბნელდა მზე

საქმენი 2,20 მზე გარდაიქცა ბნელად

გამოცხადება 6,12 და მზე შავ იქმნა ვითარცა ძაძა ბალნისა...

მზე არის აგრეთვე სიმბოლო მართალთა, სიმართლისა და თანასწორობისა –

მათე 13,43 მაშინ მართალნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზე სასუფეველსა მამისა მათისასა...

მათე 5,45 რამეთუ მზე მისი აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა (და სხვა).

როგორც ვხედავთ, ბიბლიაში მზე ხშირადაა გამოყენებული, შედარებისათვის პოეტური თქმისათვის, მაგრამ მზე უფრო ხშირად დასახელებულია წმიდა მამათა ნაწერებში და პოეტურადაც ნახმარი.

იხილეთ წინ გვერდი 30. თავი 1. „მზე ბიბლიაში“.

2. წმიდა სამება – ნათელი, მზე

ქრისტიანულ მწერლობაში ხშირია აგრეთვე შედარება მზისა წმიდა სამებასთან, ამ ცნების განსამარტებელად.

1. წმიდა ბასილ დიდი (გარდაიც. 379 წ.) ასწავლის: – და ერთი (ღმერთი) არის სამი (სამპიროვანი), რომელში ღმრთეება, ან უფრო ზუსტად, – რომელი არის ღმრთეება, ვითარცა სამი მზე ერთი მეორეში ჩასმული, ერთი განფენა ნათელისა. 108ა.

2. წმიდა გრიგოლ ნაზიანზელი (330 – 391) თავის სწავლაში სამების შესახებ, ძეს უწოდებს – ნათელი, როგორც ეს არის იოანეს სახარებაში და ნიკეაეის მრწამსში (ნათელი ნათლისაგან – ლუმენ დე ლუმინე). უნდა ვეთაყვანოთ სამებას ერთში და ერთს სამებაშიო. მისივე აზრით, ხილულ ქვეყანაში მზე არის იგივე, რაც ღმერთი გონების ქვეყანაშიო. 106 ბ.

გრიგოლ ნაზიანზელისათვისაც, ისე ვით ნეოპლატონიზმშია, ნათელი არის ღვთიური ნათელი, და ეს ნათელი საფეხურებად ჩამოდის: – ღმერთი და სამება, შემდეგ: ანგელოზნი და შემდეგ: ადამიანნი. 106 ბ.

გრიგოლ ნაზიანზელი სამებას ერთ არსებას მზეს ადარებს: „ეს არის ერთი და იგივე ღვთაება სამი პირით, თითქო სამი მზე სავსებით გაერთიანებული, მხოლოდ ერთსა და იმავე სინათლეს გამომცემელი“-ო. 106 ბ. წიგნი 2. გვ. 405.

იგი ცდილობს იესო (ლოგოსი) გასაგები გახადოს მზესა და ნათელთან შედარებით, მაგრამ ამასთანავე აღიარებს, ასეთი შედარება ნამეტან უსრულიაო. (იქვე გვ. 450).

3. წმიდა ეფრემ სირელი (მეოთხე საუკუნე) სამებას მზეს ადარებს – მამა (ღმერთი) არის მზე; ძე (ღმერთი) არის სინათლე; სული წმიდა (ღმერთი) არის სითბო. ყველა სამივეს აქვს მხოლოდ ერთი არსი და ამის მიუხედავად ეს სამნი არიან განსხვავებულნი; ვინაიდან მზე განსხვავებულია სინათლისაგან, და სინათლე კი არის თვითონ მზე, და ისინი, რომელნი განსხვავებულნი არიან ერთი მეორესაგან, არიან თანასწორნი-ო. 106ბ. წიგნი 5. გვერდი 157.

4. იოანე ოქროპირი, ხრიზოსტომოს (340 – 397) რათა დაამტკიცოს, რომ ძე თანადროულია მამისა, მზისა და მის შუქთა განუშორებლობას ადარებს. 106 ბ. წიგნი 4. გვერდი 282.

5. წმიდა მამა ტერტულიანუსი (160 – 200) მოწინააღმდეგებთან კამათში ამბობს – თვით თქვენნი ბრძენნი (პლატონიანი) ამბობენ, რომ ლოგოსი ანუ სიტყვა და გონება არის შემოქმედი მსოფლიოსიო; ჩვენ კიდევ ვამბობთ, რომ საკუთარი არსება სიტყვისა, ლოგოსისა, გონებისა და სათნოებისა, რომლითაც ღმერთმა შეჰქმნა, არის სული (სპირიტუს); ღმერთმა იგი მოჰფინა და მოჰფინა რა, დაბადა; ამიტომ არის, მას (იესოს) რომ ეწოდება ძე ღმრთისა, მისი არსების ერთების გამო; რამეთუ ღმერთი არის სული: როდესაც მზე შუქს უშვებს, მისგან არსება კი არ გამოიყოფა, არამედ ვრცელდება იგი. ამგვარადვე, სიტყვა (ლოგოს, გონება, ვერბუმ) არის სული, სული სულისა, ღმერთი ღმრთისა, როგორც ანთებული ნათელი ნათელისა; ამნაირად, ის რაც ღმრთისაგან გამოდის არის ღმერთი და ძე ღმრთისა, და ორივე არის ერთი.

6. წმიდა ათანაგორას (მეორე საუკუნე), როდესაც სიტყვა–ლოგოსის შესახებ ლაპარაკობს, იგი მამისაგან იესოს წარმოშობას მზის შუქს ადარებს: ლოგოს... არის გამოვლენა ღმრთისაგან; იგი გამოდის ვით შუქი მზისაგან. 106ბ. წიგნი 14. გვერდი 178, 176.

7. წმიდა ათანასე ამბობს; მამა და ძე არიან ერთნი ისევე ბუნებრივად და იმგვარადვე, როგორც მზე და ბრწყინვალება ერთი და იგივე არისო. (იქვე, გვ. 524).

3. ბასილ დიდი

დიდი ღმრთისმეტყველი, კაპადოკიელი ეპისკოპოსი (331–379) და მწერალი ღრმა პოეტური განწყობილებით, ბასილ დიდი ბუნებას უგალობს. მას ჰქონდა პოეტური შეგრძნობა ბუნებისა და ალექსანდრე ჰუმბოლდტი მის შესახებ ამბობს – ბასილის ჰომილიები ბუნებისადმი მის გრძნობას გვიჩვენებსო. იგი აღწერს მცირე აზიის მარად მხიარულ, ნაზ ღამეებს, ვარსკვლავებს, ანუ „ცის მარად ყვავილთ“, რომლთაც კაცის სული ხილულიდან უხილავამდე აჰყავთ...

ასეთივე პოეტური შეგრძნობითაა გაჟღენთილი მისი ძმა, გრიგოლ ნისელი, ნაზიანზელი, 125.

4. გრიგოლ ნაზიანზელი

გრიგოლ ნაზიანზელი (329/30 – 389/91) იყო არა მარტო დიდი თეოლოგოსი, არამედ დიდად ნიჭიერი პოეტიც. ვინც ჰეზიოდოსსა და დანტეს აქებს, – ამბობს პროფ. ბაუმგარტნერ, – მან გრიგოლ ნაზიანზელი უფრო მეტად უნდა შეაქოსო. 125. გვ. 42.

გრიგოლ ნაზიანზელს დაწერილი აქვს მრავალი თეოლოგიური და ისტორიული ხასიათის ლექსი, რომელთა შორის ზოგი ვარსკვლავთ შეეხება. ეს არის ნაწყვეტი მისი შესანიშნავი ლექსიდან, რომელიც ქრისტესადმეა მიძღვნილი:

შენ, უკვდავ მეუფეს

გიგალობ შენი ნებართვით, გაქებ შენ

მეუფეს, პყრობელს

რომელისაგან მოისმის სიმღერა და გალობა;

რომლისაგან ოხრავს ანგელოზთა გუნდი,

რომლისაგან მომდინარეობს დროთა მდინარე,

რომლისაგან ელავს მზის ბრწყინვალება,

რომლისაგან ტრიალებს თავის წრიადში მთვარე,

რომლისაგან ზიმზიმებს ვარსკვლავთ ბრწყინვალება...

5. იოანეს ხრიზოსტომოს

იოანე სირიელი (344–407), იოანე ოქროპირად წოდებული, თეოლოგოსი და პატრიარხოსი კონსტანტინოპოლისა, დაჯილდოებული აგრეთვე პოეტური გრძნობით ბუნებისადმი, რომელსაც იგი ქება–დიდებას უძღვნის თავის შესანიშნავ ქადაგებებში, როგორც მაგალითად:

იხილეთ ცის თაღნი და ველნი, სადაც ჯოგნი ზღვის სანაპიროზე სძოვენ. ვინ უგულებელყოფს ხელოვნების ქმნილებებს, ოდეს იგი თავის გულის სიმშვიდეში გარიჟრაჟზე ამომავალი მზით განცვიფრდება, რომელი თავის ოქროსფერ ნათელს დედამიწის ზურგს მოაფენს; ოდეს იგი მინდორის სიღრმიდან ამოჩუხჩუხე წყაროს ხედავს, ან ფოთლებით სქელად შემოსილ ხეთა ბნელ ჩრდილში მოსვენებული თავის თვალით შორს, შორს მაღლა დაკარგულ სიშორეს მიაპყრობს? 125. გვ. 50.

6. სინესიოს

სინესიოსი, პტოლემაიოსის (კირენაიკა) ეპისკოპოსი (მეოთხე საუკუნეში) ერთ თავის გალობაში ამბობს –

(ღმერთო!...)

შენთვისაა დილა, შენთვისაა დღე შენდა არს საღამო, ოდეს გიგალობ.

მოწმედა მყავს ბრწყინვალება ვარსკვლავთა, წყნარი სვლა მთვარისა და უდიდესი მზე, რომელი არს შემანელებელი ვარსკვლავთა, მსაჯული სულთა წმიდათა...

შენთვისაა რომ სფერონი, რომელთა სიბერე არ იციან, ბრუნავენ თავიანთ დაუღალავ მოძრაობაში;

შენი მართვითაა, რომ შვიდნი ვარსკვლავნი უკმო მოძრაობით ბრუნავენ მათ ვეებერთელა ბურთთა სწრაფ მიმოქცევაში;

ნებითა შენითაა, რომ მრავალრიცხოვანნი ამშვენებენ მხოლოდ ერთ ქვეყანას, ოჰ, დიდებულო ძეო (ქრისტეო!);

სრბი რა ციურ მხარეებში, შენ გიჭირავს შეუშვებლად საუკუნეთა სრბოლა;

შენს წმიდათა კანონთა მიხედვითაა, ოჰ უკვდავო, რომ ჰაეროვან უზარმაზარ სიმაღლეებში მოძრაობენ ვარსკვლავნი.

შენა ხარ, რომელი ცის მცხოვრებთ, ჰაერის მცხოვრებთ, ხმელეთის მცხოვრებთ მიუჩენ მათ ამოცანას და ანაწილებ სიცოცხლეს...

შენა ხარ, რომელი ანიჭებ გონებას ღვთიურ არსებათ და მოკვდავ არსებათ, რომელნიც გონივრული ცვარით არიან მოსხურებულნი;

შენა ხარ, რომელი აძლევ სულს არსებათ, რომელთა სიცოცხლე, რომელთა დაუშვრომელი ბუნება, ამ სულზეა დამოკიდებული.

ბრმა ნერგნი (ნორჩნი) სულისა ჩამოკიდულნი არიან შენს ჯაჭვზე, და ყველა ქმნილება, რომელიც გონებას მოკლებულია, ამოსწურავს შენს წიაღში ძალას, მას რომ ინახავს, ძალას, რომელსაც შენი ძლიერება მას ანიჭებს საიდუმლო წიაღიდან მამისა, – მონადა მისტერიული.

იქიდანაა რომ სიცოცხლის წყარო გამოდის და ვრცელდება შენი ძლიერების გზით, მიწამდე, გორებათა შეუცნობელ ქვეყანათა გზით.

იქიდანაა, რომ **ხილული ქვეყანა, ხატი გონებრივი მხარისა** ღებულობს წყაროს სიკეთეთა, რომელი ზეგარდმო გადმოდის.

ამ ქვეყანას ჰქონდა **მეორე მზედ მამა მეორე ნათელისა**, რომელი ანათლებს თვალთ, განმანაწილებელი მატერიისა, რომელიც იბადება და კვდება, ძე, ტიპი გრძნობადი **გონებრივი მზისა**, განმანაწილებელი სიკეთეთა, ქვეყნად რომ არიან; ყველაფერი ესაა შენი ნებით, ძეო დიდებულო, ო მამაო! შენ, რომლის გაგება გონებას არ შეუძლია და სიტყვას არ ძალუძს გამოთქმა. შენა ხარ **გონება გონებათა, სული სულთა; შენა ხარ ბუნება ბუნებათა.**

და აი, დაჩოქილი, მე შენი მსახური, ვეცემი მიწაზე და გევედრები შენ, თვალთაგან სინათლე წართმეული,

შენ, რომელი ანაწილებ გონივრულ სინათლეს,

შემიბრალე, ო უკვდავო, სული მახვეწარი;

განაძევე სენნი, განაძევე ზრუნვანი, რომელნიც გულს მიღრღნიან...126..

სინესიოსის გალობა ქრისტესადმი –

დაბადება შენი გამოუთქმელი, ო ქრისტეო,

წინ უსწრებს საუკუნეთა დასაბამს; შენ **პირველად ყოფილი ნათელი, შუქი, რომელი ბრწყინავს მამასთან** (მამა ღმერთთან) ერთად; განფანტავ რა ქვემოთის წყვდიადს, ანათლებ წმიდათა სულებს;

შენა ხარ, რომელმა შეჰქმნა ქვეყანა, რომელმან მოარგვალა მოციმციმე ვარსკვლავნი, რომელმან განამყარა დედამიწის გული;

შენა ხარ მხსნელი ადამიანთა; შენთვისაა, რომ მზე, მარადი წყარო დღისა, მიიწევს თავისი ეტლით; შენთვისაა რომ მთვარე, ვერცხლისი რქებით მორთული შუბლით განაბნევს ღამეთა სიბნელეს; შენთვისაა რომ მწიფდებიან ხილნი; შენთვისაა რომ ჯოგნი სძოვენ; შენა ხარ, რომელი შენი გამოუთქმელი საუნჯიდან მაცოცხლებელ ბრწყირვალებას აფრქვევ, ანაყოფიერებ დედამიწის ქვეყნებს. ეს შენი წიაღიდანაა გამოსულ რომ არიან ბრწყინვალებანი და სინათლენი, გონება და სული. (იქვე, გვერდი 569).

შენა ხარ ქრისტე! რომელი განაგებ ცათა გონივრულ თაღებს, რომელი განუწყვეტლივ ხელმძღვანელობ ვარსკვლავთა ხოროს. ო, მეუფე!

შენ მიგყავს ანგელოზთა ლეგიონი, შენ ბატონობ დემონთა გუნდებზე...(იქვე).

***

სინესიოსის ქრისტიანულ რელიგიურ ლექსთა შორის არა ერთია ნეოპლატონური იერით დაწერილი, ლამაზი და შესანიშნავი ლექსიო, – ამბობს ბაუმგარტნერ. 118. გვ. 557.

სინესიოსის პოეზია, – როგორც ამბობს მატტერ, – საკვირველი შერევაა და შენათხზია პლატონიზმისა და გაქრისტიანებული გნოსტიციზმისაო. სინესიოსის გალობანი არიან პოეტი ფილოსოფოსის გალობანი, რომელთაც ეპისკოპოსთა ყრილობა ძლივს თუ გაიგებდაო. მისი ნაწერი გასაგები იყო მხოლოდ პლატონიანთა და გნოსტიკოსთა ყრილობისათვისო. 127.

7. ნონნოს

ნონნოს (მეოთხე საუკუნის დასასრულს), ეგვიპტელი ბერძენი, იყო წარმართი და მხოლოდ ხანდაზმულმა მიიღო ქრისტიარნობა. მან დასწერა ლექსად იოანეს სახარება. მასვე ეკუთვნის 27.000, ჰექსამეტრით დაწერილი პოემა „დიონისიაკა“ (48 წიგნი), რომელში აღწერილია საკხოსის ზღაპრული

მოგზაურობა ინდოეთისაკენ. ეს მითოლოგიური საგანი მას საშუალებას აძლევს ხშირად ცას შეეხოს და პოემის მთელი თავები მას მიუძღვნას.

8. იოანეს კამატეროს

მეთორმეტკე საუკუნის ბიზანტიაში ცხოვრობდა ორი პიროვნება, სახელად იოანეს კამატეროს. ერთი იყო იოანეს კამატეროს, საიმპერიო მრჩეველი, და მეორე – ბულგარეთის არქიეპისკოპოსი. დღემდე გამორკვეული არაა, რომელ მათგანს ეკუთვნის მგოსნობა. ყოველ შემთხვევაში, ერთი კამატეროს იყო მგოსანი, რომელმა დასწერა ასტრონომიულ-ასტროლოგიური პოემა; მან ეს პოემა მიუძღვნა ბიზანტიის იმპერატორს, მანუელ კომნენოსს (1143 – 1180). ასტროლოგიის მოყვარულსა და დამცველ კეისარს. ეს პოემა პირველად დაიბეჭდა მე-23 წიგნში, რომელიც გამოცემულია პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის მიერ; ხოლო მეორე, ასტრონომიული პოემა ჯერ გამოუქვეყნებელია. ორივე პოემა არის აღწერა ცისა და განმარტება ასტროლოგიისა. პოეტი ამ დარგში განსწავლული იყოო, – ამბობს პროფ. ფრანც ბოლლ, – მაგრამ იგი თავისი მგოსნური ნიჭით საშუალო ბიზანტიურ ნიჭზე თითქმის დაბლა იდგაო. იოანე კამატეროს არ დაკმაყოფილდა მუზათა შექებით და თავის დაუსრულებელ გრძელ ლექსში – პოლიტიკურ ლექსში – მთელი შინაარსი ასტროლოგიისა მოათავსაო. 128.

9. სოლომონის გალობანი

სოლომონის ოდები – არიან შვენიერნი საგალობელნი ქრისტიანთა, დაახლოებით მეორე საუკუნისა, დაწერილნი პირველად ბერძნულად. ეს თხუზულება დაიკარგა შუა საუკუნეთა განმავლობაში და მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს იპოვნეს იგი სირიულ ენაზე გადათარგმნილი. სოლომონის ოდებში ხშირად ვხვდებით მზის გამოყენებას პოეტური შედარებისათვის,

როგორც მაგალითად –

ვითარცა მზე არს სიხარული

მათთვის, რომელნი მოელიან დღეს,

ასევე უფალი არს სიხარული ჩემი,

რამეთუ იგი არის მზე ჩემი.

მისმა შუქებამ გამაღვიძა მე,

ნათელმა მისმა განაძევა ბნელი

ჩემი პირი–სახიდან... 129.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მეხუთე

ცა და მზე იტალიურ და სხვა მწერლობაში

1. წმიდა ფრანცისკუს ასისელი

2. დანტე ალიგიერი

3. მეტზ, დასკოლი, ეშენბახ, ჩოუსერ, კოპერნიკუს

4. მზე სომხურ პოეზიაში

დასკვნა

1. წმიდა ფრანცისკუს ასისელი

ფრანცისკუს ასისელი (იტალია) დაიბადა 1182 წელს და გარდაიცვალა 1226. იგი იყო განთქმული ბერი, რომელმა დაარსა შესანიშნავი რელიგიური ძმობა, დღესაც კარგად ცნობილი „ფრანცისკანული ორდერი“, ანუ უმცროს ძმათა საზოგადოება (1212 წელი). ეს მღვიეედ მორწმუნე ბერი იყო აგრეთვე პოეტიც და სხვათა შორის მას ეკუთვნის ცნობილი ლექსი: „ქება მზისა“. არსებითად ეს ლექსი არის ქება ქმნილებათა, ოღონდ მისი ჩვეულებრივი სახელია – ქება მზისა, ანუ უფრო სწორად: „ქება ძმა მზისა“ (დე ლო ფრატე სოლე). რადგან ეს ლექსი გრძელი არაა და არც ქართულ მწერლობაშია ცნობილი, ამიტომ მომაქვს იგი სრულად –

უზესთაესო, ყოვლად ძლიერო და კეთილო უფალო, შენ გეკუთვნიან ქებანი, დიდება და ყველა კურთხევა. მხოლოდ და მარტო თქვენ გეკუთვნიან ისინი, და არც ერთი კაცი არაა ღირსი სახელი თქვენი წარმოთქვას.

კურთხეულ არს ღმერთი, უფალი ჩემი, ყველა შენ ქმნილებათა გულისათვის, განსაკუთრებით ჩემი ბატონი ძმის, მზისათვის, რომელი დღესა და ნათელს გვანიჭებს! და იგი არს შვენიერ და მოზიმზიმე დიდი ბრწყინვალებით. და იგი ატარებს მოწმობას შენზე, უფალო!

კურთხეულ იყავნ, უფალო ჩემო, ჩემი დის მთვარისათვის და ვარსკვლავთათვის. შენ განასახიერე ისინი ცათა შინა, ნათელნი და შვენიერნი!

კურთხეულ იყავნ, უფალო ჩემო, ჩვენი ძმის ქარისათვის, ჰაერისა და ღრუბელისათვის; სიმშვიდე და ყველა დრო, რომელიც უნდა იყოს; ვინაიდან მათი გზით არს, რომ თქვენ ეხმარებით ქმნილებათ.

კურთხეულ არს უფალი ჩემი, ჩემი დის წყალისათვის, რომელი არს მარგებელ, მორჩილ, ძვირფასი და უხრწნელ!

კურთხეულ იყავ უფალო ჩემო თქვენი ძმა ცეცხლისათვის! მით ანათებ ღამეს; იგი ლამაზია და სახილველად საამო, შეუკავებელი და ძლიერ!

კურთხეულ იყავნ, უფალო ჩემო, ჩვენი დედამიწისათვის, რომელი გვასაზრდოებს ჩვენ და წარმოშობს ყოველ გვარ ხილს, ბიბინა ყვავილთ და ბალახთ!

დიდება შენდა, უფალო ჩემო მათთვის, რომელნი შეუნდობენ თქვენი სიყვარულისათვის, და რომელნი მოთმინებით სიმტკიცესა და ჭირს უძლებენ. ნეტარ არიან, რომელნი მოიპოვებენ მშვიდობას! რამეთუ უზენაესი მათ დააგვირგვინებს!

დიდება შენდა, უფალო ჩემო, ჩვენი დის (ანუ) გვამობრივი სიკვდილისათვის, რომელს ვერც ერთი ცხოველი ადამიანი ვერ გაექცევა. ვაი მას, რომელი მოკვდება მოკვდავი ცოდვით! ნეტარ არიან, რომელნი სიკვდილის ჟამს თქვენს უწმიდეს ნებასთან თანხმობაში არიან! რამეთუ მეორე სიკვდილს აღარ შეუძლია მათ ავნოს.

აქებდეთ და ადიდებდეთ უფალსა ჩემსა! მიუძღვენით მას მადლობანი და ემსახურეთ მას დიდი თავმდაბლობით...

***

წმიდა ფრანცისკუსის ლექსი დიაღაც მოკლეა. გარნა მასშია მთელი მისი სული – მისი მამობრივი მეგობრობა ქმნილებათადმი; იგია დაუსრულებელი სიყვარულიო, – ამბობს ოზანამ. 130. ალ. ბაუმგარტნერ ფრანცისკუსის მზის გალობას, რომელიც არის იტალიური პოეზიის უძველესი ძეგლი, ფრანცისკანული პოეზიის ძირითად კილოსა და დანტეს კომედიის უკურთხეულეს შესავალს უწოდებს. 131.

2. დანტე ალიგიერი

იტალიური პოეზია, – ამბობს ოზანამ, – როგორც ყველა პოეზია, ორი წყაროდან წარმოიშვა – ერთია გრძნობადი (სენსუალ) და მეორეა – რელიგიური; ეს ორი ხშირად ერთმანეთს შეეზავება, ოღონდ ეს ორი მიმდინარეობა მაინც გარკვევით მოსჩანს. მეთორმეტე საუკუნის დასასრულს სიცილიაში, ამ ცხელ ქვეყანაში, ნახევრად ბერძნულ, ნახევრად არაბული სისხლის მხარეში, თავშეუკავებელ სიამოვნებაში და

შურისძიებაში, – აი, აქ დაიბადა პირველი იტალიური ლექსი. ლექსის ხელოვნება გაიფურჩქნა ფრიდრიხ მეორეს (1215 – 1250) სასახლეში და შემდეგ მთელ იტალიაში გავრცელდა იგიო. ამ ხანის პოეტთაგან დიდად განთქმული არავინ არის; ეს პოეტური ხანა იყო მოსამზადებელი, რომლის შემდეგ წარმოიშვა იტალიის უდიდესი პოეტი, შუა საუკუნეთა ქრისტიანული ფილოსოფიისა და რელიგიის მგალობელი, სიტყვისა და ლექსის მფლობელი, – ალიგიერი დანტე (1265 – 1321). 132.

დანტეს სამკარიანის, ანუ ტრილოგიის („ჯოჯოხეთი“, „განსაწმედელი“, „სამოთხე“)

დასახასიათებლად მნიშვნელოვანია თვით ის მოვლენა, რომ მთელი ეს ნაწარმოები შესდგება ასი გალობისაგან (კანტო), რომელთაგან ერთი გალობა არის შესავალი და თითოული ცალკეულად კი 33 გალობას წარმოადგენს. რიცხვი 33 დანტეს იმიტომ აქვს აღებული, რომ ქრისტე 33 წლისა იყო, როდესაც იგი ჯვარს აცვეს.

ჩვენ აქ, რასაკვირველია, გვაინტერესებს დანტეს პოემა „სამოთხე“ (პარადისო), რომელიც შუასაუკუნეთა ასტრონომიასა და მასთან დაკავშირებით, იმჟამად რწმენასა და ღმრთისმეტყველებას გვაცნობს. ზედმეტად არა ვთვლი ყველა სამეულის კარს გავეცნოთ.

***

დანტე ტყეში დაიბნა. ტყიდან გამოსასვლელი გზა დაკავებული აქვთ ვეფხვს, ლომს, მგელს. ამ დროს გამოჩნდება დანტეს დამხსნელი, რომაელი დიდი პოეტი ვირგილიუსი, რომელიც დანტეს გარდაცვალებული სატრფოს, ბეატრიჩეს წარმომადგენელად მას მოევლინება. ვირგილიუსი დანტეს წინამძღვრობს და მას ჯოჯოხეთს უჩვენებს – სიბნელე, წყვდიადი და ყვირილი, გოდება და ვაება, და სხვა ასეთი საშინელი რამ. ჯოჯოხეთის პირველ წრეში იმყოფებიან მოუნათლავი ბავშვები და ძველი დიდი მწერლები: – ჰომეროსი, ჰორაციუსი, ოვიდიუსი, ლუკიან და სხვანი. ჯოჯოხეთის მეორე წრეში არიან: ავხორცნი და სიამოვნებათა მოყვარულნი – სერამის, კლეოპატრა, ელენე, ახილეოს, ტრისტა და სხვანი. ჯოჯოხეთის მესამე წრეში იმყოფებიან – ძუნწნი და ანგარიანნი, რომელნი უზარმაზარ კლდეებს მკერდით მიაგორებენ; მეხუთეში არიან – მძვინვარენი, რომელნი მყრალ ჭაობში იხრჩობიან: მეექვსეში არიან – ერეტიკები; მეშვიდეში – ცოდვილთათვის არის მდუღარე სისხლის მდინარე; მომძლავრენი და მოძალადენი ცდილობენ ამ მდინარედან ამოვიდენ, მაგრამ კერბეროს (ცერბერ) მათ უკანვე აგდებს; მერვე წრეში არიან მკითხავნი, მარჩიელნი, ქალთა შემაცდუნებელნი, მაჭანკალნი და მოლიზღარნი, პირფერნი, მოლაქუცენი, მატყუარა მოხელენი, ქურდნი, ცრუნი, მოჩხუბარნი, ყალბი ფულის მჭრელნი, და სხვანი. ჯოჯოხეთის მეცხრე წრეში იმყოფებიან: მოღალატენი ნათესავთა და სამშობლოსი. ჯოჯოხეთი აღწერილია საშინელი სურათებით და მკითხველზე ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებს.

***

ჯოჯოხეთის შემდეგ მოდის „განსაწმედელი“. აქ პირველ საფეხურზე არიან – ზვავნი და ამპარტავანნი; მეორეზე – შურიანნი; მესამეზე – მრისხანენი; მეოთხეზე – ზარმაცნი; მეხუთეზე – ძუნწები; მეექვსეზე – გაუმაძღარნი, მსუნაგნი; მეშვიდეზე – ავხორცნი.

ამ შვიდ საფეხურიან მონანიების მთაზე არის ამქვეყნიური, სააქაო სამოთხე, მშვენიერი წალკოტი. დანტე აქ „კუნ“-ის წყაროში განიბანება და ცისათვის მოემზადება. აქ გამოჩნდება დანტეს სატრფო ბეატრიჩე, რომელსაც იგი ცათა შინა შეჰყავს. ვირგილიუსი მათ სტოვებს. დანტე და ბეატრიჩე პირველად ცეცხლთა და ელვათა მხარეში და აქედან მთვარეზე ადიან.

***

პარადისოს პირველი კანტო, ანუ სამოთხის პირველი გალობა. მიწიურ სამოთხეში, დილით დანტე ბეატრიჩესთან ერთად იმყოფება. აქედან იგი ცეცხლის სფეროში ადის. ბეატრიჩე არის მისი მხლებელი და განმამარტებელი.

2. აქედან ისინი ადიან მთვარეზე და აქ ბეატრიჩე დანტეს განუმარტავს მთვარის შესახებ სწავლას შუა საუკუნეთა ასტრონომიის მიხედვით.

3. ცვალებადი მნათობის, მთვარის მხარეში დანტე იმ პირთა აჩრდილთ ხედავს, რომეთაც დედამიწაზე ბერობა აღთქვეს, მაგრამ შემდეგ ისევ საერო ცხოვრებას დაუბრუნდნენ. იგი ესაუბრება პიკარდას, რომელიც მას უხსნის, თუ როგორია იმ პირთა მდგომარეობა, რომელნიც ამ უქვემორეს სფეროში, მთვარეზე ცხოვრობენ. იგი უჩვენებს მას დედოფალის კონსტანციას აჩრდილზე და „ავე მარია“-ს გალობით გაჰქრება.

4. დანტე ისევ მთვარეზეა და ბეატრიჩე მას განუმარტავს ნეტარ სულთა ცხოვრებას და განსხვავებას ნებასა და ძალადობას შორის. დანტე კითხულობს – შესაძლებელია თუ არა შემდგომი კეთილი საქმეებით დარღვეული აღთქმის გამოსწორება?

5. ბეატრიჩე ამ საკითხზე დანტეს პასუხს აძლევს და აქედან ისინი ამაღლდებიან მეორე ცას – მერკურიუსის სფეროში, სადაც ცხოვრობენ ისინი, რომელნი პატიოსან ცხოვრებას ეწეოდნენ და მაღალი ღირსება დაიმსახურეს.

6. იმპერატორი იუსტინიანე დანტეს მოუთხრობს თავისი კანონმდებლობისა და რომაული არწივიანი დროშის ქვეშ მიღწეულ გამარჯვებათა შესახებ. აქ მოთხრობილია მოკლედ რომის ისტორიაც; იუსტინიანე დანტეს აცნობებს, რომ მერკურიუსის ცა ეკუთვნის იმათ, რომელთაც ქვეყანაზე კეთილი საქმეებით სახელი მოიხვეჭესო.

7. „წმიდაოს“ გალობით იუსტინიანე გაჰქრება სხვა აჩრდილებთან ერთად. ბეატრიჩე დანტეს განუმარტავს საკითხებს თავისუფალი ნების, ადამიანის დაცემის, ქრისტეს განკაცების, სულის უკვდავების და საბოლოო აღდგომის შესახებ.

8. დანტე და ბეატრიჩე ამაღლდებიან მესამე ცას, ვენუსის მნათობზე, მშვენების ვარსკვლავზე, სადაც იმყოფებიან მათნი სულნი, რომელნიც დედამიწაზე სათნოებით იყვენენ შემკულნი. აქ დანტე ბევრი ხალხის აჩრდილს ხედავს და ესმის მათი „ოსანა მაღალთა შინა“. მათ შორის არიან შარლ მარტელ, ჰუნგრეთის მეფე, დანტეს გულითადი მეგობარი, რომელიც სჩივის თავისი ძმის ცუდი მმართველობის შესახებ...

9. დანტე ჯერ კიდევ ვენუსზეა და შარლ მარტელის სიტყვის მოსმენას განაგრძობს, ხოლო შემდეგ მის ასულს კლემენსას ესაუბრება. ტირანოს ეცელინოს და კუნიცცა დანტეს უამბობენ თავისი ქვეყნის უბედურების შესახებ. პროვანსელი ტრუბადურნი, ფოლკო მარსელელი რომის პაპისა და კარდინალების წინააღმდეგ ლაპარაკობს.

10. დანტე მეოთხე ცაშია, მზეზე. აქ მას ეხვევიან დიდებულნი და ნეტარი არსებანი; გაისმის ღვთიური გალობა. მას ესაუბრება თომას აკვინელი და აცნობს მას დიდ თეოლოგოსებს; აქ არიან სოლომონ მეფე, დიონისიოს არეოპაგიტა, ბოეთიუს, რიშარ წმიდა ვიკტორი, გრაციან და სხვანი.

11. წმიდა თომას აკვინელი დანტეს განუმარტავს წმიდა ფრანცისკუსის ძმობის ამბავს და ჰკიცხავს დომინიკალურ ძმობას, რომელთა წევრები მისი დამაარსებლის წესებს არ მისდევენ.

12. გაისმის ყველგან გალობა და ნეტარნი ზეიმობენ. ბონავენტურა დანტეს მოუთხრობს წმიდა დომინიკუსის ამბავს და სჩივის ფრანცისკანული ძმობის გადაგვარების გამო. იგი უსახელებს მას იმ ნეტართ, მასთან ერთად რომ იმყოფებიან.

13. თომას აკვინელი დანტესთან საუბარს განაგრძობს და სოლომონ მეფის სიბრძნეს აქებს.

14. ბეატრიჩე ეკითხება გარშემორტყმულ ნეტართ, დაურჩებათ თუ არა მათ ახლანდელი სახე აღდგომის შემდეგ. სოლომონის სული უპასუხებს. აქედან დანტე და ბეატრიჩე ამაღლდებიან მეხუთე ცად, მარსზე, მხნეობისა და ვაჟკაცობის ვარსკვლავზე, სადაც იმყოფებიან მართალი სარწმუნეობისათვის თავდადებულნი.

15. აქ დანტე თავისი წინაპარის სულს ესაუბრება და იგი მას ქალაქ ფლორენციის ამბავს მოუთხრობს.

16. ეს მოთხრობა გრძელდება.

17. დანტეს იგი უწინასწარმეტყველებს მის გაძევებას ფლორენციიდან და მის მომავალს გახიზვნის შემდეგ. – შენ ნახავ, თუ რა მწარეა სხვისი პური და რაოდენ ძნელია სხვის კიბეზე ასვლა და ჩასვლაო!

18. დანტე შეწუხებულია და სურს საუბარი გამოსცვალოს. აქ იგი მას განთქმულ მხედრებს აჩვენებს. შემდეგ დანტე და ბეატრიჩე ამაღლდებიან იუპიტერზე, სამართლიანობის მნათობზე, სადაც სუფევენ მათნი სულნი, რომელნიც მიწაზე სამართლიანად განაგებდნენ. ყველანი ეს მართალნი,

ერთად მდგარნი, არწივის სურათს გამოსახავენ. აქ ლაპარაკია პაპის სასახლის უწესოების შესახებ.

19. ეს არწივი საუბრობს აქ მყოფ სულთა დიდების მიზეზის შესახებ და მათ ცხონებაზე, რომელნიც მოუნათლავნი გარდაიცვალნენ. იგი განმარტავს სარწმუნოების აუცილებლობას, კიცხავს იმ ქრისტიანთ, რომელნიც რწმენის მიხედვით არა ცხოვრობენ და ლაპარაკობს მეორედ მოსვლასა და განკითხვაზე.

20. არწივი აცნობს დანტეს: დავით მეფეს, იეზეკიელს, კონსტანტინეს და სხვებს. იგი განუმარტავს დანტეს, თუ მათნი სულნი, რომელნი ქრისტიანნი არ იყვნენ, სამოთხეში როგორ მოხვდენ.

21. დანტე ბეტრიჩესთან ერთად ამაღლდა მეშვიდე ცად, სატურნუსზე. აქ იგი ხედავს ფარულ კიბეს, რომელიც ემპირიუმში აყრდნობილია, ოღონდ თავი მისი არა სჩანს. ამ კიბეზე ჩამოდიან ნეტართა სულნი. ერთი მათგანი, პეტრე დამიანისა, დანტეს მიუახლოვდება და ესაუბრება ღმრთის მსახურთა გასაკიცხ ფუფუნების შესახებ.

22. აქ იგი ხედევს წმიდა ბენედიკტუსს, რომელიც მას საკუთარ, და მხლებელთა თვისთა თავგადასავალს უამბობს და მონასტერთა გადაგვარებაზე სჩივის. აქედან დანტე და ბეატრიჩე ადიან მერვე ცაში, უძრავ ვარსკვლავთა სფეროში და შედიან მარჩბივის ზოდიაკოში, საიდანაც დანტეს თვალ წინ ეშლება მზის სისტემა და ხმელეთი.

23. დანტე და ბეატრიჩე გასჩერებიან დასავლეთისაკენ, საიდანაც ანაზდად იესო ქრისტე, ღმრთისმშობელი მარიამ და მათნი თანამხლებელნი გამოჩნდებიან ცის მხიარულ მისალმებითა და კიჟინით შეხვედრით.

24. მოციქული პეტრე ბეატრიჩეს მიმართავს და ეს მას დანტეს გააცნობს. პეტრე დანტეს ეკითხება მრწამსის ბუნებისა და საფუძველთა შესახებ და აქ არის საამისო განმარტება.

25. წმიდა იაკობი დანტეს სასოებაზე ესაუბრება. აქვე არის მოციქული და ევანგელისტი იოანე. დანტე ისეა თვალ დაფახული საყვარელი მოციქულის ნათელით, რომ იგი თავის მხლებელს ვეღარ ხედავს.

26. დანტე ეჭვობს მხედველობა ხომ არ მეკარგებაო, მაგრამ მას მოციქული ამშვიდებს და მას სიყვარულზე ელაპარაკება. დანტეს ბეატრიჩე მზერას გამოუსწორებს. აქ დანტე ელაპარაკება ადამს, რომელიც თავის ამბავს უამბობს.

27. გაისმის დიდების გალობა. მოციქული პეტრე და მხლებელნი მისნი რომის სასახლისა და პაპა ბონიფაციუსის გახრწნას ჰკითხავენ. სამი მოციქული და მხლებელნი მათნი დანტეს მხედველობიდან ეკარგებიან და ოდეს იგი ბეატრიჩეს ღიმილს მისჩერებია, იგი მასთან ერთად მაღლდება მეცხრე ცაში, რომლის მოძრაობის კანონებს მას ბეატრიჩე განუმარტავს.

28. აქედან დანტე ხედავს ღვთიურ არსებას, რომელიც გამოსახულია **ნათელის ბრწყინვალების წერტილით**, რომელსაც ციური ჰიერარხიის ცხრა ხორო გარს არტყია. ბეატრიჩე დანტეს ყველაფერს აუხსნის.

29. ბეატრიჩე დანტეს განუმარტავს დაბადებას, ანუ ქვეყნის წარმოშობას, მის წესს, ანგელოზთა ისტორიას და სხვა. აღწერილია ღვთიური ბუნების კეთილობა, სახიერება და შვენება სრული.

30. ბეატრიჩეს სილამაზე დანტეს სავსებით იპყრობს. დანტე და ბეატრიჩე ამაღლდებიან ემპირიუმში, ანუ ნათელის სამეუფოში. ჯერ დანტე ვერაფერს ხედავს, მაგრამ მას ბეატრიჩე შემწეობას აღმოუჩენს და მასვე ეხმარება ნათელი მდინარე, რომელიც წრიულად მოძრაობს. აქ დანტე ხედავს თეთრ სამოსელიან ნეტართ, რომელნიც ერთი მეორეზე ფენებად გარს ერტყმიან მას და ამგვარად იქმნება ვეებერთელა ამფითეატრი. აქ სხვათა შორის არიან იმპერატორი ჰაინრიხ მეშვიდე და პაპა კლემენტუს მეხუთე.

31. გამარჯვებული ეკლესია, კაცური და ანგელოზური აღწერილია ამ გალობაში. დანტე შეამჩნევს, ბეატრიჩემ დასტოვა იგი, წმიდა ბერნარდუს მას ესაუბრება და მიუთითებს ბეატრიჩეზე, რომელიც ზის ციურ საყდარზე. აქ არის გალობა ღმრთისმშობელზე.

32. წმიდა ბერნარდუს დანტესთან საუბარს განაგრძობს და მას მრავალ ეჭვს განუფანტავს; აქ იგი მრავალ დიდ წმიდანს ხედავს.

33. წმიდა ბერნარდუსი ქალწულ მარიამს უგალობს. იგი თხოვს ღმრთისმშობელს შეეწიოს დანტეს, რათა მან ღმერთი იხილოს. პოეტს მზერა უსწორდება, უმტკიცდება უუძლირესი ნათელის წინაშე და მიიწევს მარადული ნათელისაკენ. იქ იგი სამ წრიადში **სამების** გამოუთქმელ იდუმალობას იხილვს, რომლის აღწერა მას უკვე აღარ შეუძლია.

დასასრული.

***

ასეთია უდიდესი იტალიელი პოეტის დანტეს განთქმული „ღვთიური კომეია“, რომელიც სულ სხვა რამეა ვიდრე ვეფხისტყაოსანი. მაგრამ მათ მაინც აქვთ ერთი რამ საერთო. ეს საერთოა შუა საუკუნეთა კულტურა, იმჟამადი ასტრონომია, ასტროლოგია და ქრისტიანული თეოლოგია.

***

დანტემ არა მარტო სულნი გაანაწილა ასტროლოგიის მიხედვით მნათობთა შორის, არამედ მეცნიერებაც. მისთვის ცა არის საერთოდ, – როგორც ამბობს ტიტო ცანარდელლი, – მეცნიერება. თითოული ცა დანტესათვის, რასაკვირველია ალეგორიულად, არის მეცნიერების რომელმე დარგი. მთვარე არის სიმბოლიური მნათობი გრამატიკისათვის; მერკურიუსი – დიალეკტიკისათვის; ვენუსი – მჭერმეტყველებისათვის; მზე – არითმეტიკისათვის; მარსი – მუსიკისათვის; იუპიტერი – გეომეტრიისათვის; სატურნუსი – ასტრონომიისათვის. ამ შვიდი მნათობის ზემოდ არის კიდევ სამი სხვა ცა: – 1. ვარსკვლავთა მიერ მოჭედილი ცა; 2.

პირველი მამოძრავებელი ცა; და 3. ემპრიუმი, უძრავი, ნათელის ცა. პირველი არის ფიზიკისა და მეტაფიზიკისათვის; მეორე – ზნეობისათვის; მესამე – ღმრთისმეტყველებისა, ანუ მეცნიერებათა მეცნიერებისათვისო. 133.

***

პტოლემაიოსის ასტრონომიის მიხედვით, როგორც არა ერთჯერ ითქვა, მსოფლიოს ცენტრი არის დედამიწა, რომლის გარშემო ცანი თავიანთი ვარსკვლავებით ტრიალებენ. რასაკვირველია, მზეც დედამიწას უტრიალებს, მაგრამ ამასთანავე მზე არის ნათელის წყარო უძრავ ვარსკვლავთათვისაც. მაშასადამე, მზე არის ყველასა და ყველაფრისათვის ნათელის მიმნიჭებელი. ამიტომ ამბობს დანტე თავის „კონვიკტო“-ში: არც ერთი გრძნობადი არსება ამ მსოფლიოში არ არის მეტად ღირსი იყოს ემბლემა, **ხატი ღვთიურობისა ვიდრე მზე**, რომელი თავისი ნათელით ჯერ თვითონ თავის თავს და შემდეგ ყველა ციურ და ელემენტარულ გვამთ გაანათებსო. დანტესათვის, ამგვარად, მზე არის – **ღვთიურობის ხატი**.

***

ამავე მზის საკითხს დანტეს შემოქმედებაში ეხებოდა განსვენებული ზურაბ ავალიშვილი და, სხვათა შორის სწერდა –

„მზის სიდიადე, სხივოსნობა და ბრწყინვალება დანტესაც აჯადოებს. ისაა მსოფლიოს ლამპარი, ვარსკვლავთ მეფე და მთელი მოკვდავი ცხოვრების მშობელი.

„ვირგილიუსი შესძახის მზეს: ჰოი, ტკბილო მნათობო, ჩემო დიდო იმედო, წაგვიყვანე ამ ახალი გზით.

„ბეატრიჩე არის დანტეს თვალთა მზე. სიყვარულსაც ზაფხულის მზეს ადარებს იგი და წმ. ფრანცისკო რომ დაბადებულა, ქვეყანას მზე დაებადაო. ღმერთი არის ანგელოზთა მზე. და ისაა ვირგილიუსის გოდება – ცაში ამაღლება მას არ ძალუძს – რომ ვერ იხილავს **მაღალ მზეს**, რომელიც დანტეს სურდა.

„აქ ის „სხვა“ მზე იგულისხმება, რომლის ხატი და სიმბოლო მხოლოდ „ეს“ მზეა. – სწორედ ისე, როგორც რუსთაველის პოემაშიც ვნახეთ“-ო. („ვტნის საკითხები“. გვ. 22–3).

3. მეტზ, დასკოლი, ეშენბახ, ჩოუსერ, კოპერნიკუს

გოტიე დე მეტზ, ფრანგი მგოსანი მეცამეტე საუკუნისა, სწერს მეცნიერულ პოემას: „სახე ქვეყანისა“, რომელში ცა არის აღწერილი. იგი ევროპიულ ენებზე გადაითარგმნა და იმ ხანად გავრცელებული იყო.

იტალიურმა ასტროლოგოსმა ჩეკკო დასკოლიმ დასწერა ლექსად ხუთი წიგნი, რომელი ასტროლოგიას, ზნეობას, სიყვარულს და თვალ პატიოსანთ ეხებოდა (1326 წელი), მაგრამ იგი მნიშვნელოვან რაიმეს არ წარმოადგენს.

გერმანელი ეშენბახი (გარდაიცვალა 1200 წ.) და ინგლისელი ჩოუსერი (1340 – 1400) არა ერთჯერ ხმარობენ ვარსკვლავთ თავიანთ პოეზიაში, მაგრამ არა დიდი პოეტური აღმაფრენით.

შუა საუკუნეთა მგოსნები ხშირად მიმართავენ ვარსკვლავებს, აღწერენ მათ და ხმარობენ მათ პოეტური შედარებისათვის, მაგრამ არც ერთ მგოსანს ცა ფართოდ არ გამოუყენებია.

***

და დიდი მეცნიერი ნიკოლოზ კოპერნიკუსი, რომელმაც თავისი ასტრონომიული გამოკვლევებით მეთექვსმეტე საუკუნეში ძველ ასტრონომიას ძირი გამოუთხარა და დაღუპვისაკენ გააქანა, თავისი ასტრონომიის შესავალში ამბობს:

რა შეიძლება უმშვენიერეს იყოს ვიდრე ცა, ყოველთა შვენებათა ცნება – თვით ბრძენნი ამა ქვეყანათა ვარსკვლავიან ცას მისი უდიდებულესობისა გამო ვით ღვთაებას თაყვანსა სცემდნენ. ვარსკვლავთ მეცნიერებას ძველი ბრძენი სრულადს უწოდებდა, ყველა თავისუფალი ხელოვნების გვირგვინს... როგორ შეეძლო ვინმეს დიდებული წყობა ღმრთის მიერ განლაგებული მსოფლიოსი გამოეკვლია, თუ თვითონ იგი წესიერი ცხოვრებისაკენ, ყველა სიკეთისაკენ, სრულიადის შემოქმედის, ყველა სიკეთის პირველ წყაროსაკენ გატაცებული არ იყო?

ლამაზი და მგრძნობიარეა ამ დიდი ასტრონომოსის ლექსი: „შვიდი ვარსკვლავი“.

პირველი ვარსკვლავი აცნობებს მესსიის მოსვლას; მეორე ვარსკვლავი ნატრობს მის ხილვას; მესამე – უგალობს ქრისტეს დაბადებას ბაგაში; მეოთხე – ზეიმობს ქრისტეს სახელით; მეხუთე – გამოცხადების (ეპიფანიის) საიდუმლეობას უგალობს; მეექვსე – ქრისტეს მიყვანებას ტაძარში მეშვიდე – 12 წლის ქრისტეს სწავლებას იერუსალიმის ტაძარში. 134.

4. მზე სომხურ პოეზიაში

ძველი სომხური პოეზია ისე ქრისტიანულ–რელიგიურია, როგორც ქართული. მაგრამ ხალხურ ზეპირსიტყვაობაში, თუმცა იგიც ქრისტიანულ ბეჭედს ატარებს, ძველ რწმენათა გადმონაშთს მაინც ვხვდებით. ეს გადმონაშთი მზის თაყვანების დარგიდანაა, ვით მაგალითად საქორწილო ლექსთა წრიდან ერთი ლექსი, რომელში მეფე, ანუ სიძე ასეა შექებული –

ეთაყვანეთ ჩვენს მეფეს; იგი შემოსილია ოქროს შვენიერი სამოსელით; იგია სასიძო სომხური კანონის მიხედვით...

ჩვენი მეფე ატარებს ჯვარს; ატარებს ჯვარს მკერდზე;

თავზე ატარებს წითელ ჯიღას; ყოველი წითელია, და წითელი, სულ წითელი ბრწყინავს მისი ახალგაზრდობა.

მისი გვირგვინი წითელია, მისი ბაბთი მწვანე. წითელია მისი მოსასხამი; მწვანე – მისი ახალგაზრდობა.

მზე ჩვენი მეფისა იყოს მარად ჟამ მოელვარე; ღმერთმა დაიფაროს იგი უკანასკნელ დღემდე.

წითელია მისი სარტყელი და წამოსასხამი, წითელი; სანდალნი მისნი მოქსოვილნი არიან ოქროს ძაფით, და წითელია მისი ახალგაზრდობა. 151.

აქ, როგორც აღვნიშნე, მეფე არის სასიძო, ისე როგორც საქართველოში (მეფე–დედოფალი!); სასიძო მეფე არის მზის გამოხატულება თავისი ოქროთი, თავისი წითელით, თავისი მარად ახალგაზრდობით, მზეობით. ოღონდ ეს გალობა მზისადმი გადატანილია სასიძოზე და გაქრისტიანებულია.

მეორე ამგვარ ლექსში ხალხი ობოლ ბავშს უმღერის –

მთვარემ დაგაძინოს თავისი სააკვნო გალობით და მზემ, მზემ დაგიფაროს შენ. 151. გვ. 57.

შესანიშანვია ხალხური გალობა მზისადმი –

მზეო, მზეო! ნუ იმალები შენ! მოველით თაყვანი გცეთ. შენმა დაიკომ, მთვარემ ჩვენ მოგვიტანა გამხმარი ყურძენით სავსე თასი! /გამხმარი ყურძენი – ჩამიჩი, ქიშმიში/.

ოღონდ მოვიდა ღრუბელი, და დაჰფარა ყოველივე. და ჩვენ ვეღარ ვხედავთ გამხმარ ყურძენთ!

გვწადია გიხილოთ შენ, პაწია მზეო! გვსურს გიხილოთ! მიიღე ეს ერთი მუჭა გამხმარი ყურძენი! ჩვენ გაძლევთ მას შენ!

ოჰ! მოვიტყუოთ მზე! გამოვიყვანოთ იგი ღრუბლებიდან...151. გვ.57.

ცხადია, ამ ლექსში გამოთქმული შეხედულება მზის თაყვანების დროიდან არის დარჩენილი და ჩამიჩის მირთმევა, ეს მსხვერპლის შეწირვაა მზისათვის.

სომხურ პოეზიაში, რომლის თარგმანს გავეცანი ესპანურ ენაზე, შემხვდა ერთი ლექსი პოეტ **კონსტანტინე ერზენგაელი-სა**, რომელიც ქალს ასე უმღერის –

ოჰ, ბრწყინვალე პირო! ხატო ნათელისა! მომეც ნება შეგიყვარო!

ამბობენ, ოდეს შენ უცბად გამოხვალ, შუაღამისას გამობრწყინდება მზე... 151. გვ. 73.

დასაწყისზე

დასკვნა

ქრისტიანულ მწერლობაში, უდავოა, მზე არ არის ღმერთი. მზე და ცანი სამკაულებითურთ ყოვლად შემოქმედმა ერთმა ღმერთმა შეჰქმნა.

ყველაფერი არის მხოლოო ღმრთის შემოქმედების ნაყოფი და მზე, ვარსკვლავნი არიან დიდებულნი, შესანიშნავნი, ვით მთელი წესნიერი ბუნება.

ქრისტიანულ მწერლობაში მზე გამოყენებულია ვითარცა პოეტური შესამკობელი და მზით დასურათებულია ბრწყინვალება, შვენება, სიმართლე, ჭეშმარიტი ბედნიერება, შეუცვალებლობა, კეთილობა, თანასწორობა და ღმერთს პირდაპირაც ეწოდება მზე (და ფარი).

მზეს შეედარება ქრისტე, წმიდა სამება; თვითონ ქრისტე არის მზე; თვით სამება არის მზე,

ამ პოეტურ და თეოლოგიურ შედარებათა გარდა, ამქვეყნიური მზე არის ქრისტიანულ მწერლობაში იგივეა რაც არის **ღმერთი** გონების მხარეში; **მზე – ღმერთი-გონება; ღმერთი – გონებრივი მზე; ხატი ღმრთისა – მზე – მიუწვდომელი ნათელი; მზე – ხატი ღვთიურობისა; მზე – სიმბოლო ღმრთისა.**

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მეექვსე

მზე ისლამურ მწერლობაში

1. მზე სპარსულ პოეზიაში

ა). აბუ'ლ ყასიმ ფირდაუსი

ბ). ირანელნი სხვა მწერალნი

გ). ნიზამი განჯელი

2. მზე არაბულ პოეზიაში

3. მზე ესპანურ–არაბულ პოეზიაში

4. მზე ესპანურ–ებრაულ მწერლობაში

1. მოსე ბენ იაკობ იბნ ესრა

2. სალომო ბენ იეჰუდა გაბიროლ

1. მზე სპარსულ პოეზიაში

ა). აბუილ ყასიმ ფირდაუსი

ფირდაუსი (941 – 1020), სპარსეთის გენიოსი მწერალი თავის შაჰ ნამე-ს (მეფეთა წიგნის) შესავალში ამბობს –

სახელითა ღმრთისათა მოწყალისა და შემბრალებელისა; სახელითა უფალის სულისა და გონებისა, რომელსა ზემოთ აზრი ვერ ასცილდება, უფალისა დიდებისა, უფალისა ქვეყანისასა, უფალისა ბედისა, – მისი, რომელი აგზავნის წინასწარმეტყველთ, უფალი სატურნუსისა, და ცათა ტრიალისა, რომელმან გაანათა მთვარე და ცისკარი, და მზე, რომელი უზენაეს არს ვიდრე ყველა სახელი; რომელიც ყოველი ნიშანი, ყოველი აზრია; რომელმან დახატა ვარსკვლავიანი სამყარო...137.

***

რასაკვირველია, ფირდოუსისათვის ცანი, მზე და ვარსკვლავნი ღმრთის მიერ არიან შექმნილნი –

შექმნა მზისა. ცის თაღი გაკეთებულია წითელი ლალისაგან, არა ქარისაგან და წყალისაგან, არა მტვერისაგან და კვამლისაგან. ამ ბრწყინვალებით და თავისი მანათობელი გვამებით, ის ჰგავს წალკოტს ნავრუზობის დღეს. მასში ტრიალებს ერთი ვარსკვლავი, რომელი კაცის გულს ხიბლავს, და რომლისაგან დღე თავის სინათლეს ღებულობს. იგი ამოდის ყოველ დილას აღმოსავლეთის მხარედან და მისი ალმოდებული თავი ოქროს კულულთ ჰგავს. იგი შემოსავს მთელ ქვეყანას სინათლის სამოსელით და აბრწყინვებს მიწის წყვდიადს; და ოდეს აღმოსავლეთიდან ის დასაველთისაკენ ჩადის, მწუხრი ღამისა თავსა სწევს აღმოსავლეთის მხარედან. არასოდეს არც ერთი მათგანი ერთი მეორეს ნაბიჯს არ ართმვს; არაფერი არ შეიძლება ისე იყოს მოწყობილი, როგორც მათი სვლა. ოჰ შენ, რომელი ხარ მზე როგორ ხდება, რომ შენ არ ანათებ ჩემთვის? 137. გვ. 13.

რასაკვირველია, ფირდოუსისათვის მზე არის შექმნილი; იგია შექმნილი ღმრთის მიერ და ეს შეხედულება შაჰნამეში ძალიან ხშირადაა გამოთქმული. ყოველი წერილი აქ იწყება გარკვეული თქმით, ღმრთის შექებით, რომელი გამარჯვებასა და ბედს იძლევა; რომელი არის უფალი მზისა და მთავარისა (წიგნი 1. გვ. 225). ან – სახელითა ღმრთისათა, რომელიც არს უფალი მზისა და მთვარისა (წ.1. გვ. 477); ღმერთი, რომელი არს უფალი მზისა და მთვარის ბრუნვისა (გვ. 543); გამარჯვება მოდის ღმრთისაგან, რომელი არის მზისა და მთვარის შემომქმედი (გვ. 157. წიგნი 2.). ღმერთმან, რომელმაც შეჰქმნა მზე და მთვარე (გვ. 255); ღმერთი არის უფალი სატურნუსისა, მზისა და მთვარისა; მისგანაა გამარჯვება და შემწეობა; იგია უფალი არსებობისა და სამართლიანობისა; მისგანაა სიდიდე და სიმცირე; ერთად ერთი ჭეშმარიტი გზა მისი არის მისი ნება და ბრძანება, და მზე და მთავრე მისი ბრმა იარაღია (წ. 2. გვ. 483); სახელითა უფლისათა მზისა და მთავარისა, რომელი იძლევა ძალას უბედურებაში და

ბედნიერებაში; რომლისაგან მოდის გამარჯვება და დამარცხება, რომელზე დამოკიდებულია ყოველ პირობაში ჩვენთა სურვილთა აღსრულება, – მან შეჰქმნა მიწა და დრონი... და სხვა და სხვა ასე.

ფირდაუსისათვის, როგორც მართლმორწმუნე მუსულმანისათვის სრულიად ბუნებრივია ასეთი რწმენა. ეს შეხედულება მას გადააქვს წარსულზე, როდესაც მაჰმადიანობა არც კი არსებობდა და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში აღნიშნავს მზეს, ვით სათაყვანებელ არსებას, როგორც მაგალითად –

ირანის მეფე ლოჰრასპ ტახტიდან გადადგა და ცეცხლიან ტაძარში ღმერთის მსახურად შევიდა. აქ იგი 30 წლის განმავლობაში ღმერთის წინაშე ფეხზე იდგა. ფირდაუსი აქ ლაპარაკობს გარკვევით, რომ ძველი ირანის მეფენი მზის მოთაყვანენი იყვნენ: იგი განუწყვეტლად მიმართავდა მზეს ლოცვით; ასეთი იყო ჩვეულება ჯემშედის შემდეგო (წიგ. 4. გვ. 361); მეფე დარა ეუბნება მეფე ისკანდერს თავისი ასულის შესახებ – იგი პატივსა სცემს ცეცხლიან ტაძარს, ორმუზდს, მთვარეს, მზეს და მიჰრსო (წ. 5. გვ. 73); წინ კი გაკვრით ამბობს – კეი ხოსროვ მეფე გმირ გივის ეუბნება: მოიცადე თვემდე ფერვედინ, როდესაც მზე, ჩვენი კულტის არსება, მიიღებს ძალასო (წიგნი 3. გვ. 345).

ეზდეგერდის მეუღლეს შეეძინა ვაჟი ფერვედინის თვეში, როდესაც მზე, თაყვანების არსება ამოვიდა (წ. 5. გვ. 515); მეფე ხოსროვ ფირუზ ჩამოხტა ცხენზე გაავსო თავისი გული სასოებით ღმერთზე და თქვა: ოჰ, მეუფევ! ოჰ, მანათობელო სამართლიანობისა, შენ მოიყვან ნაყოფს იმედის ხეზე (წ. 7. გვ. 18); კეისარი სწერს თავის სიძეს, მეფე ხოსროვ პარვიზს და იწყებს ჩვეულებისამებრ ღმერთის ხსენებით – უფალი გამარჯვებისა, დიდებისა და სამართლიანობისა, უფალი მთვარისა და უფალი მზისა, უფალი დღისა და უფალი ძლიერებისა. იცოდე, სიდიდე და სიყვარული ვარსკვლავთა მოდის მისგან და იყავ მადლობელი მისი, სანამ იცოცხლებ (წ. 7. გვ. 145) და სხვა.

ძველი ირანის მეფეთა რწმენის შესახებაც კი ფირდაუსს ძალიან უჭირს აღიაროს, რომ იმ ხანად მზეს თაყვანსა სცემდნენ. ამიტომ თითქო განგებ ფირდაუსი მრავალ ჯერ იმეორებს და მოსაბეზრებელად მრავალჯერ ამბობს, რომ – ღმერთი, ალლაჰ არის შემქმნელი მზისა, მთვარისა, სატურნუსისა, მარსისა და სხვა ვარსკვლავთა, – ან როგორ შეეძლო მართლმორწმუნე მუსლიმს, შიიტს სხვა გვარად ეთქვა!

***

მეტად მნიშვნელოვანია მზის პოეტურად გამოყენება შაჰნამეში. ამიტომ მას დაწვრილებით განვიხილავ და ამით დადგინდება აგრეთვე დებულება მზიური სტილის შესახებ აღმოსავლეთის მწერლობაში. აქვე მსურს აღვნიშნო, რომ ქართულ მწერლობაში და სხვაგანაც მიღებულია სახელი „ფირდოუსი“, მაგრამ ნამდვილი გამოთქმა ამ სახელისა იყო ძველად „ფირდაუსი“, და სწორად ამ გამოთქმას ვხმარობ ყველგან. 138.

ძნელია სპარსელ მგოსანთა შორის გარჩევა, – ამბობს ირანული მწერლობის სპეციალისტი, ინგლისელი პროფესორი ედვარდ ბროუნ, – ვინაიდან თვითეული განათლებული სპარსელი მზადაა შედარებით კარგი ლექსი გამოთქვას, ამიტომ უსარგებლოა ყველა იმ პოეტთა ჩამოთვლა, რომელთაც ლექსები უწერიათ, და საჭიროა ისეთები გამოირჩეს, რომელნიც ნამდვილი პოეტები იყვენო. 139. ოღონდ ამ ცნობილი მკვლევარის თქმა ფირდაუსს სრულებითაც არ ეხება.

ირანელი მგოსანი ფირდაუსი მსოფლიო მნიშვნელობის მწერალია და უდიდესი ოსტატი სიტყვისა, რომელიც თავის ხანას სავსებით ეუფლება, ფირდაუსი დაიბადა დაახლოებით 941 წ. შაბად-ში, თუსთან ახლოს და გარდაიცვალა 1020 წელს. 35 წლის განმავლობაში სწერდა იგი ლექსით ირანის ნაწილობრივ ზღაპრულ, ნაწილობრივ ისტორიულ თავგადასავალს და დაასრულა იგი 1011 წელს. მან ეს თხუზულება, რომლის სახელია „შაჰ ნამაჰ“, ანუ, „შაჰ ნამე“ (მეფეთა წიგნი) შაჰს მაჰმუდს მიუძღვნა. როდესაც შაჰმა ეს ნაწარმოები მოისმინა, პირველად მისი მხოლოდ ნაწყვეტი, ისეთ აღტაცებაში მოვიდა, რომ მის დამწერს, რომლის ნამდვილი სახელი იყო: „აბუ ლ ყასიმ მანსურ“, მან „ფირდაუსი“ ანუ: სამოთხისებური, სამოთხიდან მოსული უწოდა. ეს წოდება მანსურს შერჩა და თუმცა იგი შაჰს მაჰმუდს წაეკიდა და მის შესახებ გამკილავი ლექსიც კი დასწერა, შაჰი მაინც მისი თაყვანის მცემელი დარჩა, ფირდაუსს ეკუთვნის აგრეთვე პოემა: „იუსუფ და ზულეიკა“ (9.000 ლექსი).

***

ფირდაუსის შაჰნამე ვებერთელა თხუზულებაა და 60.000 ლექსს, ანუ 120 ათას სტრიქონს შეიცავს (იგი ჰომეროსის ილიადა და ოდესეაზე მეტია), ოღონდ მკვლევარნი ფიქრობენ, მასში მიმატებული და ჩამატებული ლექსებიც არისო და ჩვეულებრივ სთვლიან 53, ან 54 ათას ლექსს (დისტიხონს), რომელიც თვითონ ფირაუსს უნდა ეკუთვნოდესო.

გასაგებია, ფირდაუსს მიმბაძველები გაუჩნდებოდნენ, და ამგვარად შეიქმნა მთელი მწერლობა გმირთა და მეფეთა შესახებ, როგორც მაგალითად: გარშასპ ნამაჰ, ჯოჰანჯირ ნამაჰ, ფარამურზ ნამაჰ, და სახვა ასეთი.

ფირდაუსი გენიოსი პოეტი იყო, ოღონდ გეოგარფიის უვიცი და მისი ისტორიაც ძალიან მოიკოჭლებს; თვითონ დატვირთულია თავისი დროის ცრუმორწმუნეობითაც და მთელი შაჰ ნამე აგებულია ირანულ ზღაპრულ იმ ისტორიაზე, რომელიც ხალხს ზეპირად დაუცავს და ნაწილობრივ გადმოუცია; ამ მხრივ შაჰ ნამეს მნიშვნელობა აქვს უძველსი ირანული ისტორიის აღსადგენადაც: ჩვენ აქ გვაინტერესებს შაჰ ნამე მხოლოდ პოეტური თვალსაზრისით ვეფხისტყაოსანთან შესადარებლად. ამ შედარებასაც მხოლოდ განსაზღვრული არე აქვს და მარტოდ პოეტურ ხერხებს ეხება, პოეტურ გამოთქმებს, სურათებს, ფერებს და სხვა.

***

ფირდაუსის შაჰ ნამე არის მეფეთა და გმირთა წიგნი, ბრძოლათა აღწერანი, სიყვარულის შემთხვევითი მოვლენებით; ვეფხისტყაოსანი კი არის რომანი, მიჯნურობის წიგნი. ჩემთან ნარკვევთა სხვა და სხვა ადგილზე მოტანილი მაქვს ფირდაუსის პოეტურნი გამოთქმანი, პოეტური შედარებანი ვეფხისტყაოსანის ამავე მოვლენებთან შესადარებელად, – აქ კი დაწვრილებით ვეხები მზის საკითხს, რომელს ვეფხისტყაოსანში ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, და ფირდაუსის შაჰ ნამეშიც მნიშვნელოვანია.

***

თავისთავად ცხადია, ფირდაუსს თავის ამ ვეებერთელა თხუზულებაში ხშირად აქვს შემთხვევა ცა, ვარსკვლავნი და ნათელი ახსენოს. რა არის ბრწყინვალე ფირდაუსის მეფეთა წიგნში? რა არ გამოსცემს ნათელსა და რა არ ელვარებს? – ცა, მზე, მთვარე, მნათობი, ვარსკვლავი, დღე, მიწა, ქვეყანა, მეფე, გვირგვინი და სარდალი, ტახტი, დიდებული კაცი, ცხენი, ბაღი, ღვინო, სახლი, ხრმალი, ასანთი, დედაკაცი; სული, საქმენი, გამარჯვება, ფიცი, გონება, გმირნი, ადამიანნი, ისართა წვერონი, წყალი, მოდგმა, შობილი, ვარდის წყალი, თვალნი პატიოსანნი, სიხარული, შუბი, მათრახის მოჭედილობა, ჯავშანი, ტანი, პირი, ბედი, ყვავილნი, იმედი, სარტყელი, ოქრო, სასახლე, დარბაზი, თასი, მწდენი (ღვინის დამსხმელნი) და სხვა. ყველაფერი ეს ბრწყინვალებს და ნათელს აფრქვევს.

***

ფირდაუსი ხშირად აღწერს მზის ამოსვლას და ამისათვის შვენიერ შედარებებსაც მიმართავს, როგორც მაგალითად (აქ ყველგან ვსარგებლობ ჟიულ მოჰლის ფრანგული თარგმანით) –

ქვეყანა ჩაფლული ღამეში, იყო შავი ვით ყორანის ფრთა; უცებ ნათელი აღმოჰხდა მთათა შორის და მზემ დააფრქვია ლალნი სამყაროს ლაჟვარდზე... ფარდა, მზეს რომ ჰფარავდა, აიწია, და გარიჟრაჟდა... როდესაც სინათლემ დაიწყო განშუქება აღმოსავლეთის მხარედან და დაიხია, დაიფხრიწა ღამის წყვდიადი.... როდესაც მზემ ამოსტყორცნა შუქნი თვისნი მთებიდან და ქვეყანა გახდა გამჭვირვალე ბროლი..

როდესაც ბრწყინვალე მზე გაჰქრა... როდესაც აღმოსავლეთის მხარედან მზე ამოვიდა, მზგავსი დედაკაცის ღაწვთა, რომელნიც გულთ იმონებენ... როდესაც მზემ ქარქაშიდან იძრო ხრმალი და მისი ყვითელი სამოსელი გამოჩნდა... როდესაც ყვითელი ბროკატის მზე გამოჩნდა... როდესაც თეთრი ფარდა მზისა ამოიწია ზღვიდან... როდესაც მზემ, რომელიც ქვეყანას ანათებს, ამოსწია თავი მთებზე და დღემ ჩააცვა მიწას აბრეშუმის სამოსელი... როდესაც ბრწყინვალე მზემ თავისი ტახტი გამოაჩინა... როდესაც მზემ ბრწყინვალემ გახსნა თავისი საიდუმლოება ცის თაღზე... როდესაც ღამემ ჩამოიძრო თავისი შავი ფარდა და განთიადი აღმობრწყინდა მუქი მთებიდან... და სხვა და სხვა...

***

ფირდაუსის შაჰნამეში ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მზის გამოყენება სილამაზის დასახატავად. ამ მიზნით მე ამოვწერე ყველა ის ადგილი, სადაც მზე ფირდაუსისათვის პოეტური საშუალებაა სილამაზის აღსაწერად და დასახასიათებელად. თუმცა ეს ამონაწერი გრძელია და საკითხავად მოსაბეზრებელი, მაგრამ ვეფხისტყაოსანთან შედარებისათვის ეს სავალდებულოდ მივიმჩნიე და საამისოდ მკითხველმაც მოთმინების მსხვერპლი უნდა გაიღოს (მთვარის შესახები ადგილები უკვე დავბეჭდე „ვტნის ვარსკვლავთ მეტყველება“-ში სანტიაგო 1957. გვერდი 68–71). აქ რასაკვირველია, ფირდაუსის ფრანგული თარგმანის გვერდთა აღნიშვნას არ ვათავსებ, რადგან დიდ ადგილს დაიჭერდა და არც საჭიროა მაინც და მაინც).

***

ფირდაუსი შაჰნამეს წინასიტყვაობაში მზეს წინასწარმეტყველს ადარებს – წინასწარმეტყველი არის მზე. მისი მხლებელი კი – მთვარე. შაჰ მაჰმუდის შესახებ იგი ამბობს – მას შემდეგ რაც ღმერთმა ქვეყანა შეჰქმნა, არასოდეს არ გამოჩენილა ისეთი მეფე როგორც იგიო, იგი ატარებს თავის გვირგვინს, ტახტზე მჯდომარე, ვით მზე და მისგან ქვეყანა ბრწყინავს ვით სპილოს ძვალიო. იტყვიან – იგი არის მოელვარე მზე, რომელი აფრქვევს თავის ნათელს ქვეყანაზე! ო, აბულ კასიმ, ამ მეფემ გამარჯვებულმა დასდო თავისი გვირგვინი ტახტზე, რომელი არის მზის გვირგვინზე უმაღლეს!

ირანის პირველი (ზღაპრული) მეფე შედარებულია მზესთან – კაი უმორს იყო ტახტზე – შვენიერი ვითარცა მზე; ჯემშიდმა გააკეთებინა მეფისათვის შესაფერი ტახტი, ჩაასმევინა მასში ყოველი გვარი თვალი პატიოსანი, და მისივე ბრძანებით დევებმა ასწიეს იგი და აიტანეს ცის წიაღში; მძლე მეფე ჯემშიდი იქ იჯდა ვით მოელვარე მზე ცათა შინა; ზოჰაკმა სიზმარში ისე დაიყვირა, რომ სასახლე შეინძრა და მისი ქალები, მზის პირით, შეხტნენ ლოგინზე. ფერიდუნი ჰგავდა ბრწყინვალე მზეს. მან ზოჰაკის სასახლედან გამოიყვანა ორი ლამაზი ქალი, რომელთა პირი ბრწყინავდა ვითარცა მზე. იემენის მეფის ასულთ, ფერიდუნი უნახავად, მზეს ადარებს: მათ აქვთ ღაწვნი მზისა. მოლაშქრეთა პირნი ბრწყინავენ მზესავით. მობედისათვის ფერიდუნი პირი არის მზე. ფერიდუნი თავის ორ შვილს მიუწერს: ეს წერილი კეთილი რჩევისა მიწერილია ორი ძლიერი მზისადმი. მინუჩერი ბრწყინვალებდა ვითარცა მთვარე, ან ვით მოელვარე მზე, რომელიც მთიდან ჩნდება. მინუჩერს ეუბნება სამ – ნადიმზე ხარ ვით ბრწყინვალე მზე. „სამ“-ის ერთი ცოლთაგანის პირი იყო შვენებით ვითარცა მზე. მან დაბადა ვაჟი, ლამაზი მზესავით. მისი პირი იყო შვენიერი როგორც მზე. დესტანს ჰქონდა მზის პირი. მეფე მიჰრაბის ასული ლამაზია მზესავით. რუდაბეჰ და სინდოხტ, ორნივე მზენი იყვნენ. რუდაბეჰ არის მზე; ზაალმა დაინახა რუდაბეჰ, შვენიერი მზის პირით; რუდაბეჰ მივიდა მამასთან. ლამაზი ვით მზე, რომელიც ამოდის. მეფე ჰგავდა მზეს. მუჰრაბს გაეხარდა, რომ მისი მოკავშირე იქნება ზაბულისტანის მზე, ზაალი. „სამ“ კითხულობს, როდის ვნახავ რუდაბეჰსო და დედა ამ ასულისა უპასუხებს: რას მომცემ, თუ გსურს ნახვა მზისაო? ზაალი ეუბნება თავის შვილს რუსტემს – ო, ჩემო

სახელოვანო შვილო, რომელი მზესავით ბრწყინავ. მეფე ფეშენგი ბრწყინავდა მზის ელვარებით; მეფე ზევ მსგავსი მზისა. რუსტემი მსგავსი ბრწყინვალე მზისა. თეთრი დევი ბრწყინვალე ვით მზე. რუსტემმა დაბანა თავისი რაში და იგი ბრწყინავდა მზესავით. თეთრი დევი ბრწყინვალე მზის მსგავსია.

შაჰ ნამეს მეორე წიგნი, პარიზი, 1842 წელი.

ჰამავერანის მეფის ასული რუდაბეჰ ჰგავს ბრწყინვალე მზეს. მეფე კეი კაუს ბრწყინავდა მზესავით. როდესაც დიდებულებმა რუსტემი დაინახეს, თქვეს: არის ეს რუსტემი თუ მზე დილისა? მძინარე რუსტემთან შევიდა სამანგის მეფის ასული ტეჰმიმეჰ, დაფარული, პირით მთვარითა, ბრწყინვალე მზესავით, და თხოვა მასთან დაწოლა. ზოჰრაბის ცხენი თავისი ღონითა და სისწრაფით მზესა ჰგავს. მეომარი ასულის, გურდაფერიდის პირი პრწყინავდა ვითარცა მზე. ზოჰრაბ ბრწყინავს მზესავით. რუდაბეშ! შენ ხარ მზე, რომელი მეფის ტახტს ანათებს. მეფე აფრასიაბის ასული ფერენგის მითხოვდება სიავუშს: დილის ვარსკვლავი გახდა მხლებელი მზისა. სიავუში ბრწყინავდა მზესავით. მისი მეუღლე ფერენგის ორი კვირის მთვარესა ჰგავს, რომელიც მზესთან ერთად სდგას. აფრასიაბი არის ძლიერი მზე. სიავუში არის მზე. მისი თავი არის მსგავსი მზისა. ფირანის მეუღლე მზის პირისაა. სიავუშ უფრო ბრწყინვალეა ვიდრე მზის დისკოსი. ფერენგიმ დაბადა მზე: კეი ხოსროვ. კეი ხოსროვ ბრწყინვალეა ვით მზე ხალხთა შორის. მებრძოლნი ბრძოლის ველზე ბრწყინავენ მზესავით. მხედარნი ემსგავსებიან მზეს.

შაჰ ნამეს მესამე წიგნი. პარიზი, 1838.

მეფე კეი ხოსროვ მზის პირისაა. მზე ჰგავს სიყვარულით სავსე შვენიერ ასულს. მეფე სიავუშის პირი ჰგავდა მზეს. ფერიბურზი ბრწყინავდა ვით მზე ვერძში. ხოსროვ არის ბრწყინვალე მზის პირით. მუსიკოსი – ეს მთვარე მზის პირისა. ო. პირო მზისა! აფრასიაბის ასული მენიჯეჰ ანათებს ბაღს ვით მზე. ბიჟანის პირი მზე არის, მე წამართვი ჩემი მზე და ჩემი მთვარე: ბიჟანი ჩემი შვილი. მეფე ხოსროვ სახელოვანო, რომელიც მზის მსგავსად ყველგან ავრცელებ შენს მფლობელობას. მენიჯეჰ – მზის პირითა. ხრმალნი ბრწყინავენ ვით მზე. გუდერძი ეუბნება რეჰჰამს: დაიკავე მარცხენა ფრთა, შენ იბრწყინვებ ვით მზე ნავრუზისა ვერძის ზოდიაკოში. გვირგვინი და სარტყელი მზესავით მოელვარე. გმირი გივი მზის პირითა. სპასპეტი ფერჰადი მსგავსია მზისა. გუდერძი ეუბნება გუსტეჰემს: შენი ვარსკვლავი ბედნიერია! შენ ემსგავსები მზეს, შენა ხარ ლომი.

შაჰ ნამეს მეოთხე წიგნი. მაჰმუდ ვით ლომი, პირით მზისა. იგი ჰგავს მზეს; კეი ხოსროვის ლაშქარი ბზწყინავდა ვით მზე ზოდიაკოში ვერძი. ფეშანგის მამას ერქვა ჩიდეჰ, ანუ ბრწყინვალე, რადგან იგი ბრწყინვალე მზესა ჰგავდა. ფირანის ღაწვნი იყვნენ მზესავით მოელვარენი. სემენგანის თავადნი – ბრწყინვალენი ვით მზე ვერძში. თვალნი პატიოსანნი ბრწყინავდნენ მზესავით. მეფე ხოსროვ მზის პირითაა. მას ჰყავდა ოთხი ქალი, ლამაზი მზესავით. ეს ოთხი ქალი მზის პირითა. კეისარის ასულს შეირთავს

გუშტასპი, მზე ამ ქვეყანაზე. გვირგვინი ბრწყინვალე მზესავით. მეფის შვილნი და მხედარნი ბრწყინავდნენ ვით მზე ზოდიაკო თევზში, გუშტასპი ბრწყინავდა მზესავით. ტახტზე მჯდომარე იგი ბრწყინავდა ვით მზე. სიპეჰდარნი ზერირი და ისფენდარი მზის დარნი არიან. გუშტასპ გაბრწყინდა მზესავით. მეფე არჰასპ, ძლიერო მზეო! კერდუი მიდიოდა ბრწყინვალედ ვით მზე ზოდიაკო ვერძში. ისფანდიარი თავის გალობაში ნატრობს ასულს, რომლის პირი ბრწყინავს მზესავით. სიხარული, ბრწყინვალე ვით მზე და მთვარე. ისფანდიარის პირი ბრწყინავდა მზესავით. მეფეო, არჯასპ, ბრწყინვალევ, რომელი ემსგავსები მზეს. შუბნი ბრწყინვალენი ვით მზე. მწდენი ბრწყინვალენი ვით მზე. არის ეს რუსტემი, თუ ამომავალი მზე?

შაჰ ნამეს მეხუთე წმიგნი. პარიზი, 1877.

აბულ კასიმი: მეფე მზის პირით. მეფე დარა: მზე ჩაესვენა. ინდოეთის მეფის ასული მზეს დააბნელებს თავისი პირით. იგია მზის პირით. თითოეულმა ვარსკვლავმა მას მიანიჭა თავისი სილამაზის ნაწილი. დედოფალი კეიდაფეჰის პირი ბრწყინავდა მზესავით. ისკანდერ არის მზის პირითა. სასანის მეუღლემ დაბადა ვაჟი, არდეშირი, ლამაზი ვით მზე. არდეშირისა და გულნარას ღაწვნი გაფითრებულ იყვნენ ვით ჩამავალი მზე. მე ვითხოვ ქალს ლამაზს მზესავით. ორმუზდის ცოლმა დაბადა ვაჟი, რომელი მზეს ჰგავდა. შაპურ მეფე მსგავსია მზისა. ეს მეფე მზის პირითა. მალიკეჰ გახდება ცოლი შაპურისა: ვენუსი იქმნება მხლებელი მზისა. სახლი გახდება ვით ბრწყინვალე მზე. მეფისწული ბაჰრამ მზის პირითა. მან მოითხოვა ასულნი მზის პირითა. ბაჰრამ გურ, ეს მზე გამარჯვებული. მეფე, რომელიც ქვეყანას ანათებს. ოთხი ასული პირით მზისა. მეწისქვილეს ასულებმა მოიყვანეს ქმარი მეოთხე ციდან. ეს იყო ბაჰრამ, მზე. ო, მეფეო, მზის პირითა! მეფე ბაჰრამ პირით მზე. ბაჰრამ მზის შეხედულებით. ბაჰრამ, ო მეფეო, მზის პირითა!

შაჰ ნამეს მეექსე წიგნი. პარიზი, 1877.

ბაჰრამ – ბრწყინვალე მზე გაზაფხულის ბაღში. ბაღი ვითარცა მზე. მეფე ნუშრივან ბრწყინავდა მზესავით. იგი ვიდოდა ვით მზე ცაში! ქრისტიანმა ქალმა დაბადა ვაჟი ნუშზად, პირით მზისა. ო, მეფეო პირით მზეო! მეფის მოლარე პირით მზისა. ჩინეთის მეფის ასული პირ-მზე. ღაწვნი მზესავით. სული ბრწყინავს ვით მზე. მობედი მზის პირითა; მეფე – პირით მზე, ნუშირვანის პირია მზე. მეფეო, პირით მზეო! მეფე ზის პირითა მზისა მსგავსითა. მეფე და მისი შვილი ბრწყინავენ მზესავით.

შაჰ ნამეს მეშვიდე წიგნი. პარიზი, 1878.

ღვინო თავისი ბრწყინვალებით მზეს აბნელებდა. მთვარის სახე გაბრწყინდა ვითარცა მზე. კეისარი მსგავსი მზისა, რომელიც სამოთხეში ბრწყინავს. გმირი ხარრად უმწიკვლოა ვითარცა ბრწყინვალ მზე, მეფე არის მზის პირით. ო მეფეო! პირითა მზისა! ხოსროვ პარვიზის ღაწვნი ვით მზე. ჩინეთის მეფის ასულს მზე ეთაყვანებოდა. ხოსროვ მეფე იყოს თქვენი

მთვარე და მზე. ხოსროვის ცოლი შირინ, მსგავსი მზისა. ხოსროვ, შენა ხარ უფრო ბრწყინვალე ვიდრე მზე. შენი სახელი დაწერილია მზეზე. ბედი უფრო ბრწყინვალეა ვიდრე მზე. ხოსროვის პირი გახდა ყვითელი ვით მზე. თასი ბრწყინვალე მზესავით. მეფე ხოსროვის ძლიერება კიდევ უფრო გაიზარდა და ის რაც მთავარე იყო, შეიქმნა მზე. ხოსროს სული ბრწყინავდა მზესავით. ხოსროვ ბრწყინავდა როგორც მზე. ასტრონომი ჯამასპი უფრო ბრწყინვალეა ვიდრე მბრუნავი მზე. შავი სული სარდალი გურაზისა გაბრწყინდა მზესავით წერილი ბრწყინვალე ვით მზე. ო, მეფეო იეზდეგირდ, რომლის პირი ბრწყინავს მზესავით. მისი პირი ელვარეა როგორც მზე. ის არის მზე. იგი აბრწყინვებს წისქვილს მზესავით. მეწისქვილეს პირი ყვითელია ვით მზე. დაე, მაჰმედი (შაჰი) იყოს სპარსთათვის ჩირაღდანი და არაბთათვის – მზე.

ასეთი არის მზის პოეტური გამოყენება შაჰ ნამეში და ამ საკითხს მივუბრუნდებით ვეფხისტყაოსანთან შედარების დროს. იხილეთ აქვე: რვეული მეექვსე, კარი მეოთხე, თავი რვა.

ბ). ირანელნი სხვა მწერალნი

რუდეკი (გარდაიცვალა დაახლოებით 954 წ.), განთქმული მგოსანი და შაჰ ნამეს წამომწყები, ერთ თავის ლექსში ამბობს –

არასა ვცნობდი, ჰოი მზეო, სურნელ თმიანო,

ცხოვრება ჩემი წინ ყოველ მხრივ ნათელი იყო 140.

ფახრ უდ დინ გორგანი = ჯორჯანი. მას ეკუთვნის რომანი „ვისისა და რამინის სიყვარული“, დაწერილი ლექსად 1048 წელს. იგი გადათარგმნეს ქართულად მეთერთმეტე საუკუნის დასასრულს, ან მეთორმეტეს დამდეგს, – ყოველ შემთხვევაში იგი, „ვისრამიანი“ ვეფხისტყაოსანზე ადრინდელია. ამ შესანიშნავი ნაწარმოების შესახებ საუბარი მაქვს მეხუთე რვეულში: „ქართული მზე“ რადგან (ქართული გამოთქმით) ფახფურ ჯორჯანელის “ვისისა და რამინის სიყვარული“ უკვე გაქართულებულ იყო („ვისრამიანი“) და ქართული მწერლობის საუნჯეს ეკუთვნოდა.

ფარრუხი, ფირდაუსის თანამედროვე და ღაზნას სასახლეში მყოფი მგოსანი ერთი თავისი ლექსით ამბობს –

ვუთხარ: „მზეო შვენებისა, მაკოცე სამჯერ!“

მითხრა: „მზე ამ ქვეყანაში ბაგეთ არ ეკარება!“

ასულის შვენება აქ მზესთანაა შედარებული. 141.

მუიზზი (გარდაიცვალა 1150 წ.) ასულის ღაწვებს ვარსკვლავთ პლეიადას ადარებს და ამას გარდა ვაჟს უწერს –

მაშ უბოძე მზეს ნათელი შენი... 141, გვ.23.

ანვარი (გარდაიცვალა 1189 წ.) ასულის ღაწვებს სავსე მთვარესა ამსგავსებს და ამასთანავე ამბობს –

თვით ასულია მზე ლამაზთა შორის!

ზარიხ ფარიაბელი აქებს ვაზირს –

შენ ბრწყინავ ვით შუადღის მზე! 141.

ხაყანი (1120 – 1190/9) ცნობილი შირვანელი მგოსანი, თავის თავს ვით მგოსანს აქებს და მედიდურად ამბობს –

ქვეყანაზე არავინ არის ჩემი ტოლი,

ჩემსავით განთქმული მგოსანი არავინაა,

ვისაც სურს ლექსთა თქმა,

ითხოვს ჩემგან ახსნას სიტყვათა.

ატომი ვარ გონებისა, მან აღმზარდა,

მზე ვარ მე, გონებით აღმაღლებული,

მზე ვარ სიტყვითა და მპყრობელი.

მთვარენი სხვანი არიან და მე ვარ ერთი.

სამ საფეხურზე ჩემზე ძირს მდომნი

მოწყალებას ითხოვენ ჩემგან ისინი;

იცოდე, უმზეოდ მკრთალ არის მთვარე;

მზე ნათობს – ბრმავდება იგი.

მე არა ვარ – ემსგავსებიან სხვანი მთვარეს,

მე ვარ აქ – ვერ შემედრებიან მე... 141.

მოსლიჰ ედ დინ სა ადი შირაზელი (1180/84 – 1291) თავის „გულისტან“-ში ამბობს – ღრუბელი, ქარი, მზე, ცა მოქმედებენ,

რათა შენ მოიღო პური შენი და არა სჭამო იგი უმადლობელოდ;

ყველაფერი შენგანაა (ალლაჰ!) მოძრაობაში,

და ყველაფერი შენ გემორჩილება! 142.

რატომ დააქვრე ასანთი იმ წუთში, ოდეს დამინახე?

მეგონა: მზე ამოვიდა! 142. გვ. 273.

***

უეჭველია, „მზე“ გამოყენებულია აგრეთვე სხვა ირანელ მწერალთა მიერაც. ხელთა მაქვს „სპარსული ანთოლოგია“, შედგენილი საფრანგეთის ინსტიტუტის წევრის ანრი მასსე-ს მიერ, სადაც „მზეს“ არა ერთჯერ ვხვდებით.

აზრაყ (მეთერთმეტე საუკუნის სპარსი პოეტი) სელჯუკიანთ ტოღან შაჰზე ამბობს –

მზე დინასტიისა 143.

ანვარი (უკვე ზემოდ დასახელებული) –

როდესაც მოშორდება მისი საბურველი პირს მზეს... 143. გვ. 61

ხაყანი (უკვე ზემოდ დასახელებული) თავისი ვაჟის გარდაცვალების გამო ამბობს – რაღას იქმნს იგი მიწის ქვეშ, იგი რომელი იყო მზე ჩემი? 143. გვ. 64.

მოჰამმად ბენ მონავვარ (მე-12 საუკუნეში), მისტიკოს აბუ საიდის შესახებ ამბობს. იგი იყო: რელიგიის სამყაროს მზე. (იქვე, გვ. 118).

მაჯდ ოდ დინ ჰამგარ (გარდაიცვალა 1287წ.). კაშანის მცხოვრებმა ლექსით მიმართეს მას – ო, შენ, მძიმე ვითარცა მიწა, შენ, რომელიც ნიჭთა ცაში ემსგავსები კარგი ნიშანის მთვარეს ანუ უკეთ, ბრწყინვალე მზეს. (იქვე, გვ. 149).

შამს ოდ დინ მოჰამმად ჰაფიზ (მეთოთხმეტე საუკუნეში) თავის „ღამურ ზმანება“-ში ამბობს: ავი თვალი იყოს შორს შენი სილამაზისაგან, რომელი აჭარბებს მზისა და მთვარის ბრწყინვალებას...

„მისტიურ სიყვარულ“-ში იგი ამბობს – ღვთიური სიყვარული ჩავარდება შენს გულში და შენს სულში, – და შენ გაბრწყინდები – ვიფიცავ! – უფრო მეტად ვიდრე მზე სამყაროში... (იქვე, გვ. 166).

ატტარ (გარდაიცვალა დაახლოებით 1222 წ). ამბობს –

ვეღარ გამოაჩენენ მზეს სიმართლისას.... (იქვე, გვერდი 186).

ჯალალ ოდ დინ რუმი (1207 – 1273) – არა არს რა სხვა გასაოცარი, ვიდრე მზე ამ ქვეყანაზე; ოღონდ მარტო მზე სულისა არის მყარი და დროისაგან დაცული. თუმცა გრძნობად მსოფლიოში მზე არის ერთად ერთი, შეიძლება მაინც წარმოვიდგინოთ მისი მსგავსი შინაგან; და ამ მზეს სულიერს, რომელი უფრო მაღლაა ვიდრე ეთერული სფერო, არა აქვს მსგავსი არც გონებაში და არც ჩვენს გრძნობად მსოფლიოში. ჩვენი ოცნების (წარმოსახვის) ძალას ექნება უნარი აჩვენოს ჩვენს გონებას მზე, რომელიც მას გაუთანასწორდებოდა? (იქვე, გვ. 204).

მოსლიჰ ოდ დინ საადი –

გექნება შენ შვენება მზისა, მთვარისა (იქვე, გვერდი 209).

აბდ ოლლაჰ ბენ ფაზლ ოლლაჰ ვასსაფ სწერს შირაზელი პრინცის აბუ ბაკრ ბენ საადის (1226 – 1260) შესახებ –

ამ ბედნიერ ხანაში, ამ ოჯახის ბედნიერების მზემ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია... მაშინ ათაბაგმა მიმართა მისკენ შუქნი მზისა თავისი ამაგობისა (იქვე, გვ. 242).

აჰმად ღაფფარი (გარდაიცვალა 1266 წ.) –

პირი მისი ნათელი ვითარცა მზე (იქვე. გვ. 289).

მზესთან პოეტური შედარება გრძელდება შემდეგ საუკუნეებში და მას ვხვდებით კიდევ მეცხრამეტე საუკუნეშიც, ოღონდ მაგალითთა მოყვანა აქ ზედმეტად მიმაჩნია.

გ). ნიზამი განჯელი.

ნიზამის ცხოვრების წლები დასაბუთებული არაა, მაგრამ დაახლოებით სწორედ აღნიშნულია. დაიბადა 1141, ან 45 წელს, გარდაიცვალა 1203/11 წელს.

ნიზამის პოემაში „ხოსროვ და შირინ“ მზე შედარებულია ვარდთან. მზე არის ოქრო, ოქროს ვარდი; მზე არის საცეცხლური, რომელში ალვა იწვის. სხვაგან კიდევ მზე არის წითელი ცხენი, ოქროს კოშკი, წითელი წყარო, ლალი, ნარინჯი; მზე არის ჩინეთის იმპერატორსავით ბრწყინვალე და სხვა.

ნიზამის პოემაში „ხოსროვ და შირინ“, ხოსროვ მზესთან თანასწორია, ასე შუქთა მფრქვევია იგი. 145.

ხოსროვ არის ნათელი, რომელი ქვეყანას ანათებს. შირინი მივიდა ბანისთან და მას ეუბნება: მე – მზესთან, მე – დიდებასთან მოველ! შეხედეთ, ნათქვამია ასული შირინის შესახებ – იგი უნათლესია ვიდრე მზე! მზე არის მზე არსებისა! სათავე სიცოცხლის წყაროთა. ხოსროვ სჭვრეტს ვით მზე მთვარეს. როდესაც იგი ტახტზე ავიდა, მისი დიდება იყო – ნათელი მდინარე; მეორე მზის ნათელი მიიღო აღმოსავლეთმა. ხოსროვს უიმედოდ უყვარს შირინი და მას ურჩევენ – იყავ მხიარულ! შენ, მზე!

ასულისა და ვაჟის სილამაზის დასახატავად პოემაში „ხოსროვ და შირინ“ გამოყენებულია უმთავრესად მთვარე. მზე მხოლოდ რამოდენჯერაა დასახელებული ამ მიზნით.

ნიზამის პოემაში: „ლეილა და მეჯნუნი“ ლეილა მეჯნუნისათვის ერთსა და იმავე დროს არის მთვარე და მზეც. ლეილას სილამაზე დახატულია უმთავრესად მთვარის სილამაზით.

ნიზამის „შვიდთა ლამაზთა ასულთა“ შესახებ პოემაში („ბარამ გურიან“) მაღარაჯას ასული ფურაკ არის სახით უფრო ლამაზი, ვიდრე მზე და მთვარე. მაღრიბის მფლობელის ასულის აზერუნის პირი არის დილის მზე; ხშირად მთვარეა გამოყენებული, და თუ მზე არის ნახსენები, იგი მაინც მთვარეა: – მზის პირიანი გამოჩნდა მათ შორის მთვარე. და მე ვუპასუხე: ო, მზეო ბაღისა ჩემისა... სინათლევ თვალთა ჩემთა. შაჰის ასული რუმიელის ზღაპარში: – იგი ხომ მზეა, ხოლო ასული ვაზირისა მის წინაშე არის – მთვარე. ამ პოემაშიც მთვარესთან შედარებაც უთრო ხშირია, ვიდრე მზესთან.

ნიზამის პოემაში „ესკენდერ ნამე“, რომელი ალექსანდრე მაკედონელის შესახებ ამბებსა და ზღაპრებს მოგვითხრობს, სპარსეთის მეფე დარიუსი,

უკანასკნელი ახაემენიდესი, რომელიც ალექსანდრემ დაამაცხა, თავის თავზე ამბობს: – ჩემი მზიური პირი გაყვითლდა, დასჭკნა ნახევარ დღეში. მისი ასულია როვშენეკ, ანუ ნათელი ბრწყინვალე. იგი გაათბე შენი ალერსით ალექსანდრე! მზე ხომ ნათელს უნდა შეესაბამებოდეს! ადარბაგანის მეფე ქალი ნუშაბე არის პირით მთვარე და მისი მოახლენი ბრწყინავენ ვით მზე დღიური და მთვარე ღამური. ალექსანდრეს ერთი ბრძენი ეუბნება: – ო, მეფეო, რომელი ვით მზე მსოფლიოთ მიხვალ და სხვა. აქვე მზეს ეწოდება „მზე – წყარო“, რომელი მთელი დღე ხმაურობს. და ამის გამო პროფ. ბარტელსი შენიშნავს: „აღმოსავლეთის პოეზიაში მზეს ჩვეულებრივ ეწოდება წყარო ნათელისა“, „ნაკადული ნათელისა“-ო. 144. შენიშვნა 188.

2. მზე არაბულ პოეზიაში

წინარ ისლამური არაბი მგოსანი ტარაფა, რომელიც „მოალლაყატ“ ჯგუფს ეკუთვნის, თავის მეგობართა შესახებ ამბობს –

ჩემთა ლხინთა თანამყოლნი არიან კეთილშობილნი ყმაწვილნი, რომელთა თეთრი პირნი ვით ვარსკვლავნი ბრწყინავენ. 146.

ალ აიტალ, არაბული ქრისტიანული ტომის „ტაგლაბ“-ის წევრი, ცნობილი მგოსანია, რომელიც 710 წელს გარდაიცვალა. ხალიფა აბდულ-მალიკმა, რომელიც მის პოეტობას დიდად აფასებდა, მას წინადადება მისცა ისლამი აღეარებინა, რაზედაც მგოსანმა ლექსით უპასუხა –

არასოდეს არ ვიყროყინაბ ვით ვირი! კურთხეულ იყოს სიტყვა! სამაგიეროდ განვაგრძობ ვსვა კურთხეული სასმელი და თაყვანი ვცე ამომავალ მზეს!

/ვირის ყროყინი აქ არის მოლას (მუაზზინის) ძახილი, რომელიც მლოცველთ მოუწოდებს ხოლმე; სასმელი – ღვინო, რომელიც ისლამით აკრძალულია: როგორც სჩანს, არაბულ ქრისტიანულ ტომში, მეშვიდე საუკუნეში, კიდევ არსებობდა მზის თაყვანება/. 147. გვერდი 517.

ფადლ, არაბი მგოსანი ქალი (მეცხრე საუკუნე) სიყვარულის მგოსანია და სატრფო მგოსან **იდი**-სა, რომელმაც მგოსან ქალს ეს ლექსი მიუძღვნა –

შენა ხარ ვითარცა მზე, რომელი ანათებს ქვეყანას, ოღონდ შეუძლებელია მას მიაღწიო! 147. გვ. 526.

ომან ბენ ფარეთ (1199 – 1254) სუფისტი, სიყვარულისა და ღვინის მგალობელი, ამბობს ერთ ლექსში –

თასი ბრწყინვალე, ვით ვარსკვლავნი ღამისა შეიცავს ღვინოს, რომელი, მზე მოზიმზიმე, მოაქვს ყმაწვილ მწდეს, ლამაზს ვით ნამგალა მთვარეს. 148.

ათასერთი ღამე არის ახლო აღმოსავლეთის ზღაპართა და ამბავთა კრებული. მისი წარმოშობის თარიღი განისაზღვრება მეათედან მეთექვსმეტე საუკუნემდე ესე იგი, ამ ხანის განმავლობაში ზღაპარი ზღაპარს ემატებოდა, ამბავი ამბავს ერთვოდა და შეიქმნა ათასერთი ღამის

ზღაპაორი. იგი დაწერილია არაბულ ენაზე და ყველა ენაზეა გადათარგმნილი.

კუნძულთა ყმაწვილი მეფის ამბავში სულთანის ასულს ეუბნება – ჩემო მზეო, ჩემო სიცოცხლე. 149.

აბულჰასანის ზღაპარში ნათქვამია –

იგი ასული უფრო ლამაზია ვიდრე მზე!

მონადიმენი გალობენ – სავსე მთვარე ამოდის თავისი ბრწყინვალებით და მალე ვნახავთ მოახლოებულ მზეს... ეს მოახლოებული მზე არის შემსელნიჰარ, სახელი ასულისა, რაც ნიშნავს: დღის მზე. სპარსელ პრინც უყვარს იგი და იგი ასული წავიდა ისეთი დიდებულებით, რომელიც წარმოადგენდა მზის სვლას ღრუბელთა შორის რომელნიც მისგან ბრწყინვალებას ღებულობენ...

როგორც ვხედავთ, ზღაპრებშიაც სილამაზის დასახატავად მზესა და მთვარესთან შედარებას მიმართავენ.

ჩემს ხელთ რაც კი ნიმუშები მქონდა არაბული მწერლობიდან მზე იქ ხშირად არ იხსენება. სამაგიეროდ არაბულ–ესპანურ პოეზიაში მზეს დიდი პატივი ენიჭება პოეტური თვალსაზრისით.

3. მზე ესპანურ–არაბულ პოეზიაში

აბდ არ რაჰმან მეორე (822 – 852), კორდოვას სამეფოს (ესპანეთში) არაბმა მეფემ თავისი სასახლე პოეტთა სასტუმროდ გარდააქცია. იქ გაიფურჩქნა ესპანურ–არაბული პოეზია, რომელმა პროვანსალურ პოეზიაზე და აქედან მთელ ევროპიულ მწერლობაზე დიდი გავლენა მოახდინა. თვით ეს მეფე მგოსანი იყო და როდესაც მან თავის სატრფოს დიდი საჩუქარი მიუძღვნა, ერთმა მისმა ვაზირმა ასეთ მფლანგველობას წინააღმდეგობა გაუწია. მაგრამ სასახლის მგოსანმა **აბდალლა იბნ აშ შამრმა** მეფე თავისი ლექსით დაიცვა –

შეგიძლია შეადარო ჰიაცინტის ქვა და პატარა მარგალიტები მას, რომლის ბრწყინვალება სჭარბობს მზისას და მთვარისას? 150.

ალ ღაზალი (772 – 864) ერთ ნორმან დედოფალს უწერს –

მას აქვს შვენება მზისა...

ვარსკვლავი შვენებისა ამოდის შენი სამოსელიდან...

იბნ აბდ რაბბიჰი (860 – 940) ერთ თავის ლექსში ასულის შესახებ ამბობს –

მე მირჩევნია აღარ ვიხილო მზე და მთვარე, რადგან შემიძლია გიხილო შენ რომელიც ხარ ორივე: მზეც და მთვარეც.

იბნ დარრაჯ (900 – 1030) ერთი მეფის შესახებ ამბობს –

ტამიმ და იარუბის ტომთაგან მან დაიმკვიდრა მთვარე დიდებაში. იქვე, 150.

ანდალუზიის მეფე ალ მუ ტადიდ ბი ლლაჰის (1016 – 1069) სასახლის მგოსანი

იბნ ალ მილჰ, ამ მეფეს ქებას უწერს –

იგი ბრწყინავს მარად მზის დარად (იქვე).

ბრწყინვალება, რომელიც ჰგავს მზეს და სავსე.

იბნ ჰაზმ ფილოსოფოსი მწერალი იყო და მას ეკუთვნის მოძღვრება სიყვარულის შესახებ – „თავყ“, დაწერილი დაახლოებით 1024 წელს, რომელში იგი სხვათაშორის ამბობს –

მე ვამბობ წმიდა, თეთრ ასულზე, რომელი ამომავალ მზესა ჰგავს,

დანარჩენნი ქალნი – მხოლოდ ვარსკვლავნი არიან. (იქვე, გვ. 96).

იბნ ზაიდუნ (1003 – 1071) ამბობს ერთ ასულზე –

ოჰ, შენ სურნელოვანო მუშკო! შენ, შუადღის მზეო! (იქვე გვ. 112).

ალ მუტამიდ ალა ლლაჰი (1040 – 1070), ანდალუზიის მეფე, მერმე ტახტ დაკარგული და ტყვეობაში მყოფი (გარდაიცვალა 1095 წ.), ბაბუასავით და მამასავით მგომანი, ქალს ასე უმღერის –

მთვარე არის იგი, რომელი თვალს მიეფარა, იგი დასადგურდა ჩემი გულის სიღრმეში... რა საკვირველია იხილო იგი – მანათობელი მზე შუადღისას (იქვე, გვ. 142).

იბნ სამმარ აბუ ბაკრ (1031 – 1084) ალ მუტამიდისადმი მიძღვნილ ლექსში მღერის –

მისი ბრწყინვალება სჭარბობს სავსე მთვარის შუქთ, პირი მისი შეარცხვენს მთვარის ცას...

ხშირია ესპანურ–არაბულ პოეზიაშმი სიყვარულის ლექსები, ვაჟებისადმი მიძღვნილი. რასაკვირველია მგოსნები ამ შემთხვევაში ვაჟთა სილამაზესაც აღწერენ და ამისათვის სხვა და სხვა შედარებას მიმართავენ. არის შედარება მზესთანაც.

იბნ ზუჰრ (1110 – 1198) ვაჟისადმი მიძღვნილ ერთ ლექსში ამბობს –

ო, ალი, რომელი ხარ ჩემი თვალის სინათლე! მოდი, მოგელი შენ, ჩემო იმედო!

რა ხშირად გიგალობ შენ, ოდეს გამოჩნდები – მზე მოვიდა, რადგან ფრთა ღამისა გაიშალა – სალამი მზეს, თუმცა ჯერ დილა არ დამდგარა! 150. გვ.251.

აბულ ჰასან ლევი იყო ებრაელი, დაბადებული ტოლლედოში (ესპანეთი) და სარწმუნოებით მაჰმადიანი. იგია მეთორმეტე საუკუნის მგოსანი და მას ეკუთვნის პოემა „ა ლა კრეასიონ“ – შესაქმე, დაბადება, რომელში ვარსკვლავი არიან აღწერილნი. ამ პოემაში იგი ამტკიცებს, რომ ვარსკვლავნი კაცთა ბედს განაგებენო. ესპანურ ენციკლოპედიაში მის

შესახებ ნათქვამია – იგი ყველაზე დიდი ლირიკოსი პოეტი იყო დანტეს წინამორბედთა შორისო. 136.

***

ამგვარად, მზისა და მთვარის გამოყენება ესპანურ–არაბულ პოეზიაშიც საკმაოდ მნიშვნელოვანია და გავრცელებული, როგორც პოეტური ხერხი სილამაზის დასახატავად.

4. მზე ესპანურ–ებრაულ მწერლობაში

1. მოსე ბენ იაკობ იბნ ესრა

ესპანელი ებრაელი მგოსანი ბენ იაკობ იბნ ესრა (მეთორმეტე საუკუნე) ერთ თავის მცირე ლექსში სამყაროს აღწერს ღმერთისადმი მიმართვის შემდეგ –

(ღმერთო!) შენი ჭვრეტისათვის მაღვიძებს გონება ჩემი.

სულის თვალი მიმითითებს შენს საკვირველებაზე.

იგი მიკარნახებს გამოვაცხადო ძლიერება შენი,

ოდეს ვხედავ ცას, შენთა ხელთა ქმნილებას.

5. ცა ტრიალებს თანაბარ წრეში მარტო, ასრულებს სრბოლას თავისი პოლიუსის ხელზე და უხმოდ გვაცნობებს შენს ქება-დიდებას.

შუა მიწას უჭირავს მტკიცე ადგილი,

იგი ჩამოკიდებულია შენი კეთილი ხელით.

10. ბრწყინავს სიდიადით მზე, ანათებს ელვარედ,

მთვარეს მიუძღვნის თავისი თავის ნათელი წყაროს.

გადაჭიმული კარავი – ცის სფერო –

აყვავებული ბაღი მაისში – ვარსკვლავთა გუნდნი,

რომელნი სიბრძნეს შენსას ამტკიცებენ... 135.

2. სალომო ბენ იეჰუდა გაბიროლ

გაბიროლის (1035 – 1046) ლექსი ცათა შესახებ დავბეჭდე ჩემს წიგნში: „ვტნის ვარსკვლავთ მეტყველება“. სანტიაგო 1957 წ. გვერდი 101 – 104.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

რვეული მეოთხე

მზე პოლიტიკაში და ხელოვნებაში

კარი პირველი

მზე პოლიტიკაში

1. მეფე – მზის შვილი
2. მეფის მზიურობა

1. მეფე მზის შვილი

ეს შეხედულება, რომ მეფე არის მზის შვილი, ანუ მზის წარმომადგენელია, ბაბილონ ქალდეანთაგან მოდის, ოღონდ იგი განსაკუთრებით განმტკიცდა რომში, სადაც, – როგორც ამბობს აკადემიკოსი ფრანს კიუმონ, – იმპერატორი არის „ხატი და წარმომადგენელი მზისა ამ ქვეყანაზე, და უმთავრესად ასტროლოგიური სწავლის მიხედვით, ღმერთი ცისა მზის საშუალებით თავის მოქმედებას აქ, ქვემოდ აღასრუებს“-ო. 152.

ამ საკითხის შესახებ ფრანს ტიუმონი თავის შესანიშნავ გამოკვლევაში მითრას რელიგიის შესახებ სწერდა –

მზე იძლევა სითბოს და ამითი იგი უუმაღლესი ქველმოქმედების წყარო არის; მზეს მსოფლიოს სისტემაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია; ორივე ეს მოვლენა ადამიანში მზისადმი მადლობის გრძნობას იწვევდა, – და აქედანაა წარმოშობილი მზის თაყვანება ანუ, ჰელიოლატრია.

როგორც კი ადამიანის გონებამ ძველ წმიდა გარდმოცემათა გარჩევა დაიწყო და ხალხის ღმერთთა შორის ბუნების ძალთა გამოსახულება შეამჩნია, ამით მაშინვე მზეს პირველი ადგილი დაეთმო, რადგან დედამიწის სიცოცხლე მზისაგან არის დამოკიდებულიო.

სანამ რელიგია იმ დონეს მიაღწევდა, როდესაც მას შეეძლო ეთქვა, ღმერთი უნდა მოთავსდეს იდიალურში და თვითმყოფადშიო (აბსოლუტ), ესე იგი, მსოფლიოს გარეშემო, მანამ ერთად ერთი გონივრული და მეცნიერული იყო – ე. რენანის თქმით, – მზის კულტიო (ლეტრ ა ბერტელო).

ფილოსოფოსთ: პლატონისა და არისტოტელესის დროიდან ბერძნულ ფილოსოფიას ცის სხეულნი სულიერ და ღვთიურ არსებად მიაჩნდათ. სტოელთა ფილოსოფიამ ეს რწმენა გაამაგრა და გაავრცელა. ნეოპლატონიზმმა და ნეოპითაგორეიზმმა ნათელის შესახებ მოძღვრება იქადაგა – ნათელი გამოცხადებული იქნა ღმერთის მარად ხატად.

მაგრამ მნათობთა თაყვანება მარტო ბერძენთა ფილოსოფიური სპეკულაციით არ იყო გამოწვეულიო, – ამბობს ფ. კიუმონ, – იგი განსაკუთრებით თეოლოგიას ემყარებოდა, რომლის წამომწყებნი ასტრონომოსნი იყვნენ და რომელთაც „ქალდეველთ“ უწოდებდნენო.

ქალდეველთა ასტრონომიული მხედველობის თანახმად, მზე, რომელს მნათობთა შორის მეოთხე ადგილი უკავია და მათ შუა ვითარცა მეფე სდგას, გარშემო მხლებლებით შემორტყმული, არის მეფე-მზე (ბასილიუს ჰელიუს), რომელიც მნათობთა სვლას განსაზღვრავს.

მზე – მხურვალე ბურთი, რომელიც აღჭურვილია მიმზიდველი და უკუმქცევი ძალით, დანარჩენ მნათობთ გზას უჩვენებს და მათ ხელმძღვანელობს, როგორც ეს ვეფხისტყაოსანშია შესანიშნავად გამოთქმული –

სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული (33).

მზე არის გული მსოფლიოსი, რომელი თავისი სითბოთი უზარმაზარ ორგანზმს აცოცხლებს. აქედან დასკვნაა: მზე არის ღმერთი მთელი მსოფლიოსი.

და ვინაიდან ასტროლოგოსთა თვალსაზრისით ყველა ფიზიკური და ზნეობრივი მოვლენა მნათობთა მოძრაობაზეა დამოკიდებული, ამიტომ გასაგებია, რომ მზე, სხვა მნათობთა მთელი მსვლელობის გამგე, მნათობთა დასის მაცოცხლებელი, იქმნებოდა აგრეთვე მეუფე ბედისა და ბატონი მთელი ბუნებისა.

მაგრამ ეს მოწესრიგებული და დაწყობილი მსოფლიო არ შეიძლება რომელიმე ბრმა და შეუგნებელი ძალის მმართველობაში იყოს. იგი გონიერი უნდა იყოს. ამიტომ ვითარცა შეგნებული ნათელი, გონიერი ნათელი, მზე უნდა ყოფილიყო მმართველი მსოფლიო გონება, და აქედან დასკვნაც: აგრეთვე ადამიანის გონების შემქმნელი. ისე როგორც მზე იზიდავს თავისაკენ და უკუაქცევს თავისაგან მნათობებს, სჯეროდათ მაშინ, რომ მზე აგზავნიდა აგრეთვე სულს ბავშვის დაბადების წამში, რომელიც მას ასულდგმულებდა, და ეს სული მას, გვამს სტოვებდა სიკვდილის შემდეგ, რათა იგი თავის წიაღს, მზეს დაბრუნბოდა.

***

მზის თაყვანება სავსებით ეთანხმებოდა პოლიტიკურ ვითარებას რომის იმპერიაში, სადაც მზის: დაუმარცხებელი მზის თაყვანება იმპერატორის თაყვანებასთან იყო გადაკავშირებული.

იმპერატორულმა პოლიტიკამ სახელმწიფო რელიგიაში მზეს პირველი ადგილი მიანიჭა, იმ მზეს, რომლის გამოვლინება, რომლის შვილი თვით იმპერატორი, კეისარი იყო. როგორც მზე იყო მნათობთა შორის მეფე, ასევე იმპერატორი უნდა ყოფილიყო მეფე ხალხთა შორის. რელიგია და პოლიტიკა ერთად ცდილობდნენ მზე ერთად ერთ, მხოლოო ღმერთად განემტკიცებინათ, და თუ ეს მიუღწეველი იყო, მზე ერთი უზენაესი ღმერთის ხილულ ხატად მაინც დაემტკიცებინათ. ისე როგორც მზე არის ერთი ცაში, ამგვარათვე ერთია მმართველი მეფე დედამიწაზე.

ეს იყო მონოთეიზმი, ანუ ერთ ღმერთიანობა, და ამის მისაღწევად მითრაიზმში ყველა სხვა და სხვა ღმერთს, მეოთხე საუკუნის შემდეგ, თავს უყრიდნენ და ერთი მთლიანი რელიგიის შექმნას ცდილობდნენ, რომელიც რომის იმპერიის წესწყობილებას სავსებით შეეფერებოდა. 153. ოღონდ ეს ცდა დამარცხდა ქრისტიანობასთან ბრძოლაში და თვით ქრისტიანობამ აღიარა მეფის უმაღლესობის მნიშვნელობა.

სხვა ადგილზე მოკლედ მაქვს აღნიშნული მეფის მზიური და პოლიტიკური წარმოშობის ამბავი (იხილეთ ჩემი „ვტნის საზოგადოებათმეტყველება“, თავი „მეფე“). ისტორიის პირველი ხანიდანვე მზე ღმერთის წარმომადგენელი არის მეფე. ლაგაშის მეფემ, ენნეატუნმა თავისი თავი ციური ღმერთის ტამმუზის წარმომადგენლად გამოაცხადა. როდესაც მესოპოტამიაში მზე პირველ ღმერთად იყო აღიარებული, მეფეც ამ მზე ღმერთის ხატად იქმნა ცნობილი; სამეფო ცერემონიალი არის რელიგიური წირვა. ასე იყო ბაბილონში. ამგვარადვე იყო ირანში და ეგვიპტეში. მზის თაყვანება და მეფის თაყვანება პარალელურად ვითარდებოდაო, – ამბობს ოტკდორ. 154.

***

ძველი ინდოეთის მწერლობაც გვაძლევს ცნობას იმის შესახებ, რომ მეფე არის მზისა და მთვარის წარმომადგენელი ამ ქვეყანაზე.

„პურანა“ („ძველნი“) სარწმუნოებრივი ხასიათის კრებულია მეოთხე–მეხუთე საუკუნედან. პურანას დიდი ნაწილი ძველი ინდოეთის ძველ სამეფოთა გვართა სიებს შეიცავს. ამ სამეფოთა გვართა პირველადი წარმოშობა მზე–ღმერთთან და მთვარე ღმერთთან არის დაკავშირებული. მეფენი აქ ღმერთთა წარმომადგეგნელნი არიან ჩვენს ქვეყანაზე.

***

ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრეებმა აღმოსავლეთის, კერძოდ ირანის მეფეთაგან შეითვისეს ხელისუფლების პოლიტიკური და რელიგიური ცნება, ცერემონიალი და თაყვანება, ფარდის უკანიდან მეფის გამოჩენა, სამეფოს საჯდომის ამაღლება, სიმბოლონი და მზის თაყვანების წესები.

2. მეფის მზიურობა

ბიზანტიისა და რომის იმპერატორებმა ამ აღმოსავლურ სამეფო წესებს მტკიცედ მიჰბაძეს. აუგუსტუსმა თავისი მამობილი ღვთიურად გამოაცხადა და მას პალატინზე (რომში) მზის ტაძარი აუგო. ნერონმა თავისი „მოოქრული სასახლე“ მზის ტაძარად გადააქცია; მას ზედ დააშენა გუმბათი, რომელიც თავისი ბრწყინვალე გვირგვინით მზესავით ტრიალებდა მთელი დღის განმავლობაში. ფლავიანებმა ეს „მოოქრული სასახლე“ დაანგრიეს, მაგრამ ააშენეს კოლისეუმი, რომელიც ამგვარათვე, შეიძლება, მზის ხატი იყო. იმპერატორმა კონსტანტინემ თავისი საკუთარი ძეგლი დაადგმევინა ჰელიოს–მზის სახით... და სხვა.

მზის თაყვანების წესნი, ბაბილონიდან და ეგვიპტედან გავრცელებულნი, სპარსეთის სასახლეში დამკვიდრებულნი, რომის და ბიზანტიის იმპერიაში განმტკიცებულნი, ქრისტიანობაში და ისლამში შეთვისებულ იქმნენ და ასე დარჩა დღემდე. უზენაეს ხელისუფალს, ხელმწიფეს, მეფეს თაყვანება ეკუთვნის.

ისლამის ერთი დიდი ფილოსოფოსთაგანი ალ ღაზზალი (1059 – 1111) თავის ფილოსოფიურ ნარკვევში სხვათა შორის „სულთანის“ შესახებ სწერს –

მზე არის სულთანი, რადგან მზესა და სულთანს შორის არსებობს იდეალური მსგავსება, რაც არის: – მათი ამაღლება მასსათა ზემოდ და აგრეთვე მათ მიერ სიკეთისა და ნათელის განაწილება ადამიანთა შორის. მთვარე არის ვაზირი, რადგან მზე ავრცელებს თავის მიწაზე მთვარის საშუალებით, როცა იგი მზე თვითონ აღარა სჩანს, ისე როგორც სულთანი თავის სიკეთეს ავრცელებს მათზე, რომელნიც მისგან შორს იმყოფებიან, ვაზირის საშუალებითო. 154ა.

შეხედულება მეფის მზიურობის შესახებ ერთ ჯერ კიდევ გამოცოცხლდა საფრანგეთში, სადაც ლუი მეთოთხმეტეს ეწოდა „მეფე მზე“ – „რუა სოლეი“ 154. თავი 3 და 4.

ამ მიმოხილვის შემდეგ, განა გასაკვირია, რომ ქართველნი მეფენი, და კერძოდ, თამარ მეფე მზედ ყოფილიყო გამოცხადებული? განა გასაკვირია შაჰნამეში და ვეფხისტყაოსანში მეფეს და მეფის წულს მზე ეწოდბოდეს?

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მეორე

მზე ხელოვნებაში

1. მზე ხუროთმოძღვრებაში

2. მზე მხატვრობაში

3. მზე ძერწვა – ქანდაკებაში

4. მზე მუსიკაში

დასკვნა

1. მზე ხუროთმოძღვრებაში

უკვე ძველი დროიდან სივრცე გაყოფილი იყო ოთხ ფრთედად (ფრთე ეწოდების ოთხთა კერძთა=მხარეთა ქვეყნისათა. ს. ს. ორბ.) – აღმოსავლეთი (მზის ამოსვლის მხარე); სამხრეთი (მზის მგზავრობის მხარე); დასავლეთი მზის ჩასვლის მხარე და ჩრდილოეთი, სადაც მუდმივი ჩრდილია, სადაც მზე არასოდეს არ ჩნდება. აი, ეს ოთხი მთავარი წერტილი მზის სრბოლის მიმართულებისა: 1) მზის ამოსვლის, ანუ დაბადების წერტილი, 2) მზის ჩასვლის, ანუ სიკვდილის წერტილი, 3) მზის ამაღლების წერტილი და 4) ჩრდილოეთის წერტი იყო ტაძართა, სასახლეთა, სახლთა, ქალაქთა აშენების მიმართულების მხარეც.

ტაძარის, სასახლის, თუ ქალაქის ერთი კუთხე მზის ამოსვლის წერტილისაკენ იყო მიმართული.

არამც თუ თვითონ ბაბილონში, არამედ მისი გავლენით, მესამე ათასეულ წლებში ქრისტეს წინ, ინდოეთში, ქალაქ მოჰენჯო დაროს ქუჩებიც კი აღმოსავლეთისაკენ იყო მიმართული.

ეგვიპტეში პირამიდები, აკლდამები, სასახლენი მეოთხე დინასტიის მეფეთა (ქრისტეს წინ მესამე ათასეულ წლებში) იყვნენ ოთხკუთხნი, მთავარი კუთხით მზის ამოსვლის წერტილისაკენ აშენებულნი.

ბაბილონში „ბელ“-ის დიდი ტაძარი მნათობთადმი მიძღვნილი, რომელს ბელის სამარეს, ანუ პირამიდას უწოდებენ, და იყო ასარჰადდონის უწინარესი (მეშვიდე საუკუნე ქრისტემდე) და რომლის მწვერვალიდან ქალდეანნი მეცნიერნი ვარსკვლავთა მოძრაობას უთვალთვალებდნენ, იყო ოთხკუთხი შენობა ოთხთა წერტილთა მიმართულებით აგებული; აგრეთვე ნაბუხოდონოსორის სასახლეც.

ინდოჩინეთში, ანგკორის განთქმული ტაძარი (აგებული მეცხრე–მეთორმეტე საუკუნეში) არის ოთხკუთხი და მიმართული ოთხი წერტილისაკენ ისე, ვით ბაბილონში ბელის ტაძარი.

უმთავრესი ტაძარი ანგკორ თომისა თავის ზემო ნაწილში შეიცავს ოთხკუთხედ კოშკს, რომელიც შედგენილია ბუდთას ოთხი თავისაგან, რომელთაგან ერთი მიმართულია აღმოსავლეთისაკენ, მეორე – დასავლეთისაკენ, მესამე – სამხრეთით და მეოთხე ჩრდილოეთის მხარესაკენ. ამდაგვარადვე ხატთა დამწერლობაში (იკონოგრაფიაში).

ჩინეთის იმპერატორთა სასახლენი ისე ვით მათნი სატახტო ქალაქნი, გაშენებულნი არიან აღმოსავლეთის წერტის მიმართულებით. რადგან წელიწადის არენი (დრონი) მზის ოთხ წერტს შეეფარდებიან, ჩინეთის იმპერატორი ძველს დროში ცხოვრობდა და გაზაფხულზე სასახლის იმ ნაწილში, რომელიც აღმოსავლეთის იმ ნაწილზე იყო აგებული; ზაფხულში – სასახლის შუა ნაწილში: შემოდგომაზე – სასახლის დასავლეთ ნაწილში და ზამთრობით კი – სასახლის ჩრდილო ნაწილშიო. – გვასწავლის ფრანგი აკადემიკოსი რ. ბერტელო. 34. გვ. 57 – 9.

ძველს ირანში, ტაძარი, სადაც მარად ცეცხლი ერთო, ანუ დარი მიჰრ=კარი მითრასი, და საკურთხეველი აღმოსავლეთისაკენ იყო მიმართულიო, – ამბობს ანრი.

ქრისტიანული ეკლესია და საკურთხეველი და აგრეთვე სასაფლაოც აღმოსავლეთითაა მიმართული და ლოცვაც, რასაკვირველია, აღმოსავლეთის გეზით სრულდება... და სხვა.

თვალის ამ გადავლებითაც ცხადია თუ მზეს არქიტექტურაში რა მნიშვნელობა ჰქონდა.

2. მზე მხატვრობაში

მზე მხატვრობაში და ქანდაკებაში ძალიან ხშირადაა გამოყენებული ან მარტოდ ან მთავარესთან ერთად ან სხვა მნათობთა შორის.

ძველს ქვეყნებში მზე და მთვარე დასმული იყვნენ ცხენებ გაბმულ ეტლზე, რომელიც ცაზე გადაჰქროდა. მზის ეტლში შებმული იყო ოთხი ცხენი, ხოლო მთვარის ეტლში – 2.

მზეს ხატავდნენ, ან აქანდაკებდნენ შუქთა გვირგვინზე, ჟინჟღილით ხელში, ან დისკოსის სახით. მზე წარმოდგენილი იყო ლამაზი ვაჟის პირით, ან მარტო თავით, ან მკერდიანად, ან მათემატიკურად: დისკოსით. ხშირად მზის თავს აფრქვევია მრავალი შუქი, ან კიდევ: ცხრა შუქი (ცხრათვალა მზე!).

უკვე ბაბილონელნი, ქალდეველნი შვიდ მნათობს ან ხატავდნენ, ან აქანდაკებდნენ და ძველ ქვეყნებს ახალი ამ მხრივ აღარაფერი არ შეუქმნიათ, ანუ როგორც ამბობს პროფ. ზაკსლ: კლასიკური ძველეთის ქვეყნებს მნათობთა წარმოდგენაში განსაკუთრებულნი სახენი არ შეუქმნიათო. 155.

მაზდეიზმში აჰურა მაზდას სიმბოლო არის ფრთოსანი მზიური დისკოსი (იხ. აქვე, გვ. 17).

ეგვიპტეში მზეს დისკოსად ხატავდნენ და მას სხვა და სხვა სიმბოლიური ნიშანით ამკობდნენ მზის განგებისა და ზრუნვის გამოსაჩვენებელად. მაგალითად, რათა აღვნიშნათ მზის მზრუნველობა ცხოველთათვის (კაცთა და პირუტყვთათვის) საკვების გასაჩენად, მზის სიმბოლოს რკალს შემოყოლებული ჰქონდა ყველაზე ნაყოფიერი მცენარე. გამოსახული ორი წერტილი ალისა იმას ნიშნავდა, რომ მზე, არის სიცოცხლის შემომქმედი; მზის დისკოზე ჩამოკიდებული ორი გველი ჯანმრთელობის დაცვის ნიშანი იყო.

ელ ტელლის გამოქვაბულში და ჯებელ ტამაში და კარნაკის ტაძარში (ეგვიპტე) მოიპოვება უუძველესი გამოხატულება მზისა, რომელის სახეა რკალი, საიდანაც მრავალი შუქი იფრქვევა, თითოული დასრულებული ადამიანის ხელით და გაშლილი თითებით. და სხვა.

როგორც უკვე აღვნიშნე (ვტნის ვარსკვლავთ მეტყველება. სანტიაგო დე ჩილე, 1957 წ. გვ. 230), ეგვიპტელნი ტაძარზე აკეთებდნენ ფრთიან გლობუსს, ანუ მზის დისკოსს, რომელსაც არწივის ორი დიდი ფრთა ჰქონდა შემოკრული. მეთორმეტე დინასტიის ხანაში არწივის ფრთები ჩამოშვებულია დისკოს ორივე მხარეზე. ეგვიპტეში არწივი მზესთან იყო გაიგივებული და მზე გამოხატული იყო არწივის სახით. დისკოსი იყო (მრგვალი დაფა), მზის სიმბოლო, არწივი კი მზის შეუწყვეტელ ფრენას წარმოადგენდა. მეთორმეტე დინასტიიდან ამას დაემატა მესამეც: „ურაეუს“ და ამგვარად შეიქმნა მზის სიმბოლიური სამება.

***

ძველი ბერძნები მზეს ხატავდნენ აპოლლონ-ფოებუსის სახით: შვენიერი ყმაწვილი, ალის ფერი ხუჭუჭი თმით, ეტლზე მჯდომარე, რომელს მიაქროლებს ოთხი სპეტაკი ცხენი; ვაჟს ხელთ აქვს მშვილდი და ისარნი, – სიმბოლო შუქთა, რომელთ იგი მიწას სტყორცნის, – და ზოგ სურათზე მას აქვს შოლტი ცხენთა გასარეკად. ჰეზიოდოსს, ჰომეროსს, სოფოკლეს, ევრიპიდეს და სხვა ცნობილთ მწერალთ მზის სიმბოლო ასე აქვთ აღწერილი.

ჰერმეტულ თხუზულებებში მზე წარმოდგენილია ვითარცა გვირგვინოსანი გამრეკი ეტლში შებმულ ცხენთა, ოღონდ ეს ეტლი აქ არის კოსმოსური=მსოფლიური ეტლი.

პირველად მზეს ხატავდნენ სურაზე (საბერძნეთში) ვით სხვა ღმერთთაც, წვერულვაშით. მხოლოდ მეხუთე საუკუნის დასასრულს (ქრისტეს წინ) მზეს წარმოადგენდნენ ვითარცა თავს სხივოსანი გვირგვინით. შემდეგ ხანაში კი – მზე იყო შვენიერი ვაჟი ქუჩუჩა თმით. ბერძნულ სურაზე მზეს ხშირად აცვია მეეტლეს სამოსელი (ხიტონი) და ხელთ უჭირავს ორი წკეპლი. 156.

***

აღნიშნული პოეტური და იგავითი თქმა მზის ვაჟისა და ეტლის შესახებ, ეს წარმოდგენა მზეზე (მეეტლე!) შეითვისეს ევროპის განთქმულმა მხატვრებმა, როგორიც იყვნენ: რაფაელ, მისი მოწაფე პიერინო დელ ვაგა, ჯიოვანი, უდინე და სხვა. კარგად ცნობილია რომში როსპილიოსის სასახლის ჭერზე შეხატული „ეტლი მზისა“ და „ვატიკან“-ის და „ბორჯია“-ს დარბაზის ჭერი ამგვარივე ნახატით...

ქრისტიანულმა ხელოვნებამ წარმართული წესი მზისა და მთვარის ხატვისა (და ქანდაკებისა) მიიღო და თვითონაც იხმარა. მზესა და მთვარეს წარმოადგენდნენ მათემატიკური სახით, ვითარცა დისკოსს, – მრგვალი დაფა შუქოსანი, და აგრეთვე ვით პირსაც, კაცის ნახევარი სახით, სხივოსანი გვირგვინით თავზე. მაგალითად – გალისტის ფრესკოზე.

მზისა და მთვარის სახით დასურათებულნი არიან მოვლენანი და ამბავნი ბიბლიისა – იოსების, იოსუას, იონას ამბავი და განსაკუთრებით ახალ აღთქმაში – ქრისტეს დაბადება, ჯვარცმა, სიკვდილი, ამაღლება და აღდგომა. ქრისტეს სურათს აქ მზესთან ერთად ხშირად მთვარეც ახლავს, მაგრამ მეცამეტე საუკუნედან ქრისტესთან ერთად მზესა და მთვარეს უკვე იშვიათად ხატავენ, მაგრამ სამაგიეროდ აგელოზებს ხელთ უჭირავთ ან მზის, ან მთვარის სიმბოლო: ბურთი, ან ნამგალი.

მეთექვსმეტე საუკუნედან იკონოგრაფიაში ქრისტესთან ერთად არც მზეს და არც მთვარეს აღარ ხატავენ, ოღონდ არა რელიგიურ მხატვრობაში მზის ჩვენება ქრისტესთან ერთად ხატვის ჩვეულებრივი წესია. 157.

მზე და მთვარე ადამიანთა სახით გამოხატულნი იყვნენ ჯვარცმაზე და ეს არის ქრისტეს სიკვდილისთანავე მზის დაბნელების ჩვენება, – ან სხვა ახსნით: ქრისტეს ორი ბუნება; მზე – როგორც ქრისტე ღვთაება; მთვარე – განკაცება ამ ღვთაებისა. 158.

***

თუ ისლამურ მსოფლიოში შევიხედავთ, იქაც ჩვეულებრივ ბაბილონის კულტურის სურათს ვნახავთ. ცნობილი ასტრონომოსის ზაქარია ყაზვინელის კოსმოგრაფიის დასურათებაში (1366 წელი) შემდეგი სურათია გადმოცემული –

1. მთვარე – თავზე არის ნამგალა მთვარე, რომელიც ორი ხელითაა შეკავებული.

2. მერკურიუსი – ოტარიდი – პირით გვერდზე, მწერალი...

3. ვენუსი – ასპიროზი – ასული მდიდრულად მოკაზმული სამკაულებითა და სამაჯურებით, ძვირფასი თავმორთულობით; სამუსიკო საკრავს უკრავს.

4. მზე – ვაჟი გვირგვინით, მუხლებზე ხრმალ დადებული.

5. მარსი – მარიხი – კაცი გვირგვინით, მოჭრილი თავით. მარსი ერთი ხელით მის თმას სწევს; მეორე ხელში უკავია ხრმალი.

6. იუპიტერს – მუშთარს ხელთ აქვს ნახევრად გაშლილი წიგნი, რომელშიც იყურება.

7. სატურნუსს – კრონოს – ზუალი ზის დასაკეც სკამზე (სხვა მნათობთა სიმბოლო ყველა ტახტზე ზის); მას მარჯვენა ხელი აწეული აქვს, და მარცხენით უკავია გრძელი წერაქვი.

ყაზვინის კოსმოგრაფიაში დახატული შვიდი მნათობი თავისი სიმბოლიური შინაარსით, მნათობებზე ბაბილონურ შეხედულებას წარმოადგენსო, – ამბობს პროფ. ფ. ზაკსლ. 155. გვ. 152.

***

დიმაშკი, მეთოთხმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში, მის მიერ დაწერილ კოსმოგრაფიაში ამბობს – საბიანთა, – ანუ ქარრანელთა ტაძრებში შემდეგი ნახატნი ყოფილანო – სატურნუსი დახატულია ვითარცა შავი ინდო, მოხუცი რომელს ხელში ნაჯახი აქვს; ან რომელს თოკი უჭირავს და ჭიდან წყალს იღებს; ან მამაკაცი, რომელიც ძველ დროში მიმართულ სიბრძნეზე ფიქრობს: ან ხეზე მომუშავე; ან ვით მეფე, რომელიც სპილოზე ზის და მის გარშემო ხარკამეჩნი არიან. მას ერთი ხელში უჭირავს სისხლით გასვრილი ხმალი, მეორე ხელში აქვს მოკვეთილი თავი. მზე აქაა ოქროვანი კერპი, გვირგვინითო 155. გვ.152, 153, 154–7.

მეათე საუკუნის არაბი მწერალი მასსუდიც იცნობს ამ სურათებს.

1051 – 1057 წელთა შუა დაწერილ ჯადოსნური შინაარსის ერთ წიგნში „ღაია“ აღწერილია მნათობთა შესახებ წარმოდგენა იმავე საბიანთა, ოღონდ იგი ზემო აღწერილისაგან განსხვავებით, თუმცა მცირედ.

***

რაც ევროპას შეეხება, – მეცამეტე საუკუნეში – მიხეილ სკოტუსის მიერ შედგენილ ასტრონომიულ და ასტროლოგიურ თხუზულებაში (1243 – 1250) მოცემულია მნათობთა სურათები, უკვე ძველი ჩვეულებრივისაგან განსხვავებული. აქ პირველად მნათობთა ახალ სურათებს ვხედავთ –

1. სატურნუსი – შუა საუკუნეთა მეომარი.

2. იუპიტერი – მსაჯულის სამოსელით.

3. მარსი – მოლაშქრე.

4. ვენუსი – ლამაზი ასული ყვავილებით.

5. მერკურიუსი – მწიგრობარი.

ფლორენციაში (იტალია), კამპანელეზე გამოხატულია მზე ვით მეფე, რომელს მარცხენა ხელში სკიპტრა უჭირავს, ხოლო მარჯვენაში – მზის რკალი.

პადუაში (იტალია), სალონებში მზე გამოხატულია მეფის გვირგვინით; და იქვე, ერემიტანში მზე არის ეკლესიის მეფე – რომის პაპა.

გებერის ტრაქტატში მზე და მთვარე შემსხდარნი არიან: მზე – ზოდიაკო ლომზე, და მთვარე - ფასკუნჯზე.

***

შვიდი მნათობის გარდა ხელოვნებაში იხმარებოდა აგრეთვე თორმეტი ზოდიაკო, მაგალითად: პარიზში „ნოტრ დამ დე პარი“-ს ტაძრის ჩრდილოეთ კარზე და სხვა.

საქართველოში წმიდა გიორგის გამოხატულებას შვიდი მნათობი აქვს შემორტყმული.

(ამის შესახებ იხილეთ ჩემს წიგნში: „ვტნის ვარსკვლავთმეტყველება“, სანტიაგო დე ჩილე, 1957 წ. გვერდი 76).

აღსანიშნავია: ს. ს. ორბელიანსაც აქვს შვიდთა მნათობთა აღწერა თავის ლექსიკონში, თვითოულის აღწერა უკვე მოვათავსე ჩემს წიგნში ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველების შესახებ. საინტერესოა ამ სურათთა შედარება დასავლეთი ევროპის ამავე სურათებთან. აქ ჩამოთვლილი მაქვს პირველ რიგში ს. ს. ორბელიანის მიერ აღწერილნი სიმბოლონი; მეორე რიგში კი არიან მეფე ვენცელის ასტროლოგიურ ხელნაწერში (1392 – 1399 წ.) დახატული სიმბოლონი.

1. მთვარე – სახე ქალისა, ხელთა აქვს ისარი. 2. მთვარის ღმერთს უკავია თითო ხელში ჟინჟღლი; მის ეტლში შებმულია ორი ვირი.

2. მერკურიუსი – უწვერული ჭაბუკი, შეჭურვილი; ხელთა ქონებად ძლევისასა. 2. ეპისკოპოსი.

3. ვენუსი – სახე ქალწულისა, ხელთა აქვს პური (თავთავი!) 2. დედაკაცი გრძელი სამოსელით, ყვავილებით ხელში.

4. მზე – მეფე გვირგვიროსანი, ხელთა აქვს ჟინჟღილი. 2. მეფე ოთხ ცხენიან ეტლში, ჟინჟღილით მარჯვენა ხელში. ჩირაღდანი (ჟინჟღილი) სამ თავიანია. წარწერა: პატერ, სპირიტუს, სანკტუს (მამა, ძე, სული წმიდა).

5. მარსი – სახე ჭაბუკისა, შეჭურვილი, ხელთა აქვს ხრმალი. 2. მეომარი ოთხ კუთხოვანი ფარით, წინ ორიონი; დილის ვარსკვლავი და ალამი.

6. იუპიტერი – ბერი კაცი, გვირგვინოსანი; მარცხენა ხელსა ქონება არგნისა (სამეფო ჯოხისა) და მარჯვენასა ხელსა – ცეცხლისა, 2. თავადი სერობად მჯდომარე, (სერობა – მიმწუხრი საზრდელი. ს. ს. ორბ. ვახშამი).

7. სატურნუსი – ბერი კაცი, მარჯვენა ხელსა ცეცხლი და მაცხენასა – გველი მოკლაკნილი. 2. მეომარი ცელითა და ფარით. 128. გვერდი 443.

***

ვეფხისტყაოსანში მნათობთა სახე აღწერილი არაა. – მნათობნი აქ მხოლოდ მათი ბუნებით არიან დახასიათებულნი კერძოდ, არც მზის სახეა აღწერილი, და რადგან მზე ქართული წარმოდგენით, არის ქალი; ამიტომ

ასტროლოგიურად მისი გამოხატვაც ადვილი არ იყო, რადგან ასტროლოგიაში მზე არის – ვაჟი.

3. მზე ძერწვა – ქანდაკებაში

რასაკვირველია მზეს ჩვეულებრივ ქვისაგან და მარმარილოსაგანაც აქანდაკებდნენ. ჯერ კიდევ ბაბილონში მზის სიმბოლოს სჭრიდნენ ქვისგან, როგორც მაგალითად – მზე წარმოდგენილია კაცად; იგი ზის ტახტზე; მისი ბეჭებიდან იფრქვევიან შუქნი; მის გვირგვინზე არის ოთხი რწყვილი რქათა და მას ხელთ აქვს სკიპტრა და ბეჭედი, ნიშანი მთავრობისა და სამართლისა; მის წინაშე სდგას ბაბილონის მეფე ჰამმურაბი (რომელიც მეფობდა 2067 – 2025 წელთა შორის ქ. წ.)

სიპპარის ტაძარში მზე ღმერთი შამაშის უფრო რთული ქანდაკებაა გაკეთებული. სხვაგან კიდევ ნაჩვენებია მზე სხივოსანი დისკოსით, ან მზე ღმერთი კაცის სახით ზის ეტლში, რომელში შებმული ცხენი ცაში მიფრინავს. ცნობილია კიდევ ბაბილონური ქანდაკება, ქვაზე გამოჭრილი მზის დისკო, რომელიც აწეული ხელით ორ კეთილ სულს (კაცს) ცალ ცალი ხელით უჭირავს.

ეგვიპტურ ტაძარში მზის სიმბოლოა „ნეტერ“; იგია შევარდენის (ან მიმინოს) სახე, ხოლო სვეტნი მზის გაქვავებულ შუქთ წარმოადგენენ; დისკოსი აქ არის ფრთებით და კუდი – მანათობელი ღმერთის სახით. 39.

ეგვიპტის ზოგ ტაძარში მზის სიმბოლოა კაცი შევარდენის თავით; მასზეა მზის დისკოსი, ანუ თვალი მზისა, გველითურთ.

მზე–ჰორუსის სიმბოლოა ჭრელ ბუმბულიან-ფრთიანი შავარდენი გაშლილი ფრთებით.

მზე–ჰორ–ბეჰედტის სიმბოლოა – ფრთიანი დისკოსი მზისა, რომელზე გველია ჩამოკიდებული.

მზე–ჰარახტეს სიმბოლოა – მზე შავარდენი.

მზე–ატუმის სიმბოლოა – კაცი გვირგვინით, ტახტზე მჯდომარე; მუზარადზე მას აქვს ორი მაღალი ფრთა; ქვემოდ – დისკოსი მზისა.

მზე–ხეპრას სიმბოლოა – კაცი, რომელს თავის ნაცვლად ხარაბუა აქვს.

მზე არის – ხარაბუა, რომელიც გაშლილი ფრთებით ცაში მიჰქრის, ქვესკნელს უვლის და ისევ ამოდის.

მეფე ეგვიპტეში ითვლებოდა მზე–ღმერთის ვაჟად. ამის სიმბოლოა – მეფის თავის უკან სდგას მზის დისკოსი, რომელზე ორი გველია ჩამოკიდებული, – ან დისკოსი არის ფრთიანი; ან დისკოსი არის ფრთებითა და გველით. ამ სიმბოლოს განმარტებაა: მრავალჟამიერი სიცოცხლე და მარადი ბედნიერება.

***

ძველ ირანში მზის გამომხატველი იყო თეთრი ცხენი და ეტლი.

ავღანისტანში, კაბულთან ახლოს, 1934 წელს აღმოაჩინეს ტაძარის ნანგრევი, სადაც იპოვეს ქანდაკება, რომელიც მზე ღმერთს წარმოადგენს. 159.

ხეთთა ქვეყანაში მზის სიმბოლო იყო ფრთიანი დისკოსი. ახლაც ალეპოს მუზეუმში დაცულია ქვაზე გამოჭრილი გილგამეში და ორი ენკიდუ, რომელთ თავზე აქვთ უკვდავი მზის დისკოსი ორივე მხარით ფრთიანი. 4. წიგნი პირველი. გვ. 357.

***

ძველ საბერძნეთში მზე გამოქანდაკებული იყო ვით რგვალი დაფა, ანუ დისკოსი, ვითარცა მბრუნავი ბორბალი; როგორც ოთხ ცხენიანი დისკოკი, ან სპილენძის ქვაბი, ან ნავი.

ზოგი ძველი სარკოფაგის (ქვის ან მარმარილოს კუბოს) კუთხეებში გამოჭრილნი არიან ნიღაბნი, რომელთ ხან და ხან ფრიგიული ქუდით შემკობილობა აქვთ. იგი ითვლება მზისა და მთვარის გამოსახულებად; აგრეთვე კაცის ცხოვრების სიმბოლოდ.

პირველ საუკუნეთა გასწვრივ, ასეთ გამოსახულებას ქრისტიანებიც ხმარობდნენ და იგი გახდა ქრისტიანთათვის იმედის ნიშანად. ასეთი გამოხატულება მზისა და მთვარისა ქრისტიანებს ჰქონდათ არა მარტო კუბოზე, არამედ საკურთხეველზეც. წმიდა ლორენის ტაძარის საკურთხეველი (რომთან) მზითა და მთვარის ქანდაკებითაა შემკული.128.

***

ცხადია, მზის სურათი ხშირად არის გამოყენებული ოქრომჭედლობაში, სამკაულთა გამოსახულებაში, დროშებზე, ჰერალდიკაში და სხვა და სხვა...

ამგვარად, მზეს (და მთვარესაც) ხელოვნებაში დიდი ადგილი უკავია, და საერთოდ მსოფლიო ხელოვნების განვითარებაში მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

4. მზე მუსიკაში

მუსიკა ითვლება რელიგიის ასულად; ყოველ შემთხვევაში, უუძველეს დროიდან მუსიკა რელიგიაში გამოყენებული იყო და ძველი ინდოეთის, ბაბილონის, ეგვიპტის და სხვა ერთა ტაძრებში დღითა და ღამით მუსიკა და გალობა გაისმოდა. და რადგან იმ ძველ ხანაში ღმერთებად უმთავრესად მნათობნი ითვლებოდნენ და ასტროლოგია ბატონობდა, ამიტომ მუსიკაც მას ემორჩილებოდა.

როგორც ჩინეთში, ისე საბერძნეთში გავრცელებული რწმენის თანახმად, მუსიკასა (თვით დასაკვრელ ინსტრუმენტს, მის მოწყობას, სიმებს, ხმას და სხვა) და ცათა მოწყობის შორის სიმბოლური დამოკიდებულებაა. ჩინური ინსტრუმენტი „კიტარა ჩინგ“, ბერძნული „ლირა“, საკრავებზე შვიდი, ან

ხუთი ტონის ხმარება, მთელს მესოპოტამიაში გავრცელებული, შვიდ და ხუთ მნათობს შეეფერება. 160.

პითაგორასის (582 – 500) რწმენით, მნათობნი ხმას გამოსცემდნენ. მათი სიდიდის, მოძრაობის სისწრაფის და ურთიერთ დაცილების მიხედვით თითოული მნათობი თავის კუთვნილ ხმას გამოიღებს. და თუმცა ეს ხმანი სხვა და სხვანი არიან, შეხმატკბილებულნი მაინც არიანო. კაცს არ ესმის ეს გალობა, მაგრამ იგი შეუძლია მან გაიგოს იმ საკრავით რომელიცაა ჩანგი. ჩანგის გამომგონებელმა ეს საკრავი მოაწყო შვიდთა მნათობთა სფეროების მიხედვით და თვით ეს შვიდნი მნათობნი შვიდ სიმიან ჩანგად წარმოიდგინებოდა. პითაგორასის ეს შეხედულება ევროპაში აღიარებული იყო შუა საუკუნეთა განმავლობაში.

მუსიკალურ ტონთა წყობა მნათობთა მოძრაობასთან იყო შეფარდებული და ისეთმა დიდმა პიროვნებამ, რომელიც იყო პტოლემეოსი, მუსიკალური ჰარმონიის სწავლა განავითარა, რამაც ასეთი სახე მიიღო –

ტონთა სისტემის მსოფლიური მტკიცე ტონები

უძრავ ვარსკვლავთა ცა – სი, 3 – 36 ჰიპერ ჰიპერმოლაია.

სატურნუსი – ლა, 3 – 32 ნეტე ჰიპერბოლაიონ.

იუპიტერი – მი, 3 – 24 ნეტე დიეზეუგმენონ.

მარსი – რე, 3 – 21 ½ ნეტე სინემმენონ.

მზე – სი, 3 – 18 პარამესე.

მთვარე – მი, 2 – ჰიპატე მესონ, და სხვა. 161.

ასეთია შუა საუკუნეთა შეხედულებით სფეროთა ჰარმონია, რომელიც არის მწყობრი, ანუ ორკესტრი მსოფლიო ჰარმონიისა და ტონთა ჰარმონიის შორის.

***

უეჭველია, მრავალი იყო საგალობელი პირდაპირ მზისადმი მიმართული. ამ საგალობელთა არა ერთი და ორი ნიმუში ამ ჩემს წიგნშიაც არის მოტანილი, და ცხადია, ყველა ქვეყანაში ბევრი იქნებოდა როგორც საგალობელთა, ისე ნოტების რიცხვი. მეორე საუკუნეს ეკუთვნის შემთხვევით გადარჩენილი მზისადმი გალობის ნოტები, რომელს ბერძენ კომპოზიტორ მესომედეს მიაწერენ. ეს ჰიმნი მზისადმი ნოტებითურთ დაბეჭდილი აქვს მუსიკის ცნობილ გერმანელ ისტორიკოს კურტ ზაკსს თავის წიგნში: „მუსიკა ძველეთში“. 160.

***

როგორც უკვე აღვნიშნე, ცათა, ვარსკვლავთა და მუსიკის ურთიერთობის შესახებ რწმენა ევროპის შუა საუკუნეთა მანძილზე ბატონობდა. ამგვარადვე იყო ისლამურ ქვეყნებშიც, სადაც განსაკუთრებული სამუსიკო თეორიები გამომუშავდა. მუსიკის ისტორიკოსი, ცნობილი ფრანგი მეცნიერი ჟიულ

რუანე თავის ენციკლოპედიაში არაბული მუსიკის შესახებ ამბობს – ძმები **სენსერი** იხსენებენო, რომ პითაგორასმა, რადგან იგი იყო წმიდა გულისა და ძალიან გონიერი, გაიგონა გალობა ცათა და ვარსკვლავთა მოძრაობისა, და იქედან გამოიღო მან თავისი გონების ძალით მუსიკის პრინციპიო... მათივე აზრით, ვარსკვლავნი მოქმედებენ ჩვენზე გარდაუვალობით, როგორც სიკეთით ისე სიბოროტით; გვანიჭებენ სიმდიდრეს, სიღატაკეს, ნაყოფიერებას, ბერწობას და სხვა... რათა შეარბილო მნათობთა ცუდი გავლენა, უნდა გამოიცნო ღვთიური კანონები, უნდა მიმართო ლოცვას, მარხვას, აჯას, ცრემლთ, მიწაზე დამხობას... ამავე დროს უნდა იხმარო მუსიკის ზოგი ჰანგი, განსაკუთრებით ის, რომელს ეწოდება „ალ მოჰაზენ“ – მგლოვიარე, მოსაწყენი. ეს გალობანი გულთ ალბილებენ, აჩჩვილებენ, თვალთ ატირებენ; კაცს სათნოებით და მონანიებით აღავსებენ. ესაა დასაწყისი, წარმოშობა მუსიკის ხმარებისა, სამლოცველო სახლებშიო.

არაბული „იხუ ან ალ ლაფა“ ცოტა ქვემოდ ამბობს –

მუსიკა ყველაფერში გამოსადეგია. მისი შედეგია გულის აჩუყება, სულის დამორჩილებით; პატივით მისი აღვსება; მას მიჰყევხარ ღმრთის მცნებათა განამდვილებისაკენ... იგი მოგვიწოდებს მოინანიო ცოდვანი... და მიგაქანებს ღმრთისაკენ... მუსიკით შეგიძლია მნათობებზე გავლენა მოახდინო, ოღონდ უნდა იცოდე, თუ საამისოდ რა დრო და რა მუსიკაა გამოსადეგი. ამის შესახებ არაბული თხუზულება „კიტაბ შაფა ლ აუყატ ფი ილმ ენ ნარამატ“ ამბობს –

შენ თუ გსურს იცოდე საათი, როცა მუსიკის რომელიმე ჰანგი ყველაზე უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ვარსკვლავზე, შეხედე დროს, დღეს და მნათობს; მერმე გასინჯე ეს შემდეგი ცხრილი (და აქ ჩამოთვლილნი არიან დღენი, საათნი, მნათობთა სახელნი...). მზეზე მუსიკა მოქმედებს ძლიერად შაბათს და დღის ოთხ საათზე... და სხვა ასე.

მეორე ცხრილი უჩვენებს იმ წუთს, როდესაც მუსიკის ჰანგი უძლიერესად გავლენას ახდენს რომელიმე პიროვნებაზე, მეფეზე, სულთანზე, დიდ კაცზე და სხვა.

ეს რწმენა მუსიკის რომელიმე ჰანგის ვარსკვლავებზე, და კერძოდ, მზეზე გავლენის შესახებ მთელს ისლამურ მსოფლიოშია გავრცელებულიო – ამბობს ჟ. რუანე [162]. წიგნი 5. გვ. 2081.

***

მუსიკის სპარსნი თეორეტიკოსნი, თორმეტი ზოდიაკოს მიხედვით მუსიკის თორმეტ ტონს აღიარებენ და თითოული მათგანი განსაზღვრულ დროს იხმარება. მაგალითად: ტონით „რასტ“ (მართალი, სწორი) უკრავენ მზის ამოსვლისას; ტონით „ორშშაყ“ (შეყვარებულნი) უკრავენ მზის ჩასვლისას და სხვა.

ასეთია სრულიად მოკლედ მუსიკისა და ცის ურთიერთობა. [163].

დასკვნა

ამ მიმოხილვამ გვიჩვენა: მზეს დიდი საპატივო ადგილი უკავია არამც თუ მარტო რელიგიაში, ფილოსოფიაში და მხატრულ მწერლობაში, არამედ ხელოვნების სხვა დარგშიც. ხუროთმოძღვრება, მხატვრობა, ძერწვა ქანდაკება, ხელობა მაღალი, მუსიკა მზიურ მოტივებს ხმარობს და მზის გამოყენება ხელოვნებისათვის არა მარტო პაგანურ, არამედ ქრისტიანულ და მაჰმადიანურ მსოფლიოსაც ეკუთვნის. მზე საერთაშორისო ხელოვნების უშესანიშნავესი ნიშანია.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

რვეული მეხუთე

ქართული მზე

კარი პირველი

მზე ქართულ წარმართობაში

1. ქართული რელიგია
2. ქართული მზე – დედაკაცი
3. ქართულნი თქმულებანი მზის შესახებ
4. ქართული მზის ღმერთობა
5. ქართული მზე და წმიდა გიორგი
6. ქართულნი მზიურნი სახელნი
7. მზე ქართულ ხალხურ პოეზიაში

დასკვნა

1. ქართული რელიგია

ქართველ ხალხს თავისი ისტორიის გზაზე სხვა და სხვა რელიგია ჰქონდა, სანამ ქრისტიანობა დამყარდებოდა. მაგრამ შეიძლება ითქვას: აქ, ამ რომელიმე ხანაში დასრულდა ერთი რელიგია და დაიწყო მეორეო? ერთი რელიგია, რასაკვირველია, მეორეს ემატებოდა და ამნაირად რამოდენიმე ფენა ჩნდებოდა.

ქართველი ერის გაქრისტიანებაც თავისთავად გრძელი პროცესი იყო, როგორც ყველგან, და დაახლოებით ხუთი–ექვსი საუკუნის განმავლობაში ქრისტიანობასთან ერთად ცოცხლობდა კიდევ ძველი ხალხური სარწმუნოება და მთაში მცხოვრებ ხალხთა შორის ძველი რწმენის გადმონაშთი დღესაც არსებობს; ქართული წარმართობის მკვლევარი, გერმანელი მეცნიერი ო. გ. ფონ ვეზენდონკი, ქართული რელიგიის სამ ფენას განარჩევს – 1. ხალხური რელიგია, 2. მაზდეიზმი და 3. ქრისტიანობა. 164. ოღონდ ეს დანაწილება უფრო ხელოვნურია, ვიდრე ნამდვილი, რადგან თვით ხალხური რელიგია თავის მხრივ რამოდენიმე ფენას შეიცავდა და არც მაზდეიზმი იყო განცალკევებულად წარმოდგენილი. როგორც ყველა ხალხის რელიგიის ისტორიაშიც ქართველმა ერმაც მრავალგვარი რელიგიური საფეხური განვლო, და ამ რელიგიათა შორის სათანადო ადგილი ეკავა ასტროლატრიას, ანუ ვარსკვლავთ თაყვანებას, განსაკუთრებით მზისა, მთვარისა და ხუთთა მნათობთა თაყვანისცემას.

2. ქართული მზე – დედაკაცი

უწინარესი ადამიანისათვის თითოული საგანი იყო პიროვნება და თითოული ეს პიროვნება სქესით იყო წარმოდგენილი. ყველაფერი – სულიერი და უსულო, ცხოველი და არა ცხოველი განიყოფოდა მამრობით და მდედრობით სქესად. მამრობითი სქესი იყო: კეთილი, კარგი; მდედრობითი სქესი – ბოროტი, ავი. უსქესო – ხან ბოროტი, ხან კეთილი.

მთელი მსოფლიოს და ყველა არსების ორ სქესად დაყოფას საფუძვლად უძევს ორადობის, დუალიზმის პრინციპი.

ჩინურ ფილოსოფიაში დღემდე შერჩენილია ეს პრინციპი, რომლის მიხედვით ყველაფერი არსებული მამრობით და მდედრობით სქესად განიყოფება.

სპარსულ დუალიზმი ამავე დებულებაზეა დამყარებული, რომელიც ყოველივეს ორი დებადის თანახმად განჰყოფს – კეთილი და ბოროტი. მომდევნო ხანაში ამ ორად დანაწილებაში სქესობრივი ნიშანი უკვე აღარა სჩანს და ორადობა კეთილისა და ბოროტის არსებობის შესახებ განყენებულად განზოგადოებულია.

ცხადია, ამ ორ დებულებად განყოფაში ცა გამოკლებული არ იყო და ცის გვამნიც ორ სქესად იყვნენ განაწილებულნი. მაგრამ ყველა ხალხისათვის

თითოული გვამი ერთი და იგივე სქესისა არ იყო. ზოგი ხალხისათვის მზე არის მამაკაცი, მთვარე კი – დედაკაცი. 167.

ძველ ხალხთა შორის მზე არის უმთავრესად მამაკაცი, მაგრამ აგრეთვე დედაკაციც, ხოლო ვარსკვლავნი იწოდებიან მზისა და მთვარის შვილებად. მზე არის დედობრივი სქესისა შემდეგ ენაში: სანსკრიტული, ანგლო-საქსონური, გერმანული (და, რასაკვირველია – ქართულიც!). 165.

მზე არის მამრობითი სქესისა შემდეგ ენაში – სუმერული, სირიული, ბერძნული, ლათინური ენები. 165. გვ. 139.

ებრაულად მზე არის მამაკაცი, მაგრამ ხშირად იგი დედაკაციც არის. 166.

მთვარე უმთავრესად დიაცური არსებაა. გერმანულ ზოგ კილოკავში მთვარე დღესაც დიაცია, ხოლო შუა მაღალ გერმანულ ენაში (მიტტელჰოხდოიტშე) ორ სქესიანი არსებაა. 166.

მაინც ხალხთა უმრავლესობის შეხედულებით მზე მამრობითი სქესისაა, ხოლო მთვარე არის – დედა. 167.

***

ქართველი ხალხის წარმოდგენით მზე არის დედაკაცი, მთვარე – მამაკაცი.

ნათელმა მთვარემა ბრძანა:

„ბევრით მე ვჯობივარ მზესა“.

დაჯდა, დასწერა წიგნები,

ზენა ქარი მიათრევსა.

მზეს რომ კაცი მიუვიდა,

მზე ძალიან გაჯავრდესა:

„მე და ვარ და ის ძმა არის,

რად ვძულდებით ერთმანეთსა“...

ამ ლექსში მზე არის დაჲ, ხოლო მთვარე კი – ძმა.

მეორე ლექსში მზე უკვე მშობელია მთვარისა:

დაიძინე, გენაცვალე, იავ, ნანინა,

მზე დაწვა და მთვარე შობა იავ, ნანინა!

ერთ მეგრულ ლექსში მზე დედაა, მთვარე კი – მამა –

ბჟა დია ჩქიმი, = მზე დედაა ჩემი

თუთა მუმა ჩქიმი, = მთვარე მამა ჩემი,

ხვიჩა ხვიჩა მურიცხეფი = სხვადასხვა ვარსკვლავი,

და დო ჯიმა ჩქიმი = და და ძმაა ჩემი.

როგორც ვხედავთ, ყველა სახალხო ლექსში მზე მდედრობითია, ხოლო მთვარე – მამრობითი. ძველი ქართული გადმოცემითაც, მზე დაა და მთვარე კი – ძმა.

3. ქართულნი თქმულებანი მზის შესახებ

მზე და მთვარე ერთი მამისა არიან. ერთ დღეს ღმერთმა განუცხადა მათ დედებს: – ერთი ამ შვილთაგანი მზე იქნება ხოლო მეორე კი მთვარეო. მზედ ის იქნება, რომელი დილას ადრე გამოიღვიძებს და ადგებაო. ერთმა დედამ ბავშს დაუდო ჯინჭარი, რათა მას დილამდე არ დასძინებოდა; ხოლო მეორე დედამ ბავში ლბილ ლოგინში ჩააწვინა. პირველი ბავში მთელი ღამე ტიროდა; მას დილით ჩაეძინა. ლბილ ლოგინში მყოფმა კარგად გამოიძინა და დილით ადრე ადგა. იგი მზედ გარდაიქცა. ხოლო დილით დაძინებული ბავში შეიქმნა მთვარედ.

მზე ითვლება გმირად...

მზე ჩადის საღამოს ზღვაში; ღამის განმავლობაში იგი გაივლის გზას დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და დილით ამოდის ცაზე, სადაც მას აქვს სპილენძის სახლი და ვენახი...

მზე შუადღისას საუზმობს...

ანათებს არა თვითონ მზე, არამედ მისი სამოსელი...

საღამოობით მზე ბრუნდება თავის დედასთან და ღამეს მასთან ათევს. როცა მზე თავის სამოსელს გახდის და წვება, ამ დროს დგება წყვდიადი. დილით, ოდეს იგი სამოსელს იცვამს, დგება ნათელი და ნათლდება ქვეყანა...

ზღვაში ჩასვლისას მზე აფრქვევს ოქროს და ამ დროს თუ ზღვაში ცხვრის ტყავს ჩაუშვებ, იგი ოქროს სილით დაიფარებაო...

ამ ძველ თქმულებებში სხვა და სხვა მოვლენაა შერეული – 1). მზისა და მთვარის წარმოშობა ერთი მამისაგან და სხვა და სხვა დედისაგან; 2). მზე და მთვარე დაძმანი არიან; 3). მზე და მთვარე შეჰქმნა ღმერთმა; 4). მზე ჩადის ზღვაში და გადის დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ; 5). მზეს აქვს თავისი სახლი. იგი სპილენძისაა; მას აქვს აგრეთვე ვენახი; 6). მზე შუა დღისას საუზმობს; 7). ანათებს არა მზე, არამედ მისი სამოსელი; 8). მზე ღამეს ათევს დედასთან; 9). სამოსელის გახდის შემდეგ ბნელდება; 10). სამოსელის ჩაცმისას ნათლდება; 11). მზე ჩასვლისას ოქროს აფრქვევს.

ამ თქმულებებში ერთმანეთზე გადაბმულნი და გადახლართულნი არიან სულ სხვა და სხვა მოვლენანი –

1). ქვეყნის წარმოშობის, 2). პოლიგამიის, ანუ მრავალცოლიანობის, 3). მზის მოძრაობისა და სვლისა, 4). მზის თვისებათა შესახებ და 5). ბერძნული თქმულება ოქროს ვერძის შესახებ, რომელიც აგრეთვე ასტრალ მითოლოგიურ არეს ეკუთვნის.

აქ ყურადღებას იპყრობს თქმა, რომ მზეს აქვს სპილენძის სახლი; რომ იგი ჩასვლისას ოქროს აფრქვევს. ეს შეხედულება სპილენძზე და ოქროზე გამომდინარეობს იმ საერთო რწმენიდან, რომელიც მნათობთა თაყვანისცემაზე არის დამყარებული.

4. ქართული მზის ღმერთობა

ცის, მზისა და მთვარის, და საერთოდ ვარსკვლავთა გაღმერთების ამბავი არ არის რომელიმე ხალხის გამოგონილი, ყოველ შემთხვევაში, უკვე წინარ ისტორიულ ხანაში, რამდენადაც საამისო ცნობები მოიპოვება, ცისა და მის გვამთა ღმერთობა თითქმის ყველგან არის გავრცელებული და კულტურის განვითარების ერთ ერთ მაღალ საფეხურს წარმოდგენს.

მთვარე უფრო ადრე იყო ღმერთი. მისი ღმერთობა უწინარეს მზისა აიხსნება მთვარის მნიშვნელობით მწყემსსა და მონადირე ხალხთათვის; იგი განმტკიცდა განსაკუთრებით ცხელ ქვეყნებში, სადაც მზე მავნედაც კი ითვლებოდა. მთვარის ეს უპირატესობა მზესთან შედარებით, გამოიხატა მთვარის სქესითაც, – მთვარე ღმერთი იყო მამაკაცი, ხოლო მზე იმ ხანაში – დედაკაცი. 34. გვ. 32.

ამ დებულების მიხედვით, აშკარაა, ქართული მთვარე, რომელიც დღეს მამაკაცად ითვლება, დასახულ იქმნა ღმერთ მამაცად იმ ხანაში, როდესაც ქართველნი ჯერ კიდევ ნადირობისა, მწყემსობისა და სასოფლო მეურნეობის პირველ ხანაში იმყოფებოდნენ რომელიღაც ცხელ ქვეყანაში.

მზის თაყვანის ცემა, უეჭველია, დაიწყო სასოფლო მეურნეობის ხანაში, და ალბათ დარჩა აგრეთვე მთვარის ღმერთობაც.

დასავლეთ აზიაში და მის მეზობელ კავკასიურ ქვეყნებში მზისა და მთვარის თაყვანების ამბავი ცნობილია. ამას გადმოგვცემენ და გვიმოწმებენ ძველი ბერძენი მწერლებიც.

სტრაბო ამბობს: ალბანეთში თაყვანსა სცემდნენ ღმერთთ: მზესა, მთვარეს და ვარსკვლავებსო; განსაკუთრებით მთვარეს, რომლის ტაძარი იბერიასთან ახლო იმყოფებოდაო.

დიოდორე სიკილიელი ამბობს: კოლხიდაში არსებობდა მზისადმი მიძღვნილი ტაძარი, ზღვის პირზეო.

ძველი ბერძნული თქმულებით: ფაზისი (ახლანდელი მდინარე რიონის სახელი, რომლიდანაც წარმოშობილია ხოხობის ევროპიული სახელი – ფეზან, ფაზან) იყო მზის შვილი, კოლხი კი შვილი ფაზისისაო.

კოლხეთის მეფე აეტი იყო შვილი მზისა. აეტი ბრწყინავდა ვით ოკეანედან ამომავალი მზის დისკოსი. ცხენები მისნი იყვნენ ვით ნიავის ქროლვა და მას ეს ცხენები ღმერთმა მზემ აჩუქაო.

აქ, ცხადია, საქმე გვაქვს ვარსკვლავურ მითოლოგიურ თქმულებასთან და აგრეთვე იმ შეხედულებასთანაც, რომლის თანახმად მეფე არის მზე, ან მზის შვილი.

ქართული რწმენაც, რაც დღემდეა ცოცხლად დარჩენილი, ზოგ რამეს გვიამბობს მზის შესახებ, განსაკუთრებით მთის მცხოვრებთა შორის, და ეს გვარწმუნებს, რომ დღემდე დარჩენილი მზისა და ვარსკვლავთა თაყვანების გადანაშთი არსებობს, ქრისტიანული ელფერით გადაკრული.

ფშავ-ხევსურნი ხმელთა მოურავს კვირიას ეძახიან და ეს კვირია არის სამართალისა და შვილიერების ღმერთი.

კვირა ჭანურ ენაზე – ბჟაჩხა; მეგრულად – ბჟაშხა; სვანურად – მიშლადელ; არის მზის დღე. კვირია მზის ღვთაებაა.

თუშნი, ხევსურნი, ფშავნი თავის ქრისტიანულ ლოცვაში დღესაც წარმართულ ცნებებს ურევენ და მზეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიაწერენ. მაგალითად ასეთი ლოცვა –

დიდება ღმერთსა, დიდება მზეს, დიდება მზის ყველა ანგელოზს...

ან ხევის დეკანოზთა ლოცვა –

დიდება მზესა, იმის მყოლ ანგელოზსა... 168.

ეს მეტად მნიშვნელოვანი ამბავი გვიდასტურებს იმ სარწმუნოებას, რომელი ძველად ქართულ ტომებს ჰქონიათ. და სარწმუნოება, როგორც ვიცით, ზნეჩვეულებასთან ერთად, მეტად სასტიკად დამცველია თავისი თავისა, არსებობისათვის ჯიუტი და სიცოცხლისათვის მტკიცე.

5. ქართული მზე და წმიდა გიორგი

ჯერ კიდევ სავსებით გამორკვეული არაა, იყო თუ არა საქართველოში მითრას კულტი, ოღონდ თუ მითრას სარწმუნოების არესა და ფართობს მხედველობაში მივიღებთ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მას ქართველთა შორისაც ასპარეზი უნდა მოეპოვებინა.

თუ წმიდა გიორგი, როგორც ამბობს პროფ. ივანე ჯავახიშვილი, – პირველი ღვთიური ძალაა ქართული რწმენისათვის, და თეთრი გიორგი კიდევ მთვარის თაყვანების გამოსახულებაა, მაშინ უფრო დაჯერებით შეიძლება ითქვას, რომ მითრას კულტი ძველ საქართველოში იყო გავრცელებული. პროფ. ივ. ჯავახიშვილი ამბობს –

წმიდა გიორგის პირველი ადგილი უკავია და ყველაზე უფროსად ითვლება; რომ იგი გულკეთილია და ადამიანის მფარველი, ძლიერებით ყველას, თვით ღმერთსაც კი სჯობნისო. 168.

უეჭველია, მაშასადამე, რომ ჩვენი ხალხის წარმოდგენაში წმიდა გიორგის ძველ, წარმართობის დროინდელ, მთავარ ღვთაების ადგილი უნდა ეკავოსო, – დაასკვნის პროფ. ჯავახიშვილი. 168. გვ. 105.

ქართველი ხალხის აზროვნებაში წმიდა გიორგის ძველ, წარმართობის დროინდელ, ქართველების მთავარ ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია. (იქვე, გვერდი 196). ყველგან, მაშასადამე, სადაც ქართველებს უცხოვრიათ, მთვარის თაყვანისცემის კვალი შერჩენილია; ამის გამო, მთვარის ვითარცა მთავარი მეუფის და ღვთაების თაყვანისცემა, ყველა ქართველ ტომების უუძველეს რწმენად უნდა ჩაითვალოსო (იქვე, გვერდი 119).

პირადად მე არ შემიძლია გავიზიარო პროფ. ივანე ჯავახიშვილის დასკვნა ქართველთა შორის, წმიდა გიორგის სახით, მთავარის ღმერთობის ამბავი.

მართალია, მთვარის თაყვანება პარალელურად არსებობს ხოლმე მზის თაყვანებასთან ერთად, და სართოდ ყველგან, შვიდთა მნათობთა ღვთიურობაა გავრცელებული, მაგრამ ამ შვიდთა მნათობთა შორის ქართველ ტომთათვის პირველი ადგილი უკავია არა მთვარეს, არამედ მზეს. ტყუილად არაა თვით „ქართლის ცხოვრება“-ში მზე პირველად ნახსენები და ეს ხსენება არც შემთხვევითია.

იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა და ვარსკვლავთა ხუთთა... და იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა, და ვარსკვლავთა ხუთთა...

თეთრი, ანუ წმიდა გიორგი არავითარ შემთხვევაში არ არის მთვარის კულტის წარმომადგენელი. პირიქით – წმიდა გიორგი სწორედ მზის კულტის გამომსახველია, – როგორც ეს დაამტკიცა პროფ. ვ. ნესტლე შვაბიშ ჰალლმა, – (იხილეთ ჩემი „ვტნის ვარსკვლავმეტყველება“. გვერდი 60).

არსებობს კიდევ მეორე მეცნიერის შეხედულებაც, რომლის თანახმად, წმიდა გიორგი სპარსული მითრასაგან, ორმუზდის პირველი სინათლის სულისაგანაა წარმოშობილი, და იგი გველეშაპს ჰკლავსო. 169.

მითრას ცხოველია ხარი, კურო. ხარის, კუროს შეწირვა მითრასადმი მოხსენებულია სპარსულ გალობებში (იაშტ 10, 119; 10,120 და სხვა).

და „ვერეთანგაში“ აღნიშნულია იაშტ 14, 50; ცხვარის შეწირვა აღნიშნულია „ვიდევდატ“-ში (18, 70). შეწირვა და შეჭმა შეწირული ხარისა დღემდე ჩვეულებად არის ქართველთა ტომში სვანთაო, – ამბობს ფონ ვეზენდოკ. 170.

ერთ სვანურ ლექსში „ბარბოლ“, რომელი სახელიც შეიძლება იყოს – ბორბალი მზე, – ნათქვამია:

ხარებს არჩევს, მოედანი

გადათხრილ ჰქონდათ დანაკლავი ხარებისა,

შეწირულ მის ხარებს...

უეჭველია, ეს სვანური ლექსი მზის კულტის რიგიდან უნდა იყოს.

ცნობილია გნოსტიკური ერთი მიმართულება, სახელით: „ბარბელო“, რომელიც „დიდ დედას“ აღიარებდა. 170ა.

ბარბელო გნოსტიკოსები ეთაყვანებოდნენ უცნობ მამას (ღმერთს), რომელთან დაკავშირებულია დიაცური პრინციპი, სახელით: ბარბელო. 170ბ.

არა მგონია, ამ „ბარბელოს“ სვანურ „ბარბოლოსთან“ რაიმე კავშირი ჰქონდეს!

სპარსულ თვეთა სახელებში არის მითრას კულტზე მითითება – ბაგაიადი არის მითრას თვე; სომხეთში კი – მეჰეკან, საქართველოში – მიჰრაკან. 170. გვერდი 248.

ს. ს. ორბელიანს მარტის თვის ქართულ სახელად აქვს – მირკანი, რაც იგივე მითრას თვეს უდრის. ამას გარდა, ქართველ მეფეთა სახელნი, როგორც მაგალითად მირიანი, მითრას სახელთან არის დაკავშირებული.

***

როგორც აღვნიშნე, მითრას წმიდა ცხოველი არის კურო. და აი, ერთი ქართული თქმულება და დღეობა ამ მოვლენაზე მიგვითითებს. ესაა ილორის წმიდა გიორგის დღეობა ოჩემჩირეში. საქართველოს კუთხეებიდან, და რაც უფრო საინტერესოა, აჭარიდან და ლაზისტანიდან, ილორის წმიდა გიორგის დღეობაზე მლოცველები იკრიბებიან. რა იზიდავდა აქ საქართველოს ყველა კუთხისა და ლაზისტანის მცხოვრებთ? ერთი სასწაული, რომელიც იქ ყოველ წლიურად ხდებოდა. ილორის წმიდა გიორგის ძალით ილორის ეკლესიის გალავანში გამოჩნდებოდა ხოლმე ხარი, რომლის რქები ოქროთი იყო მოჭედილი. ამბობენ, ეს სასწაული უკანასკნელად აფხაზეთის მთავარ მიხეილ შარვაშიძის დროსაც მოხდაო. დღეობის წინ ილორის ეკლესიაში წირვას გადაიხდიდნენ ხოლმე; დილით, მზის ამოსვლამდე, ცა ღრუბლებით იფარებოდა და მლოცველნი გულის ფანცქალით ელოდნენ თუ ხარი სასწაულებრივი როდის გამოჩნდებოდა. და უცბად იგი მოივლინებოდა ეკლესიის გალავანში. ამ ხარს დაიჭერდნენ, აკურთხებდნენ და ილორის წმიდა გიორგის მსხვერპლად შესწირავდნენ; ოღონდ მის ხორცს კი არა სჭამდნენ, ვინაიდან ამ შეწირული ხარის ხორცი წმიდად იყო აღიარებული, არამედ პატარ პატარა ნაჭრებად ანაწილებდნენ, ახმობდნენ და მთელს ამიერკავკასიაში მორწმუნეთ უგზავნიდნენო, – გადმოგვცემს ამ ამბავის ჩამწერი გიორგი წერეთელი. 171.

არავითარი ეჭვი არაა, ამ ამბავში არის დარჩენილი მითრას კულტის გადმონაშთი და მზის თაყვანების ჩვეულება.

***

ვახტანგ მეფის (1675 – 1737) კანონებში ერთი, ჩვენთვის მნიშვნელოვანი მუხლია. რომელიც სასაფლაოს ეხება. მუხლი 218 სასაფლაოს ფასზე ლაპარაკობს და შემდეგს ამტკიცებს: გლეხმა სასაფლაოს მიწის ფასად უნდა გადაიხადოს ერთი ხარი, ხოლო მაღალმა კაცმა – თავისი სიმდიდრის შესაფერადო. ამ „ხარის“ შესახებ პროფ. ჟ. კარსტ სამართლიანად შენიშნავს – ხარი თუ კურო, რომელსაც გლეხი – ყმა თავის ბატონს აძლევს სასაფლაოს ფასად, სიმბოლურად გადმონაშთს წარმოადგენს და მოგონებაა ძველი დასაფლავების წესის შესახებ, რომელიც არის გამოსული მითრას კულტისაგან, და ამგვარად, მითრაულ კუროს, გარდაცვალებულთა კულტის ნიშანს გვახსენებსო. 172.

მგონია, არა ერთი და ორი ნაშთი, თვით ნივთიერიც (მაგალითად: ტაძარის ნანგრევი, ან სასაფლაო, და სხვა) შეიძლება აღმოჩნდეს საქართველოს გაუსინჯავ ქვესკნელში.

***

პროფ. ივანე ჯავახიშვილს აზრი შეუცვლია მთვარისა და მზის შესახებ, რადგან უკანასკნელ შრომაში მზეს და არა მთვარეს ენიჭება პირველობა ქართულ წარმართულ რელიგიაში, როგორც ამას ქვემო ამონაწერიდან დავინახავთ:

„გაღმერთებულ მნათობთა შორის პირველი ადგილი მზეს ეჭირა. ეს ბუნებრივია იმიტომ, რომ ქართველ ტომთა მეურნეობის მთავარს, წამყვან დარგს მიწათმოქმედება შეადგენდა მაშინ, როცა ქართველი ტომები ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ, ფართო სამოქალაქო კავშირები შეჰკრეს და თავისი სარწმუნოებრივი შეხედულებები სისტემად ჩამოაყალიბეს. მიწათ მომქმედი მეურნისათვის ცის მნათობთა შორის მთავარი მნიშვნელობა, ცხადია, მზესა აქვს. მზე ესახებოდა მიწათმომქმედ მეურნეს მცენარების, ნაყოფიერების, სიცოცხლის უმთავრეს წყაროდ, მზეს შესთხოვდა იგი წყალობასა და შემწეობას.

„იმ შორეულ ხანაში ქართველ ტომთა საზოგადოებრივი ცხოვრების სათავეში დედაკაცი, ქალი იდგა. ამიტომ დაისახა მზის ღვთაება როგორც ქალი ღმერთი. ხოლო როცა ღმერთების უფროს უმცროსობაც ჩამოყალიბდა, მზის ქალ ღმერთი მიჩნეულ იქმნა დედად, ღვთისმშობელად.

„მზეს, როგორც ღმერთს, ქართველი მთიელები თაყვანსა სცემენ უკანასკნელ დრომდე, მეოცე საუკუნეშიაც. თითქმის ყველა თავის ლოცვა-სავედრებელს ხევსური და ფშაველი ხუცები დაახლოებით ასე იწყებდნენ: „დიდება ღმერთსა, დღეს დღესინდელსა, მზესა და მზის მყოლთ ანგელოზთანო. აქ მზე პირდაპირ ისახელება, როგორც ღმერთი და ისიც – მთავარი, რადგანაც მას ანგელოზები ჰყავს. „დღეც“ ამ სალოცავში მზეს ნიშნავს, იმიტომ რომ „დღე“ მზის უძველესი სახელია“-ო. 173.

6. ქართულნი მზიურნი სახელნი

არა მსურს უყურადღებოდ დავტოვო ის შესანიშნავი მოვლენაც, რომ ქართულ ენაში დღესაც არა ერთი და ორი სახელი და თქმა მზესთანაა დაკავშირებული. ეს სახელნი, რასაკვირველია, დედაკაცისანი არიან, თუმცა ერთი მამაკაცსაც ეკუთვნის. ეს სახელნი ჩვეულებრივად სილამაზის მაჩვენებელნი არიან – მზე – ლამაზი. აქედან: დედაკაცი – ლამაზი.

აი დედაკაცთა სახელნი:

მზე ქალა; მზეთამზე; პირიმზისა; პირიმზე; ქალთამზე; მზისავარ; მზეთუნახავი; მზია; მზისდარა; მზევია; ხვარამზე; ზევინარი; მზისახარ... და მამაკაცთა სახელი: მზეჭაბუკი. ავთანდილ მერაბაშვილის გადმოცემით, ქართლში ხშირი ყოფილა სახელი: მზისთვალა.

არსებობს სოფელი „მზეთამზე“ (წაღვერთან)

ამ სახელთა რიცხვს გარდა, რომელს შეიძლება კიდევ აკლია რომელიმე, ქართულ ენაში არა ერთი გამოთქმაა, რომელიც მზის ღმერთობის დროიდანაა დარჩენილი: –

ჩემმა მზემ; შენმა მზემ; მისმა მზემ; ამომავალი მზის მადლმა, – ყველა ეს თქმა არის ფიცი ღმერთის წინაშე, ხოლო შემდეგნი გამოთქმანი კი დაწყევლას აღნიშნავენ –

მზე დაგიბნელდეს; მზე გასაქრობო; მზე არ გასაშვებო; მზე არ გასაშვებელო.

შემდეგნი თქმანი კი დალოცვას გულისხმობენ –

მზით გაიხარე; მზის ყურებით გაგაძღოს ღმერთმა... – და ამას გარდა გამოთქმანი: მზიანი პირი, მზისიერი, მზის თვალი, ცხრა თვალა მზე.

მზესთან დაკავშირებულნი წყევლითნი სიტყვანი სიკვდილის სურვილს მოასწავებენ, ხოლო დალოცვითი სიტყვანი – მრავალჟამიერ სიცოცხლეს უსურვებენ.

ამას გარდა, „მზეგრძელობა“ არის სიცოცხლის გრძელი ხანა; „მზეკეთილობა“ არის კეთილი, ბედნიერი ცხოვრება; „მზეობა“ სილამაზის მაჩვენებელია; „ენამზეობა“, ანუ „მზეენაობა“, ანუ „მზენაობა“ არის მჭერმეტყველება, ლამაზი ლაპარაკი. აზიური ენებისა არ ვიცი, ოღონდ არც ერთ ევროპიულ ენაში მზე ასე მდიდრულად გამოყენებული არ არის, როგორც ქართულში. 174.

რამდენად სიტყვა „მზეგრძელობა“ გავრცელებული იყო ხმარებაში, ამას გვაჩვენებს ის საკვირველი მოვლენა, რომ ქართულ რელიგიურ მწერლობაშიც კი გამოყენებულია ეს ცნება. ექვთიმე თაყაიშვილს მოაქვს ცნობა, რომ მდინარე წალკის ნაპირას მეთერთმეტე საუკუნის დამლევს აგებული ეკლესიის ქვაზე შემდეგი თქმა არის ამოჭრილიო –

„აღვაშენე წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ... სალოცველად მზეგრძელობისა და სულისა მათისათვის და სალოცველად ძისა მათისა ლიპარიტ ერისთავისა მზეგრძელობისათვის“-ო. 175.

7. მზე ქართულ ხალხურ პოეზიაში

ჩემდა სავალალოდ, საშუალება არა მქონდა აქ, უცხოეთში ქართული სახალხო პოეზიის შესახები მასალანი მომეპოვებინა. მაგრამ მაინც სანიმუშოდ რამოდენიმე ლექსი გამოგვადგება.

სახალხო პოეზიაში ხშირია დედაკაცის შედარება მზესთან –

ეეო, მეო, ქალო ქალთა მზეო...

ქალო ეშხითა მორთულო,
დღისით მზევ, ღამით მთვარეო...

ქალო, ამ თვალთა ნათელო,
ქალო სახე გაქვს მზისაო...

ცაში ნაბანო ვარსკვლავო
ხელთ დასაჭერო მზისაო...

შუქი გაქვს ნათელ მზისაო...

სილამაზითა მზეს ჰგევხარ
დილით რომ მოეფინება...

წიგნი არ მიმიწერია
ჯერ ამის მეტად მზისთვისა...

დილით მზე ამოსულიყო,
შენ ამოუსწარ წინაო...

ცოლი გამიხდა ავათა,
ცოლი მზის ამომავალი...

აენთები მზესავითა...

შენსა მოსვლასა მზე მოჰყვა,
შენს წასვლას შავი ღრუბელი

ნეტა რა არის მისთანა,
ამომავალი მზისთანა...
დედის ძუძუით ნაზარდი
ქეთევან დედოფლისთანა... 176.

პირით მზეო, ღაწვით ვარდო,

შუქი მოგივალებია...

პირი მიგიგავს მთვარესა,

ანათებ ბნელსა ღამესა...

თინათინი არე-მარე

ჩემო მზე და ჩემო მთვარე...

ფერი მიგიგავს ღვინოსა

ჭიქაში მდგომიარესა.

მზენი არ დეიჩრდილება

შენსა არესა-მარესა. 176ა. გვ. 84–86.

დასკვნა

ძველ ქართულ წარმართულ რელიგიაში, როგორც ვნახეთ, მზეს პირველი ადგილი უჭირავს. ეს პირველობა დაკავშირებულია მზის თაყვანებასთან, ან მითრაული რელიგიის, ან ასტროლოგიური თეოლოგიის გზით, – უფრო სწორე იქნებოდა, გვეფიქრა, – ორივე გზით; და რადგან მზეს პირველი ადგილი უკავია, ამიტომ ბუნებრივია წმიდა გიორგიც, რომელი მზის გამოხატულებას წარმოადგენს, ქართველთა შეგნებაში მზის უფლობის გამომხატველი ყოფილიყო. და იყო კიდეც.

მზის თაყვანების უძველესი ხანიდან დღემდე დარჩენილია არა ერთი და ორი ცნება ფიცის წარმოთქმისა, – დალოცვის, ან დაწყევლის სიტყვა.

ქართულ ძველ თქმლებაში და ზღაპარშიც მზე არის დედაკაცი, და ამის შედეგად დედაკაცთა ბევრი სახელი მზესთანაა დაკავშირებული, – ამ კავშირს არსებითად რელიგიური საფუძველი აქვს, ოღონდ ამასთანავე ეს სახელნი აგრეთვე შვენებითი მნიშვნელობისა არიან, სილამაზის გამომხატველნი, – და ამნაირად: ესთეტიური შეგრძნობისა.

თვით ქართულ სახალხო პოეზიაში მზე გამოყენებულია სილამაზის დასახატავად: მზეს შეედარება დედაკაცი, ამ შედარების საფუძველი არ არის მზის თაყვანებაში; მზე თავისთავადაა ლამაზი ბუნებრივად, – და ეს სილამაზე დედაკაცზეა გადატანილი, – ამნაირად, ქართული სახალხო პოეზიისათვის მზეს ესთეტიური მნიშვნელობა აქვს.

***

1944 წელს ბერლინის ქართულ კრებულში დავბეჭდე ჩვენი დიდებული მწერალის გრიგოლ რობაქიძის წერილი, სადაც იგი სხვათა შორის, მზის საკითხს ეხებოდა, სათაურით: „მზის ხანა ქართველთა“. –

1. დიდი ბრძენის პლოტინონის მსოფლხილვაში გვხვდება: „თვალი მზიური“. გოეთემ მზიურობა თვალისა ერთ თავის შაირში შესანიშნავ ხტილად გამოჰკვეთა: თუ არ იყოს თვალი მზიური, ვით შეეძლოს ხილვა მზისა? მტევნის მწიფობის დროს ქართველი მევენახე ამბობს: „თვალი ჩასულა მტევანში“. თვალით აქ ნაგულისხმევია მზე. პლოტინი, გოეთე, ქართველი მევენახე – სამივე დიდ საიდუმლოს აცნაურებენ, მხოლოდ ერთი განსხვავებით: პლოტინისათვის და გოეთესათვის თვალი „მზიურ“, ქართველი მევენახესათვის კი იგი მზეა თვითონ.

ხატული „სახეობის“ მხრით ქართველი მევენახის თქმას თვითონ გოეთეც არგუნებდა პირველობას. თვალი მზეა, ფიქრობს ქართველი, რადგან იცის, რომ „მზე“ და „მზერა“ სადღაც ეთანხმებიან ერთი მეორეს. გავიხსენოთ საბა სულხან ორბელიანის განმარტება სიტყვისა: „ღმერთი“: „წვა და ხედვა“. ეს განმარტება მზეზეა თითქოს გამოჭრილი. მზე იწვის, არ იფერფლება, იწვის და „მზერს“: ანათებს. „თვალი ჩასულა მტევანში“ – ეს ნამდვილი პოემაა ხსენებულ პოემასთან ერთად: „ირმის ნახტომი“.

2. უძველესი დროიდან სათაყვანო სიმბოლოდ მზისა „სვასტიკა“ ითვლებოდა: კაკვიანი ჯვარი, ბორბალში მოქცეული. ბორბალი ანიშნებდა მნათობის კოსმიურ ბრუნვას და ეს იმ დროს: როცა ნივთიერ კულტურაში ურემი ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი. ავიღოთ ეხლა ქართული დასახელება: „ურმის თვალი“. აქ თვალით ბორბალი იგულისხმება. აქვს ბორბალს თვალთან მსგავსება – ისე მაგალითად: როგორც ძირიდან მოჩუხჩუხე ნაკადს, რომელსაც ჩვენ „წყაროს თვალს“ ვუხმობთ? გარდა სიმრგვალისა არავითარი. საგულვებელია მაშასადამე, რომ ქართულ ხილვას – შერჩა სახულობა სვასტიკისა – და რადგან ამ ხილვაში მზე თვალად იყო ცნეული, ურმის გამოგონებისას ბორბალი ჯვარისა ურმის თვალში გადმოვიდა საგნურად. ეს როგორც ჰიპოტეზი მხოლოდ.

3. მზე არის სიცოცხლის თესლი. ქართული ენის მკვლევარი მიხ. წერეთელი გვამცნევს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულში ფესვს: „ცხ“. – მისი აზრით, „მუცელის“ პირვანდელი ფორმა იყო „მუცხელი“. მთავარი აქ „ცხ“ არის, როგორც სიტყვაში „სიცოცხლე“ – შესატყვისი რუსულში: „ჟივოტ“, „ჟიზნ“, გერმანულში: „ლაიბ–ლებენ“. თუ ეს ასეა, მაშინ მსიცოცხლენ და მცეცხლინ სიტყვიერი ტყუპები ყოფილან. როგორ გაიხარებდა ჰერაკლის ეფესელი, სცოდნოდა მას: რომ რომელიღაც ენაში „სიცოცხლე“ ნააზრევია ვითარ „ცეცხლი“. სწამდა ხომ მას, რომ სამყაროს ძირითადი თაური ცეცხლია.

4. ცხოველთა შორის ყველაზედ უფრო ცეცხლოვანი ცხენია. იმავე მკვლევარის მიგნებით, სიტყვაში „ცხენი“ იგივე ფესვები ცოცხლობს.

5. მზისგან იშვის სხივი და ნივთიერი იღებს „სახეს“ – იმდენად, რამდენად იგი სხივმფენია. მხოლოდ სხივის გამოკრთობით ეზიარების ნივთიერი ღვთიურსა: იქცევა „სახიერ“. არც ერთ ენაში არ იხმარება სიტყვა ზედშესრული „სახიერი“ ღვთის მიმართ ისეთი ღრმა მნიშვნელობით, როგორც სწორედ ქართულში. რაც სახიერია, ის ღვთიურია – ასე ვგონებთ ქართველნი.

6. საუბარში ჩვენ შეფიცვის თუ შეჯერებისას ვხმარობთ ასეთ თქმას: „ჩემმა მზემ“, „შენმა მზემ“: თითქო ყოველ ადამიანს თავის საკუთარი მზე ჰქონდეს. „ვეფხისტყაოსანი“, ეს მზეთანაზიარობა პირდაპირ კოსმიურ ყალიბს იღებს. გავიხსენოთ დაუვიწყარი წერილი ნესტანისა, რომლითაც იგი, ქაჯეთის ციხეში დატყვევებული, ტარიელს, მის მეტრფეს, ანუგეშებს:

„მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი.

განაღამცა მას ეახელ მისი ეტლი არ თუ წბილი.

მუნა გნახო, მადვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი“.

აკადემიკოსი ნ. მარი ამ სიტყვებში ნეო-პლატონიზმის გამოძახილს ხედავს, ხოლო არ იცის მან, რომ თვითონ ნეოპლატონიზმში ეს გზნება მზიურობისა ოქროს ხანიდანაა გადასული. მარადიულ განსხეულებას მზიურში აქ კიდევ უფრო აძლიერებს გენიალური ხტილი ქართული ზმნისა: მარადი მყოფადი. მითიურმა დრომ მხოლოდ აბსოლუტური აწმყო იცის, რომელიც „წარსულად“ არ იქცევა და „მომავალი“ შინაგან აქვს უკვე. ნესტანი არ ამბობს: „გნახავ“, „დაგსახავ“, „განმინათლებ“, არამედ „გნახო“, „გსახო“, „განმინათლო“.

7. მზე სათავეა სინათლის, რომელიც სიბნელეს ებრძვის. ამ შებმაში წარმოიშვის „ფერი“. – და სხვა.

ესეც ქართული აზრია მზის მზეების შესახებ!

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მეორე

მზე ქართულ ქრისტიანულ მწერლობაში

1. მზე ქართულ სასულიერო „ცხორება“-ში

2. მზე ქართულ საგალობელში

დასკვნა

1. მზე ქართულ სასულიერო „ცხოვრება“-ში

დროთა განმავლობაში მზეს უკვე დაეკარგა თავისი წარმართული რელიგიური მნიშვნელობა. ქრისტიანობამ მნათობთა თაყვანის ცემას საძირკველი ამოუთხარა და მზე თვითონ შეითვისა, რასაკვირველია, არა როგორც სათაყვანებელი არსება, არამედ ვითარცა შედარება და განსამარტებელი ცნება მწერლობაში, ხოლო თეოლოგიურ ფილოსოფიაში როგორც სიმბოლო. ღმერთი არის მიუწვდომელი ნათელი. ღმერთი არის მზე – გონება, მზე არის ხატი ღმრთისა. ქრისტე გამოცხადდა მსოფლიო მზედ და მზე გაქრისტიანდა! ამიტომ სასულიერო მწერლობაში ყველგან და საქართველოშიც მზეს ხშირად ვხვდებით.

ძველი ქართული მწერლობის დარგიდან დიდად მნიშვნელოვანია ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ერთი დარგი – „მარტვილობანი“, ანუ მოწამებრივი სიკვდილი, და ე.წ. „ცხორებანი“, ანუ ცხოვრება წმიდა კაცთა.

უეჭველია, ქართულ სასულიერო მწერლობას ბერძნულთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა და ქართული გამოთქმანი ბერძნულისაგან არ განსხვავდებიან არც შინაარსითა და არც სახით. ვინაიდან ორივე მწერლობაში ნათელსა და ვარსკვლავთ ერთი და იგივე დანიშნულება აქვთ – იღაღადონ ღმრთის დიდების შესახებ. ნათელი, მნათობნი, მზე, ვარსკვლავნი გამოყენებულნი არიან ერთი მიზნით – ღმრთის დიდებულების, სულიერი ცხონების, ანგელოზთა და წმიდათა დიდების დასახასიათებელად....

***

ევსტატე მცხეთელის მარტვილობაში, რომლის უძველესი ხელნაწერი მეთერთმეტე საუკუნიდან არის დარჩენილი, შემდეგი კამათია აღნიშნული:

„მზე და მთოვარე არა ღმერთ არიან, არამედ ღმერთმან მზესა განათლებაჲ დღისა უბრძანა და მთოვარესა და ვარსკვლავთა განათლებაჲ ღამისაჲ უბრძანა, ხოლო ღმერთ არ არიან. ღმერთმან ღა ღრუბელსა უბრძანის და მოეფინის ბრწყინვალებაჲ მზისაჲ და მთოვარისაჲ დაიბნელის. მზე და მთოვარე ამისათვის არა ღმერთ არიან, მერმე კვალად ცეცხლი არა ღმერთ არს, ამით, რამეთუ ცეცხლი კაცმან აღაგზნის და კაცმანვე დაშრიტის, რამეთუ კაცი უფალ არს ცეცხლისა, გინა ტყესა, გინა ველსა, გინა სახლსა, თუ კაცი დახვდის, დავეწვის, ხოლო ცეცხლსა ღა წყალი მიეახლის, ეგოდენი იგი ძალი ცეცხლისაჲ დაშრიტის და უჩინო იქმნის ცეცხლი იგი. ამით არა ღმერთ არს“. 117.

რაჟდენ პირველ მოწამის ცხორებაში მოთავსებულია ამგვარივე კამათი, სადაც გაქრისტიანებულ სპარსს რაჟდენს სპარსთა მეფე ეუბნება:

„შედგომილ ხარ სჯულსა უცხოსა, რომელი არა გვასწავეს მამათა შენთა, და ბრწყინვალისა მზისა წიაღ, და ცეცხლისა სხვათა მნათობთა მსახურებ ჯვარცმულსა კაცსა, რომელი ჰურიათა მოაკვდინეს“-ო.

ამაზე მეფეს რაჟდენი უპასუხებს –

„მე ქრისტიანე ქმნილ ვარ და დამეტევებიეს მამული უღმრთოებაი და არაღარა თაყვანის ვსცემ ცეცხლსა შემწველსა, არცა მზესა, კაცთათვის სამსახურად დაბადებულსა, არამედ ღმერთსა ცხოველსა, რომელმან ქმნნა ცანი და ქვეყანანი და ყოველნი რაი არს შინა ხილულნი და უხილავნი“-ო.

აქვე გაკვრით უნდა აღვნიშნო, რომ ზარათუშტრას, ან მაზდეიზმის რელიგიაში, როგორც ამას ქრისტიანები და მაჰმადიანები ამტკიცებედნენ, ცეცხლის თაყვანის მცემელნი არასოდეს არა ყოფილან. რასაკვირველია, მათ ამას შესწამებდნენ, რაც ბრძოლის იარაღი იყო. მაზდეანნი, – როგორც ამბობს რელიგიათა ცნობილი მკვლევარი მაქს მჲულლერ, – ცეცხლის მოთაყვანენი არ იყვნენო. 178. ანუ როგორც ამბობს ცნობილი მკვლევარი პროფ. შევტელოვიც: ძველ ირანელთათვის ცეცხლი არის წმიდა ელემენტი და მას ჰქვია შვილი აჰურა მაზდასიო. 179.

ზემოდ მოტანილი კამათი ძველ ქრისტიანულ საქართველოში ალბათ დაგვიანებულიც იყო და იგი ძველი დროის სუსტ გადმოძახილად უნდა ჩაითვალოს. რაც თვით ქრისტიანულ მწერლობას შეეხება, აქ უკვე უხვად გვაქვს მნიშვნელოვანი ცნობები მზისა და ვარსკვლავთა საკითხზე.

***

კონსტანტინე კახის მარტვილობაში, რომელი უცნობ ავტორს ეკუთვნის (853 – 856 წ. წ.), ნათქვამია –

„არც ღა ბრწყინვალე უჩნდა მას ნათელი მზისა ამის წარმავალისაჲ, არცა ღა ტკბილ უჩნდა მას სიმცხინვარე მზის თვალისაჲ“ ...

გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში ნათქვამია –

„საქმენი კეთილნი და ცხორებაჲ უბიწოჲ, რომელნიცა იგი ბრწყინვიდეს ვითარცა მთიებნი (ვენუსი) ზეცისა სამყაროსა ხილულსა ამას და განქარვებადსა მზესა ქვეშე. და აწ სულითა ბრწყინვალენი იხარბენ დაუსრულებელსა ნათელსა შინა“ ...

„ხოლო კურაპალატმან ჰრქვა: „სამართალ არს სიტყვაჲ შენი, წმიდაო, არამედ უმჯობეს არს განათლებაჲ სულთა მრავალთაჲ სასანთლესა ზედა გაბრწყინვებითა შენ, ბრწყინვალისა სანთლისაჲთა, ვითარცა ჰრქვა ქრისტემან მოწაფეთა თვისთა, ვითარმედ ვითარცა მცხინვარებაჲ მზისაჲ განანათლებს ცასა ქვეშე მყოფთა“, „ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა“.

ერთი ეპისკოპოსი კითხულობს გრიგოლ ხანძთელის შესახებ: „იგი ოდენ არსა ვარსკვლავი მნათობი?“ და მათ იხილეს წმიდა გრიგოლი ვირით მომავალი: „მისი სამოსელი ბრწყინავდა განუცდელი ნათელით“. „და მას ჭეშმარიტისა ნათლისა სამოსელი ჰმოსია“. შატბერდის ზოგნი მამანი „მადლითა ბრწყინვალე“, „კაცთა გამობრწყინვებითა, რომელ შორის ჟამთა ჩვეთა ბრწყინავდა ხევსა მას მიძნაძოროჲსასა დიდი იაკობ, ვითარცა მთიები შორის ვარსკვლავთა“.

ნეტარი გრიგოლი ნახეს სენაკში და მნახველებმა „იხილეს ბრწყინვალებაჲ დიდ ძალი“. „იხილა წმიდა იგი (გრიგოლ) ხელ განპყრობით და გვამით გამოვიდოდეს ნათლისა ისარნი ჯვარის სახედ. და დიდებითა შემკულ იყო და ესრეთ ბრწყინავდა, ვითარცა მზე“.

„მაშინ ნეტარი იგი მამაჲ გრიგოლ და ზენონ სიტყვითა მდაბლითა ფსალმუნებდეს და მადლმან საღმრთომან განაბრწყინვა იგინი ნათლითა დიდებისათა და სახლი იგი ბნელი, ვითარცა მზისა მცხინვარებამან, განანათლა“.

წმიდა შიოს ცხორებაში ნათქვამია –

„ხოლო თვისითა მოქმედებითა (იოანე) გამობრწყინდა ვითარცა ვარსკვლავი განთიადისა“; „ინება ზეგარდმო განგებამან, რაჲთა არა იყოს დაფარულ ბრწყინვალე იგი ვარსკვლავი, ამისათვის გამოაცხადა იგი (ქრისტე) კაცთა შორის“; მამანი „ნათელნი სოფლისანი“. „მნათობი და განმანათლებელი ყოველთა მხილველთა მისთაჲ“; „მეგობარ იყო მის მნათობისა სვიმეონ მესვეტისა“; „კაცნი წმიდანი და ყოვლითურთ ღმრთისა სათნონი, ნათელნი სოფლისანი... განმანათლებელი სოფლისანი“; „ათორმეტნი კაცნი (მოციქულნი) ბრწყინვალენი“; „კაცი ბრწყინვალე“; „ესევითარი მნათობი“; „სულითა განათლებულ“ ...

წმიდა ნინოს ცხორებაში (მეათე საუკუნის ნაწარმოები) ნათქვამია –

„წარუდგა მას კაცი ბრწყინვალე ხილვითა“; „იხილა ნეტარმან ნინო კაცი ბრწყინვალე“; და „იხილა ჭაბუკი მან ნათლითა შემოსილმან აღჰმართა ძელი (სვეტიცხოველი) იგი აღმართებით ადგილსა მას“; და ძელი „გამოსცემდა ბრწყინვალებასა“; და მეფემ იხილა „ელვარებით ბრწყინვალე და სვეტი იგი“; „სვეტი იგი ნათლით შემოსილი მცირედ მცირედ მოვიდოდა“; სასწაულნი „იქმნბოდეს სვეტისა მისგან ბრწყინვალისა“ ...

გიორგი ათონელის ცხორებაში (მეთერთმეტე საუკუნის თხუზულება) ნათქვამია ილარიონის შესახებ –

„ვითარცა მთიები, ბრწყინავდა კრებულსა შორის მამათაჲსა“; გიორგი ათონელი „ვითარცა ნათელი მზისა ბრწყინავს“; „ვითარცა შარავანდედი მზისაჲ, წარიძღვანა (გიორგიმ) უფლისა მიმართ“; გიორგის გარდაცვალების გამო ნათქვამია, მან გვიჩვენაო: „სიწმიდესა შინა იგი ნათელი მშვიდობისაჲ, ანუ ვინაჲ (საიდან) მოგვეფინოს ჩვენ შარავანდედი, ვინათგან დაჰხდა (ჩავიდა) მნათობი ჩვენი! ეჰა ბოროტი სიბნელე, რამეთუ მზე, მნათობი ჩვენი, დაჰხდა“...

დავით და კონსტანტინეს მარტვილობაში, მათი წამებისა და ტბაში ჩაგდებისა გამო ნათქვამია –

„ბრწყინავდეს წყალთა მათ შინა, ვითარცა მთიებნი (ვენუს, ცისკრის ვარსკვლავი) განთიადისანი“; „და იხილნეს წმიდანი იგი გვამნი მოწამეთანი ბეჭთა ზედა წყალთასა, რომელნი ნათობდეს, ვითარცა მზის თვალი“...

რაჟდენის მარტვილობაში (მეთორმეტე საუკუნის თხუზულება) მისვე შესახებ ნათქვამია –

„რამეთუ ვითარცა ღამესა შინა ბნელსა აღმობრწყინდების მთიები და შემდგომად მისა სხვანი ვარსკვლავნი შეუდგიან და მის თანა გამობრწყინდიან, ეგრეთვე ესე ექმნა წინამძღვარ მოწამეთა“ რაჟდენსაო...

არჩილ მეფის მარტვილობაში (მეთერთმეტე საუკუნის ნაწარმოები) იწყება სიტყვით –

„ბრწყინვალე არს და დიდებულ ხსენებაჲ მოწამეთაჲ“; არჩილი არის „მოწამეთა შორის მნათობი“... სახელოვან ბრწყინვალებითა ღვაწლითაჲთა... ვერ დაფარული ბრწყინვალებაჲ ღვაწლთა მისთასა და ბრწყინვალებისა... ბრწყინვალე იგი ღვაწლინ; არჩილ მეფე იყო შესახედავად და ტანით ბრწყინვალე და უფრო „შინაგანი სულისა ბრწყინვალებითა“; და სიკვდილის შემდეგ „გამობრწყინდეს, ვითარცა მზე აღთქმისა“... არჩილმა მიუგო: „ბრწყინვალითა და მაღლითა ხმითა“...

პეტრე იბერიელის ცხორებაში, რომელიც შედგენილია მისი მოწაფე ზაქარია ქართველის მიერ და შემდეგ ქართულადაა ნათარგმნი (მეცამეტე საუკუნე), მოწაფე მოძღვარს უწოდებს: „მნათობი პალესტინისა და უფროჲსად ყოვლისა სოფლისა“; მამა მის ბაკურს მეფეს „წარმოუდგა მას ანგელოზი უფლისაჲ ბრწყინვალე და დიდებული, მოსილი სამოსლითა სპეტაკითა ელვარედ და ბრწყინვიდა პირი მისი ვითარცა მზის თვალი“; პეტრემ „იხილა სიმაღლეთა შინა ცათასა ეკლესიაჲ შვენიერად შემკობილი და ბრწყინვიდა ვითარცა მზე“; და იქ იყვნენ „კაცნი ბრწყინვალენი და მგალობელნი“; „და იქმნა პირი მისი (პეტრესი) ვითარცა პირი ანგელოზისა გაბრწყინვებულ“; ერთი ბერი მოუთხრობს პეტრეს: „ვიხილე გარდაცვალებული ბერი ვინმე (გამოქვაბულში) შვენიერი და პირი მისი მნათობდა ვითარცა მზე“; „რამეთუ იყვნის წმიდანი იგი (პეტრე და ესაია) ვითარცა ორნი მნათობნი დიდნი სოფელსა შინა“; „სამნი კაცნი გვირგვინოსანნი და ბრწყინვალენი დიდად“: პეტრეს გარდაცვალების შესახებ ნათქვამია – „დააკლდის ესევითარსა მნათობსა“; და „სულნელებაჲ გვამისა მისისაგან ესევითარი გამოვიდოდა, რომელს სძლევდა და დაჰფარვიდა ყოველსა სულნლებასა ამის სოფლისასა, ვითარცა მზე ვარსკვლავთა ნათელთა“...

სიბრძნე ბალაჰვარისა (მეთორმეტე, ან მეცამეტე საუკუნეში) გადმოგვცემს: ბალაჰვარის სიკვდილისას „განბრწყინდა პირი მისი“; იოდასაფმა გაიღვიძა „და განბრწყინდა და მტკიცე იქმნა სულითა“...

მარიამ (აბრაამის ძმის წულის) გარდაცვალებისას „იხილის პირი მის, რამეთუ განბრწყინდა ვითარცა მზე“ (მეათე საუკუნის ხელნაწერი).

2. მზე ქართულ სასულიერო საგალობელში

აბოს საგალობელში (მეთორმეტე საუკუნე) ნათქვამია –

„ვითარცა მნათობმან და მოღვაწემან“...

კონსტანტინე კახის საგალობელში (მეთერთმეტე საუკუნე) ნათქვამია –

„რამეთუ ნათლისა გამობრწყინვებითა განაქარვე ღამე იგი“; „რომელმან მოსცნა წმიდანი მოწამენი მნათობად სოფელსა და ეკლესიაჲ განაბრწყინვა“...

იოანე ზოსიმეს გალობაში (მეათე საუკუნე) გალობა არის ბრწყინვალე.

იოანე მინჩხის ნაწარმოებში (მეათე საუკუნე): „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანი“ ნათქვამი არის მაცხოვარის ჯვარცმის შესახებ – „ცანი იგლოვდეს და აღივსნეს მნათობნი მწუხარებითა, ხოლო განათლდეს ბნელისა მყოფნი ნათლისა უხილავისა ბრწყინვალებითა“; იმავე იოანე მინჩხის შესხმაში მეფე თევდორესადმი ნათქვამია –

„ვითარცა მზემან ნათელმან განანათლა გონებანი... და გამობრწყინდა ვითარცა ნათელი მზისაჲ“; ღმერთმან „დაგამკვიდრა შენ, სადა თვით ნათობს ნათელი მისი!... ნათლითა სავსე მარადის ჰნათობ წინაშე ღმრთისა“...

ოანე მტბევარი (მეათე საუკუნე) თავის გალობაში „შობისათვის უფლისა“ ამბობს –

„დიდებაჲ პირველ მზისა შობილსა ძესა“, ესე იგი, იესო ქრისტისა...

ბასილის საგალობელში ნათქვამია –

„რომლითაცა განჰბრწყინდი, ვითარცა მთიები სამყაროსა და ჰნათობ სოფელსა“; „ყოველი ვაკურთხევთ სოფლისა მნათობსა, დიდსა ბასილის!... სიტყვა შენი უზეშთაეს მზის თვალისა განბრწყინდა“...

მიქელ მოდრეკილის საგალობელში (მეათე საუკუნე) ნათქვამია –

„გამობრწყინდა დღეს მნათობი, ნათელი შეუხებელი, ქრისტე, მზე სიმართლისაჲ“. მიქელ მოდრეკილს წმიდა აბოს შესახებ ნათქვამი აქვს –

„ვარსკვლავად მნათობად გამობრწყინდი, მხნე მოწამეო აბო, და საღმრთოჲთა ნათლითა განანათლენ ქართლისა მყოფნი“...

იესო ქრისტე „თვით მნათობი ნათელი, თვალშეუდგამი, სოფლისა განმანათებელი“...

და აბოს შესახებ ამბობს იგივე მეორე საგალობელში –

„გამოშჩნდი ვარსკვლავად მნათობად, განმანათლებელად ქართლისა, ნეტარო, და ღვაწლი შენი უფროის ნათელსა მზისასა ბრწყინვალედ გამოჩნდა სახედ ელვისა, ბრძენო!“; „ბნელთა მათ აირთა... ვითარცა ვარსკვლავი გამობრწყინდა ქრისტეს მოწამე და არეთა შინა ჩრდილოისათა გამობრწყინდა ნეტარი ჰაბო და ჰნათობს ქართლისა მკვიდრთა“; ქრისტე „ნათელი არსებაჲ“; და შემდეგ აბოს შესახებ ნათქვამია – „გამოჩნდა ზეცით ვარსკვლავი მოტყინარე ღამესა ბნელსა მზეებრ ბრწყინვალე გვამსა ქრისტეს მოწამისა!“; ხოლო მისი (აბოს) ძვალნი, მდინარეში ჩაყრილნი, „ბრწყინავდნენ წყალთა შინა, ვითარცა მთიებნი ყოვლად მნათობიერნი“; „დაუსაბამოსა მზისა ნათლისა ნათლის ღებითა დამდაბლებულ არიან და დაბნელებულ უკუნისამდე მავნებელნი სულნი ბოროტნი და მზეებრ მნათობენ ნათელ ღებულნი ადამეანნი“; „ხოლო ქრისტეს მიერ ნათობს სულითა სასუფეველსა“; „ხოლო იგი (ჰაბო) ბრწყინავს წინაშე ღმრთისა ნათელსა შინა უკუნისამდე“; ღმრთისმშობელი „უნათლეს მნათობთა სამყაროჲსათა“...

ეზრას საგალობელში (მეათე საუკუნე), რომელიც მიძღვნილია ევთიმესადმი („დასდებელნი წმიდისა ევთიმე მოღვაწისანი“), ნათქვამია:

„და გიხარის მართალთა თანა სასუფეველსა შინა, სადა თვით ნათობს ბუნებითი იგი ნათელი (ანუ ქრისტე!)“; „ქრისტეს ნების მყოფელო, მადლითა შემკობილო ევთიმი სანატრელო, ამისათვის ჭეშმარიტად აქავე პატივს გცა ქრისტემან, რამეთუ ჰყოფდი სასწაულთა, და აწ მყოფხარ მათ თანა, რომელთა ნათობს ნათელი პირისა მისისა (ქრისტესი!)“; „აღუწოდა ღმერთმან მოსეს სინად მთისა თავსა ზედა და მუნ განათლდა პირი მისი ვითარცა მზე, ხოლო შენ ზედა სანატრელო მამაო, თვით მოვიდა სული იგი სახიერი, დადგრა შენთა თანა და განგანათლა შენ უნათლეს ნათელსა მზისასა“; „სამებისა ნათლითა ჰნათობდი, ღირსო“; „ღირსო ევთიმი, არაჲ მოაკლდე ნათელსა ბრწყინვალესა თვალთა შეუდგამსა სამებისასა“; „ნათელსა სამარადისოსა, რომელსა გსურდა, აწ მკვიდრ ხარ, მამაო, ნუ დამივიწყებ ჩვენ, ევედრებოდე ქრისტესა მხსნელსა ჩვენსა რაჲთა სრულიად განაქარვნეს მზაკუარებანი მტერთა ჩვენთანი“...

იოანე ქონქოზის ძე (მეათე საუკუნე) თავის საგალობელში აბოს შესახებ ამბობს –

„ჭეშმარიტად ღირსებასა შენსა ნათელი იგი ზეცისაჲ“...

კურდანაჲ (მეათე საუკუნეში) თავისი საგალობელით ამბობს –

„ნათელი უკვდავი მოეფინა ბნელსა მყოფსა“.

გიორგი ათონელი (1005 – 1065) ერთ თავის საგალობელში ამბობს –

„ხატი და ბრწყინვალებაჲ ღმრთისა მამისა“; „მნათობი თვით მნათობი განკაცენ ჩვენთვის“ (ე. ი. იესო ქრისტე); „აღივსო დღეს ყოველი ბრწყინვალებითა“; „ეთბამად იშვებს ცაჲ და ქვეყანაჲ“...

ეზრა ათონელი (მეთერთმეტე საუკუნე) ერთ საგალობელში ამბობს –

იოანე ქართველო, „ბრწყინვალებითა მადლითა შენისაჲთა განგვანათლენ მადიდებელნი შენნი“; „ჰნათობდე სათნოებათა შენთა ელვარებითა ყოველთა ცის კიდეთა“...

ბასილი (მეთერთმეტე საუკუნე) ევთიმე მთაწმინდელზე ამბობს –

„ბრწყინვალეო ნათელო მღვდელობისა“ „საცნაურად ბრწყინვალე ყო სახელი შენი ყოველთა ტომთა შორის და, ვითარცა მზე ბრწყინვალე ჰნათობ ეკლესიისა სამყაროსა, ნეტარო“; „ჰნათობ ვითარცა მზე ბრწყინვალე“; „და მნათობთა ბრწყინვალედ დაგადგინა რათა ჰნათობდე ბნელსა შინა უმეცრებისასა დანთქმულთა“; „მამაო სანატრელო, და განაბრწყინვე სული შენი ნათლითა სამებისა წმიდისათა“; „სრბაჲ შენი აღასრულე მიუდრეკელად გზასა ღმრთისა მცნებათასა და მყუდროდ ნავთსადგურად მიიწე და აწ შეერთებულ ხარ შენ კრებულსა თანა წმიდათასა, ცხორებასა მას უცვალებელსა, ნათელსა მას დაუღამებელსა და სუფევასა დაუსრულებელსა“; „და ძლევა მოსილი ნათელსა ღმრთეებისასა დაემკვიდრე“; „იხარებდე, ღირსო მამაო, ბრწყინვალეო მნათობო მღვდელობისაო“; „და ეკლესიისა ბრწყინვალე მნათობო“; „ღირსო და ბრწყინვალეო მნათობო ეკლესიისაო“...

ზოსიმე ათონელი (მეთერთმეტე საუკუნე) თავის საგალობელში ამბობს –

„ღმერთი მამისა ნათელო“; „და ნათელი სიწმიდისაჲ მომმადლე“...

მცირე კარიჭის ძეს (მე-12 საუკ.) უთარგმნია ბერძნულიდან გრიგოლ ღმრთისმეტყველის საგალობელი, სადაც ბასილ დიდის შესახებ ნათვამია:

„ქადაგი ჭეშმარიტებისაჲ და თვალი ბრწყინვალე“; „ჰე, განათლებულო და ბრწყინვალე“; „ცხორებაჲ შენი, ვითარცა ელვაჲ, ბრწყინავს კიდით კიდედმდე ქვეყანისა“...

დავით აღმაშენებელი (1181 – 1125) თავის „გალობანი სინანულისანი“-ში ამბობს –

„მარტიო სულ სამ მზეო, ერთ ცისკროვნებაო (ანუ ღმერთო სამებაო) განმინათლე მხედველობაჲ სულისაჲ, რათა გიხილო ნათელი უფლისაჲთა, სულითა ღმრთისაჲთა ძე გამოგვიბრწყინვო მაშინ დაუსრულებელთა საუკუნეთა. არაჲ უხილავს მზესა ქალწული დედაჲ თვინიერ შენსა, არცა ჩემოდნად ბრალეულსა ნათელი მისი, გარნა მე შენითა ოხითა, დედოფალო, ვესავ ხილვად ნათელსა ძისა შენისასა და ნათელსა ზეშთა საუკუნეთასა“...

დავით აღმაშენებელის შვილი **დიმიტრი მეფე** (1125 – 1154) მგოსანიც იყო და ცნობილია ქართულ ეკლესიაში საგალობელად მიღებული მისი ერთი ლექსი, ღმრთისმშობელისადმი მიმართული –

შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული,

ნორჩი კეთილი, ედემში დანერგული,

ალვა სუნელი სამოთხით გამოსრული,

ღმერთმან შეგამკო, ვერვინ გჯობს ქებული,

და თვით მზე ხარ გაბრწყინვებული...

იოანე პეტრიწი ანუ **პეტრიწონელი** (მეთერთმეტე–მეთორმეტე საუკუნე) სთარგმნის იოანე სინელის (მეშვიდე საუკუნეში) გალობას, სადაც ნათქვამია –

„იწყე ბრძენო გონებას, სოფელი მოიძულვო, არ მყოფსა მყოფად ნუ ჰყოფ, თვით მყოფსა უფროს მართალ საუკუნოსა მზისა...

იოანე პეტრიწონელს ეკუთვნის იამბიკო; ერთ ლექსში იგი სწერს –

„დიდისა მზისა სვიმეონ ყოვლადისა სამყაროს სუეტი ეკიბების ცათა“... 180.

იეზეკიელი (მეთერთმეტე–მეთორმეტე საუკუნე) ერთ გალობაში ამბობს –

ნათელთა შორის უღამოსა

დაუვალის მზისა ელვარებითა

უმიმწუხრო, მართალთა საშვებელსა თან

შვებულება მითხოვე უფლის, სვიმეონ... 177.

ნიკოლოზ გულაბერიძე (მეთორმეტე საუკუნე) სვეტიცხოველისადმი გალობაში ამბობს –

„გიხაროდეს მზებრთა ოქროს სახეთა შუქთა გულსა მორწმუნეთასა ისრებ მსროლელო!... გიხაროდენ მზეო დაუვალო ყოვლად ბრწყინვალეო ნათელო, ნათელთა მძლეო ელვარებითა“.

არსენ ბულმაისიძე, საქართველოს კათალიკოსი, (1224 – 1233) ერთ თავის საგალობელში ქალაქ კონსტანტინოპოლის შესახებ ამბობს –

„ქალაქთა მზემან“ დაიმკვიდრაო. 180. გვერდი 344.

საბა სვინგელოზი (მეცამეტე საუკუნე) სწერს:

„ქადაგებულსა არსთა დამწყებსა, უსაწყისოსა ნათელთა, მამასა ძით და სულით წმიდითურთ, ღმერთსა ერთარსებით ქებულსა, სამგვამოვანსა ბრწყინვალებასა, ვადიდებდეთ“...

გიორგი ხუცეს მონაზონის გლოვაში გიორგი მთაწმიდელის შესახებ ნათქვამია –

„აჰა ბოროტი ესე სიბნელე, რამეთუ მზე, მნათობი ჩვენი დახდა“... 181.

გრიგოლ ხანძთელის მეხუთე გალობაში –

ნათელი საღმრთოჲ გამოაბრწყინვე, ქრისტე,

სოფლისა შინა ცხოვრების მომცემელი...

შთახდა საფლავად სოფლისა შემოქმედი,

მღვიმესა ბნელსა დაიდვა თვით მნათობი

შეუხებელი ნათელი უსხეულოჲ,

დღეს აღმობრწყინდა მიერ მზეჲ სიმართლისაჲ

და განანათლა კიდენი სოფლისანი... 182.

ერთ ძლისპირშიც ნაგალობევია –

,,, და არესა შენსა

ღამისასა, ვითარცა

მზე აღმობრწყინდა საფლავით. (იქვე, გვ. 685).

ნომოკანონნი არიან კანონნი საეკლესიო ყრილობათა, რომელნი ბერძნულიდან არიან ნათარგმნი მეთერთმეტე საუკუნეში. იოანეს ნომოკანონში სწერია –

„აღადგინა მნათობნი ეკლესიათანი წმიდანი მღვდელმოძღუარნი და შორის მათსა ვითარცა ვარსკვლავი ბრწყინვალე და ნეტარი ბასილი კესარიელ“; „მნათობმან მან ეკლესიათამან“. 183.

თეიმურაზ ბატონიშვილის (1782 – 1834) ნარკვევში: „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“ ქართველ მოღვაწეთ არა ერთ ჯერ აქვთ სახელწოდება: მანათობელი, ნათელ მფენელი, მზე, როგორც მაგალითად –

მამა ანტონი ნაოხრებელისძე მესხეთელი... „ამას სახელ ედვის ქართველთა მზედ“; „მამა ნიკოლოზ მანათობელი“; „მამა სტეფანე ნათელ მთოველი“ და სხვა. 184.

დასკვნა

ქართულ სასულიერო მწერლობაში, თავისთავად ცხადია, უარყოფილია მზისა და საერთოდ ვარსკვლავთა ღმერთობა. მზე, მნათობნი, ვარსკვლავნი და მათნი ბრწყინვალებანი ქართულ რელიგიურ თხუზულებებში გამოყენებულნი არიან შემდეგი სახით

სამება (მამა ღმერთი, ძე ღმერთი (იესო ქრისტე ღმერთი), სული წმიდა ღმერთი) – ნათელი, ნათელი ბრწყინვალე თვალთა შეუდგამი სამებისა; ნათელი სამარადისო; ნათელი სამებისა წმიდისა; სამი მზე და ერთი ცისკროვნება; უსაწყისო ნათელი; სამგვამოვანი ბრწყინვალება.

ღმერთი – ნათელი; დაუსრულებელი ნათელი; სასუფეველი, სადა ნათობს ნათელი მისი; დაუსაბამო მზის ნათლისა ნათელი; ნათელი შინა უკუნისამდე; მართალი საუკუნო მზე.

იესო ქრისტე – ბრწყინვალე ვარსკვლავი; ნათელავი უხილავი ბრწყინვალება; პირველი მზე შობილი; მნათობი; ნათელი შეუხებელი; მზე სიმართლისა; მნათობი ნათელი; თვალ შეუდგამი, სოფლისა განმანათლებელი; ნათელი არსებაჲ; ბუნებითი იგი ნათელი; ნათელი პირი; მნათობი განკაცებული; ნათელი ძე; შეუხებელი ნათელი უსხეულო; მზე საფლავით აღმობრწყინვებული; ხატი და ბრწყინვალება ღმრთისა მამისა.

სასუფეველი – ნათელი ღმრთეებისა; სუფევა დაუსრულებელი და ნათელი დაუღამებელი; ნათელი ზეშთა საუკუნე; ნათელი უღამო; ნათელი დაუსრულებელი.

ღმრთისმშობელი მარიამ – უნათლეს მნათობთა სამყაროჲსა; მზე გაბრწყინვებული.

ანგელოზნი – ბრწყინვალენი; ელვარენი ვითარცა მზის თვალი.

მოსე წინასწარმეტყველი – ნათელი პირით ვითარცა მზე.

წმიდანი კაცნი – მნათობნი ვარსკვლავნი; ბრწყინვალენი ვით მთიებნი (ცისკარი) ვარსკვლავთა შორის; ბრწყინვალენი ვითარცა მზე; ნათელნი სოფლისანი; მნათობნი და განმანათლებელნი სოფლისანი; ბრწყინვალენი ხილვითა; ვითარცა მთიებნი ბრწყინვალენი; ვითარცა ნათელი მზისა ბრწყინვალენი; ვით შარავანდედი მზისა; მზე; საცნაურად ბრწყინვალე; მზე ბრწყინვალე; თვალი ბრწყინვალე; მანათობელი ეკლესიისა; მანათობელი ვითარცა მზე; ეკლესიის ბრწყინვალე მნათობი; ბრწყინვალე მნათობი მღვდელობისა; დიდი მზე; მზე ვარსკვლავთა ნათელთა; ქართველთა მზე; მანათობელი; ნათელ მთოველი.

წმიდა მეფე თევდორე – მზე განმანათლებელი; ბრწყინვალე ვითა ნათელი მზისა; ნათლითა სავსე.

წამებულნი – მნათობნი; ბრწყინვალენი ვითარცა მზე; ვარსკვლავი მნათობი; საღმრთო ნათელი; განმანათლებელი; მზეებრ ბრწყინვალე; მზეებრ მანათობელი; ნათელი ზეცისა; განათლებული უნათლეს ნათელსა მზისასა.

წმიდანთა ცხოვრება – ბრწყინვალე ვით მთიები; ნათელი ბრწყინვალე.

სულნი წმიდანთა – ბრწყინვალენი; განათლებულნი;

საქმენი წმიდანთა – ბრწყინვალენი, ვითარცა მთიები; ვით ვარსკვლავი განთიადისა; უფროის ნათლისა მზისა ბრწყინვალე.

სამოსელი წმიდანთა – ბრწყინვალენი განუცდელი ნათელით.

გვამი წმიდანთა – გამომცემი ნათელისა; ვით ცისკრის ვარსკვლავი ბრწყინვალე; ძვალნი მათნი ბრწყინავენ; გვამი წმიდანისა ნათობს ვითარცა მზის თვალი; პირი გვამისა ნათობს ვით მზე; პირი გარდაცვალებულისა – ბრწყინვალე; პირი მისი ბრწყინვალე ვითარცა მზე.

წმიდა ძელი, სვეტიცხოველი – ბრწყინვალების გამომცემი; სვეტი ბრწყინვალე; სვეტი ნათელით შემოსილი; ყოვლად მნათობიერი; ვითარცა მთიებნი.

მადლი ღმრთისა – ბრწყინვალე ვითარცა მზე.

სიტყვა – ბრწყინვალე უმეტეს მზის თვალისა.

ხმა და გალობა – ბრწყინვალე.

ეკლესია – ბრწყინვალე ვითარცა მზე.

ქალაქი კონსტანტინოპოლი – მზე.

აი, ამგვარად არის გამოყენებული ნათელი და მზე, ბრწყინვალება ქართულ სასულიერო მწერლობაში. ნათელისა და მზის გამოყენებას აქვს სამ გვარი დანიშნულება: 1. ნათელი და მზე – სინამდვილე; 2. ნათელი და მზე – სიმბოლო; 3. ნათელი და მზე – პოეტური სამკაული.

ამნაირად, ნათელი და მზე ქართულ სასულიერო მწერლობაში, აქ ჩამოთვლილ მაგალითთა თანახმად, არის: 1. თეოლოგიური, და 2. ესთეტიური.

დასკვნა

ეს განხილვა თავისთავად უარჰყოფს უვიცთა მიერ გავრცელებულ შეხედულებას, თითქო ვეფხისტყაოსანში ნათელი და მზე რაიმე „მანიქეური“, ან „წარმართული“, ან „პანთეისტური“ ყოფილიყოს. ეს სიყალბე ვეფხისტყაოსანის შესახებ გავრცელებული იმ უვიცობით აიხსნება, რომლის მიხევით ნათელი და მზე უვიცთ მხოლოდ წარმართობაში, ან ნეოპლატონიზმში, ან ქრისტიანულ განხრაში ჰგონიათ აღმოაჩინეს.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მესამე

მზე ქართულ საერო მწერლობაში

1. მზე საისტორიო მწერლობაში

2. მზე ქართულ სიტყვა კაზმულ მწერლობაში

ა). ქართული ვისრამიანი

ბ). ამირანდარეჯანიანი

გ). ქილილა და დიმნა

3. მზე ქართულ საკარისკაცო პოეზიაში

ა). არსენ ბერის ქება

ბ). იოანე შავთელი

გ). ჩახრუხაძე

დ). უცნობი მელექსე

დასკვნა

ზოგადი დასკვნა

1. მზე ქართულ საისტორიო მწერლობაში

მეტად მნიშვნელოანია თვით ქრთული ისტორიული მასალა ძველი სარწმუნოების შესახებ, რამდენადაც იგი მწიგნობრულადაა გადმოცემული. „ქართლის ცხოვრება“, მაგალითად გვიამბობს, – მამასახლისობის ხანაში, ქალაქი მცხეთა განდიდდა და იქ ხალხი უმრავლეს იქმნაო და შემდეგ დაივიწყეს ღმერთი დამბადებელი თვისი და იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა და ვარსკვლავთა ხუთთაო. 185. „და ამას ჟამსა დაივიწყეს ღმერთი, დამბადებელი მათი, და იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა, და ვარსკვლავთა ხუთთა, და მტკიცე და უფროსი საფიცარი იყო საფლავი ქართლოსისა“... 185. გვერდი 24.

ვარსკვლავთ თაყვანების შემოღებას „ქართლის ცხოვრება“ ალექსანდრე მაკედონელს მიაწერს – უბრძანა ალექსანდრემ აზოს, რათა პატივ სცემდენ მზესა და მთოვარესა და ვარსკვლავთა ხუთთა. 186.

ო. ფონ ვეზენდონკის თქმით, მთვარისა და მზის თაყვანება საქართველოში შეიძლება ადგილობრივიც იყოს, ძველ ქართულ წარმოდგენათა გადმონაშთიო, ოღონდ სხვა გვარი უნდა იყოს ხუთთა მნათობთა თაყვანება. იგი გადმოღებული და შეთვისებული უნდა იყოს მესოპოტამიიდან, საიდანაც საერთოდ შვიდთა მნათობთა თაყვანება გავრცელდაო. მზის ღმერთის კერპად ძველ საქართველოში ჩაითვლება „ზადენი“, რომელი მითრას გაირანებულ კულტს შეეტყვისება, მაგრამ ეს უეჭველი არ არისო, – დაასკვნის ფონ ვეზენდონკი. 186. გვ. 84.

(ამას გარდა იხილეთ ნათელის შესახებ ჩემს წიგნში: „ვტნის ვარსკვლავთმეტყველება“).

***

რაც მზის პოეტურად გამოყენებას შეეხება, თუ ქართულ საისტორიო მწერლობას თვალს გადავავლებთ, პირველი შეხედვით გაგვაკვირვებს ის მოვლენა, რომ ქართულ ისტორიულ მასალაში, როგორიცაა „ქართლის ცხოვრება“, მზეს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ბუნებრივია, მზეს სათანადო ადგილი ეჭიროს სიტყვა-კაზმულ მწერლობაში, ოღონდ მზიური სტილი – ვარსკვლავებთან, მზესა და მთვარესთან შედარება ისეთი

გავრცელებული ყოფილა, რომ ისტორიის მწერალნი, უმთავრესად სწავლულნი ბერნი, სილამაზისა, სიუხვისა, და სამართალის შედარებისათვის და დასახასიათებელად მზიურ პოეზიას მიმართავენ.

დავით აღმაშენებელის შესახებ ისტორიკოსი ამბობს –

„ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემა ყოველთა მეფობათამან“ო. 185. გვ. 348.

დავით აღმაშენებელმა – მზეებრ მოაფინა წყალობა ყოველთა ზედა მკვიდრთა ქვეყანისათაო; („ქართლის ცხოვრების“ გვერდებს აქ აწ აღარ აღვნიშნავ). 186.

„იწყო აღმოცისკრებად მან ყოველთა მეფობათამან დავით“...

დავით აღმაშენებელმა თავისი ასული კატაჲ გაათხოვა ბიზანტიაში, ხოლო მისი ასული თამარ გახდა შირვანის დედოფალი, – და ისტორიკოსი ამბობს: „ვითარცა ორნი მნათობნი, ერთი აღმოსავლეთს და ერთი დასავლეთს..., ცისკროვან ჰყოფდენ სფეროსა, მამასაგან მიმღებელნი მზეებრ შარავანდედთანი“...

ისტორიკოსი აქებს დავითის მოღვაწობას, რომელსაც „საქმენი წამებენ მზის შარავანდედთა უბრწყინვალესნი“ო...

და როდესაც თამარ მეფის ისტორია იწყება, აქ უკვე ხსენება მზისა ხშირია –

ისრე ვიწყო (ისტორია) თამარისა... რომელ ეთეროან იქმნა ხელმწიფეთა შორისო“ო...

თამარის მამა გიორგი არის პირ მზე, ტან – ლომი...

თვით მზე, მზეთა შვენებითა და მომფენაობითა ცა...

გიორგი მეფე – თვით პირითა ნათლითა (განათლებულითა) მივიდა...

თამარ, ნათელ და ბრწყინვალება თვალთა მათთა...

ტკბილისა შვილისა თამარისა, რომელსა ნათელ ცისკროვნება ჰაერისა მისისა (დედის სიკვდილისა გამო) სიმრუდედ გარდაექცეოდა...

თამარის მამა გიორგი გარდაიცვალა – იგი მზე მზეთა...

ესმა თამარს სამ მნათობიერსა...

თამარი სამეფო ტახტზე აიყვანეს – საყდართა და საჯდომთა პაპეულთა აღსვეს მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა, ელვარება და მზებრ მაშუქებელი სხვათაო...

თამარ შვიდ მნათობიერი...

თამარ მეფე დაჯდა საყდართა (ტახტზე) მათ ცათამდი აღმართებულთა, შვენებითა მით აფროდიტანიანთა და სიუხვითა მით მზეებრ აპოლონიანიანთა; სატრფო საჭვრეტი ვიდრე დაბნედამდის გაჭრამდის, ყოველთა მისთა გამცდელ მხედთა შეიპყრობდის წყალ ჯავარითა მით უმსგავსოთა სახეთა...

თამარი ბევრს შეუყვარდა; ესენი იყვნენ შეყვარებულნი, ანუ მიჯნურნი და მზენი მხეცებრ გაჭრილნი ამის მზისა (თამარისა) და უმეტეს მზისა და თვით მათ მიუთხრობელ მზედ და მნათობთა საგონებელთა უბრწყინვალესისა და უნათლესისათვისო...

ქართველთა გამარჯვებული ლაშქარი მოვიდეს – თამარისვე სვე სრულისა და ნათელ ბრწყინვალისა წინაშეო...

თამარისა, ხელმწიფეთა მზისა და მეფეთა ელვა ცისკროვანებისაო...

თამარ მეფე – სიუხვითა მზეებრი...

თამარი – ვინცა სახედ მზისა შარავანდნი ცისაგან იშუქებოდეს მიწიერთა საჭვრეტლად, ეგრეთვე ქვეყანისაგან თამარის ხელმწიფობისა შარავანდთა ნათელთა ბრწყინვალებანი ეფინენებიან იატაკსა ამის მიწისასა...

შარავანდნიცა მზისანი მოსცენ ხედვად და განცდად მზისა...

სიტურფე და ბრწყინვალება თამარისა...

თამარ სვე სვიანისა ხელმწიფისა და მზეებრ შუქთა მფენისა...

თამარი და დავით სოსლანი – დასხდენ ტახტსა ბედნიერსა ორნი მნათობნი, ორნი მზენი განმანათლებელნი ყოველთაჲ...

თამარი – მზე მზეთა და ნათელი ნათელთა...

თამარი – პირითა ბრწყინვალითა, თვალითა ტკბილითა...

ლაშქარნი შეიყარნენ – სადა იგი (თამარ) იყო მზეთა მზე და ნათელი ნათელთა...

გამარჯვებული ლაშქარი მოვიდა – წინაშე თამარისა ნათელ ბრწყინვალისა, და ძესა მისისა საშოთ მთიებისა აღმობრწყინვებულისა...

თამარი მობურთავეთ უჭვრეტდა, – პირთა მით ბრწყინვალითა და ნათელითა...

ვინმე მიჯნური და მნათობთა მათთა მოგონებითა ყოვლად უწყალოდ მქმნელი...

თამარ – მზეებრ უხვ იყო...

თამარ და დავით, ორთა შვილთა ნათელ მოსილთა და ბრწყინვალეთა...

როდესაც აბუბექრმა თამარის ყმანი ამირმირანისა დახოცა – თამარ შავითა შეიმოსა ნათელი იგი პირველი ნათელისაცა ბრწყინვალესი და დიდითა ცრემლითა მოიტირნა...

ბოლოსტიკეს ომში გამარჯვებულნი თბილისს შევიდნენ – თამარ და დავით ვითარცა მზისა შარავანდედი მიფენითა...

სახელოვანმა დავით – მიმართა მზეთა მისა მიმართ (თამარს)...

არდაველის სულთანის დამარცხების შემდაგ

– მოვიდეს (ქართული ლაშქარი) მეფეთა მეფესა და მზეთა მზესა, დედოფალთა დედოფალსა: თამარის წინაშე...

ჩრდილოეთ სპარსეთში გამარჯვებული ლაშქარი მობრუნდა და – თვით მეფეთ (მეფისა) მზისა და მზეთაცა მზისათვის (თამარისათვის) წარმოგზავნეს თვალნი დიდ ფასისანი ძვირად საპოვნელნი...

***

თამარ მეფე დასნეულდა და "ქართლის ცხოვრება" მოგვითხრობს –

გარნა განჩინებანი ღმრთისანი წინა აღუდგომელი იყო, და დღემან იწყო მიდრეკად, და მზემან დასლვად, და ჰაერმან სხვად ფერად უფერულობა. და ცისკარსასა დღისასა ზედა იწყეს შემოსვად ბნელთა ღრუბელთა. ღაწვთა მათ (თამარისათა) იწყეს დაჭნობად, და თვალთა მათ (თამარისათა) ტბაებრ მზისა შემცხრობელთა სიმრუდედ მიმართეს. ხელთა მათ, მსახურებისაგან გლახაკთასა აროდეს დაცხრომილთა, იწყეს მოუძლურებად... და დაიძინა თამარ ძილი იგი მართალთა, თთვესა იანვარსა 18სა, და აღესრულა მზე ქართლისა... აქა რაღა ჯერ არს თქმა, გარნა ბავთისა ღაღადი, ბნელი უნათლო, და გლოვა უნუგეშინის მცემო. რამეთუ ვინ იყო ნუგეშინის მცემელი, ოდეს მწუხარება ზოგად იყო ყოველთათვის. სატუხელ იქმნა პირი ქვეყანისა, აღეპყრა ყოველთა, თავისა დიდებისა თანა, თმანიცა, მხოლოდ სახელისა ოდენ მქონებელთა. ხმასა თანა ქვესკნელნიცა შეიძრნეს. ყოველნი ფლასითა, ესრეთ გვანდა, დაღათუ ჩვენ თანა იგლოვდეს ცა და ყოველი სოფელი... 185.

***

თამარის პირველი ისტორიკოსი მის შესახებ ასეთ შედარებას გვაწვდის –

„ანუ მიჯნურნი ლომნი და მზენი მხეცებრ გაჭრილნი ამის მზისა (თამარისა) და უმეტეს მზისა და თვით მათ მითხრობილთა მზედ და მნათობლად საგონებელთა უბრწყინვალესისა და უნათლესისათვისა"ო. 18

თამარ მეფის მეორე ისტორიაში, რომელიც 1923 წელს აღმოაჩინეს, მის დამწერი თამარის შესახებ ამბობს –

„ვითარცა მზე, სწორ პატიობით ყოველთა ზედა, ნათელსა თვისთა შარავანდედთასა"...

თამარ მეფე და მისი მეუღლე დავით, – „ეს ორნი მნათობნი, ორნი მზენი, ორნი განმანათლებელნი"...

ხოლო როდესაც თამარ სიკვდილის პირს იყო, „დღემა იწყო მიდრეკად და მზემან დასლვად"ო. 187 გვერდი 160.

***

ჟამთა აღმწერელი ამბობს გიორგი ბრწყინვალის (1314 – 1346) გამეფების შესახებ – „აქა დაიწყო აღმოცისკრებად მზემან მეფისამან გიორგი".

ასეთი არა ჩვეულებრივი და შესანიშნავია ქართულ დიდ ისტორიულ თხუზულებაში. „ქართლის ცხოვრება“ მზის პოეტური გამოყენება, რომლის მსგავსი სხვა ენაზე არ მეგულება.

2. მზე ქართულ სიტყვა კაზმულ მწერლობაში

თუ ქართულ სიტყვა კაზმულ მწერლობას მივმართავთ, აქ უნდა დავიწყოთ სპარსულიდან გადმოკეთებული რომანით „ვისრამიანი“.

„ვისრამიანი“, ანუ ვისისა და რამინის სიყვარულის ამბავი ეკუთვნის ფახრ უდ დინ ჯორჯანის, არაბულ-ქართული გამოთქმით: ფახფურ ჯორჯანელს, რომელმაც ეს რომანი გადააკეთა ფეჰლევური, ანუ ფალაური ენიდან 1048 წელს და გალექსა. ქართულ ენაზე გადმოკეთებულ ვისრამიანს მიაწერენ სარგის თმოგველს და იგი შესრულებული უნდა იყოს მეთერთმეტე საუკუნის დასასრულს, ან მეთორმეტეს დამდეგს,

– იგი ვეფხისტყაოსანს წინ უსწრებს, – და იმდენად შეთვისებული იყო ქართველი მკითხველისაგან, რომ იგი ქართულ მწერლობის სალაროსაც ეკუთვნის.

ა). ქართული ვისრამიანი

ქართულ ვისრამიანში გაბატონებულია ის საერთო მზიური სტილი, რომელი მეთერთმეტე–მეთორმეტე საუკუნის მწერლობას ახასიათებდა.

ვარსკვლავნი, მზე და მთვარე, მნათობნი სილამაზის აღსანიშნავად აქაც ყველგან არიან წარმოდგენილნი.

ვერ ვიშოვნე ვისრამიანის ქართული გამოცემა, გარნა ხელთა მქონდა მისი ინგლისური თარგმანი, შესრულებული ოლივერ ურდროპის მიერ (ლონდონი, 1914 წ.) და მით ვსარგებლობ; გზა და გზა ადგილებს ვცვლი ია ეკალაძისა და აკ. შანიძის და სხვ. მიერ გამოცემულ ნაწყვეტებით, რომელიც სამოსწავლო წიგნებშია მოთავსებული. ჩემი მიზანია გამოირკვეს, თუ მზესა და მთვარეს რა ადგილი უკავიათ ამ შესანიშნავ რომანში, რათა იგი შემდეგ ვეფხისტყაოსანს შევადარო.

***

ვისრამიანში თავიდანვე ვხვდებით სილამაზის შედარებას მზესა და მთვარესთან – დასხდეს მზისა და მთვარის მსგავსნი ხელმწიფეთა ცოლნი და ხათუნნი; საცოლენი მსგავსნი მზისა; შენებრივე მზე, ჩემსა სრასა შინა ნათობდეს, – ეუბნება შაჰ მოაბად ქალბატონ შაჰროს. – და თუ ვპოვებ მიწისა მზესა. არ ვეძებ ცისა მზესა; ასული ვისი ელვარე მთვარე; და მნათობი მზე; ვაჟი რამინი პირად მზესა ჰგვანდა; და ვისს უჭვრეტდა, მზესა და მას შუა საცილობელი შეექმნა, თუ რომელი რომელიაო; აწე რადგან ღმერთმან ეგე მთვარე (ვისი) მე მიბოძა; ცოლნი მათნი მსგავსნი მზისა და მთვარისა; ვისი მსგავსი მთვარისა; დაამშვიდე გული შენი (ვის!), ო მზეთა მზეო; ვაჟი ვირო

სახითა მთვარე; და შემრთე შენ, მზისა მსგავსი ასული; ელვარე მთვარე (ვის) მოაბადს ხელთა მისცა; მისი ნანადირევი (ვისი) ქვეყანასა ზედა ცისა მზისაგან უკეკლუცე იყო; ვისი, მზე ქვეყნისა; მზე ხვარასანისა; იჯდა (ვისი) მზე; ანაზდად მზე ამოვიდა, გამოჩნდა ვისის პირი; ვისი – მთვარე; მზისა მსგავსი ვისი; ვისის მზისა მსგავსი პირი; დედოფალნი და დიდებულთა მეუღლენი, ზოგი შვენიერი ვითარცა მზე, და ბრწყინვალე ვით მთვარე; ვისი მსგავსი მთვარისა; რამინ სახედ მთვარე გავსილი ქვეყანასა ზედან; რამინ პირად მიწასა ზედა სულიერი მზე; ვისი – შვენიერი მზე; ვისი მსგავსი მთვარისა; ვისი – მთვარე სულიერი, მიწისა მზე; ორი კვირისა მთვარე შენგან მოშურნეობს; მისი ელვარება შენდა შემოუწირავს; ჩემი მზე შენისა (ვისის) პირისაგან ნათობს; ეს მზე (ვისი) არასოდეს გაანათებს შენთვის; ვისის პირი ვით ამომავალი მზე; კეკლუცი მოყმე კაცები მზისა მზგავსნი დიდად მინახავს, რომელ კაცისა თვალნი მათისა ჭვრეტისაგან ვერ გაძღების; სხვანი ვარსკვლავნია და იგი (რამინ) მთვარე; პირი მისი (რამინის) მთვარესაებრ ელვარე არს; რამინმა მოიკითხა (ვისი) მზე; ო, მანათობელო მთვარე და ნათელი ვით მზეო ვისი!; ვისო, შენა ხარ ყოველთა კეკლუცთა მზე; შენ (ვისო) მზისაებრ კეკლუცი იყო; შენ მზე ხარ; აცნობეს მზეს (ვისს); შენა ხარ (ვისო) მზე; მეფე მოაბადის დარბაზი სავსე იყო მზით, მთვარით და ვარსკვლავებით; მოაბადის ამირსპასალართა შორის რამინ ჩნდა ვითარცა მთვარე ვარსკვლავთა შორის; პირი ვისისა მზესა ჰგავს; შენა ხარ (ვისი) მზე კეკლუცთა; მზის სახე ვისისა; ჯდა ვისი ვითა მზე; სხდეს მათ წინაშე დიდებულთა ცოლნი და ასულნი ვით მზე; რამინ ქვეყანისა დამაშვენებელსა მზესა (ვისის) გვერდსა დაჯდა; ვისო, შენა ხარ მთვარისა პირი; შენ კეკლუცთა მზე ხარ; რამინი და ვისი ვით მზე და მთვარე; ვისი კეკლუცი ვით მზე; ვისო, შენ ელვარებითა მნათობი მთვარე ხარ; რამინის სახე მზეზე ულამაზესი; შენებრი მზე (ვისო) გაზდილა; შენებრისა (ვისისა) მზისა შეყრითა; რამინის პირი მზისა მსგავსი; რამინი არის ვისისათვის მზე და მთვარე; ვისო, შენა ხარ მზე; ვისო, ო, მთვარეო; ვისი – მთვარე; ვაჟი ვირო მთვარეც იყოს; ვისი და ძმა მისი – ორი მზე მოდის; მზე ვისი დაეხსნა ვეშაპსა, მოაბადს; შეირთე ასული ვით მზე, ყველა თვალისათვის მოსურვებული; მზემ (რამინმა) გაანათლა ვისის გული; ბევრი არის მზის მსგავსი ქალი; მზის მსგავსი დედოფალი ვისი; მოაბადის მზე ვისის პირი იყვის; შენი მოყვარე (ვისი) მზე არის; ვისის პირი – მზე და მთვარე; პირ მზე ვისი; მზისა მსგავსნი დედანი; ვისი ანათებდა ვით სრული მთვარე; ვისი – მსგავსი მზისა; ვისი – მზე; ვისი – მთვარე; მეფე მოაბადი – მზე; ვისი – მთვარე; ვისი და რამინ იყვნენ ვითა მთვარე და მუშთარი; ვისი – მთვარე; ვისი – მთვარე; ვისი – მზე; მზე მიწისა – ვისი; ცისა მზე – ვისი; ვისი – ვარსკვლავი, მზე და მთვარე; რამინი და ვისი – მზე და მთვარე; ვისი – მთვარე; ვისი – მზე, მთვარე; ასული ზარანგე მზისა მსგავსი; ვისი – პირმზე; ვისი – მზე; ვისი – მთვარე; ვისი – მზე და მთვარე; ვისი – მზე; ვისი – მთვარე; ვისი არის პირიმზე; ვისი – მზე; ვისი – მთვარე; ვისი არის მზე; მზე ხვარასანისა ვისი; ვისი – მთვარე ზოისტანისა; ვისი – მზე; მთვარეს შურს ვისის სიკეკლუცე; მზეო, შენს მეტი არავინა ჰგავს ვისის; ვისი – მთვარე; პირი მზე ვისი; რამინი – მთვარე; მთვარის სახე ვისისა; რამინი – მზე;

რამინის პირი – მზე; ორი მთვარე – რამინი და ვისი; რამინი – მთვარე; მზე და მთვარე – რამინი და ვისი; პირიმზე – ვისი; ო, მთვარეო, ვისო; მზის მსგავსი ვისი; შენა ხარ ჩემი მზე, ვისო; და ვითა მზე, ქალი ნახა; ასულ გულის (სახელია) პირისაგან მზე ელავდა; მხლებელნი ასულნი გულისა (სახელია) – ვითა მთვარისა (გულის) მიდამოსა ვარსკვლავნი; გულ (ასული) – მთვარე სულიერი; რომელ ვითა მზე ციმციმებითა არ გაიცადებოდა; გულ – მთვარე; მისნი მხლებელნი ასულნი – მთვარე; გულ – მზე; გულ – მთვარე; გულ ენოვანი მზე; გულ – მზე; გულ – მთვარე; გულ, იყავ ჩემი მზე; გულ – მთვარე; გულ – პირიმზე; გულ – ორი კვირის მთვარე; მჭვრეტელთათვის ვისი და მზე ერთმანეთს მეტოქეობდნენ; გულ – მთვარეზე უკეთესი; გულ – მთვარე; რამინი – მთვარე; მოაბადი – მზე; ასულნი არიან მთვარენი, ვის – მზისა პირი; ვისი – დამჭნარი, მჭლე მთვარე; რამინი – ელვარე მთვარე; ვისი – ჩამავალი მზე და რამინი – აღმოსავლეთით ახლად ამოსრული მზე; მე იგი ვარ (ვისი), რომლის პირი მზეა; რომლისა პირისა სისავსე თხუთმეტი დღისა მთვარესა მიაგავს; გულ – ბნელი მთვარე; ვისი – ბრწყინვალე მზე; რამინი – ელვარე მზე; შენისა პირისა მზე; რა მზე ანუ მთვარე დავინახო, შენი პირი (რამინს) მომეგონების; ორი კვირის მთვარეო, რამინ; შე ხარ მზე და ჩემი დღე (ვისისა) უმზეურად არ ნათობს; სად ვიპოვნი ისეთ მთვარეს, რომელი მზესავით (რამინ) ანათებს; რამინ – მთვარე; თუ რამინ შენა ხარ მაღალი და ბრწყინვალე ვითა მზე; ვისი – მზე; შენა ხარ (რამინ) მზე და მე (ვისი) მთვარე; რამინ ანათებ ვით მზე; სალამსა მოახსენებს ვისი (რამინს) გავსებულსა მთვარესა; სალამსა მოახსენებს (ვისი) უსამართლოთა მომქმედთა მზესა, რამინს; მსახურნი – მთვარენი; პირმზე – ვისი; რამინი არის მზე; რამინი – მზე და მთვარე; გულ – სავსე მთვარე; პირმზე – ვისი; იგი მზისა მსგავსი, მთვარეზე კეკლუცი... მნათობი სამეფოსი, მზე ერანისა და ხვარასანისა; ვისის პირი მსგავსი მზისა; ვისი – მზე; ვისი – მზე; ელვარებს მზეზე მეტად; ვისი მზესავით; რამინი – მთვარე; რამინის პირი – მზისა მსგავსი; ვისი – მზე, მთვარე; ვისო, ო, მთვარეო; შეყრასა ლამიან მზე (რამინი) და (ვისი) მთვარე; რა რამინმა შორით, მნათობთა მზე ვისი დაინახა; ო, მზეო... სავსეო მთვარეო; შენ ხარ ვისი, მზე მზეთა პირისა შენისა უებრობითა; ო, (ვისო), მთვარეო; გიყვარდეს მზისა მსგავსი ქალი; გულ – მთვარე; გულ – მზე; ვისო, ჩემო მზე და მთვარეო; ვის, ო, მთვარეო; რამინი – მზე; ვისი მანათობელი მზე; ვისი – მე თუ ვიყავ ახალი მთვარე, ახლა ვარ მზე; რამინისათვის მზე (ვისი) ამოსრულიყო; პირი ჩემი არის თხუთმეტი დღის მთვარე;ვისი – მზე და მთვარე; ვისი – მთვარე; ვისი – მზე და მთვარე; გულ – მთვარე; მოვიდოდა მთვარე (ვისი) ღამისა დამამშვენებელი; ვისი და რამინი – მზე და მთვარე; რამინი – მზე; რამინი – სავსე მთვარე; ვისი – მზე და მთვარე; რამინ – მზე; ვისი – მთვარე; რამინ არის მზე, მთვარე; რამინ – მზისა მსგავსი პირი; დღისით მზესა ვჭვრეტ შენისა (რამინის) მსგავსებისათვის; გენახე წინასცა, რომელ (ვისი) მზისაებრ ელვარე ვიყავ; პირ მთვარეო, რამინ; მზე – რამინ; ვისი – მთვარე; მეფე მოაბადი არის მზე; რამინ ვითა მზე მოეფინა ქვეყანასა; გალეული მთვარე (მოხუცი ვისი) მოკვდა.

***

ამ გრძელი ამონაწერიდან გავიგეთ – საერთოდ დედაკაცი შედარებულნი არიან მზესთან 13ჯერ;

საერთოდ დედაკაცნი შედარებულნი არიან მთვარესთან 2ჯერ;

მამაკაცნი შედარებულნი არიან მზესთან საერთოდ 2ჯერ;

მამაკაცნი შედარებულნი არიან მთვარესთან საერთოდ 2ჯერ.

ვისის ძმა შედარებულია მთვარესან 2ჯერ; ვისის ქმარი, შაჰ მოაბადი შედარებულია მზესთან 3ჯერ;

ვისის დედა შაჰრო შედარებულია მზესთან 2ჯერ;

თვით ვისი შედარებულია მზესთან 84ჯერ;

ვისი შედარებულია მთვარესთან 58ჯერ;

ვისის სატრფო რამინი შედარებულია მზესთან 26ჯერ;

რამინი შედარებულია მთვარესთან 18ჯერ;

ვისი და რამინი, ორივე ერთად – მზე და მთვარე – 4ჯერ;

რამინის ცოლი გულ შედარებულია მზესთან 8ჯერ;

გულ შედარებულია მთვარესთან 13ჯერ.

მაშასადამე, ქართულ ვისრამიანში მზე გამოყენებულია სილამაზის დასახატავად დედაკაცთათვის – 101ჯერ;

ქართულ ვისრამიანში მთვარე გამოყენებულია დედაკაცთა სილამაზის დასახატავად – 73ჯერ.

ქართულ ვისრამიანში მზე გამოყენებულია მამაკაცთა სილამაზის აღსანიშნავად – 35ჯერ;

მამაკაცთა სილამაზის მაჩვენებლად მთვარე მოხსენებულია 26ჯერ.

დასკვნა: ქართულ ვისრამიანში დედაკაცია მზე ასერთჯერ (101).

მამაკაცია – მზე – 35ჯერ;

დედაკაცია მთვარე – 73ჯერ;

მამაკაცია მთვარე – 26ჯერ.

(უნდა აღვნიშნო: შესაძლებელია ეს ანგარიში ზუსტი არ იყოს, ოღონდ მცირე შეცდომა საერთო სურათს არა სცვლის).

***

როგორც ვხედავთ, ქართულ ვისრამიანში დედაკაცთა სილამაზის დასახასიათებელად და საჩვენებელად უფრო ხშირად მზეა გამოყენებული; აქ მთვარეს ამ მხრივ მხოლოდ მეორე ადგილი უკავია, როგორც ეს ვეფხისტყაოსანშიც არის.

ბ). ამირანდარეჯანიანი

მოსე ხონელს მიეწერება ეპოსი „ამირანდარეჯანიანი“ (მე11 საუკუნის დამლევს, ან მე12 დამდეგს). მზე სილამაზის დასახატავად აქაც არის გამოყენებული.

ვერ ვიშოვნე ქართული ეპოსი „ამირან-დარეჯანიანი“, მაგრამ ვსარგებლობ იმ ნაწყვეტებით, რომელიც ია ეკალაძესა და ა. შანიძეს აქვთ დაბეჭდილი.

პროფ. აკ. შანიძის წიგნიდან –

პირ მზეთა ასულთა; მზე ქვეყანასა ზედა; დედოფალი, სანათელი აღმომავალი მზისა; პირმთვარე ასული; მზეთა მზე ასული; მზემან ხვარეშან ქალმან ბრძანა...

ია ეკალაძის ანთოლოგიიდან –

პირ მზე ასული მისი; მზე არისო; აწ მნახეო მზე ჩემო; ესე შენსა მზესა (ასულს) გამოუგზავნია; მზე მას (ასულს) ვერა სჯობდა; ვითა შეხედენ პირველად შენსა მზესა (ასულსა); და ამას გარდა: ქალი ვითარცა მზე; მნათობი პირ მზე ასული; მოიყვანა პირ მზე მისი; მზეო ჩემო (ცოლო); პირ მზე ასული ჩემი; პირ მზემან ქალმან; შვიდნი ჭაბუკნი იყვნეს მზე; პირ მზე იგი ასული; მზე ჭაბუკი; გათხოვება ამისა პირ მზისა; პირ მზე ასული; ასულნი პირ მთვარენი; ინდოთა ასული ეგეთი ვით მზე; და სხვა.

გ). ქალილა და დიმნა

„ქალილა და დიმნას“ რამოდენიმე არაკის თარგმანი პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილმა დაბეჭდა; იგი ამ თარგმანს მეთორმეტე საუკუნეს მიაწერს.

„ქალილა და დიმნა“ს პირველ არაკში ნათქვამია: ერთ გონჯ ვაჭარს „კარგი ლამაზი ცოლი ჰყვანდა, მზისა და მთვარისა მოწუნარე იყო, ყოვლის ფრით შემკობილი“ო. 188.

მეორე არაკში ერთი ვაჟკაცის შესახებ ნათქვამია – იგი „პირად მზესა და ალვის ხესა ჰგვანდა“ო.

მეხუთე არაკში – ქალის „შვენება მზეს და მთვარეს ენატრებოდა“ო.

მეშვიდე არაკში – „ჩემი სვე სვიანობის მზე ზეციდამ ვიხილე და ჩემი მტრის დღენი ჩრდილი დაადგა“ო.

3. მზე ქართულ საკარისკაცო პოეზიაში.

ა). არსენ ბერის ქება

დავით აღმაშენებელის ერთი მაქებართაგანი, არსენ ბერი, ამ მართლაც საქებარ დიდებულ მეფეს შემდეგი სიტყვებით მიმართავს –

უფროსად ბრწყინვალეო, თვალო ყოველისა სოფლისა მყოფთა ერთგვამოვნებისა, რომელი იგი ჰაეროვან ხარ, ვითარცა სამყარო ხილულისა სოფლისა შორის; საჩინო ვითარცა მზე ვარსკვლავთა შორის; ბრწყინვალე ვითარცა ეთერი ნივთთა შორის... ნათლის ფერ ვითარცა ელვა ღრუბელთა შორის; ცისკროვან ვითარცა აღმოსავალი კერძოთა შორის...

ბ). იოანე შავთელი

შავთელი არის მეთერთმეტე საუკუნის დასასრულისა და მეთორმოეტე საუკუნის დამდეგის ერთი უდიდესი ქართველი პოეტი მეხოტბე.

იოანე შავთელის ცნობილ პოემაში „აბდულ მესია“ („მონა უფლისა“), პირველად ვხვდებით ლექსს ასტრონომოსთა შესახებ, როდესაც პოეტი მათ უკიჟინებს, ქება არ ძალგიძთო –

ვარსკვლავთ მრიცხველნო

სხვათ ბრძენთ მკიცხველნო,

ვერ ძალ გიძსთ ქებად

თავსა ვნებულსა (2,4).

დავით მეფის შესახებ შავთელი ამბობს –

ღმერთმან სამოთხით

მოგვცა სამ ოთხით

მოგვცა ბრწყინვალე

მზებრ სადარი (3,2).

სამ ოთხი აქ არის შვიდი, ანუ ნაგულისხმევია შვიდი მნათობი (პროფ. ნ. მარრის განმარტება). 187.

დავით –

მზრდელ არის მონათა

ზეცით მონათა

ივლისის მზემან

ზედ ლომათ ჯდომით (10,1).

აქ მზე არის თავის ზოდიაკოში „ლომი“ (23 ივლისიდან 22 აგვისტომდე).

დავით მეფესა...

ცის სამყაროსა (11,1).

დავით მეფე მზე-სახოვანია –

დავით მეფესა...

მზედ სახოვანსა (1,3).

დავით ჰგავს –

ცის სამყაროსა (11,2).

დავით მეფე, ან თამარ მეფე –

სწორად არს მზისა,

კირჩხიბსა ზისა (13,4).

კირჩხიბზე მზე ზის ანუ მზე კირჩხიბის ზოდიაკოში იმყოფება, ესე იგი, დიდად ბრწყინვალეა, ივნისის 21დან ივლისის 22მდე.

ვსთქვა მე აწ ვითა,

რომ იქმნეს წვითა

მნათობნი მძაფრად სხივთა მისთაგან?

ხედვენ მზერითა –

„სწორად მზე რითა“ –

ჰფიცვენ – „მირიდა

თვისთა სხივთაგანო“. (17,3–4).

დოვლათ სვიანად

სუფევს, მზიანად

შვიდთა მნათობთა

გარდმოზღუდვითა...

განათლდა არე

მისთვის ვით მთვარე

როს განხმულ იყოს

ცანი ხომითა (18,1–2).

არსება გმზეობს...

მის მიერ გმზეობს (25,4).

ზეცით ხათ ნათლად

ბრწყინვალედ სანთლად (27,1).

ღმრთისა სამ მზისა,

ვინ ზესთ სამ ზისა

ეთერთ, სამყაროთ

და ღრუბელთასა (28,2).

ღმრთისა სამ მზისა = ღმრთისა სამებისა ანუ მზე – მამა ღმერთი; მზე – ძე, იესო ქრისტე. ღმერთი და მზე – სული წმიდა ღმერთი: რომელი ზესთაში სამ = სადმე ზისო, ეთერ, სამყაროსა და ღრუბელთ ზემოდო.

პროფ. ნ. მარრის თარგმანით – „ბოგა ვ ტრიოხ ლიცახ, კოტორიჲ ვოსსედაეტ გდე-ტო პრევიშე ტვერდი, ობლოკა ი ეფირა“. ტექსტი ი რაზ. 1902. გვ. 10.

სხვათა ვარსკვლავთა (33, 4).

სხივთა ნათელი (41, 4.)

ეგრეთ ინახის,

შორით ინახის

ვით მზე სამყარო

მანათობელი,

მთვარის მშვენობით,

ცისკრის მთენობით

სხივ მკრთოლვარებით

მკამკამებელი (45,1–2).

ციერთ უმაღლე (45, 3).

მზე მთოვარითა!

ცა ვარსკვლავითა!

შუქნი მიუხვამნ

მას ელვისათა (47, 1).

მჭვრეტთა ვერ უძლეს

განცდად სხვისა (48, 1).

ვით მზე ლაღიად

ეგრეძალიად

მორბევად შავსა

ტაიჭს ზე ზისა (49, 4)

ლომს ძლიერება,

მზეს ბრწყინვალება, მუშკს სუნნელება

შენგან მიეცა (48, 1).

ცის კამარათა

სჩან ხარ ზესთ მდეგად (61,1).

რადგან თქვენ გპოვეთ ზედ უფლობისა (62,2).

გქმნა ცისკრად დღისა, მთიებად მზისა, ვარსკვლავად ცისა (64,4).

ნართებს რომ ცამცა

ჰქონდეს მას ცამცა

სახლად სამყოფად

განჩინებული (68, 4).

მზე დაუვალი

მყის დაუვალი

არს მშვიდ მნათობი

მას ზედ მოწამედ (72, 3).

შუქთა მფენებო,

თვით გამთენებო

ზედ სამყაროსა

მერმე ქვე ველად (აბდულ მესია 100, 4).

***

ასე მდიდრულად აქვს გამოყენებული იოანე შავთელს მზე და ცა ვარსკვლავიანი პოეტური აღმაფრენისათვის სილამაზისა და დიდებულობის დასახატავად.

გ). ჩახრუხაძე

ჩახრუხაძე თავის შესანიშნავ ლექსებში, რომლითაც შექებულნი არიან თამარ მეფე და მისი მეუღლე დავით სოსლანი, თამარის შესახებ გალობს –

უგავს ელობა

კრონოსს ციერსა

ნაელვებითა

მზისა ვნებითა

ცისკროვნად ვხედავ

შუქ მოსიერსა.

აჰა მზიანად

მიზეზიანად

მთვარესა გახდი

უნათლიერსა (თამარიანი10 – 12).

მოხედნა ზენით

თამარ შუქ მფენით

ნათელიერსა (52).

თამარ შენ გიძნობ (გიგალობ)

ასულად გიცნობ,

მზე დაუვალი, შუქმომფინარი (2,5).
არსნი მზედ გხმობენ,
შვიდნი გამკობენ (2, 14). (შვიდნი – მნათობნი)
თამარი არის:
მზე მცინარი,
საჩინარი,
შუქმფინარი (16,4)
მზეებრ სავანე (3,1)
ანათობს ის ოს...
შუქის კრთომადა
შეუდგამისად –
ზნედა სჭირს ესა,
არ ეტყვის მზესა:
„სამხარ მელოდე!“
სჩან მაღლაისად! (3,10).
შენ მწუნობი ხარ მნათობთა...
შენ შუქნი ელვა ეთერთა...
მზისა მწვერვალთა არიდენ...
აწცა ნათლისა ისარი
მჭვრტელთა გულებს არიდენ (16).
შენ არე მთენი
შენ არე მთენი
არ გგვანდეს შუქთა
ჰაეროვნებად (5,5).
შენ ხარ მნათი (4,6).
სხვათა მნათობთა
მართ მინდ მკდოვნებად (5,7).
ზეცით მნთობნი
ეტლთა მნათობნი
არა მთად მჭვრეტად
მართ ნამათევად (5,8).
ეგე ნათელი

რა ნახოს, მზესა
აქვს ბნელოვნებად (5,12).
თუ ვისცა უქი
შენი ხმა შუქი
ელვ ანუ მზევად
ანუ მთვარევად (5,5).
ფერით ამო მზე (5,36).
ნებიერს პირსა
მზე დანამჭვირსა
შვენის ნარგისთა
განაცისკრევად (5,44).
თვალნი ვერ გსახვენ
სხივ შესადგმევად (5,56).
გხმობ თამარ მზესა
უმზესად ზესა
მით, რომელ უცხო
ხარ სახილველი (7,1).
გცისკრობენ ღაწვნი (7,1).
თუ არს მთოვარე,
რად მზეობს არე?
რად არა ოდეს
შეიქმნა ბნელი? (7,5).
სამყაროს სრული
ედემს ასრული
სჩანს შვიდთა მნათთა
მანათობელი (7,7).
ანუ შუქითა,
მსგავსად უქითა,
ბნელთა ცისკრულად
გამათენალი (8,2).
ანუ რა გნახო
რასა გასახო

ნათლისგან კიდე
სხივ განსაცნალი (8,16).
ზევსმან მზედ გიცნა
სამყოფი გიქმნა
ლეონის ეტლთა
მოგირბევანი (9,3).
მზისა გშვენიან
გაჩვენებანი (9,22).
მზეო ზენათა (10,1).
ზოჰალი ეტლი,
მთვარე მცებარე (10,7).
ზეციერად ჰგავ
შვიდთა მნათობთა
დამშვენებულად (12,3).
სახედ გსახობდეს,
რა მზე ნათობდეს,
მაშინცა ეთქმის
დაბნელებულად (12,4).
შუქნი ჰკრთებიან
ემუქმკებიან
ზოალი ინებს
დაქადებულად (12,6).
შენი სიშუქე
რომელთა უქე? (12,7).
ეჩვენებოდა,
მზედ ეგებოდა
ეგ თქვენი პირი
გაცისკრებულად (12,22).
რომლისა ძემან
უბინდოდ მზემან (12,36).
ვიტყვი მას მზესა (თამარიანი 12,37).

ასეთი არის ჩახრუხაძის მზიური პოეზია, რომელში მზე გამოყენებულია მეფური დიდებულობისა და სილამაზის დასახატავად.

დ). უცნობი მელექსე

ერთი უცნობი მელექსე მეთერთმეტე სუკუნისა ვახტანგ გორგასალის ქებაში ამბობს – შენ ვახტანგ სანატრელ ხარ, შენთვის ღმერთის მაქებარ ისა

ცნამცა შენ მტერთა ძლევა თვით მზებრ მაშვებარისა...

დასკვნა

ზოგადად მიმოვიხილეთ აღმოსავლეთისა და დასავლეთის მწერლობა და ვნახეთ, რომ მზისა და მთვარის გამოყენება, საერთოდ ცის და ვარსკვლავთა ხმარება პოეზიაში და პროზაში პოეტური შედარებისათვის ყველგან მიღებული ყოფილა და ქართულ მწერლობაშიც.

არავითარი საბუთი არა მაქვს ვიფიქრო, რომ მზესა და მთვარესთან შედარება მწერლობით პოეზიაში დაიბადა. არც იმის საბუთია დავასკვნათ, რომ ეს პოეტური შედარება ნეოპლატონური ფილოსოფიის გავლენით მოხდა. სად იყო ნეოპლატონიზმი, როდესაც „ქება ქებათა“ში მზე და მთვარე სილამაზის დასახატავად არის გამოყენებული? ან რა გაეგებოდა ფირდაუსს? ან სხვა რომელიმე ირანელ პოეტს? ან ხალხურ პოეზიას? არც ერთს ნეოპლატონიზმზე არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა. მზე და მთვარე მწერლობით პოეზიაში არ დაბადებულან; მზესა და მთვარესთან პოეტური შედარება სიტყვა კაზმულ დარგში არ წარმოშობილა. გარნა გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მზე და მთვარე, საერთოდ ცა მთელი თავისი სამკაულით, როგორც პოეტური გამოყენება, წარმოიშვა წარმართულ რელიგიურ პოეზიაში და ამ პაგანური რელიგიური პოეზიიდან გადავიდა ხალხურ პოეზიაში, რომელი თავდაპირველად რელიგიასთან იყო მჭიდროდ გადაკავშირებული.

ვარსკვლავურ ღმერთთა ქება შემდეგ ხანაში უკვე გადასულია ამ ღმერთთა სწორ, ან მათ წარმომადგენელ მეფეთა და დიდკაცთა ქებაში. ვარსკვლავთა ძალითა და ძლიერებით, მზისა და მთვარის, მნათობთა და ვარსკვლავთა სილამაზითა და შვენებით დახატულნი არიან მეფენი, დედოფალნი და დიდკაცნი. ეს პოეტური აღმაფრენა და ჩამოღმაფრენა აღასრულა სახალხო პოეზიამ. ამ სახალხო პოეზიის ძუძუსა სწოვდა მერმე პირველი დამწერლობითი პოეზია, რომელმაც ცისა და ვარსკვლავთა გამოყენება პოეტურად უმაღლესად განავითარა და გაავრცელა. ვარსკვლავიანი ცის პოეტურად გამოყენებას ვხედავთ არა მარტო ძველ წარმართულ რელიგიურ პოეზიაში, არამედ ქრისტიანულ და მაჰმადიანურ პოეზიაშიც. ეს პოეზია, რომელს ვუწოდებ: „მზიური სტილი“ განსაკუთრებით განვითარდა აღმოსავლეთში, – ირანული მწერლობა მისი მეტრფე იყო, და მას გამოსძახოდა დასავლეთი არაბული პოეზიაც. მათთან შედარებით

ქართული მწერლობა არა ნაკლები, თუ უფრო ძლიერი და უფრო მჭევრი ხელოვნებით არა, მზიურ სტილსა ჰფლობდა, და ამ მფლობელობის დამაგვირგვინებელი არის ვეფხისტყაოსანი.

ზოგადი დასკვნა

ზოგი მკვლევარი ფიქრობს, თითქო ქრისტიანულ მწერლობაში ნეოპლატონიზმის პირდაპირი გავლენა არისო; ზოგი ამ შეხედულებას გადაჭარბებულად აღიარებს; ზოგი ასეთ გავლენას სრულიად უარყოფს. უეჭველია, ნეოპლატონიზმს გავლენა ჰქონდა ქრისტიანულ და ისლამურ ფილოსოფიურ განვითარებაზე, ოღონდ ამასვე ვერ ვიტყვით სიტყვაკაზმული მწერლობის შესახებ. აქ ნეოპლატონიზმს მწერლობაზე მნიშველოვანი გავლენა არ მოუპოვებია. და სრულიად ბუნებრივია, რადგან შექება ნათელისა, მზისა და ვარსკვლავთა უკვე ბაბილონ-ეგვიპტის უუძველესი ხანიდან მოდის და ასტროლოგიური თეოლოგიით საზრდოობს. ნეოპლატონიზმი არ არსებობდა, როდესაც ნათელს უგალობდნენ და მზეს ქებას ეტყოდნენ.

ნათელი და ყოველი მისი წარმომადგენელი პირველი ადამიანიდან და პირველყოფილი რელიგიიდან დაწყებული დღევანდელ ადამიანამე და უმაღლესად განვითარებულ რელიგიამდე დიდი ღირსებითა და პატივით იყო აღჭურვილი, – და ეს სავსებით ბუნებრივად. ამიტომ მგონია, მართალი არის რელიგიისა და ფილოსოფიის მკვლევარი მიშელ ნიკოლა, როდესაც ამბობს –

არც ეკკარტი (ცხოვრობდა დაახლოვებით 1300 წლებში), არც ტაუბერი, არც რუისბროეკ (1293–1381) არ იცნობდა პლოტინოსისა და პროკლოსის ნაწერებს, რომელთა სახელი ალბათ მათ ყურამდე მიღწეული არ იყო; მაგრამ რამდენი დოქტრინა მათ უსწავლებიათ, რამდენი გამოთქმანი მათ უხმარიათ, რომელნი თითქმის სიტყვასიტყვით მოიპოვებიან ნეოპლატონიანთა ნაწერებში? თუ ერთი რომელიმე დებულება მოცემულია, მაშინ თითქმის შეუძლებელია, რომ ადამიანის გონებამ, დროთა განმავლობაში, და ყველა ქვეყანაში, მხოლოდ თავისი თავით არ მიაღწიოს მსგავს იდეებს და თვით მსგავს გამოთქმებსაცო. 180ა.

***

ჩვენ განვიხილეთ შეძლების გვარად მზის ისტორია და მისი მნიშვნელობა როგორც წარმართულ, ისე მოსეს, ქრისტეს, მაჰმადის ხალხთა რწმენაში. ამგვარად ვიხილეთ მზის უფლობის, მეუფობის თავგადასავალი და მნიშვნელობა; და ეს ძნელი და რთული მუშაობა შევასრულე მხოლოდ ერთი მიზნით – გამომერკვია და ნათელი გამეხადა მზის დანიშნულება ვეფხისტყაოსანში. ეს მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს ვეფხისტყაოსანის მზის სიმაღლეს შევწვდეთ, არა ერთი ბნელი ადგილი და ლექსი გასაგები გავხადოთ. და ამას გარდა, ვეფხისტყაოსანს თავისი სათანადო ძეგლი აღვუმართოთ.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

რვეული მეექვსე

ვეფხისტყაოსნის მზიური შვენება

კარი პირველი

მზე მნათობი

1. მზე
2. მზე და მთვარე
3. მზე – სიცოცხლის სიმბოლო
   ა). მზე და სიკვდილი
   ბ). მზე და ვარდი
   გ). მზე და ზამთარი
4. მზის დაბრუნება და ამაღლება
   ა). მზის დაბრუნება
   ბ). მზის ამაღლება
5. მზე და ლომი
6. მზე და საროს ტანი, თუ სარატანი
7. მზე და კრონოსი
8. მზე და ვეშაპი
9. მზე და თვალნი
10. მზისა წვერვა

მზე-მნათობი

ვეფხის ტყაოსანში არ მოიპოვება არც რთი სიტყვა – სახელი, რომელი უფრო ხშირად იხმარებოდეს, ვიდრე სახელი: მზე.

ვეფხისტყაოსანი მზიური სტილის ნაწარმოებია მთელი ეს შეუდარებელი პოემა მზითაა მოფენილი და სავსე. მზის გამოყენება ვეფხისტყაოსანში მრავალნაირია და ეს ნაირობა შეიძლება შევკუმშოთ და რამოდენიმე კალაპოტში მოვათავსოთ.

1. მზე

მზე ვითარცა მნათობი, ვით ცის გვამი ვტნში მხოლოდ რამოდენჯერმეა დასახელებული. ეს მოვლნა გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, რადგან მზე აქ უმთავრესად პოეტური მიზნითაა გამოყენებული. ხელნაწერთა სხვადასხვაობის გამო, საშუალოდ ვანგარიშობ, რომ მზე ვტნში სამას სამოცჯერ არის დასახელებული, და არა ვთვლი მრავალ შემთხვევას, როდესაც მზე მხოლოდ იგულისხმება, ნათელთან, ან შუქთან დაკავშირებით. მზე ვითარცა მნათობი, ვით ციური სხეული თუ აღნიშნული ვტნში, ეს მარტო განსაკუთვრებულ შემთხვევაში, როცა ამ ამინდზე, ან სხვა რომელიმე ბუნებრივ მოვლენაზეა საუბარი, და ამ პირობაშიც კი იგი პოეტურად არის ნახმარი.

***

როსტევანისა და ავთანდილის სანადირო შეჯიბრებაში მრავალნი მონაწილეობას ღებულობენ და –

ცხენთა მათთა ნატერფალნი მზესა შუქთა წაუხმიდეს (76).

ანუ: ცხენთა ფეხთა მიერ აყენებულმა მტევრმა მზის შუქნი დაჰფარა, მზეს შუქნი წაართვაო (წაუხმიდეს).

ტარიელისა და დევთა ომში შეტაკება ისეთი მძაფრი იყო, რომ მიწას მტვერი ასდიოდა და – მზე დააბნელეს მტვერითა, ალვის შტო შეირხეოდა (655).

ავთანდილი –

ცისკრად შეჯდა, გაემართა, დღე რა მზემან განათენა (678).

საწუთრო, ანუ ბედი შედარებულია ტაროსთან, ანუ ამინდთან –

საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხდების,

ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების (705).

შემდეგ. საყვარელთან მოშორება ადამიანს აბინდებს, აღამებს, ისე ვით მზეს ღრუბელის მოფარება –

რა ღრუბელი მიეფარნის, მზე ხმელეთსა დააჩრდილებს (713).

მერმე, ისევ ნადირობის დროს, მონადირე ქორთა რიცხვი ისე დიდია, რომ –

მზესა ქორნი აბნელებდეს, ძაღლთა რბოლა მიდამოთა (721).

თავისი მგზავრობის დროს ავთანდილი –

ღამე ალხენდის, დღე სჯიდის, ელის ჩასლვასა მზისასა (840).

და ტარიელის ძებნის დროს, იგი –

ქედსა რასმე გადაადგა, ველი აჩნდა მზიან-ჩრდილი (866).

ფატმანი ამბობს, თუ როდის მოისმინა მან დაკარგული ნესტანის ამბავი, ეს იყოო –

დღესა ერთსა, საღამო ჟამ – ჩასვლა იყო ოდენ მზისა (1216).

ქაჯეთის მეკობრენი ამბობენ –

დღისით მზისით ვმეკობრობდით, ღამეთაცა ვიყვნით თევით (1224).

ან კიდევ საერთო შედარება –

ზაფხულის მზისა სიახლე დასწვავს, გვალვასა ჩივიან (1347).

როდესაც გულწასული ტარიელი მოსულიერდება –

მართ ვითა ლალსა მზისაგან მას ფერი ეზარდებოდა (1352).

თვალი პატიოსანის შესახებ ნათქვამია –

კვლავ ერთი თვალის სამსგავსო მზისა შუქ მონამატისა (1465).

ფარსადანის სიკვდილის გამო ნესტანი ამბობს:

მზეო, რად ღა გაქვს სინათლე, რად ღა ანათობ თემთაო (1592).

2. მზე და მთვარე

მნათობთა შორის კაცისათვის ყველაზე ახლო მყოფნი და ყველაზე თვალსაჩინონი არიან მზე და მთვარე. ამიტომ მათ ეკუთვნის მრავალი ასტრალ მითოლოგიური ამბავი და მათ მიეწერება ყველაზე ძლიერი გავლენა ბუნებასა და ადამიანზე.

როგორც ასტრონომიაში, ისე ასტროლოგიაში მზე და მთვარე პირველ ადგილზე იმყოფებიან და მათი ურთიერთობა ერთმანეთთან და დედამიწასთან მეტად მნიშვნელოვანია. ამიტომ სრულიად ბუნებრივია და გასაგები რომ ვეფხისტყაოსანში მზესა და მთვარეს ერთად თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობაც ჰქონდეთ. და მათი ასტროლოგიური დამოკიდებულება აქ პოეტურად იყოს გამოყენებული, როგორც სხვა ბევრ შემთხვევაშიც. ოღონდ რათა ნათელი იქმნეს მზისა და მთვარის ვეფხისტყაოსანში დახასიათებული ურთიერთობა, უნდა განიმარტოს მათი ასტრონომიული დამოკიდებულებაც.

***

მთვარე ადვილად დასანახია უბრალო თვალით, და ჩვენ ვხედავთ მთვარის გვამის სხვადავხვაობას: პირველი მეოთხედი, სრული (ბადრი, სავსე, მოვანებული) მთვარე; დაკლებული, ანუ მცხრალი მთვარე და ახალი მთვარე, ნამგალა მთვარე. ეს არის მთვარის ფაზა, რომელიც ყოველ თვიურად მეორდება.

გაზაფხულის დღე და ღამის გასწორებისას, ანუ 21 მარტს (აღდგომის დღესასწაული ამას შემდეგ პირველი სრული მთვარის მიხედვით წესდება), როგორც კი მზე ჩადის, მაშინვე ვხედავთ ბადრ მთვარეს მთელი თავისი ბრწყინვალებით აღმოსავლეთის ცაზე. აქ იგი იწერს მაღლა და მაღლა მიცურავს, როგორც ვამბობთ ხოლმე. შუაღამისას იგი უმაღლეს წერტილს აღწევს და ესაა სავსე მთვარის ამაღლების, ანუ კულმინაციონის წერტილი. შემდეგ იგი ჩადის დასავლეთით ექვსს საათზე, როდესაც მზე აღმოსავლეთით ამოდის. მეორე დღეს მთვარე ორმოცდაათი წუთის დაგვიანებით ამოდის, არა იმავე წერტილში, როგორც გუშინ, არამედ ცოტა სამხრეთით თავისი აღმოსავლეთის წერტილიდან. იგი გუშინდელ სიმაღლეს ვეღარ აღწევს ცაზე, ცოტა დაქანებულია. მზის ამოსვლისას ჩვენ მას ვხედავთ დასავლეთის ცაზე, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ჩასული არაა. იგი ჩადის ორმოცდაათი წუთით გვიან ვიდრე გუშინ, დასავლეთის თავისი წერტილის ცოტა სამხრეთით. თავისი ბადრობის ანუ გავსების მეორე დღეს მთვარე უფრო გვიან ამოდის და ყოველ დღიურად 50 წუთით უფრო გვიან, ვიდრე წინა ღამით. (რიცხვები აქ მრგვალია და დაახლოებითი). დილას მთვარე არის ფერ დაკარგული, გაყვითლებული, მჭლე. იგი მოსჩანს დასავლეთის ცაზე და უკვე მზადაა ჩასასვლელად. ეს ჩასვლა მისი არის შეუმჩნეველი, ვინაიდან მზის შუქში მთვარე აღარა სჩანს, იკარგება.

ამ მოვლენის დროს ჩვენ ვხედავთ, მას შემდენ რაც მთვარე სრული გახდა, იგი მერმე თავისი სინათლით კლებულობს, იქცევა მცხრალად. მრგვალი, სავსე მთვარე თანდათან პატარავდება და ბადრობის შვიდი დღის შემდეგ იგი მხოლოდ ნახევარი სჩანს; ამ დროს მთვარე ამოდის ღამის 12 საათზე, უნდება თავის სვლას დილის ექვს საათამდე. როცა მზე ამოდის, იგი აღარ სჩანს და ჩადის დღის თორმეტ საათზე.

12–13 დღის ბადრობის შემდეგ მთვარე ისევ გამოჩნდება რქის სახით, დასავლეთის ცაზე. რქა ძევს მარჯვენა მხარით. მას ნამგალას უწოდებენ. იგი მზის ჩასვლის შემდეგ მალე ჩადის. ყოველ დღიურად მთვარე იზრდება და დაახლოებით შვიდი დღის მერმე იგი არის უკვე მეოთხედი მთვარისა. ანათებს საღამოს ექვსი საათიდან შუაღამემდე; ყოველ შემდეგ ღამეს, მზის ჩასვლისას, მთვარე უფრო აღმოსავლეთის ცაზე ჩნდება და თანდათან ივსება, მას სინათლე ემატება. მთვარე რომ მეოთხედი გახდა, ამის მეშვიდე დღის შემდეგ, იგი ხდება ისევ სრული, მოვანებული. იგი ამოდის, როცა მზე ჩადის.

კაცის თვალისათვის მთვარე უფრო სწრაფად მისცურავს ვიდრე მზე; მათი სისწრაფის ურთიერთობა ერთია წინააღმდეგ 12½, ესე იგი, მთვარის სვლა, როგორც ეს გვეჩვენება, 12½ ჯერ უფრო სწრაფია მზისაზე. წელიწადის

განმავლობაში, როდესაც მზე ყველა თორმეტი ზოდიაკოს, ანუ ეტლს გაივლის (და მზე თვითოული ეტლის გავლას ერთი თვე უნდება), იგივე თორმეტ ზოდიაკო მთვარემ გაიარა უკვე თორმეტჯერ, და კიდევ უფრო მეტი გზაც. მაშასადამე, ყოველ წელს ჩვენ ვხედავთ თორმეტ ბადრ მთავრეს, 12 ახალ მთვარეს და კიდევ ზედმეტ მის გზას.

მთვარის სინათლე მზისაგანაა დამოკიდებული. როცა მთვარე მზის პირდაპირ იმყოფება, 180 გრადუსით დაშორებული, მაშინ მთვარე არის სრული. ამ დროს მთვარეს აქვს გავლილი ექვსი ზოდიაკო (30 გამრავლებული 6-ზე = 180 გრადუსი). როცა მთვარე მზეს ხვდება შეეყრება, მასთან ახლო არის, მაშინ ახალი მთვარეა. როცა მთვარეს გავლილი აქვს სამი ზოდიაკო, ანუ 90 გრადუსი, მაშინ არის მთვარის პირველი მეოთხედი მთვარე შვიდი დღისა – ან უკანასკნელი მეოთხედი მთვარისა ანუ მცხრალი მთვარე.

ამნაირად, საერთო სურათი ასეთია –

1. გავსილი (სრული, ბადრი, მოვანებული) მთვარე. მერმე იწყება დაკლება (მთვარე ხდება ფერმკრთალი, ყვითელი, მცხრალი, მჭლე).

უკანასკნელი მეოთხედი მთვარისა, მთვარის რქა მარცხენა მხარით, ახალი მთვარე; მთვარის რქა მარჯვენა მხარით: მომატება მთვარისა, პირველი მეოთხედი; შემდეგ – ბადრი მთვარე.

2. სრული მთვარის ამოსვლა მზის ჩასვლის დროს; მთვარის ბრწყინვალება მთელი ღამის განმავლობაში; მთვარის ჩასვლა მზის ამოსვლის დროს.

3. ამოსვლა მთვარის უკანასკნელი მეოთხედისა, მცხრალი მთვარისა შუაღამისას; მთვარის სინათლე ცის აღმოსავლეთის ნაწილზე მზის ამოსვლამდე, მთვარის გაფითრება, ფერმკრთალობა, მჭლეობა, მზის ამოსვლის დროს.

4. მთვარის ამოსვლა მზესთან ერთად მზის არემარეში. ღამით მთვარე არ ანათებს.

5. მთვარის პირველი მეოთხედის გამოჩენა მზის ჩასვლისას; მთვარის სინათლე დასავლეთის ცაზე საღამოს ექვსი სასათიდან შუაღამემდე.

6. სრული მთვარიდან სრულ მთვარემდე – ერთი თვე, მთვარის თვე. 189.

***

აი, მზისა და მთვარის ამ ურთიერთობის ამბავს ხშირად ვხვდებით ვეფხისტყაოსანში. მზე და მთვარე და მათი დამოკიდებულება ვეფხისტყაოსანში ნახმარნი არიან გმირთა დასახატავად და ამ სახით გამოყვანილ პირთა ურთეირთობის საჩვენებლად.

მზე და მთვარე ვტნ-ში უმთავრესად პიროვნებანი არიან და ვტნის პიროვნებათა დამოკიდებულება ასტრონომიული შედარებით არის წარმოდგენილი.

ჩვენ უკვე ვიცით, მზეს როცა მთვარე უახლოვდება, მზის სხივებში მთვარე შედის, იგი აღარ მოსჩანს. წინააღმდეგ, მზისაგან დაშორებული მთვარე ხდება სავსე, ბადრი. მთვარე მზისაგან ღებულობს თავის სინათლეს; მზე ავსებს მას და მზესთან მოშორებით იგი მჭლევდება. ყველა ეს ასტრონომიული მოვლენა ნახმარია ვეფხისტყაოსანში პოეტურ ხერხად და მისი მეშვეობით მხატვრული სურათია შექმნილი.

ავთანდილი თინათინს მზედ სთვლის და მასთან შეხვედრა აქ ასტრონომიულად არის აღწერილი – მზესა მთვარე შეეყაროს, დაილევის, დაცასჭნების (126).

მზე – თინათინია; მთვარე – ავთანდილი. თინათინ – მზის შუქში ავთანდილი მთვარე ილევა, სჭკნება.

ოდეს ავთანდილი, ხატაველებთან შეხვედრის შედეგად, შორიდან ტარიელს დაინახავს, მას გამოეკიდება, ვითა გავაზი, ანუ შავარდენი გაფრინდება; მაშინ ავთანდილი არის –

ან მთვარე, მზისა შემყრელი, მზე სინათლითა ზეზითა (214).

ავთანდილი არის მთვარე, რომელი მზეს შეხვდება. და მთვარე აქ არის ახალი მთვარე, რომელიც სილამაზისა და შვენების გამომსახველი არის. ან ავთანდილი არის მზე, რომელი ზეზის, ესე იგი, ბისონის (ყვითელი ძვირფასი ქსოვილია) ბრწყინვალებითაა მოსილი.

შემდეგ მოდის საერთო შედარება მზისა და მთვარისა, მათი ურთიერთობით დახატულია ახლო ყოფნა და მოშორება –

მთვარე მზესა მოეშორვოს, მოშორვება გაგანათლებს...

მაგრამ ამასთანავე –

მუნ ვერ ჭვრეტა საყვარლისა ჭირსა ძველსა გაგვიახლებს (830).

ანუ: მთვარე როს მზეს დაშორდება, იგი მთვარე არის სავსე, ბადრი და სრული მოვანებით. საყვარელის ვერ ნახვა კი შეყვარებულს ძველ ჭირს განუახლებსო.

ვახტანგ მეფის განმარტება –

„მთვარე მზის დაშორებით რომ შეიქნება, მაშინ განათლდება; თხუთმეტი დღისა რომე იქნება, აქეთ პირს მთვარე იქნება და იქით პირს მზე და დაპირისპირებით რომ იქნება, შუქს მისცემს და განათლდება; შეშლა რომ მოუა, ახლოს შეეყრება და აღარ გამოჩნდება“ო.

მთვარე ილევა და ჭკნება უმზეოდ, რადგან მას სინათლით მხოლოდ მზე ავსებს. ეს აზრი გამოთქმულია ავთანდილის მიერ, ოდეს იგი მთვარეს მიმართავს –

მო, მთვარეო, შემიბრალე, ვილევი და შენებრ ვმჭლდები,

მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ვსხვლდები, ზოგჯერ ვწვლდები (963).

ავთანდილი და ფრიდონი ოდეს ერთმანეთს ხვდებიან, ეს ამბავი მზესთან არის შედარებული, რომლის გამოჩენა ახლო მყოფ მნათობთ უჩინარად, უხილველად ჰხდის – მზე უჩინო იქმს მნათობთა, რა ახლოს შეიყრებიან (989).

მზე აქ ავთანდილია. მზის სხივებში სხვა მნათობნი აღარ მოსჩანან.

მეფე სურხავი ნესტანის შესახებ ამბობს, იგი ჩემ რძლად მსურს, სანამ ჩემი შვილი დაბრუნდებოდესო –

მუნამდის მთვარე შუქ კრთომით ჯდეს, მზისა მოშორვებული (1185).

ანუ: რადგან სურახვის ვაჟი არის მზე, ამიტომ ნესტანი – მთვარე იჯდეს მზისაგან მოშორვებული, და ამის გამო შუქ კრთომით იყოსო.

ტარიელს ავთანდილმა ნესტანის ამბავი მიუტანა და მიახარა. ამ მოულოდნელ ამბავზე ტარიელს გული წაუვიდა და დაეცა –

ლურჯად ჩანს შუქი მთვარისა, მზისაგან შუქ ნაკრთომისა (1346).

გულწასული ტარიელი აქ შეევედრება მთვარის ლურჯ შუქს, რომელიც მზისაგან არის დასუსტებული, დამჭლევებული, ტარიელ, ავთანდილ, ფრიდონ ქაჯეთის ციხის ასაღებად ემზადებიან და აქ აღწერილია მათი სამხედრო თვისება. ამ აღწერას მოსდევს ასეთი შედარება –

მზე მნათობთაცა დაჰფარავს, აღარცა ნათლად ხომნია (1411).

მზე თავისი ძლიერი შუქით მნათობებს ჰფარავს, ასევე ტარიელი ყველა დანარჩენ გმირთ და ხომნიც, ანუ პლეადანი აღარსად მოსჩანანო. და კიდევ –

მას ჰგვანდეს, თუმცა სამყაროს მზე უჯდა შუა მთვარეთა (1495).

მზე აქ არის ნესტანი, ხოლო მთვარენი – ტარიელ, ავთანდილ, ფრიდონი. ისინი, ვითარცა მთვარე, რასაკვირველია, თავისი ბრწყინვალებითა და სილამაზით მზე-ნესტანს ვერ შეეტოლებიან.

გმირები არაბეთს მიდიან; ავთანდილი გალეულია ვით მთვარე, რომელიც მზეს – თინათინს უნდა შეხვდეს –

ავთანდილ არს გალეული შესაყრელად მთვარე მზისად (1502).

ამ მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ მზე და მთვარე მათი ასტრონომიული ურთიერთობით ვეფხისტყაოსანში გამოყენებულნი არიან: 1). სილამაზისა და 2). სიყვარულის დასასურათებელად.

3. მზე – სიცოცხლის სიმბოლო

ა). მზე და სიკვდილი

მზე სითბო და სინათლეა. მზე მაცოცხლებელი და მარჩენალია. მზისა და სიცოცხლის ურთიერთობა მჭიდროა. მზის ჩასვენება სიკვდილის

მოახლოვებაა; მზის დაკარგვა – სიკვდილია. და როდესაც როსტევან მეფე თავის ვაზირებს უმტკიცებს –

მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვჭვრეტთ ღამესა ჩვენ უმთვაროსა (35),

ამით იგი ამბობს – მზის ჩასვენება უკვე სიბერის ნიშანია, სიკვდილის მოახლოება არისო.

მზე სიცოცხლესთან პირდაპირაა გადაბმული და სიკვდილი არის მზის მოშორება.

როდესაც ტარიელი თავისი ომის შესახებ მოგვითხრობს, ამბობს –

კაცს შუბი ვკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხდეს მზესა (446).

ანუ: კაცს შუბი ვკარ, მასთან ერთად ცხენიც დაეცა და ორივე მზეს მოშორდა, მზეს მიჰხდა, წაერთვაო.

როდესაც ავთანდილი ვაზირს დააჯერებს მეფესთან შუამდგომლობა გაუწიოს, ვაზირი, რასაკვირველია, საფრთხესა გრძნობს თავისთვის, ამიტომ იგი ამბობს –

ვიტყვი: „მოვკვდე, არა მგამა, ჩემი მზეცა თქვენ მოგხვდების (751).

ანუ: დაე მოვკვდე, არ მენაღვლება (არა მგამა) და ჩემი მზე, ესე იგი, ჩემი სიცოცხლე თქვენ გერგებათ, თქვენთვის გაიწირებაო.

ავთანდილმა ჭაშნაგირის მოკვლის შემდეგ ფატმანს –

უბრძანა: „მოვკალ, მან ყმამან, დღე ვეღარ ნახოს მზიანი“ (1118).

მზის ვერ ნახვა, მზის დაკარგვა – სიკვდილია,

ბ) მზე და ვარდი

მზე ვითარცა სიცოცხლის სიმბოლო ხშირად არის გამოყენებული ვეტნში და მზის ურთიერთობა სიცოცხლესთან პოეტურადაა ნაჩვენები, როგორც მზისა და ვარდის დამოკიდებულება. მაგრამ მზეს, როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, აქაც ორმაგი მნიშვნელობა აქვს: 1. მზე ვითარცა მნათობი და 2. მზე ვით რომელიმე გმირი ვეტნისა. ავთანდილმა თინათინთან მოშორვების გამო – თქვა: „მზეო, ვარდსა სიშორე შენი დამაჩნდეს ეს ადრე (139).

და, რასაკვირველია, ავთანდილი –

ვარდი მის მზისა გაყრილი უფრო და უფრო ჭნებოდა (180).

თინათინ – მზეს დაშორებული ავთანდილი – ვარდი სჭკნებოდა უმზეოდ.

ნესტანი ტარიელს ეუბნება –

მზემან გაყრითა დაგაჭნე, ვითა ყვავილი ბარისა (411).

ანუ: მე, ნესტან – მზე როს მოგშორდი, შენ, ტარიელო! ბარის, დაბლობის ვარდი დაგაჭკნეო.

ავთანდილი თავის ანდერძში სწერს –

მზისა შუქთა ვერ მჭვრეტელი ია ხმების, ვარდი ჭნების (793).

და ეს აზრი კვლავ მეორდება -

მაგრა ვარდსა უმზეობა გაახმობს და ფერსა აკლებს (830).

და ტარიელიც ამასვე ამბობს –

ვარდი ვერ არის უმზეოდ, იყოს, დაიწყებს ჭნობასა (903).

და რათა ტარიელს გული გაუმაგროს და მოთმინება განუმტკიცოს, ავთანდილი მას უმტკიცებს –

მზისა შუქთა მომლოდინე ვარდი სამ დღე არ დაჭნების (903).

ოღონდ თუ მზე დაიკარგა, მაშინ როგორღა იფიქროს ვარდმა სიცოცხლეზე? –

ვარდი ამას ვით იაზრებს: მზე მომშორდეს, არ დავჭნეო,

ანუ ჩვენ, გლახ, რა გვერგების, რა ჩასვენდეს გორსა მზეო? (921).

და თუ ვარდი უმზეოდ დასჭკნა, ცხადია, იგი თავის სიცოცხლეს უნაყოფოდ დაასრულებს –

ვერას ვერ შეიქმნს ნაყოფსა ვარდი უმზეოდ ჭნობილი (934).

ფატმანი ნესტანსა სწერს –

მზისა შუქნი მოიცადენ, ვარდო, ადრე ნუ დასჭნები (1279),

შენი დამხსნელნი მალე მოვლენო.

და მართლაც, ნესტანი მალე გაანთავისუფლეს და იგი ტარიელს შეხვდა –

მზე რა ვარდსა შემოადგეს, დაშვენდეს და შუქნი არნეს (1421).

ტარიელ – მზის შუქნი ვარდ-ნესტანს შემოადგა, დამშვენდა და შუქნი მისკენ ატარაო.

გ). მზე და ზამთარი

ავთანდილის მუქარაზე ასმათი მას ეუბნება –

მზე არ მახლავს, შეგეტყვების თრთვილო, ასრე მით მაწყენო (237).

ანუ: მზე - ტარიელი თან არა მყავს, არ მახლავს და შენ, თრთვილო, ავთანდილ, შენი სიცივით მაწყენ, უმზეოდ მაფუჭებო.

ავთანდილის შესახებ ნათქვამია –

ვით ყვავილსა თრთვილისაგან, პირსა ფერი მოაკლდების;

ჰხედავთ, ვარდსა უმზეობა როგორ ადრე დააჩნდების! (717).

მზე თინათინს ავთანდილი ვეღარ ხედავს უმზეოდ თრთვილი დამაჭკნობელი სიცივე იწყება, პირს ფერი აკლდება.

არამც თუ მზის დაკარგვა, არამედ მისი დროებითი მოშორებაც კი ზიანის მომტანია –

თუ ერთისა მოშორვება მზისა ზამთარს გაგვიმცივნებს;

მე, გლახ, ორნი დამიყრიან, გული ამად რად არ ივნებს? (956).

ამბობს ავთანდილი, როდესაც მას თინათინი და ტარიელი ეს ორი მზე აგონდება.

ავთანდილი ფრიდონის ლაშქარს წააწყდა და მისკენ წავიდა –

მისთა გამყრელთა დააზრობს, შემყრელთა დასწვავს მზე ვითა (979).

ანუ: ავთანდილი – მზე დასწვავს მათ, ვინც მასთან ახლო იმყოფებიან, დასწვავს თავისი მცხინვარებით, ხოლო მისგან შორს მყოფნი სიცივით გაიყინებიან, დაიზრობიანო.

ავთანდილთან მოშორებისა გამო ფრიდონი მოთქვამს: „თუცა მზე გვეხლა, ჩვენ ზამთარი ვერ დაგვზვრიდა! (1020),

ანუ: ვერ გაგვყინავდაო.

ფრიდონი შეეკაზმა და წავიდა ტარიელ–ავანდილის შესახვედრად; მას –

იგი მზენი მოეგებნეს, ვის ზამთარი ვერ დაჰზვრიდა (1379).

ანუ: ტარიელ–მზეს და ავთანდილ–მზეს ზამთარი ვერ გაჰყინავდაო.

ნესტანის განთავისუფლებით მზე–ნესტანი თავისუფალი გახდა, ამიტომო, ამბობენ ჩვენი გმირები –

ჩვენ დამზრალნი აქანამდის აწ ვიქნებით დაუზრობლად (1449).

განთავისუფლებულ მზე–ნესტანს –

ასმათ ჰკადრა: „მადლი ღმერთსა, ვარდნი ვნახე არ დაზრულნი (1453).

ამ შეხედულობას ადასტურებს ნესტანი და ის ტარიელის შესახებ ფატმანს ეუბნება –

მზემან შუქნი შემომადგნა, ვარდი მით ვარ არ დამზრალი (1436).

ესე იგი, ტარიელმა – მზემ თავისი შუქი მომაყენა, შემომადგა მისი შუქნიო და ამიტომ არა ვარ დამზრალი, გაყინულიო.

ხოლო როდესაც ავთანდილი მეფე როსტევანის წინაშე დარცხვენილი იყო და თავს იმალავდა, ეს იმას ჰგავდა, თითქო –

მზე ღრუბენლსა მოჰფარვოდა, ქუშდებოდა, ვარდსა ზვრიდა (1530).

ან: მზე ღრუბელს მოფარებული იყო, წყრებოდა, ქუშდებოდა, და ვარდსა ჰყინავდაო.

***

ამგვარად, როგორც დავინახეთ, ასტრონომიული და მეტეოროლოგიური მოვლენანი ვეფხის ტყაოსანში გამოყენებულნი არიან სიცოცხლისა და სიყვარულის პოეტურ გამოსახულებად.

4. მზის დაბრუნება და ამაღლება

ა). მზის დაბრუნება

ყოველ დღიურად მზე გადადის ცაზე, გადაითვლის კამარას (თაღს, კონქს), ესე იგი, წრის ერთ ნაწილს. ამ კამარას ჰქვია მზის დღიური კამარა. ამ დღიურ კამარას შეეტყვისება ღამის კამარა, ჰორიზონტის ქვემოთ მდებარე რომელს მზე ღამის განმავლობაში გაივლის მთელ წრეს, რომელიც დღისა და ღამის კამარასაგან შესდება, ეწოდება მზის დღიური წრე. მაშასადამე, მზის დღიური წრეა მზის დღიური კამარა და მზის ღამური კამარა, ანუ 360 გრადუსი. მზის დღიური კამარა წელიწადის განმავლობაში თანაბარი არაა სხვა და სხვა დღეს. 21 მარტსა და 23 სექტემბერს დღიური კამარა უდიდესია. ამ დღიდან ჩრდილოეთისაკენ და სამხრეთისაკენ დღიური კამარა მცირდება. ცხადია, წრეს აქვს მუდამ 360 გრადუსი. დღიური კამარა კი დღე მიყოლებით არაა სწორი, არა თანაბარია. 21 მარტსა და 23 სექტემბერს დღიურ კამარას აქვს 180 გრადუსი, მაშასადამე, მთელი წრის ნახევარი. 21 მარტიდან 22 ივნისამდე მზის დღიური კამარის გრადუსი იზრდება. 22 ივნისიდან 22 დეკემბრამდე მზის დღიური კამარა მცირდება. 22 დეკემბრიდან მზის დღიური კამარა იზრდება, სანამ 21 მარტს 180 გრადუსს არ მიაღწევს. და იწყება კვლავ შემდეგი წელიწადი, თავისი კანონებრივი ცვალებადობით, ამ წლიურ მოძრაობას ჰქვია მიმოქცევა, წრიული, წრიადი სვლა. 189. თავი მეორე.

აი, ამ ასტრონომიულ მოვლენასთან გვაქვს საქმე ვტნში.

***

ვთქვი, დღიური კამარა, რომელსაც მზე მისდევს, ანუ რომელზე მოძრაობს, არ არის პირდაპირი, არამედ ირიბულია, დაქანებული. მთელი წლის დღიურ კამარებს აქვთ ერთი მეორესთან პარალელური მდგომარეობა მაშასადამე, ერთი და იგივე მდგომარეობა ჰორიზონტის მიმართ. თითოული დღიურ კამარა აკეთებს ჩვენს ჰორიზონტთან სამხრეთით წვეტიან კუთხეს, – ჩრდილოეთით კი – ბლაგვ კუთხეს. მზე გადის ერთსა და იმავე ხანაში, მაგალითად ერთ საათში, დღიური გრადების ერთსა და იმავე რიცხვს სახელდობრ 15 გრადუსს (360 : 24 =15).

თუ ჩვენ ვიცით სწორად შუადღე, როცა მზე თავის უმაღლეს წერტს ცაზე აღწევს, მაშინ შეგვიძლია ამ წერტზე გავიყვანოთ წრე და გავაგრძელოთ იგი ჰორიზონტამდე. ეს არის შუა დღის წრე, ანუ მერიდიანი იმ ადგილისა, სადაც ჩვენ ვიმყოფებით. შუადღის წრე იგი იმიტომ არის, რომ ყოველ დღეს განსაზღვრული ადგილისათვის შუა დღეა, როცა მზე, ანუ უფრო სწორად, მზის შუა გული ამ წრეს მიაღწევს. ეს მერიდიანი სჭრის თითოულ დღიურ კამარას მარჯვენა კუთხით დაჰყოფს თითოულს ორ თანაბარ ნაწილად.

მერიდიანიდან აღმოსავლეთის ნაწილი დასავლეთის ნაწილს უდრის. 21 მარტს და 23 სექტემბერს დღიური კამარის და მერიდიანის კვეთის წერტილი დაშორებულია აღმოსავლეთის წერტიდან 90 გრადუსით და დასავლეთის წერტიდან აგრეთვე 90 გრადუსით. 22 ივნისს, მზის ამოსვლასა, ან ჩასვლის წერტსა და მერიდიანთან დღიური კამარის წერტს შორის არის 124 გრადუსი (ზუსტად 124 ½). 22 დეკემბერს ამ კამარას აქვს 56 გრადუსი (ზუსტად – 55 ½).

დღიური კამარის კვეთის წევრი მერიდიანში თანამომდევნო დღეებში სხვა და სხვა ადგილას ხვდება, ესე იგი, მზე ადის სხვა და სხვა შუადღისას, 12 საათზე, სხვა და სხვა სიმაღლეზე. მზის უმაღლესი ადგილი ცაზე არის მაშინ, როცა მზის შუაგული მერიდიანზე გადის. მაშინ ამბობენ, მზე მაღლობს, მოიმაღლებს, კულმინაციოში, ანუ თავისი გზის უუმაღლეს წერტილში არისო. მერიდიანის წერტი, სადაც ეს მოვლენა ხდება, იწოდება მზის კულმინაციოს ანუ ამაღლების წერტად. მზის კულმინაციოს წერტი არის 21 მარტს და 23 სექტემბერს, სამხრეთის წერტიდან 37 ½ გრადუსის დაშორებით. 22 ივნისს ეს წერტი არის 23 ½ გრადუსით მაღლა. 22 დეკემბერს კი – 23 ½ გრადუსით დაბლა. კამარა, ანუ წრე, რომელს მზე 21 მარტს და 23 სექტემბერს გაივლის არის ეკვატორი, უთრო სწორად, ცის ეკვატორი. მზე ამ დღეებში ეკვატორს უბრუნდება. 189.

აი, ამ ამაღლება-კულმინაციონთან გვაქვს საქმე ვეფხისტყაოსანში.

***

ვაზირ სოგრატთან საუბრის დროს ავთანდილი სჩივის, რომ მას არ შეუძლია უნებართვოდ ტარიელთან მიბრუნება და მისი შველა. ამიტომ ვაზირმა მისთვის უნდა იშუამდგომლოს მეფესთან, რათა მან ავთანდილი გაუშვას. ავთანდილმა ხომ ტარიელს შეჰფიცა, მე შენი მოყვარე, ძმობილი ვარო, და ამიტომ ამწარებს დაგვიანება და არ-მისვლა. ამ კამათის დროს ავთანდილი ამბობს –

მზე დაბრუნდა, არ ვიცოდი, მზესა რაცა დააბრუნვებს!

აწ ვუშველოთ, გვიჯობს, იგი ნაცვლად დღესა დაგვითბუნვებს (747).

ეს ლექსი ტარიელს შეეხება და ამით ნათქვამია – ტარიელი, რომელიც სიკვდილს ნატრობდა, სიცოცხლეს მოუბრუნდა და აწი ვუშველოთ მასო. ეს აზრი აქ ასტრონომიულად არის გამოთქმული – მზე დაბრუნდა – არის მზის მოქცევა, ანუ მოტრიალება, მობრუნება ზამთრის წერტიდან, რაც 22 დეკემბერს ხდება. ამ დღიდან მზე ეკვატორისაკენ ბრუნდება და 21 მარტს გაზაფხულს იწყებს. ზამთრისა და სიცივის ნაცვლად აწი იგი მზე–ტარიელი დღესა დაგვითბუნვებს, გაგვათბობსო; ოღონდ ავთანდილი აღიარებს, არ ვიცოდი მზესა რამცა დააბრუნვებსო, და ამით მას სურს თქვას – არ ვიცი, ტარიელი რატომ მობრუნდა სიცოცხლისაკენო. მაგრამ რადგან ასეა, მას ჩვენ მოვეხმაროთ და სამაგიეროს გადაგვიხდის, ვით გაზაფხულისაკენ დაბრუნებული მზეო გაგვათბობსო.

ბ). მზის ამაღლება

ასტრონომიული მოვლენა მზის ამაღლების შესახებ ვტნში გამოყენებულია ნესტანის მოგზაურობის გამო. როდესაც ქაჯეთის ციხე აიღეს და ნესტანი გაანთავისუფლეს, ჩვენი გმირები პირველად ზღვათა მეფე სურხავს შეხვდნენ, რომელმაც ნესტანსა და ტარიელს ქორწილი გადაუხადა. იქედან ჩვენმა გმირებმა კაცი გააგზავნეს ფრიდონის სამეფოში ასმათთან, გამარჯვების მახარობელი და თან შეატყობინეს, ნესტანი მოგვყავსო –

მუნით კაცი ასმათს თანა მათ გაგზავნეს მახარობლად,

კვლა ფრიდონის თავადთასა ნაომართა მათთა მთხრობლად;

„მანდა მოვა, მოიმაღლებს მზე მნათობთა მამაგრობლად,

ჩვენ, დამზრალნი აქანამდის, აწ დავხედით დაუზრობლადნ (1449).

ნესტანი–მზე მოიმაღლებს, ესე იგი, იგი მზე თავის უმაღლეს გზაზეა, თავის კულმინაციონში არისო. მზის ეს ამაღლება არის ცის ეკვატორზე ასვლა. ამით ნათქვამია, ნესტანი–მზე თავის უუმაღლეს ბრწყინვალებაშია და თავისი ძლიერება-ელვარებით დანარჩენ მნათობებსაც ამაგრებს, აძლიერებს თავისი შუქითო. და ეს მნათობნი ხომ ტარიელ, ავთანდილ და ფრიდონ არიან!, რომელთაც მზე–ნესტანის ამაღლება დიდ ბედნიერებას ანიჭებს და მათ ამაგრებს ამით. რასაკვირველია, ოდეს მზე თავის ცხოველმყოფელ ძალას ანვითარებს და ჰშლის, მაშინ დამზრალნი, ანუ გაყინულნი თბებიან, სიცოცხლის უნარს იბრუნებენ და აღარ დაიზვრებიან, და აღარ გაიყინებიან...

ნესტან–მზის ამაღლებით თავდება ვტნის გმირთა ჭირი, ცხარე ბრძოლა და რომანის დასახული მიზანიც ამით მიღწეულია.

5. მზე და ლომი

შემდეგი ასტრონომიული მოვლენა, რომელს ვტნში ვხვდებით, არის მზისა და ეტლთა ურთიერთობა. მაგრამ ამ ამბავის გასაგებად ისევ ცას უნდა შევხედოთ და მზისა და ეტლთა დამოკიდებულება გამოვარკვიოთ.

რათა მზემ მერიდიანში გაიაროს და ისევ მერიდიანში დაბრუნდეს, ამისათვის მას სჭირდება 24 საათი. ამ გზის გავლას მთვარე უნდება 24 საათი და 50 წუთი. ვარსკვლავს კი – 23 საათი და 56 წუთი. თუ ეკვატორზე მყოფი ვარსკვლავი ახლა ამოდის, იგი ამოვა ისევე 23 საათისა და 56 წუთის შემდგ, მთვარე კი, როცა იგი ეკვატორში იმყოფება, მხოლოდ 24 საათისა და 50 წუთის შემდეგ. ცხადია, ამის მიხედვით, მთვარე თუ ერთ რომელიმე ვარსკვლავთან იდგა, შემდეგ ამოსვლისას იქ უკვე აღარ იქნება, სადაც გუშინ იყო და ასე ყოველთვის. მთვარე სცილდება იმ ვარსკვლავედს, ანუ ვარსკვლავთა სურათს, რომელში იგი დღეს იმყოფება. მთვარე გადაინაცვლებს აღმოსავლეთისაკენ და მხოლოდ 27 დღის შემდეგ შედის იგი იმავე ვარსკვლავედში. ეს ვარსკვლავთა სურათნი, ანუ ვარსკვლავედნი,

ანუ ზოდიაკონი, რომელთაც მთვარე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ამნაირად 27 დღის განმავლობაში გაივლის, ჰქმნიან დიდ სარტყელს ცის თაღზე, ერთ დიდ წრეს, რკალს, რომელიც ორ ადგილზე ცის ეკვატორსა სჭრის. ამგვარად, ამ სარტყელის, ანუ წრის ერთი ნახევარი იმყოფება ეკვატორის ჩრდილოეთით, მეორე ნახევარი კი – სამხრეთით. ეს სარტყელი, ანუ წრე დაყოფილია თორმეტ თანაბარ ნაწილად და თითო ნაწილი იწოდება გამოსახებად. ამ თითოულ გამოსახებაში იმყოფება ვარსკვლავთა სურათი, ანუ ვარსკვლავედი, ანუ ზოდიაკო, რომელთაც ეწოდებათ – 1. არიეს (ვერძი); 2. ტაურუს (კურო); 3. გემინი (მარჩბივი, ტყუბნი); 4. კანცერნ (კირჩხიბი); 5. ლეო (ლომი); 6. ვირგო (ქალწული); 7. ლიბრა (სასწორი); 8. სკორპიუს (ღრიანკალი); 9. საგიტარიუს (მშვილდოსანი); 10. კაპრიკორნუს (თხის რქა); 11. აკვარიუს (მერწყული) და 12. პისცეს (თევზნი).

ვინაიდან თითოული წრე 360 გრადუსად იყოფა ამიტომ თითოულ გამოსახებასა და ვარსკვლავეთს 30 გრადუსი ერგება. ამ გამოსახებასა და ვარსკვლავეთს ეწოდება ცხოველთა წრე ანუ ზოდიაკოთა წრე (ზოდიო – ცხოველი).

მთვარე, მაშასადამე, გაივლის ყველა ამ თორმეტ ზოდიაკოს იმ რიგით, როგორც აქაა დალაგებული. იგი იწყებს ვერძით და ათავებს თევზით. შემდეგ მთვარე შედის, ჯდება ისევ ვერძის ეტლში, ანუ ზოდიაკოში. პირველი ექვსი ზოდიაკო, ანუ ეტლი არის ეკვატორის ჩრდილოეთით; უკანასკნელი ექვსი კი – სამხრეთით. ამიტომ პირველთ ჰქვიან ჩრდილოეთის ზოდიაკონი, უკანასკნელნი კი სამხრეთის ზოდიაკონი

მთვარე, ოდეს იგი სრულია (სავსე, ბადრი, მოვანებული), იმყოფება თითქმის მზის პირდაპირ 180 გრადუსით დაშორებული. ხოლო როდესაც არის ახალი მთვარე, მზე მას ხვდება, შეეყრება ერთსა და იმავე ზოდიაკოში. მთვარე სავსე ხვდება გაზაფხულის დღე და ღამის გასწორებისას, ანუ ბუნიაობის დროს. იგი ამ დროს იმყოფება ვერძის ზოდიაკოში შემდეგ გაივლის იგი ყველა ზოდიაკოს. თითოულ ზოდიაკოში მთვარე რჩება ორ დღეზე ცოტა მეტ ხანს. მაშასადამე, ახალი მთვარე ყოველთვის ექვს ზოდიაკოს, ანუ ეტლს გაივლის. ამავე დროს ახალი მთვარისას იგი მთვარე მზესთან ერთად იმყოფება. არამც თუ მარტო მთვარე არამედ მზეც გადადის ერთი ზოდიაკოდან მეორეში. თუ დღეს ახალი მთვარე დგება ვერძის ეტლში, შემდეგი ახალი მთვარე იქნება კუროს ზოდიაკოში. იმ ხანის განმავლობაში, როდესაც მთვარემ თორმეტი ზოდიაკი, ეტლი განვლო, მზემ გაიარა მხოლოდ ერთი ზოდიაკო. და ამ ზოდიაკოში მთვარე და მზე თითიქო ერთმანეთს ისევ შეეყრებიან. გზას, რომელსაც მთვარე ყოველ ერთ თვეში გაივლის ერთ ჯერ, მზე უნდება მის გავლას ერთი წელიწადი. მზე რჩება თითოულ ზოდიაკოში ერთი თვე.

მაშ, მზე გაივლის ყოველ ზოდიაკოს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ზოდიაკოთა იმავე გზით, როგორც მთვარე. 21 მარტს მზე იმყოფება ცის ეკვატორზე და ამ დღეს მზე შედის და ჯდება ვერძის ზოდიაკოში, ანუ ეტლში, მერმე მზე შორდება ეკვატორს ჩრდილოეთის მიმართულებით და

გადასჭრის გაზაფხულის განმავლობაში შემდეგ ეტლთ – ვერძი, კურო, მარჩბივი (გაზაფხულის გამოსახება). 21 ივნისს ზაფხულის დაწყების დღეა; მზე მიუახლოვდა კირჩხიბის წრეს და გაივლის ზაფხულის განმავლობაში შემდეგ ზოდიაკოთ – კირჩხიბი, ლომი, ქალწული (ზაფხულის გამოსახება). აქედან მზე ეშვება ეკვატორისაკენ, მიადგება ეკვატორს და ამასთან ერთად ზოდიაკო სასწორის პირველ წერტს, 23 სექტემბერს. აქედან მზე ქვემოდ მიდის და შემოდგომის განმავლობაში გაივლის შემდეგ ეტლთ – სასწორი, ღრიანკალი, მშვილდოსანი (შემოდგომის გამოსახება). 21 დეკემბერს მზე ჩადის თავის უმდაბლეს წერტილამდე. აქ მზე მიუახლოვდება თხის რქის წრეს, და მერმე ჯდება თხის რქის გამოსახებაზე; შემდეგ აქედან მზე გადადის ზოდიაკო მერწყულზე და ზამთარის განმავლობაში გაივლის შემდეგ ეტლთ – თხის რქა, მერწყული, თევზნი (ზამთარის გამოსახება). და 21 მარტს მზე ხელახლა აღწევს ეკვატორს, ჩნდება ისევ ვერძის დაწყების წერტში აქედან ისევ იწყება კვლავ წლიური მიმოქცევა.

ვერძის გამოსახების პირველ წერტს ეწოდება გაზაფხულის დღეღამის გათანასწორება, ანუ ბუნიობა, ანუ ექვინოქტიალ პუნქტი, ანუ გაზაფხულის წერტი. მზე ჯდება ვერძზე - 21 მარტს .

სასწორის გამოსახების პირველი წერტი არის შემოდგომის დღეღამის გასწორების წერტი, ანუ შემოდგომის ბუნიობა, ან ექვინოკტიალ პუნქტი, ანუ შემოდგომის წერტი. მზე ჯდება სასწორზე 23 სექტემბრს.

კირჩხიბის გამოსახების პირველ წერტს (21ივნისი) ეწოდება ზაფხულის სოლსტისიალ პუნქტი, აქ მზე ჯდება კირჩხიბზე, ანუ სარატანზე.

თხის რქის გამოსახების პირველ წერტს (22 დეკემბერი) ეწოდება ზამთარის მოქცევის წერტი, ანუ ზამთარის სოლსტისიალ პუნქტი (ზამთარის დადგომა). მზე ჯდება თხის რქაზე.

ახლა უკვე გასაგები უნდა იყოს „მზის შეჯდომის“ ამბავი, რომელზე ვტნში ორ ჯერ არის საუბარი.

როდესაც მელიქ სურხავის სასახლიდან გაპარული ნესტანი ფატმანს მიადგა და გასაქცევად დახმარება თხოვა, ფატმანმა მყისვე ცხენი შეუკაზმა და ზედ შესვა გამხიარულებული ნესტანი. რას უნდა შეედაროს ეს სურათი თუ არა მზეს, რომელიც ლომის ზოდიაკოზე შეჯდა? –

შევე ფიცხლად საჯინიბოს, ავხსენ ცხენი უკეთესი,

შევუკაზმე, ზედა შევსვი მხიარული, არ მოკვნესი.

ჰგვანდა, ოდეს ლომსა შეჯდეს მზე, მნაობთა უკეთესი!

წახდა ჩემი ჭირნახული; ვერ მოვიმკი, რაცა ვთესი (1201).

ეს ასტრონომიული შედარება – მზის შეჯდომა ლომზე – ახლა იოლი გასაგებია. ამით ფატმანი ამბობს – მზე შევიდა და შეჯდა ზოდიაკოში, რომელს „ლომი“ ჰქვიანო.

მზის შეჯდომა ლომის ეტლზე ხდება 23 ივლისს, როცა მზე თავისი ძლიერებისა და სილამაზის უმაღლესობაშია. და ცხადია, ნესტანი – მზე ლამაზია და ბრწყინვალე ვითარცა მზე ლომის ეტლში მჯდომარე. ნესტანი მხიარულია, ხოლო ფატმანია ნაწყენი, რადგან მას წაუხდა ჭირნახული – მან იხსნა ნესტანი ზანგთა ტყვეობისაგან; მერმე წაართვეს იგი სასახლეში მიყვანით, და ახლა მას იგი ცხენით უგზოუკვლოდ ეკარგება! ამიტომ ამბობს ფატმანი, ჭირნახული წამიხდა და რაც ვთესი, ის ვერ მოვიმკეო.

***

მკვლევარ პავლე ინგოროყვას ეს უკანასკნელი შაირი „საბჭოთა მწერალის“ მიერ გამოცემულ ვტნში (1953 წ.) შესწორებული აქვს რომელიღაც ხელნაწერის მიხედვით და ასეთ შესწორებას ასე ასაბუთებს –

„38). სტროფი 1201.

„1951 წ. გამოცემაში 1 და 3 ტაეპებში ერთი და იგივე სარითმო სიტყვაა – „უკეთესი“ (პირველი ტაეპი – ცხენი უკეთესი, მესამე ტაეპი – „მნათობთა უკეთესი“).

„მესამე ტაეპში რითმა გასწორდა – „უზეშთესი“.

„ჰგვანდა ოდეს ლომსა შეჯდეს მზე მნათობთა უზეშთესი“.

„(„უზეშთესი“ – არის ხელნაწერში)“-ო.

ეს შესწორება სწორი და მისაღები არაა იმის მიუხედავად, რომ ამ შაირში ორჯერ არის ნახმარი რითმა: „უკეთესი“. ამ შესწორების უარსაყოფად შემდეგი საბუთის მოტანა შეიძლება:

1). „უზეშთესი“ აქ რითმას აკოჭლებს, გარნა ეს საბუთი მაინც და მაინც გამოსადეგი არაა, რადგან შესუსტებული რითმა არა ერთია თვით სხა შაირშიც;

2). „უზეშთესი“ („უზეშთაესი“) ნიშნავს – უმაღლესი, რასაკვირველია, იგულისხმება: სხვა რომელიმეზე უმაღლესი თავისი მდებარეობით, თუ მდგომარეობით. მზე მნათობთა „უზეშთესი“ უნდა იყოს სხვა მნათობთა უმაღლესი ან თავისი მდებარეობით, ან მდგომარეობით. ეს თქმა მზის შესახებ არ იქნებოდა სწორი, რადგან ასტრონომიულად მზეს მეოთხე ადგილი უკავია. მაშასადამე, მზე არ არის „უზეშთესი“; არც ასტროლოგიურად იქნებოდა ეს თქმა სწორი, რადგა მზე ასტროლოგიაში, ან უფრო ზუსტად, ასტროლოგიურ თეოლოგიაში არ არის „უზეშთესი“, – მზე აქ არის ან პირველი ღმერთი, ან მეორე სხვა მნათობთა შორის. და არა „უზეშთესი“.

3). „უზეშთესი“ არის ცნობილი ქრისტიანული მცნება, რომელიც სასუფეველს, უუმაღლეს სამყოფელს გამოსახავს, რაც აღნიშნულ შაირს სრულებით არ უდგება;

4). მზე ასტროლოგიურად და ესთეტიურად არის „უკეთესი“. „უკეთესი“ არის მზის სახელი და ამით მზის სილამაზე აღინიშნება. ეს თვით ვტნშია განმარტებული, როდესაც ავთანდილი თინათინის შესახებ ამბობს –

მე სოფელმან მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა (810).

„უკეთესი მზე“, ანუ ულამაზესი არის თინათინი.

5). მზე არის „უკეთესი“, ანუ ულამაზესი, როცა იგი მთელ თავის ბრწყინვალებას და ძალას აჩვენებს, 23 ივლისიდან, – ანუ როდესაც მზე ზოდიაკო ლომზე ჯდება;

6). ალბათ რომელიმე გადამწერს თვალში მოხვდა ორჯერ რითმა „უკეთესი“ და მეორე „უკეთესი“ უსაბუთოდ შეასწორა „მზე უზეშთეს“ად, რაც ახლა პ. ინგოროყვამ გაიზიარა, და რითაც დარღვეულია მზის ამ შაირში ასტროლოგიური და ესთეტიური მნიშვნელობა. ამ შაირში „მზე მნათობთა უკეთესი“ არის მზე ყველა მნათობზე ულამაზესი. და ეს ასე უნდა დარჩეს.

***

ვტნში არის კიდევ მზისა და ლომის ერთად დასახელება, რომელსაც რამოდენიმე მნიშვნელობა აქვს. ამგვარ შაირებში ლომი არის ვით ლომი, ძლიერი, დიდებულ, მეფე; მეორე მხრივ ეს ლომი არის მზის გამოსახულება, ლომი ვითარცა მზე, ლომი ვით სიმბოლო მზისა; და ამას გარდასიტყვა მლომინ არის ზრდილობითი მიმართვა, საეტიკეტო სიტყვა. იმ შაირებში, რომელშიც ლომი და მზე ერთადაა დასახელებული, მაშასადამე: მოცემულია შედარება პოეტური: 1. ლომი – ძალისა, ძლიერებისა და დიდებულებისათვის, 2. შედარება ასტრონომიული – ლომი ვით მზის სიმბოლო და 3. ლომი – სიტყვა ზრდილობითი.

თინათინი როდესაც ავთანდილს ტარიელის საძებნელად აგზავნის, მას ეუბნება; იპოვნე იგი კაცი და –

მერმე მოდი ლომო, მზესა შეგეყრები, შემეყარე (131).

აქ სიტყვა „ლომო“ ერთი მხრივ მიმართვაა ავთანდილისადმი, ზრდილობის სიტყვით; მეორე მხრივ ავთანდილი არის ლომი – ვით ძლიერი და დიდებული; და ამასთანავე იგი მზის გამოსახულებაც არის.

სარიდანის შესახებ ტარიელი ამბობს –

ტანად ლომი და პირად მზე... (311).

აქაც ლომიც ძლიერების გამომსახვლია და ლომია მზე.

ნესტანი ტარიელსა სწერს –

მზემან ლომსა ვარდ-გიშერი ბაღჩა ბაღად უშენოსა (494).

მზე არის ნესტანი; ტარიელი – ლომი, რომელიც აგრეთვე მზეა.

ფრიდონის შესახებ ტარიელი ამბობს –

იბრძვის ლომი და პირად მზე... (616).

ლომი აქაც ძლიერი მებრძოლია და მზის სახეც.

ავთანდილს ეჩქარება თინათინის ნახვა –

მას ლომსა ნახვა უხარის მის მზისა მოკამათისა (679).

ავთანდილი ლომი – მზეა, და თინათინია მზე, რომელი მზის სილამაზეს ეკამათება, ედავება.

სასახლეში მისულმა –

მას ავთანდილ თაყვანი სცა ლომთა ლომმან მზეთა მზესა (685).

ავთანდილს მოქარავნენი ეუბნებიან –

ლომო და მზეო... (1034).

ავთანდილი –

რა ფატმანისას შევიდა ლომი, მზე, მოყმე წყლიანი (1118).

ავთანდილმა როს საჭაბუკო ტანისამოსი ჩაიცვა –

მოიმატა დაშვენება, დაემსგავსა ლომი მზესა (1256).

ფრიდონს ავთანდილი სწერს –

ლომისა მსგავსო ძალ გულად, მზეო, შუქ მოიფეო (1318).

მელიქ სურხავი ტარიელსა და ნესტან შეხვდება –

უხარის ნახვა ლომისა და მზისა ხმელთა მნათისა (1433).

ტარიელზე და ნესტანზე ნათქვამია –

რადგან მიჰხვდა დაკარგული ლომი მზესა წარხდომილსა (1459).

გამარჯვებულნი გმირნი –

ფრიდონისით გაემართნეს იგი ლომნი, იგი მზენი (1493).

ტარიელი ნესტანს ეუბნება ავთანდილზე –

მე ლომი ლომთა დაგისვა გვერდსა შენ მზეთა მზეთასა (1542).

და დაბოლოს, ეგვიპტელნი ვაჭარნი ტარიელისა და ნესტანის შესახებ ამბობენ -

... წავიდა ლომი მის მზისა მძებნელად. (1586).

***

ყველგან აქ ლომი და მზე ერთად არის დასახელებული. და ამ ერთად დასახელების აზრი იოლად გასაგებია, ვინაიდან ერთი მხრივ, ყველგან აქ ლომი არის რომელიმე გმირი, ვითარცა ძლიერი და დიდებული, და ამასთანავე ლომი ვით მზის გამოსახულებაც. და ამგვარად თანაბარი მზე – თინათინისა, ან მზე – ნესტანისა.

ლომისა და მზის ერთად მოთავსება სურათებზე ძველად ხშირი იყო, როგორც ფულზე, ისე ღერბზე. 190. (ამას გარდა „ლომის“ შესახებ იხილეთ ჩემი: „ვტნის საზოგადოებათმეტყველება“).

6. მზე და საროს ტანი, თუ სარატანი

არაბული „ელ სარტან“, სპარსული „სარატან“ ქართული „კირჩხიბის“ შესატყვისია. იგი არის ზოდიაკო, რომლის შესახებ ჩვენ გრძლად ვისაუბრეთ ჩემს წიგნში მვტნის ვარსკვლავთმეტყველებან, სანტიაგო დე ჩილე, 1957 წ. გვ. 106–115.

კირჩხიბის, ანუ სარატანის ეტლში მზე შედის ანუ ჯდება 22 ივნისს, ხოლო **საროს ტანზე**, ანუ ზოდიაკოზე „ქალწული“ – 23 აგვისტოს.

ავთანდილმა ფატმანისაგან ნესტანის ამბავი გაიგო და ქვაბისაკენ ტარიელთან გაეშურა, რათა დანიშნულ დროს მასთან მისულიყო. მან განვლო ზღვანი და ნაპირს სწორედ იმ დროს მიადგა, როცა – 1. ან იწყებოდა ზაფხული, ან 2. თავდებოდა ზაფხული.

ავთანდილი იმ დროს გადმოვიდა ნაპირზე როდესაც **მოახლოებული იყო** –

ეტლის ცვალება მზისაგან. შეჯდომა სარატანისა (1328).

ესე იგი: მოახლოებული იყო ეტლის, ანუ ზოდიაკოს ცვალება – მზე ჯერ კიდევ იმყოფებოდა სარატანის წინა ზოდიაკოში და როცა მას გაივლიდა, მაშინ იგი მზე უკვე სარატანის ზოდიაკოზე შეჯდებოდა. სარატანის წინა ზოდიაკო არის ზოდიაკო მარჩბივი (ტყუბნი), 21 მაისიდან 22 ივნისამდე. ამ განმარტების მიხედვით, ავთანდილი ნაპირს გადმოვიდა იმ დროს, როცა მოახლოებული იყო მზისაგან ზოდიაკო მარჩბივის დატოვება და მზის შეჯდომა ზოდიაკო სარატანზე, ესე იგი მოახლოებული იყოო 21 (22) ივნისი.

ავთანდილი იმ დროს გადავიდა ნაპირზე როდესაც დასრულებული, **გათავებული იყო** -

ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა (1328).

ესე იგი, მზემ დაასრულა თავისი სვლა ზოდიაკო მარჩბივში (21 მაისი – 22 ივნისი) და უკვე შესული იყო ზოდიაკო სარატანზე (22 – 23 ივლისი).

ეს საკითხი უკვე გავარჩიე და ის დებულება მივიღე, რომ ამ შაირში ზოდიაკო „სარატანი“ არ იგულისხმება. აქ არის ლაპარაკი **„საროს ტან“**ზე.

ავთანდილი ზღვიდან ნაპირს მაშინ მაშინ გადმოვიდა, როდესაც ან მოახლოვებული იყო ზაფხული ან დასრულებული იყო იგი.

დავასკვენი: ეს ზოდიაკო, ანუ ეტლი, რომელიც მზეს უნდა გამოეცვალა, არის ზოდიაკო „ლომი“, რომელსაც მზე სტოვებს 23 აგვისტოს და ჯდება შემდეგ ზოდიაკოში, რომელსაც ეწოდება „ქალწული“ (23 ანვისტოდან 21 სექტემბრამდე).

ჩემი გამოკვლევის თანახმად, აღნიშნულ შაირში საუბარია ზოდიაკოზე, რომელსაც ჰქვია „ქალწული“ და რომელიც ვტნში წარმოდგეილია ზოდიაკოდ „საროს ტანი“, რაც „ქალწულის“ სიმბოლოა.

7. მზე და კრონოსი

ბერძნულად (და ქართულადაც) კრონოს, ლათინურად – სატურნუს, არაბულად – ზუალ, არის მეშვიდე მნათობი მეშვიდე ცაზე.

მზისა და სატურნუსის (ზუალის) ურთიერთობა ასტროლოგიური ხასიათისა არის – მზე მაცოცხლებელი, გამაბედნიერებელი; სატურნუს (კრონოს, ზუალი) – შავი ვარსკვლავი, შავი ბედის მომტანი, გამაუბედურებელი. მაგრამ მზეს შეუძლია ვით კეთილმოქმედსა და ბედნიერების მომნიჭებელს, კრონოსზე ერთგვარი გავლენა მოახდინოს და მისი ბოროტება თუ სავსებით ვერ მოსპოს, შეამციროს მაინც. მნათობთა შუქნი ერთდებიან და ამ შეხვედრის დროს ისინი კუთხესა ჰქმნიან. ესაა მნათობთა მიერ ერთი მეორეს შეხედვა, მზერა, ასპექტი, რომელსაც ჰოროსკოპში დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ასპექტი, ანუ მზერა მნათობთა და ამგვარად მათ შუქთა შეხვედრა არის: ან კარგი, ან ცუდი.

თუ მზისა და კრონოსის შუქთა შეხვედრა, ანუ მზერა ერთ რომელიმე განსაზღვრულ დროში არის კარგი, მაშინ კარგ ბედსა აქვს მომავალი; თუ მათი მზერა ცუდია რომელიმე წუთში, მაშინ უბედურება აუცილებელია. ხოლო თუ კრონოსი მარტო დარჩა, ისედაც შავი ბედის მატარებელი, მაშინ ბედშავობა გარდაუვალია. აი, ეს ასტროლოგიური სწავლა არის გამოყენებული, როცა ქაჯეთის ციხის დამხობის ამბავს ვეცნობით.

როდესაც ჩვენი გმირები ქაჯეთის ციხეში მოულოდნელად შეიჭრნენ, –

მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა:

კრონოს, წყრომით შემხედველმან, მოიშორვა სიტკბო მზისა,

მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმგრგვლე ცისა (1415).

ამგვარად, კრონოსმა (სატურნუს, ზუალმა), მას შემდეგ რაც მან მზის ტკბილი მზერა მოიშორა და თავისი ბუნების ამარად დარჩა, რისხვა და საშინელი უბედურება ქაჯეთის ციხეს დაატყდა. ამ ასტროლოგიური სურათით აღწერილია ქაჯეთის დალეწვა.

8. მზე და ვეშაპი

უცნაურია პირველი გაგონებით მზისა და ვეშაპის ერთად ხსენება. გაუგებარია დღევანდელი მკითხველისათვის მზისა და ვეშაპის მოულოდნელი ურთიერთობა; გარნა ძველად და შუა საუკუნთა გასწვრივ ამ შემთხვევაში არც გაუგებარი და არც უცნაური არა რა იყო.

მზისა და ვეშაპის ერთად ხსენება მზის დაბნელების ამბავს გვაცნობებს.

ჩემს წიგნში „ვტნის ვარსკვლავთმეტყველება“ (სანტიაგო დე ჩილე, 1957 წ. გვერდი 72–80) თითქმის დაწვრილებით აღწერილია ვეშაპის მიერ მთვარისა და მზის დაბნელების ამბავი და მას, რასაკვირველია, აქ აღარ გავიმეორებ. მხოლოდ აღვნიშნავ, რომ თითქმის ყველა ხალხის რწმენით, მზის დაბნელება ხდება ვეშაპის, დრაგონის მიერ. უკვე დაბეჭდილ ცნობებს დავუმატებ შემედგს.

მზის დაბნელებას ირანში გველეშაპს მიაწერენ. სპარსთა რწმენით გველეშაპი გადაყლაპვას უპირებს ხოლმე მზეს – ამით გამოიწვევა მზის დაბნელება. გველეშაპის დასაფრთხობად და გასაძევებელად სპარსნი ძვლად ისარს ისროდნენ ცაში, შემდეგ – თოფს; სპარსელები ადიოდნენ ბანზე, თან აჰქონდათ სპილენძის ჭურჭელი, რაზედაც ძლიერად სცემდნენ და საშინელ ხმაურობას იწვევდნენ გველეშაპის გასაგდებად; ნაწილი ხალხისა გარბოდა სამლოცველოში; დუქნებს ჰკეტავდნენ და სხვა. ეს ხალხური ბრძოლა გველეშაპის წინააღმდეგ მზის გადასარჩენად 1882 წელს კიდევ არსდებობდა. 190ა.

ასევე იყო კავკასიაშიც, და კერძოდ საქართველოშიც.

იგივე შეხედულება გამოთქმულია ვტნში –

მზე ვეშაპსა დაებნელა, ზედა რადმცა გაგვითენდა! (1158).

აქ მზე გველმა-ვეშაპმა გადაყლაპა და ამით მზე დაბნელდა. მზე ხომ აქ ნესტანია, ხოლო ვეშაპი კი – მისი დიდი მწუხარება, რომელს იგი შეპყრობილი ჰყავს.

რუსეთის საგარეო სამინისტროს მთავარ არქივში დაცული იყო ვეფხისტყაოსანის ხელნაწერი რომელში აუარებელი ჩამატებული შაირია და სადაც კიდევ არის ლაპარაკი მზისა და ვეშაპის შესახებ –

მზჰესა ვეშაპი შეიპყრობს (93). 191.

***

ამგვარივე ურთიერთობა მზისა და ვეშაპის შესახებ გვხვდება ქართულ ვისრამიანშიც, სადაც ნათქვამია –

მზე ვისი დაეხსნა ვეშაპსა მოაბად მეფესა... როდესაც რამინს უთხრეს მოაბადის უბედური სიკვდილის შესახებ, თუ ვეშაპმან როგორ მოულოდნელად შთანთქა მზე ამა ქვეყნისა, მას ძალიან ეწყინაო...

***

ვეშაპის მიერ მზის დაბნელების ამბავი მოხსენიებულია აგრეთვე ნოდარ ციციშვილის მიერ ნათარგმნ სპარსულ პოემაში „შვიდი მთიები“.

(წიგნში წაშლილია) სიახლე ვითმცა ენება,

... 192.

პოეტურად არის...

9. მზე და თვალნი

თვალნი პატიოსანნი, ანუ ძვირფასნი ქვანი თავისი ფერითა, თავისი სიწმინდითა და ელვარებით მნათობთ ჰგვანან და მნათობთ მიეკუთვნებიან.

ვტნში ცალკეულად არაა აღიშნული, თუ რომელ მნათობს რა თვალი ეკუთვნის, მაგრამ საერთოდ, თვალთა პატიოსანთა ბრწყინვალება მზის ბრწყინვალებასთანაა შედარებული. მულღაზანზარში ფრიდონისას ნესტანსა და ტარიელს ქორწილი გადაუხადეს და საჩუქრად სხვათა შორის, მიართვეს –

კვლა ერთი თვალი სამსგავსო მზისა შუქ მონამატისა (1465).

ეს თვალი არის წითელი იაგუნდი, ანთრაქსი, კარბუნკულუს.

თვალთა პატიოსანთა –

მათ ყოვლთა მათნი ელვანი ჰფარვენ მართ ვითა მზისანი (1560).

ნესტანმა ინდოეთიდან თინათინს საჩუქრად გაუგზავნა –

ერთი თვალი, – წამღებელმან ვერა თქვას თუ ცუდად ვზიდე,

ღამე მზეებრ განანათლოს, ჩნდის, სადაცა შეჰხედვიდე (1659).

ეს თვალიც არის ანთრაკი. (იხილეთ ჩემი „ვტ-ფერთამეტყველება“. ბუენოს აირეს, 1953 წ. გვერდი 96 – 101).

10. მზისა წვერვა

თინათინ–ავთანდილი ტკბილად საუბრობენ და ტარიელთან მიბრუნების შესახებ მსჯელობენ. ავთანდილი თინათინს ეუბნება: ტარიელს სიტყვა მივეცი მივბრუნდებიო; მოყვარე მოყვარისათვის სწორედ ჭირშია საჭიროო. თინათინი ამაზე უპასუხებს – შენ ფიცს ვერ გატეხ, მოყვარემ სიყვარული უნდა დაამტკიცოს, შენ ტარიელთან უნდა დაბრუნდე, მაგრამ მე რაღა ვქმნა, შენ რომ წახვალო, რაზედაც –

ყამამან ჰკადრა: „სიახლითა შევრთე ჭირი შვიდსა მე რვა,

ცუდი არის დამზრალისა გასათბობლად წყლისა ბერვა,

ცუდი არის სიყვარული, **ქვეით კოცნა, მზისა წვერვა**,

თუ გეახლო, ერთხელ ვა და რა მოგშორდე. ათრასჯერ ვა! (707).

ამით ავთანდილი თინათინს ეუბნება –

1). შენთან სიახლით, შენთან ხლებით, ახლოს ყოფნით (და სიყვარულისაგან დაწვით) შვიდ ჭირს (მწუხარებას) რვა ჭირი კიდევ მივუმატე, ანუ შეწუხება გამეზარდა, გამიდიდდაო;

2). ცუდი არის. ამავოა, და უშედეგოა, როდესაც დამზრალი, ანუ გაყინული, მეტად შეცივებული გასათბობლად წყალს სულის ბერვას დაუწყებსო;

3). ცუდი არის, ანუ ფუჭი სიყვარული, ქვეით კოცნა, მზის წვერვა;

4). თუ შენთან ვიქმნე, შენ გეახლო, ეს ჩემთვის იქნება ერთხელი ვაი (დაუკმაყოფილებელი სიყვარულისა გამო), და თუ მოგშორდი, ეს იქნება ათასჯერ ვაო.

აქ გაუგებარია ერთი ლექსი – ცუდი არის სიყვარული, **ქვეით კოცნა, მზისა წვერვა!** ამ შესანიშნავ ლექსს ყალბად სთვლიან და ამით მას თავიდან იოლად იშორებენ!

***

პროფ. ა. შანიძის მიერ შესწორებულ ვტნში (1951 წ.) ეს ლექსი ასეთია –

ცუდი არის სიყვარული, **ქვეით კოცნა**, მზისა წვერვა! (707).

ამგვარად, ეს ლექსი არ განსხვავდება უნივერსიტეტისეული ვტნისაგან. მაგრამ პავლე ინგოროყვას, მის რედაქტირებულ ვტნში (1953 წ.)., ეს ლექსი ასე შეუსწორებია რომელიღაც ხელნაწერის მიხედვით –

ცუდი არის სიყვარული, **შორით კოცნა**, მზისა წვერვა! (707).

გამოსარკვევია: 1). რომელი სიტყვა უფრო სწორია ამ ლექსში: „ქვეით“ თუ „შორით“, 2). რა არის „მზის წვერვა“ და 3). რა კავშირი აქვს კოცნას მზესთან.

***

ვახტანგ მეფე ამ ლექსს შემდეგნაირად განმარტავს –

„ქვეით კოცნა, მზისა წვერვა ცუდი არისო. კაცი რომ მზის შუქს ჰკოცნიდეს, რა მზის კოცნა არისო. ვითამ სანამდი ცოლ ქმრობა და გვირგინის კურთხევა მოგვიხდებოდესო, მანამდის ჩემი სიხარული რა არისო“.

ეს მეტად მოხერხებული განმარტება, რომ „ქვეით კოცნა“ არის „მზის შუქის“ კოცნაო, სწორედ არ მიმაჩნია.

***

პროფ. იუსტინე აბულაძე და სხვანი ამ სიტყვას „წვერვა“ ასე გამარტავენო: - ცლა, სპობა, ლევა, ფუშვა.

ვტნის ინგლისურ თარგმანში ეს ადგილი შემდეგნაირად არის გადმოცემული: ამავოა სიყვარული, ქვეიდან კოცნა, მზისა, რომელიც ჩადის. ამ შემთხვევაში „წვერვა“ არის მზის ჩასვლა.

ეს სიტყვა „წვერვა“ პროფ. რ. მეკელაინს თავის ქართულ-გერმანულ სიტყვარში ასე აქვს გადათარგმნილი: „წვერვა-წაწვეტება (შპიცენ); კულმინაციოში ყოფნა (კულმინირენ). და აქედან სიტყვა – წვერი, წვერვალი, წვერო.

ეს თარგმანი მე სწორად მიმაჩნია. ქართულ ბიბლიაში სიტყვას „წვერი“ ასეთივე მნიშვნელობა აქვს –

ტობია 11,5 ხოლო დედა მისი ანნა ჯდა მახლობელ გზისა დღე ყოველ **წვერსა** ზედა მთისასა...

ამ განმარტების მიხედვით, „მზის წვერვა“ არის მზის ამაღლება, უმაღლეს მწვერვალზე ასვლა („მოიმაღლებს“), კულმინაციაში მიღწევა. ეს განმარტება ასტრონომიულად სწორია, ოღონდ იგი ვტნის მოტანილ ლექსს მაინც არ უდგება, რადგან „მზის წვერვასთან“ დაკავშირებით. ლაპარაკია „ქვეით კოცნის“ შესახებ...

მარჯორი უორდროპის გაგება ამ ლექსისა თითქმის სწორია, რადგან „ქვეით კოცნა“ დაკავშირებულია „მზესთან“, ოღონდ თვით ეს დაკავშირება არ არის სწორი, რადგან კოცნა უნდა ეხებოდეს არა ჩამავალ მზეს, არამედ ამოვალ მზეს. და რატომ? იმიტომ, რომ კოცნის წესი სწორედ მზის ამოსვლას ეკუთვნის.

***

ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მზის თაყვანება იყო გავრცელებული, მორწმუნენი მზის ამოსვლას ხვდებოდნენ სიხარულის კიჟინით და როკვით, მსხვერპლის შეწირვით და, რაც ჩვენთვის უფრო საყურადღებოა, „ხელზე კოცნით“ – მორწმუნე ხალხი ხელს ტუჩებთან მიიტანდა, ხელის ზურგს აკოცებდა მზის პატივისა და თაყვანების აღსანიშნავად.

ხელზე კოცნის წესი არა მარტო მზეს ეკუთვნოდა, არამედ საერთოდ ღმერთებსა და მათ ქანდაკებათ, კერპებს; გამვლელი მორწმუნე ღმერთის გამოსახულების დანახვისას, თავს დახრიდა ძირს და თავისი ხელის ზურგს აკოცებდა; თვით ლათინური სიტყვა (და აქედან ყველა ევროპიულ ენაში შესული) „ადორაციო“ ნიშნავს ხელის პირთან მიტანას, ხელზე კოცნას, ან რაიმეს კოცნას საერთოდ, თაყვანების მნიშვნელობით. ამ „ადორაციოს“ შესახებ საღმრთო წერილში არა ერთჯერ არის ლაპარაკი. –

1 მეფეთა, 18 და ისრაელში დავტოვებ შვიდიათას მეომარს, ყველას რომელთა მუხლი ბაალის წინაშე არ მოდრეკილა, და ყველას, რომელთაც არ უკოცნიათ ხელზე, მის სათაყვანებელადო.

და იობი ამბობს თავის თავზე – თუ მე მიხილავს მზე თავისი ბრწყინვალებით და მთვარე თავისი ნათელით, განა მიკოცნია ხელზე, რაც არის დიდი ცოდვა? – ანუ ქართული ბიბლიის მიხედვით – „ანუ არა ვიხილე მზე აღმობრწყინვებული მომაკლებელი, ხოლო მთოვარე დამამცირებელი, რამეთუ არა მათ ზედა არს და უკეთუ შესცდა ფარულად გული ჩემი, უკეთუ დავიდევ ხელი ჩემი პირსა ზედა ჩემთა ამბორს უყავ“...

***

მინიტუს ფელიქს ამბობს, ცეცილიუსმა როდესაც სერაპისის ქანდაკებასთან გაიარა, თავის ხელზე აკოცა, როგორც ეს იყო აქაურ ცრუმორწმუნე ხალხის ჩვეულებაო.

იერონიმიუსი გადმოგვცემს: თაყვანებისათვის ჩვეულებრივ თავსა იხრიდნენ და ხელზე იკოცნებოდნენო.

და მოსეს წიგნშიც ნათქვამია იგივე, როდესაც ფარაო იოსებს ეუბნება – მთელი ხალხი ჩემი ბრძანებისაებრ შენისა აკოცებს ხელს; იგი მიიღებს შენს ბრძანებას ვითარ ღმრთისაგან და მეფისაგანო (დაბადება 41,40).

ხელზე კოცნა არის თაყვანების, ღრმა პატივისცემის ნიშანი, როგორც დაჩოქება. მიწაზე დავარდნა და სხვა ასეთი წესი, რომლის დანიშნულებაა მოწიწებით ღრმა პატივითი გრძნობის გამოხატვა. 193.

აპოლონიოს ტიანელი ამ თაყვანს სავალდებულოდ სთვლიდა: ევლოგია მზეს ეკუთვნოდა. 98. გვერდი 98-110.

მზის ამოსვლის დროს სოკრატესის როკვის ამბავი აღწერილია ფილოსოფოს პლატონის „სიმპოსიონ“ში („ლხინი“). პითაგორიანთა შორის წესი იყო (და იგი ხალხურიც იყო) მზის ამოსვლისას მას ჭვრეტით შეხვედროდნენ, რათა მის მიერ განწმენდილიყვნენ და დღე წმიდად დაეწყოთ. აქედანვეა ძველთაგან ის ჩვეულება, რომ მკვდარს მზეს არ აჩვენებდნენ და მას მზის გადასვლის, ან ჩასვლის შემდეგ მარხავდნენ, ეს წესი აქვთ ისრაელებს და მაჰმადიანებსაც; და თუ არ ვცდებით, ასეთივე წესი ძველად ქრისტიანებსაც ჰქონდათ. ქრისტე ხომ ჯვარიდან გადმოხსნეს მზის ჩასვლის შემდეგ!

სოფოკლესის (496–406) ტრაღედიაში „ანტიგონე“ ამ წესს მეფე არღვევს და ეს აღშფოთებას იწვევს. მკვდარი უწმინდურია და უწმინდური მზეს არ უნდა ეჩვენოს. დიდი სარდალი პომპეიუსი (106–48) ეუბნება დიდ სარდალს სულლას (138–78) – კაცნი უფრო ამომავალ მზეს მიმართავენ ვიდრე ჩამავალსო! ეს იმას ნიშნავსო, – ამბობს პროფ. ფრანც ბოლლ, – რომ ნათელი აღმოსავლეთიდან მოდის, იქიდანაა სიცოცხლე და ლხინიო; ხოლო დასავლეთიდან კი, სადაც მზე ჩადის, წყვდიადი და სიკვდილიაო! 52. გვ. 17. 194.

მაშასადამე: ხელზე კოცნა რელიგიური წესი იყო მზის წინაშე შესრულებული, მზის ამოსვლის დროს.

***

ქრისტიანობა დაიბადა და გაიზარდა ახლო აღმოსავლეთში, სადაც მოსეს სარწმუნოებასთან ერთად მზის რელიგია არსებობდა, და პირველი ქრისტიანები თავის ძველ ჩვეულებას – მზისადმი მისალმებას – აღასრულებდნენ; მით აღასრულებდნენ, რომ ლოცვისათვის შეკრებისას პირს ამომავალი მზისაკენ იბრუნებდნენ ხოლმე. ეს წესი არაბ ქრისტიანთა შორის იყო დარჩენილი მერვე საუკუნეში, როგორც ამას ამტკიცებს ქრისტიანი არაბის პოეტის, ალ ახტალის ლექსი (იხილეთ წინ, გვერდი 89).

და პროფ. ჰუარტ შენიშნავს – ეს უკანასკნელი ლექსი საინტერესოა, როგორც დასამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ქრისტიანები მერვე საუკუნეში იკრიბებოდნენ ამომავალი მზისაკენ მიბრუნებითო. 195.

ძველ აზიაში და საბერძნეთში მზის ამოსვლისას ხელზე კოცნა, მისდამი სათაყვანებელად, ჩვეულებრივი მისალმება იყო მზისადმი, როგორც ამას ლუციანუს აღნიშნავს. 196.

დიდი ინგლისელი მოგზაური დოთ თავის აღწერაში არაბეთის შესახებ მოგვითხრობს – როდესაც წვიმას აპირებდა, ერთს არაბს ვუთხარ: ღმერთი გვწყალობს-თქო და მან ხელზე იკოცნაო. 197.

ამ მიმოხილვიდან აშკარად სჩანს, რომ ხელზე კოცნა მზის საპატივცემოდ დაწესებული რელიგიური ჩვეულება იყო. ამ ჩვეულებას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვტნის ლექსის გასაგებად.

***

ცუდი არის სიყვარული, ქვეით კოცნა, მზისა წვერვა (707).

ქვეით კოცნა აქ არის: მიწაზე მდგომელის კოცნა ხელზე იმ დროს, როდესაც მზე წვერვაშია, ანუ მწვერვალზეა, ანუ ამოდის მთის მწვერვალიდან.

ვტნში სიტყვას „წვერი“ მწვერვალის მნიშვნელობა აქვს, როგორც მაგალითად –

მას მიჰხვდა წვერი სადგურად მაღლისა მთისა დიდისა (184).

მაშასადამე, აღნიშნული შაირი შემდეგ ნაირად განიმარტება – ცუდია, ამავოა, უსარგებლოა მზის წვერვისას, ანუ მწვერვალიდან მზის ამოსვლის დროს, ქვეით კოცნა, ანუ ხელზე კოცნაო.

აქედან კი იმ დასკვნას ვღებულობთ, რომ გარჩეულ ლექსში უნდა იყოს სიტყვა „ქვეით კოცნა“ და არა „შორით კოცნა“. ეს „შორით“ წინადადებას უფრო აბნელებს და არაფერს განმარტავს.

დასკვნა: მზის თაყვანების წესი – მზის ამოსვლისას ხელის ზურგზე კოცნა – ვტნში გამოყენებულია პოეტური შედარებისათვის – მიზნის, სიყვარულის მიუღწეველობის აღსანიშნავად.

***

დამატებით მსურს აღვნიშნო სპარსული ძველი ჩვეულებაც.

ნავრუზობას, ანუ ახალი წელიწადის დადგომისას, როდესაც მზე შედის ზოდიაკოში – „ვერძი“, 21 მარტს, და იწყება ახალი წელიწადი, სხვა ჩვეულებათა შორის, მიღებული იყო ხელზე კოცნა. იმ წუთს როცა ახალი წელი იწყებოდა, შინ და გარედ, ყველა ერთმანეთს მიესალმებოდა, უსურვებდა ყოველივე კარგს. უმცროსნი და ახალგაზრდანი ხელზე ჰკოცნიან უფროსთ და მოხუცთ. თანაწლოვანნი და ერთი წრის პირნი ერთმანეთს ლოყაზე კოცნიან. მთელი ეს ჩვეულება მზესთანაა დაკავშირებული. 190ა.

დ ა ს ა წ ყ ი ს ზ ე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მეორე

მზე – შვენების განსახიერება

1. თინათინის მზიური შვენება
2. ნესტანის მზიური შვენება
3. ინდოეთის დედოფლის მზიური შვენება
4. ავთანდილის მზიური შვენება
5. ტარიელის მზიური შვენება
6. ფრიდონის მზიური შვენება
7. როსტევანის მზიური შვენება
8. ფარსადანის მზიური შვენება
9. გმირთა მზიური შვენება

ვეფხისტყაოსანში მზე არის სილამაზის სიმბოლო შვენების განსახიერება.

ვეფხისტყაოსანის ესთეტიური შეგრძნობა და შეგნება მზეს უმაღლესი შვენებისა და კაცის სილამაზის გამომხატველად სთვლის, და ეს შედარება კაცისა (დედაკაცისა და მამაკაცისა) მზესთან ისე ხშირია, რომ ხანდახან მზისა და კაცის ერთმანეთისაგან გარჩევა ძნელი ხდება, მით უმტეს, როცა ამ შესანიშნავ რომანში მზე და კაცი თითქმის გაიგივებულია. თინათინ, ნესტან, ავთანდილ, ტარიელ, ფრიდონ და სხვა მეფენი თუ მეფისწულნი – ყველა მზე და მზის შესადარია. მაგრამ მზეს არ ედარება არც ასმათი, არც ფატმანი, არც შერმადინი, თუ ესენი და არც სხვა არავინ, ვინც მეფის ჩამომავალი, ან მისი სწორი არაა. მზესთან შედარიების უპირატესობა მხოლოდ მეფეებსა და მეფის სწორთ ეკუთვნით. და ეს გასაგებია, რადგან მზე და მეფე ერთი და იგივე იყო ძველად. მზე – მეფე ცათა შინა. მეფე – მზე ხმელეთზე. მზე – მეფე ვარსკვლავთა შორის. მეფე მზე – კაცთა შორის.

როგორც ჩვენ წინარში ვნახეთ: მეფე იყო ჯერ მზე–ღმერთი. შემდეგ: მზის წარმომადგენელი; შემდგ მზის პირველი მსახური...

ამიტომ იოლი გასაგებია: ასმათ, ფატმან, უსენ, შერმადინ და სხვა მდაბიორნი მზეს რომ არ ემსგავსებიან.

მზის შვენება, მზის სილამაზე, მზის დიდებულება მეფიწულთ ენიჭებათ.

ვფხისტყაოსანის დასაწყისშივე ეს მოვლენა გარკვეულია იმ სტრიქონით, სადაც თამარ მეფე იხსნიება –

მეფისა, მზისა თამარისა... (3).

როგორც წინარში ვნახეთ, ქართულნი ისტორიულნი წყარონი და ძველი ქართული პოეზია დავით აღმაშენებელს, გიორგი მეფეს, თამარს მზეს უწოდებენ და ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან მეფის ღვთაობას, ანუ მეფის სწორობას ღმერთთან, და მეფის მზეობას არც ქრისტიანობა ეწინააღმდეგებოდა, და მით უმეტეს: არც ასტროლოგია.

და ვახტანგ მეფეც გვაცნობებს – „მეფედ ქებად მზეც ითქმის“ო. 197ა.

1. თინათინის მზიური მშვენება.

თინათინის შესახებ თავიდანვე ნათქვამია –

სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული (33).

ყველა დღემდე არსებულ ლექსიკონში სიტყვა „დასული“ ასე განიმარტება – დასში მონაწილე, დასში მყოფი. პავლე ინგოროყვაც ამგვარსავე განმარტებას გვაძლევს: „ზეცისა დასთა დასული“ ე.ი. ზეციურ მნათობთა თანამოდასე, თანა მყოფინ. ასეთი ახსნა აქვთ აგრეთვე ს. კაკაბაძეს და სხვებსაც.

აღნიშნული განმარტების მიხედვით ლექსის შინაარსი ასეთია: თინათინი არის მსოფლიოს მანათობელი მნათობი და მზის დასთა მონაწილეო.

ამ განმარტების შესახებ საფუძვლიანი ეჭვი აღმეძრა. თუ სიტყვა „დასული“ ნაწარმოებია სიტყვისაგან „დასი“ (გუნდი, ჯგუფი), როგორც ფიქრობენ, მაშინ უნდა ყოფილიყო „დასური“. მაგრამ ვთქვათ, პოეტი აქ სიტყვას თავისუფლად ხმარობს და „დასურის“ ნაცვლად წარმოდგენილია „დასული“; მერმე რა აზრი აქვს ამ წინადადებას?

რანი არიან „მზისაცა დასთა“? მზისაცა დასნი არიან მნათობნი და ვარსკვლავნი. მაშასადამე: თინათინი, რომელიც არის მსოფლიოს = სოფლის მანათობელი მნათობი, ყოფილა აგრეთვე „მზისაცა დასთა“, ანუ მნათობთა და ვარსკვლავთა დასების შორის მყოფი, დასთა წევრი. თუ თინათინი არის სოფლისა = მსოფლიოს მნათობი მნათობი, რაც არის მზე, იგი ამავე წინადადებაში არ შეიძლება იყო როგორც მზე, – იმავე მზის დასთა, მნათობთა, ვარსკვლავთა წევრი. მზე თინათინი ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე წინადადებაში არ შეიძლება იყოს მზე და მზისაცა დასთა წევრი, იმიტომ, რომ მზე არის ამ დასთა უფალი, მნათობთა დასთა, ვარსკვლავთა ბატონი, ხელმძღვანელი და არა მედასე, დასში მყოფი, დასთა მონაწილე.

როგრც წინარში აღვნიშნე (იხ. წინ, გვ. 11; 15; 91), ქალდეანთა სწავლით მნათობთა გზანი მზის მოტრიალებისაგან არიან დამოკიდებულნი, და მაშასადამე, მზე ამ მნათობთა სვლას განაგებს, მათ სრბოლას ხელმძღვანელობს. ამ შეხედულების ნიადაგზე მზე გახდა უფალი და წამყვანი ყველა ვარსკვლავისა, მათი გზის მაჩვენებელი, ანუ როგორც გვასწავლის ბელგიელი აკადმიკოსი ფრანს კიუმონ, – ასტროლოგიური

მსოფლმხედველობის მიხედვით, – მზეს რომელს მნათობთა შორის მეოთხე ადგილი უკავია, მათ შორის სდგას ვითარცა მეფე, თავისი თანმხლებელნით, არის მეფე – მზე (ბასილევს ჰელიოს), სხვა მნათობთა სრბოლის განმსაზღვრელი. მზე აღჭურვილი მიმზიდველი და უკუმქცევი ძალით, დანარჩენ მნათობებს გზას უჩვენებს. მზე არის გული მსოფლიოსი (კარდია ტოვ კოსმოვ), რომელიც თავისი სითბოთი უუზარმაზარ ორგანიზმს აცოცხლებს, მსოფლიოს ასულდგმულებს. 45. გვ. 166 – 178.

აქ წინ აღვნიშნე და მასვე გავიმეორებ – „ამ შვიდი ცის მხარეში მზეს მეოთხე ადგილი უჭირავს; იგია თავი, მეფე მსოფლიოსი, და მას გარშემო ერტყმიან დანარჩენი მნათობნი, მისნი მხლებელნი; მზე იზიდავს და უკუაგდებს ცის დანარჩენ გვამთ თავისი ცეცხლით და ამნაირად, მზე მათ ჰარმონიულ, მწყობრ მოძრაობას აწესრიგებს, ისე ვით ხორიფეოსი (გუნდის, ანუ დასის ხელმძღვანლი) ხოროს ხელმძღვანელობს“ (იხილეთ წინ, გვერდი 54).

ხორიფეოსი არის ორკესტრის, თუ მგალობელთა დასის ხელმძღვანელი. მზე, ვითარცა მეუფე მსოფლიოსი, მნათობთა და ვარსკვლავთა დასს მეთაურობს, მათ ხელმძღვანელობს, მათ სულს უდგამს. ასევე თინათინი – მზეც.

ამნაირად, მზე არის მნათობთა ხელმძღვანელი. მათი სულის ჩამდგმელი, მათი მაცოცხლებელი, მათი პატრონი.

***

ს. ს. ორბელიანის ლექსიკონში მოიპოვება ერთი სიტყვა: „დასულავს“ – სულიერს ჰყოფს.

ეს სიტყვა წარმოშობილია სიტყვისაგან „სული“; აქედან, თუ არ ვცდები, წარმომდგრია სიტყვა „დასული“, რაც არის სულიერად მყოფელი, სულის ჩამდგმლი, მაცოცხლებელი.

იგივე ცნება „დასთა დასული“ გამოყენებული აქვს იოანე შავთელს თავის „აბდულ მესია“ში:

მზე დაუვალი

მყის დაუვალი

არს შვიდი მნათი

მას ზედ მოწამედ:

წმიდად აქვს სული

დასთა დასული

სამყაროს ნათლად,

არა თუ ღამე (აბდულ მესია 72, 3–4).

„დასთა დასული“ აქაც, ისე როგორც ვტნში, არის დასთა სულის მიმცემინ, დასთა გამასულიერებელი, მნათობთა და ვარსკვლავთა მაცოცხლებელი, მათი ხელმძღვანლი და პატრონი.

ასეთ განმარტებას თუ თინათინის დახასიათებას მივუყენებთ, მაშინ მთელი წინადადების აზრი გასაგები და ნათელი ხდება – თინათინი არის „სოფლისა მნათი მნათობი“, ანუ მსოფლიოს მანათობელი მზე; თინათინი ვითარცა მსოფლიოს მანათობელი მზე არის „მზისაცა დასთა დასული“, ანუ მზის დასთა, მნათობთა და ვარსკვლავთა სულის ჩამდგმელი, მაცოცხლებელი, პატრონი და უფალი.

***

შემდეგ უკვე თინათინი მზეზე უშვენიერესია; როდესაც თინათინი დაქალწულდა: გაიზარდა, გაივსო, მაშინ მისგან მზე საწუნარი გახდა; „გაიზარდა, გაივსო“ არის მთვარის დამახასიათებელი მცნება. მაშასადამე, აქ თინათინი უკვე არის გავსილი მთვარე, ბადრი მთვარე, რომელ მზეს იწუნებს თავისი სილამაზით.

იგივე შედარება გავსილ მთვარესთან იგულისხმება მაშინაც, როცა თინათინის მამა როსტევანი ამბობს –

ჩემი მზე დავსვათ ხელმწიფედ ვისგან მზე საწუნელია (36).

ამ სურვილს ვაზირნი მას უდასტურებენ –

სჯობს და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენაფლობია(38).

ანუ: ვისაც (თინათინს) მზე შეპყრობილი ჰყავს, დამორჩილებული, დაჯაბნებული თავისი სილამაზითო. თინათინი მზესა სჯობნის.

თინათინს გვირგვინი დაადგეს თავზე; დიდი ზეიმია; და ამ დროს –

თინათინ მზესა სწუნობდა მაგრა მზე თინათინებდა (51).

თვითონ მზეს სურდა თინათინი გამხდარიყო თავისი სილამაზით! (თინათინი – სარკითა თუ მისთანათა რათამე მზის შუქი კედელზე ციალებდეს. ს. ს. ორბელიანი).

ვახტანგ მეფის განმარტება ასეთია – თინათინი: სარკეს თუ წყალს (მზე) რომ დაადგეს, ის რომ შუქს გაუშვებს, ის არისო.

ყოველ შემთხვევაში თინათინი მზეს ეცილება, ეტოქება და ეჯიბრება სილამაზით. თინათინ –

ადგა და კარსა მივიდა, – ჰქონდა მზისაცა ცილობა (102).

(ცილება – ორნი რომელ ირჩეოდენ. ს. ს. ორბელიან).

ავთანდილი თინათინს მზიანი დღის მანათობელადაც სთვლის და თავის თავს ეუბნება

მიხვალ დაგხვდების თინათინ, – ანათებს დღესა მზიანსა (191).

და როდესაც ავთანდილი ტარიელს გაიცნობს, მას თავის ამბავს მოუთხრობს, თინათინმაო –

აწ გამომგზავნა, რომელსა ვერ მზე ჰგავს ვერ ეთერია (289).

ვახტანგ მეფის განმარტებით, ეთერი – „აერს (ჰაერის) ზეით ცეცხლი არს გარ მოხვეული“, ესე იგი, ჰაერს მისდევს შემდეგ: ეთერი.

ტარიელთან დამეგობრების შემდეგ ავთანდილი არაბეთს ბრუნდება და – მას ლომსა ნახვა უხარის მის მზისა მოკამათისა (679).

ანუ: თინათინი მზეს ედავება, ეკამათება თავისი სილამაზითო. და ეს ასეა, ვინაიდან –

იგი მით აკრთობს ელვასა მზისაცა უთამამოსა (682).

ანუ: თინათინი ელვარებს, ელვას აკრთობს, უფრო ძლიერსა და თამამ ელვას ჰფენს ვიდრე მზე; თინათინი მზესა სჯობია თავისი ელვის, შუქის შვენებით; მზე მასთან არის გაუბედავი, უთამამო.

ამნაირად, თინათინის შვენება ხან მზის შვენებას უდრის, ხან მას სჭარბობს

2. ნესტანის მზიური შვენება

ტარიელმა ავთანდილს თავგადასავალი უამბო და ნესტანის შესახებ –

თქვა: „მაშინვე მზესა ჰგვანდა, აწ მედების ვისგან ალი“ (322).

და ამ შედარებას ტარიელი იმეორებს –

მართ მაშინვე ჰგვანდა იგი მზისა შუქსა ნასამალსა (325).

1). „ნასამალი“ – მესამედი (ს. ს. ორბელიანი);

2). „ნასამალი“ – ბროლზე მოსხლეტილი შუქი (ბატონიშვილი თეიმურაზის განმარტება; დ. კარიჭაშვილთან);

3). „ნასამალ“– შუქი ანასხლეტი; მესამედი (ი. აბულაძე);

4). „ნასამალი“ – სპარსული ნასამან: მსუბუქი ნიავი (სარგის კაკაბაძე). (რა შუაშია აქ მსუბუქი ნიავი?!).

ე. ი.: ნესტანი ჰგვანდა მზის შუქს რომელიც იყო „ნასამალი“, ანუ ბროლზე მზის მოსხლეტილ შუქს ემსგავსებოდაო.

ნესტანის შედარებას მზესთან და მზეზე მის უკეთესობა – უმჯობესობას ტარიელი ხშირად იგონებს; როცა ნესტანი შვიდი წლისა შეიქმნა, იგი იყოო –

მთვარისა მსგავსი, შვენებით მზისაგან ვერ შეფრობილი (327).

ვახტანგ მეფე ამ სიტყვის შესახებ ამბობს: – „შეფრობა“ – „ვერ გავარჩიეთ“ო. სხვანი კი ამ სიტყვას ასე განმარტავენ –

1). შეფრობა – შეჭირვება (ს. ს. ორბელიანი); 2). შეფრობილი – ძლეული, გახუნებული (ი. აბულაძე); 3). შეფრობილი – შემსგავსებული (დ. კარიჭაშვილი).

ნესტანი იყო მთვარისა მსგავსი, ოღონდ მზისაგან შვენებით ვერ შემსგავსებულიო, ესე იგი, მზე თავისი შვენებით მას ვერ ემსგავსებოდაო.

შვიდი წლის ნესტანი ალბათ შვიდი დღის მთვარისა მსგავსი იყო, რაც დიდი სილამაზის ნიშანია.

ნესტანი ცალკე იზრდება, რადგან მამა მის ფარსადანს არ სურდა იგი ვისმეს ენახაო –

ვიცოდი, სწადდა არვისგან ნახვა მის მზისა დარისა (343).

აქ უკვე ნესტანი არის მზის დარი, მზის მსგავსი, შვენებით – მზე.

შემდეგ ტარიელი ამბობს ნესტანზე – მოეწერა მზისა შუქსა... (376).

და ტარიელი –

პასუხად ვსწერდი: „მთვარეო, შენმცა მზე ვით მოგერია?“ (381).

მთვარეო ნესტან, შენ მზემ თავისი სილამაზით როგორ გაჯობაო?

ნესტანის გამო ტარიელი შემდეგ კიდევ ამბობს –

მისი, მზესაცა რიდება ჰქონდის ნახვისა ვისისა (384).

ანუ: მისი, ნესტანის ნახვის მორიდება მზესაც კი ჰქონდაო; ნესტანი ისეთი ლამაზი იყო, რომ მზესაც კი რცხვენოდა მისი ნახვაო, რადგან იგი მზეზე უკეთესი იყოო.

როცა ტარიელი ნესტანსა ხედავს –

მას ბალიში შემოეგდო, – მზისა შუქსა სჯობდა მეტად (409).

როდესაც ნესტანმა ასმათს უბრძანა, ტარიელისათვის ეთხოვნა დაჯდომა, ასმათმა ტარიელს დასაჯდომად ბალიში ნესტანის (მზედ საქებარის) პირდაპირ (დამართებით) დაუდვა –

მან ბალიში დამართებით დადვა მას მზედ საქებარსა(410).

და შემდეგ ტარიელი ამბობს –

ჩემად ჩნდა იგი სინათლე ეთერით მზედ ნაჩინისა (419).

ტარიელი მეფე ფარსადანთან თათბირისას ამბობს – თქვენ, მეფეო, ძე არა გყავთ და ეს არ უნდა გაწუხებდეს –

მაგრა კმა ჩვენად იმედად, ვინ მზესა დაედარების (510).

შემდეგ ტარიელი გამწყრალ ნესტანს ხედავს და ამბობს –

არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული (522).

ნესტანის შვენება აღარც მზის იყო აღარც მთვარისა, ეს ალვის, კვიპაროზის ხე, ედემში ხედ გაზრდილიო.

მაგრამ ოდეს ნესტანი ტარიელს ურიგდება. უტკბება, მაშინ ნესტანი –

ანუ მზე იყო ქვეყანად, ან მთვარე პირგავსებული (538).

ტარიელმა მერმე როცა კიდევ ნახა ნესტანი, მას ასეთი შთაბეჭდილება დარჩა –

მზე ვეღარას იქმს მის მეტსა, მას განენათლა რომ არე (555).

ფრიდონიც ამგვარსავე შთაბეჭდილებას ღებულობს, ოდეს იგი ნესტანს დაინახავს –

მან განანათლა სამყარო, გაცუდდეს შუქნი მზისანი (626).

ავთანდილი ტარიელს უმტკიცებს – ფრიდონის მხარეში, იქედან (მუნით) გავიგებთ ამბავს და მოვიპოვებთ ღონეს, საშუალებას მისი, ანუ იმ ნესტანის მოსაპოვებელად, რომელიც მზეს ამშვენებსო –

მუნით იცნობის ამბავი, ღონე მის მზისა მშვენისა (946).

ფატმანმა ოდეს პირველად ნესტანი იხილა –

თავსა რიდისა შავითა, ქვეშეთ მოსილი მწვანითა,

მზესა სიტურფედ ეყოფის, იყოს მისითა გვანითა (1131).

ნესტანს ჰქონდა მოსასხამად შავი რიდე; ქვესამოსელად, ანუ ჩვენი დროის თქმით, კაბა მწვანე ფერისა. თვით მზეს ეყოფა სიტურფედ, სილამაზედ, თუ კი მისი მსგავსი იქნებოდაო.

სიტყვა „რიდე“ უკვე ერთჯერ განვმარტე ჩემს წიგნში „ვეტნის ფერთა მეტყველება“ (გვ. 71) – იგი არის თავმოსახურავი რომელი ბეჭებზედაც გადადის. ამ რიდეს შესახებ შემდეგ ცნობას გვაძლევს მაჰმადიანთა ყოველ დღიურ ცხოვრების აღმწერი ალი მაჰაზერი. მისი თქმით – „რიდა“ იყო მეათე–მეცამეტე საუკუნის ისლამურ ქვეყნებში წამოსასხამი (მანტია), დიდათ ფართო, აგრეთვე ფართო სახელურებითაც, და დამზადებული თხის მატყლისაგანო, ფერით რუხი, შავი, ან თეთრი ან ნაცრისფერი. იბნ გუბაირის მიხედვით, ზოგი კოხტა მამაკაცის რიდა ისე გრძელი იყო, რომ იგი მიწას სწვდებოდაო... უბრალო ხალხი, მუშები, ხელოსნები, ვაჭრები რიდას (მანტიას) არ ატარებდნენ, არც ფართო სახელოებს... ყველა პატიოსანი კაცი თავს ირთავდა, იკაზმავდა „შეშია“-თი, რომლის გარშემო სხვა და სხვა ფერის ტურბანს ახვევდნენო... რაც შეეხება დედაკაცთ მხოლოდ უმაღლესი წრის ქალთ ეხურათ ქუდი (შაპო), პატარა „შეშია“ ნაირნაირი სატინისაგან, ან ველურისა, მოოქრულმკედებული, ოღონდ ყოველთვის ვუალით (პირსაფარითო)..

მკვლევარი ალი მაზაჰერის ცნობა ჩემს განმარტებას თითქმის ადასტურებს.

და ფატმანი ნესტანის შესახებ განაგრძობს – ვერ გავუძელი მის მზერას; თვალები დავხუჭე (დავიწუხენ); სრულიად (ყოლა) ვერ გავუსწორე მას (ვერ შევადგენ) ისე ვით მზესაო –

დავიწუხენ თვალნი, ყოლა ვერ შევადგენ, ვითა მზესა (1132).

რა ქება უნდა მისი! როგორ აიწეროს მისი სილამაზე! როგორ გაკეთდეს მისი ნახაზობა! – ამბობს ფატმანი ავთანდილის დასარწმუნებლად –

ვფიცავ რომე იგი მზეა, არა ჰმართებს მზესა მზობა (1136).

ანუ: ნესტანი თავისი სილამაზით, ვფიცავ, მზე არისო, და ნამდვილ მზეს ცისას არ ესაჭიროება მზედ ყოფნა, მზეობა, თვით ნესტანი არის მზედ საკმარისიო!

ფატმანის საზრუნველი ახლა ის გახდა, თუ როგორ დაემალა ასეთი მზექალის სილამაზე –

ვითა დავმალო ნათელი, ვით მზესა დაედარების (1151).

დამალა ფატმანმა ნესტანი, ოღონდ ვეღარ მოითმინა და ეს ამბავი თავის ქმარს გაუმჟღავნა –

მოდი, მომყევ, აქა სადმე, მო, გიჩვენებ მზისა ფერსა (1154).

და ფატმანის ქმარი, –

უსენ გაჰკვირდა, გაცაკრთა, რა შუქნი ნახნა მზისანი (1155).

უსენმა ნესტანი სარძლოდ მეფეს მიუძღვნა და თან დაურთო –

მას უცილოდ დამიმადლებთ, ოდეს ჰნახოთ მზგავსი მზისა (1169).

და –

უამბო პოვნა ქალისა, მჭვრეტთაგან მზედ სახულისა (1170).

და ნესტანის წასაყვანად მისული მონა ფატმანს სთხოვს გაატანოს მას ნესტანი, რომლის სახელს იგი არ წარმოთქვამს, გარნა ორ მზეს კი ადარებს. გამატანეო –

დღეს რომელი უსენ შესძღვნა ქალი, მსგავი მზეთა ორთა (1172).

სასახლეში მისვლისას ნესტანმა –

ვით მზემან, მისნი მჭვრეტელი შექმნნა თვალის მფახველად (1180).

ანუ: მჭვრეტელნი, მაცქერალნი თვალებსა ხუჭავდნენ ხოლმე, ვინაიდან ნესტანის სილამაზის ბრწყინვალებას ვერ უძლებდნენო.

ფატმანი, რა საკვირველია, შეწუხებულია ნესტანის გადაკარგვით და ამბობს –

ვა, წახდეს შუქნი, რომელნი მზისაებრ ველთა ჰფენოდეს (1212).

სასახლიდან გაპარულ ნესტანს გზაში ქაჯეთის მოლაშქრენი შეხვდებიან, რომელთაც მის დანახვაზე –

ვთქვით თუ: მზეა, ნუ თუ ზეცით ჩამოჭრილი ზედან ხმელსა (1225).

ვინაიდან –

მისი ციმციმი მზისაებრ ეფინებოდა არებსა (1228).

არემარეს (არებსა) ეფინებოდაო.

ნესტანი უკვე ქაჯეთის ციხეშია. ფატმანი თავის მონას აგზავნის მისი ამბავის გასაგებად.

დაბრუნებული მონა ფატმანს მოუთხრობს, ნესტანისათვის ვერავის შეუხედია თვალით, ვით მზისათვისო –

ვერვის შეუდგმან საჭვრეტლად თვალნი, მართ ვითა მზისა და (1239).

ქაჯეთის მეფეს გარდაუწყვეტია, ნესტანს როსანს შევრთავო, როცა დავბრუნდებიო –

შემოვიქცევი, შევისძლო, ვინ ცისა მზედ ნაქებია (1240).

ნესტანს წერილს სწერს ფატმანი და თავის გრძნეულ მონას გაატანს –

ესე წიგნი მიართვიო ქალსა, მზისა დასაგვანსა (1276)

და მონა ნესტანს პირადად ეუბნება –

რა წამოსულხარ, მას აქათ შენგან ჩვენია მზე ბნელი (1281)

ანუ: ნესტანის წასვლით მზე ფატმანისათვის და სხვისათვისაც დაბნელებულია, ვინაიდან თვითონ ნესტანი არის მზე, აწ დაკარგული.

ნესტანის აღმოჩენის ამბავს ავთანდილი ფრიდონს აცნობებს, და თვითონ კი ტარიელისაკენ მიეჩქარება, რომელს ეუბნება –

ადეგ, წავიდეთ საძებრად მის მზისა წარხდომილი სად (1350)

ტარიელს სურს თვითონ იბრძოლოს ციხის ასაღებად, რათა არ შერცხვეს როცა ციხიდან ნესტანი გადმოდგება –

ხმა ესმას ჩემსა ხელ მქმნელსა, ზედა გარდმოდგეს მზე ვითა (1403)

ნესტანი გაანთავისუფლეს და მეფე სურხავს აცნობებენ, მოდით, ნახეთ ნესტანი –

ვინ მზესაცა უნათლეა, ასრე ვითა ბროლი ფისსა (1431)

ანუ: მზეზე უფრო ნათელია ნესტანი, ისე ვით ბროლი ფისზე უფრო ნათელიაო.

და სურხანს –

უხარის ნახვა ლომისა და მზისა, ხმელთა მნათისა (1433)

ლომი – ტარიელია: მზე – ნესტანი.

შემდეგ, არაბეთს მისვლისას ნესტანმა –

ვით მზემან, დაყვნა მჭვრეტელთა თვალნი ნათლისა ჩენასა (1538)

ანუ: ნესტანის სილამაზის ბრწყინვალებამ ვითარცა მზემ მჭვრეტელთ, მაცქერალთ ნათლის, გამოხედვის უნარი წაართვა, დააბრმავაო.

და, რასაკვირველია ნესტანს შვიდი მნათობი ერთად თუ შეედრება –

ჰქონდეს შვიდნივე მნათობი, მის მზისა დასადარებლად (1539).

ინდოეთიდან წამოსული ვაჭრებიც მოგვითხრობენ ნესტანის შესახებ გაგონილს, ფარსადან მეფესო –

მას ესვა ქალი მნათობი, მზისაცა უფრო მზიანი (1583)

და იმავე ვაჭრების თქმით, როცა დავარმა ნესტანი გადაჰკარგა –

მით შემართა საშინელი, მზე ხმელეთსა დაუკარგა (1585)

ანუ: მან საშინელი რამ გაბედა და მზე ხმელეთს დაუკარგაო.

როდესაც ნესტანი მამის სიკვდილის ამბავზე სტირის, მაშინ ნათქვამია –

მომკალ, ქალსა თავშიშველსა თუ მზე ვითა ეურჩოსა (1589)

ანუ: ნესტანის სილამაზეს მზის სილამაზე ვერ ეურჩება, მეტოქეობას ვერ გაუწევსო ასეთია ნესტანი!

3. ინდოეთის დედოფალის მზიური შვენება

როდესაც ტარიელი ავთანდილს ინდოეთის მეფე – დედოფალის ამბავს აცნობებს, იგი დედოფალის შესახებ ამბობს –

ძე არ ესვა მეფესა და დედოფალსა მზისა დარსა (318).

ფარსადანის მეუღლე, რომლის სახელი მოხსენებული არაა, მზის შესადარისა, ან სილამაზით, ან დიდებულებით, მეფური ბრწყინვალებით

4. ავთანდილის მზიური შვენება

ავთანდილის მზიური შვენების შესახებ პირველადვე ნათქვამია –

საროსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა (40)

მზე და მთვარე (უსათუოდ: ან ახალი, ან სავსე მთვარე) აქაც სილამაზის გამოსახვაა.

ქვაბში ასმათთან ტარიელმა ავთანდილი გაიცნო და –

იგი რა ნახა ტარიელ, თქვა მზისა დასაგვანებლად (280)

ოდეს ავთანდილი ვაზირს ეწვია –

ვაზირმა ცნა, გაეგება: „ჩემსა მზეა ამოსრული (729)

და იქ –

ყმამან სახლი განანათლა, ვით სამყარო მზისა შუქმან (730)

ოდეს ავთანდილ ვაზირს გამოემშვიდობა წასასვლელად –

გაიყარნეს, ყმა წავიდა, სახლად ჩადგეს მზისა წვერნი (770)

ანუ: მზის შვენება ავთანდილი წავიდა, და მხოლოდ მისი უკანასკნელი შუქი, ანუ მზის წვერნი დარჩნენ სახლშიო.

მონამ ავთანდილის შესახებ ფრიდონს –

უთხრა: „მზე ვნახე მოსრული, ჩანს მანათობლად დღისისად (985).

და ფრიდონმა ავთანდილს –

რა შეხედნა, მან ესე თქვა: თუ არ მზეო, ისი ვინ ა (987)

გზაში მეკობრეთა თავდასხმის მოლოდინით შეშინებული ვაჭრები ავთანდილს ეუბნებიან –

მზემან შუქნი შემოგვადგნა, ღამე ბნელი გაგვითენდა (1048).

შემდეგ, მებაღე ფატმანს ავთანდილის მისვლას ახარებს –

ყმა მოვა, მისთა მჭვრეტელთა შუქნი მზედ გაიცადიან (1072)

ხოლო შეყვარებული ფატმანი ავთანდილსა სწერს –

სრულად დამწვარვარ, თუ მზისა შუქნი არ მომესწრებიან (1086)

ავთანდილი არის –

მჭვრეტელთა მზე... (1116)

ავთანდილი საბანაოდ წავიდა –

გათენდა, ბანვად წავიდა მზე, სოფელს შუქ-ნაკიდები (1255)

ანუ: ავთანდილმა მზემ სოფელი, ქვეყანა შუქით დატვირთა, გაავსო (შუქი მას აჰკიდაო)

მერმე როცა მან საჭაბუკო ჩაიცვა –

მოიმატა დაშვენება, დაემსგავსა ლომი მზესა (1255)

ტარიელი მეფე როსტევანს ავთანდილის შესახებ ესაუბრება, იგი მზესავით შუქთა მაფენალი არისო –

თვით იგი იაჯს, რომელი ჩანს მზეებრ შუქთა მფენებლად (1520)

ასეთია ავთანდილი – მზიური შვენება.

5. ტარიელის მზიური შვენება

როდესაც მეფე როსტევანმა თავისი მონა გააგზავნა მდინარის პირას მჯდომ უცხო მოყმის მოსაყვანად, ტარიელმა ვერც შეამჩნია ამ მონის მის ახლო ყოფნა და ვერც გაიგონა მისი ხმა. შემდეგ მონა როსტევანს მოახსენებს, მისმა შვენებამ ვით მზემ დამარეტიანა და გული ძალიან შემიწუხაო –

თვალნი მზეებრ გამირეტდეს, გული მეტად შემიძრწუნდა (90)

ხატაელნი ავთანდილს ტარიელის შესახებ ეუბნებიან –

ვთქვით: „მზეაო ქვეყანად, ნუ ვეუბნებით ცად ენით!“ (205)

ვახტანგ მეფის განმარტებით –

„ტარიელ ქვეყანაზედ მზედ გახადა, ცაში ენით მზედ რად უბნობთ“-ო.

ანუ: ხატაველებმა ტარიელი ქვეყანის მზედ დასახეს: ვერ ვიტყვით, ამას შემდეგ არის თუ არა კიდევ მზე ცაზეო? (ნუ ვეუბნებით ცად ენით – არ შეგვიძლია ვთქვათ ცაზე არის კიდევ მზეო).

და ავთანდილს მასზე მიუთითებენ –

აგერა მივა, ნახეო, იგი მზეებრ და მთვარულად (210).

შემდეგ, როცა ავთანდილმა იგი ახლო იხილა, იგი იყო –

ულვაშ-აშლილი, წვერ-გამო, „ნუ თუ მზეაო“, – თქვა – „ცისა?“ (227).

წვერ-გამო ნიშნავს: უწვეროო, რომელს ჯერ წვერები არა აქვს. რომ ეს განმარტება სწორია, ამას გვიმტკიცებს „დავით და კონსტანტინეს მარტვილობაჲ“ (მეთორმეტე საუკუნის პირველი საუკუნის ხელნაწერი), სადაც ნათქვამია: „იყო დავით უხუცეს დღითა, ჰაეროვან და სპეტაკ ხორცითა (თეთრი კანით), მოწაბლე (წაბლის ფერი) თმითა, შვენიერ გვამითა (ტანითა) და ხშირ წვერითა. ბოლო კონსტანტი შვენიერ გვამითა, მოწაბლე თმითა და წვერ გამო“-ო. ანუ უწვერულიო. დავითი – წევრ-ხშირი; კონსტანტინე – უწვერული.

თავისი მოთხრობის დროს ტარიელი –

ვითა მზე ჯდა მოღრუბლებით, დიდ-ხანს შუქი არა ადარნა (308).

ტარიელი თავის თავზე ამბობს –

მოვიწიფე, დავემსგავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად (319).

და კიდევ –

მზესა მე ვჯობდი მშვენებით, ვით ბინდსა ჟამი დილისა (321).

და თავისი სილამაზის ქებას კიდევ უმეორებს ავთანდილს –

ძალად ლომსა, თვალად მზესა, ტანად ვჰგვანდი ედემს ზრდილსა (332).

ხოლო ახლა, სიყვარულისაგან დაჩაგრული და დამწვარი ტარიელი, რომლის ნათელი მზესაც კი იწუნებდა, წამხდარია –

აწ წარხდეს იგი ნათელნი, მზისაცა მოწუნარენი (345).

არაბეთში ავთანდილს ქებას უძღვნიან ტარიელის პოვნის გამო –

ანუ ვით პოვა იგი ყმა, მისგანვე მზედ დასახული (677).

ამ თავის შეხედულებას ავთანდილი ვაზირს სოგრატსაც უმეორებს –

მზე თუ ვთქვა მსგავსი მისი და ანუ მისისა სახისა (688).

ავთანდილი ტარიელთან მიბრუნებას ამითაც ასაბუთებს: მსურსო –

ნახვა მის მზისა ნათლისა, მის თვალად არ დუხჭირისა (691).

და ავათნდილი თინათინსაც უმეორებს ტარიელის სილამაზის აღწერას და ეუბნება –

თვალნი მჭვრეტელთა, ვით ცისა ციაგსა დაეღონების (699).

ანუ: ტარიელის მაცქერალთა თვალნი შეწუხდებიან, დაღონდებიან ვითარცა ცის ციაგის, ცის მზის სხივის ელვარების შეხედვაზეო. (ციაგი – მზის სხივი. ს. ს. ორბელიანი).

და ავთანდილი ამბობს –

მზე შემიფიცავს თავისა, ჩემგან მზედ სახედავისა (702).

ასმათისათვის ტარიელი მზის გამოსახულებაა და ავთანდილს ეუბნება, რაც ტარიელი წავიდა, მას შემდეგ –

ჩემთვის გარდახდა მას ათად გაყრა მზისა და ქედისა (853).

ანუ: მოხდა მზისა და ქედის გაყრა, მზის შუქნი ქედს, მთის თავს აღარ ადგებაო, აღარ ამოდის იგი და აწ მხოლოდ სიბნელეში უნდა ვიტიროო.

ავთანდილი მიდის ტარიელის მოსაძებნელად და –

ცოტაი წავლო, გამოჩნდა მზე სინათლითა სრულითა (1333).

ნესტანის აღმოჩენით ტარიელი უზომოდ გახარებულია და ავთანდილს –

ტარიელ უთხრა სიცილით, მან მზემან შუქ ნაფენამან (1487).

ასეთია ტარიელ და მისი მზიური შვენება.

6. ფრიდონის მზიური შვენება

როდესაც ავთანდილი ფრიდონის კაცთ გზაში ხვდება, ისინი მას ფრიდონის შესახებ მოუთხრობენ –

ვნება არის არ ძალ უც მისი მზის ოდნად მშვენისა;

იგია ჩვენი პატრონი, მსგავსი ცით შუქთა მფენისა (971).

ანუ: არავის არ შეუძლია მას ვნება მიაყენოს, რომელიც მზის ტოლია შვნებითო (ოდენი – ტოლივით. ს. ს. ორბელიანი); რომელიც არის ჩვენი პატრონი, ცით შუქთა მფენი, ანუ მზეო.

7. როსტევანის მზიური შვენება

როდესაც ვაზირი სოგრატი სასახლეს მივიდა, მას იქ –

მეფე დახვდა შეკაზმული, პირი მზეებრ ეწაღმართა (752).

წაღმართი ნიშნავს: პირდაპირ, მართალი წინააღმდეგ: უკუღმართი. ს. ს. ორბ.). მეფე როსტევანი იყო მეფურად ჩაცმული და მოკაზმული და იყო პირით მზეებრ მართლად, პირდაპირ მაცქერალიო. (ამის შესახებ იხილეთ კიდევ ჩემი: „ვეტნის ვარსკვლავთმეტყველება“, სანტიაგო დე ჩილე, 1957 წ. გვერდი 153).

8. ფარსადანის მზიური შვენება

ტარიელი ამბობს, დარბაზშიო ფარსადან –

მეფე ქვე ჯდა შეკაზმული შვენებითა მსგავსი მზისა (474).

9. გმირთა მზიური შვენება

ვეფხისტყაოსანის გმირნი ერთად მზეს ემსგავსებიან. ოდეს ტარიელი და ავთანდილი ერთმანეთს ქვაბში შეხვდნენ –

გამოეგება ტარიელ, ჰმარეთებს ორთავე მზე დარად (281).

ავათნდილისა და ფრიდონის შესახებ ნათქვამია –

რა მჭვრეტელთა იგი ნახონ, მზე მათთანა გააფლიდონ (988).

როდესაც ტარიელ, ავთანდილ და ფრიდონ ქაჯეთის ციხეზე მიდიან, მათ მზეზე უფრო მეტი სილამაზე აქვთ და მეტი შუქიც –

იგი ჭაბუკნი შუქითა ვნახენ მზისაცა მეტითა (1409).

ჩვენმა გმირებმა –

მათ სამთავე გოლიათთა მზისა ფერად ღაწვნი ღებნეს (1535).

და ბოლოს, ნესტანი და ტარიელი ინდოეთის ტახტზე სხედან და –

თვით ორნივე ერთგან მსხდომნი ჰნახნეთ, მზეცა ვერა სჯობდეს (1638).

ამგვარად: ვეფხისტყაოსანის მეფენი, დედოფალნი, მეფის ასულნი, მეფის ძე და მეფის სწორნი, ყველანი მზიური სილამაზით არიან შემკულნი და ხშირად მათი შვენება მზის შვენებაზე უკეთესად და მჯობნად არის გამოცხადებული. მზე – მეფეთა შვენების გამოსახებაა.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მესამე

ვტნის გმირთა პირმზეობა

1. პირ-მზე – თინათინი

2. პირმზე – ნესტანი

3. პირ მზე – ავთანდილი

4. პირ მზე – ტარიელი და სხვანი

1. პირ-მზე – თინათინი

მზესთან საერთო შედარების გარდა, ვტნში ყურადღება ექცევა აგრეთვე პირის შედარებას მზესთან. მაგრამ ამგვარი შედარება უფრო მცირე რიცხოვანია ვიდრე მზესთან შედარება საერთოდ.

თინათინის პირმზეობა ერთჯერ არის მოხსენებული, როდესაც ავთნდილი მზეს ესაუბრება და –

მზესა ეტყვის: „მზეო, გიტყვი თინათინის ღაწვთა დარად (955).

დანარჩენ შემთხვევაში ნესტანი ბატონობს ვითარცა პირმზე.

2. პირმზე – ნესტანი

როდესაც ტარიელმა ნესტანი ნახა, მას მისი პირი მზესავით ელვის, ანუ შუქთა მფენელად ეჩვენა –

შიგან ჯდა იგი პირითა მზესაებრ ელვა მკრთალითა (394).

ამიტომ სწერს ტარიელი ნესტანს –

შენ სინათლედ თვალთა ჩემთა მიჩნდე მზეებრ სანახველად (415).

და ტარიელი ამბობს, ნესტანის შემდეგი ნახვის დროსო, მას –

შევხედენ, დავჰკრთი ელვასა ღაწვთა მზეებრ ნათელთასა (479).

და თავის საუბარში ტარიელი ნესტანს ეუბნება, ვინ უნდა იყოს შენს გარდა ისეთი, ვისი პირი მე მზედ მივიღო და ვისი ტანი – ხედ დავსახოო?! –

ვისი გინდა უშენოსა პირი მემზოს, ტანი მეხოს?! (532).

ფატმანიც ეძახის ნესტანს პირმზეს –

ავიყვანე იგი პირ-მზე ნაქები და ვერ ვთქვი უქი (1143).

ანუ: ნესტანი ნაქები პირმზეა და უქი, ესე იგი, უქები სიტყვა ვერ ვთქვიო და დასძენს –

მოვიყვანე შინა ჩემსა იგი პირ-მზე ტანით ალვით (1144).

ანუ: ნესტანის პირი არის მზე, ხოლო ტანი მისი – ალვა, კვიპაროზი, კიპარისი. ხოლო ოდეს ფატმანის მეუღლე უსენმა ნესტანი იხილა, განცვიფრებით თქვა –

ესე ღვაწნი მზისად კმარან, კაცთა განმცა ვით იკოცნეს (1161).

შემდეგ, როდესაც ნესტანი სასახლეს წაიყვანეს, ფატმანი ამის გამო მოთქვამს –

მათ მონათა ხელთა მივეც იგი პირი, მზისა დარი (1178).

და მეფე სურხანის შეკითხვაზე, ნესტანმა –

მან არა გასცა პასუხი პირითა, მზისა დარითა (1181).

იქ, სასახლეში, ხადუმთაგან, დაცული, ნესტანი -

ქალი პირ-მზე თავსა ეტყვის: „რა ბედი მიც ჩემი მკლველი (1190).

და დაკარგულ ნესტანს ფატმანი მისტირის –

პირი მზისაებრ საჩინო სად უჩინო ჰყავ, სად არე? (1213).

ანუ: ნესტან! შენი პირი მზესავით მჩენელი. ცხადი, სად დამალე (უჩინო ჰყავ), სად ატარებო (არე).

გზაში ნესტანს ხომ ქაჯეთის მოლაშქრენი შეეყარნენ და ერთი მათგანი ამბობს –

პირ-მზე რამე, ცხენოსანი, გავიცადეთ თვალით ჩვენით (1227).

ანუ: ნესტანი პირმზე ვნახეთო (გავიცადეთ).

და როდესაც ფატმანის მონა ნესტანს ციხეში ეწვია –

პირ-მზე გაკვირდა ფატმანის ამბითა საკვირველითა (1280).

შემდეგ ნესტანი სწერს ფატმანს –

„პირ-მზე, სწერს. „აჰა, ხათუნო, დედისა მჯობო დედაო! (1285).

„პირმზეს“ ნესტანი თავის თავს უწოდებს.

ხოლო მერმე ავთანდილი ფრიდონსა სწერს ნესტანის შესახებ –

მიცნია მართლად ამბავი პირისა მზედ სახულისა (1319).

და გამარჯვებულ ტარიელს –

თანა მიჰყავს პირი მზისა, ქალი მჭვრეტთა ამაზრზენი (1493).

ნესტანი პირმზე, მაცქარალთა ამაჟჟოლებელი, ამაღელვებელია.

3. პირ მზე – ავთანდილი

თინათინის ტახტზე ასვლას ყველა დაესწრო და, რასაკვირველია –

ავთანდილ პირ-მზე, სპასპეტი ლაშქრისა ბევრ ათასისა (44).

ნადიმის დროს ავთანდილი მაგიდის –

თავსა ზის პირ-მზე ავთანდილ, მჭვრეტთაგან მოსანდომია (57).

შემდეგ, როცა ავთანდილი ტარიელის საძებნელად მიდის –

იგი პირ-მზე არ მოსცთების სიარულსა სასწრაფოსა (148).

და როცა იგი თავის ლაშქარს გაეპარა –

იგი პირ-მზე ვეღარ პოვეს, პირი მათი იფერმკრთალეს (173).

ტარიელიც ავთანდილს პირად – მზეს უწოდებს –

აწ ვაშად მოხველ, – მეამა ნახვა შენისა პირისა, –

ტანად სარო და პირად მზე, მამაცად მსგავსი გმირისა (296).

ავთანდილი არაბეთს მიბრუნდა; მას მეფე მიეგება; ასეთ შეგებებას ავთანდილი დიდ პატივად სთვლის და მეფის დიდ ვალად, ანუ შეწუხებად სცნობს –

ამას პირ-მზე მეფისაგან ივალებდა დიდსა ვალსა (683).

ვაზირ სოგრატთან საუბარის დროს, ავთანდილი –

კვლა პირ-მზე ეტყვის ვაზირსა (741).

ავთანდილი ვაზირს ძღვენს უგზავნის –

შეკრა წითელი ასი ათასი პირად მზემან და ტანად სარომა (771).

და გამომშვიდობებისას ავთანდილი –

შერმადინს ეტყვის, უბრძანებს პირ-მზე, ნათელთა მფენელი (774).

გზაში ავთანდილს მოშივდება, მოჰკლავს იგი თხას და –

შეწვის, ჭამის და წავიდის პირ-მზე, გულ მარიხიანი (841).

გზაში ვაჭრები ავთანდილზე ამბობენ –

მას ვმსახუროთ, ვისი პირი მზისა პირად გაგვიცდია (1059).

გულანშაროში მებაღემ ავთანდილს –

ჰკადრა: მვხედავ პირსა თქვენსა, მზისა პირად მემეცნების (1064).

ჭაშნაგირის მოსაკლავად წასვლისას –

მუნ მიჰყავს პირდმზე ავთანდილ მას, მისსა წინამძღომელსა (1113).

ფატმანისაგან ავთანდილმა ნესტანის ამბავი მოისმინა და ამით ძალიან გაიხარა -

ესე ამბავი ავთანდილ პირ-მზემან, მაგარ ვადამან (1244).

სიხარულით მიიღოო, ვადა არის ხრმალის ჯვარედი, ხელის მოსაკიდებელი.

ავთანდილს –

ფატმან ყელსა ეხვეოდა, პირსა მზესა აკოცებდა (1251).

როგორც ვხედავთ, ავთანდილი ხშირადაა დახატული ვით პირ მზე.

4. პირ მზე – ტარიელ და სხვანი

ავთანდილი ტარიელს ეუბნება –

სახე ხარ მზისა ერთისა, ზეცით მნათისა ზენისა (291).

თავის მამა სარიდანზე ტარიელი ამბობს –

ტანად ლომი და პირად მზე, ომად მძლე, რაზმთა მწყობელი (311).

ფრიდონის შესახებ ნათქვამია –

იბრძვის ლომი და პირად მზე, იგი ალვისაც ხენია (616).

ფრიდონი ეუბნება ტარიელს, როცა მას გამოემშვიდობება და მას ცხენს აჩუქებს -

მითხრა: „ჰხედავ, პირი მზისა, თქვენ საროსა ეგეც ხენი (647).

ანუ: ტარიელ, რომელ ხარ პირი მზისა, და ეგეც ხენი, თქვენი ტანი საროს, კიპარისის ხესა ჰგავსო.

და დაბოლოს, როცა ნესტანი გაიგებს, რომ მეფე სურხავს იგი თავის ვაჟის საცოლოდ უნდა, ამ ვაჟის შესახებ ამბობს –

მაშოროს ღმერთმან მამაცი, პირად მზე, სარო ტანისა (1193).

ყველანი ერთად –

მათ ყოვლთა შუქი ანათობს პირისა, მზისა მზგავსისა (1550).

ამგვარად: თინათინი, ნესტან, ავთანდილ, ტარიელ, ფრიდონ, სარიდან, მელიქის ვაჟი და საერთოდ მეფენი და მეფის ძენი, ყვლანი პირ-მზენი არიან.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მეოთხე

მზე – პიროვნების გამომხატველი

1. მზე – ნაცვალსახელი

2. თინათინ – მზე

3. ნესტანი – მზე

4. ავთანდილი – მზე

5. ტარიელი – მზე

6. სხვანი – მზე

7. რამოდენიმე მზე

დასკვნა

8. მზე შენ გელმისო

9. შაჰნამეს მზე და ვეფხისტყაოსნის მზე

დასკვნა

1. მზე – ნაცვალსახელი

მზე ვეფხისტყაოსანში არის შვენების სიმბოლო, სილამაზის გამომსახველი. და მზის შვენებით, მზის სახით გვეცნობიან ჩვენ ვტნის გმირები. ხანდახან გმირთა სილამაზე მზის სილამაზესაც სჯობია და სჭარბობს და შეუთვისებელ უმაღლეს შვენებამდე აღწევს მზესთან შედარება. მაგრამ მზის ამ მნიშვნელობის გარდა, მზე გამოყენებულია ვტნში აგრეთვე პიროვნების აღსანიშნავად, პიროვნების გამომხატველად და მის სანაცვლოდ – მზე ვითარცა ნაცვალსახელი.

***

როდესაც რომელიმე გმირი მზე არის, ამით იგულისხმება არა მარტო მზე ვით მნათობი; არა მარტო მზის სილამაზე და შვენება; არა მარტო, საერთოდ რომ ვთქვათ, გმირის ესთეტიკური ღირებულება, არამედ აგრეთვე მისი უმაღლესობა, მისი ხელისუფლება და ძლიერება. პიროვნება ვითარცა მზე ვტნში არის აგრეთვე პოლიტიკური და სოციალური ღირსების მაჩვენებელი და ამიტომ მზე არის აქ მხოლოდ მეფე, ან მეფის სწორი, და სხვა არავინ.

2. თინათინი – მზე

როდესაც გმირები ერთმანეთის შესახებ ლაპარაკობენ, ისინი იშვიათად სახელს ხმარობენ, და უმეტეს შემთხვევაში მათ ნაცვალსახელით: „მზე“ გულისხმობენ. ეს არის აგრეთვე ზრდილობის წესიც.

როდესაც ავთანდილი შერმადინს ესაუბრება ტარიელის მოსაძებნად წასვლის შესახებ, იგი მას თინათინის სიყვარულსაც განუმჟღავნებს;

ავთანდილმა შერმადინს –

აწ განუცხადა სიტყვები მის მზისა იმედებული (141).

„მის მზისა“ არის თინათინი.

ავთანდილი მიდის –

მაგრა მის მზისა გაყრამან სიცოცხლე დაუზიანა (178).

ანუ: სიცოცხლე გაუნაწილა, შეუმცირა თინათინის დატოვებამო.

შემდეგ, ავთანდილი ასმათს ეუბნება –

ჩემმან მზემან გამომგზავნა საძებარად იმა ყმისად (250).

მზე – თინათინია.

ოდეს ტარიელმა ავთანდილს თავისი თავგადასავალი მოუთხრო, მას უთხრა –

აწ წადი, ნახე შენი მზე, ნახვისა მოჟამებულმან (660).

მზე არის თინათინი, რომლის ნახვის დრო ავთანდილისათვის მოჟამებული, ანუ მოახლოვებულია.

ავთანდილს თინათინ – მზის მონა ბრძენი სიტყვით დახვდა საწოლს –

კვლა საწოლს დაჰხვდა მის მზისა მონა სიტყვითა ბრძენითა (692).

მზე – თინათინია.

ავათნდილი დაბრუნების შემდეგ თინათინს ნახულობს –

მზე უკადრი ტახტსა ზედა ზის მორჭმული, არ ნადევრი (692).

მზე – თინათინი, რომელი არის უკადრი, ტახტზე მჯდომარე, მორჭმული, ძლიერი, მდიდარი, და არ-ნადევრი, არა სუსტი, არ-დაჩაგრული, თინათინი დალხინებულია: ავთანდილი მობრუნდა და ტარიელის ამბავიც მოიტანა. ამით მას გულის წადილის შესრულება ერგო –

მზე ეტყვის: „მოხვდა ყოველი ჩემი წადილი გულისა (704).

და ავთანდილი თინათინთან საუბარში –

მზე ასრე ეუბნების, ვით გაზრდილსა ამო მზრდელი (710).

მზე თინათინია.

და მოშორებისას –

იტყვის: მზე ჩემად თავისად კმა დასადებლად აღარად (714).

მზე – თინათინი, საკმაოც კი აღარ არის მისთვის, მზე-თინათინისათვის თავის დადება, ანუ სიკვდილიო.

ავთანდილი თინათინთან დაშორებისა გამო სტირის, ხოლო თავს ინუგეშებს –

მან მარგალიტი მოიხვნა მის მზისა სამეყვისონი (719).

მზე თინათინია; მისი საყვარელნი მარგალიტნი ავთანდილმა მოიხსნა, რათა მისთვის ეკოცნა. –

მის მზისა მკლავსა ნაბამნი, მათ კბილთა შესატყვისონი (719).

ვაზირთან საუბრის დროს, თავისი წასვლის აუცილებლობას ავთანდილი ამითაც ამტკიცებს, მეო –

ჩემსა მზესა დავეთხოვე, გავუშვივარ, დავდგე მე რად (786).

ავთანდილი მიდის და ნაღვლობს –

მე სოფელმა მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა (810).

თინათინსაო და –

წამ-წამ მობრუნდის, იაჯდის მისთვის მზისავე მზობასა (831).

ანუ: ავთანდილი იხვეწება, ითხოვს: თინათინო. მზეო, იყავი ჩემი მზეო! და ტარიელის უნუგეშო ტირილზე –

ავთანდილსაც მოეგონა მისი მზე და საყვარელი (920).

მერმე ტარიელი ეუბნება ავთანდილს –

წადი, დაბრუნდი, შეიქეც მუნითვე, შენი მზე სით ა (927).

ანუ: მიბრუნდი შინ, სადაც შენი მზე თინათინი არისო, რაზედაც მას ავთანდილი უპასუხებს –

ჩემსა მზესა დავეთხოვე ჩემს წინაშე წამოსავლად (932).

ავთანდილი მუდამ ნატრობს –

ნუ თუ მომხვდეს ნახვა მზისა, ნუ ვიზახი მიწყივ უსა (966).

ავთანდილი თინათინის შესახებ ფატმანს ეუბნება, იგი არისო –

... მზე ხმელთა მანათობელი (1263).

ავთანდილს, როდესაც თინათინის შესახებ ელაპარაკებიან, უპასუხებს –

ჩემი მზე ტახტსა ზედან ზის მორჭმული, ღმრთისა ნებითა (1474).

იმავე ღმრთის შემწეობით შემეძლება ჩემი მზის ელვათა ფენის ნახვაო –

რა მოვა ჩემთვის განგება. ზეცით მოსრულნი ზენანი,

ღმერთი იწადებს, მომივლენ გულსა სახმილთა ლხენანი;

მაშინ ღა მომხვდენ მოკვდავსა მზისა ელვათა ფენანი;

უმისჟამისოდ ცუდია ჩემგან მი და მო რბენანი (1475).

ანუ: ოდეს განგება ჩემთვის მოვა, და ზეცით მოსულნი ზენანი, ესე იგი, უმაღლესნი, ღვთიურნი გადაწყვეტილებანიო;

ოდეს ღმერთი მოიწადინებს;

ოდეს ჩემს გულს სახმილთა ანუ წვადდაგვათა ნაცვლად ლხინი მოუვა (სახმილი არის ცეცხლთა საგზებელი. ს. ს. ორბ.) ანუ ჩემი გული, რომელიც აქამდე სახმილი იყო, აწ ლხინად, სიხარულად შეიცვლებაო;

მაშინ მომეცემა, მომხვდება მე მომაკვდავს, მოკვდავს მზისა ელვათა ფენანიო;

ამ დროის გარეშე, უამჟამისოდ (სანამ ამას განგება, ღმერთი არ მოისურვებს) ცუდი არის ჩემი აქეთ-იქით სირბილიო.

ამგვარად, მზე არის თინათინი, და მზე-თინათინის ელვათა ფენა, ანუ შუქთა ფრქვევა მოკვდავ, მომაკვდავ ავთანდილს ერგება, თუ ამას ღმერთი მოისურვებსო, თორემ ამის გარეშე ცუდია ჩემი აქეთ და იქით რბენაო.

ავთანდილი ტარიელს ურჩევს: ჯერ შენ გამეფდი ინდოეთში და –

მაშინღა მივალ არაბეთს, მომხვდეს მის მზისა ხლებანი (1479).

ანუ: მე იქ არაბეთში მომხვდება, მერგება ვიყო მის მზის-თინათინისა ხლება, თან ხლებაო, რაზედაც ტარიელი მას უპასუხებს –

ვეჭვ, ღმრთითა ადრე შეგყარო მზესა მას, ტანად ალვასა (1512)

ანუ: ვფიქრობ, ადრე შეგახვედრო ტანად კიპარისს, მზე თინათინსაო.

და როსტევანიც ავთანდილს ამასვე პირდება:

გვალე, შეგყრი ლომო, მზესა, თავი მისკენ არე მარე (1532).

ანუ: გვალე, იარე ავთანდილ, შეგახვედრებ შენ ლომო, მზეს-თინათინსაო, თავი მისკენ ატარე (არე) მალეო (მარე).

ავთანდილი თინათინთან ერთად ტახტზე აჰყავთ და ავთანდილს –

იგი მზე და ხელმწიფობა ასრე მიხვდა ვითა ღირსა (1533).

მზე-თინათინიც და ტახტიც ავთანდილს ერგო; და ტარიელი თინათინს ეუბნება –

მე ლომი ლომთა დაგისვა გვერდსა შენ მზეთა მზეთასა (1542).

ლომთა ლომი – ავთანდილი; მზეთა მზე – თინათინი.

და ოდეს საბოლოოდ ავთანდილი არაბეთს მიბრუნდა –

ნახა მზე მისი, მიჰრიდა მისთა სურვილთა წყენამან (1662).

ანუ: ავთანდილმა ნახა თავისი მზე-თინათინი და მისი ნახვის სურვილის წყენა მას უკვე აღარ ჰქონდა, უკვე გაუქრა იგი (მიჰრიდა, აღუსრულდა სურვილიო); იგი მზე–თინათინთან არის.

3. ნესტანი – მზე

სიყვარულის გამჟღავნების შემდეგ ნესტანი ტარიელსა სწერს –

მზემან მეტი რაღა გიყოს, აჰა ბნელი გაგითენე (379).

ნესტანი აქ თავის თავს მზეს უწოდებს; და ტარიელი ოდეს სალაშქროდ გამგზავრებას აპირებს ამბობს, როგორ ვიარო, თუ ნესტანი ჩემი მზე არ ვნახეო –

თუ მზე არ ვნახო, არ ვიცი ვიარო ბნელსამცა ვითა (494).

ოღონდ ტარიელის სალხინოდ, მას წერილი მიართვეს, სადაც –

ეწერა: გიხმობს შენი მზე შენ, მისთვის მოსურვებულსა (406).

ნადიმზე ნესტანი დაესწრო და –

მას მზესა ტანსა ემოსნეს ნარინჯის ფერნი ჯუბანი (480).

და იგიო, – ამბობს ტარიელ –

პირის პირ მიჯდა იგი მზე, გული ვისთვისცა კვდებოდა (482).

და მერმე ნესტან ტარიელსა სწერს –

მზემან ლომსა ვარდ-გიშერნი ბაღჩა ბაღად უშენოსა (494).

მზემან-ნესტანმა ვარდ-გიშრნი ბაღჩა (პირი ვარდი – წითელი და გიშერნი – თვალ-წარბ-წამწამნი – შავნი; ბაღჩა – მთელი პირისახე) ბაღად შენთვის ლომისათვის, ტარიელ გავაკეთე, ავაშენეო.

ასმათი როს ნესტანის გადაკარგვის ამბავს ტარიელს მოუთხრობს, მას ეუბნება –

მას შიგან ჩასვეს იგი მზე, ჰგავს, იქმნა დარაჯებითა (580).

ანუ: მზე-ნესტანი ჩასვეს კიდობანში და მას ერტყნენ დარაჯები, დატყვევებული სჩანდაო.

ავთანდილი ფრიდონთან მიემგზავრება და ასმათი მას და ტარიელს ეუბნება –

მზემან დაგწვნა და დაგდაგნა ცისა მნათობნი ზენანი (944).

მზე აქ ნესტანია, ხოლო ზენა მნათობნი ცისა: ავთანდილი და ტარიელი.

ავთანდილი ფრიდონს სთხოვს, მაჩვენე ის ადგილი, –

სადა გინახავს იგი მზე, წამომყევ ზღვისა კიდესა (1016).

და ისინი ნახულობენ იმ ადგილს, სადაც ფრიდონმა ნესტანი დაინახა –

მაშინ ფრიდონის ნახულსა, ნასაჯდომევსა მზისასა (1022).

და ფრიდონი ავთანდილს უხსნის –

აქა მათ ზანგთა მონათა მზე მოიყვანეს ნავითა (1023).

ნესტანის საძებრად ავთანდილი მიდის და ყველგან –

ჰკითხის მის მზისა ამბავი, დღენი ვლნა გაასებულნი (1028).

ფატმანიც მზეს უწოდებს ნესტანს –

ვთქვი: „უჟამოდ არ წესია მოყვანა და მზისა ხმობა (1142).

და თავის თავს უსაყვედურებს –

რად არ ვიცი ამა მზისა საუბრისა უჟამობა (1142)

მელიქ სურხავიც მზეს უწოდებს მას –

მე დავახვედრო ესე მზე, იმისთვის დამზადებული (1185).

სურხავმა ბრძანა ნესტანის მეფურად გამოწყობა და დასვეს ტახტზე –

მას ზედა დასვა იგი მზე, ლხინი მჭვრეტელთა გულისა (1183).

მეფემ სამაგიეროდ (მუქაფად) უსენი დააჯილდოვა, როგორც ეს მეფეს შეეფერებოდა –

უბოძა უსენს უზომო მუქფად მის მზისა დარისა (1189).

ფატმანი, რომელიც ნესტანს გაპარვაში მოეხმარა, შემდეგ ამ ამბავს ჭაშნაგირს უამბობს –

ჩემსავე მოსვლა მის მზისა და გაპარება მელურად (1206).

როდესაც ქაჯეთის მოლაშქრეებმა ნესტანი დაიჭირეს –

კვლა ვეუბნებით მას მზესა ტკბილ მოუბრითა ენითა (1229).

ავთანდილი ფატმანს ეუბნება ნესტანის შესახებ –

მივლია ყოვლი ქვეყანა, მის მზისა მონაცვალისად (1264).

მონაცვალი მზის, ანუ მზის მაგიერი არის – ნესტანი. ფატმანი თავის მონას ნესტანთან აბარებს –

მას მზესა ჰკადრე მიზეზი მისისა განკურნებისა (1269).

ოდეს გრძნეული მონა ციხეში ნესტანთან შევიდა –

მას მზესა ჰკადრა სალამი მისისა სასურველისა (1277).

ოღონდ ნესტანს შეეშინდა ზანგის მოულოდნელად გამოჩენაზე –

იგი მზე დაკრთა, ეგონა სამისო რამე ზიანი (1278).

ავთანდილმა უკვე ნესტანის თავგადასავალი იცის და ფრიდონს აცნობებს –

იგი მზე ქაჯთა მეფესა ჰყავს, ქაჯეთს პატიმარია (1320).

ციხის აღების შემდეგ ავთანდილი და ფრიდონი ნესტანს მიესალმებიან –

მას მზესა მისცეს სალამი, წადგეს მართ ვითა ხმობილნი (1422).

სამაგიეროდ ნესტანი –

მზე მოეგება პირითა ტურფითა, მოცინარითა (1423).

და შემდეგ –

იგი მზე შესვეს კუბოსა, არს მათგან განაკრძალები (1426),

წამოიყვანეს იგი მზე, – მათი ღა წაგვრა ძნელია (1427).

და ტარიელი მელიქ სურხავს უთვლის –

ქაჯეთით მომყავს ჩემი მზე, ჩემი ლახვართა მსობელი (1428).

და თან თხოვს, ფატმანი შეგვახვედრეო, ვინაიდან –

ფატმანს უხსნია ჩემი მზე, სდედებია და სდებია (1429).

ანუ: მას დედობა და დობა გაუწევიაო.

გმირები სურხავს ემშვიდობებიან, მიდიან და ნესტანი –

იგი მზე შესვეს კუბოსა, იარეს გზა ზღვის პირისა (1450).

ფრიდონისას იგონებენ ბრძოლაში დაღუპულ გმირთ, სტირიან, მაგრამ მალე მოილხენენ, –

რადგან მიჰხვდა დაკარგული ლომი მზესა წარხდომილსა (1459).

ანუ: დაკარგული ლომი დაკარგულ (წარხდომილსა) მზესა, ნესტანს ერგოო. ფრიდონისაგან ქვაბისაკენ წავიდნენ და –

იგი მზე უჯდა კუბოსა და აგრე არონინებდეს (1494).

შემდეგ ისინი არაბეთს მიემგზავრებიან. და აქ ავთანდილი როსტევან მეფეს ეუბნება, იჩქარე, ნახე მალე ნესტანიო –

რად არ გინდა ნახვა მზისა, ანუ რადღა აგვიანებ? (1534).

და როსტევანმა როდესაც ნესტანი იხილა –

ტარიელს უთხრა: „შენი მზე საჭვრეტლად სატურფალია“ (1554).

თინათინი ნესტანს ეუბნება –

...ჰე, მზეო, შენთა მჭვრეტელთა ლხინება (1572).

ინდოეთიდან წამოსული ვაჭრებიც გვატყობინებენ ნესტანის დაკარგვისა და ტარიელის ძებნად წასვლის ამბავს –

ცნა ამირბარმან, წავიდა ლომი მის მზისა მძებნელად (1586).

მზე – ნესტანია.

***

ამნაირად, მზე აქ ყველგან თავისთავად პიროვნებას გამოხატავს და ეს პიროვნებაა – ნესტანი. მზე – ნაცვალსახელია ნესტანისა. მზე, მაშასადამე, პიროვნების სიმბოლოა და დაუსახელებელადაც, ნესტანის სახელის გარეშეც, მზე ნესტანს გულისხმობს.

4. ავთანდილი – მზე

თინათინი როს ავთანდილს ავალებს უცხო მოყმე მოძებნეო, მას ეუბნება –

მერმე მოდი, ლომო, მზესა შეგეყრები, შემეყარე (131).

მზე და ლომი ავთანდილია, რომელიც თინათინს შეხვდება (შეეყრება) და თინათინიც მას შეხვდება.

ავთანდილის წასვლის გამო თინათინი ამბობს მწუხარებით –

ჩემი თქვი, რა ვქნა ბედ-ქმნილმან, მზე მიმეფაროს მი, ცისა (706).

ანუ: ბედ-ქმნილი – შავი ბედისა; მი – მიმეფაროს მზე – ცისა: ავთანდილიო.

ამის გამო ავთანდილიც –

მზე ტირს სისხლითა ცრემლითა, ზღვისაცა შესართავითა (712).

ავთანდილი უკვე გულანშაროშია და –

რა ფატმანისას შევიდა ლომი, მზე, მოყმე წყლიანი (1118).

ავთანდილმა აქ ფატმანისაგან ნესტანის ამბავი გაიგო და –

გამოემართა იგი მზე პირითა სავსე მთვარისა (1325).

ამნაირად: მზე ნაცვალსახელია ავთანდილისა.

5. ტარიელი – მზე

როდესაც ავთანდილი უცხო ყმას გამოუდგა, მან დაინახა, რომ მას –

ტაიჭი მიუქს მერანსა, მიეფინებს მზე ველად (96).

ანუ: ტაიჭი (არაბული ცხენი) მიუგავს მერანსა (საზღაპრო ცხენს) და თვითონ იგი მზე, მიეფინება ვით მზე, ბრწყინვალებას აფენსო.

ავთანდილი ტარიელს შორიდან ხედავს –

ოდენ ჩნდა შავი ტაიჭი მისი მზისა მარებლად (210).

როდესაც ტარიელმა ხატაეთი დაიპყრო, მან მცხოვრებთ უბრძანა: იყავით უშიშრადო –

მზემან არ დაგწვენ, იცოდით, დაგყარენ გაუგვალავად (459).

ანუ: მე ტარიელმა, მზემ, თქვენ არ დაგწვით, იცოდეთ დაგტოვეთ (დაგყარენ) გაუგვალავად (დაუგვალავადო; გვალვა – უწვიმარობა). ვაზირთან საუბარში ავთანდილი ტარიელს იგონებს და ამბობს –

მზე დაბრუნდა, არ ვიცოდი, მზესა რამცა დააბრუნვებს (747).

აქ არის ასტრონომიული შედარება (იხილეთ წინ, გვერდი 127); და ამასთანავე ტარიელი არის მზე.

ავთანდილი თავის ანდერძში მეფე როსტევანს უწერს: ტარიელს დავპირდი მისვლა და –

ვერ ვეცრუვები, ვერ ვუზამ მას ხელმწიფესა მზიანსა (798).

ავთანდილი ასმათს ეუბნება, წავალ მოვძებნი ტარიელსო –

აწ მეცა მიჯობს მონახვა მის მზისა ლერწამ-ტანისა (863).

და ნესტანი ქაჯეთის ციხიდან სწერს მისთვის უცნობი ავთანდილის შესახებ ფატმანს –

მაგრა მას ვჰნატრი, უნახავს მზე, ამად არ დამზრალია (1288).

ანუ: ავთანდილს უნახავს ტარიელი მზეო. და დაბოლოს, სასახლეში თინათინთან –

შევიდა მეფე ინდოთა, იგი მზე, მსგავსი გმირისა (1540).

ამგვარად: მზე ტარიელის გამოსახულებაა; სიტყვა „მზე“ ნაცვალსახელია ტარიელისათვის.

6. სხვანი – მზე

ტარიელი გვაცნობებს, როდესაც ხატაეთიდან გამარჯვებული დავბრუნდი, მიმიღეს მეფე-დედოფალმაო –

მაკოცეს, ადგეს ორნივე, თვით იგი მზენი მზეთანი (487).

მზენი მზეთანი არიან: ფარსადან მეფე და მისი მეუღლე. ტარილის მოძებნის შემდეგ არაბეთს მიბრუნებულ ავთანდილს როსტევან მეფე მიეგება –

მას ავთანდილ თაყვანის სცა ლომთა ლომმან მზეთა მზესა (685).

როსტევანი არის მზეთა მზე.

ვაჭართ უხუცესი უსენ თავის სამადლობელ სიტყვაში გულანშაროს მაღალ ხელმწიფეს მიმართავს ასე –

ზეცით შუქთა მომფენელო, მარჩენალო არსთა, მზეო! (1168).

მეფე მელიქ სურხავი არის მზე. ამ მეფეს სურს ნესტანი თავის რძლად გაიხადოს და ამბობს –

მუნამდის მთვარე შუქ-კრთომით ჯდეს, მზისა მოშორვებული (1185).

მზე აქ არის სურხავის ვაჟი. ფრიდონიც რასაკვირველია, არის მზე –

ლომისა მსგავსო ძალგულად, მზეო შუქ მოიეფეო (1318).

ფარსადანის სიკვდილის გამო ტარიელი მოთქვამს –

მზე მოჰკვე ყოვლთა სულდგმულთა... (1593), – შენ, მზეო, ფარსადან, რომელიც ყოველთა სულის ჩამდგმელი იყავი, მოკვდიო.

და დაბოლოს კიდევ –

ფრიდონ მზე, მოყმე, რომელმან შექმნა სისხლისა გუბია (1607).

***

აქედან მხოლოდ ერთი დასკვნაა: მეფენი, დედოფალნი, მეფის ასულნი, მეფის ვაჟი, – ყველანი არიან: მზე. და სხვა არავინ.

7. რამოდენიმე მზე

დემოკრიტესის შეხედულებით, მრავალი მსოფლიო არსებობს – სივრცე არის უსაზღვრო და უსაზღვროა დიდი მსოფლიოც; ზოგ მსოფლიოში მზე სრულებით არაა; ზოგში, როგორიც არის ჩვენი მსოფლიო, არის ერთ მზე, ხოლო ზოგში კი არის რამოდენიმე მზე, მრავალი მზეო. 198.

შვიდი მზე ცნობილია ბრაჰმანულ მწერლობაში. როდესაც დასრულდება მსოფლიოს ვადა და დადგება ქვეყნის უკანასკნელი წუთი, მოხდება დიდი

ხანძარი და ცეცხლი მთელ მსოფლიოს შთანთქავს, ხოლო ამ ცეცხლის გამჩენი იქნება შვიდი მზე, რომელიც მაშინ გამოჩნდება. 199.

თორმეტი მზე მოხსენებულია აგრეთვე ერთ ინდურ გალობაში მზისადმი, მაგრამ ეს თორმეტი მზე გამოჩნდება ქვეყანის დაღუპვის შემდეგ, კვლავ მსოფლიოს აღსადგენად. 26 გვ. 64.

პლინიუს მეორე (23 – 81) თავის ნატურალეს ჰისტორიაე (წიგნი მეორე, თავი 31) გადმოგვცემს, თითქო ენახოთ რამოდენიმე მზე ერთად, არა მზის ზემოდ და არც მზის ქვემოდ. არამედ მზის გვერდით; და არა მიწასთან ახლო, არც მის მოპირისპირედ, არც ღამით, არამედ დილით და საღამო ჟამს; ნახეს, ამბობენ, შუადღესაც, ერთჯერ, ბოსფორზე; ძველებს უნახავთ ხოლმე სამი მზე, როგორც მაგალითად, რომის წელთაღრიცხვის 580 წელს, 631 წ., 710 წ. 712 წელსო. და ეს ამბავი მოხდა ჩვენს დროშიც (ქრისტეს დაბადების შემდეგ 51 წელსო). არც ერთი საბუთი არ ლაპარაკობს, ერთსა და იმავე დროს, სამ მზეზე მეტი ენახოთო. და იმავე წიგნის მე32 თავში ნათქვამია – სამი მთვარე ცაზე ერთად უნახავთო. მათ ღამის მზეს ეძახიანო. 20 გვ. 116.

***

იმპერატორი იულიუს განდგომილი, როგორც ეს ჩვენ წინ გავიცანით (იხილეთ გვერდ 58–60) თავის თეოლოგიურ შეხედულებაში სამ მზეს ასახელებს – 1. პირველადი მზე, პირველი მიზეზი, ერთი, სახიერება, ღმერთი; 2. მისგან წარმომდგარი მეორე მზე, გონება, მეფე-მზე. მერმე ეს ჩვენ წინ გავიცანით (იხილეთ გვერდი 58–60). მეორე მზისაგან წარმომდგარი, ამქვეყნიური და ხილული ჩვენი მზე. იგივე შეხედულება საერთოდ ცნობილია ფილოსოფიურ და თეოლოგიურ მოძღვრებაში ნეოპლატონიანთა. 200.

ოღონდ არც ერთ აქ აღნიშნულ ორსა თუ სამ მზეს ვეფხისტყაოსანის ორ მზესთან და მზეთა მზესთან არავითარი კავშირი არა აქვს.

***

რასაკვირველია, ვტნის გმირებმა კარგად იციან, რომ არსებობს მხოლოდ ერთი მზე. ტარიელი ავთანდილს ეუბნება –

სახე ხარ მზისა ერთისა, ზეცით მნათისა ზენისა (297).

მაგრამ ამის მიუხედავად, ვტნში ვხვდებით არა მარტო ერთ მზეს, რაც ბუნებრივი იქნებოდა და არის, არამედ რამოდენიმე მზეს, სხვა და სხვა მნიშვნელობით.

ფარსადანი და მისი მეუღლე არიან მზენი მზეთანი –

... თვით იგი მზენი მზეთანი (487)

მზეთა მზენი ორ, ან რამოდენიმე მზეს გულისხმობს.

ავთანდილმა თაყვანი სცა როსტევანს –

... მზეთა მზესა (685).

ავთანდილი თინათინისა და ტარიელის დატოვების გამო ამბობს –

მე, გლახ, ორნი დამიყრიან... (956)

ანუ: „ორნი დამიყრიან“ – ორი მზე დამიტოვებიაო.

ნესტანი არის –

...მსგავსი ორთა მზეთა (1172).

ნესტანი ტარიელს ფიცით უთვლის: მე არავის წავყვები ცოლად, თუნდ სამნი მზენი მოვიდენო –

შენმან მზემან, არვის მიჰხვდეს, მოცავიდეს სამნი მზენი (1303).

ავთანდილი და ტარიელ ფრიდონს მიეგებნენ და ამის გამო ნათქვამია –

იგი მზენი მიეგებნეს... (1379).

ავთანდილ, ტარიელ, ფრიდონის შეხვედრა წარმოდგენილია ვით ორი მზის შეხვედრა მთვარესთან –

... შეყრილ იყვნეს ორნი მზენი...(1382).

გამარჯვებული გმირები ფრიდონისაკენ გაემართნენ –

...იგი მზენი (1493).

ტარიელი თინათინს ეუბნება ავთანდილს გვერდით დაგისვამ –

...შენ მზესა მზეთასა (1542).

ხოლო თინათინისა და ნესტანის შეხვედრა არის, თითქო ცა მოდრკაო და –

... შეყრილან ორნი მზენია (1549).

ინდოეთს მიბრუნებისას ნესტანსა და ტარიელს –

დიდებულნი ეთაყვანნეს, ერთობილნი ადგეს სრულად;

იგი მზენი მიეგებნეს, მოეხვივნეს გულის გულად (1630)

„იგი მზენი“ აქ არიან: ნესტანი და ტარიელ.

როგორ გაჩნდა ვეტნში ორი, სამი მზე და საერთოდ მრავალი მზე მნათობი? იქნებ ეს მზენი და მთვარენი ასტროლოგიიდან არიან გადმოტანილნი? მაგრამ ასტროლოგიაში ცნობილია მხოლოდ ორი მზე, ორი მთვარე და საერთოდ: ორი მნათობი.

***

ასტროლოგიური შეხედულებით არსებობს ორი მნათობი: ორი მზე, ორი მთვარე და სხვა. ერთი მათგანი არის ბუნებრივი მნათობი, ფიზიკური გვამი (სთულა – ინდურ ასტროლოგიაში); და მეორეა – მისი ვარსკვლავური, ანუ ასტრალური გვამი – სუკსმა). მეორე გვამი მნათობისა არის: ძალა მომქმედი, რომლითაც ეს ფიზიკური გვამი, ბუნებრივი სხეული არის აღჭურვილი და რომელიც მნათობის სულს წარმოადგენს. მაშასადამე, თითოული მნათობი არის ორმაგი: გვამობრივი და სულებრივი. 201.

არიან ვტნის ორნი და სამნი მზენი, ან მთვარენი ასტროლოგიურნი მზენი და მთვარენი? ორნი მზენი, სამნი მზენი ვტნში მხოლოდ პოეტური შედარებისათვის არიან გამოყენებულნი და ამ პოეტური სიტყვით დახასიათებული არის – სილამაზე, ბრწყინვალება, დიადობა, შვენება, დიდებულობა და სხვა.

დასკვნა

მკითხველთან ერთად ჩვენ მიმოვიხილეთ ვეფხისტყაოსანში მზის გამოყენების შემთხვევანი გმირთა დასახასიათებელად და ვნახეთ, რომ ყველა შემთხვევაში მზე არის სილამაზის სიმბოლო, პიროვნების სიმბოლო, გამოხატვა პიროვნების სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობისა და ამასთანავე პიროვნების ესთეტიური ღირებულების გამომჟღავნება.

8. მზე შენ გელმისო

არის კიდევ ერთი მზე ვტნში, რომლის რაობა თუ ვინაობა ძნელი გამოსარკვევია – ვინ არის ეს მზე? ვისი ნაცვალსახელია იგი? როდესაც ტარიელი არაბეთს სტოვებს ინდოეთს გასამგზავრებლად და როსტევანს ემშვიდობება, ამ დროს ნათქვამია –

მზე შენ **გელმისო საომრად** და თავი შენ მას ალამე (1576).

დ. კარიჭაძისეულ ვტნში –

მზე შენ **გელმისო სალამად** და თავი შენ მასა ჰლამე (1552).

ესე იგი: მზე შენკენ ისწრაფვის სასალამოდ და შენც მისკენ ისწრაფეო. სხვა გამოცემებში დაბეჭდილია **მას ალამე**. თეიმურაზი და ჩუბინაშვილი სიტყვებს **თავი მას ალამე** ასე ხსნიან: თავი აი**მაღლეო** (შენიშვნა დ. კარიჭაშვილისა, ნომ.286).

რა, ვინ, რომელი მზე **ელის** ტარიელს **სალამად**? გაუგებარია.

აბულაძისეულ ვტნში –

მზე შენ **გელმისო სალამად** და თავი შენ მასა ჰლამე(1500).

ანუ: მზე შენ მოგელის, შენსკენ მოიჩქარის, სალამის მოსაცემად და თავი შენიც ააჩქარე მასთან შესახვდრადო.

ვინ მზე? რომელი სალამი? გაურკვეველია.

ს. კაკაბაძისეულ ვტნში –

მზე შე **გელმისო საომრად** და თავი მას ასალამე....

ვინ მზე ელის და რატომ საომრად, ან რაა აქ მასალამენ. სალამი მიეც?

კ. ჭიჭინაძისეულ ვტნში –

მზე შენ **გელმისო ალამად**, და თავი შენ მას ალამე (1649).

ეს ლექსი ყველაზე უფრო გაუგებარია ჩემთვის; კ. ჭიჭინაძეს ალბათ კარგად ესმის იგი.

ვფიქრობ, მთელს სიძნელეს წარმოადგენს სიტყვა „გელმის“. თუ გამოირკვევა სწორად ამ სიტყვის მნიშვნელობა, ასეთ შემთხვევაში ამ ლექსის აზრიც ნათელი გახდება. მაშ უნდა მოიძებნოს ეს. სიტყვა „გელმის“ ქართული ენის სამკაულთა კიდობანში: „ბიბლია“-ში გვხვდება:

1 მეფეთა 2,32 ელმოდეს სულსა შენსა

1 მეფეთა 23,22 რამეთუ გელმის თქვენ

2 მეფეთა 13,3 რაჲ არს შენდა რამეთუ ეგრეთ გელმის ძესა მეფისასა

იობი 11,22 ხორცი მისი ელმოდა

იობი 16,7 არა მელმოდეს თუ წყლულებითა

ისო ზირაქისა 47,21 ელმოდათ ვითარცა შობადთა

რომაელთა 8,2 უწყით, რამეთუ ყოველი დაბადებული ჩვენ თანა თანა კვნესის და თანა ელმის.

გალატელთა 4,19 შვილნო ჩემნო, რომელთათვის კვალად მელმის

გალატელთა 4, 27 რომელსა არა გელმოდა

გამოცხადება (აპოკალიფსის) **12,2** და მუცლად იყო, და ღაღადებდა, რამეთუ ელმოდა და იგვემებოდა შობად...

ყველგან აქ სიტყვანი – „ელმოდეს“, „გელმისა“, „ელმოდა“, „მელმოდეს“, „ელმოდათ“, „ელმის“, “მელმის“, „გელმოდა“, „ელმოდა“, ნიშნავს – ტკივილი, შეწუხება ან ფიზიკური, ან სულიერ ავადობასთან დაკავშირებით, როგორც ეს აგრეთვე ძველი ქართული მწერლობიდანაც სჩანს ცხადად –

ადამის ცხოვრება: „არამედ სნეულ ვარ და მელმის“; მიუგო სეით: „მამაჲ, რაჲ არს სნეულებაჲ ანუ ვითარ გელმის?“ 177.

იოვანე და ეფთვიმეს ცხოვრება: ღმრთისმშობელი ეკითხება: რაჲთ არს, რაჲ გელმის, ეფთვიმე?“ ეს უპასუხებს: „მოვკვდები, დედოფალო!“. „რა არს ვნებაჲ შენ თანა“... და იგი მოარჩინა ღმრთისმშობელმა სნეულებისაგან: „ვითარ მხედავ, ყოვლად არ ღა რაჲ მელმის“... და სხვა.

როგორც ცხადია: „მელმის“, „გელმის“ არის – მტკივა, მაწუხებს; გტკივა, გაწუხებს.

„მელმის“, „გელმის“ წარმომდგარია სიტყვისაგან „ლმობა“ ანუ „ტკივილი“, შეწუხება და ამ სიტყვას თვით ვტნში ვხვდებით –

ხამს განაღამცა საქმნელად, რაცა თქვენ გულსა გლმობია (38).

ანუ: რაც თქვენ გულს აწუხებს ისა ჰქმენითო.

აქედანვეა სიტყვა „ლმობილი“ – ანატკენი, მაწუხებელი; სალმობა – ტკივილი, შეწუხება; ლმობიერი – ნატკივარი, გულშემატკივარი.

ენა დაშვრების, გაცვთების, გულსა შეელმის ლმობილსა (849).

ანუ: ენა შეწუხდება (დაშვრების), გაცვთება, (გაცვდების), გულს ნატკივარს, შეწუხებულს (ლმობილსა) ეტკინება, შეაწუხებსო (შეელმის) ეს სიტყვა „შეელმის“ ნახმარია პეტრე იბერიელის ცხოვრებაში. სიკვდილის წინ თავის მოწაფედ გამოემშვიდობა: „და ვითარცა ეს თქუა წმიდამან, შეელმა ყოველთა და ფრიად იგლოვესო“-ო. 177. გ. 270. უეჭველია, აქ სიტყვა „შეელმის“ არის „შეწუხდნენ“.

ამგვარად: გამორკვეულად ჩაითვლება, რომ „გელმის“ არის: „გტკივა“, „გაწუხებს“.

თუ ამ განმარტებას ვტნის სადავო ლექსს მივუყენებთ ეს ლექსი შემდეგი უნდა იყოს. როგორც ეს 1937 წელს გამოცემულ უნივერსიტეტისეულ ვტნშია –

მზე შენ **გელმისო** საომრად და თავი შენ მას ალამე (1576).

მზე შენ **გაწუხებს** (გელმის) **საომრად** და შენც თავი შენი მას **ალამად** გაუხადე (ალამე), უწინამძღვრეო. მზე ანუ ნესტანი აწუხებს ტარიელს, იწვევს მას საჩქაროდ საომრად და ტარიელმა, როგორც ალამის, დროშის მატარებელმა მას უნდა უწინმძღვროს. და ეს სავსებით გასაგებია, რადგან სწორედ იმ ხანად ინდოეთი მტერს ეჭირა და, ცხადია, ნესტანს (და ტარიელსაც) ეჩქარებათ იქ მისვლა და თავისი სამშობლოს განთავისუფლება. –

მტერთა აქვს ჩემი სამეფო... (1561), –

ამბობს თვითონ ტარიელი. მაშასადამე, ამ ლექსში უნდა იყოს „გელმის“ – „გაწუხებს“ და არა „გელის“, „მოგელის“, „სალამს გაძლევს“ და სხვა.

მაშასადამე: აღნიშნულ სადავო ლექსში მზე არის ნესტანი.

9. შაჰნამეს მზე და ვეფხისტყაოსანის მზე

ფირდაუსის შაჰნამე-ში, ანუ მეფეთა წიგნის ამონაწერიდან გამოირკვა, თუ მზეს რა მნიშვნელობა აქვს ამ თუხზულებაში.

1. **შაჰნამეში** მთვარეს შეედარებიან –

წინასწარმეტყვლის მხლებელნი, მეფენი, მეფის ძმანი, მეფის წულნი, მეფის ცოლი, მეფის ასულნი, მონა-ქალები სასახლეში, გმირთა ცოლნი, სარდალთა ცოლნი, თვით სარდალნი, სასახლის მონანი, მებრძოლნი, მხედარნი, მუსიკოსნი, ტახტი, დროშა, სიხარული, წერილი, ძლიერება; მხოლოდ გლეხს არაჰყავს ასული პირით მთვარისა.

2. **შაჰნამეში** შეედარებიან **მზეს** – წინასწარმეტყველი (მაჰმადი), მეფენი, მეფის ძმანი, მეფის ვაჟნი, მეფის ცოლნი, მეფის ასულნი, გმირნი, დევნი,

მებრძოლნი, მხედარნი, მეომართა ასულნი, ვაზირი, მობედი (მღვდელი), მუსიკოსი, სარდალნი, ლაშქარი, მწდნენი, მოლარე, ცხენი, ხრმალი, გვირგვინი, სარტყელი, თვალი პატიოსანი, შუბი, სიხარული, ღაწვნი, ბედი, თასი, ძლიერება, სული, წერილი, მეწისქვილე...

ამგვარად, როგორც ვხედავთ, მთვარესა და მზესთან შედარებას ფირდაუსი **განურჩეველად** ხმარობს: მეფე და მონაც, გმირიც და მეწისქვილეც, ცხენიც და თასიც, დროშაც და ღაწვიც, ბედიც და წერილიც და სხვანი – ყველანი მზენი არიან, მზესავით ლამაზი, და მზესავით ბრწყინვალე.

ვეფხისტყაოსანში არსად **მზესა** და მთვარეს არ შეედარებიან: არც ცხენი, არც დროშა, არც მათრახი, არც სიხარული, არც წერილი, არც თასი და სხვა რამე.

ვეფხისტყაოსანში სასახლის მონანი თუ მონა-ასულნი არც მზესა და არც მთვარეს არ შეედარებიან.

ვეფხისტყაოსანში მზე და მთვარე არიან მხოლოდ მეფენი და დედოფალნი და მათნი სწორნი და სხვა არავინ, და სხვა არაფერი.

ეს განსხვავება **შაჰნამესა და ვეფხისტყაოსანს** შორის უსათუოდ მნიშვნელოვანია; ვტნში მზის მნიშვნელობა უფრო მკაცრად არის მოსაზღვრული და ამაღლებული.

***

თვით შედარებათა რიცხვიც დამახასიათებელია –

1. **შაჰნამეში** დასახელებულია **მთვარე** შედარებისათვის 237ჯერ. ამ რიცხვიდან შედარება დედაკაცთან 153ჯერაა; ხოლო მამაკაცთან შედარება – 75ჯერ. სხვა შედარებანი არიან – ტახტი, დროშა, მათრახი, და სხვა – 9ჯერ.

მაშასადამე: კაცის სილამაზის აღსანიშნავად **მთვარე** გამოყენებულია 228ჯერ.

2. **შაჰნამეში** დასახელებულია **მზე** სილამაზის დამახასიათებელი შედარებისათვის 162ჯერ. აქედან არის მზის შედარება მამაკაცთან – 114ჯერ; დედაკაცთან – 32ჯერ. სხვა და სხვა შედარება (შუბი, ღაწვი, ბედი, თასი და სხვა ასეთი) – 16ჯერ.

მაშასადამე: შაჰნამეში **მზე** კაცის (დედაკაცისა და მამაკაცის) სილამაზის აღსანიშნავად გამოყენებულია 146ჯერ.

აქედან დასკვნა –

1). შაჰნამეში საერთოდ სილამაზის დასახატავად მთვარე უფრო ხშირადაა გამოყენებული (288ჯერ) ვიდრე მზე (146ჯერ).

ბ). დედაკაცთა სილამაზის საჩვენებელად მთვარე უფრო ხშირად არის გამოყენებული (153ჯერ) ვიდრე მზე (32ჯერ).

გ). მამაკაცთა სილამაზის და დიდების დასასურათებელად მზე უფრო ხშირად არის გამოყეებული (114ჯერ) ვიდრე მთვარე (75ჯერ).

დ). მზის უპირატესობა მამაკაცთან პოეტურად შედარებაში იმით აიხსნება, რომ მამაკაცნი უმთავრესად მეფენი, მეფის წულნი, სარდალნი და დიდებულნი არიან, რომელთა დიდებასა და დიდებულებას მზე უფრო გამოხატავს ვიდრე მთვარე.

ვეფხისტყაოსანში ეს მოვლენა **წინაუკმოდაა** წარმოდგენილი.

ვეფხისტყაოსანში **მზეს პირველი ადგილი** უჭირავს. მზე აქ არის ბატონი და მეუფე.

ვეფხისტყაოსანში მეფენი და დედოფალნი, მეფის ვაჟი და ასულნი მზენი არიან. მათი სილამაზის დასახატად უმთავრესად მზე არის გამოყენებული და მთვარეს მხოლოდ უმნიშვნელო ადგილი უკავია.

ვეფხისტყაოსანში დასახელებულია **მთვარე** 51ჯერ და სილამაზის აღსანიშნავად მხოლოდ 38ჯერ.

ვეფხისტყაოსანში (რგვალი ციფრით) **მზე** დასახელებულია 360ჯერ.

მზე ვით სილამაზის გამომხატველი და პიროვნების აღმნიშვნელი ვტნში ნახმარია 266ჯერ.

თინათინი არის მზე და მზის შვენება 46ჯერ;

ნესტანი – 112ჯერ;

ავთანდილი – 51ჯერ;

ტარიელი – 35ჯერ;

ფრიდონი და სხვანი – 22ჯერ.

დედაკაცთა პირისა და სილამაზის დასახატავად მზე დასახელებულია 158ჯერ; ხოლო **მამაკაცთათვის** – 86ჯერ. 22 შემთხვევაში ხანდახან მამაკაცი და დედაკაცი ერთად იხსნიებიან.

შესაძლებელია ეს ანგარიში სწორი არაა, მაგრამ დიდი შეცთომა არ შეიძლება იყოს და მცირე შეცთომით კი სურათი არ შეიცვლება.

მაშასადამე: მზის შვენება და სილამაზე, მზის დიდება და დიდებულება ვეფხისტყაოსანში გამოყენებულია უმთავრესად დედაკაცთათვის, მაშინ როცა ფირდაუსის შაჰნამეში იგი უმთავრესად მამაკაცთათვის არის გამოყენებული. ვეფხისტყაოსანში მზე არის უმთავრესად დედაკაცის გამოსახულება. ხოლო შაჰნამეში კი – მთვარე.

მხედველობიდან ვერ დავკარგავ იმ მოვლენას, რომ შაჰნამეში 60.000 დისტიხონი, ანუ 120.000 სტრიქონია, ხოლო ვეფხისტყაოსანში კი – 6676. ამგვარად, შაჰნამეში დაახლოებით თითოულ 822 სტრიქონში მზე ერთჯერ არის გამოყენებული ადამიანის სილამაზის დასახატად და ვეფხისტყაოსანში კი – დაახლოებით თითოულ 25 სტრიქონში.

მაშასადამე: მზის შვენება და სილამაზე, მზის დიდება და დიდბულება კაცის სილამაზის საჩვენებელად ვეფხისტყაოსანში ნახმარია თითქმის 33ჯერ უფრო ხშირად ვიდრე ეს არის ფირდაუსის შეჰნამეში.

***

ვისრამიანი შაჰნამეს მომდევნო თხუზულებაა; აქ მზეს პირველი ადგილი უჭირავს.

ვისრამიანში სილამაზისა დასახატად მზე გამოყენებულია 136ჯერ, მაშინ როცა მთვარე ამავე მიზნით ნახმარია – 99ჯერ. კერძოდ: მზე არის დედაკაცი 101ჯერ, ხოლო მამაკაცი კი – 35ჯერ (იხილეთ წინ). ოღონდ ამასთანავე დედაკაცნი უფრო ხშირად მთვარედ ისახებიან – 73ჯერ ვიდრე მამაკაცნი – 26ჯერ.

ამგვარად: თუმცა ვისრამიანი ვეფხისტყაოსანთან შედარებით ამ დარგში უფრო ღარიბია, მაინც ამ თუხუზულებას მზის ბატონობა ახასიათებს.

იმავე მოვლნას, როგორც შაჰნამეში, ჩვენ ვხედავთ ნიზამის პოემებშიც: იქ მთვარეს პირველი ადგილი უჭირავს, ხოლო მზეს კი – მეორე.

დასკვნა

როგორც უკვე გავიცანით, მზესთან და მთვარესთან პოეტური შედარება აღმოსავლეთის მწერლობაში გავრცელებული ყოფილა, – ამგვარადვე ესპანურ-არაბულ მწერლობაში.

ისიც ვნახეთ, თუ რაოდენ ძლიერად და ფართოდ არის მზე გამოყენებული ქართულ საერო და ქრისტიანულ მწერლობაში და ამგვარად, მზეს დიდად ღირსეული ადგილი უჭირავს საერთოდ ქართველი კაცის პოეტურ შემეცნებაში. მაშინდელი დასავლეთი ევროპის მწერლობა მხოლოდ ტაატით მიდიოდა და ამას ჯერ კიდევ გაქანების უნარი არა ჰქონდა. ამიტომ მზეს იქ სათანადოდ მნიშვნელოვანი ადგილი არ დაუკავებია.

ამნაირად: ვერც ერთი პოეტური თხუზულება ვერცერთი ქვეანისა ვეფხისტყაოსანის მზიურ პოეზიას ვერ მიუდგება მას ვერ შეეტოლება.

ვეფხისტყაოსანი მზიური პოემაა და მზიური შვენებით აღსავსე.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

რვეული მეშვიდე

მზის საზოგადოებრივი მნიშვნელობა

კარი პირველი

მზის ზრდილობითი მნიშვნელობა

1. მზე – არაბეთში
2. მზე – ინდოეთში
3. მზე – ეგვიპტეში
4. მზე – მულღაზანზარში
5. მზე – გულანშაროში

ვეფხისტყაოსანის გმირები ერთმანეთს სახელს არ ეძახიან. ეს სავალდებულო წესია, გაბატონებული ვეფხისტყაოსანის უმაღლეს საზოგადოებაში, და ამგვარად, იგი მისი ზრდილობის გამოსახვაა. ესაა საკარისკაცო ზნეობა და ეტიკეტი, ყოფაქცევის წესი.

ვტნში გმირები ერთმანეთს არ ეტყვიან და არ მიმართავენ სახელით: თინათინ! ნესტან! ავთანდილ! ტარიელ და სხვა. არამედ მიმართავენ წოდებითი სიტყვით – მზეო! (ან ლომო!). როდესაც რომელიმე მათგანი მესამე პირის შესახებ ლაპარაკობს, მას იგი სახელით არ იხსენიებს. სახელის ნაცვლად ხმაროობს სიტყვას – მზეო! (ან: ლომო!).

ამგვარი ეტიკეტით, ამნაირი თავაზიანობით ვტნში დაცულია სავსებით საზოგადოებრივ ფენათა სრული განსხვავება. მზე ვეფხისტყაოსანში არისტოკრატულია და არისტოკრატული ზნეობის, ყოფაქცევის და სიტყვა-პასუხის სავალდებულო თქმაა.

1. მზე – არაბეთში

თინათინთან საუბრის დროს მას ავთანდილი სახელს არ უწოდებს და არ ეუბნება: თინათინ! იგი მას მიმართავს სიტყვით: მზე! –

მოახსენა ყმამან: „მზეო, ვინ გიშერი აწამწამე (134).

ანუ: მზეო, რომელს გიშერი (შავი) წამწამებად გაგიხდიაო.

კვლაცა ჰკადრა: „აჰა, მზეო, რათგან ღმერთმან მზედ დაგბადა (135).

თქვა: „მზეო, ვარდსა სიშორე შენი დამაჩნდეს ეს ადრე (139).

მაგრა, მზეო, თავი მზესა ჩემთვის სრულად დააგვანე (709).

მგზავრობაში ავთანდილი თინათინს იგონებს:

იტყვის თუ: ბნელი რას მიკვირს, რათგან დამაგდე მზეო, და! (954).

შემდეგ, ავთანდილი ფრიდონს სწერს –

ლომისა მსგავსო ძალდგულად, მზეო, შუქ მოიეფეო! (1318).

ავთანდილს როსტევანი ეუბნება თავისი ასულის, თინათინის შესახებ, ჩქარა წამოდიო –

... შეგყრი, ლომო, მზესა... (1532).

და ავთანდილს ერგო მზე–თინათინი და ხელმწიფობაც –

იგი მზე და ხელმწიფობა ასრე მიჰხვდა ვითა ღირსა (1533).

ხოლო ავთანდილი როსტევანს ეტყვის, ჩქარა ნახეო ნესტანი –

რად არ გინდა ნახვა მზისა, ანუ რად ღა აგვიანებ? (1534).

როსტევანი როდესაც ნესტას იხილავს –

ეტყვის: „მზეო, ვითა გაქო, ნათელო და დარიანო (1537).

თინათინი სწუხს ნესტანთან დაშორებისა გამო და ნესტანს –

თინათინ უთხრა: „ჰე, მზეო, შენთა მჭვრეტელთა ლხინებო! (1572).

როგორც ვხედავთ, ვეტნის არაბეთის საზოგადოების ზრდილობის გამომხატველი მიმართვა არის სიტყვა მზეო!

2. მზე – ინდოეთიში

ტარიელმა ნესტანს ასმათის პირით –

ასე ჰკადრე: „რათგან მზეო, ჩემთვის ნათლად აღმოხდები (382).

და მერმე ტარიელმა ნესტანს –

მივუწერე: „მზეო, შუქი შენი, შენგან მონაფენი (503).

და შემდეგ მასვე ეუბნება –

ვჰკადრე თუ: „მზეო, დაგიწვავ, ჩემიცა დაწვი მზე ბარე! (530).

კვლაცა ვჰკადრე: „მე თუ, მზეო, შეთვის ფიცი გამეტეხოს (532).

თავისი თავის შესახებ ტარიელი იგონებს და ამბობს, თუ მას როგორ ადიდებდნენ –

შემასხმიდიან ქებასა: მზეო, შენ ჩვენთვის იდარი! (612).

ტარიელი ავთანდილს ეუბნება, როგორ უნდა წამომყვე ინდოეთს –

ახლად შეყრილსა მთვარესა, მზეო, ვით მოეშორები? (1564).

ვეტნის ინდოეთის საზოგადრებაშიც ზრდილობითი მიმართვა არის – მზეო!

3. მზე – ეგვიპტეში

ეგვიპტელნი ვაჭარნი, რომელთაც ავთანდილი ზღვის პირას შეხვდა, მას მოწიწებით მიმართავენ –

ლომო და მზეო...(1304).

ინდოეთიდან წამოსულნი ვაჭარნი, რომელნი იქ მისრეთიდან (ეგვიპტიდან) იყვნენ მისულნი, ტარიელს ეუბნებიან –

მზეო, თქვენ შუქნი მიჰფინეთ, ჰაი, რა ავი დარია (1595).

ინდოთა ლაშქარი გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება და შენ მზეო, მას შუქი მოჰფინე, გაათბე, გამოაცოცხლე, მოეხმარეო.

ეგვიპტელნი ვაჭარნიც ზრდილობის სავალდებულო წესს ასრულებენ.

4. მზე – მულღაზანზარში

ფრიდონი ტარიელს იგონებს და ამბობს –

ხმელთა მზეო, სამყაროსა მზისა ეტლთა გარდამსმელო! (1007).

ფრიდონი, თუმცა მესამე პირზე ლაპარაკობს, მას მაინც არა სახელით, არამედ „მზით“ იხსენიებს. – მზე ხმელთა, რომელს შეუძლია ცაში ეტლთ გზა შეუცვალოს.

ავთანდილი ეკითხება ფრიდონს ნესტანის შესახებ –

სადა გინახავს იგი მზე... (1016).

ავთანდილის წასვლისას მულღაზანზარის მცხოვრებნი –

იტყოდეს: „მზესა მოვშორდით... (1021).

ფრიდონი და ავთანდილ მივიდნენ ზღვასთან, სადაც პირველმა ნესტანი დაინახა –

... ნასაჯდომევსა მზისასა (1022).

და ფრიდონი ამბობს, ნესტანიო –

... მზე მოიყვანეს ნავითა (1023).

5. მზე – გულანშაროში

შეყვარებული ფატმანი ავთანდილს ასე მიმართავს –

ჰე, მზეო, ღმერთსა ვინადგან მზედ სწადდი დასაბადებლად (1085).

ფატმანმა ნესტანს –

ვჰკადრე: „მითხარ, ვინ ხარ მზეო, ანუ შვილი ვისთა ტომთა (1139).

ფატმანმა და უსენმა ნესტანს –

ვჰკადრეთ: „მზეო, სახმილი გვედების შენგან ალისა (1175).

უსენი მეფეს სურხავს ასე მიმართავს –

ზეცით შუქთა მომფენელო, მარჩენალო არსთა, მზეო (1168).

ფატმანი ნესტანს –

ვჰკადრე: „მზეო, ბედმან შავმან ვით მიმუხთლა, ჰხედავ რულად (1174).

ანუ: რა ნაირად (რულად) მიღალატა (მიმუხთლა) ბედმა, ამას ხედავო?

ოდეს ნესტანი მელიქის სასახლეში მიიყვანეს, მეფე სურხავმა მას –

გაკრთომით უთხრა: „ჰე, მზეო, აქა ვით მოიგვარები?! (1179).

ნესტანს ციხეში –

ფატმან სწერს: „აჰა, მნათობო, სოფლისა მზეო ზენაო (1270).

როდესაც ავთანდილი გულანშაროს სტოვებს, ფატმან, უსენ და მონანი –

იტყვიან: „მზე, რა გვიყავ, დაგვწვენ ცეცხლითა მწველითა (13 26).

ამგვარად: ვეხისტყაოსანის ქვეყნებში საზოგადოების ზნეობის სავალდებულო წესი ურთიერთ მიმართვაში არის მოხსენება და მიმართვა სიტყვით „მზეო!“. მზე არის ვტნის მაღალი საზოგადოების ეტიკეტი, საკარისკაცო ყოფაქცევის სიმბოლო, სავალდებულო სიტყვა-პასუხი მიმართვით საუბარში.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მეორე

მზე სიმართლისა

1. მზე სიმართლისა ძველ მსოფლიოში
2. მზე სიმართლისა ქრისტიანობაში
3. მზე სიმართლისა ვტნში
4. მზე – საფიცარი

1. მზე სიმართლისა ძველ მსოფლიოში

თავიდანვე მზეს დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა მიენიჭა და იგი ყველგან სამართლიანობის დამადგნელად და მართალის მბრჭობელად ითვლებოდა.

ბაბილონურ-ქალდეურ რწმენაში მზე იყო მართალი და მართალის გადამწყვეტელი, და ამიტომ, მზესთან დაკავშირებით, მეფეც იყო სამართლიანი და მიუდომელი მოსამართლე. 24. გვერდი 294. იხილეთ წინ გვერდი 67.

ბაბილონში ურ დინასტიის მეფე ურ-ნამმუ თავის განაჩენს ასე იწყებს –

მზის მართალ კანონთა მიხედვით... მე გადავწყვიტე...

განთქმული ჰამმურაბი, პირველი უდიდესი სჯულმდებელი (2000 წელი ქრისტეს წინ) თავის კანონთა კრებულის შედგენისათვის მზეს შთაგონებას მიაწერს, და იმ სურათზე, რომელიც მის სჯულდებაშია, ეს დიდებული მეფე წარმოდგენილია ვითარცა მლოცველი სამართლიანობის გამომხატველი მზის წინაშე.

ეგვიპტეში მზე იყო მართალი; ღმერთი ამონ-რა – ღმერთი-მზე არსებითად იყო სამართლიანობის ღმერთი. განსჯისას ამონდრა მართალთ თავის მარჯვენა მხარეზე დააყენებს, ხოლო ბოროტთ საუკუნო ცეცხლში შთააგდებს, – როგორც ეს განმეორებულია აგრეთვე მათეს სახარების მე-25 თავში. 24. გვ. 295.

ეგვიპტურ ერთ საგალობელში ნათქვამია – პატივი და დიდება შენ, მზეო, უფალო ჭეშმარიტებისაო, უფალო ღმეთთა... შენ ხარ, რომელი მოისმენ ჩაგრულის ჩივილს... შენა გაქვს გული მათთვის, რომელნი მოგმართავენ შენ... შენ ხარ მოსამართლე ძლიერთა და სუსტთა. 202.

2. მზე სიმართლისა ქრისტიანობაში

ეს დებულება – მზე მართალი და ჭეშმარიტი – რომელი გავრცელებული იყო მზის თაყვანებასთან დაკავშირებით, უკვე ბიბლიის ძველ აღთქმაში არის შეტანილი, სადაც მზეს ეწოდება: „მზე სიმართლისა“.

მალაქია 4,2 და აღმოგიბრწყინდეს თქვენ მოშიშთა სახელისა ჩემისათა **მზე სიმართლისა** და კურთხევა ფრთეთა მისთა...

იგივე აზრი გამოთქმულია აგრეთვე წიგნში სიბრძნისა

სიბრძნისა 5,6 უკვე შევსცთით გზისაგან ჭეშმარიტებისა, და სიმართლისა ნათელი არა აღმოგვიბრწყინდა ჩვენ და მზე არა აღმოგვიელვარდა ჩვენ....

ეს შეხედულება „მზის სიმართლისა“ შესახებ გადაიტანეს და გავრცელდა, რასაკვირველა, საერთოდ მართალ და წმიდა კაცზე –

მათე 13,43 მაშინ მართალნი გამობრწყინდნენ ვითარცა მზე, სასუფეველსა მამისა მათისასა, რომელსა ასხენ ყურნი სმენად ისმინენ...

ქრისტიან წმიდა მამათა მიერ იესო ქრისტე გამოცხადებულ იქნა „მზედ სიმართლისა“ (სოლ იუსტიციაე) და „მხსნელ მზედ“ (სოლ სალუტის); ამასთანავე ქრისტე გამოაცხადეს „გონებად“, (ნუს) და „სიტყვად“ (ლოგოს). 203.

ეს თქმა „მზე სიმართლისა“ ხშირად გვხვდება აგრეთვე წირვის წიგნებშიც –

წმიდა ღმრთისმშობლის ტროპარში (8 სექტემბერს) ნათქვამია –

შენგან გამობრწყინდა მზე სიმართლისა ქრისტე უფალი ჩვენი...

იესო ქრისტე შობის ტროპარში (25 დეკემბერს) ნათქვამია –

შენ გცემენ თაყვანს მზეს სიმართლისას...

იესო ქრისტეს ტაძრად მიყვანების ტროპარში (2 თებერვალს) ნათქვამია –

გიხაროდეს მიმადლებულო ქალწულო, შეგან გამობრწყინდა მზე სიმართლისა, ქრისტე უფალი ჩვენი...

აღდგომის კვირის წირვაში (გალობა 5: ირმოსი) –

და ვიხილავთ ქრისტესა მზესა სიმართლისა...

და კიდევ –

მოიყვანე ქვეყნად დიდებული მზე სიმართლისა...

***

მზე ვითარცა სიმართლისა და სამართლიანობის გამოხატულება ცნობილია აგრეთვე ქართულ ქრისტიანულ მწერლობაში; მაგალითად:

ნინოჲს საგალობელში (მეცხრე-მეათე საუკუნე) –

რომელმან ნისლი უღმრთოებისაჲ განაქარვა, და მზე იგი სიმართლისაჲ გამობრწყინდა ჩუენი 182. გვ. 683.

გრიგოლ ხანძთელის იამბიკოში – მზე სიმართლისა, მნათობის შორის ორთა მათ ცხოველთასა, აღმაღლდა სულიერსა (იქვე, გვ. 078).

იოანე მინჩხის საგალობელში (10 საუკ.) –

აღმობრწყინდა მზე სიმართლისაჲ

და განანათლა

კიდენი ქვეყანისანი

აღდგომისა მისისა მადლით... 177. გვ. 330.

მიქელ მოდრეკილის (10საუკ.). საგალობელში –

გამობრწყინდა დღეს თვით მნათობი,

ნათელი, შეუხებლი ქრისტე,

მზე სიმართლისა (იქვე, გვ. 338).

ჰაბოს მარტვილობაში (10 საუკუნე) –

ქრისტეს „მზე სიმართლისა ეწოდა, რამეთუ თქუა წინაჲწარმეტყველმან: „და გამობრწყინდეს თქუენ, მოშიშთა სახელისა მისისათა, მზე იგი სიმართლისაჲ“...

ნიკოლოზ გულამბერიძის (გარდაიცვალა 1190 წელს) სვეტისცხოველის საკითხავში – ვითარცა თვით იწოდების აღმოსავალი მზისა სიმართლისა 204.

ჯვარცმის მეტაფრასტაში – და მზე იგი სიმართლისა დგას წინაშე განსაკითხველად...

ეს შეხედულება – ქრისტე მზე სიმართლისა – ფრიად გავრცელდა მწერლობაში და ამ გამოთქმამ შინაარსით ერთმა, გამოთქმით სხვა, მრავალი მნიშვნელობა მიიღო. ჯერ კიდევ მათეს სახარბაში იყო ნათქვამი –

მათე 5,45 რათა იყვნეთ თქვენ შვილ მამისა თქვენისა ზეცათასა, რამეთუ მზე მისი აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა, და ჰსწვიმს მართალთა ზედა და ცრუთა...

მზე სიმართლისა არის სამართლიანი მზე, რადგან: მზე ყველასათვის ერთია; მზე ყველას თანაბრად უნათებს; მზე ყველასათვის უხვია; მზე ყველას და ყოველივეს მოეფინება და სხვა. და ეს თქმანი არამც თუ მარტო სასულიერო მწერლობაში დამკვიდრდნენ, არამედ საერო და საისტორიო მწერლობაშიც დაბუდებულ არიან, როგორც მაგალითად „ქართლის ცხოვრება“-ში:

ქვეყანას მას ქართლისასა მოეფინა მზე სიმართლისა...

დავით აღმაშენებელმა „მზეებრ მიჰფინა წყალობა ყოველთა ზედა მკვიდრთა ქვეყანისათა“. თამარ მეფე „თვით მზე, მზეთა შვენებითა და მომფენაობითაცა... ცოდვილთა და მართალთა ზედა“...

თამარ „მზეებრ უხვ იყო“...

თამარ მეფე „ვითარცა მზე სწორპატიობით ყოველთა ზედა განუტეობდა ნათელთა თვისთა შარავანდედთასა“...

მზე თანასწორობისა, მზე მოწყალება-სამართლიანობისა, მზე სიუხვისა. მზე მომფენელი და მიმფენელი, მზე მართალი – ყველა ეს თქმა და ყველა ამგვარი გამოთქმა წარმოშობილია ცნებისაგან: „მზე სიმართლისა“.

***

ამავე დებულებას მზის თანასწორობისა და მოწყალება-სამართლიაობის შესახებ გამოთქვამს ფირდაუსი თავის შაჰნამეში –

მეფე ნუშრივანის გონიერება იყო ვითარცა მზე, რომელიც მშრალსა და სოველს ანათებს და არავის თავის სინათლეზე უარს არ ეუბნება, ოდეს იგი ციდან ღრუბელთ გაჰფანტავს; რომლისათვისაც სულერთნი არიან მტვერნი და სილანი, ფერნი და სურნელებანი, შვენიერნი ნიშანწყალის მარგალიტნი და წყარონი; რომელიც თავის ბრწყივალებას არავის არ უმალავს; რომელიც ყოველ გულს ხიბლავს და თავის სიკეთესა ჰფენს; მეფეთა მეფემ

(ნუშირვანმა) ისესხა მისგან (მზისაგან) თავისი სიდიადე და დიდებულება, და მან დაჰფარა ქვეყანა თავისი ფრთებით-ო. 205.

საკვირველი იქნებოდა ვეფხში, რომელი მზით არის სავსე, შემამკობელ სამართალზე სიტყვა არ ყოფილიყო.

3. მზე სიმართლისა ვეფხში

ვაზირნი მეფე როსტევანს თინათინის შესახებ აჯერებენ –

არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია,

შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია (39).

ანუ: პირში არ მოგეფერებით (არ გათნევთ), უთქვენოდ კვლავ, ბევრჯერ გვითქვამსო, ვითარცა მზე-თინათინის შუქნი, ისე მისი „საქმეც“, ანუ სამეფო გამგეობა და მეფური მოღვაწეობა მისი მზესავით განცხადებულია. მზესავით აშკარაა, სწორი და მართალი არისო. ამიტომ ვაზირნი როსტევანს ურჩევენ შენი ასული ტახტზე დასვიო. და მეფედ დასმის განცხადებაში მეფე როსტევანი თავისი ასულის შესახებ ამბობს –

მან განანათლნეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან (43).

მზე-თინათინი აქ არის მართალი და სამართლიანი მზე, რომელი ყოველს ანათებს თანასწორად, განურჩეველად, დიდსა და პატარას...

ტახტზე აყვანის დროს თინათინი –

ქალი მზებრ უჭვრეტს ყოველთა ცნობითა ზე-მხედველითა (45).

მზე არის მართალი და ვითარცა მართალი და სამართლიანი, იგი არის ბრძენი. თინათინი ვითარცა მზე, ისე უჭვრეტს ყოველთა თავისი ცნობით ზედმხედველითა, ანუ გამჭრიახი სიბრძნითო.

მეფე როსტევანი ყრმა-მეფეს თინათინს ჭკუას არიგებს –

ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,

დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების...

უხვად გასცემდი... (49).

მზე ვითარცა მართალი სამართლიანად ჰფენს თავის შუქს სურნელოვან ვარდსა და მყრალ ბალახს „ნეხვას“; ამგვარადვე მზესავით უნდა იქცეოდეს მეფე; იგი ყველას: დიდსაც და პატარასაც თანასწორად უნდა წყალობდეს; მზესავით არც მეფეს უნდა მოეწყინებოდეს წყალობის მინიჭება, უხვად გაცემა...

ამგვარსავე შეხედულებას გამოთქვამს ავთანდილი სახელმწიფო მართვის შესახებ თავის წერილში, რომლითაც იგი თავის ხელქვეითთ მიმართავს, ჩემს მაგიერ დატოვებული შერმადინი თქვენო –

ყოველთა მზეებრ მოგეფინოს, ვარდს არ ზრვიდეს, არ აჭნობდეს (168).

ანუ: ისე ვით მზე ეფინება, ვარდს არ ჰყინავს, არ აჭკნობს, – შერმადინიც მსგავსად მზისა მოგეპყრობათ თქვენო, სამართლიანად და თანასწორადო.

თინათინი სწუხს ავთანდილის გამგზავრების გამო და ამაზე ავთანდილი უპასუხებს –

მაგრა მზეო, თავი მზესა ჩემთვის სრულად დააგვანე,

სიცოცხლისა საიმედო ნიშანი რა წამატანე (709).

ანუ: მზე – თინათინ! შენი თავი სრულად, სავსებით მზეს დაამსგავსე; იყავ უხვი როგორც მზე და სიცოცხლის ნიშანი გამატანეო (იხილეთ ჩემი „ვტნის ვარსკვლავთმეტყველება“, გვ. 128).

თინათინი უნდა იყოს მწყალობელი და უხვი ვითარცა მზე.

მზე სიმართლისა მოსჩანს კიდევ, როდესაც ავთანდილი –

მზესა ეტყვის: „მზეო, გიტყვი თინათინის ღაწვთა დარად,

შენ მას ჰგავ და იგი შენ გგავს, თქვენ ანათებთ მთა და ბარად (955).

ანუ: თქვენ ორივე უხვი ხართ, ორივე სამართლიანი, ვინაიდან მთასა და ბარსაც ერთნაირად ანათებთო! და ამიტომ ამ სამართლიან მზეს იგი ერთჯერ საყვედურითაც კი მიმართავს –

მაგრა ჩემი რად დააგდე გული ცივად, გაუმთბარად ?! (955).

როდესაც ავთანდილი გულაშაროს მივიდა ვით ვაჭართა ხელმძღვანელი, იგი ფატმანის მებაღეს ეკითხება, თუ ბაზარზე როგორია ლართა ფასიო. ამაზე მებაღემ მას –

ჰკადრა: „ვხედავ პირსა თქვენსა, მზისა დარად მემეცნების,

რაცა ვიცი, მართლად გკადრებ, მრუდი არა არ გემცნების (1064).

მებაღესათვის ავთანდილი არის მზის დარი. ვით მზის წინაშე არ შეიძლება ტყუილის თქმა, ისე არც ავთანდილ-მზის წინაშეც არ შეიძლება მრუდი ცნობის მოხსენება. გულანშაროელი მებაღესათვის მზე არის მართალი, სამართლიანობის მოწამე და მფარველი.

უსენიც იზიარებს მზის შესახებ სამართლიანობისა და უხვობის აზრს და სურხავს –

თაყვანი სცა უსენ, ჰკადრა: „ჰე, მაღალო ხელმწიფო,

ზეცით შუქთა მომფენელო, მარჩენალო არსთა, მზეო! (1168).

აქ მზე არის მელიქ-სურხავი, მაღალი ხელმწიფე. ზეციდან შუქთა მფენი, არსთა, არსებათა მარჩენალი, მასაზრდოებელი და დამცველი მზე! ყველასათვის თანასწორი და უხვი.

ქაჯეთის მოლაშქრეთათვის ბუნებრივი შეკითხვაა, რომლით ისინი ნესტანს მიმართავენ –

კვლა ვჰკითხეთ: „გვითხარ მართალი საქმე შენ მზებრ ნათელისა (1230).

და მოელიან, ეს მზებრ ნათელი ნესტანი ვით მართალი მზე მართალ საქმეს იტყვისო. აი, სწორედ ამის საპასუხოდ, რადგან ნესტან-მზეს, ვითარცა მზეს ტყუილის თქმა არ შეეძლო მათთვის ამ შეკითხვის შემდეგ –

მან არა გვითხრა, გაუშვა წყარო ცრემლისა ცხელისა (1230).

ფრიდონი რომ უხვია ვით მზე, ამას ავთანდილი სწერს –

ლომისა მსგავსო ძალდგულად, მზეო, შუქ მოიეფეო (1318).

ავთანდილი არის შუქ-მოიეფე, ანუ შუქ მრავალი, უხვი.

როდესაც გამარჯვებულნი გმირნი დაბრუნდნენ, მათ გაიხსენეს ქაჯეთში დახოცილნი თანამებრძოლნი და ატირდნენ –

რაცა ვისცა დაჰკლებოდა, მათ ტირილით, სულ-თქმით ახეს;

დადუმდეს და მოახსენეს: „რათგან ბრძენთა მზეებრ გსახეს,

თქვენთა მჭვრეტთა მღერა ჰმართებს, რასამთვისმცა ივაგლახეს (1457).

რადგან მიჰხვდა დაკარგული ლომი მზესა წახდომილსა,

აღარა ვტირთ სატირალსა, აღარ დავსდებთ თვალთა მილსა (1459).

ბრძენთა მიერ ტარიელი არის ვითარცა მზე: გლოვის მიუხედავად, რადგან მტირალნი ტარიელ-მზეს ხედავენ, გლოვას მღერაზე სცვლიან: რადან სამართალმა გაიმარჯვა და დაკარგული ლომი დაკარგულ ნესტან-მზეს შეხვდა, ამიტომ ტირილი ზედმეტიაო. სამართლიანია ჩვენ აღარ ვიგლოვოთო.

როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილ შემთხვევებში მზე დახატულია ვითარცა მზე სიმართლისა, ვით მზე სამართლიანობისა და უხვობისა, თანასწორობისა.

4. მზე – საფიცარი

როგორც მზის თავგადასავალიდან ვიცით (იხილეთ წინ) – მზე დიდი ხნის განმავლობაში უხსოვარი დროიდან, მრავალ მხარეში, სხვა და სხვა სახელითა და სხვა და სხვა წირვითი წესით, ერთდერთ ღმერთად ითვლებოდა. მზე იყო ვით ღმერთი სამართლიანობისა და სამართალისა მიუდგომელი გამომსახველი, ყოვლის მხედი, ყოვლთა მხილველი და გამხილველი, უსამართლობის დამსჯელი. მზე იყო ის არსება, რომლის წინაშე კაცი ფიცს წარმოთქვამდა და თავის სიტყვას ამით სამართალის ბეჭედს აკრავდა. მზის წინაშე ფიცი იყო წმიდა, დაურღვეველი, გაუტეხელი და ეს ფიცი სავალდებულოც იყო.

მზეზე ფიცის თქმა საქართველოში დღესაც არის გავრცელებული, ოღონდ მას წმიდა ხასიათი, ანუ საკრალური ბუნება დაკარგული აქვს.

ძველი დროის ქართველთა შორის მზის თაყვანების არსებობას დღემდე დარჩენილი ფიციც მჭერმეტყველურად ადასტურებს. მზეზე დაფიცების

სიტყვა მზის თაყვანისმცემლობის გადმონაშთია. გამოთქმანი: „ჩემმა მზემ“, „შენმა მზემ“, „მისმა მზემ“, - ძველი მზიური რელიგიის გამომჟღავნებაა და სწორედ ასეთ ნაშთთან გვაქვს საქმე ვეფხისტყაოსანშიც.

***

როსტევან მეფეს მისი ვაზირი სოგრატი და სპასპეტი ავთანდილი ეხუმრებიან და თან თხოვენ, არ გეწყინოსო, რაზედაც მეფე უარყოფითად უპასუხებს და –

ფიცა მზე თინათინისა, მის მზისა მოწუნარისა (66).

ნესტანი თავის სატრფო ტარიელს ეფიცება –

შენმან მზემან, თავი ჩემი არვის მართებს უშენოსა (494).

ხოლო ტარიელი თავის მხრივ ფიცულობს –

ცამცა მრისხავს, მზისა შუქნი ყოლა ჩემთვის ნუ შუქნია (531).

ოდეს ტარიელი ფარსადანს გადუდგება, მას უთვლის, ინდოეთი ჩემია, თქვენი ქალი ნესტანი არ მინდაო –

მე თქვენმან მზემან მაშოროს ნდომა თქვენისა ქალისა (563).

ავთანდილი თინათინს ეუბნება, დავპირდი ტარიელს და დროა წავიდეო –

მზე შემიფიცავს თავისა, ჩემგან მზედ სახედავისა (702).

ფატმანი ავთანდილს მოუთხრობს ნესტანის დამალვის შესახებ –

სურვილმან და მზემან მისმან, ძლივ დავმალე მისი შუქი (1143).

ნესტანი ტარიელს მიუწერს –

შენმან მზემან, აქანამდის შენ ცოცხალი არ მეგონე (1296).

და მას ეფიცება –

შენმან მზემან, უშენოსა არვის მიჰხვდეს მთვარე შენი (1303).

შენმან მზემან ვერვის მიჰხვდეს, მოცავიდენ სამნი მზენი (890234).

რასაკვირველია, ვტნში მზეზე დაფიცება უკვე რელიგიურ წესს აღარ გამოხატავს, და მხოლოდ დარჩენილ ჩვეულებაზე მიგვითითებს.

მზე ვით საფიცარი ხშირად არის გამოყენებული ამირანდარეჯანიანში და ვისრამიანში, როგორც მაგალითად –

მიბრძანე შენსა მზესა; ჩემსა მზესა; სეფე დავლეს მზესა ფიცვიდეს; ნუ სწყრები ჩემსა მზესა; თავმან შენმან და მზემან ღვთისამან; შენმან კეთილმან მზემან; შენ მზეზე დავიფიცავ; ვფიცავ შენსა მზესა და სხვა.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მესამე

მზის ასტროლოგიური მნიშვნელობა

1. მზე – თანამგრძნობელი

2. მზე შვიდთა მნათობთადმი გალობაში

დასკვნა

3. ნავროზობა

1. მზე – თანამგრძნობელი

ასტროლოგიის ძირითად საფუძველს ის დებულება წარმოადგენს, რომ მთელი მსოფლიო, მთელი ქვეყნიერება ერთი მთლიანობაა, ერთი შეთანხმებულება და ერთი მწყობრია, დიდი ჰარმონია არის. მთელი მსოფლიო ერთი უუზარმაზარი, ვეებერთელა სხეულია, რომლის ნაწილები ერთი მეორეს თავის მოლეკულებს, ანუ მაგნეტიურ ფლუიდებს (თხევადს) ერთმანეთს უცვლის. მნათობნი და საერთოდ ვარსკვლავნი, ამოუწურავნი და შეუწყვეტელნი ენერგიის წარმომშობნი, მუდმივ და მარად თავის გავლენას დედამიწაზე და ადამიანზე ახდენენ. თვით ადამიანი არის კოსმოსში, ანუ მსოფლიოში, დიდ კოსმოსში პატარა, პაწია კოსმოსი, ანუ მიკროკოსმოსი, რომლის თითოული ელემენტი ვარსკვლავიანი ცის რომელიმე ნაწილს შეესიტყვება, შეეფერება. ესაა აზრი სიმპატიისა, თანაგრძნობისა, რომელიც თავისი წარმოშობით ძველთა ძველია. 206.

ამ ასტროლოგიურ სწავლას ჩვენ ვეფხისტყაოსანში ვხვდებით და ამ სწავლით იოლი გასაგები ხდება ის მოვლენა, თუ ავთანდილის, ან ტარიელის დაბნელებით მზე რატომ უნდა დაბნელდეს; თუ მეფე როსტევანის ან სხვა გმირთა დაღრეჯით, ანუ შეწუხებით, მზე რატომ უნდა დაიღრიჯოს და შეწუხდეს; ავთანდილის წასვლით მზე რატომ უნდა წავიდეს; ნესტანის დაკარგვით მზე რატომ უნდა დაიკარგოს... და პირიქით, მათი მხიარულობით ნათელი რატომ უნდა ეფინებოდეს და მზე რატომ უნდა ლხინობდეს და განცხრებოდეს... ესაა თანაგრძნობა, სიმპატია მზესა და კაცს შორის, კაცსა და მზის შორის.

***

მულღანზანზარის ქალაქში ტარიელს ეგებებიან და –

შემასხმიდიან ქებასა: „მზეო, შენ ჩვენთვის იდარი! (612).

ფრიდონმა ზღვის პირას შორიდან ნესტანი კიდობანში იხილა და მოისურვა ნავის დაკავება, გარნა მას გაუსწრეს და –

ზღვის პირსა მიველ, შევხედენ, ჩნდა ოდენ მზისა ტიალსა (628).

მზის ტიალი არის ჩამავალი მზის უკანასკნელი შუქი; ნესტანის წასვლით მზეც წავიდა. ავთანდილი ვაზირს ეხვეწება, მიშუამდგომლე მეფესთან, რათა მან გაუშვას ტარიელთანო, რაზედაც ვაზირი უპასუხებს –

რად გაგიშვან, რად მოსტყუვდენ, ანუ მზესა რად მოშორდენ (745).

ავთანდილის წასვლა არის მზის წასვლა.

ავთანდილის გაპარვის გამო მეფე ჯავრობს –

მეფემან ჰკითხა: „წასულა მზე დადგრომლად, მთვარულად? (820),

მზე აღარ მზეობს ჩვენთანა. დარი არ დარობს დარულად (820).

თქვეს: „ბნელი გვართებს დღე-კრულთა,

რათგან მზე მიგვიდრკა ცისა“ (825).

და მეფემ დიდებულთ –

უთხრა: „ხედავთ, მზემან ჩვენმან შუქნი სრულად დაგვიძვირნა! (826).

როცა ავთანდილი მულღაზანზარს სტოვებს, მოქალაქენი –

იტყოდეს: „მზესა მოვშორდით, მო, თვალნი მივსცნეთ წუხილსა (1021).

ნესტანის გადაკარგვის შემდეგ სურხავი ამბობს –

მზე მოგვეშორვა, მას აქათ ჩვენ ვართ სინათლე-კლებულნი (1203).

და –

ფატმანი იტყვის: „მომეშორვა მზე, მნათობი სრულად ხმელთა (1214).

ხოლო ნესტანის აღმოჩენის შემდეგ გახარებულნი ტარიელ და ავთანდილ შესძახიან სიხარულით –

მზე მოგვეახლა, მოგვეცა ჩვენ მოშორვება ჩრდილისა (1359).

მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვეთვის აღარა ბნელია (1361).

განშორებისას ტარიელს ეუბნებიან –

შენ მზე ხარო, შენი გაყრა არის დღისა შესაღამოდ (1515).

და როცა თინათინი ნესტანს შორდება, მას ეუბნება –

მზისა გამყრელი გაყრითა აწ ასრე არ დავდნებოდი,

ვითა მე შენთვის დამწვარვარ, აგრე შენ ჩემთვის ჰბნდებოდი (1571).

ყველგან აქ მზეს აქვს ორმაგი და ორაზროვანი მნიშვნელობა... აქ მზე სილამაზის აღმნიშვნელია და ამავე დროს თანაგრძნობის გამომსახველი, ან სამძიმარის გამოსახება, რადგანაც მზის წასვლით დანარჩენთათვის ბნელი ხდება.

***

ამგვარი მრავალმნიშვნელობა მზისა ვტნში ხშირია და მათი დაცალკევება ყოველთვის იოლი არაა. მაგრამ არის აქვე თანაგრძნობის და სიმპატიის პირდაპირი ურთიერთობაც, მზისა და კაცის განწყობილებათა იგივეობა და ერთობა. თინათინი ეუბნება მამას, როდესაც მას იგი დაღრეჯით, ანუ მოწყენით ხედავს –

თქვენნი აგრე დაღრეჯანი მნათობთაცა დაამხობდეს (107).

აქ საერთოდაა ნათქვამი – მეფის დაღრეჯა თვით მნათობთა დამხობას გამოიწვევსო.

ასმათი მომტირალსა და ვაებაში მყოფთ ტარიელსა და ავთანდილს ეუბნება –

თავთა ნუ დაჰხოცთ, ნუ ბნელ-იქმთ მზესა თქვენითა ბნელითა (283).

ანუ: თუ თქვენ თავი დაიხოცეთ, ბნლში, სიკვდილში ჩავარდით, მაშინ მზეც ბნელი გახდება, დაიღუპებაო.

ამით მზე დასახულია მეფეთა, ტარიელისა და ავთანდილის თანამგრძნობელად. მათი ტკივილი – მზის ტკივილია; მათი ბნელი – მზის ბნელად გახდომაა.

ტარიელი ოდეს მოწყენილი იჯდა, იგი ამით მოღრუბლული იყო და როგორც მოღრუბლული მზე შუქთ არ აფრქვევდა. –

ვითა მზე ჯდა მოღრუბლებით, დიდ ხან შუქნი არ ადარნა (398).

ტარიელი მოწყენილია; მზე – მოღრუბლულია.

ნესტანის დაკარგვა მზის დაკარგვაა; დავარმა ნესტანი გადაჰკარგა, ასეთი საშინელი რამ გაბედა და მზე ხმელეთს დაუკარგა –

მით შემართა საშინელი, მზე ხმელეთსა დაუკარგა (1585).

ხოლო როცა ტარიელიც დაიკარგა –

იგიცა წახდა, ინდოეთს გახდა მთვარე და მზე ბნელად (1586).

როცა ნესტანი მამასა სტირის და გლოვობს –

მზესა ღრუბელი ეფარვის ამად ნათელი დავსია (1590).

ტარიელიც გლოვობს ფარსადანს და მზეს ასე მიმართავს –

მზეო, რად ღა გაქვს სინათლე, რად ღა ანათობ თემთაო (1592).

მზე მოჰკვე ყოვლთა სულდგმულთა, სოფელი აღარ შენია (1593).

მაგრამ როდესაც ფარსადან მეფის სასახლეში დიდი მხიარულებაა ნესტანის დაბადების გამო, ლხინობენ არა მარტო მეფე, სასახლის ხალხი და სხვანიც, არამედ –

მზე და მთვარე განცხრებოდეს, სიხარულით ცა ნათობდა,

ყოვლი არსად შემოსული მხიარული თამაშობდა (323).

ანუ: მზე და მთვარე განცხრებოდა, ნებივრობდა, ლხინობდა; ცა სიხარულით ანათებდა; ყოველი არსებად ქმნილი მხიარულად თამაშობდა.

ეს შესანიშნავი დიდი პოეტური გაქანებისა და აღმაფრენის შედარებაა ლხინის აღსანიშნავად. მაგრამ მას საფუძველად უძევს ასტროლოგიური დებულება მნათობთა სიმპატიის შესახებ.

იგივე გამოთქმა სასულიერო მწერლობაშიაც იხმარებოდა და იგი აქვს გამოყენებული გიორგი ათონელს (1009 – 1065) თავის საგალობელში ქრისტეს შობაზე –

იხარებს ცაჲ და ქვეყანა განცხრების...

აღივსო დღეს ყოველი ბრწყინვალებითა...

ერთბაშად იშვებს ცაჲ და ქვეყანაჲ

საუფლოსა მას შობასა ქალწულისა...

ცათა და მნათობთა სიმპატია ჩნდება არა მარტო მხიარულებისა და ლხინის შემთხვევაში.

როგორც ეს უკვე ვნახეთ, არამედ გლოვისა და დაღრეჯის ამბავშიც.

როდესაც ავთანდილი ფრიდონისაკენ გაემგზავრა, ტარიელისა და მისი დაშორება დიდი ვაებით მოხდა –

გაიყარნეს ტირილით და პირსა ხოკით, თმათა გლეჯით...

იგი ნახნეს დაღრეჯილნი, მზე დაიღრეჯს მათი ღრეჯით (950).

რასაკვირველია, მზე აქ ტარიელისა და ავთანდილის მწუხარებაში მათი თანამგრძნობელია.

მეათე საუკუნის ქართველ სასულიერო მწერალს იოანე მინჩხს ქრისტეს სიკვდილზე ნათქვამი აქვს –

რა ჟამს დაეფალ

მაცხოვარ, გულსა ქვეყანისასა,

ცანი იგლოვდეს

და აღივსნეს მნათობნი მწუხარებითა...

ამგვარსავე მოვლენას ვხვდებით ქართულ საისტორიო თხუზულებაში: „ქართლის ცხოვრება“, სადაც ნათქვამია –

თამარ მეფის მამა გარდაიცვალა, იგი „მზეთა მზე“ და „შარავანდი ხელმწიფობისა“; ამ სიკვდილის ამბავი იყო „დამაბნელებელი მნათობთა“ და თამარი „პირი იგი ეთეროვანი და უკიმირო (უკიმირო – უსამკაულო ს. ს. ორბ.) ჰაერი და უბრუმო (ბრუმი – შავი ბინდი; უბრუმო – არა მრუმე – არა ნათელი. ს. ს. ორ.) ნათელი შეიზუდა ბნელთა“. როდესაც თამარ მეფე გარდაიცვალა, „აღესრულა მზე ქართლისა“ და „იგლოვდეს ცა და ყოველი სოფელი“...

ამგვარად, ეს ასტროლოგიური დებულება სიმპატიის შესახებ გამოყენებულია არა მარტო საერო მწერლობაში, ვეფხისტყაოსანში და საისტორიო მასალებში, არამედ სასულიერო მწერლობაშიც.

2. მზე შვიდთა მნათობთადმი გალობაში.

შვიდთა მნათობთადმი გალობა ავთანდილისა მზისადმი მიმართვით იწყება.

ავთანდილი ცასა შესტირის და შემდეგ შვიდ მნათობს მიმართავს თავისი აჯით, ვედრებით და ამ თავისი მიმართვისას იგი პირველად მზეს ეხვეწება.

მზის თვისება და ღირსება მრავალია. იგია მებრძოლი და მძლე სიბნელე-წყვდიადისა, მაცოცხლებელი ქვეყანისა, მზრდელი ცხოველთა და მცენარეთა და სხვა და სხვა.

მზე არის მეფე მნათობთა შორის; იგია ბატონი და მმართველი, რომელიც სხვა ვარსკვლავთა მსვლელობას განსაზღვრავს; მზე არის გული მსოფლიოსი, რომელიც თავისი სითბოთი და სინათლით უუზარმაზარ ქვეყანას აცოცხლებს; მზე არის გონება და მმართველი ქვეყნისა, მსოფლიოსი; და კაცთა ბედისა, მზე ბავშს სულს უდგამს; სული ისევ მზეს უბრუნდება და სხვა. ეს ასტროლოგიური სწავლა რელიგიებში და ფილოსოფიაში დასადგურდა. 45.

როგორც ვთქვი, ავთანდილი პირველად მზეს მიმართავს. რატომ? რა მიზეზისა გამო?

როგორია საერთოდ მნათობთა რიგი? რომელი რიგი მნათობთა არის წარმოდგენილი ვეფხისტყაოსანში?

***

როგორ წარმოედგინათ ძველად მნათობთა განლაგება ზემო მსოფლიოში? –

მნათობთა რიგი და განლაგება შემდეგი იყო:

ბაბილონური პირველი სია	მეორე სია
1. მთვარე	1. მთვარე
2. მზე	2. მზე

3 იუპიტერ
4. ვენუს
5. სატურნუს
6. მერკურიუს
7. მარს

3. მერკურიუს
4. ვენუს
5. მარს
6. იუპიტერ
7. სატურნუს

ქალდეველ-ასირიელთა

1. მთვარე
2. მზე
3. იუპიტერ
4. ვენუს
5. სატურნუს
6. მარს
7. მერკურიუს

პითაგორასის სია

1. მთვარე
2. მზე
3. მერკურიუს
4. ვენუს
5. მარს
6. იუპიტერ
7. სატურნუს

პლატონ-არისტოტელისა

1. მთვარე
2. მზე
3. ვენუს
4. მერკურიუს
5. მარს
6. იუპიტერ
7. სატურნუს

ინდური სია

1. მზე
2. მარს
3. იუპიტერ
4. მერკურიუს
5. ვენუს
6. სატურნუს
7. მთვარე

თალმუდის სია

1. მზე
2. ვენუს
3. მერკურიუს
4. მთვარე
5. სატურნუს
6. იუპიტერ
7. მარს

პტოლემაიოსის სია

1. მთვარე
2. მერკურიუს
3. ვენუს
4. მზე
5. მარს
6. იუპიტერ
7. სატურნუს

არაბული სია	სურიასიდთანტა
1. მთვარე – ყამარ	1. სატურნუს
2. მერკურ – ოტარიდი	2. იუპიტერ
3. ვენუს – ასპიროზი	3. მარს
4. მზე – შამსი	4. მზე
5. მარს – მარიხი	5. ვენუს
6. იუპიტერ – მუშთარი	6. მერკურიუს
7. სატურნ – კრონოს	7. მთვარე

„სურიასიდთანტა“ არის ინდოეთის მწერლობიდან წიგნი ღმერთ-მზის შესახებ; მეოთხე საუკ.

(ეს მნათობთა განლაგების მასალა სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა თხუზულებაში ამოვკრიბე და, სამწუხაროდ, არც სათაური და არც გვერდები არ აღმინიშნავს).

მნათობთა ქალდეური რიგი ღმერთთა რიგს შეეტყვისება. ებრაული რიგი მნათობთა (თალმუდისა) მით არის საინტერესო, რომ აქ მზე პირველ ადგილზეა; ოღონდ ამ მოვლენას იმით ხსნიან, რომ მზე დიდი სხეულია და მას მისდევს მისი მხლებელი ვენუსი და მერკურუსიო. თავისი სიდიდის მიხედვით, შემდეგ მოდის მთვარე, და დანარჩენნი მნათობნი კი დაწყობილნი არიან ტრიალის სისწრაფისა და შემცირების მიხედვითო. 207.

როგორც არა ერთჯერ აღვნიშნე, მთელ შუა საუკუნეთა მანძილზე პტოლემაიოსის (პტოლემეის) სისტემა იყო გაბატონებული, და რასაკვირველია, არაბულიც მას მისდევს, როგორც ევროპიულიც. მხოლოდ ვეფხისტყაოსანი არღვევს ამ გაბატონებულ რიგს – მზეს ვტნის მნათობთა რიგში, სადაც მნათობთადმი გალობაა, პირველი ადგილი უკავა.

თუმცა ინდოეთის ძველ სიაში მზე პირველ ადგილზე სდგას, მაინც იგი ვეფხისტყაოსანის რიგს არ შეეტყვისება, რადგან დანარჩენი რიგი მნათობთა ერთმანეთს არ ეთანხმება.

***

მნათობთა ჩამოთვლა შეიძლება აგრეთვე ზემოდან ქვემოდ, და ვტნში სწორედ ეს წესია ნახმარი –

გაბატონებული რიგი	ვტნის რიგი
1 სატურნუს, კრონოს, ზუალი –	მზე
2 იუპიტერ, მუშთარი –	ზუალი
3 მარს, მარიხი –	მუშთარი
4 მზე –	მარიხი

5 ვენუს, ასპიროზი – ასპიროზი

6 მერკურიუს, ოტარიდი – ოტარიდი

7 მთვარე – მთვარე

აქედან აშკარაა, ვტნში დარღვეულია მტკიცედ აღიარებული წყობა მნათობთა და მზე პირველ ადგილზეა დაყენებული, როცა მას მეოთხე ადგილი უნდა ეჭიროს.

რატომ მიენიჭა მზეს ვტნში პირველი ადგილი? განა იმიტომ, რომ მზე დიდია? განა იმიტომ, რომ მზე მრავალი შეუდარებელი და უმეტოქო თვისებითა და ღირსებითაა მორჭმული? განა იმიტომ, რომ მზე ყველაზე ძლიერი, მძლეთა მძლე და მაცოცხლებელი, მარჩენალი არის? განა იმიტომ, რომ იგი მასულდგმულებელია და ხელმძღვანელი, წამყვანი მნათობთა? განა იმიტომ, რომ მზე პირველია თავისი დიდებითა და ბრწყინვალებით? ამგვარი საკითხი მრავალი შეიძლება წარმოსდგეს, მაგრამ იგი სათანადო პასუხს ვერ მიიღებს...

ზ. ავალიშვილი თავის „ვეფხისტყაოსანის საკითხებ“ში ამ საკითხს ეხება და ამბობს –

„ეს გამონკლისი მხოლოდ პოეტის სურვილით აიხსნება, რომ მზეს მისი ადვილად გასაგები პირველობა შერჩენოდა“ო.

მაგრამ რატომ უნდა შერჩენოდა მზეს ეს პირველი ადგილი და რატომ არის მზის პირველობა ადვილად გასაგები? ან რატომ მოისურვა პოეტმა მზის პირველობა?

ამ საკითხის ასახსნელად საკმარისი არ არის ის დებულება, რომელი ზ. ავალიშვილს მოაქვს:

„მზის უზენაესი, ხელმწიფური ხარისხი მიღებულია სხვა და სხვა რწმენაში და შეადგენს ისეთ ზოგადს გავრცელებულ შეხედულებას, რომ ამ ფორმულათა განსაკუთრებული ძირის ძებნა არც კი მოითხოვება. „უმძლესი მძლეთა მძლეობა“ ეთანხმება ჯერ ერთი მაზდეიზმისა და მითრაიზმის წარმოდგენას – შესახებ მზის ყოველდღიური განახლებისა და სიბნლეზედ, ღამეზედ გამარჯვებისა, ცნობილ, კეისართა დროინდელ ბერძნულ, ლათინურ ფორმულასაც მზის უძლეველობისა – ინვიკტუს. ანეკიტოს – და მერმე მზის ბატონობასაც ცხოვრებასა და ადამიანზედ, რომელს ხაზს უსვამდენ, როგორც არაბულნი, ისე ბერძნული მნათობთადმი მიმართვანინო. (გვ. 5. 18).

ყველა ამ დებულებას მზის შესახებ ჩვენ დაწვრილებით გავეცანით აქვე წინ, მზის თავგადასავალის აღწერის დროს, და ზ. ავალიშვილის დახასიათება მზისა სწორია, ოღონდ იგი სრულებით არ განმარტავს იმ საგულისხმო მოვლენას, რომ ავთანდილის მნათობთადმი გალობაში, ჩვეულებრივი რიგი მნათობთა დარღვეულია და მზე მაინც და მაინც პირველ ადგილზეა გადატანილი. ამისი მიზეზი არის არა „პოეტური სურვილი“ და არა მზის „მძლეთა მძლეობა“ თავის თავად. ზ. ავალიშვილს, ეტყობა, ეს საკითხი

აწუხებდა და ამიტომ მეორე ადგილზე მას ისევ უბრუნდება (გვ. 27) და ლამობს კიდევ სხვა ახსნა მოძებნოს. იგი სწერს –

„მნათობთა კანონიერი რიგი მან (რუსთაველმა), როგორც ვნახეთ, ცოტა გადაასხვაფერა და მზეს პირველობა დაუთმო, არა მარტო იმისათვის, რომ მართლაც მისია ეს პირველობა (განა თვითონ სხვა ადგილას არა სთქვა: ჰგვანდა ოდეს შეჯდეს ლომსა მზე, მნათობთა უკეთესი)... არამედ, ეგებ იმიტომაც, რომ ბუნებრივია ჯერ მზეს მიმართოს ავთანდილმა მისი აზრი, სანამ იგი ჩასულია, მერმე კი, როცა დაღამდება, სხვა მნათობებზედ იფიქროს“ო.

ზ. ავალიშვილის ეს მოსაზრება შემცდარია. ჯერ ერთი, ავთანდილი დღე და ღამე არ მონდომებია თავისი გალობის თქმას და ეს გალობა არის ერთი და მთლიანი, შეუწყვეტელი, და ამას გარდა არ იყო აუცილებელი მას დაღამებისათვის მოეცადა, რათა სხვა მნათობთადმი მიემართა. ასეთი მოსაზრება სრულიად გამოუსადეგარია.

მზის პირველობას ვტნის მნათობთა რიგში სულ სხვა საფუძველი უძევს და უნდა შევეცადო ეს საფუძველი სხვაგან გამოვთხარო და ამოვიტანო.

***

ძველ საიდუმლო მოძღვრებაში, რომელს ეძახიან, ჰერმეტიულ სწავლას, ჩვენ გვაქვს მნათობთა ასტროლოგიური რიგი, ჰერმეს ტრისმეგისტოსში პლანეტათა რიგი შემდეგია –

1. მზე (ჰელიოს, სოლ)

2. მთვარე (სელენე, ლუნა)

3. კრონოს (სატურნუს)

4. ზევეს (ზეუს, იუპიტერ)

5. არეს (მარს)

6. აფროდიტე (ვენუს)

7. ჰერმეს (მერკურიუს)

თუმცა იმავე წიგნში მეორე რიგიც არის მოცემული – 1. მთვარე. 2. ჰერმეს, 3. აფროდიტე, 4. ჰელიოს, 5. არეს, 6. ზევეს და 7. კრონოს. მთვარე აქ სდგას პირველ ადგილზე, აგრეთვე ჰერმესის გალობაშიც. მაგრამ აქ ეს რიგი, - ამბობს პროფ. ი. კროლლ, – ნაძალადევი არისო. 93. გვერდი 208.

ავთანდილის გალობაში მზე წარმოდგენილი არის პირველ ადგილზე; ამგვარათვე ჰერმეს ტრისმეგისტოსის სიაში; ოღონდ დანარჩენი რიგი მნათობთა მათ შორის განსხვავებულია. და ამით ცხადია, ეს ორი სია მნათობთა სხვა და სხვა არის.

ჰერმეტული წიგნი – „ლიბერ ჰერმეტუს“, დიდი ხანი არაა რაც აღმოაჩინეს და გამოსცა იგი პირველად პროფ. გუნდელმა (1936 წ.). ჰელინისტური დროის ასტროლოგიური თხუზულებანი თითქმის ყველანი დაღუპულ

არიან და იმ ხანიდან დარჩენილია უპირველესად რომაელი მგოსანის მანილიუსის შრომა (რომელს აქ ჩვენ გავიცანით. (იხილეთ გვერდი 72). შემდეგ ამისა არის ვეტტიუს ვალენსის შრომა (მეორე საუკუნედან), რომელიც გამოსცა პროფ. ვ. კროლლმა (1908 წ.) და მეექვსე საუკუნედან ერთი უცნობისა და რჰეტორიოსის თხუზულებათა ნაწყვეტნი, რომელიც დაბეჭდა აკადემიკოსმა ფ. კჲუმონმა. „ლიბერ ჰერმეტის“ დაწერილი იყო ლათინურად, ნათარგმნი ბერძნულიდან, ალექსანდრიული ხანისა. ეს შრომა დამყარებულია უძველეს ბერძნულ-ეგვიპტურ ასტროლოგიაზე, და მის დამწერს პტოლემეოსის მეფეთა ხანაში უნდა ეცხოვრაო, – ამბობს აკად. ფრ. კჲუმონი. 208. მაგრამ არსებობდა თურმე არა ერთი ჰერმეტიული ნაწერი და ჰერმეს ტრისმეგისტოს არაბული ტექსტიც, რომელიც პროფ. ოტტო ბარდენჰევერის გამოკვლევით, მეთერთმეტე და მეცამეტე საუკუნეთა შუა უნდა იყოს დაწერილი, მაგრამ იგი მხოლოდ სულის დასჯას ეხება. 93. გვ. 390.

როგორც ვნახეთ, არავითარი საბუთი არ არის ავთანდილის გალობის მნათობთა რიგი ჰერმეტიულ სწავლას, ანუ ტრისმეგისტოსს დავუკავშირო. ამიტომ ამ რიგის გამოსაკვლევად სხვა გზა უნდა მოვძებნოთ.

***

უკვე აღვნიშნე ჩემს წიგნში: „ვარსკვლავთმეტყველება“, რომ შვიდთა მნათობთადმი გალობა ავთანდილისა ასტრალური რელიგიის ანუ ვარსკვლავთა თაყვანების წესით შესრულებული იყო. მთხოვნელი, მლოცველი მიმართავს მნათობებს, რომელთაგან იგი თავის სურვილთა აღსრულებას მოელის. მლოცველი ასახელებს მნათობს, მოუწოდებს მას მისი საკუთარი სახელით, აქებს მას, მოუთხრობს თავის სურვილთ და მნათობიც მას ამ თხოვნას უსრულებს. ამ წესისათვის არსებობენ განსაკუთრებულნი გალობანი, ლოცვანი, მსხვერპლნი. ან კიდევ, მლოცველი მიმართავს ჯერ ღმერთს, ყოვლად შემძლეს, და შემდეგ კი მის მსახურთ მნათობთ, რომელთა წმიდა სახელის ხსენება ამგვარ ლოცვაშიც სავალდებულოა. ამ წესს უთუოდ ეკუთვნის – მნათობთა შექება, და ხან და ხან მუქარაც, თუ მთხოვნელი თავის სურვილთა აღსრულების შესაძლებლობას ეჭვით შეხედავს. 209.

ავთანდილი ვტნში, როგორც ვიცით, მნათობთ მსხვერპლს არა სწირავს და საამისო არავითარ წესს არ ასრულებს, მარამ იგი მიმართავს მათ აჯით, თხოვნით და სათანადო ქებით. ხოლო ამის მიხედვით იმ დასკვნის გამოტანა არ შეიძლება, თითქო ავთანდილი მნათობთა თაყვანის მცემელი ყოფილიყოს. ეს თაყვანება აქ არ არის და არც იყო საჭირო, რადგან მთელი ეს გალობა ავთანდილისა არის მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნებითი პოეტური ასტროლოგიურ საფუძველზე.

კარგად ცნობილია: ასტროლოგიაში მზეს პირველი ადგილი უჭირავს; მზე არის მნათობთა გუნდის ხელმძღვანელი, უფალი ყველა ვარსკვლავისა, – „მეტრ დე ტუ“ –, როგრც ამბობს ბუშე ლეკლერკ. 210. ან კიდევ მეორე თქმით:

წამყვანი ხოროსი, მნათობთა დასის ხელმძღვანლი, მასულდგმულებელი ვარსკვლავთა. ამის შესახებ არა ერთჯერ მქონდა აქ საუბარი.

***

როგორც აღვნიშნე, მზე ასტროლოგიაში და ასტროლოგიურ თეოლოგიაში პირველი ადგილის მქონეა, ღმერთის შემდეგ და სწორედ ასეთი გალობით იწყებს ავთანდილიც –

მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:

„აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,

ვინ მდაბალთა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ სვესა,

მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა. (957).

ეს შაირი აშკარად გვიჩვენებს: ავთანდილი პირველად ყოვლისა მაინც ჯერ ცას შესტირს, მას ევედრება, ანუ ღმერთს შესჩივის. და მხოლოდ მერე ეუბნება მზეს –

შენ, რომელი ხარ მძლეთა მძლეს უმძლესი, ანუ მომრევზე მომრევის მომრევი, ანუ ყველაზე გამარჯვებული სრულიად და ყოვლად დაუმარცხებელი;

შენ, რომელი მდაბალთ, ანუ თავმდაბალთ, რასაკვირველია, არა ყველა თავმდაბალს, არამედ თავმდაბალ მეფეთ აამაღლებ, უდიდესად გახდი, უძლიერესად;

შენ, რომელი ამ თავმდაბალ მეფეთ ანიჭებ სვეს ანუ კარგ ბედს;

შენ, მომეხმარე ჩემს სიყვარულში;

შენ, ნუ გამყრი ჩემი საყვარელისაგან და

შენ, ნუ შემოცვლი ამით დღეს ღამედო.

აქედან დასკვნა –

1. მზე არის მძლეთა მძლეს უმძლესი, ანუ დაუმარცხებელი (ინვიკტუს);

2. მზე არის თავმდაბალი მეფის ამამაღლებელი;

3. მზე არის ბედნიერების მომანიჭებელი;

4. მზე არის სიყვარულში შემწე.

ყველა ეს თვისება მზისა არის ასტროლოგიური ბუნებისა, და ეს მზე ამ გალობაში, ჩვეულებრივი ასტრონომიური წესის გარეშე, პირველ ადგილზე იმყოფება.

დასკვნა

მაშასადამე: მზის პირველ ადგილზე მოთავსება ავთანდილის გალობაში იმით აიხსნება, რომ მზეს ასტროლოგიური თეოლოგიის თანახმად:

პირველი ადგილი უკავია, – ასტროლოგიურ ღმერთთა შორის მზე არის პირველი. და რადგან ავთანდილის გალობა სუფთა და წმიდა ასტროლოგიურია, ამიტომაც მზის პირველ რიგში დგომაც ბუნებრივია და იოლად ასახსნელი.

3. ნავროზობა

როდესაც ფატმანი ავთანდილს ნესტანის ამბავის მოთხრობას დაუწყებს, ამბობს –

ამა ქალაქსა წესია, დღესა მას ნავროზობასა,

არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარი, არცა ვინ წავა, გზობასა;

ყოველნი სწორად დავიწყებთ კაზმასა, ლამაზობასა,

დიდსა შეიქმენ მეფენი პურობა – დარბაზობასა (1121).

მაშასადამე, ნავროზობა არის რაღაც დიდი უქმე და დღეობა.

რა არის ნავროზობა?

ნავროზობას დასაწყისი დიდად შორეულ წარსულში აქვს და იგი მზესთან არის დაკავშირებული, როდესაც მზე გაზაფხულს იწყებს.

უუძველესი გადმოცემით, ირანის (ზღაპრულ) მეფედ ითვლებოდა ჯემშიდ, (რომლის სახელი ნიშნავს „მეფე-მზე“). ამ მეფე მზემ აღაშენა თავისი სატახტო ქალაქი პერსეპოლის. ამ ქალაქში იყო შვიდი საკვირველება მოთავსებული, თვით სასახლეში (პერსეპოლისის სასახლე ალექსანდრე მაკედონელმა გადაბუგა). როდესაც ჯემშიდმა ამ ქალაქის აგება დაასრულა, იგი შებრძანდა იქ ერთ განსაკუთრებულ დღეს და ეს ქალაქი სატახტოდ გამოაცხადა. ეს ის დღე არის, როდესაც მზე ჯდება ზოდიაკო ვერძზე, ანუ როდესაც იწყება გაზაფხული, ანუ ახალი წელიწადი (21 მარტს).211.

21 მარტი არის წელიწადის დღე, ახალი წელიწადის დღე, რომელიც არის მზიური. ამ დღეს დაერქვა „ნევრუზ“, „ნავრუზ“, ანუ ახალი დღე.

ეს დღე ირანში დიდი უქმე იყო და დიდი დღეობა, ანუ როგორც ამბობს ფატმანი –

ათ დღემდის ისმის ყოველგან ხმა წინწილისა, ებნისა,

მოედანს მღერა, ბურთობა, დგრიალი ცხენთა დგენისა (1122).

***

სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ვტნს (1937 წ.) დართული აქვს პროფ. ი. აბულაძის ლექსიკონი. აქ სიტყვა „ნავრუზი“ ასეა განმარტებული – გაზაფხულის პირველი დღე. ხვდება მარტის 8 – 10 რიცხვებში რასაკვირველია, ეს შეცდომაა. სულხან საბა ორბელიანს აღნიშნული აქვს ამ დღისათვის 20 მარტი. (20/21). ეს 21 მარტი იყო მზიური კალენდარის დღე ახალი წელიწადისა იეზდიგირის კალენდარით. თუმცა

სპარსელები გამაჰმადიანდნენ და იძულებულნი გახდნენ მაჰმადიანური კალენდარი მთვარისა ეხმარათ, ისინი ნავროზობას ახლაც დღესასწაულობენო, – სწერდა 1697 წელს დერბელო. ამ ახალი წელიწადის დღეს ხშირად უწოდებენ „ნავრუზ ჰამალ“ ანუ ახალი დღის ვერძი, რათა განასხვავონ იგი „ნევრუზ მიზან“ისაგან, რაც ნიშნავს „სასწორი“, ანუ 23 სექტემბრის ბუნიობას, შემოდგომის დღე და ღამის გასწორების დღეს. დროთა განმავლობაში იეზდიგირის კალენდარი მზის ნამდვილ კალენდარს ჩამორჩა და იგი შესწორებას მოითხოვდა. დერბელო ფიქრობდა, ეს შესწორება ჯელლალ ედ დინ მალექ შაჰს მესამეს ბრძანებით მოხდაო, ესე იგი 13 საუკუნეშიო. 212.

ლუი გრეი ამტკიცებს, „ფრავანტინ“ ანუ სპარსული წელიწადის პირველი თვე, იწყებოდა 21 მარტს, მაგრამ კალენდარის ჩამორჩენილობისა გამო მოხდა მისი შესწორება 1079 წელს ჯალალ ედ დინ მალიქ შაჰის (1073 – 1092) ბრძანებითო. ნავრუზი ანუ ნევროზი უკვე ჩამორჩენილი იყო ზოდიაკო ვერძისაგან და გადასული იყო ზოდიაკო თევზის მეხუთმეტე ხარისხამდეო; ამიტომ ასტრონომოსებმა შეასწორეს ნავრუზი და გადაიყვანეს იგი თავის წერტილზე, ანუ იმ დროზე, როდესაც მზე ნამდვილად ზოდიაკო ვერძის პირველ ხარისხში შედიოდა. ამ ახალ კალენდარს დაერქვა ჯელალედინის კალნდარი. ამ შესწორების თანახმად, ახალი წელიწადის, ნავროზობა გამოცხადდა 1079 წლის 15 მარტი. მაგრამ ეს შესწორება ყველამ არ მიიღო, განსაკუთრებით ზარათუშტრას მიმდევართა მრევლმა. ამ ნიადაგზე განხეთქილებაც მოხდა – ერთმა ნაწილმა უარჰყო 15 მარტი და მეორემ შეითვისა იგი. ეგრეთ წოდებულმა კადმისტებმა უარი თქვეს 15 მარტზე და ისევ ძველებურად 21 მარტს დღეობდნენ ნავრუზობად 213.

კალენდარში, - ამბობს ბელგიელი აკადემიკოსი რენე ბერთელო , - ახალი წელი, დაწყება ახალი წელიწადისა, დადგენილი დროთა და ხალხთა მიხედვით, ან გაზაფხულის დღე და ღამის გასწორებისას, ეკვინოკტიუმში ხდება, როდესაც ზომიერი სითბოს ქვეყნებში მცენარული სიცოცხლე იბადება, ან საზამთრო სოლსტიციუმის შემდეგ, სწორედ იმ დროს, როდესაც მზე გადიდებას იწყებს (ესე იგი: როცა მზის ნათელის სიცოცხლე ზრდას იწყებს). პირველი წესი გამოწვეულია სასოფლო მეურნეობითი და აგრეთვე ასტრონომიული მოსაზრებით და ამიტომ იგი, სჩანს, უძველესი ჩვეულებაა; მცენარეთა ცხოვრებაზე თვალყურის დევნება ასტრონომიას წინ უძღოდა და მას იწვევდა. ირანში, სადაც უუძველესი კალენდარი იყო, ახალი წელი გაზაფხულის დაბადების დღე იყო და იქ მუსულმანთა ათას წლოვან მეტ ბატონობის მიუხედავად, ეს ჩვეულება ახლაც გრძელდებაო. 35. გვერდი 274.

ცნობილი ასტრონომოსი ულუღ ბეგ (მეთუთხმეტე საუკუნეში) ამბობდა – არსებობს ორი ნავროზი: 1. ხალხური, რომლიც ფერვარდინის (პირველი თვის) პირველ დღეს ხვდება და 2. ასტრონომული, რომლიც ამავე თვის მეექვსე დღეზე მოდისო, ესე იგი მარტის ექვსსო.

ყოველ შემთხვევაში, ვეფხისტყაოსანის ნავროზობა, თუ იგი ნაანგარიშევია იეზდიგირის კალენდარით, არის 21 მარტს; ჯელალედინის კალედარით - 15 მარტს. ხალხური კალენდარით - 21 მარტს. ულუღ ბეგის კალენდარით, რაც მეთუთხმეტე საუკუნეს ეკუთვნის, 6 მარტს. არავითარ შემთხვევაში ნავროზობა 8 – 10 მარტს (რატომ ორი რიცხვი), როგორც ჰგონია პროფ ი. აბულაძეს, არა ხვდება. ეს შესწორება საჭიროდ მივიმჩნიე. მით უმეტეს, რომ ნიკაეის საეკლესიო ყრილობის გადაწყვეტილებით, და ასტრონომიული კალენდარის ანგარიშგაუწეველად, მზის შესვლა ვერძში, გაზაფხულის პირველ დღედ დადგენილ იქმნა 21 მარტი, რათა ადვილი ყოფილიყო საეკლესიო უქმეთა გამოანგარიშება. 214.

ალ ბირუნის გადმოცემით, ნავრუზი ერქვა სპარსული ახალი წლის პირველ დღეს და ეს ნავროზობის დღეობა ექვს დღეს გრძელდებოდა. სპარსეთის მეფე გამოაცხადებდა ხოლმე ამ პირველ დღეს ახალი წელიწადის დამდეგად და ხალხს ნადიმს გადაუხდიდა; დამსწრეთ ასაჩუქრებდა. მეორე დღეს მეფესთან მიწვეულნი იყვნენ დიდ გვარიანთა ოჯახის წევრნი. მესამე დღეს ზეიმი ხდებოდა ლაშქართან და მობედებთან ერთად. მეოთხე დღეს ზეიმს ესწრებონენ მეფის ოჯახის წევრები, ნათესავები და მოჯალაბენი. მეხუთე დღეს წვეულება იყო მეფის ბავშვთათვის და ახლობელ პირთათვის. მეექვსე დღეს თვით მეფე საკუთრივ იხდიდა ახალწლობას და ამ ზეიმზე თავის მეგობრებს მიიწვევდა ხოლმეო. 215.

ფირდაუსის შაჰნამეში ნავროზობის თქმა დალოცვაც არის. ამ მეფეთა წიგნში ხშირადაა ასეთი გამოთქმა: დაე, თითოული დღე შენთვის იყოს ნავრუზისაო. (წიგნი, 3. გვ. 343.). ზაქარია ყაზვინელი (მეცამეტე საუკუნე.) ამბობს: ამ დღეს ღმერთმა ცანი რკალში მოათავსა და მზე, მთვარე და დანარჩენნი ვარსკვლავნი აამოძრავაო. ამ დღეს, ამბობენ სპარსნი, ღმერთი უხვ წყალობას იძლევაო. კაცმა უზმად და უუბრად ამ დილით შაქარი უნდა მოსწუწნოს (ქართული ჩვეულება: „დატკბილება“!) და ზეთი წაისვასო. მაშინ იგი მთელი წლის განმავლობაში ყოველ უბედურებას თავიდან აიცდენსო. მეფესთან ამ დღეს დარბაზობაა და ურთი ერთის დასაჩუქრება, ძღვენთა ძღვნაო. 216.

სპარსელები მოგვიანო ხანაშიც ხმარობდნენ ნავრუზის დღეს რაიმე დიდი საქმის წამოსაწყებად. ნავრუზის დღეს (21 მარტს 1763 წელს), – ამბობს ბროუნ, – ნადირმა გამოაცხადა ყრმა შაჰ-აბასის სიკვდილი და თავისი თავი მან სპარსეთის შაჰად აარჩევინაო. ეს მოხდა 1763 წლის 21 მარტსო. 217.

ჩვენს დროშიაც, როდესაც გერმანელი მკვლევარი ო. გ. ფონ ვეზენდონკი ბაქოში იმყოფებოდა (1925 წელს), აღნიშნავს, რომ ბაქოელი შიიტები განსაკუთრებით დღესასწაულობენ ნავრუზის დასაწყისს, 21 მარტსო. ეს უქმე არის ძველის ძველი არიული საგაზაფხულო დღეობა, რომელსაც ირანში ახლაც იხდიან. მთელი დღის განმავლობაში სტუმრობა და ზეიმია. რათა ნავრუზობისათვის სახარჯო ფული იშოვნონ, ჰყიდიან ან აგირავებენ უკანასკნელ ქონებასო. 218.

***

ამ საკითხის შესახებ მოვუსმინოთ კიდევ მაჰმადიან მეცნიერს, მეათე–მეცამეტე საუკუნეთა მანძილზე ყოველდღიური ცხოვრების აღმწერს, ალი მაზაჰერს –

როგორც ვიცით, ისლამურ ქვეყნებში დღეთა თვლა ხდება მთვარის და არა მზის მიხედვით, ამიტომ წელიწადის დღეთა რიცხვი ჩამორჩენილი იყო, და ამის გამო მუ'სტადიდ-მა 894 წელს ისლამური კალენდარი შეასწორებინა. მაგრამ ეს ირანელებმა არ მიიღესო, – ამბობს ალი მაზაჰერი. შემდეგში, 1074 წელს, დიდმა ვაზირმა ნიზამ ალ მულკ-მა შეადგინა ასტრონომოსთა ჯგუფი, ცნობილ ასტრონომოსთა და პოეტ, სპარსელ ომარ ხაიდამის ხელმძღვანელობითო. დიდი ხნის მუშაობის შემდეგ და თოხარისტანის ძველი ჩვეულების მიხედვითაც, შედგენილ იქმნა კალენდარი, წოდებული: ჯალალიანი, სულთან ჯალალ ალ დინ მალიკ შაჰის (1072 – 1092) საპატივცემოდო. ეს კალენდარი იყო ყველაზე უფრო, ცნობილთა შორის, სრული და ზუსტი; მას ექნებოდა შეცდომა ერთი დღისა 5000 წლის განმავლობაში, მაშინ როცა გრეგორიანთა კალენდარს ერთი დღის შეცდომა ექნებოდა ყოველი 3.300 წლის შემდეგო.

ახალი წლის დღე, რომელს ჰქვია ნავრუზი, იწყება, როგორც ეს აღმოსავლეთი ირანის ჩვეულებაშიც იყო, სწორედ იმ წამს, როდესაც მზე იმყოფება გაზაფხულის დღე და ღამის გასწორების წერტილში. ეს ნავრუზი შეითვისეს მას შემდგ ირანელ და თურქ ხალხებმაც, ვითარცა ნამდვილი დღე ახალი წლისა, და დღესაც კიდევ, – ამბობს ალი მაზაჰერი, – მას იცავენ, და ამ ახალი წლის დღეს და შემდეგ თორმეტ დღეს ყველა ირანული და თურქი ხალხისათვის არის ოჯახისა და საზოგადოების დიდ ლხენათა და მხიარულებათა შემთხვევაო. 219. და 219ა.

დღესაც, დავუმატოთ, მთელს ირანში დღესასწაულობენ, უქმობენ ნავროზობას და ახალი წესის მიხედვით 21 მარტს ირანის შაჰი რადიოთი საზეიმო სიტყვას წარმოთქვამს.

***

ვეფხისტყაოსანში „ნავრუზობა“ არის დიდი დღეობა. ფატმანის თქმით: ამ დღეს მთელი ხალხი იკაზმება და ირთვება; მეფის სასახლეში დარბაზობა და პურობაა. ვაჭრები არ ვაჭრობენ; არც ვინმე მიდის სადმე; ვაჭრებს სასახლეში ძღვენი მიაქვთ და სამაგიეროდ მათ მეფეც ასაჩუქრებს. ათი დღის განმავლობაში ქალაქში გაისმის მუსიკის და ზეიმის ხმა. მოედანზე გამართული არის მარულა, ბურთობა ანუ პოლო, და სხვა თამაშობა. ეს მამაკაცთ გართობაა. დედაკაცნი მორთულ-მოკაზმულნი მიდიან სასახლეს დედოფალთან და ძღვენს მიართმევენ; იქ მათ დედოფალი უმასპინძლდება და სამაგიეროდ ძღვენით აჯილდოებს მათ. და ფატმანი განაგრძობს –

დედოფალსა ძღვენსა ვუძღვნით; მდიდარი თუ გლახ ვინ ა,

დარბაზს ამოდ გავიხარებთ, მხიარულნი მოვალთ შინა (1123).

და ფატმანი შემდეგ, ვითარცა დიდი ვაჭრისა და ვაჭართა უფროსის მეუღლე თვითონ უმასპინძლდება ვაჭართა ცოლებს და –

კვლა დავსხედით გახარებად, უნებურნი არ ვიყვენით (1124).

და აი, ამ ნადიმის შემდეგ, ფატმანმა აღმოაჩინა ნესტანი.

ამგვარად, ნავროზობა ვტნში გამოყენებულია ნესტანის აღმოჩენის მიზეზად.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

რვეული მერვე

მზის ხატობა

კარი პირველი

მზე და ღმერთი

1. ჰე, მზეო!

2. მზეო!

დასკვნა

3. აჰა, მზეო!

დასკვნა

4. მზის ბუნება

ზოგადი დასკვნა

5. დამხსნა სოფლისა შრომასა

6. დამხსნას ცეცხლსა

7. ძრომასა

დასკვნა

8. კვლა დამხსნას

დასკვნა

9. მზედ დაგბადა

დასკვნა

საბოლოო დასკვნა

10. ვტნი, მზე არის ღმერთი?

1. ჰე, მზეო!

მზე-ღმრთის ისტორიის მიმოხილვიდან უკვე ვიცით, თუ რაოდენ გავრცელებულ ყოფილა მზის ღმერთობა აღმოსავლეთში და დასავლეთშიაც. მხოლოდ ქრისტიანობასთან ბრძოლაში დამარცხდა ეს მზე-ღმერთიუ ვინაიდან ვეფხისტყაოსანში მზე ძალიან ხშირადაა დასახელებული, იქნებ ბუნებრივად ჩაითვალოს საკითხი: აქვს თუ არა ვფხისტყაოსანში მზეს რაიმე კავშირი ღმერთთან? არის თუ არა ვტნში მზე ღმერთი? ეს საკითხი თავისთავად მეტად მნიშვნელოვანია და მისი გარდაწყვეტაც არც ისე იოლი, რადგან ვტნი რელიგიური თხუზულება არ არის, და აქ მზე გამოყენებულია მრავალ გვარი პოეტური გადაბმულობით და დაკავშირებით, ოღონდ მაინც უნდა შევეცადო მზის ეს საკითხი ამ მიმართულებითაც განვიხილო და გამოვარკვიო, რათა ამ საკითხის გარშემო შექმნილი ზღაპარი გავფანტო...

***

ავთანდილი ოდეს მეორედ გაიპარა ტარიელთან შესაყრელად, გზაში იგი სხვათა შორის მზეს მიმართავს და –

იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,

ერთ-არსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად,

ვის გმორჩილებენ ციერნი (,) ერთი იოტის წამისად (,)

ბედსა ნუ მიცვლი, მიაჯე, შეყრამდის ჩემად და მისად! (836).

ვის ხატად ღრმთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი,

შენ მიშველე რა ტყვე-ქმნილსა, ჯაჭვნი მაბიან, რკინანი! (837) ...

ვახტანგ მეფე, პირველი კომენტატორი, ანუ ვტნის თარგმანების შემასრულებელი ამ ხატის შესახებ ამბობს –

„ღმრთის ხატად წინასწარმნტყველნი და ფილოსოფოსნი ქრისტეს იტყვიან; იმას ახვეწებს ავთანდილს, რომე მიშველე რამეო და თინათინისა და იმის მოშორვებას შესჩივის“-ო. და დასძენს: მეო „ესეც საღმრთოდ მგონია, –

მაგრამე ყველას აღარ გამოვეკიდე, რომე ეგება ზოგი ერთ კაცს ავად ჩამოერთმია“-ო.

ვახტანგ მეფის, ამ დიდი მეცნიერის და ვეფხისტყაოსანის მცოდნის განმარტება, რომლის თანახმად „წინასწარმეტყველთა“ და „ფილასოფოსთა“ თქმით: ქრისტე არის ხატი ღმრთისაო, მართალია და სწორი, ოღონდ სწავლული მეფე არსებითად სცდება, როდესაც მას ამ შაირის ხატი ღმრთისა ქრისტედ მიუჩნევია, რადგან დაწვრილებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ შაირში „მზე – ხატი“ არის არა ქრისტე, არამედ ის მზე, რომელიც არის სიმბოლო „მზიანი ღამისა“. ანუ უხილავი ღმრთისა (იხილეთ აქვე, ქვემოდ).

***

მაშ გავხსნათ და ავხსნათ ეს შაირი. ავთანდილი ამბობს –

მზეო, შენ გთვლიან ხატად „მზიანისა ღამისად“; კიდევ ვის ხატად, ანუ გამოხატულებად სთვლიან მზეს? მზე არის ხატი „მის“ ანუ „ერთ-არსებისა ერთისა“, რომელიც არის „უჟამო ჟამისა“ნ, ანუ რომელს არა აქვს დრო, არც დასაწყისი და არც დასასრული, არის მარადული, დაუსრულებელი (ინფინიტუს);

„ერთ-არსება ერთი„ და „უჟამო ჟამითი“ არის ღმერთი.

მაშასადამე, აქ ნათქვამია: მზე არის ხატი ღმრთისა.

შენ, მზეს გმორჩილებენ ციერნი (ციერი – ვარსკვლავი. ს. ს. ორბელიანი). ერთი იოტის წამისად. ანუ სრულიად პაწაწინა წამითო;

და ვინაიდან შენ, მზეო, ციერნი გმორჩილებენ, ამიტომ ბედს ნუ შემიცვლი, მომეხმარე: მე და თინათინი ერთმანეთს ისევ შეგვახვედრეო.

***

აქ მსურს ერთ გარემოებას ყურადღება მივაქციო. სხვა და სხვა ნაბეჭდ ვტნში ეს ლექსი სხვა და სხვა არის. –

დ. კარიჭაშვილისეულ ვტნში –

1). ვის გმორჩილებენ ციერნი ერთი იოტის წამისად, ბედსა ნუ მიქცევ... (816).

ი. აბულაძისეულ ვტნში –

2). ვის გმორჩილებენ ციერნი ერთი იოტის წამისად, ბედსა ნუ მიქცევ... (772).

უნივერსიტეტისეულ ვტნში –

3). ვის გმორჩილებენ ციერნი, ერთი იოტის წამისად, ბედსა ნუ მიცვლი, ... (836).

4). ამგვარათვე ინგოროყვასეულ ვტნში (1953 წელი).

პირველი ორის მიხედვით, ამ ლექსის განმარტება ასეთია – მზეს მორჩილებენ ციერნი, ანუ ვარსკვლავნი ერთი იოტის წამისად, – ასეთო მზეო, ბედს ნუ მიქცევ, ნუ შემიბრუნებო.

ასეთი ლექსი აზრიანია მხოლოდ ასტროლოგიური თვალსაზრისით – მზეს ემორჩილებიან ვარსკვლავნი ერთ წამს, ჰოროსკოპის წუთში, და ასეთ მზეს ავთადილი თხოვს: ბედს ნუ შემიბრუნებო.

მესამისა და მეოთხის მიხედვით საერთოდ, ამ ლექსის წესიერი განმარტება შეუძლებელია, ვინაიდან ეს ლექსი ისეა დაყოფილი სასვენი ნიშნებით „მძიმე“, რომ იგი სრულიად გაუგებარი ხდება.

ორივე ამ უკანასკნელ შემთხვევაში მთელს საკითხს სწყვეტავს სასვენი ნიშანი „მძიმე“ (,). თუ ამ ლექსში სასვენი ნიშანი „მძიმე“ (,) დაისმება სიტყვისა შემდეგ ციერნი, („მძიმე“), მაშინ ლექსი ნათელი ხდება და იოლადაც განიმარტება. –

ვის გმორჩილებენ ციერნი, („მძიმე“,), ერთი იოტის წამისად (აქ არ უნდა „მძიმე“) ბედსა ნუ მიცვლი...

ამგვარად, ასე შესწორებული ეს ლექსი გადმოითარგმნება: – მზეო, ვის გმორჩილებენ ციერნი, ანუ ვარსკვლავნი, მე ავთანდილს ერთი იოტის წამისად ბედს ნუ შემიცვლი, თინათინს შემახვედრეო.

***

„ვის გმორჩილებენ ციერნი“?

მზეს მორჩილებენ ვარსკვლავნი, ციერნი, რადგან მზე არის ვარსვლავთა მეუფე; ესაა ასტროლოგიური დებულება.

„ერთი იოტის წამისად ბედსა ნუ მიცვლი“ – ითხოვს ავთანდილი, რადგან მან იცის, რომ მზეს ბედის შეცვლა შეუძლია; და ამას გარდა მან იცის, რომ მზე ვაჟთათვის სიყვარულში დამხმარე, შემწე არის, – და ამიტომ თხოვს იგი მზეს: შემეწიეო. ეს მეორე წინადადებაც არის ასტროლოგიური.

შემდეგ, მომდევნო შაირში ნათქვამია – შენ, მზეო, რომელსაც ძველნი („წინანი“) ფილოსოფოსნი „ხატად ღმრთისა“ გთვლიან, მიშველე მე, სიყვარულით შეპყრობილსა, რომელსაც ჯაჭვნი და რკინანი მაბია, სიყვარულით დატყვევებული ვარო.

ორივე შაირიდან (836 და 837) შემდეგნი დებულებანი გამომდინარეობენ –

დასკვნა

1. მზე არის „მზიანისა ღამისა“ ხატი;

2. მზე არის ხატი ერთ-არსებისა ერთისა, ანუ ხატი ღმრთისა;

3. მზე არის ხატი მის უჟამოსა ჟამისა, ანუ ხატი ღმრთისა;

4. მზეს ემორჩილებიან ციერნი, ანუ ვარსკვლავნი;

5. მზეს შეუძლია კაცს ბედი შეუცვალოს;

6. მზეს შეუძლია სიყვარულში შემწეობის აღმოჩენა.

მზე ხატი ღმრთისა – არის რელიგიური დებულება;

მზე ბედის უფალი და სიყვარულში შემწე – არის ასტროლოგიური დებულება.

2. მზეო!

ავთანდილი გზაში ისევ მნათობებს მიმართავს და მათ შორის –

მზესა ეტყვის : „მზეო, გიტყვი თინათინის ღაწვთა დარად,

შენ მას ჰგავ და იგი შენ გგავს, თქვენ ანათებთ მთა და ბარად;

ხელსა მალხენს ნახვა შენი, ამად გიჭვრეტ არ დამცდარად,

მაგრა ჩემი რად დააგდე გული ცივად, გაუმთბარად? (955).

ავთანდილი მზეს თინათინად სახავს – თინათინი მზესა ჰგავს და მზე კიდევ – თინათინს. ორივე სამართლიანობისა და სიუხვის გამოსახულებაა, რადგან ორივე მთასა და ბარს ერთნაირად ანათებს. მე, გაგიჟებულს, ხელს მალხენს შენი ნახვაო, და ამიტომ გიჭვრეტ, გიცქერ არ დამცდარად, შეუწყვეტელადო. შენ, მზეო! მოწყალე და უხვი ხარ და რატომ დააგდე, დასტოვე ჩემი გული ცივად, გაუმთბარადო.

აქედან შემდეგ დებულებებს ვღებულობთ –

დასკვნა

1. მზე და თინთინი ერთნაირნი არიან;

2. მზე და თინათინი, ორივენი სამართლიანი და უხვნი არიან;

3. მზის ნახვა ავთანდილს ალხენს, ვით თინათინის ნახვა;

4. მზის წინაშე ავთანდილი ჩივის თავისი სიყვარულისა გამო.

ყველა ეს დებულება არის – ასტროლოგიური.

3. აჰა, მზეო!

ავთანდილი –

მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:

„აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,

ვინ მდაბალთა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ სვესა,

მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა“. (957).

აჰა, მზეო, შენ რომელი ხარ უმძლესთა მძლეთა მძლე, ანუ გამარჯვებულთა გამარჯვებულზე გამარჯვებული (სოლ ინვიკტუს);

შენ, მზეო რომელი მდაბალთ გაამაღლებ, თავმდაბალთ დიდად გახდი, და მათ სვიან, ანუ ბედნიერ მეფობას მისცემ;

შენ ასეთო მზეო, ნუ გამაშორებ საყვარელს, და დღეს ღამედ ნუ შემიცვლიო.

***

აქაც უნდა შევჩერდე. უკანასკნელად დაბეჭდილ ვტნში (უნივერსიტეტისა, პროფ. აკ. შანიძისა და პ. ინგოროყვასი) ყველგან არის: „ვინ მდაბალთა გაამაღლებ. მეფობასა მისცემ (,) სვესა“. დ. კარიჭაშვილისეულ ვტნში: „ვინ მდაბალ**სა** გაამაღლებ, მეფობასა მისცემ სვესა“ (937). ეს ლექსი უფრო სწორია. ამგვარათვე ი. აბულაძისეულ ვტნში (892). ეს წინადადება უფრო სწორია, რადგან ამ ლექსში საქმე ეხება არა უბრალოდ **„მდაბალთა“** გამაღლებას საერთოდ, არამედ მხოლოდ თავ-მდაბალ მეფეს, რომელსაც მზე სვიან, ანუ ბედნიერ მეფობას ანიჭებს; ამიტომაც არ შეიძლება სიტყვისა „მეფობასა მისცემ“ შემდეგ დაისვას სასვენი ნიშანი „მძიმე“ (,) – რადგან აქ სვიან მეფობაზეა მხოლოდ ლაპარაკი. ამიტომ ეს ლექსი უნდა დარჩეს ისე, როგორც ეს დ. კარიჭაშვილს ჰქონდა – ვინ **მდაბალსა** გაამაღლებ, მეფობასა მისცემ სვესა...

დასკვნა

1. მზე არის უმძლესთა მძლეთა მძლე (ანეკიტოს, ინვიკტუს);

2. მზე მდაბალს მეფეს გაამაღლებს;

3. მზე მდაბალ მეფეს სვეს მიანიჭებს;

4. მზეს შეუძლია სიყვარულში შემწეობა.

ყველა ეს დებულება არის ასტროლოგიური.

4. მზის ბუნება

ყველა ზემოდ მოტანილი სამი შაირის განხილვის თანახმად მზის ბუნების შესახებ გარკვეულად რამდენიმე დებადი წარმოსდგება –

1. მზე არის ხატი „მზიანი ღამისა“;

2. მზე არის ხატი ღმრთისა;

3. მზე არის უმძლესთა მძლეთა მძლე;

4. მზეს ემორჩილებიან ციერნი;

5. მზე მდაბალ მეფეს გაამაღლებს;

6. თავმდაბალს მეფეს სვეს მიანიჭებს;

7. მზე კაცს ბედს შეუცვლის და

8. მზე სიყვარულში შემწეა.

1. და 2. დებულება აქაც ცალკეა გარჩეული. 3. მზე არის უმძლესთა მძლე, ანუ მომრევთა მომრევის მომრევი, ანუ გამარჯვებულებზე გამარჯვებულის გამმარჯვებელი, ანუ სრულყოფილი გამარჯვებული, ანუ დაუმარცხებელი. ამ სახელით: „დაუმარცხებელი“, „ინვიკტუს“, „ანეკიტოს“ მზე ცნობილია მითრაიზმში, და საერთოდ, ყველა ჰერმეტიულ მოძღვრებაში, – და იგი არის ასტროლოგიური ცნება.

4. მზეს ციურნი არსებანი, ანუ ვარსკვლავნი ემორჩილებიან – ეს შეხედულება არის ასტროლოგიური: მზის მზერაზე, ანუ მზის ასპექტზე სხვა მნათობებთან დამოკიდებულია კარგი თუ ცუდი ბედი. (იხილეთ გვერდი

5. მზე მდაბალს გაამაღლებს. მდაბალი არის არა ზვავი, არა ამაყი, არა ამპარტავანი, ანუ თავმდაბალი. აქ საუბარია არა ყველა ადამიანზე, არა ჩვეულებრივ კაცზე, არამედ თავმდაბალ მეფეზე. თავმდაბალ მეფეს მზე გაამაღლებს, დიდად გახდისო. ეს დებულებაც ასტროლოგიურია.

6. მზე მიანიჭებს თავმდაბალ მეფეს სვიან მეფობას. სვე არის ასტროლოგიური მცნება. სვე არის ბედი, ბედნიერი მომავალი. ეს სვე სწყდება ბავშვის დაბადების წამში. მაშასადამე, სვე არის ჰოროსკოპი, რომელში მნათობთა, ზოდიაკოთა და სხვა ვარსკვლავთა განლაგება კარგი ასპექტისაა. ამ ჰოროსკოპში მზეს აქვს გარდამწყვეტი მნიშვნელობა, ვინაიდან მზეს თავისი ჩარევით, თავისი მზერით შეუძლია მეფეს ეს სვე მიანიჭოს, იგი ამაღლებული მეფე გახადოს. ეს დებულებაც არის ასტროლოგიური.

7. მზე ბედს შეუცვლის. მზე ვით უდიდესი მნათობი ძლიერ გავლენას ახდენს ადამიანის ბედზე. ესეც ასტროლოგიური დებადია.

8. მზე, როგორც ცნობილია, სიყვარულში ვაჟის დამხმარეა. ესეც ასტროლოგიური ცნებაა.

ზოგადი დასკვნა

ამ განკითხვის შემდეგ ძალაუნებურად საერთო დასკვნებს მივადგებით და დავადგენთ აღნიშნული სამი შაირის შესახებ –

ა. თეოლოგიური მნიშვნელობით მზე არის:

1. მზე – ხატი ღმრთისა

2. მზე – ხატი მზიანი ღამისა

3. მზე – ხატი ერთისა

4. მზე – ხატი ერთარსებისა

5. მზე – ხატი უჟამოსა ჟამისა.

ბ. პოლიტიკური მნიშვნელობით:

1. მზე არის გამომხატველი მეფობისა

2. მზე – დაუმარცხებელი, ცნება გადმოტანილი ასტროლოგიური თეოლოგიიდან: მეფე ვითარცა მზე.

გ. ასტროლოგიური მნიშვნელობით:

1. მზე არის ციერთა უფალი

2. მზე არის ამამაღლებელი

3. მზე არის სვის მიმცემი

4. მზე არის ბედის შემცვლელი

5. მზე არის ვაჟისათვის სიყვარულში შემწე.

5. დამხსნას სოფლისა შრომასა

ნესტანი თავის წერილში ტარიელისადმი, მას სთხოვს –

ღმერთსა შემვედრე, ნუ თუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,

ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა;

მომცნეს ფრთენი და აღვფრინდე, მივჰხვდე მას ჩემსა ნდომასა,

დღისით და ღამით ვჰხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა (1304).

აქ ნესტანი ტარიელს ემუდარება: ჩემთვის **ღმერთს** შეევედრე, თხოვე, რათა მან, ღმერთმა „დამხსნას სოფლისა შრომასა“ო.

რა არის აქ „შრომა“?

სიტყვისა „შრომა“ (დავშვერ) ასახსნელად ს. ს. ორბელიანი მიუთითებს წინასწარმეტყველ იერემიას ქართულ თარგმანზე (1716); ამ სიტყვას ფრანგულ ბიბლიაში გადმოგვცემს სიტყვა „აფლიკსიონ“, რაც ნიშნავს: მწუხარება, ჭირი, ტანჯვა. ასევეა გერმანულ, ინგლისურ და სხვა ბიბლიაშიც; რუსულში – ბედსტვენნიჲ.

ძველ ქართულში ახლანდელ სიტყვას „შრომა“ ერქვა „ღუაწა“, ანუ „მოღვაწეობა“ ახალანდელი თქმით.

მარკოსის სახარებაში „შრომა“ არის მწუხარება, ჭირი; მაგალითად: „ნუ შრომასა შეამთხვევთ“ (14,6); **ლუკას** სახარებაში: „ნუ შრომასა შემამთხვევ მე“ (11,7); „ამისათვის რამეთუ შრომასა შემამთხვევს მე მარადის ქვრივი ესე“ (18,5), ანუ ეს ქვრივი ყოველთვის მაწუხებსო. ან კიდევ ისევ მარკოსის სახარებაში (5,35): რაღასა აშრომებს მოძღვარსა?, ესე იგი: რაღას აწუხებ მეტადო?

ამგვარი შინაარსით სიტყვა „შრომა“ იხმარება ძველ ქართულ მწერლობაშიც, როგორც მაგალითად მეათე საუკუნის **თევდორეს** აღსარებაში: „უძვირესსა შრომასა შევარდეს... შემძლებელ ვართ ჩვენ თვინიერ შრომისა შენისა

ცნობად ამის საქმისა“... „ნუ შრომასა შემამთხვევთ მე, ნუცა თქვენ დაშვრებით უქმად“...

მაშასადამე: „შრომა“ არის მწუხარება, ჭირი, და ამ შინაარსით ეს სიტყვა „შრომა“ გასაგებია ნესტანის თქმაში – ტარიელო! თხოვე ღმერთს, რათა მან დამხსნას, მომაშოროს კვლა სოფლის შრომასა, ანუ ქვეყნის ჭირსა და მწუხარებასაო.

6. დამხსნას ცეცხლსა.

ნესტანი ამბობს: ტარიელო! თხოვე ღმერთს, რათა მან დამხსნას ცეცხლსა, წყალსა და მიწასა. და ჰაერთა თანა ძრომასაო. რას ნიშნავს ეს?

***

ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი – ესენი არიან კავშირნი, ანუ ელემენტები.

კავშირი, ანუ ელემენტი არის ქიმიური ცნება. ამას თავისი საკუთარი თავგადასავალი აქვს.

ჯერ კიდევ ქვეყნის შექმნისა და წარმოშობის მითოსში და თქმულებებში იმ შეხედულებას ვხვდებით. რომლის მიხედვით ყველაფერი წყალისაგან წარმოიშვა; ეს იყო „წყალი დიდი“, რომელს ეწოდება „პირველი ნივთი“ (პრიმა მატერია). ბერძნულმა ფილოსოფიურმა სკოლამ იონისა, რომლის კვლევის საგანი ბუნება იყო, აღიარა „წყალი“ როგორც პირველი მატერია – და თალესმა (624 – 523) წარმოადგინა იგი ვით ყოვლის წარმომშობი.

დიდი შვედი მეცნიერი სვანტე არრჰენიუსი ფიქრობს. შესაძლოა თალესმა ეს შეხედულება მიიღო ძველი ეგვიპტედან, სადაც ალბათ, ყოველი ნიშანის მიხედვით, ქიმია დაიბადაო. 220.

აზროვნების შემდეგ განვითარებაში „წყალს“ გარდა აღიარეს აგრეთვე „ცეცხლი, მიწა და ჰაერი“. ეს შეხედულება, რომ ყველაფერი შესდგება ოთხი კავშირისაგან ანუ ოთხი ელემენტისაგან მიეწერება ბერძენ ფილოსოფოსს ემპედოკლეს (500 წ. ქრ. წინ.) და არის ეგვიპტური წარმოშობისაო, – ამბობს იგივე მეცნიერი.

მეხუთე საუკუნეში ჩვენ დროთა აღრიცხვამდე ემპედოკლესმა განავითარა სწავლა, რომლის თანახმად: ყველაფერი ოთხი კავშირისაგან შესდგება; ყოველივე შეკავშირებულია, შემტკიცებულია ოთხი წევრისაგან: 1) ცეცხლი, 2) ჰაერი, 3) მიწა და 4) წყალი, რომელთა თვისებაა: 1) სითბო, 2) სიცივე, 3) სიხმელე (ხმელობა) და 4) ნოტიო, სინესტე (ნესტის იყო ბერძნულ მითოლოგიაში – წყალის ღმერთი: აქედან არის ქართული „ნესტი“?). ეს სწავლა გაავრცელა ემპედოკლესის მოწაფემ, მკურნალმა ფილისტიონ სირაკუზელმა; შეითვისა იგი ფილოსოფოსმა პლატონმა; მისი აკადემიიდან შევიდა არისტოტელეს სკოლაში; იქიდან გადაიღო იგი სტოას სკოლამ და საუკუნედან საუკუნეში გადასვლით მიაღწია ამ სწავლამ ბატონად მეთვრამეტე საუკუნის დამდეგამდე, როდესაც თანამედროვე ქიმიის მამამ,

ბოილ-მა (1626 – 1691) მას პირველად წინააღმდეგობა გაუწიაო, ამბობს არრჰენიუსი.

დიდი გერმანელი მწერალი გოეთე ფაუსტს „ოთხის“ შესახებ ალაპარაკებს, ხოლო ფრიდრ. შილლერი კი მღერის –

ოთხნი კავშირნი, შინაგან შეკრულნი

ჰქმნიან სიცოცხლეს აგებენ მსოფლიოს... 221.

ქართველი სახელოვანი ლექსიკოგრაფოსი ს. ს. ორბელიანი სიტყვას „კავშირი“ ასე განმარტავს – კავშირნი ოთხნი იგი ასონი: მიწა, წყალი, აირი და ცეცხლი არიან, ვინაითგან მათ მიერ არს ყოელთა სხეულთა შემტკიცებადო. ან კიდევ – წესნი: ოთხნი ნივთნი – კავშირნი: ოთხნი იგი ასონი: მიწა, წყალი, აირი და ცეცხლი. 222.

ეს მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ნესტანი იმ ზოგად ფილოსოფიურ შეხედულებას იზიარებს, რომლის თანახმად: ყოველი გვამი შემტკიცებულია და შემდგარი არის ოთხი ელემენტისაგან, რომელიც არის: ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი. ცეცხლ, წყალ, მიწა, ჰაერისაგან დახსნა არის ამ ელემენტთა დაშლა, ანუ სიკვდილი.

მაშასადამე, ტარიელმა ნესტანისათვის უნდა თხოვოს ღმერთს: ნესტანის სიკვდილი.

მაგრამ ამ ლექსში გვამის ელემენტთა შორის პირდაპირ დასახელებულია მხოლოდ სამი კავშირი – 1. ცეცხლი, 2. წყალი და 3. მიწა. ჰაერის შესახებ კი ნათქვამია – „ჰაერთა თანა ძრომას“ო.

7. ძრომასა

რა არის „ჰაერთა თანა ძრომასა“? ვინაიდან ეს წინადადება გაურკვეველია, ამიტომ მას ასწორებენ. ამ ლექსის ინგლისურ თარგმანში ნათქვამია: პროფ. ნ. მარრი ფიქრობს, „ძრომას“ ნაცვლად „ძრწომა“ უნდა იყოსო. და მთარგმნელი ვტნისა მარჯორი უორდროპ ამ სიტყვას სთარგმნის ასე: „ჲუნაიტ“, ანუ: გაერთიანება, შეერთება, ერთიანობა. არც განმარტება და არც თარგმანი, რომელი პირველზეა დამყარებული, სწორად არ მიმაჩნია.

პროფ. ნ. მარრი ამ ლექსს ასე განმარტავს – „შეევედრე ღმერთს, იქნებ მან დამიხსნას ქვეყანაში წვალებისაგან და შეერთებისაგან (ძრწომა – შედუღება, შეერთება, სპაიატ) ცეცხლთან, წყალთან, მიწასთან და ჰაერთან“ო. 223.

ვეფხისტყაოსანის არც ერთ ხელნაწერში ეს სიტყვა „წრომა“ არ მოიპოვება. ეს შესწორება თვით პროფ. ნ. მარრს ეკუთვნის.

***

სიტყვას „ძრომა“ აქვს ორი მნიშვნელობა: 1) ძრომა (ინგლისურად – კრიიპინგ), ვით ჩვეულებრივი ძრომა, ძრომთ სვლა და 2) ძრომა ვით სვლა, მოძრაობა.

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ძრომა არის აგრეთვე სვლა, მოძრაობა.

მაშასადამე: ნესტანს სურს თქვას, – დამხსნას ღმერთმა ჰაერთა თანა მოძრაობასო ჰაერთან ერთად სვლასო, ანუ ჰაერში ყოფნასო, ანუ სუნთქვასო. ჰაერი, ქარი არის აგრეთვე სუნთქვა.

ეს სიტყვა „ძრომა“ გვხვდება აგრეთვე ქართულად ნათარგმნ ნაწარმოებში „სიბრძნე ბალაჰვარისა“, სადაც ნათქვამია – „არარაჲ მაქვს ცხოვრებასა ამას შინა, გარნა ქვეყანაჲ, რომელსა ზედა ვძურები, და მხალი, რომლითა ვიზრდები“ო. აქ სიტყვა „ვძურები“, ვძვრები არის იგივე ძრომა ან მოძრაობა, ცოცხლად ყოფნა. ჰაერთა თანა ძრომა, მაშასადამე, არის მოძრაობა, სუნთქვა, ცოცხლად ყოფნა.

ამგვარად, მთელ ამ ლექსს შემდეგი აზრი აქვს – შენ, ტარიელო! ღმერთს შეევედრე, რათა მან მომაშოროს, დამხსნას ჩემ შემადგენელ ელემენტებს: ცეცხლსა, წყალსა, მიწასა და ჰაერსო; ამით ნესტანი სიკვდილს ითხოვს.

სიკვდილის შემდეგ ნესტანს ღმერთმა უნდა მისცეს ფრთენი, რომელთა საშუალებით იგი უნდა აფრინდეს და თავის სურვილს მიაღწიოს. რა არის მისი სურვილი? ნესტანის სურვილია: დღისით და ღამით მზის მარად ელვარებას, მზის ელვათა კრთომას უმზიროს.

დასკვნა

რა შედეგს მივაღწევთ ამ შაირის ლექსთა გარჩევით?

1. დახსნა სოფლის შრომისაგან არის ჭირ-ვარამისაგან, მწუხარებისაგან მოშორება.

2. ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი სიცოცხლის კავშირი არიან,

3. დახსნა ცეცხლ, მიწა, წყალ ჰაერისაგან არის სიკვდილი,

4. სიკვდილის შემდეგ ნესტანს შეუძლია მიიღოს ფრთები ღმრთისაგან და აფრინდეს,

5. ნესტანს შეუძლია აფრინდეს მზეზე,

6. იქ ნესტანს შეუძლია თავის სურვილს მიაღწიოს და დღე და ღამე მზის ელვათა კრთომას უცქიროს.

ნესტანის ამ ლექსში ერთი გარკვეული შეხედულებაა –

ნესტანი თხოვს ტარიელს, რათა იგი ღმერთს შეევედროს; ამ ვედრების შედეგად ღმერთმა ნესტანს სიკვდილი უნდა მისცეს; შემდეგ: ნესტანს ღმერთმა უნდა მისცეს ფრთები. რათა ამ ფრთათა საშუალებით მზეზე აფრინდეს.

ნესტანი ტარიელს იმას კი არ თხოვს, შეეხვეწე მზეს, მან მზემ მომცეს სიკვდილი და მან, მზემ ამიყვანოს თავისთანო, არამედ ნესტანი თხოვს ტარიელს: ამის შესახებ ღმერთს მიმართეო! თავის თავად ცხადია, აქ ღმერთი არის უმაღლესი და მზე ღმერთზეა დაქვემდებარებული.

8. კვლა დამხსნას

ნესტანი ტარიელსა სწერს –

ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა (1304).

ნესტანის ამ ლექსის გარჩევისას განზრახ გამოვტოვე ერთი სიტყვა, რომელს დიდი მნიშვნელობა აქვს და ნესტანის შეხედულებას მეტად ართულებს; რას ნიშნავს ამ ლექსში სიტყვა „კვლა“?

ჩვეულებრივი განმარტებით „კვლა“ არის – ისევ, კიდევ, რაც „განმეორებას“ ნიშნავს.

სიტყვა „კვლა“ ვტნში ნახმარია 162-ჯერ. ეს სიტყვა „კვლა“ 145-ჯერ ნიშნავს – ისევ, კიდევ, კვლავ; მხოლოდ 17 შემთხვევაში მისი მნიშვნელობა არის – მერმე, შემდეგ, მასუკან. რომელი აზრით არის ეს სიტყვა ნესტანის წერილში ნახმარი? თუ ამ სიტყვის აზრი არის – „ისევ“, „კიდევ“, „კვლავ“, მაშინ საქმე გვაქვს განსაკუთრებულ შეხედულებასთან. მაშინ ამ განმარტების მიხედვით ნესტანი ამბობს – შეავედრე ჩემი თავი ღმერთს, ნუთუ მან კვლა, ისევ, კიდევ, განმეორებით დამხსნას, მომაშოროს ჩემს შემადგენელ ელემეტებს: ცეცხლსა, წყალსა, მიწასა და ჰაერსაო, ესე იგი, ისევ მომკლასო. მაშ, ამ გაგებით, ნესტანი ამბობს: მე ძველად, ოდესღაც ვიყავი ცოცხალი არსება, მერმე მოვკვდი; მერმე ისევ დავიბადე; ახლა ისევ ცოცხალ ვარ; და ახლა ისევ ვეხვეწები ღმერთს, რათა მან ისევ მომკლასო. ამგვარად, ამ უბრალო სიტყვით „კვლა“ ვეხეჩებით მეტად რთულ საკითხს, რომელი „პალინგენესის“ შეეხება.

***

პალინგენესის არის შეხედულება ხელახლა დაბადების შესახებ. იგი იყოფა სამ ნაწილად: 1. რესურეკციო (აღდგომა), 2. ტრანსმიგრაციო (გადასახლება, ჩასახლება, ჩადგომა, შეხიზვნა, ანუ ძველი ქართულით – „სულთ ცვალება“), 3. რეიკარნაციო (ხორცთშესხმა, განკაცვა).

რეიკარნაციო (მეტენსომატოსის) გულისხმობს ინკარნაციოს. ესე იგი, რეიკარნაციო არის განმეორება ინკარნაციოსი. ინკარნაციო თავის მხრივ არის ხორცთშესხმა; ამ რწმენის მიხედვით, ღვთიურსა და ზებუნებრივ ძალას შეუძლია ადამიანის ან პირუტყვის სახე მიიღოს და ამ სახით დედამიწაზე სიცოცხლე განაგრძოს. ინკარნაციოს იდეას ვხვდებით ინდოეთში, ეგვიპტეში, აქედან საბერძნეთში, და შემდეგ ქრისტიანობაში და ისლამში. ქრისტიანობაში ინკარნაციო მხოლოდ ერთჯერ მოხდა – ქრისტე ღმერთმა კაცის სახე მიიღო, ხორცი შეისხა, განკაცდა, ანუ როგორც ქრისტიანულ მწამსშია ნათქვამი: მრწამს... (ქრისტე), რომელი ჩვეთვის კაცთათვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, და **ხორცნი შეისხნა** სულისაგან წმიდისა, და მარიამისაგან ქალწულისა **განკაცნა**... და ამას მოსდევს რესურეკციო, ანუ აღდგომა, ანუ: განკაცებული ღმერთი

ქრისტე ჯვარს ეცვა და დაეფლა; და აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა, და ამაღლდა ზეცად...

თავისთავად ცხადია, ნესტანის თქმა „კვლა“ სიკვდილის შესახებ არც ინკარნაციო და არც რეინკარნაციო არ არის.

***

ტრანსმიგრაციო (მეტემპსიხოსის) არის სულის გადასვლა, სულის ჩასახლება ერთი გვამის სიკვდილის შემდეგ მეორე, ახლად დაბადებულ გვამში; როცა კაცი კვდება, მისი სული ახლად დაბადებულ გვამში შეიხიზნება, ან მცენარის ტანში, ან სხვა ცხოველის გვამში სადგურდება. სულის ამ გადასახლება და შეხიზვნის მიზანია სულის ზნეობრივი განწმენდა, მონანიება ცოდვათა, რომლის შემდეგ სული უკვდავებას მიაღწევს. ეს შეხედულება სულის ბინადრობის ცვლის შესახებ მოდის ინდოეთიდან, სადაც იგი ბრაჰმანიზმში იყო გაბატონებული. იგი შეითვისა ბუდთიზმმა, რომლის სწავლის მიხედვით, სული გადადის ერთი გვამიდან მეორეში, სანამ იგი თანდათანობით ცოდვათაგან არ განიწმინდება და დაბოლოს ნირვანას არ მიაღწევს.

ტრანსმიგრაციოს რწმენა გავრცელებული იყო ეგვიპტეში და „მკვდართა წიგნის“ მე-12 თავი მას ეხება, თუმცა ბუნდოვანად. შემდეგ იგი გავრცელდა ძველ საბერძნეთში, ჰელლადაში და ორფეოსულმა მოძღვრებამ იგი თავის საფუძველად გაიხადა. და პითაგორეიზმში მან მთავარი ადგილი დაიკავა. ემპედოკლესმა (გარდაიცვალა 432 წ. ქრ. წინ) ეს შეხედულება გააფართოვა და მცენარეებში სულის შესახლება აღიარა. პინდარსაც რწამდა სულის გადასახლება. ორფეოსულ-პითაგორასული გავლენით, პლატონი ამ შეხედულებას ითვისებს და ანვითარებს. მისი აზრით, სულის შეხიზვნის ათი ხარისხი არის; თითოული გრძელდება ათასი წელიწადი, სანამ სული საბოლოოდ არ განიწმინდება და თავისი უგვამო სიცოცხლით ღმერთს არ მიაღწევს. ფილოსოფიურ სულთათვის საკმაოა სულის სამჯერ შეხიზვნა და ის სულნი, რომელნი განწმენდას ვერ მიაღწევენ, საუკუნოდ ტარტაროსში (ჯოჯოხეთს) ჩავარდებიანო. ხოლო განწმენდილნი, მართალნი სულნი მეორე, საიქაო ცხოვრებას დაიწყებენ დარჩებიან ნეტარი განსვენებით მათ ნათესავურ ვარსკვლავებზე, ესე იგი, დასახლდებიან იმ ვარსკვლავზე, რომლის თვისებანი ამ სულის თვისებებს შეეფერებიანო. სულნი მამაკაცთა, რომელნი გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდნენ, სიკვდილის შემდეგ დედაკაცის ბუნებაში უნდა გადავიდენ, და მათ თუ კიდევ არ მოიშალეს გარყვნილება, მაშინ ისინი პირუტყვთა გვამში უნდა ჩადგნენო, შევიდენ ვირში, მგელში, ლომში და სხვა.

მთელი ეს რწმენა სულის ჩასახლების, ჩადგომის შესახებ, იმ შეხედულებიდან გამომდინარეობს, რომ დაბადება, შობა არის ტანჯვა, წამება სულისათვის; ვინაიდან სული ცაშია, ვარსკვლავებზეა, ან ღმერთთან არის, ამიტომ სული იძულებული ხდება გვამის დაბადებისას თავის სამშობლოს მოსწყდეს და დაბადებულ ტანში ჩადგს, და ამგვარად, მოვიდეს ამ ცოდვილ ქვეყანაში, კეთილი საიქიოდან ბოროტ სააქაოში ჩამოვიდეს.

ბევრი მოაზროვნე უარჰყოფდა სულის გადასვლას პირუტყვებში, ან მცენარეებში; მათი აზრით, გონივრულ სულს არ შეუძლია ჩასახლდეს უგონო გვამშიო; ამიტომ ფიქრობდნენ, კაცის სული, გვამის სიკვდილის შემდეგ, ისევ ახლად დაბადებული ბავშვის გვამში დგება ხოლო პირუტყვისა – პირუტყვისაშიო. ამ შეხედულებას იზიარებდნენ ნეო პლატონიანნი პორფირიოს და იამბლიხოსი. და რადგან პლატონის შეხედულება ამას ეწინააღმდეგებოდა, ამიტომ ისინი პლატონის აზრს ასე განმარტავდნენ – როდესაც პლატონი ლაპარაკობს კაცის სულის ჩასახლების შესახებ ვირებში, მგლებში, ლომებში და სხვა, ამას იგი სურათოვანად ამბობს და აღნიშნავს მხოლოდ იმ პირთ, რომელნიც ამ პირუტყვთ ემსგავსებიან თავისი უგონობით, უვიცობით და მხეცობითო. 59. გვ. 183.

პლოტინოსის მიხედვით. თავისთავად კაცის სული არის უმწიკვლო და უცთომელი; თუ იგი ცოდვას ჩადის, ან სცთება, ეს იმიტომ, რომ იგი ექვემდებარება ვნებებს ანუ: ცხოველური ბუნების გემოს უთმობსო. თუ კაცის სული ცოდვას ჩადის, იგი მით არის დასჯილი, რომ მან ახალნი გვამნი უნდა გაიაროს, ახალ ტანში უნდა დასადგურდეს, თვით მცენარეში გადასვლითაც კიო (ენეადა 4, 7, 6). ეს საყოველთაო რწმენაა, ამბობს პლოტინოსი, რომ ცოდვილნი სულნი გადადიან ახალ გვამებშიო... 224.

ნეოპლატონიან იამბლიხოსის მოწაფე თეოდორე ასინელი სულთა შეხიზვნას აღიარებდა, მხოლოდ თავისებური განმარტებით: კაცის სული პირუტყვში შედის დასასჯელად, ოღონდ პირუტყვს თავისი საკუთარი სული აქვსო; პლუტარხოსი მეტამპსიხოსს აღიარებდა; ჰიეროკლესი მას არ სცნობდა; სირიანოსი და პროკლოსი ფიქრობდნენ, თვითეული სული ერთჯერ მაინც თითოულ ხანაში გადადის სხვა ცხოველშიო, და თუ აქ სული ცოდვებით დაიტვირთა, მისი გადახიზვნა და შეხიზვნა კვლავ გაგრძელდებაო. – ვ. შტეტტნერის თქმით, – პროკლოსი სულის ჩასახლებას პირუტყვში უარსა ჰყოფს, და პორფირიოსის მსგავსად ფიქრობს, კაცის სული ისევ კაცს შეეხიზნებაო. 225.

თომას უაითტეკერის განმარტებით, პროკლოსი უაჰყოფს, თითქო კაცურ სულს შეეძლოს პირუტყვის სულად გახდესო; თუმცა იგი სჩანს ფიქრობდა: კაცის სულს შეუძლია შეუერთდეს და უხელმძღვანელოს უხეშ სულსო. პლატონის რწმენას პირუტყვში სულის შეხიზვნის შესახებ იგი მითოსად სთვლის. მისი მნიშვნელობა ისაა, რომ თითოული ცოდვა სრულდება რომელიმე უხეში გვამის სიცოცხლის განხორციელებაში, მისი ტანის მიღებითო. 225ა.

როგორც ვხედავთ, ნეოპლატონიზმი საერთოდ სულის შეხიზვნის („სულთა ცვალების“) რწმენას იზიარებდა, თუმცა სხვა და სხვა იერით: სული გადადის პირუტყვში; მცენარეში; კაცში მხოლოდ; და სხვა. ეს არ უნდა დავივიწყოთ, – განსაკუთრებით პროკლოსის აზრი დავიმახსოვროთ.

***

მეტემპსიხოსის ჰქადაგებდნენ აგრეთვე გნოსტიკოსები: ბასილიდეს, ვალენტინიოს, კარპოკრატეს, მარკიონ (მარციონ), პრისცილიანუს და სხვანი. ამ რწმენის გადმონაშთი შერჩათ პაულიკიანებს, ალბიელებს (ალბიგენსებს) და სხვათაც. ეს რწმენა გავრცელებული იყო აგრეთვე ისრაელთა შორისაც, კაბბალისტურ წრეებში. ყველა სული განიცდის გადასახლებასო, – ნათქვამია „ზოჰარ“ში („წიგნი სინათლისა“). 226.

ქრისტიანი ფილოსოფოსი ნემესიოს გადმოგვცემს მანიქეანთა შესახებ – მათი აზრით, წმიდა სულნი ნათელს უერთდებიან, ხოლო ის სულნი, რომელნი მატერიის მიერ შერყვნილ არიან, ელემენტებში შედიან, ხოლო აქედან კიდევ გადადიან პირუტყვებში და მცენარეებშიო. 227.

***

ინდოეთის ძველთა კანონთა მიხედვითაც (მანუ), ცოდვილმა სულმა მრავალი და მრავალი წელიწადი უნდა დაჰყოს საშინელ ჯოჯოხეთში, ხოლო შემდეგ აქედან გამოსული სული უნდა გადავიდეს ძაღლში, ღორში, ვირში, აქლემში, თხაში, ცხვარში და სხვა. (მანუ 12, 53 – 81). 24. გვერდი 197.

***

ტრანსმიგრაციოს რწმენა, ანუ არაბულად „ტანასუხ“, გავრცელებულია აგრეთვე ისლამურ სექტებში, ყარმატებისა და ისმაილიტების შეხედულებით არსებობს მეტამპსიხოსის ოთხი ხარისხი. შიიტებს რწამთ მეტემპსიხოსის იდეა. მუტაზალიტ აჰმედ ბენ ჰაიტის მიმდევრებიც მას აღიარებენ. მუსულმანურ განხრაში, „ნოსაირებსაც“ სჯერათ იგი. 228. ნოსაირთა შეხედულებით, ყველა არა მორწმუნე, ყველა სუნნიტი მუსულმანი, სიკვდილის შემდეგ, გარდაიქცევა აქლემად, ვირად, ძაღლად, და სხვა. ნოსაირთა რწმენით, მორწმუნე სული გაივლის მეტამპსიხოსის შვიდ საფეხურს და შემდეგ ადის ისევ ვარსკვლავებზე, საიდანაც იგი პირველად ჩამოვიდა.

ანზ და დუსოს გამოკვლევით, ნოსაირთა შეხედულება სულის მიერ შვიდი საფეხურის გავლის შესახებ არის იგივე ასტროლოგიური სწავლა სულის შვიდ მნათობზე გავლის შესახებ, რომელმაც როგორც სპარსულ რწმენაში, ისე ნეოპლატონიანთა და გნოსტიკოსთა შეხედულებაში ფეხი მოიდგაო.

დრუზები ფიქრობენ, ალის მტრების სულნი ძაღლთა გვამში გადადიანო; ქურთები და იაზიდები აღიარებენ სულის გადასვლას, ოღონდ ერთი სულის გადასვლიდან მეორე გადასვლამდე 72 წელიწადი უნდა გავიდესო და სხვა. 229.

***

ამ მცირე მიმოხილვის შემდეგ ისევ ნესტანის შეხედულებას დავუბრუნდეთ –

ნესტანი ტარიელს უთვლის: ღმერთს შეეხვეწე, რათა მან ნესტანი „კვლა“ დახსნას ქვეყნის ტანჯვასა და მწუხარებას, სიცოცხლესო. არის ნესტანის შეხედულება „კვლა სიკვდილის შესახებ“ მეტამპსიხოსის რწმენა? ზერელე

შეხედვით მართლა ასე მოსჩანს – ნესტანი ნატრულობს: ღმერთმა ისევ დამხსნას სიცოცხლესო, ისევ სიკვდილი მომანიჭოსო. მაგრამ სიცოცხლისაგან დახსნისა და სიკვდილის მიღების შემდეგ ნესტანი სრულებითაც არ ფიქრობს, მისი სული სხვა არსებაში შეიხიზნება. პირიქით: ნესტანი ღმერთსა სთხოვს ფრთები მომეცი მზეზე ასაფრენადო!

თუ ნესტანის თქმის პირველი ნაწილი ზერელედ გვაფიქრებინებს, რომ ნესტანს მეტამპსიხოსი სწამს; ეს მეორე თქმა პირველს სავსებით ეწინააღმდეგება, რადგან ნესტანი, სიკვდილის შემდეგ პირდაპირ მზეზე ასვლას მოითხოვს. ამგვარად: ნესტანის შეხედულება სულის შეხიზვნის სწავლას სრულებით არ ეგუება.

მაშასადამე, ნესტანის რწმენა არც პლატონურ და არც ნეოპლატონურ და არც მანიქეურ აზრს სულის ჩასახლების შესახებ, და არც სხვა რომელიმე მეტაპსიხოსურ იდეას არ გამოსახავს. ამას გარკვევით ვამბობ მათ საყურადღებოდ, ვინც ფიქრობს, ვეფხისტყაოსანში ნეოპლატონურნი და მანიქეურნი შეხედულებანი არიან გამოთქმულნიო...

***

სიტყვას „კვლა“ აქვს მეორე მნიშვნელობა. ვახტანგ მეფის განმარტებით, „კვლა“ არის „მასუკან“ ს. ს. ორბელიანის ახსნით, „კვლა“ არის „მერმესავით“. ეს სიტყვა „კვლა“, თუ არ ვცდები დათვლაში, ნახმარია ვტნში 17-ჯერ. თუ სიტყვის ასეთ განმარტებას მივიღებთ, მაშინ ნესტანის ნათქვამის ახსნა ასეთი იქნება –

ღმერთსა შემვედრე, რათა მან მერმე, შემდეგ, მასუკან დამხსნას სოფლის მწუხარებასო; შეევედრე ღმერთს, ნუთუ მერმე დამხსნას ოთხთა ელემენტთაგან, მომკლასო; ამას შემდეგ ღმერთმა მომცეს ფრთები მზეზე ასაფრენადო...

ეს განმარტება სიტყვისა „კვლა“, რომელიც აქ ნიშნავს: „მერმე“, „შემდეგ“ რომ სწორია, ამას გვიდასტურებს კიდევ ერთი ლექსი, რომლით ასმათი ავთანდილს ეუბნება მისი მუქარის საპასუხოდ –

თუ არ მომკლავ, არ მოვკვდები, მრთელი ვარ და მოუკლავი...

კვლა თუ მომკლავ, სასაუბროდ აღარ მედგას ზედა თავი (240).

„კვლა“ აქ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს: „ისევ“, „კიდევ“, რადგან ავთანდილს ასმათის ორჯერ, განმეორებით მოკვლა არ შეუძლია; მაშ, სიტყვა „კვლა“ აქ არის „მერმე“, „შემდეგ“; და ასეთი განმარტებით ნესტანის ნათქვამი გასაგებია.

დასკვნა

მთელი ამ მიმოხილვის შემდეგ გამოირკვა –

1. ნესტანი ტარიელს თხოვს, იგი ღმერთს შეევედროს,

2. ტარიელმა ღმერთს უნდა თხოვოს – ნესტანი დაიხსნას სოფლის, ქვეყანის შრომა-მწუხარებისაგან,

3. ტარიელმა ღმერთს უნდა თხოვოს, ნესტანი მერმე დახსნას ცეცხლსა, წყალსა, მიწასა და ჰაერსა, ანუ: შემდეგ მოაკვდინოს იგი,

4. ტარიელმა ღმერთს უნდა თხოვოს, ნესტანმა მერმე, სიკვდილის შემდეგ, მიიღოს ღმრთისაგან ფრთანი ცად ასაფრენად.

5. ტარიელმა ღმერთს უნდა თხოვოს, ნესტანს აუსრულდეს მისი ნდომა,

6. ეს ნდომა, ანუ სურვილი არის მზის ელვათა კრთომის დღისითა და ღამით ხილვა,

7. ღმერთი არის ყოველივე ამის გადამწყვეტელი და ამით იგი მზეზე უმაღლესი და უზენაესია.

9. მზედ დაგბადა.

თინათინთან საუბარში ავთანდილმა მას –

კვლაცა ჰკადრა: „აჰა, მზეო, რათგან ღმერთმან მზედ დაგბადა,

მით გმორჩილებს ზეციერი მნათობია რაცა სადა (135).

ავთანდილი ამ ლექსში ღმრთისა და მზის ურთიერთობას ზუსტად არკვევს, მისი აზრით, ღმერთმა შექმნა, ღმერთმა დაბადა მზე და ამ მზეს დაუმორჩილა სადაც კი ზეციერი მნათობია, – ყველა.

მართალია, აქ მზე თინათინთან არის შედარებული, მაგრამ არსებით მხარეს არა სცვლის ეს, რადგან ამ ლექსით ღმრთისა და მზის ურთიერთობა სავსებით ირკვევა. ეს ურთიერთობა ცხადია – ღმერთი არის მზის დამბადებელი, სულ ერთია: არის ეს მზე თინათინი, თუ ნამდვილი მზე-მნათობი.

***

სწორედ ამავე აზრს იმეორებს ავთანდილი ვაზირ სოგრატთან საუბარში, როდესაც ავთანდილი ვაზირს უსაბუთებს: მე უნდა ტარიელთან მივბრუნდეო და მას ეუბნება –

მის ყმისა ცეცხლი მედების, წვა მწვავს მისისა მწველისა (733)

მისი ნახვა გულსა ჩემსა ვითა ბადე დაებადა,

მუნვე დარჩა, დათმობაცა მასთანავე დაება, და,

რათგან დასწვავს მოახლეთა, ღმერთსა მზედცა დაებადა;

მერმე ასმათ ჩემთვის დისა მართ დად უფრო დაებად ა (734).

ანუ: ტარიელის ცეცხლი მედება; მისი დამწველის, ნესტანის წვა მეცა მწვავს; ტარიელის ნახვამ ჩემი გული იქვე (მუნ) დაარჩინა და დათმობაც, ანუ მოთმინებაც იქვე დაება; და (და არის განმეორება სიტყვისა და...რჩაო);

ღმერთმა შექმნა ტარიელი ვით მზე, რომელი თავის მოახლეთ, ახლო მყოფთ (ვარსკვლავებს) სწვავს და მერმე, ამას გარდა ასმათი ჩემთვის არის დაჲ ვითარცა საკუთარ დაზე უფრო მეტი დაო.

აქაც შედარებაა: ღმერთმა დაბადა მზე ტარიელი, ოღონდ ამ შედარებით ღმრთისა და მზის ურთიერთობაც ირკვევა – ღმერთმა შეჰქმნა დაბადა მზე.

***

სიყვარულით დამთვრალი ფატმანი ავთანდილსა სწერს –

ჰე, მზეო, ღმერთსა ვინათგან მზედ სწადი დასაბადებლად,

მით შეგქმნა მოშორვებულთა ჭირთა, არ ლხინთა მწადებლად,

ახლოს შემყრელთა დამწველად, მათად ცეცხლისა მადებლად,

მნათობთა შენი შეხედვა ტკბილად უჩნს, დასაქადებლად (1085).

ანუ: ჰე, მზეო! ავთანდილ, ღმერთსა სწადდა, სურდა შენ მზედ დაებადებინე; რადგან შენ ხარ მზედ დაბადებული, ამიტომ ღმერთმა შეგქმნა შენ მოშორებულთა შენგან ჭირში ჩამგდებად; მათთვის (ვინც შენგან მოშორებულია) არა მხიარულების მსურველად: ხოლო მათთვის, რომელნი შენთან, მზეო, არიან, ახლოს იმყოფებიან, შენ მათი დამწველი ხარ, მათთვის ცეცხლის მომდები: მნათობთ შენი შეხედვა ტკბილად მიაჩნიათ, საამაყოდ, დასაქადებელადო.

დასკვნა

1. ღმერთი მზეს ბადებს,

2. მზისაგან მოშორებულნი ლხინით არ არიან,

3. მზესთან ახლო მყოფნი იწვიან,

4. მნათობთ ტკბილად მიაჩნიათ მზის მზერა.

რას ნიშნავს ეს?

1). ღმერთი მზეს ბადებს – ეს არის რელიგიური დებულება.

2). მზესთან მოშორება და მზესთან შეყრა, ანუ: ჭირში ყოფნა და ცეცხლით დაგვა – ასტრონომიული მოვლენაა, აქ ფსიქოლოგიურად გამოყენებული, დასურათებისათვის.

4). მზის ტკბილი მზერა – ასტროლოგიურია და ნიშნავს: მზის კარგი, ტკბილი, ბედნიერი გავლენა ვარსკვლავებზე.

***

ასმათი მიბრუნებულ ტარიელსა და ავთანდილს ხედავს და

ასმათ თქვა: „ღმერთო, რომელი არ ითქმი კაცთა ენითა,

შენ ხარ სავსება ყოველთა, აგვავსებ მზეებრ ფენითა (917)

ღმერთის სავსება აქ შედარებულია მზესთან, რომელი თავის შუქთა ფენით ყველაფერს ავსებს. მაგრამ ამ შედარებაში თანასწორობა მაინც არაა, ვინაიდან ღმერთი უთქმელია კაცთა ენით და სავსებაა ყოველთა, და მაშასადამე, თვით მზის სავსებაც არის იგი, ღმერთი აქაც, რასაკვირველია, მზეზე უზენაესია.

***

დასასრულ, ვტნის ბოლოსიტყვაობაში მეფე დავითი შედარებულია ღმერთთან და მას მსახურებს სარებლად, ანუ მხლებელად ჰყავს მზე –

ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე მსახურებს სარებლად (1666).

მეფის ღმერთთან შედარება ჩვეულებრივია. ქართველთა ღმერთს დავითს მზე ჰყავს მხლებელადო. ოღონდ ამ ლექსის შესახებ დავაა, და იგი ყალბად არის გამოცხადებული, ან შესწორებული. პროფ. ნ. მარრმა იგი ასე შეასწორა: ქართველთა ღმრთისა, ვის მზესა დავით მსახურებს მთვარებლად... (იხილეთ ტეკსტი ი რაზ 12, 10:02). პავლე ინგოროყვამ ეს შესწორება არ აღნიშნა და იგივე შესწორება თავისად გამოაცხადა –

„454) სტროფი 1666. 1951 წ. გამოცემაში:

„ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე მსახურებს სარებლად...

„გასწორდა ისტორიული რეალიებისა და ვეფხისტყაოსანის პოეტიკის მონაცემების თანახმად: „ქართველთა ღმრთისა, ვის – მზესა დავით მსახურებს მთვარებლად“...

პროფ. ნ. მარრმა, და აგრეთვე, მის დაუსახელებელად და მისსავე მსგავსად, პ. ინგოროყვამ თავისი სურვილის თანახმად შეასწორეს ეს ლექსი, უსაბუთოდ, რასაკვირველია, არც ერთი ძველი ხელნაწერი ამას არ ადასტურებს.

საბოლოო დასკვნა

1. ღმერთმა დაბადა მზე

2. მზე არის ხატი მზიანი ღამისა

3. მზე არის ხატი ღმრთისა

4. მზე არის ხატი ერთარსებისა

5. მზე არის ხატი ერთისა

6. მზე არის ხატი უჟამოსა ჟამისა, ღმრთისა

7. მზე არის უმძლესთა მძლეთა მძლე

8. მზე არის უფალი ციურთა, ვარსკვლავთა

9. მზე არის თავმდაბალი მეფის ამამაღლებელი

10. მზე არის მეფისათვის სვის მიმნიჭებელი

11. მზე არის ბედის შემცვლელი

12. მზე არის სამართლიანი და უხვი

13. მზე არის ვაჟთათვის სიყვარულში შემწე.

***

ყველა ეს დებულება სამ ჯგუფად შეიძლება დალაგდეს –

ა. რელიგიური თვალსაზრისით –

1) ღმერთი არის შემოქმედი, მზე არის შექმნილი, დაბადებული ღმრთის მიერ.

ეს შეხედულება ვეფხისტყაოსანის თანამედროვე როელიმე რელიგიის კუთვნილება არ არის. იგი საერთოა ყველა რელიგიისათვის. მოსეს, ქრისტეს და მაჰმადის რჯულში ყველგან ღმერთია უზენაესი შემოქმედი და თვით მზე არის ღმრთის მიერ შექმნილი.

2) მზე არის ხატი ღმრთისა (ეს დებულება აქვეა ცალკე განხილული).

3) მზე არის ხატი მზიანისა ღამისა (ეს დებულებაც ცალკეა აქვე განხილული).

ბ. პოლიტიკური თვალსაზრისით –

მზე ცნობილია ვითარცა მეფობის გამოსახულება. ეს შეხედულება გადმონაშთია იმ მზიური რელიგიიდან, რომელში მზე იყო ღმერთი, მისი თანატოლი – მეფე, ხოლო განვითარების შემდგომ საფეხურზე, მეფე – მზის შვილი; მერმე: მეფე – მზის წარმომადგენელი; მზის ხატი – მეფე. მზის მძლეთა მძლეობა (სოლ ინვიკტუს) არის საერთო მოარული შეხედულება და მაშინდელი კულტურის ერთი დებადი; ამასთანავე დაკავშირებულია მეორე დებულება, რომლის თანახმად მზე არის სამართლიანი და უხვი; და მეფეც არის სამართლიანი და უხვი.

გ). ასტროლოგიური თვალსაზრისით –

1). მზე პირველია მნათობთა შორის,

2) მზეს ემორჩილებიან ციერნი,

3). მზე განაგებს ბედს.

დ). ფსიქოლოგიური თვალსაზრისით –

1). მზე არის მოშორებულთა ჭირის მიმცემი და მოახლეთა დამწველი, რასაკვირველია, სიყვარულში.

2). მზე არის შეყვარებულ ვაჟთა შემწე.

10. ვეფხისტყაოსანის მზე არის ღმერთი?

მზის ღმერთობის საკითხი ვტნის მკვლევარმა პავლე ინგოროყვამ წარმოადგინა და იგი თავისებურად, მანიქეიზმის სრული გაუგებლობით,

გადასწყვიტა. მან ჯერ კიდევ 1926 წელს თავის „რუსთველიანა“ში ასეთი უცნაური და უხამსი ამბავი გამოგვიცხადა –

„ვეფხისტყაოსანში გადმოცემული მსოფლმხედველობის თანახმად, მზე არის ღვთაების უშუალო ემანაცია, იგივე (?! ვ. ნ.) ღვთაება. ეს სავსებით შეეფერება მანიქეიზმის იდეებს (მანის სწავლის თანახმად მბუნება სინათლისა არის ერთი, მარტივი და ჭეშმარიტი“. – მანიქეიზმის თეოსოფია მზეს აღიარებს პირდაპირ ემანაციად ღვთაებისა). და პოემის თავდაპირველ დედანში (?: ვეფხისტყაოსანში. ვ. ნ.) წარმოდგენილი ყოფილა (?! ვ. ნ.) ისეთი ადგილები, სადაც პოეტი პირდაპირ მიმართავდა მზეს, როგორც ღვთაებას (?! ვ. ნ.)... ასე, ავთანდილის მნათობთადმი ლოცვა თვითონ (?! ვ. ნ.) რუსთაველის ტექსტში იწყებოდა (?! ვ. ნ.) ასეთი მიმართვით მზისადმი:

„მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:

აჰა, ღმერთო, გეაჯები, შენ უმძლესთა მძლეთა მძლესა!“

„ეს ადგილი, სადაც მზე წარმოდგენილია როგორც ღმერთი, რასაკვირველია, უკიდურეს საცთურს წარმოადგენდა საშუალო საუკუნეთა ორთოდოქსი მკითხველისათვის, – ამიტომ ეს ლექსი გადაუკეთებიათ შემდეგნაირად:

„მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:

აჰა, მზეო, გეაჯები, შენ უმძლესთა მძლეთა მძლესა!“

„ეს გადაკეთებული ტექსტი წარმოდგენილია ყველა, და მათ შორის ვახტანგისეულ დედანში. მხოლოდ ერთ ვერსიას (რ – ხელნაწერს) შეუნახავს რუსთაველის ძველი წაკითხვა“-ო, – ასე გვარწმუნებს მკვლევარი პავლე ინგოროყვა. (რუსთველიანა. თბილისი, 1926. გვერდი 60–61).

ასეთმა უცნაურმა და გასაკვირველმა ამბავმა, ცხადია, პასუხი გამოიწვია.

პროფ კორ. კეკელიძე, საფუძვლიანად და სამართლიანად, საკითხის ცოდნით პავლე ინგოროყვას შეეკამათა და მას უმტკიცებდა, ვეფხისტყაოსანში მანიქეიზმის არავითარი გავლენა არ არისო, იგი სწერდა –

(როგორც ამბობს პავლე ინგოროყვა) „პოემაში გადმოცემული მსოფლმხედველობის თანახმად, მზე არის ღვთაების უშუალო ემანაცია, იგივე ღვთაება, ეს სავსებით შეეფერება მანიქეიზმის იდეებს: პოემის თავდაპირველ დედანში წარმოდგენილი ყოფილა ისეთი ადგილები, სადაც პოეტი პირდაპირ მიმართავდა მზეს, როგორც ღვთაებსა“-ო. (გვ. 60 – 61).

„ასეთი ადგილები, – ამბობს პროფ. კორ. კეკელიძე, – პოემაში არ არის, არის მხოლოდ ერთი სტროფი, რომელშიც ავთანდილი მზეს მიმართავს „აჰა, მზეო“ (831) და რომელიც ჩვენს მკვლევარს (პ. ინგოროყვას), ერთ–ერთი შემთხვევითი ხელნაწერის მიხედვით გადაუკეთებია ასე: „აჰა, ღმერთო“. (აქაა შენიშვნა პრ. კ. კეკელიძისა: თუ რ–ხელნაწერი იგივე (–რ) ხელნაწერია, რომელიც ინგოროყვას სიტყვით „წარსულ საუკუნის სამოციან წლებიდან სადღაც უკვალოდ დაიკარგა და არც ერთს ქართულს მუზეუმში იგი

დღემდე არ შემოსულა“ (გვ. 349), საიდან გაიგო მან, რომ იმაში „მზეო“ კი არ ეწერა, არამედ „ღმერთონ?“.

და პროფ. კორ. კეკელიძე განაგრძობს –

„მანიქეიზმი სასტიკად არჩევს ღმერთს მზისაგან, რამდენადაც უკანასკნელს ის ღვთის ქმნილებად სთვლის. ვეფხისტყაოსანიც სასტიკად განარჩევს ღმერთს მზისაგან; აქ ჩვენ ვკითხულობთ: „აჰა, მზეო, ვინ ხატად გთქვის ერთარსებისა ერთისა“, „ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი“ (7199, 720). აქ მზე წარმოდგენილია არა ღმერთად, არამედ მის ხატად, ესე იგი – მსგავსებად. ამ შემთხვევაში გადმოცემულია იმ ღვთისმეტყველთა („ფილოსოფოსნი წინანი“) აზრი, რომელნიც ღვთაების ერთდერთ სახედ მართლაც მზეს ხატავდენ და ამით ამტკიცებდენ მის სამპიროვნებას და სამგვამოვნებას; მზე თავის თავად ერთი რამ არის, მაგრამ ამავე დროს ის სამგვამოვანია: თვით დისკო მზისა (მატერია), სინათლე და სითბო. მაშასადამე, აქაც ერთი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ჩვენი პოემისათვის არაა უცხო „ერთარსება სამების“ იდეა. დებულება, რომ მზე ღვთაების ხატია, ქრისტიანიზმისაგან შეითვისა ნეოპლატონიზმმა; ჩვენს პოემაში გამოთქმული აზრი, რომ ადამიანი „წილია მზისა“, ეკუთვნის არა მანიქეიზმსს, როგორც ინგოროყვას ჰგონია (გვ. 61), არამედ იმავე ნეოპლატონიზმს, როგორც ეს თავის დროს დოკუმენტალურად აღნიშნა ნ. მარმაც“-ო (ვსტუპიტელნიე ი ზაკლ‌ᲣᲩიტელნიე სტროფი. სტრ. 57)“. (იხილეთ პროფ. კორ კეკელიძე – „რუსთაველიანა“. კრებული „მნათობი“, ნომერი 2. თბილისი, 1927 წ. გვ. 199 – 200).

პროფ. კორ. კეკელიძის სამართლიან ნათქვამში სამი შეცდომაა: 1). პირველი შეცდომა აიხსნება იმით, რომ პროფესორი კორ. კეკელიძე ერთ დროს სასულიერო სასწავლებლის მოწაფე იყო, და იქ კი ასწავლიდნენ, ქრისტიანობისაგან ისესხა ბევრი რამ ნეოპლატონიზმმაო. ნამდვილად კი, როგორც ეს ჩემს მიერ არა ერთჯერ არის აქაც და „ვტნის ღმრთისმეტყველება“ში ნაჩვენები, ნეოპლატონიზმმა ქრისტიანულ ფილოსოფიურ მოძღვრებაზე გავლენა მოახდინა. 2) არც ის დებულებაა სწორი. თითქო ადამიანი „წილი მზისა“ მაინც და მაინც ნეოპლატონიზმს ეკუთვნოდეს, ეს დებულება არის ასტროლოგიური და იგი ყველა მოძღვრებაშია დაბუდებული (იხილეთ აქვე ჩემი ნარკვევი: „ტარიელი მზის წილი“). 3). პროფ. კორ. კეკელიძეს და სხვებსაც სჯერა, თითქო პროფ. ნ. მარრმა „დოკუმენტალურად აღნიშნა“ რუსთაველის ნეოპლატონიკოსობაო. ეს შემცდარი შეხედულება ბევრის მიერაა გაზიარებული, ოღონდ ამაზე სიტყვას არ ვაგრძელებ, რადგან ამის შესახებ ამავე წიგნშია საუბარი.

***

მანიქეიზმისა და მზის საკითხს ზურაბ ავალიშვილიც შეეხო 1931 წელს, და მან გვაუწყა:

„მაგრამ საქმეც ისაა, რომ მანიქენელნი მზეს **ღმერთად არასოდეს არ** სთვლიდნენ; კარგად ცნობილია, რომ მათი რწმენით ღმერთი იყო „სინათლის სამეფოთა მეფე“; მზეს კი ეთაყვანებოდნენ ვითარცა „უდიდეს ნათელ სხეულს“ და ღვთიურ სინათლეს: ხოლო მათი ლოცვა ყოველთვის ღვთის და არა მზის მიმართ იყო. გარდა ამისა, სინათლის და სიბნელის კოსმიურ ბრძოლაში (რომლის ძირითადი აზრი მანიმ ძველ სპარსულ სარწმუნოებითგან ამოიღო), მზეც გარკვეულ სამსახურს ასრულებს, არა ღმერთისა, არამედ გამარჯვებულ „ნათელ ნაწილთა“ სამოთხისაკენ ამაღლების გზაზედ ერთი სადგურისანო. და ზ. ავალიშვილი დაასკვნის: „მაშასადამე, მზის მიმართ ეს „აჰა, ღმერთო!“ სრულებითაც არ უდგება, „სავსებით“ “მანიქეიზმის თეოსოფიასნო“. 190. გვ. 53.

***

პროფ. კორ. კეკელიძისა და ზურაბ ავალიშვილის საბუთიან და სამართლიან შენიშვნათა შემდეგ, წესიერი მკვლევარი მანიქეიზმის შესწავლას გულდასმით შეუდგებოდა, რათა თვითონ დარწმუნებულიყო სხვათა შეცდომაში, ან სიმართლეში და მზის საკითხში ვტნში სათანადოდ გამოერკვია, მაგრამ პ. ინგოროყვას, ეს აინუნშიაც არ მოსვლია და ამისათვის თავი არ შეუწუხებია. გარნა ეს თავისი აკინჭილებული აზრი მან გაიმეორა კიდევ ქართული უნივერსიტეტის მიერ დაბეჭდილ ვტნში, ცხრა წლის შემდეგ, 1937 წელს, – ...ოღონდ... მან მანიქეიზმი აღარ მოიხსენია, არამედ ზოგადი ზერელე სიტყვებით გაგვიმასპინძლდა იგი. აღნიშნული ვტნის შესავალში პავლე ინგოროყვა სწერს: –

„შოთას ფილოსოფიური მსოფლმხედველობა შეიცავს პანთეისტურ ელემენტებს. შოთა ჰქადაგებს სინათლის ერთგვარ მატერიალიზმს. შოთას პოემაში ღვთაება წარმოდგენილია როგორც კოსმიური ნათელი, რომლის სრულყოფილი გამოვლინებაა მზე. ვეფხისტყაოსანში ჩვენ გვაქვს პოეტური რელიგია ღვთაება-მზისა, რომელიც აღიარებულია კოსმიური წყობის დასაბამად“-ო. (გვერდი 29).

პანთეისტური **ელემენტები**! სინათლის **ერთგვარი მატერიალიზმი! კოსმიური ნათელი!** გამოვლინება მზისა! **პოეტური რელიგია! ღვთაება მზე** – კოსმიური წყობის დასაბამი! არ ინება და არ აგვიხსნა ყველაფერი ეს პავლე ინგოროყვამ, ოღონდ გამოგვიცხადა: –

„მოგვყავს ორი ადგილი პოემისა, სადაც ყველაზე ნათლად მოსჩანს შოთას ეს ფილოსოფიური კონცეფცია ღვთაება-მზის შესახებ“-ო.

პირველი მისი საბუთია ნესტანის წერილის ის ადგილი, სადაც ეს ქალბატონი ტარიელსა სწერს: –

„სული ჩემი შეივედრე, ზეცით მომხვდეს ნუთუ ფრთენი“.

„ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,

ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა,

მომცნეს ფრთენი და აღვფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა,

დღისით და ღამით ვჰხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა“.

„მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი.

განაღამცა მას იახლე მისი ეტლი, არ თუ წბილი!

მუნა გნახო, მადვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი,

თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი“.

„მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რათგან სულსა“.

„მეორე ადგილი პოემისა, სადაც ჩვენ ვეცნობით შოთას ამ ფილოსოფიურ კონცეფციას ღვთაება-მზის შესახებ, ეს არის მნათობთა ლოცვა ავთანდილისა, სადაც რუსთაველი, ლეგენდარული ორფეოსის მსგავსად, გააცოცხლებს მთელს ბუნებას...

„მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:

„აჰა, ღმერთო, გეაჯები შენ უმძლესთა მძლეთა მძლესა!“

ამრიგად, რუსთაველი აქ მზეს პირდაპირ უწოდებს ღმერთს. მზე-ღმერთი, – ეს არის წყარო დაუშრეტელი სინათლისა, იგი არის „უმძლესთა მძლეთა მძლე“, რომელიც ყოველდღიურად ახლდება და იმარჯვებს ბნელზე“.

„ასეთია საერთო აბრისი რუსთაველის რელიგიურ–ფილოსოფიურ შეხედულებათა, რომელიც პანთეიზმის ელემენტებს შეიცავს“-ო, დაასკვნის პ. ინგოროყვა.

მაშ, გავერკვეთ ამ ამბავში.

***

პ. ინგოროყვას პირველი საბუთია ნესტანის წერილის ტარიელისადმი აქ ამოწერილი ადგილი: „ღმერთსა შემვედრე“... ეს ლექსი აქვე, სიტყვა სიტყვით და დაწვრილებით გავარჩიე და მასში არც ერთი სტრიქონი, არც ერთი სიტყვა არ გვაფიქრებინებს, თითქო აქ „მზე“ იყოს „ღმერთი“. პირიქით და წინაუკმოდ: „მზე“ აქ დაქვემდებარებულია „ღმერთზე“; ნესტანი სრულიად გარკვევით ამბობს, და არ შეიძლება ამას ყურადღება არ მიექცეს: ტარიელო შენ, ჩემი თავი ღმერთს შეავედრე, რათა მან მე, ნესტანს, ფრთები მომცეს და მე ღმერთისაგან მოცემული ამ ფრთებით აღვფრინდე და მივაღწიო ჩემს სურვილსო – დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასაო. მზეზე აფრენა და მზეში ყოფნა მზის ელვათა კრთომის ხედვა არავითარი, არც ფილოსოფიური და რელიგიურ-ფილოსოფიური დებულება არ არის, – იგი ჩვეულებრივი ასტროლოგიური შეხედულებაა სულის მზეზე აფრენის შესახებ (დაწვრილებით ამის შესახებ აქვე), ხოლო პ. ინგოროყვას იმ დებულებას რაც შეეხება, რომლის მიხედვით:

„თითონ პოემის შ ვ ი დ ნ ი გ მ ი რ ნ ი არიან „მზის წილი“, ღვთაება-მზის ინკარნაცია“, – ეს დასკვნაც ვტნის სრული გაუგებლობით არის გამოწვეული.

***

„აჰა, მზეო“ს და „აჰა, ღმერთო“ს საკითხს დავუბრუნდეთ. პირველად ყოვლისა გარეგნული მხრით განვიხილოთ იგი.

სამართლიანია პროფ. კორ. კეკელიძის შეკითხვა და ასეთ შეკითხვას ყოველი მკითხველი მასთან ერთად წარმოადგენს: საიდან გაიგო პავლე ინგოროყვამ, რომ რომელიღაც ხელნაწერში იყო „აჰა, ღმერთო“? გარნა ამ საკითხის გაფართოებაც შეიძლება.

„ეს ლექსი გადაუკეთებიათ“ო, გვაუწყებს პ. ინგოროყვა. საიდან და ვისგან მიიღო მან ეს შესანიშნავი ცნობა? პ. ინგოროყვა დიდი მისნობის ნიჭით უნდა იყოს დაჯილდოებული, რადგან მან განჭვრიტა წარსული და იქ სადღაც იხილა ვეფხისტყაოსანის ნამდვილი დედანი, თვითონ შოთა რუსთაველის ხელით ნაწერი, სადაც შავით თეთრზე ნათქვამი ყოფილა „აჰა, ღმერთო“ და არა შემდეგ ხანაში „ბრიყვ“ „გადამწერთაგან! გამოგონილი „აჰა მზეო“!!

პ. ინგოროყვა გვაცნობებს, რომ: ეს გადაკეთებული ლექსი – „აჰა, ღმერთო“ს ნაცვლად “აჰა, მზეო“ – ყველა ხელნაწერში არისო. მაგრამ თურმე ერთ ხელნაწერს (რ—ხელნაწერს) იგი შემოუნახავს, ოღონდ დახე უბედურებას! ეს რ–ხელნაწერი დაკარგულა (ინგოროყვას სიტყვით) მესამოცე წლებიდან წარსული საუკუნისა და იგი არც ერთ მუზეუმში არ შესულა. საიდან გაიგო პავლე ინგოროყვამ (ვიმეორებ პროფ. კორ. კეკელიძის გაკვირვებულ შეკითხვას), რომ **იმ დაკარგულ ხელნაწერში „აჰა, ღმერთო“ ეწერა?**

ეს საკითხი გაფართოვდა, როდესაც ხელთ ჩამივარდა, ჩემი ძმის გიორგის (პარიზში) წყალობით პ. ინგოროყვას რედაქციით „საბჭოთა მწერალის“ მიერ 1953 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსანი. ამ გამოცემის დანართში პ. ინგოროყვას ჩამოთვლილი აქვს ვტნის დარჩენილ ხელნაწერთა ცხრამეტი, ხოლო გაგარინისეულიანათ ერთად, სულ ოცი ხელნაწერი. მართლაც: აქ ჩამოთვლილ და ცნობილ ოც ხელნაწერში რ–ხელნაწერი **არ** მოიპოვება. მაგრამ ეს სადავო ლექსი პ. ინგოროყვამ მაინც შეასწორა (ნომ. 282.) და მან იგი ასე აგვიხსნა:

„სტროფი 957,2. 1951 წლის გამოცემაში: „აჰა, მზეო, გეაჯები“... გასწორდა ხელნაწერის ჩვენების თანახმად: „აჰა, ღმერთო, გეაჯები“-ო. და აქ, ამ შესწორებას აქვს შემდეგი შენიშვნა: „1) იხ. ბაქრაძისეული ვარიანტი (შეად. პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, 1926 წ. გვ. 61).

გადავშალე „რუსთველიანა“-ს 61 გვერდი და ვიხილე: აჰა, ღმერთო ეწერა რ–ხელნაწერშიო! აი, ნამდვილი ჯადო წრე! ოღონდ მაინც ვიერთგულე და „ბაქრაძისეულ ვარიანტს“ ძებნა დავუწყე აღნიშნულ დანაშთ ხელნაწერთა შორის. და... პ. ინგოროყვას მიერ ჩამოთვლილ ხელნაწერთა შორის „ბაქრაძისეული ვარიანტი“ არ აღმოჩნდა! ამ გარემოებამ ძალზე გამაკვირვა... მხოლოდ შემდეგ, როდესაც შეცთომათა გასწორებას გადავხედე, აღმოვაჩინე იგი „შენიშნულ ბეჭდვით შეცდომებ“-ში. თურმე ასეთი დიდი და სადაო საკითხში მაინც და მაინც „ბეჭდვითი შეცდომა“ ჩაუდენიათ! აქ კი სწერია:

მგვ. 405 სტრ. 28. დაბეჭდილია (ტრიაჟის ნაწილში): ჰ – 2610 (საქ. სახ. მუზეუმისა); უნდა იყოს: მჰ – 2610 (ბაქრაძისეული, საქ. სახ. მუზეუმისა).

„ბეჭდვითი შეცდომის“ ასეთი გასწორების წაკითხვის შემდეგ მოვნახე გასასწორებელი ადგილი, სადაც შემდეგი სწერია:

„17. ხელნაწერი ჰ – 2610. (საქ. სახ. მუზეუმისა, ყოფ. საისტორიო საეთნოგრაფიო მუზეუმის ფონდი). მე-18 საუკუნის დასასრულისა; გადაწერილია იმავე კალიგრაფის მიერ, რომელსაც გადაუწერია ს – 4988 ხელნაწერი. (რედაქციული შედგენილობით ხელნაწერები განსხვავდებიან; გადამწერს სახელმძღვანელოდ სხვადასხვა დედნები ჰქონია)“.

აი, საკვირველი თავგადასავალი დაკარგული ხელნაწერისა „რ“!

მაშ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ რ–ხელნაწერი აღმოჩენილა და გადაქცეულა ჰ–ხელნაწერად!

***

მაგრამ ვიკითხოთ: საიდან გაჩნდა ჰ–ხელნაწერში, რომელიც თურმე **მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულისა** ყოფილა, „აჰა, ღმერთო“? თუ ამას ვიკითხავთ, თავი ისევ ჯადოსნურ წრეში უნდა ამოვყოთ და იქ ვიტრიალოთ პ. ინგოროყვასავით: შოთა რუსთაველს თურმე **მის მიერ და მისი ხელით** დაწერილ ვტნში ჰქონია “აჰა, ღმერთო“, ნაცვლად „აჰა, მზეო“სა; ქრისტიან გადამწერლებს „აჰა, ღმერთო“ გადაუსწორებიათ „აჰა, მზეოდ“; მაგრამ მაინც თურმე **მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულს** აღმოჩენილა ერთი ვინმე გადამწერი, რომელს თუ თვითონ რუსთაველის ხელნაწერი არა ჰქონია, ისეთი მაინც ხელთა ჰქონია, სადაც წერებულა „აჰა, ღმერთო“ და აი, ბაქრაძისეულ ვტნში ამიტომ ყოფილა არა „აჰა, მზეო“, არამედ „აჰა, ღმერთო“! ხოლო არც ერთ სხვა ხელნაწერში ეს თქმა არ ყოფილა!

მაგრამ ვიკითხოთ ისიც: რატომ და რა საბუთის ძალით უნდა აღვიაროთ სწორად ამ მხოლოდ ერთი და უცნობი, სადავო ხელნაწერის სიმართლე და უარვყოთ დანარჩენი ცხრამეტისა თუ ოცისა?! ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევაში, თუ ცხადი და აშკარა შეცდომა არ არის, ხელნაწერთა უმრავლესობის მიხედვით ხდება შესწორება და არა პირიქით. გარნა ჩვენს შემთხვევაში არც ცხადი და არც აშკარა, და არც გასამართლებელი შეცდომა არ არის, – წინუკმოდ: შეცდომაა მისი შესწორება.

***

ოღონდ მივიღოთ ის დებულება, რომ მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულს ვიღაც გადამწერელმა ამ ადგილას ვტნში ჩასწერა: „აჰა, ღმერთო“ („აჰა, მზეო“ს მაგიერ); მას ან ჰქონია ხელში ამგვარი ძველი ხელნაწერი, ან მან შეცდომით გადაწერის დროს „ღმერთო“ ჩასწერა, ან განზრახ ჩაიდინა ეს საქმე.

თუ გადამწერს ძველი ხელნაწერი ჰქონდა, სად დაიკარგა იგი? ოღონდ ასეთი ძველი ხელნაწერის არსებობას დიდ ეჭვს აყენებს თვით პ. ინგოროყვას შენიშვნა: „გადამწერს სხვადასხვა დედნები ჰქონია“-ო.

მაგრამ ვთქვათ, თვითონ გადამწერმა, ან მისმა წინაპარმა შეასწორა ეს ლექსი: 1) იყო პირველად „აჰა, ღმერთო“,– და ეს ეკუთვნოდა თვითონ რუსთაველს; 2) მერმე გაასწორა ეს ქრისტიანმა გადამწერმა და დასწერა „აჰა, მზეო“; 3) შემდეგ გაასწორა იგი რუსთაველის დიდმა მცოდნემ და აღადგინა ისევ „რუსთაველისებური“ „აჰა, ღმერთო“, რომელიც ბაქრაძისეულ ვარიანტში ყოფილა! მაშ ასე, მივიღოთ ეს დებულება, ოღონდ განვიხილოთ იგი.

***

ვეფხისტყაოსანის ცხრამეტ თუ ოც ხელნაწერში ლექსი ასეთია: ავთანდილიო –

მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის **მზესა:**

„აჰა, მზეო, გეაჯები შენ უმძლესთა მძლეთა მძლესა...

და ამას მოსდევს დანარჩენ ექვსთა მნათობთადმი მიმართ ვედრება-გალობა.

როდესაც უცნობმა გადამწერმა ავთანდილის გალობა შეისწავლა, ის იმ შეხედულებას დაადგა, რომ შვიდთა მნათობთადმი გალობა არის ხალასი, წმიდა ასტროლოგიური. უეჭველია, უცნობმა გადამწერმა იცოდა ძალიან კარგად ასტროლოგიური მოძღვრებანი და კერძოდ კიდევ შვიდთა მნათობთა თაყვანების ამბავი. უცნობმა გადამწერმა კარგად გაიგო, რომ ასეთი გალობა-ვედრება არის შვიდთა მნათობთა – ღმერთებისადმი მიძღვნილი.

უცნობი გადამწერი კარგად მიხვდა, რომ ამ უშესანიშნავეს და უტოლო გალობაში მზეც არის ღმერთი და ზუალიც. მუშთარიც ღმერთია და მარიხიც, ასპიროზიც ღმერთია და ოტარიდიც, და ბოლოს, მთვარეც ღმერთია. და რადგან პირველ შაირში „მზე“ ორჯერაა ზედიზედ განმეორებული, ამიტომ მას ეს არ ეჭაშნიკა და „მზე“ მეორე ლექსში შესცვალა სიტყვით „ღმერთი“.

მე ეს წარმოვიდგინე მხოლოდ, რადგან გადამწერი ასტროლოგიური თეოლოგიის მცოდნედ ჩავთვალე, თორემ შესაძლებელია ეს უბრალო შეცდომაც იყოს!

ამ მართლა შესანიშნავ და მსოფლიო მწერლობაში ერთარდერთ, შეუდარებელ, ავთანდილის გალობაში ყველა შვიდი მნათობი არის მნათობი ღმერთი, რადგან მთელი ეს გალობა არის ასტროლოგიურ თეოლოგიაზე დამყარებული.

***

დიდებული ვახტანგ მეფე როდესაც შვიდთა მნათობთადმი ავთანდილის გალობას ეხება თავის „თარგმანებში“, ამბობს –

„აქ შვიდნი ცდომილნი ვარსკვლავნი მოუყუანია და თავის ცოდნა და სიბრძნე გამოუჩენია; ამ ვარსკვლავებს თვითოსა და თვითოს სხვა და სხვა ბუნება უფლება აქუსთ. ამაების ამბავი გარჩევით ჩვენ სიგრძისათვის არ დავსწერეთ და ვისაც შეტყობა გინდოდესთ საეტლო და სავარსკვლავთრიცხო ნახეთ და იქ შეიტყობთ და ამაების მოყუანაც უთქვამს, ვიცოდიო“...

მე ეს „საეტლო სავარსკვლავთრიცხო“ და მნათობთა „ბუნება უფლება“ უკვე შევისწავლე და შევიტყვე; მერმე შვიდთა მნათობთა წინაშე ავთანდილის თქმული გალობა დაწვრილებით გავარჩიე ჩემს წიგნში „ვტნის ვარსკვლავთმეტყველება“ და ამ განხილვის შედეგად შემდეგი დასკვნა მივიღე –

„ავთანდილის გალობა, ანუ ვედრება შესრულებული არის ასტროლოგიური თეოლოგიის ანუ მნათობთა ღმერთთათვის საჭირო და განმტკიცებული წესით:

„ავთანდილი მნათობთა ბუნების ნიშნებს ასახელებს; იგი მნათობთ მოუწოდებს; იგი მნათობთ თავის თხოვნას ეუბნება და მის შესრულებას ემუდარება; და მნათობნი ამ სამლოცველო წესის შესრულებით დაკმაყოფილებულნი, ვითარცა მნათობნი-ღმერთნი მლოცველს ვედრებას უსმენენ, მისი ხვეწნის საგანს იზიარებენ და მას შემწეობას ჰპირდებიან.

„ვედრების საგანია – სიყვარული; მისი შენარჩუნება, მისი განმტკიცება და გამუდმივება; სიყვარულის განამდვილება.

„ავთანდილის მთელი ეს თხოვნა შესრულებულია ასტროლოგიური წესით, რაც საჭიროა და აუცილებელი მნათობ-ღმერთებთან ურთიერთობისათვის...

„ავთანდილის გალობა არის საკუთარი გალობა, პირადად მისი გალობა. იგი არც ერთ ასტროლოგიურ სწავლას არ ეკუთვნის განკერძოებით. ავთანდილის გალობა შექმნილია ვეფხისტყაოსანის დამწერის მიერ და მისი მსგავსი გალობა არც ერთ სხვა თხუზულებაში არ არსებობს. ეს გალობა მხოლოდ და მარტოდ რუსთაველისებურია და მიუწვდომელი თავისი შინაარსით, აზრით, მიზანითა და მუსიკით.

„შვიდთა მნათობთადმი ავთანდილის გალობის განკითხვამ გვაჩვენა, რომ შვიდნი მნათობნი აქ ასტროლოგიურ ღმრთისმეტყველებას ეკუთვნიან; დაგვარწმუნა, რომ ყველა შვიდი მნათობი არის ვარსკვლავური ღმერთი.

„ვთქვათ დასახელებით.

„ვეფხისტყაოსანის შვიდთა მნათობთადმი გალობაში – 1. მზე არის ღმერთი; 2. ზუალი არის ღმერთი; 3. მუშთარი არის ღმერთი; 4. მარიხი არის ღმერთი; 5. ასპიროზი არის ღმერთი; 6. ოტარიდი არის ღმერთი; 7. მთვარე არის ღმერთი. ყველა ეს ღმერთი არის ასტრალური, ანუ ვარსკვლავური ღმერთი, რომელიც ასტროლოგიურ თეოლოგიას ეკუთვნისნ. (იხილეთ ჩემი „ვტნის ვარსკვლავთმეტყველება“, სანტიაგო დე ჩილე, 1957 წ. გვერდი 91–92).

აქედან თავისთავად იმ იმ დასკვნას ვღებულობ, რომ მზე შვიდთა მნათობთა გალობაში არ არის ღმერთი, ღმერთი ვითარცა ღმერთი. ეს მზე ამ გალობისა არ არის ისეთი ღმერთი, რომელიც შეიძლება ჰგავდეს მოსეს ღმერთს იაჰვეს (იეგოვას); მზე არ არის ისრაელთა ღმერთი; ეს მზე გალობისა არ არის ისეთი ღმერთი, რომელიც შეიძლება ემსგავსებოდეს იესო ქრისტეს ღმერთს; იგი არ არის ქრისტიანული ღმერთი; ეს მზე გალობისა არ არის ისეთი მზე, რომელიც შეიძლება შეედარებოდეს მაჰმადის ღმერთს; იგი არ არის მაჰმადიანური ღმერთი. ესე იგი: მზე არ არის ღმერთი ერთი და უხილავი; მზე არ არის ღმერთი შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა და არა ხილულთა; მზე თვითონ არის შექმნილი ღმრთისა მიერ; მზე არის დანაბადი ღმრთისაგან. მზე არის ავთანდილის გალობაში ჩვეულებრივი ასტრონომიული ღმერთი, სხვა ვარსკვლავურ ღმერთებთან ერთად, თუმცა უპირატესი მათ შორის, და რომელთა ზემოდ სუფევს უზენაესი ნამდვილი ღმერთი, ერთი, უხილავი, მარადი მიუწევნელი ნათელი. ნათელი, რომლის ხატი არის ჩვენი მზე.

***

იმის მიუხედავად, რომ მზე ამ შაირში არის მნათობი-ღმერთი (და არა პ. ინგოროყვასეული ღვთაება-მზე!), რუსთაველს არ შეეძლო დაეწერა „აჰა, ღმერთო“, რატომ?

რუსთაველი ვერ დასწერდა აქ „აჰა, ღმერთო“ს, რადგან –

1). მარტოდ მზის ღმერთად დასახელება დაარღვევდა მთელი ამ ასტრალურ-ვარსკვლაური გალობის სტილს, დაამახინჯებდა მის კილოს, 2) მზის ღმერთად გამოყვანა ქართველი მკითხველის (და სხვა ვინ იყო ეს მკითხველი?!) თვალს შეაწუხებდა, სმენას ეჩოთირებოდა, გონებას აღაშფოთებდა და გრძნობას შეურაცყოფდა, და საერთოდ, ეს იქნებოდა ღმერთის გმობა, 3). ღმერთი წინა სტრიქონშია ნაგულისხმევი.

1). გალობის სტილი მით იქნებოდა დარღვეული, რომ ამ ლექსში მარტო მზე იქნებოდა გამოცხადებული ღმერთად, მაშინ როცა სხვანი დანარჩენნი მნათობნიც ღმერთნი არიან, რადგან მთელი ეს შაირი არის ასტროლოგიური ვედრება.

2). ვინც ასტროლოგიასა და შვიდთა მნათობთადმი ლოცვის ამბავს არ იცნობდა, მისთვის ცალკეულად მზის ღმერთად გამოყვანა იქნებოდა გმობა და შეურაცხება ღმრთისა, მწვალებლობა და ბოროტება, რაც არც თამარისა და არც შემდეგ ხანაში შესაწყნარებელი და მოსათმენი არ იქნებოდა.

3). თავისთავად მნიშვნელოვანია ის მოვლენაც რომ ეს გალობა იწყება ასე:

მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა...

ანუ: სანამ ავთანდილი თავის ვედრებას დაიწყებდა, იგი „ცასა შესტირს“. რა არის აქ ცა? არავითარი ეჭვი არაა, რომ აქ ცა არის ღმერთი: აქ ცა არის ღმერთთან გაიგივებული, როგორც ეს ყველა რელიგიაში გვხვდება.

მაშასადამე: ავთანდილი ჯერ ღმერთს-ცას მიმართავს და შემდეგ კი შვიდთა მნათობთადმი გალობა-ვედრებას იწყებს.

ამ მოსაზრებათა მიხვედვით ვეფხისტყაოსანის შემთხუზველს არ შეეძლო დაეწერა: „აჰა, ღმერთო“; და თუ მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულს უცნობმა გადამწერმა „აჰა, მზნო“ს მაგიერ „აჰა, ღმერთო“ ჩასწერა, და **არა შეცდომით, არამედ განგებ, განზრახ და მონდომებით,** რადგან მან იცოდა, რომ ეს გალობა ასტროლოგიური იყო. მას უკვე ყურადღება აღარ მიუქცევია არც „ცისათვის“, არც გალობის სტილისათვის და არც ქრისტიანი მკითხველისათვის; მან როგორც ასტროლოგიის მცოდნემ ბუნებრივად ჩასთვალა „მზე“ ვითარცა ვარსკვლავური ღმერთი ამ ლექსში გამოეყვანა და ამიტომ შეასწორა „აჰა, მზეო“ „აჰა, ღმერთ“ოდ, – რასაკვირველია, ასეთი თვითნებობა შესწორებაში შეუწყნარებელია, მაგრამ რა უნდა მოვთხოვო მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულის უცნობ გადამწერს, რომელმაც ასტროლოგია და ასტროლოგიური თეოლოგია მაინც იცოდა, როდესაც მეოცე საუკუნის მკვლევარნი იმდენად კადნიერდებიან, რომ მათ თავიანთი საკუთარი, უხეში და ხენეში, რიოში და უვიცი შესწორებები შეაქვთ ვეფხისტყაოსანში!!!

***

პავლე ინგოროყვა გვასწავლის –

„ვეფხისტყაოსანში გადმოცემული მსოფლმხედველობის თანახმად, მზე არის ღვთაების უშუალო ემანაცია, იგივე ღვთაება. ეს სავსებით შეეფერება მანიქეიზმის იდეებსნო“...

„მანიქეიზმის თეოსოფია მზეს აღიარებს პირდაპირ ემანაციად ღვთაებისა“ო...

არა მგონია საცილო იყოს: თუ მზე არის „გამოვლინება“ ღმრთისა, მაშ მზე არის ღმრთისაგან „გამოვლენილი“ და არა თვითონ ღვთაება, მზე უნდა იყოს: ან თვითონ ღვთაება ან ღვთაების მიერ გამოვლინებული, და მაშასადამე, არა თვითონ ღმერთი.

ყველაფერი აქამდე გარკვეული იყო მხოლოდ გარეგანი მხარით საკითხისა; საჭირო კი არის იგი არსებითადაც განისაჯოს.

***

დიდად ცნობილი გერმანელი მეცნიერი ა. ფონ ჰარნაკ მანიქეიზმის შესახებ ამბობს – კათოლიციზმი არის მონოთეისტური მსოფლიო რელიგია ძველი აღთქმისა და სახარების საფუძველზე, დაშენებული ელინური (ჰელლენისტური) სპეკულაციისა და ზნეობის საშუალებითო... მანიქეიზმი არის დუალისტური მსოფლიო რელიგია ქალდეიზმის ნიადაგზე, გაჟღენთილი ქრისტიანული, ფარსისტული და შეიძლება ბუდთისტური აზრებით... მას აკლია ჰელლენისტური ელემენტი... მანიქეიზმი ეკუთვნის სემიტურ რელიგიათა წრეს და იგი მოშორებულია ნაციონალურ ჩარჩოებს, გადაკეთებულია ქრისტიანული და სპარსული ელემენტებით,

ამაღლებულია გნოსისამდე (გნოსის – ცნობა, ცოდნა – სწორი, მართალი და თავისი სისწორის, სიმართლის ძალით, დამხსნელი და მაცხოვარი ცოდნა); მასში ადამიანური ცხოვრება სასტიკი წესებითაა განსაზღვრული); და არის იგიო, მანიქეიზმი ბუნების რელიგია – ნატურრელიგიონ. 230.

მეორე პროფესორი, გნოსტიციზმის ცნობილი მკვლევარი ბუსსეტ ამბობს: მანიქეიზმი არის ყოველ შემთხვევაში საკმაოდ არეულ-დარეული შენათხზი სპეკულაციათა და ფანტაზიათა; ოღონდ უარყოფილ არ უნდა იქმნას, რომ ყველაფერი ეს ერთმა ენერგიულმა სულმა (მანი-მ) მაღალ ერთიანობამდე აიყვანა, თუმცა ამას ყველგან თავისი ნაკლი და ხარვეზი აქვსო. 231.

ორივე ეს შეხედულება მოტანილი აქვს თავის შრომაში მანიქეიზმის შესახებ აგრეთვე ცნობილ მკვლევარს, პროფ. შრაედერს, რომელმაც 1927 წელს ამის შესახებ თავისი გამოკვლევა დაბეჭდა. ოღონდ აღარ მსურს გავიმეორო მანიქეიზმის შესახებ ის, რაც უკვე გრძლად მოვათავსე წინა გვერდებზე (33 – 44); აქ მხოლოდ გავეცნობით ერთ დამახასიათებელ მოვლენას – მანიქეანნი აღმოსავლეთის ხალხებს ელაპარაკებოდნენ მათი რელიგიის ღმერთთა სახელით, ბერძნებს – მათი ცნებებით და ქრისტიანებს – მათი სიტყვით. ამიტომ მანის რელიგიაში თავმოყრილად შემდეგ სურათს ვხედავთ:

1. მანიქეიზმის ელლინური ცნებანი –

თეოს – ღმერთი

ფსიხე – სული

დემიურგოს – შუამავალი შემქმნელი

ნუს – გონება

ილე – ნივთი, მატერია.

2). თეოდორ ბან კონაი-ს მიერ გადმოცემული მანის სქემა მითოსისა:

თეოს – ღმერთი: მამა დიდისა, დედა სიცოცხლისა, უწინარესი ადამიანი

ფსიხე – სული: ელემენტი სინათლისა: ეთერი,

ქარი, სინათლე, წყალი, ცეცხლი

დემიურგოს – შემქმნელი: ცოცხალი სული

ნუს – გონება: მოციქული, სინათლის ქალწული, სინათლის ორი ნავი: მზე და მთვარე.

ილე – მატერია: მეუფე წყვდიადისა.

3. სამეული სპარსული რელიგიისა, ზირვანიზმის თეოლოგიაში:

ღმერთი: 1. მისი ნათელი, 2. მისი ძალა, 3. მისი სიბრძნე (სიკეთე).

4. ზირვანიზმის (ზურვანის) ღმერთთა რიგი: ზურვან, რამრატუქს, ოჰრმაზდ. – მათნი ძალნი: ამაჰრაშპანდა, ფრავაჰრს (სული წმიდა), ქარი, მიწა, წყალი, ცეცხლი. – მეორე სამეული: მითრას (მიჰრ) სროშ, წმიდა

რელიგია (იესო). მერმე: მზე და მთვარე. მოწინააღმდეგე ღმერთი წყვდიადისა – აჰრიმან.

5. ქრისტიანული სამება მანის რელიგიაში: მამა (ღმერთი), დედა (სული წმიდა), ძე (იესო ქრისტე). (პ. ინგოროყვა გვასწავლის: მანის რელიგიას სამება არა ჰყავსო! მხოლოდ უცოდინარობის შედეგია ასეთი მტკიცება, რაზედაც სათანადოდ ზ. ავალიშვილმა უკვე მიუთითა). („ვტნის საკითხები. გვ. 61).

სრულიად გარკვევით და აშკარად უნდა აღინიშნოს შემდეგი: მანის რელიგიაში მზე და მთვარე იყვნენ მნიშვნელოვანნი ვითარცა მატარებელნი ნათელის განთავისუფლების საქმისა. ოღონდ **მანი გარკვევით უარჰყოფდა მზე და მთვარე დამოუკიდებელ ღმერთებად აღიარებინა**. ასეთი არის მანიქეიზმი.

***

თუ შოთა რუსთაველი „მანიქეველი“ იყო, როგორც გვიმტკიცებს პავლე ინგოროყვა, მას, რუსთაველს უეჭველად ეცოდინებოდა, რა არის მანიქეიზმი;

თუ შოთა რუსთაველი „მანიქეველი“ იყო, მას უსათუოდ ეცოდინებოდა, რომ მანიქეიზმში ნათელსა და ღმერთს რა მნიშვნელობა ჰქონდა;

თუ შოთა რუსთაველი „მანიქეველი“ იყო, მას ნამდვილად ეცოდინებოდა, რომ მანიქეიზმში მზეს განსაკუთრებული თვითმყოფადი ადგილი არ უჭირავს. მზე მანიქეიზმში მთვარესთან ერთად მოიხსენება, და უმთავრესად „ნათლის სვეტთან“ დაკავშირებით. „ნათლისა სვეტ“ი, არიან სვეტნი, რომელთ აჰყვებიან სულნი, რათა მთვარეს მიაღწიონ. მთვარე ამ სულთა დაგროვებისა გამო იზრდება და ივსება; შემდეგ იწყება სულთა ასვლა მზეზე, და ამიტომ მთვარე კლებულობს და მჭლევდება; მზეზე მოგროვილნი სულნი მერმე ადიან ნათელის მხარეში. ამ რწმენისა გამო მზე და მთვარე (და არა მარტო მზე!) გარდაიქცნენ მანიქეიზმში დიდ პატივსაცემ არსებად. არც მზე და არც მთვარე მანიქეიზმში ღმერთი არ ყოფილა...

ვიმეორებ: მე არ წამიკითხავს არც ერთი თანამედროვე მეცნიერული გამოკვლევა მანიქეიზმის შესახებ, რომლის თანახმად მანიქეიზმში მზე და მთვარე, ან მზე მარტოდ ღმერთად ყოფილიყოს დახასიათებული. ყველა გამოკვლევაში ერთი და იგივე დებულებაა. **არც მზე და არც მთვარე, არც მარტოდ მზე მანიქეიზმში, და არც ახალ მანიქეიზმში** (ნეომანიქეიზმში) **ღმერთად არ ყოფილა აღიარებული...**

თუ შოთა რუსვთაველი „მანიქეველი“ იყო, უდავოა, მას კარგად ეცოდინებოდა, რომ მისი მოძღვარი მანი მზის ღმერთობას უარსა ჰყოფდა; და ისიც ეცოდინებოდა, რომ მზის ღმერთობის ამბავი მანიქეანთა მტრების მიერ გავრცელებული ჭორი იყო, და მით უმეტეს იგი თავის ვეფხისტყაოსანში ამ ჭირს ვერ შეიტანდა და მზეს ღმერთად ვერ გამოაცხადებდა;

თუ შოთა რუსთაველი „მანიქეველი“ იყო, და კიდევ მეტიც, – როგორც გვარწმუნებს პ. ინგოროყვა, – იგი იყოო მანის ერთი ორდენის მეთაური, მაშინ რუსთაველს კარგად ეცოდინებოდა, რომ მანიქეიზმი არის დუალისტური მოძღვრება, რომელიც კეთილისა და ბოროტის პრინციპს აღიარებს, რაც ვეფხისტყაოსანში სავსებით უარყოფილია (იხილე ჩემი: „ვტნის ღმრთისმეტყველება“).

თუ შოთა რუსთაველი „მანიქეველი“ იყო, და ისიც ორდენის უფროსი, იგი ვერავითარ შემთხვევაში ვეფხისტყაოსანს ვერ დასწერდა, რადგან ვტნის ზნეობა მანიქეიზმს სრულებით არ შეეგუება და ვტნის ომები, მკვლელობანი, აშიკობანი არას გზით მანიქეიზმს არ უდგება და მას არ ეკარება... და საერთოდ: ვტნის მსოფლმხედველობას სრულებით არავითარი კავშირი და დამოკიდებულება მანიქეიზმთან არა აქვს...

მზის უფლობის ისტორიამ, რომელი აქ განვიხილე, გვიჩვენა, რომ მზე ღმერთი რწამდათ, ოღონდ ბუნებით, ბუნებად რელიგიაში, ნატურრელიგიაში უმთავრესად, და თუ იგი მონოთეიზმამდეც კი აღწევდა, ამით ამ რელიგიას მისი ბუნებადი უპირატესობა არ ეკარგებოდა.

***

ღმერთები სამ კლასად განიყოფებიან, ანუ – როგორც ამბობს პროფ. მ. ბლუმენფილდ –

1. ღმერთები ფიზიკური ბუნებით: ბუნებრივი საგნები და მოვლენები არიან ღმერთები;

2. ამ ღმერთთაგან, რელიგიის შემდეგ განვითარების შემდეგ საფეხურზე, გამოეყოფიან ნახევრად განპიროვნებულნი ღმერთები, რომელნიც ბუნების საგნებსა თუ მოვლენებს წარმოადგენენ;

3. ბუნების ღმერთები, დიდი ღმერთები, რომელთა წარმოშობა გამოყოფილია უკვე ბუნებრივ საგანთა და მოვლენათაგან და დამოკიდებული, განყენებული არიან.

ეს სამი კლასი ბუნების ღმერთთა ხშირად ერთი მეორეში შედიან და ძნელი ხდება მათი მკაცრი დაშორება, ვინაიდან განვითარების მანძილზე ისინი სხვადასხვაგვარად მოსჩანან რელიგიისა საერთოდ კულტურის წინ სვლის მიხედვითო. მაგრამ ბუნების ღმერთები მაინც საერთოდ არსებობენ იმ საზოგადოებაში, რომელიც უკვე ამაღლებულია და განვითარებული, ოღონდ ჯერ კიდევ მაღალ გონებრივ და ზნეობრივ დონემდე არაა მისული. ამ ხანაში ბუნებრივი ღმერთი საგნებზე და მოვლენებზე, რომელიც ღმერთები იყვნენ, მაღლა სდგანან და მათ ზოგადი ღმერთის ხასიათი ეძლევათ. ამ ბუნებრივ საგანთა და მოვლენათა შორის დიდი ადგილი უკავია მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს როგორც ღმერთებსო. 232 ა.

***

არც ერთი მსოფლიო მნიშვნელობის რელიგია: არც ბრაჰმანიზმი, არც ბუდთიზმი, არც მაზდეიზმი, არც მითრაიზმი (რომელი თუმცა თავისი

სულთა ღაფვის უკანასკნელ ხანაში შეეცადა მზის მონოთეისტური რელიგია განემტკიცებინა), არც მოსეს რჯული, არც ქრისტეს რჯული, არც გნონსტიციზმი, არც მანიქეიზმი, არც ისლამი **„მზეს“ არ აღიარებდა „ღმერთად“**. და თუ მზე ღმერთად დარჩა ზოგ განხრაში, ეს მხოლოდ გადმონაშთი იყო და ამ სექტათა მნიშვნელობაც მეტად მცირე.

ვეფხისტყაოსანში არც ერთი სიტყვა, არც ერთი გადაკრული თქმაც კი არავითარ ეჭვს არ იწვევს, თითქო აქ რაიმე რელიგიური სექტის გავლენა იყოს, ვინაიდან აქ, **ვტნში ღმერთი მზე არ არის, და მზე ღმერთი არ არის.**

მზეს ფილოსოფიაში, უფრო სწორად, თეოლოგიურ ფილოსოფიაში ხშირად ღვთიურ არსებად სთვლიდნენ ხოლმე. როგორც ეს ვნახეთ, მაგრამ არასოდეს და არსად მას უზენაეს ღმერთად არ მიიჩნევდნენ ხოლმე. ამ მხრივ მართალია ვტნის მკვლევარი, განსვენებული († 1944 წელს) ზურაბ ავალიშვილის დებულება –

„მართლაც, ასტრალური აზროვნება, მზის გაღმერთება და ამგვარი, რომაელ კეისართა მიერ მოწონებული, მზის მონოთეიზმი ნეოპლატონიზმის ფილოსოფიამ შემდეგ გადაასხვაფერა და გააღრმავა სხვა, უმაღლესი, არა – მატერიალური, არამედ გონებრივი მზის გამოგონებითი და უზენაესი ღვთაების, ღმერთის ტრანსცენდენტად გამოცხადებით. რეალური მზე ამგვარად ღვთის სიმბოლოდ ანუ ხატად ისახებოდა, როგორც ეს რუსთაველს აქვს ნათქვამი“ო. (ზურაბ ავალიშვილი – ვტნის საკითხები. პარიზი 1931. გვ. 199).

რომ ნეოპლპტონიზმში (და არა მარტო ნეოპლატონიზმში) მზე უხილავი, გონებრივი მზის, ან ტრანსცედენტ, უმაღლესი, უზენაესი ღმერთის ხატია ამას ჩვენ აქვე გავეცნობით.

დროა დავასრულოთ ეს მიმოხილვა და დავასკვნათ: ვტნში **მზე არ არის ღმერთი** (ერთი) **და ღმერთი** (ერთი) **არ არის მზე**.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მეორე

მზე – ხატი ღმრთისა

1. ხატი

2. ხატი ასტროლოგიური

3. ხატი ფილოსოფიური

4. მზე – ხატი ქრისტიანული

5. ხატი – ვტნში

საბოლოო დასკვნა

1. ხატი

მზისადმი თავის მიმართვაში ავთანდილი –

იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,

ერთარსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად (836).

ამნაირად, ავთანდილის აზრით –

1). მზე არის მზიანი ღამის ხატი,

2). მზე არის ხატი ერთარსებისა, რომელიც არის უჟამოსა ჟამისად.

ერთარსება ერთი არის ღმერთი (იხილ. ამის შესახებ ჩემი: „ვტნის ღმრთისმეტყველება“).

აქ შეგვიძლია გავიხსენოთ იოანე შავთელის შესანიშნავი თქმა: **„ღმრთისა სამ მზისა“**, – რაც „წმიდა სამებას“ ნიშნავს (იხილეთ წინ, გვერდი 117); შეგვიძლია გავიხსენოთ წმიდა მამათა მიერ „წმიდა სამების“ შედარება მზესთან და სხვა (იხილეთ წინ, გვერდი 61, 62).

ღმერთი არის უჟამოსა ჟამისად, ესე იგი, ყოველი დროის გარეშე: მას არა აქვს დასაწყისი და არც დასასრული; მისი დრო არის უჟამო ჟამი, ანუ დაუსრულებელი და მარადული (ინფინიტუს).

მაშასადამე, მზე არის 1) მზიანი ღამისა ხატი და 2) მზე არის ხატი ღმრთისა.

ვტნში მზე რომ ხატია ღმრთისა, ამას იქვე დასახელებით, სახელდებით ვტყობილობთ, ვინაიდან ავთანდილი მზისადმი ვედრებას შემდეგი სიტყვით განაგრძობს –

ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი,

შენ მიშველე რა ტყვედქმნილსა, ჯაჭვნი მაბიან, რკინანი (837).

***

ამგვარივე შეხედულება მზის ხატობის შესახებ კიდევ არის ვტნში გამოთქმული, როდესაც ტარიელი ასმათსა და ავთანდილს ეუბნება –

მაგრა ღმერთმან მოწყალემან მით სახითა ერთი მზითა

ორი მისი მოწყალება დღესაც მომცა ამა გზითა:

პირველ – შეჰყრის მოყვარულთა ჩემით რათმე მიზეზითა,

კვლა – ნუთუმცა სრულად დამწვა ცეცხლთა ცხელთა ანაგზითა (305).

ანუ: მოწყალე ღმერთმა, რომლის სახე არის ერთი მზე, დღეს მე მომცა ორი მოწყალება ამ გზით –

1). ჩემი მიზეზით (ავთანდილი და თინათინი) მოყვარულნი ერთმანეთს შეხვდებიან (მას შემდეგ რაც მე ავთანდილს ჩემს თავგადასავალს მოვუთხრობ და იგი თინათინთან დაბრუნდებაო);

2). მეორე მოწყალება ღმრთისა ისაა, რომ ანაგზები, ანთებული ცხელი ცეცხლით დავიწვი, როდესაც ნესტანისა და ჩემი სიყვარულის ამბავს მოგახსენებო. თუგინდ კიდეც გადავყვე ამ მოთხრობასო. (306).

ამ ლექსში ღმერთი ნაგულისხმევია „მით სახითა ერთი მზითა“. სახე და ხატი რომ ერთი და იგივე ცნებაა, ამას დავინახავთ ქართული ბიბლიიდან, სადაც ნათქვამია –

და შეჰქმნა ღმერთმან კაცი, ხატად თვისად შეჰქმნა იგი ღმერთმან...

ეს სიტყვა „ხატი“ ბერძნულ ბიბლიაში არის „აიკონ“, „იკონ“ (რუსული – იკონა, ობრაზ), ფრანგულად – იმაჟ; გერმანულად – ბილდ, ინგლისურად – იმაჯ; ესპანურად – იმახენ, რაც ლათინური „იმაგო“ არის.

ასევე ძველ ქართულ რელიგიურ მწერლობაშიც –

წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ (მეათე საუკუნისა): „და ვითარ შევედა შინა, ვიხილე ხატი მისი (შუშანიკისი) დაბძარული (დახეთქილი) და განსივებული... მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა“...

ხატი აქ არის პირის სახე.

ცხორებაჲ ადამისი: „იქცა ხატი მისი“, ესე იგი, მისი პირის სახე შეიცვალაო.

ცხოვრებაჲ მარიამისი: „სადა არს ხატი შენი ანგელოზებრი“, ანუ, სად არის ანგელოზისებური შენი პირის სახეო. და სხვა.

ვახტანგ მეფეც ასე განმარტავს: „ხატი სახეს ჰქვიანო“.

მაშასადამე, ხატი და სახე ერთი და იგივე ცნებაა.

სიტყვა ხატი ხშირად იხმარება ახალ აღთქმაში, სადაც ქრისტე გამოცხადებულია ხატად **2 კორინთელთა 4,4** ქრისტესი, რომელი იგი არს ხატი ღმრთისა უხილავისა

კოლასელთა 1,15 რომელი იგი არს ხატი ღმრთისა უხილავისა, პირმშო ყოველთა დაბადებულთა

კოლასელთა 3,10 მსგავსად ხატისა მის დამბადებელისა

ფილიპპელთა 2,6 რომელი ხატი ღმრთის იყო

ებრაელთა 1,3 რომელი იგი არს ბრწყინვალება დიდებისა და ხატი არსებისა მისისა (ღმრთისა) და სხვა.

ამ სიტყვათა „ხატი“ შესატყვისია ბერძნულ ბიბლიაში: ეიკონ (იკონა) პარადიგმატა, ეიკონა, მორფე; ლათინურში – იმაგო, იმაგო, იმაგო, ფორმა; გერმანულში – ებენბილდ, ებენბილდ, ებენბილდ, ებენბილდ, გეშტალტ, ებენბილდ; ინგლისურში – იმაჯ, იმაჯ, იმაჯ, ფორმ, იმაჯ; ფრანგულში – იმაჟ, იმაჟ, იმაჟ, ფორმ, იმაჟ; რუსულში – ობრაზ, ობრაზ, ობრაზ, ობრაზ, ობრაზ.

უკვე ვახტანგ მეფემ აღნიშნა ეს და ვტნის თარგმანებაში ანუ კომენტარიაში ამბობდა ამ ხატის შესახებ –

„ღმერთის ხატად წინასწარმეტყველნი და ფილოსოფოსნი ქრისტეს იტყვიან; იმას ახვეწებს ავთანდილს, რომე მიშველე რამეო და თინათინისა და იმის მოშორვებას შესჩივის“-ო., და დასძენს: მეო „ესეც საღმრთოდ მგონია, მაგრამე ყველას ამიტომ აღარ გამოვეკიდე, რომე ეგება ზოგი ერთ კაცს ავად ჩამოერთმია“-ო.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ დიდებული მეფე-მეცნიერის განმარტების თანახმად: წინასწარმეტყველთა და „ფილასოფოსთა“ მიხედვით ქრისტე არის ხატი ღმრთისა, როგორც ეს ჩვენ აქვე გავიცანით. ეს მართალია და სწორი, მაგრამ სწავლული მეფე არსებითად სცდება, როდესაც მას ვტნის ამ შაირში „ხატი ღმრთისა“ ქრისტედ მიუმჩნევია, რადგან დაწვრილებითი განკითხვა ამ შაირისა სხვას გვაჩვენებს.

საიდან გაჩნდა „ხატი ღმრთისა“ ვტნში? არის იგი ასტროლოგიური? არის იგი ფილოსოფიური? არის იგი თეოლოგიური, თუ სხვა რამ?“

2. ხატი – ასტროლოგიური

ვარსკვლავ-ღმერთებს, როდესაც ისინი ხილულ ღმერთებად არიან აღიარებულნი, ეწოდებათ „ფაინომენა“. როდესაც ეს ვარსკვლავ-ღმერთები მხოლოდ წარმოდგენით, ფიქრით, ან გონებით არიან ღმერთები, რომელთა ცნობა და ხილვა მხოლოდ სულიერი განცდით შეიძლება, იწოდებიან „ნოუმენა“.

არსებისათვის და საერთოდ შუა საუკუნეთა ასტროლოგიისათვის ეს ვარსკვლაური ღმერთები არიან, როგორც ეს დიდმა არაბმა აბდ უმასარმა გამოთქვა, წმიდა სულიერად საცნობი და არა ცაზე ხილულნი მნათობნი. მნათობნი არიან მხოლოდ პოტენცები, ძალანი.

ბერძნულ-არაბული ასტროლოგია და მასზე დაფუძნებული ევროპული ასტროლოგიაც მნათობებს თვით ღმერთებად კი არ აღიარებდა, არამედ მხოლოდ ამ ღმერთთა გამოსახულებად, რომელსაც ჰქვია ფაციეს (ხატი, სახე). მაგალითად, თითოული აღწერა ღმერთთა დეკანისა იწყება თვით ღმერთის პლანეტარული ხატით (ფაციეს). და ეს თქმა ყველგან ერთნაირად მეორდება – დეკანუს ჰაბეტ ფაციემ – დეკანს აქვს ხატი (სახე) ასეთი და ასეთიო. მაშასადამე, ასტროლოგიაში თვითეული ვარსკვლავური ღმერთი გამოისახება თავისი ფაციეთი, ხატით. მნათობი ღმერთად უკვე აღარ

ითვლება; მნათობი არის ღმერთის ხატი, ვარსკვლავი არის ღმერთის სახე. 233.

დავკმაყოფილდეთ ამ განმარტებით და გავჩერდეთ იმ ახსნაზე, რომ მზე ვტნში არის „ხატი ღმრთისა“ ასტროლოგიური სწავლის მიხედვით? მივიღოთ ის დებულება, რომ ვტნის „ხატი ღმრთისა“ არის ასტროლოგიური? არა! ეს არ იქნება ამ თქმის: „ხატი ღმრთისა“ სწორი განმარტება; და რატომ? იმიტომ, რომ ვტნში გარკვევით არის ნათქვამი, რომ მზე არის „ხატი ერთარსებისა“, „ერთისა“, „მზიანი ღამისა“ და „ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი“ო.

3. ხატი – ფილოსოფიური

ჩვენ მიმოვიხილეთ მზის მნიშვნელობა ფილოსოფიაში და ვნახეთ, რომ ალექსანდრიული სკოლის წარმომადგენელი ისრაელი ფილოს (ფილონი) ღმერთს სთვლიდა უწინარეს ნათელად; ხილული მსოფლიოს შემოქმედია სწორად ეს ნათელი-ღმერთი; იგი არის პირველი ხატი და პირველადი ნიმუში ხატი ყველა სინათლისა, სულიერ მზე. ჩვენი მზე, ხილული მზე არის მეორე ხატი, გადმონახატი პირველი ხატისაგან, რომელიც არის უხილავი, ხოლო ხილული ხატი არის ჩვენი მზე.

ნეოპლატონიზმში მზე არის ხატი ერთისა, სახიერისა ღმრთისა.

პლოტინოსისათვის არამც თუ მარტო მზე, არამედ მთელი ბუნება არის ხატი ციური სულისა, რომელიც არის ხატი გონებისა და ეს უკანასკნელი კიდევ, არის ხატი ერთისა, ანუ ღმერთისა.

იამბლიხოსისათვის მზე არის ხატი, წარმოშობილი ღვთიური და გონებრივი ნიმუშით.

„მოოქრულ ლექსთა“ დამწერისათვის მთელი ხილული მსოფლიო არის ხატი ღვთიურობისა.

მეორე უცნობი ნეოპლატონიანი ორფეოსს ათქმევინებს: მსოფლიო არის ხატი ღმრთისაო.

პროკლოსისათვის საიქიო ნათელი არის ნამდვილი, ხოლო სააქაო, ანუ ხილულუი ნათელი არის მხოლოდ მსგავსება, მისი ხატი, ხილული ნათელი (ვარსკვლავნი, მზე) არის მხოლოდ გამოშუქება საიქაო, უხილავი მზისა. სააქაო მზე არის საიქაო მზის ხატი.

იმპერატორი იულიანუსისათვის არსებობს უხილავი მზე, არხეტიპი, პირველადი მზე, უზენაესი ღმერთი-ნათელი, რომლისაგან წარმოიშვა მეორე მზე, ანუ გონების მხარე და ამისაგან კი წარმომდგარია მესამე მზე, ანუ ხილული მზე, რომელიც არის ხატი მეორე მზისა.

გნოსტიკოსებისათვის ხილული მზე არის ღვთიური ნათელის გამოხატულება.

ეს ალექსანდრული და ნეოპლატონური სკოლის შეხედულება მზის ხატობის შესაებ შევიდა და დამკვიდრდა ქრისტიანულ თეოლოგიურ ფილოსოფიაშიც. ჩვენ ამას უკვე გავეცანით. (იხილეთ აქვე, წინ გვერდი 61–62).

მაშასადამე, „ფილოსოფოსნი წინანი“ ვით ეს ნათქვამია ვტნში, „წინანი“ ანუ ძველნი, რომელნიც მზეს ხატად ღმრთისად სთვლიდნენ, არა ერთი და ორი ყოფილა! აქ არიან: ფილო იუდაეოსი, პლოტინოსი, იამბლიხოსი, იულიანოსი, პროკლოსი, ფილოსტრატესი; ქრისტიანი ფილოსოფოს-თეოლოგოსნი: ნაზიანზელი, ავგუსტინუსი, ეფრემ სირელი, სინესიოსი, დიონისიოს არეოპაგიტა და სხვანი; ალიგიერი დანტე; მაჰმადიანი ფილოსოფოსი ალ ღაზზალი და სხვანიც. აქ ჩამოთვლილთა შორის და მათ გარეშეც ჩვენ ვხედავთ არა-ნეოპლატონიან ფილოსოფოსთ; ვხედავთ ნეოპლატონიანთ, რომელნი იყვნენ წარმართნი; ვხედავთ წარმართ გნოსტიკოსთ და ქრისტიან გნოსტიკოსთ; ვხედავთ იმ ნეოპლატონიანთ, ანუ უფრო სწორად იმ ქრისტიან მოაზროვნეთ, რომელნიც ნეოპლატონიზმის გავლენას განიცდიდნენ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთი ქრისტიანი თეოლოგოსი, რომელიც სახელდებით არის ვტნში მოხსენებული. ეს არის დიონისის არეოპაგიტა, ვტნის დივნოსი, რომლის შეხედულებითაც ღმერთი არის ნათელი პირველადი, უწინარესი ხატი, რომლის გადმონახატია არის მზის ნათელი. მისი აზრით, მზე არის ხატი ღმრთისა, სიმბოლო ღმრთისა...

4. მზე – ქრისტიანული

აქ განგებ ვჩერდები დიონისიოს, ვეფხისტყაოსანის „დივნოსის“ მოძღვრებაზე მზის და მისი ხატობის შესახებ. რატომ? იმიტომ, რომ დივნოსი არის ქრისტიანი ფილოსოფოსი და თეოლოგოსი და იგი ვეფხისტყაოსანშია დასახელებული.

დიონის აეროპაგიტა (მეხუთე–მეექვსე საუკუნეში) მზის შესახებ ლაპარაკობს თავის თხუზულებაში, რომელს ეწოდება ბერძნულად: პერი თეიონ ონომატონ; ლათინურად: დე დივინის ნომინიბუს; ქართულად: საღმრთოთა სახელთათვის.

პირველად დიონისის თხუზულებანი ქართულად უთარგმნიათ მეათე საუკუნეში, ხოლო შემდეგ კიდევ ეფრემ მცირეს გადაუთარგმნია ისინი ქართულად მეთერთმეტე საუკუნეში. სამწუხაროდ, ქართული თარგმანი, რამდენადაც ვიცი, არც შესწავლილია და არც დაბეჭდილი. 234. აქ ვსარგებლობ ფრანგული თარგმნით.

თხუზულებაში: „საღმრთოთა სახელთათვის“ დიონისიოს არეოპაგიტას წარმოდგენილი აქვს სრულიად გარკვეული და გამოკვეთილი დებულება: ღმერთი არის სახიერება, კეთილობა; სახიერება ყველაზე უმაღლესია და უზენაესი (თავი მეხუთე, მუხლი სამი). მან შეჰქმნა ცანი და მოაწყო მათნი მოძრაობანი; და მზე, რომელი ყველაფერს თავისაკენ იზიდავს, არის მისი

ბრწყინვალე ხატი (მუხლი 4). ღმერთი არის ნათელი გონებრივი და მზე სულთა (გონებათა, სპირიტუსთა)...

როგორ ამტკიცებს დიონისიოს არეოპაგიტა, დივნოსი ამ თავის დებულებას?

პირველად ყოვლისა იგი ეხება ღმრთის არსებას და ამბობს –

... მე მჯერა, რომ სახიერება (კეთილობა) არის ღმრთის არსება თვით, და ამით, რომ იგი არის კეთილი, კარგი არსებით და ბუნებით, იგი ქმნილებაზე თავის სიკეთეს ავრცელებს. რამეთუ როგორც მზე ნივთიერი, ესმის-გაეგება ან სურს თუ არა მას, მხოლოდ თავისი არსებობის სინამდვილით ანათებს ყველას და ყველაფერს, რამდენადაც ნივთთა მოწყობილობას აქვს უნარი მიიღოს მისი ნათელი, აგრეთვე სახიერება (ღმერთი), რომელი მზეს შეუდარებლად სჭარბობს ვით პირველადი მხოლოდ მით, რომ იგი არის და მეტობს სუსტ ასლზე, კოპიოზე, რომელიც მისგან გამოდის, ეს სახიერება ავრცელებს ყველა ქმნილებაზე თავის სხივთა ტკბილ გავლენას, რამდენადაც მათ უნარი აქვთ მიიღონ იგი. ამით არის რომ შექმნილნი არიან ბუნებანი, ძალნი, სრულყოფილებანი გასაგებნი და გონივრულნი... (ესენი არიან ანგელოზნი)... ამითაა, რომ არსებობენ ისინი (ანგელოზნი) და ფლობენ მარად სიცოცხლეს, უცვლელს; რომ ისინი (ანგელოზნი) განთავისუფლებულნი არიან გახრწნისაგან, სიკვდილისაგან, ნივთიერობისაგან, შთამომავლობისაგან; რომ ისინი ამცდარნი არიან მერყეობას, დაცემას, მუდმივ ცვალებადობას; ამითაა, რომ ისინი გასაგებნი არიან, მათ სრულყოფილ უნივთიერობისა გამო; და სულით (გონებით) ისინი (ანგელოზნი) არიან ზეკაცობრივად გონივრულნი, განათლებულნი, რადგან მათ ესმით ნივთთა აზრი და გადასცემენ ნათელს სხვა ანგელოზურ არსებებს... და თუ ვილაპარაკებთ ცხოველთა უგონო სულთა შესახებ, მათ შესახებ, რომელნიც არღვევენ ჰაერს; რომელნი დადიან ან სტკეპნიან მიწას; რომელნი სცურავენ ან არიან წყალმიწიერნი; რომელნი ცხოვრობენ მალულად და არიან მიწაში მძრომელნი, – ყველანი, რომელთა აქვთ გრძნობა და სიცოცხლე, ყველა და ყველანი სულ შთაბერილნი და სიცოცხლე მინიჭებულნი არიან ამ უზენაესი სახიერებისაგან; იგი არი (ეს სახიერი – ღმერთი) ის, რომელი აძლევს მცენარეთ ამ სიცოცხლეს, სადაც ისინი იკვებებიან და მოზარდეობენ; იგი არის (სახიერი – ღმერთი) დაბოლოს იგი, რომელიც ყველაფერს, რასაც არც სული, არც სიცოცხლე არა აქვთ, არსებობას და ყოფნას ანიჭებს...

მაშასადამე, ღმერთი არის სახიერება-კეთილობა. ამ სახიერმა – ღმერთმა ყველაფერს სიცოცხლე და არსებობა მიანიჭა, ხილულთ და არადხილულით.

.. და დიონისიოს არეოპაგიტა განაგრძობს (თავი 4, მუხლი 4) –

მაგრამ უყურადღებოდ არ უნდა დავტოვო ის, რაც ზემოდ გამომრჩა: იგივე სახიერება (ერთი ღმერთი) არის იგი, რომელმა შეჰქმნა ცანი, წერტილი, სადაც ისინი იწყებიან და იგივე წერტილიც, სადაც ისინი ბოლოვდებიან და

მათი არსი, რომელი არც მატულობს, არც მცირდება და არასოდეს არ ცვალებადობს, და თუ ასე შემიძლია ვთქვა, რომელიც არის ვეებერთელა დუმილი მოძრაობა, რაც სივრცეში ტრიალებს. სახიერემა (ღმერთმა, ერთმა) გადასწყვიტა დიდებული წესრიგი, შვენება, სინათლე და მყარი ადგილი ვარსკვლავთა და გზა ცთომილთა (პლანეტათა). მან წარმოშვა ეს ორი დიდი მნათობი, (შესაქმე 1), რომელი გადაივლის ცას, რათა ესევე გაჰქრეს ჟამითი ჟამად ცისკიდურის იმავე წერტში, რომლითაც განსაზღვრულნი არიან დღენი და ღამენი, წელნი, რომელნიც თავის მხრივ არკვევენ განსხვავებას, რიცხვს, რიგს და დროთა ტრიალთა და დროის მოვლენათა ფართობს აღნიშნავენ.

მაგრამ რა უნდა ითქვას მზის შესახებ, თუ გსურს ცალკე განიხილო ეს შუქთა მფრქვევი ვარსკვლავი? რადგან ნათელი მოდის სახირებისაგან (ღმრთისაგან), და იგი (ეს ნათელი) არის სახე (ხატი, ფიგურა) სახიერებისა; და სახიერს (ღმერთს) შეუძლია დაერქვას ნათელი; ხოლო არხეტიპი (პირველადი, წინარი სახე, პირველი ნიმუში, წინა მაგალითი) შეიძლება აღინიშნოს მისი **ხატით**-ო.

ასეთი არის პარიზის ეპისკოპოსის დარბუას ფრანგული თარგმანი დიონისიოსის ამ ადგილისა. ამავე ადგილის თარგმანი მორის განდილიჲაკის ფრანგული თარმანისა არის შემდეგი –

697ბ. კერძოდ, რა ქებანი უნდა ითქვან მზის განშუქებაზე? სწორედ სახიერებისაგან (კეთილობისაგან, ღმრთისაგან) იგი (მზე) ღებულობს და იგი (მზე) თვითონ არის **ხატი სახიერებისა**. აგრეთვე აქებენ სახიერებას (697გ), როდესაც მას უწოდებენ ნათელს, რადგან ხატის გზით (ხატის საშუალებით) ეს არის სახე – მოდელი (ანუ: ღმერთი ნათელი), რომელიც ცხადდებადო.

განვაგრძოთ ისევ დარბუას თარგმანის მიხედვით –

რადგან სახიერება დაუსრულებელისა შედის ყველა ქმნილებაში, დაწყებული უმაღლესიდან და პირველიდან უკანასკნელამდე, და უმდარესში, და იგი გადაამეტებს ყველას ისე, რომ ყველაზე უდიდებულესს არ შეუძლია მის აღმატებულებას მიაღწიოს და არც ყველაზე მდაბიოს შეუძლია მის შემოხვევას გაექცეს; როგორც იგი, სახიერი, ავრცელებს თავის ნათელს ყველაფერზე, რომელთაც შეუძლიათ ეს ნათელი მიიღონ, და ჰქმნის, აცოცხლებს, ინახავს და სრულ ჰყოფს; როგორც იგი, სახიერი არის ზომა, ხანი, რიცხვი, ჰარმონია, კავშირი, დასაბამი (საწყისი) და დასასრული ყველაფერისა; ასეთია **ხატი ხილული** და შორეული ხმა ღვთაებრივი სახიერებისა, **მზე ჩირაღდანი** (ლამფარი) ვეებერთელა, დაუქრობელი, რომელიც თავის შუქთა ჰფენს ყველა გვამს, რომელს შეუძლია შეითვისოს მისი ნათელი, აბრწყინვებს თავის ზიმზიმს და ეხვევა ხილულ ქვეყანას, დედამიწას და ცებს თავისი წმიდა შუქთა დიდებით. და თუ რომელიმე ნივთში ნათელი სრულებით არ შედის, ეს არა იმიტომ, რომ იგი (მზე) მას ვერ აღწევს, ან მას ძალიან სუსტად ხვდება, არამედ იმიტომ, რომ ეს საგანნი თვითონ არიან მხოლოდ უხეში ელემენტები, რომელს უნარი არა აქვს

სინათლე მიიღოს; ამიტომ იგი, სჩანს, გადადის სხვაზე და აფრქვევს თავის სიმდიდრეს უფრო კარგად მოწყობილ გვამებზე; მაგრამ, ვერაფერი, რომელიც ხილულია, ამ ფართო კერის მსოფლიო მოქმედებას ვერ გაექცევა. თვით მზე ხელს უწყობს მოწყობილ ქმნილებათა წარმოშობას; ისინი მას მიჰყავს სიცოცხლესთან; მათ ასაზრდოებს; მათ ანიჭებს გაზრდასა და სრულყოფას; მათ სწმენდს და ანახლებს. სინათლე ჩვენ გვიზომავს დროს, დღეებს და დროთა ნაშთებს; და ესაა თვით სინათლე, თუმცა ჩვენი მსოფლიოს პირველ სამ დღეს იგი არ იყო, მოსეს მოთხრობის თანახმად. შემდეგ, ისე ვითარცა სახიერება (ღმერთი) მიიზიდავს თავისაკენ, როგორც ღვთაებრივი წყარო და ერთიანობის მიზეზი, ისე მზეც მოუწოდებს თავის წიაღში ქმნილებათა, რომელნი გაბნეულნი არიან, ასე ვთქვათ, – და ყველაფერი მიისწრაფვის მისკენ, როგორც თავის დასაბამისაკენ (თავისი პრინციპისაკენ) და თავისი ბოლოსაკენ, მიზნისაკენ; ისევე ვით, საღმრთო წერილის გამოთქმის თანახმად, ყველაფერი არსებობს, მოდის სახიერებისაგან (ღმრთისაგან) და შექმნილია მისი სრულყოფილი ძალით, და ეს ყველაფერი შენახულია და დაცული, და მის მფარველობაშია როგორც განუხრწნელ ფუძეში; ისე როგორც ყველაფერი მიიწევს მისკენ (სახიერებისაკენ) როგორც თავისი საკუთარი პირობისადმი და წადილისადმი; წმიდა გონებანი და სულნი გონებით, ცხოველნი თავიანთი გრძნობადობით, მცენარენი თავიანთი ნერგოვნებითი მოძრაობით, რომელიც არის წადილი სიცოცხლისათვის, უსიცოცხლო ნივთნი და მარტივნი არსებობით აღჭურვილნი, თავიანთი უნარიანობით ცდილობენ არსის ზიარი შეიქმნან; აგრეთვე, და იმ ხარისხით, სადაც იგი სახიერებას წარმოადგენს, იგი, ეს ნათელი, ძლიერი ცენტრი (მზე) მიიზიდავს თავისაკენ ყველაფერს, რაც არის და ხილულია; რაც მოძრაობს, რასაც აქვს უნარი ჭრტიალისა და სიცხისა, ზოგადად, რასაც იგი (მზე) ეფრქვევა თავისი შუქით. აი რატომ უწოდებენ ბერძენნი მზეს „ჰელიოს“, სიტყვისაგან „აოლლეს“, რადგან იგი აგროვებს, აჩერებს, ინარჩუნებს ერთიანობაში ქმნილებათ, რომელნი მსოფლიოში გაბნეულ არიან; და ყვლაფერი გრძნობადი მიისწრაფვის მისკენ (მზისაკენ), გინდ რათა განიხაროს მისი ხილვით, გინდ რათა მიიღოს მისგან მოძრაობა, სინათლე, სითბო, რათა შენახულ იქმნას მისი მაცოცხლებელი ბრწყინვალებით. რაც ახლა ვთქვი, ეს ვთქვი არა ძველთა აზრის მიხედვით, რომელნი მზეს უყურებდნენ როგორც ღმერთს, როგორც ფიზიკური ქვეყნის შემქმნელსა და უზენაეს განგებას; არა იმიტომ, რომ ქვეყნის შექმნის შემდეგ, ქმნილებებმა გახადეს ხილულად და გასაგებად ის, რაც არის უხილავი ღმერთში, თვით მისი მარადული ძალა და მისი ღვთიურობა...

ასეთია დიონისიოს არეოპაგიტას, ვტნის დივნოსის სწავლა მზის შესახებ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ბერძნულ ტექსტში სიტყვისათვის „ხატი“ (სახე) ნახმარია იკონ; ლათინურში – იმაგო; ფრანგულში – იმაჟ, რაც არის „ხატი“, „სახე“. 235.

5. ხატი – ვეფხისტყაოსანში

ვეფხისტყაოსანის „მზე – ხატი ღმრთისა“, როგორც უკვე აღვნიშნე, ასტროლოგიური დებულება არ არის. ვეფხისტყაოსანის „მზე – ხატი ღმრთისა“ არის ფილოსოფიური დებულება საერთოდ, და თეოლოგიური ფილოსოფიის დებულება, კერძოდ.

ავთანდილი და ტარიელი იცნობენ საერთოდ ფილოსოფიას; კერძოდ – ფილოსოფიურ სწავლას მზის შესახებ; ისინი იცნობენ, როგორც პაგანურ, ანუ არა-ქრისტიანულ ნეოპლატონურ მოძღვრებას, ისე ქრისტიანულ ნეოპლატონურ შეხედულებასაც ამავე საკითხში.

ვეფხისტყაოსანში ნათქვამია: მზე იწოდება ღმრთის ხატადო და ამას ამბობდნენ „ფილოსოფოსნი წინანიო“, ძველნიო. ამით ეკუთვნიან როგორც არა-ქრისტიანი, ისე ქრისტიანი ფილოსოფოსები, და მათ შორის აგრეთვე დიონისიოს არეოპაგიტა, დივნოსი. როგორც გავიგეთ, დივნოსის აზრით, არსებობს ერთი, სახიერება, რომელიც არის პირველადი ნათელი; ეს ერთი არის **პირველადი ხატი**, ხოლო მისი **გადმონახატი** არის ამქვეყნიური ნათელი. **მზე არის ხატი ღმრთისა, მზე არის სიმბოლო** (სიმბოლიკე) **ღმრთისა.**

ამ მიმოხილვამ იმ აზრს დამაყენა, რომ ვეფხისტყაოსანის ფილოსოფიურ-თეოლოგიური დებულება მზის ხატობის შესახებ არის ქრისტიანული. რატომ? იმიტომ, რომ ვტნში არც ერთი არა-ქრისტიანი ნეოპლატონიანი დასახელებული არ არის; ოღოდ ეს არაა მაინც და მაინც მძიმე საბუთი ამ დებულების გასამართლებელად; საამისო საბუთის სიმძიმე ვტნის საღმრთისმეტყველო ფილოსოფიაში არის რადგან ვტნის თეოლოგია არის ქრისტიანული და თავის თავად მზის ხატობაც არის. ქრისტიანული დებულება; რადგან მზე არის ხატი ღმრთისა; მზე არის ხატი „მზიანი ღამისა“; მზე არის ხატი „ერთარსებისა ერთისა“; ხოლო ეს „ერთარსება ერთი“ კი არის „წმიდა სამება“, რაც თავისთავად ცხადია, არის ქრისტიანული თეოლოგიის დებულება.

(დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხილეთ ჩემს წიგნში: „ვტნის ღმრთისმეტყველება“.

საბოლოო დასკვნა

1. მზე ვტნში არ არის ღმერთი;

2. მზე ვტნში არის ღმრთის მიერ შექმნილი;

3. მზე ვტნში არის მხოლოდ ხატი ღმრთისა;

4. მზე ხატი ღმრთისა, ანუ ერთარსებისა ერთისა არის ქრისტიანული თეოლოგიის ფილოსოფიური დებულება.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მესამე

მზე – ხატი მზიანი ღამისა

1. მზიანი ღამე ქვენაარისა

2. მზე შუაღამისა

3. მზე ღამისა – ხეპრა

4. მზე – მთვარე

5. მზე – სატურნუსი

6. მზე – ხატი წყვდიადისა

7. ბრწყინვალე წერტილი

8. ნათელნი პირბადენი

9. მზიანი ღამე – ქრისტიანული ღმერთი

10. სხვათა შეხედულებაც

დასკვნა

1. მზიანი ღამე ქვენაარისა.

მზიანი ღამის შესახებ ავთანდილი ლაპარაკობს თავის მიმართვაში მზისადმი –

იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისად ღამისად,

ერთარსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად, (836)

ერთ-არსება ერთი არის ღმერთი, სამება. უჟამოსა ჟამისა არის მარადული, დაუსრულებელი, ინფინიტუს. ღმერთი არის ერთარსება და მარადული. აი, ამ ღმერთის ხატად ითვლება მზე. ოღონდ მზე ითვლება აგრეთვე „მზიანი ღამის” ხატად. რა არის ეს „მზიანი ღამე”?

ძველი და შუა საუკუნეთა კოსმოგრაფია ქვეყნიერებას, მსოფლიოს მარტივად განიხილავდა. მსოფლიოს ცენტრად აღიარებული იყო დედამიწა და მას უტრიალებდა ცა, მთელი თავისი სურათებით. დედამიწა გაჩერებულია, ერთ ადგილზეა და ცა კი, მოჭედილი თუ მიჭედილი ვარსკვლავებით, წარმოადგენს ერთ ვეებერთელა ბურთის შინაგან მხარეს, უუზარმაზარ ბორბალს, რომელიც მყარ მიწას აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ უვლის. ეს ცა დიდი სიმრგვალეა და ჰორიზონტი მას ჰყოფს ორ თანაბარ ნაწილად: 1. ხილული ცა, ანუ ცა, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ, და 2. უხილავი ცა, ანუ ამ დიდი სიმრგვალის მეორე ნახევარი, რომელს ჩვენ ვერა ვხედავთ და რომელიც ჰორიზონტის ქვემოდ, ჩვენს ქვეშ არის; იგია ქვეშეთი, დამხე, ქვენაარი.

მზე ამოდის აღმოსავლეთით და ჩადის დასავლეთით. სად მიდის მზე? ამ საკითხის გარშემო უამრავი თქმულებაა შექმნილი, ოღონდ აქ ეს საყურადღებო არაა.

მზე ჩადის, გაუვლის იგი დედამიწას ქვემოდან და ისევ ამოდის ჩვენთვის. მზე იმ დროს, როცა იგი ხილულ ცაზე არ არის; როცა იგი დედამიწაზე აღარ ანათებს, სადღაც ქვეშ არის, ქვენაარში, ცის მეორე მხარეზე. აი, სად ვხვდებით ღამის მზეს! ღამის მზე არის ის მზე, რომელიც ჰორიზონტის ქვემოდ, ცის მეორე, უხილავ ნახევარზე მოძრაობს. ცხადია, ღამის მზე კაცის თვალისათვის დასანახი არაა, რადგან ამ დროს მზე მხოლოდ ჩვენს ქვეშაა. და ჩვენს ქვეშ კი ჩვენთვის ღამეა, თუმცა იქ მზე ანათებს! ეს არის აგრეთვე მზიანი ღამე. მზიან ღამეზე წარმოდგენამ შორეულ წარსულში ბევრი საიდუმლო მოძღვრება წარმოშვა. მათ შორის ჩვენთვის საყურადღებოა ერთი, რომლის გაგებისათვის ზოგი რამ უნდა გავიხსენოდ.

2. მზე შუაღამისა

21 მარტს ხდება დღისა და ღამის გასწორება. ამ დღიდან 22 ივნისამდე დღე იზრდება, ღამე მოკლდება. 22 ივნისს უგრძელესი დღეა და უმოკლესი ღამე. ამ დღესაა ზაფხულის დადგომა, ანუ გაზაფხულის სოლსტისიუმი. 23 სექტემბერს კი ხდება დღისა და ღამის თანაგასწორება. ამ დღიდან დღე მოკლდება, ღამე იზრდება, 22 დეკემბრამდე. ეს არის ზამთრის დადგომის დღე, ანუ ზამთრის სოლსტისიუმი. მზის ამ მიმოქცევის დროს, ზამთარისა და ზაფხულის სოლსტისიუმების დღეს, მზე და მთვარე შუადღისას ერთი მეორეს მოპირდაპირე ადგილზე იმყოფებიან. ზამთრის სოლსტისიუმში, როცა მთვარე არის სავსე, თავის უმაღლეს გზაზე მისცურავს. მზეს ამ დღეს თავისი უმდაბლესი ადგილი უჭირავს. ზაფხულის სოლსტისიუმში პირუკუღმა ხდება: მზეს თავისი უმაღლესი ადგილი უკავია და მთვარეს კი – უმდაბლესი.

„შუა ღამის მზის ხილვა არის უძველესი მისტიური მოვლენა, რომელიც უმთავრესად ზამთარის სოლსტისიუმს ეხება. მისტიკოსებს სურდათ

ეხილათ მიწის ქვეშ შუაღამისას, მთვარის მოპირდაპირედ 180 გრადუსით მდგომი მზე. ეს არის შუაღამის მზის სხივის ცდა. 236.

მაშასადამე, არსებობს ღამის მზე, შუაღამის მზე, რომლის ხილვა მხოლოდ უუმაღლესი განცდითა და გონებრივი თვალის დაჭიმვით, იდუმალად, მისტიურად შეიძლება.

ვეფხისტყაოსანის მზე არის ეს მზიანი ღამე? არა! რადგან ვტნში მზე არის მხოლოდ „ხატი მზიანი ღამისა" და მზიანი ღამის ხილვაზე კი ლაპარაკიც არ შეიძლება.

***

მეორე გვარი მზიანი ღამე გვაქვს ელევსის მისტერიაში. აქ ცნობილია ღამური მზე, რომელიც არის ამავე დროს დღიური მზე. სადღაც, ზესთაში, კეთილი სასუფეველის უფრო ზემოდ არსებობს მზე, რომელი როგორც დღისით, ისე ღამით ანათებს. 32. გვერდი 482.

ელევსის მისტერიაში ლაპარაკიც არ არის იმის შესახებ, თითქო ჩვენი მზე იყოს ხატი ამ მსოფლიოთა გადაღმა მყოფი მზისა. არც ამგვარ მზეს აქვს რაიმე კავშირი ვტნის მზესთან.

3. მზე ღამისა – ხეპრა

ეგვიპტური რწმენის მიხედვით, სად ჩადის მზე ღამით? იგი მიდის ქვესკნელში; იგი გაივლის ამ ქვენაარში მეორე ცას, რომელიც იქ არსებობს. ეს ქვესკნელი არის მკვდართა ქვეყანა. იქ არის ოზირისის სამკვიდრებელი. და ეს ჩვენი მზე გაივლის იქ იმ დროს, როდესაც ჩვენთვის ღამეა, გაივლის იქ არსებულ მეორე ცას. ამ მზეს ეწოდება ხეპრა. 237.

ეგვიპტური ხეპრა არის ღამის მზე, რომელი ქვესკნელში გაივლის მკვდართა ქვეყანას, გარდაცვალებულთა შორის. მზე–ხეპრა–ღმერთი გააცოცხლებს მლოცველთ და მავედრებელთ, მკვდრებს; მათი სულები ჩასხდებიან მზის ნავში და გაჰყვებიან ღამის მზეს, რათა დღის მზესთან იარონ. ამგვარად, სულები დღისითა და ღამით მზესთან არიან. (იხილეთ წინ, გვერდი 20 და 67).

გავიხსენოთ თუ რას ამბობს ნესტანი ტარიელისადმი მიწერილში –

მომცნეს ფრთენი და აღვფრინდე, მივჰხდე მას ჩემსა ნდომასა,

დღისით და ღამით ვჰხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა (1304).

გარეგნულად მოსჩანს, თითქო რაღაც კავშირი უნდა იყოს ეგვიპტურ ხეპრა-მზესა და ნესტანის მზეს შორის. ნესტანს სურს მზეზე აფრენა და იქ მზის ელვათა, ანუ შუქთა ხედვა დღისითა და ღამით. ოღონდ ეს მსგავსება ნესტანის მზესა და ხეპრეს შორის მხოლოდ მოჩვენებითია და ზერელე.

ნესტანის წარმოდგენით გარდაცვალებულთა სულნი ქვესკნელს არ მიდიან, არამედ ზეცას მიფრინავენ.

ეგვიპტური იზისის მისტერიაში არის კიდევ რწმენა იმის შესახებ, რომ მიწევნილი ტაძრის უმთავრეს საიდუმლო განყოფილებაში მისტიურად ღამის მზეს ხედავსო. 237. გვერდი 253. არც ამგვარ მზეს აქვს კავშირი ვტნის ღამის მზესთან.

4. მზე – მთვარე

ნატურალისტ პლინიუს მეორეს თანახმად, მთვარეს ეძახდნენ აგრეთვე ღამის მზეს. 238.

შესაძლებელია განა, ვტნის მზე – ხატი მზიანი ღამისა, მთვარე იყოს? არა. მართალია, მთვარე ღამის მზე არის, მაგრამ მზე არ შეიძლება მთვარის ხატი იყოს, ვერც ასტროლოგიურად მზე და მთვარე ერთმანეთს ვერ შეცვლიან, ერთი მეორეს მაგიერობას ვერ გასწევს.

5. მზე – სატურნუსი

ბაბილონელთ მზე ცაზე ისე საჭიროდ მიაჩნდათო, – ამბობს პროფ. ფ. ბოლლ, – რომ მას ღამითაც აუცილებელ მნათობად სთვლიდნენო და ამიტომ თავიდანვე, ამ ღამის მზეს ეძებდნენო; და მათ ეს ღამის მზე მონახეს. იგი არის სატურნუსი და მას დაარქვეს: ღამის მზის ვარსკვლავი.

ეს შეხედულება, რომ ღამის მზე არის მნათობი სატურნუსი, საბერძნეთშიც გავრცელდა.

პროფ. ფრ. ბოლლი ამ მოვლენას შემდეგნაირად განმარტავს: შესაძლებელია ბაბილონელთ სჯეროდათ, მნათობი სატურნუსი, რომელი ასე ნელა ზოდიაკოთა წრეს გაივლის, სამეფო ტახტიდან გადმოგდებული მზე არისო, ოღონდ უფრო სწორე იქნებოდა გვეფიქრა რომ მათი აზრით, სატურნუსი არის თვით ჩვენი მზე, რომელიც თავის ღამის გზას ძალიან, ძალიან შორს ზემოდ გაივლის და ამიტომ იგი უფრო პატარაა და ნაკლებ ნათელი მოსჩანსო. 52. გვ. 12. მაშ, ღამის მზე ყოფილა სატურნუსი!

ასტროლოგიური სწავლის მიხედვითაც, სატურნუსი არის მზის მნათობი; სატურნუსი არის მზე ღამისა, ასტროლოგიაში მიღებული შეცვლისა და მაგიერობის სწავლის თანახმად; სატურნუსს შეუძლია ასტროლოგიურ კომბინაციაში დღის მნათობის, მზის ადგილი დაიკავოს, როდესაც დღის მზე უკვე აღარა სჩანს – და ამგვარად: სატურნუსი ღამის მზედ ხდება. 239.

აი, აქაც გვაქვს ჩვენ ღამის მზე, ანუ მზიანი ღამე.

ამნაირი განმარტებით გასაგები ხდება ავთანდილის ნათქვამი: ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად? არა! რადგან დღის მზე მაინც არის აქ ხატი ღამის მზის – სატურნუსისა. პირიქით: სატურნუსი არის შემცვლელი მზისა; იგი არის თვით ხატი მზისა.

მაშ სად ვეძებოდ და როგორ გავიგოთ ავთანდილის შესანიშნავი თქმა: მზიანი ღამის შესახებ?

6. მზე – ხატი წყვდიადისა

თვით ეს თქმა „მზიანი ღამე” არსად შემხვედრია, გარნა მისი შინაარსის გამომხატველი თქმა კი არსებობს და არსებობს იგი ქრისტიანულ ღმრთისმეტყველებაში, და კერძოდ: „თეოლოგიურ მისტიკა”ში, რომელიც დიონისიოს არეოპაგიტას ეკუთვნის...

დიონისიოსის ანუ დივნოსის სწავლის მიხედვით: ღმერთი არის ნათელი; რასაკვირსელია, არა ჩვენთვის ცნობილი ნათელი, არამედ ჩვენთვის უცნობი ნათელი, ზენათელი. ეს ნათელი არის ჩვენთვის გაუგებარი, უხილავი და მიუწვევნელი; ამიტომ ჩვენთვის იგი არის ბნელი, უკუნი; ეს ნათელი არის წყვდიადი; არის ღამე ჩვენთვის, რადგან მისი მზერა შეუძლებელია, მაგრამ, – როგორც იტყვის დიონისიოს, – ეს წყვდიადი, ეს ღამე ბრწყინავს უაღრესად აპრიალებული ნათელით მეტის მეტად შავ სიბნელეში; ეს წყვდიადი, ანუ ღამე არის უფრო უმშვენიერესი თავისი ბრწყინვალებით, ვიდრე თვით შვენიერება. ეს წყვიდიადი არის უფრო მანათობელი, ვიდრე ნათელი, და ყოველი მზერისა და ყოველი შეცნობის უარყოფის შემდეგო, – ამბობს დიონისიოს არეოპაგიტა, – შეგვეძლებაო ვიხილოდ და გავიგოთ, რომ არ შეიძლება ცნობა **იმისა, რომელიც** არის ხილვის იქით და ყოველ ცნობის მიღმაო.

აი, ეს წყვდიადი არის მზიანი ღამე, და ხილული მზე კი არის მისი ხატი. აი, ეს წყვდიადი არის ნათელი უხილავი; იგი არის ღმერთი და ამ მზიანი ღამის ხატი კი არის ხილული მზე.

ასეთი განმარტებით გასაგებია ავთანდილის ნათქვამი –

... ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად (836).

მაშასადამე: უხილავი, ბნელი წყვდიადი, „მზიანი ღამე” არის თვით ღმერთი, ღმერთი ნათელი, ღმერთი უხილავი ნათელი და მისი ხატი კი არის ხილული მზე. ეს დებულება არის ქრისტიანული მისტიკოსური დებულება. ესაა მისტიციზმი. თვით დიონისიოს არეოპაგიტა „მისტიციზმს” უწოდებს: დიდი წყვდიადი; ის რაც არის „დამალული”; რაც არის საიდუმლოება, სეკრეტი. 239ა.

როგორც უკვე აქვე წინ აღვნიშნე (იხილეთ გვერდი 55), გნოსტიკოსთა სწავლით, ღმერთი არის მიუწვევნელი, გაუგებარი შეუგებელი; ღმერთი არის ნათელი და იმყოფება მიუწვდომელ ნათელში, ამიტომ ჩვენთვის იგი არის სიბნელეში, წყვდიადში...

აი, ეს არის ღმერთი ნათელი, ღმერთი მზიან ღამეში და სწორედ მის შესახებ ამბობს ავთანდილი: ამ მზიანი ღამის ხატი არის ჩვენი ხილული მზეო.

7. ბრწყინვალე წერტილი

დიდებული დანტე თავის „პარადისო”ში (კანტო 28) ხედავს ერთ ბრწყინვალე წერტილს და მის გარშემო ცხრა წრეს, რომელთაგან ამ ბრწყინვალე წერტილთან უფრო ახლო მყოფი წრე უძლიერესად ბრწყინვალეა და უფრო სწრაფია თავის მოძრაობაში. ეს ბრწყინვალე წერტილი არის ღვთიური არსი თვით ღმრთის გამოხატულება, ხოლო ცხრა წრე კი ანგელოზთა ცხრა ხოროს, ცხრა დასს წარმოადგენს. ეს წერტილი ბრწყინვალე ისეთი ძლიერი ნათელისა იყო, რომ დანტეს მზერამ მას ვერ გაუძლო და მან თვალები დახუჭა.

ვენტური-ს აზრით, ეს ბრწყინვალე წერტილი არის ღმრთის გონებრივობისა და განუყოფელობის სიმბოლო; ხოლო მარიანო როკა დე ტორრეს, მარკეს დე მოლინს ამტკიცებს, რომ ეს ბრწყინვალე წერტილი თვით ღვთიურობის გამოხატულება არისო, რომელიც ამ ერთ წერტილში მთელს წარსულს, აწმყოს და მომავალს შეიცავსო... 239ბ.

ყოველ შემთხვევაში, დანტესათვის ეს ბრწყინვალე წერტილი არის ღმრთის გამოსახულება და ეს ღმრთის გამოხატულება ბრწყინვალე წერტილი ისეთი ნათელია თავისი ბრწყინვალებით, რომ დანტეს აბრმავებს... (მზერას მას ბეატრიჩე გამოუსწორებს).

ვეფხისტყაოსანში ეს „ბრწყინვალე“ არის „უხილავი მზე“, უხილავი ნათელი ღმერთი, „მზიანი ღამე“, იქ, სადაც ამ „ნათელ წერტილს“ თვალი ვერ ხედავს, და ამგვარად, იგი წყვდიადში არსებობს ჩვენთვის, და არის იგი „მზიანი ღამე“.

ვეფხისტყაოსანის „მზიანი ღამე“ ისე ვითარცა „დივინა კომედიის“ „ბრწყინვალე წერტილი“ არის ღმრთეების, ღვთიურობის სიმბოლო, უხილავი ღმრთის გამოხატულება, ხოლო ჩვენთვის გასაგები სიმბოლო და ხატი მისი კი არის ჩვენი ხილული მზე.

8. ნათელნი პირბადენი

იქნებ აქ ჩვენ საქმე გვაქვს ისლამურ რწმენასთან ალლაჰის ფარდათა (პირბადეთა) შესახებ?

მაჰმადიანთა შორის გავრცელებული რწმენის თანახმად, ღმერთს–ალლაჰს აქვს სამოცდაათი (70) ფარდა (პირბადე), რომელიც შედგენილია ნათელისა და წყვდიადისაგან. თუ ალლაჰი მათ მოიშორებს, **მისი** დიდებულების პირი გადასწვავს ყველა არსებას, რომელს **მისი** მზერა მიაღწევსო.

მუსლიმ თავის „იმამ“ში ამბობს – **მისი** (ალლაჰის) ფარდე (პირბადე) არის ნათელი. თუ იგი მას მოიშორებს, ყველაფერი გადაიწვება და დაიღუპება მისი, ალლაჰის მზერისაგანო.

აჰმად ბენ ჰანბალს აქვს მეორე თქმა – **მისი** ფარდა არის ცეცხლი. თუ ამ ცეცხლის ფარდას ალლაჰი ჩამოიხსნის, ყველაფერი გადაიბუგებაო.

დასაკუტნის ნათქვამი აქვს – ალლაჰსა და მის ქმნილებათა შორის არის 70. 000 ფარდაო.

***

ეს ჩვეულებითი შეხედულება ალლაჰის ფარდათა შესახებ გამოიყენა თავის ფილოსოფიურ მოძღვრებაში დიდმა ალ ღაზზალიმ (1059 – 1111). მისი სწავლით, ღმერთი არის დაფარული, მალული, თუმცა იგი ცხადდება ამ ქვეყანაზე თავის ქმნილებათა არსებობითო. ალაჰის ფარდა არის ნათელი, ფარდა მისი ნათელისაო. და ალ ღაზზალი კაცთაც კი რელიგიურად სხვა და სხვად ჯგუფად წარმოადგენს იმის მიხედვით, თუ რომელი ჯგუფი რა ხარისხითაა დაშორებული ალლაჰისაგან ფარდათა გამო. არსებობენ ჯგუფნი, რომელნიც ალლაჰისაგან დაშორებულნი არიან ნახევრად ნათელი და ნახევრად ბნელი ფარდებით. მათზე უმაღლესნი ჯგუფნი, წინაუკმოდ, ალლაჰისაგან დაშორებულნი არიან მეტად თუ ნაკლებად ნათელი ფარდებით. სხვა ჯგუფნი დაშორებულნი არიან მხოლოდ წმიდა ნათელის ფარდებით. და, რასაკვირველია, აქ არსებობს დახარისხება ალლაჰის იდეასა და ნივთიერ ქვეყანას შორის მანძილის შესახებ და სხვა. 109ა. გვ. 10, 31.

ცანი, ვარსკვლავნი, მზე, მთვარე, ცხოველნი, მცენარენი – ყველაფერი თავისი არსებობით გვიჩვენებს რომ არის არსება, რომელიც მათ განაგებს, მათ ჰქმნის და მათ საკუთარ თვისებებს აძლევს. ეს არსება არის ღმერთი. იგი არის ყოველივეზე უფრო ცხადი და ყოველივეზე აშკარა. ოღონდ მისი, ალლაჰის გაგება, მისი ცოდნა შეუძლებელიაო, – ამბობს ალ ღაზზალი. – „რაიმე“ შეიძლება ვერ იხილო და ვერ გაიგო, რადგან ეს „რაიმე“ არის ცხადი და აშკარა. ოღონდ მას ვერ იხილავ და ვერ გაიგებო. და ამ მოვლენის დასასურათებელად ალ ღაზზალი ღამურას მაგალითს აღნიშნავს.

ღამურა ხედავს ღამით და ვერ ხედავს დღისით; ღამურა ვერ ხედავს დღით არა იმიტომ, რომ დღისით ბნელია, ანუ სინათლე დამალულია, წყვდიადია, არამედ იმიტომ, რომ დღე ღამურასათვის არის დიდად ნათელი; ღამურას სუსტი ხედვა ბრმავდლება მზის ბრწყინვალე სინათლით. აი, ეს არის მიზეზი იმისა, რომ ღამურა დღისით ვერაფერს ვერ ხედავს. ამის გამო ღამურა ხედავს მხოლოდ მაშინ, როდესაც სინათლე შესუსტებულია სიბნელითო.

როგორ შეუძლია კაცს იხილოს ღმერთი, როდესაც ჩვენი გონება, ჩვენი გაგება არის სუსტი, მაშინ როცა ღვთიური ყოფნა არის განუსაზღვრელი ელვარება, რომელიც ყველაფერს ეხვევა, ცათა და ხმელეთთა თვითოულ ატომსაც კი. ამგვარად, ღმრთის ნათელი არის მიზეზი ღმრთის წყვდიადობისაო, – დაასკვნის ალ ღაზზალი. – მაგრამ ის კაცი, რომლის შინაგანი ხედვა ძლიერია და რომლის ღირებულება არაა შესუსტებული; რომელიც იმყოფება წონასწორობის მდგომარეობაში; ასეთი კაცი ხედავს მხოლოდ ღმერთს, იცნობს მხოლოდ **მას** და იცის, რომ არსებობს მხოლოდ იგი... და ალ ღაზზალს მოაქვს ერთი ლექსის ნაწყვეტი: ჭეშმარიტად, **შენ** (ღმერთო) **ხარ ცხადი**, ხოლო **დამალული** დაბრმავებულისათვის, რომელიც თვით მთვარესაც კი ვერ ხედავს. მაინც შენ (ღმერთო!) ხარ დამალული და

პირბადით მოსილი მხოლოდ იმ სინამდვილით, რომ ხარ **შენ ცხადი**. როგორ შეიძლება მართლაც იცნო, გაიგო იგი, რომელი დამალულ არს შეგნებაში?

***

აქ ვხედავთ – როგორც ქრისტიანულ ფილოსოფიურ მისტიკოსურ მსოფლმხედველობაში, ისე ამგვარსავე ისლამურში, ღმერთი არის ფარული, დამალული. ეს შეხედულება უკვე დიდი ხნით ადრე ესაია წინასწარმეტყველს ჰქონდა გამოთქმული, როდესაც იგი ღმერთს მიმართავს – ჭეშმარიტად, შენა ხარ ღმერთი ფარული (დამალული), ღმერთი ისრაელისა, ო, მხსნელო! (ესაია 45,15).

9. „მზიანი ღამე" – ქრისტიანული ღმერთი

რომ ღმერთი დამალულია; რომ იგი ფარული არის და კაცი მას ვერ ხედავს და არ ძალუძს მისი ხილვა – ეს დებულება ყველა რელიგიაშია მოცემული და იგი არავისათვის სადავო არ არის. ვეფხისტყაოსანში საქმე ეხება სხვა გვარ დამალულ ღმერთს, საკითხი ეხება „მზიან ღამე" ანუ ღმერთი ერთი, ფარული, უზენაესი ქრისტიანული თუ ისლამური თეოლოგიური დებულება?

ვეფეხისტყაოსნის დებულება „მზიანი ღამის" შესახებ ქრისტიანულ დებულებად მიმაჩნია. რატომ? იმიტომ, რომ მზე არის ხატი ერთისა; მზე არის ხატი „მზიანი ღამისა"; და მზე არის ხატი ერთარსებისა ერთისა. ეს **„ერთარსება ერთი" არის ქრისტიანული სამება,** და ამგვარად **„მზიანი ღამე", – ღმერთიც არის ქრისტიანული**...

„მზიანი ღამის" საკითხი მარტო აქ მოტანილი მსჯელობით არ ამოიწურება; მე მას ვეხები უფრო დაწვრილებით „ვეტნის ღმრთიმეტყველებაში", სადაც განსაკუთრებულად გარჩეულია საკითხი ღმერთი-ნათელის შესახებ.

10. სხვათა შეხედულებასაც

„მზიანი ღამისა" საკითხი მეტის მეტად მაწვალებდა და ამიტომ გადავწყვიტე სხვისთვისაც მეკითხა ამ მაწვალებელი საკითხის შესახებ. ვისთვის უნდა მიმემართა, თუ არა ფილოსოფოსისა და თეოლოგოსისათვის? პირველად ყოვლისა მივწერე მეცნიერ ბერს, იგუმენ გენნადის, დიონისიოს არეოპაგიტას თხზულებათა რუსულად მთარგმნელს. აი ჩემი წერილის თარგმანი:

მამაო გენნადი! აქ, ბუენოს აირესში ხელთ ჩამივარდა „თეოლოგიური კრებული", რომელში თქვენი წერილი იყო მოთავსებული. მისი წაკითხვის შემდეგ ვიფიქრე, რომ თქვენ ბრძანდებით ის ღმრთისმეტყველი, რომელს შეეძლება დამეხმაროს შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანის ერთი შაირის განმარტებაში.

პოემის ერთი გმირი მზეს ასე მმართავს –

იტყვის: “ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად... (836).

ჩემის აზრით ამ დებულების განმარტება ამგვარად შეიძლება –

1. მზე „ხატი ღმრთისა“ არის ასტრონომიული მზე და მისი “ხატობა» კი არის ასტროლოგიური თეოლოგიიდან აღებული დებულება;

2. მზე „ხატი ღმრთისა“ არის ფილოსის ფილოსოფიური დებულება;

3. მზე „ხატი ღმრთისა“ არის ნეოპლატონური დებულება;

4. ეფრემ სირელი ლაპარაკობს „მზე-გონების“ შესახებ, რომლის ხატი იქნება ჩვენი მზე;

5. მზე – ხატი ღმრთისა არის დიონისიოს არეოპაგიტას თეოლოგიიდან მიღებული დებადი; და

6. მზე ხატი ღმრთისა არის ქრისტიანული თეოლოგიური დებულება...

საკითხის გამოკვლევის შემდეგ იმ აზრს დავადექი, რომ მზე ხატი ღმრთისა, არის ქრისტიანული ფილოსოფიურ-თეოლოგიური დებულება; ოღონდ ჩვენთვის გარკვეული არაა, თუ ვის ეკუთვნის გამოთქმა „მზიანი ღამისა“, თუმცა ვგონებ, ეს დებულებაც არის დიონისიოს არეოპაგიტას თხუზულებაში „საიდუმლოდ ღმრთის მეტყველებისათვის“ წარმოდგენილი დებულება. მაგრამ დიონისიოს არეოპაგიტა არსად ცხადად არ ლაპარაკობს “მზიანი ღამის» შესახებ, – მას ნათქვამი აქვს მხოლოდ ღმრთის შესახებ, რომ იგი ღმერთი არის მიუწვნელი, უხილავი უკუნი, ბნელი; ანუ ნათელი, რომელს თვალს ვერ შეუდგამ; და ამიტომ უხილავი და წყვდიადი, – ამგვარად ღმერთი არის „მზიანი ღამე“, რომლის ხატი არის ჩვენი მზე.

მოგმართავთ თქვენ, მამაო, ახსნა-განმარტებისათვის... და სხვა...

***

მამა გენნადიმ დაუყონებლივ მიპასუხა შემდეგი –

... თქვენი წერილი ჩემთვის იყო მოულოდნელად მეტად სასიამოვნო; ამგვარი წერილი – უდიდესი იშვიათობაა! რამოდენიმე წლის წინად მე წავიკითხე ეპოსი „ვეფხისტყაოსანი“, რუსული თარგმანით, რომელიც ერთ-ერთ თანამედროვე ქართველ პოეტს შეუსრულებია. მისი გვარი აღარ მახსოვს. გამოცემა იყო საბჭოური, ძალიან ძვირფასი... გამიგონია, არსებობს აგრეთვე ბალმონტის თარგმანიც, ოღონდ ასეთი ხელთ არ ჩამვარდნია. წავიკითხე ეს პოემა დიდი ინტერესითა და ზნეობრივი კმაყოფილებით. რამაც მე განსაკუთრებით განმაცვიფრა, – ეს არის ქრისტიანული სული, რომელიც გამოშუქს ამ თხუზულებიდან. ჩვეულებრივ, ხალხური ეპოსი განსაკუთრებით აღნიშნავს სისასტიკესა და და სისხილისმსმელობას: გაჟლიტა ამდენი და ამდენი; დამარცხებულ მეფეს ან ბელადს გამარჯვებული ფეხქვეშ სთელავს, ზეიმით მიჰყავს კისერზე საბელ მობმული მოწინააღმდეგე და სხვა და სხვა. ამ პოემაში (ვტწში) კი მისი

გმირი ჰკოცნის თავის მოწინააღმდეგეს, მასში ხედავს უბედურ ძმას და აგზავნის უკან სიყვარულით, მიუხედავად უკანასკნელის მზაკვრობისა... ეს ხომ წმიდა სულია ქრისტესი! მე განმაცვიფრა ამ სცენამ...

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას „მზიანი ღამის“ შესახებ, – ეს მეტად საინტერესო თემაა, და მე ძალიან მრცხვენია, რომ სრული უდროობისა გამო არ ძალმიძს ამომწურავი პასუხი გაგცეთ. ვცხოვრობ მივარდნილ კუთხეში, სადაც ბიბლიოთეკა არაა და არ შემიძლია პირველ წყაროთა მიხედვით განვიხილო იგი, და ყოველდღიურმა ზრუნვამ ისე ჩამითრია, რომ უკვე მეორე წელია რაც თვით განვითარების მხრივ აღარაფერი გამიკეთებია. მაგრამ ზოგ რამეს მაინც გიპასუხებთ...

„მზიანი ღამე“ – ეს მთლიანი სიმბოლო არის კათაფატიკისა და აპოფატიკისა! *). მზე არის დადებითი სიმბოლო ღმრთეებისა (ღვთიურობისა), ხოლო ღამე კი (უფრო ხშირად – წყვდიადი, ღვთიური სიბნელე) – არის უარყოფადი სიმბოლო.

ნათელისა და წყვდიადის სიმბოლიკით ღმრთეების შესახებ სავსეა შრომანი ნეოპლატონიანთა, და აგრეთვე გამოუკლებლივ ყველა მისტიკოსისა. ფილოსოფიური (ანუ თეოლოგიური თვალსაზრისით) ამისი განმარტება შეიძლება ასე: ღმერთი არის უუმაღლესი ცნება, რომელიც შეიცავს ყველა დადებად (დამტკიცებით) ნიშნებს, რომელთა მოგონებაც კი კაცს შეუძლია. ღმრთისადმი მიმართული ლოცვითი აღმაფრენით, კაცის სული მიისწრაფვის სიცოცხლის წყაროსაკენ (და სიცოცხლე – ესაა ნათელი!). (გაიხსენეთ იოანეს სახარების პირველნი მუხლნი და მისი სიმბოლიკა ნათელისა და წყვდიადის შესახებ!). მაგრამ ადამიანურ სულს არ შეუძლია შეიცნოს, გაიგოს თვითონ არსება, თვით არსება ღმრთისა, არამედ მხოლოდ ის, რაც „მასთან არის ახლოს“... ხოლო „მის ახლოს“ არიან ღვთიურნი ენერგიანი („ანგელოზნი“), რომელნიც გამოშუქდებიან, ძენი ნათელისა. მაგრამ ამ დამაბრმავებელი ნათელის უკან არის **თვითონ ღმერთი**, რომელიც ცხოვრობს „მიუწევნელ ნათელში“. ოღონდ როგორ გამოვთქვათ ჩვენი უსუსური ადამიანური ენით „მიწევნილობა ნათელისა“? რა მხარეა ეს? – ესაა **რაღაც**, რომელს ჩვენი მზერა ვერ უძლებს, – რომელს თვალს ვერ უსწორებს; ესაა **რაღაც უქმნელი**, რომელიც ჩვენს წარმოდგენით ძალებს არ შეუძლია შეიგნოს: ამ აუტანელი, გაუძლები ნათელით ჩვენნი მიწიურნი თვალნი **ბრმავდებიან,** ესე იგი, ნათელით დაბრმავების შემდეგ, იწყება წყვდიადი. ეს არ არის ონტოლოგიური (სწავლა არსის შესახებ) წყვდიადი, არამედ არის იგი ჩვენი სუბიექტური სიბნელე, უძლურება ჩვენი მზერისა, სისუსტე ჩვენი სულიერი ხილვისა. ამასთან არის დაკავშირებული „მზიანი ღამე“... – დაასკვნის მამა გენნადი.

იგუმენ გენნადის პასუხმა ჩემი რწმნა „მზიანი ღამის“ შესახებ უფრო განამტკიცა და ჩემი განმარტება „მზიანი ღამისა“ დიონისოს არეოპაგიტას მიხედვით სწორად ჩავთვალე. მაგრამ მაინც საჭიროდ დავინახე მიმემართა კიდევ ერთი თეოლოგოსისათვის, ლუვენის უნივერსიტეტის ცნობილ

პროფესორ და მკვლევარ რენე დრაგესათვის. აი ჩემი წერილი პროფესორ რენე დრაგესადმი –

***

... უეჭველია უცნობის ეს წერტილი თქვენში გაკვირვებას გამოიწვევს. დარწმუნბული უნდა ბრძანდებოდეთ, არც კი შეგაწუხებდით, რომ თქვენ ძველ ქართულ მწერლობას არ იცნობდეთ და მას თქვენ შრომებში არ იხსენიებდეთ. მე თქვენ გიცნობთ როგორც დიდ სპეციალისტს ძველი რელიგიური მწერლობის დარგში და ამიტომ იმედი მაქვს, თქვენ შეგეძლებათ დახმარება გამიწიოთ.

ქართულ ენაზე არსებობს მეთორმტე საუკუნის შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ამ პოემის ერთი გმირი თავისი მღვივე სიყვარულის გამო მზეს მიმართავს და მას ეუბნება –

იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისად ღამისად,

ერთ არსებისა ერთისა მის უჟამოსა ჟამისად,

ვის გმორჩილებენ ციერნი, ერთი იოტის წამისად

ბედსა ნუ მიცვლი, მიაჯე, შეყრამდის ჩემად და მისად (836).

რომ მზე არის ხატი (იმაჟ) ღმრთისა ეს ცნობილია: ალექსანდრულ და ათინურ ფილოსოფიურ სკოლებში, გნოსტიკოსთა, ნეოპლატონიანთა და ქრისტიან ნეოპლატონიანთა შორის, კერძოდ დიონისიოს არეპაგიტას თხუზულებაში „საღმრთოთა სახელთათვის“. მაგრამ ვის ეკუთვნის თქმა „მზიანი ღამისა“?

მოტანილი შაირი მე პირადად განმარტებული მაქვს ასე –

1. მზე არის ხატი „მზიანი ღამისა“;

2. მზე არის ხატი ერთ არსებისა, ეს ერთ-არსება არის წმიდა სამება;

3. მზე არის ხატი ერთისა, ღმრთისა;

4. ერთ არსება არის სამება და არის ამავე დროს ერთი.

5. მზეს ემორჩილებიან ციერნი; ეს არის ასტროლოგიური დებულება;

6. მზე არის სიყვარულში დამხმარე ვაჟთათვის. ეს არის ასტროლოგიური დებულება;

7. ძველნი ფილოსოფოსნი მზეს უწოდებდნენ: ხატი ღმრთისა; ეს არის თეოლოგიური დებულება.

ასეთი არის ჩემი განმარტება. არ ვიცი მხოლოდ; საიდან მოდის აქ „მზიანი ღამე“. ამიტომ გთხოვთ მომეხმაროთ და განმიმარტოთ ეს მცნება.

მეორე საკითხი კიდევ მზეს ეხება. სატრფო ასული თავის სატრფო ვაჟს წერილობით თხოვს, რადგან ჩვენ ერთმანეთს ვეღარ შევხვდებითო:

ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,

ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა;

მომცნეს ფრთენი და აღვფრინდე, მივჰხვდე მას ჩემსა ნდომასა,

დღისით და ღამით ვჰხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა (1304).

მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი,

განაღამცა მას იახელ მისი ეტლი, არ თუ წბილი!

მუნა გნახო, მადვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი,

თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიცა მქონდა ტკბილი! (1305).

ამ შაირში არის:

1) მზე სულთათვის ასაფრენი ადგილი, როგორც ეს ასტროლოგიაშია და ფილოსოფიურ სკოლებში იყო აღიარებული, და რაც დანტეს აქვს განმეორებული თავის „დივინა კომედია“-ში,

2) თუ არის აქ მზე როგორც ღმერთი-გონება-მზე, როგორც ეს ნეოპლატონიანთ, ან ქრისტიან თეოლოგოსებს: ბასილ დიდს ან ეფრემ სირინს, ან სხვა ქრისტიანთ ესმოდათ?

პირადად მგონია, ამ შაირშიც მზე არის მხოლოდ ასტროლოგიური სიმბოლო.

რასაკვირველია, ძალიან ძნელია ამ ლექსთა განმარტება, რადგან აქ დასაყრდენი წერტილი არ მოიპოვება.

იმედი მაქვს, თქვენ როგორც ძველი ქრისტიანული და ფილოსოფიური მწერლობის მცოდნეს ამ შაირთა განმარტება არ გაგიძნელდებათ... და სხვა...

ამ ჩემს წერილზე პროფ. რენე დრაგემ ზოგადი ხასიათის წერილით მიპასუხა, რომლის დედანი და თარგმანი შემდეგია –

Corpus Scriptorum Orientalium

Secrétaire générale

Prof. R. Draguet

Louvain, le 7 janvier 1957

Bien cher Monsieur

J'ai reçu votre lettre du 20 décembre, et m'em. presse de vous répondre. Je vais, hélas, vous décevoir, car je ne suis pas un spécialiste de la littérature géorgienne, et je n'ai pas de connaissance spéciale en ce qui concerne le poème du Chevalier à la Peau de Panthère. Ce que je vais vous dire est done l'impression d'un „laic“ en ces matières.

Les textes qui vous préoccupent sont en effet intéressants. Ils semblent démontrer que toutes sortes d'influences philosophiques, - mais d'une philosophie non spécialisée, et bien plutôt éclectique, qui recourt à des thèmes très généraux qui sont des lieux communs, devenus tels chez les gens qui avaient un certain degré de

culture. Et ainsi, le problème de l'identification originelle des thèmes utilisés devient un véritable pussle.

En ce qui concerne en particulier l'expression „image of the sunny night" appliquée au soleil comme image de Dieu, ne pensez-vous pas qu'il y aurait là le mélange, - par un effet d'oxymoron, - de deux thèmes differents. Le premier thème est celui de Dieu=soleil; le second est celui de l'inconnaissabilité de Dieu. Le créateur de l'expression „sunny night" donne le plus d'importance à l'idée Dieu=night (inconnaissable, caché); mais, par ailleurs, comme Dieu=soleil, il joint, en ordre secondaire, la notion de lumière à la notion, première pour lui, de Dieu=Nuit. D'un autre point de vue, et en renversant l'importance refative des deux thèmes, il aurait pu tout aussi bien dire: „ soleil obscur". Mais vous savez aussi bien que moi combien la littérature patristique et byzantine a insisté sur le thème de l'inconnaissabilité de Dieu, suivant d'ailleurs en cela l'Ecriture des deux testaments. C'est ainsi que Chota Roustavéli a écrit „sunny night", et pas le contraire...

Prof. R. Draguet

...სამწუხაროდ, იმედი გაგიცრუვდებათ, რადგან მე არა ვარ სპეციალისტი ქართული ლიტერატურისა, და არა მაქვს სპეციალური ცოდნა, რაც ვეფხისტყაოსანს შეეხება. რასაც თქვენ გეტყვით, ეს იქნება მხოლოდ შთაბეჭდილება „ერის კაცისა" ამ საკითხში.

ტექსტნი (შაირნი), რომელთა შესახებ თქვენ ზრუნავთ, მართლაც საინტერესონი არიან. ისინი, როგორც სჩანს, გვიჩვენებენ, რომ ყოველგვარნი გავლენანი ფილოსოფიურნი, ოღონდ არა-სპეციალიზებულნი ფილოსოფიისა, გამოყენებულნი იყვნენ მეტად ზოგად თემათათვის, რომელნიც არიან საერთო თქმანი იმათთვის, ვისაც ჰქონდათ ერთგვარი ხარისხი კულტურისა. და ამგვარად, საკითხი ამ ნახმარ თემათა ორიგინალობის გამონახვის შესახებ ხდება ნამდვილ თავსამტვრევ გამოცანად.

კერძოდ რაც შეეხება გამოთქმას „მზიანი ღამისა", რომელიც მიყენებული აქვს მზეს, როგორც ღმრთის ხატს, არა გგონიათ, რომ აქ უნდა იყოს შენაზავები, – ოკსიმორონის*) გზით –, ორი სხვადასხვა თემისა? პირველი თემა არის თემა ღმერთი-მზის შესახებ; მეორე არის თემა ღმრთის შეუგებლობის (გაუგებარობის, მიუწვდომელობის) შესახებ. შემქმნელი გამოთქმისა: „მზიანი ღამისა" მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევს იდეას ღმერთ-ღამის შესახებ (= შეუგებელი, დაფარული); მაგრამ, ამას გარდა, როგორც ღმერთ-მზეს, იგი უერთებს, მეორე ხარისხოვან რიგში, ნათელის იმ ცნებას, რომელიც არის მისთვის პირველი ცნება, ცნება ღმერთი-ღამისა. მეორე თვალსაზრისით, და ამ ორი თემის მნიშვნელობის შეტრიალებით, შეიძლებოდა, აგრეთვე კარგად თქმულიყო: „მზე ბნელი". მაგრამ თქვენც კარგად იცით, როგორც მე, თუ პატრისტული ლიტერატურა რაოდენ მტკიცედ იდგა ღმრთის შეუგებლობის (გაუგებარობის, მიუწვდომელობის)

თემაზე, სხვათა შორის, ამაში მიმყოლი ორი სახარების წერილისა. სწორედ ასე, შოთა რუსთაველმა დასწერა „მზიანი ღამისა“, და არა წინააღმდეგი“...

***

ამ პასუხის ზოგადი ხასიათის მიუხედავად, ერთი საკითხი მაინც გამორკვეულად შეიძლება ჩაითვალოს – „მზიანი ღამისა“ არის ღმერთი მყოფი მიუწვენელ და მიუღწეველ ნათელში. ეს ნათელი არის ჩვენთვის წყვდიადი, ბნელი, რადგან ჩვენი თვალი მის ჭვრეტას ვერ უძლებს. ეს იგივე დებულებაა, რაც მოცემული აქვს დიონისიოს არეოპაგიტასაც თავის ნაწერში „საიდუმლოდ ღმრთისმეტყველებისათვის“.

დასკვნა

ასეთია ჩემი დასკვნა „მზიანი ღამისა” შესახებ –

„მზიანი ღამისა” არის სახელი მიუწვენელი, ჩვენთვის წყვდიადში მყოფი ნათელი ღმერთისა და ჩვენი მზე კი არის ამ ნათელი ღმერთის ანუ „მზიანი ღამისა” – ხატი.

სხვამ სხვა ბრძანოს

---

* კატაფატური – დადებითი, დამტკიცებადი სახელი ღმერთისა: ყოვლად მცოდნე, ყოვლად ძლიერი, დიდი, მაღალთ-მაღალი და სხვა. აპოფატიკური – უარყოფადი სახელი ღმრთისა: უხილავი, უთქმელი და სხვა. ვ. ნ.

* ოკსიმორონ: ბერძნული სიტყვისაგან – ოკსუმორონ; ოკსუს – მწვავე, ცხარე; მოროს – რეგვენობა, სისულელე. ესაა ფიგურა, შეზავება სიტყვათა, რომლითაც კაცს შეუძლია რომელიმე აზრის იერი გამოხატოს გარეგნულად მოწინააღმდეგობის თქმით. მაგალითად: მჭერმეტყველი სიჩუმე! ვ. ნ.

დასაწყისზე

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

რვეული მეცხრე

მზეზე აფრენა სულისა

კარი პირველი

1. სულის მგზავრობა

2. სულის აფრენა

3. სად აფრინდება სული?

დასკვნა

1. სულის მგზავრობა

უცნაურია პირველი შეხედვით ვეფხისტყაოსანის მზისა და სულის ურთიერთობის შესახებ საკითხის დასმა. მაშინათვე ეჭვი თავის უფლებას პოვულობს და გაკვირვებას იწვევს – როგორ? სად არის ვეფხისტყაოსანში მზისა და სულის დამოკიდებულება, მათი ურთიერთობა? და მართლაც, ჩვეულებრივი სიტყვით, უბრალო თქმით მზისა და სულის ერთმანეთთან კავშირსა და ურთიერთობაზე ვეფხისტყაოსანში ლაპარაკი არაა, ესე იგი, არსად იქ გარკვეულად და ცხადად ნათქვამი არ არის, მზეს რა კავშირი აქვს სულთან, ან სულს რა დამოკიდებულება აქვს მზესთან. ოღონდ ეს საკითხი, ამ ეჭვის მიუხედავად, ვეფხისტყაოსანში არსებობს და არსებობს იგი პოეტური გამოთქმით. საჭირო არის ამ პოეტური გამოთქმის დახსნა და ახსნა, მისი უბრალო მომაკვდავი ენით გამოხატვა და ჩვეულებრივი სიტყვით აღნიშვნა.

***

ყველა ხალხის რწმენაში კაცი იმ აზრს არ ურიგდება, სიკვდილთან ერთად სიცოცხლეც სრულდება; ვერ ითმენს იმ აზრს, თითქო სიკვდილი ყველაფერს ათავსებს და ყოველ გვარ სხვა მომავალსა სპობსო; ამიტომაც კაცმა აღიარა სიკვდილს მოსდევს კიდევ მეორე გვარი სიცოცხლე, რომელი სულს ენიჭებაო. ეს შეხედულება ყველა რელიგიაშია გაბატონებული, ოღონდ ამ სამარადისო მომავალი სიცოცხლის გამოხატულება სხვადასხვანაირად იყო წარმოდგენილი და არის დღესაც.

მსოფლიოს კულტურის მშობელთა, სუმერთა და ეგვიპტელთაგან დაწყებული დღემდე, ისევე აფასებდნენ და აფასებენ სიკვდილისა და სიცოცხლის საკითხს როგორც ამჟამად, ჩვენს დროშიც. მხოლოდ ამ ამ აზრის სახეა შეცვლილი, არსებითად კი იგივეა დარჩენილი, რასაც ხუთი-ექვსი ათასი წლის წინად ფიქრობდნენ.

ძველ ბაბილონში, სუმერთა რწმენით, კაცი, სიკვდილის შემდეგ, ადიოდა ცაში მთლიანად ვით გვამი, ანუ ტანი. შემდეგ ხანაში უკვე ვეცნობით იმ შეხედულებას, რომლის თანახმად ცაში მხოლოდ სული მიდის.

კაცის მიერ საიქიოში ცხოვრების გაგრძელება, ვარსკვლავთა სასუფეველში ასვლა, ძველთა რწმენით, პირველად ყოვლისა მეფეებსა, მღვდელთა, დიდ კაცთ და საიდუმლო რელიგიის მიწევნილთ ერგებოდათ. რასაკვირველია, რომის იმპერატორთა სულნი მნათობებზე, კერძოდ, კი, მზეზე ადიოდნენ, ვინაიდან მათნი სულნი მზიდან ჩამოვიდნენ და ისევ მზეს დაუბრუნდებიან. იმპერატორი აუგუსტუსი, ტიბერიუსი, ნერო, ვესპასიაუსი, დომიციანუსი და სხვანი და სხვანი, სიკვდილის შემდეგ მზეზე ავიდოდნენ. ვარსკვლავნი იძლევიან სულს და სულიც მათვე უბრუნდება. 242.

მაგრამ ამასთანავე განვითარდა ის აზრიც, რომ **ყველა კაცის კეთილი სული ვარსკვლავზე** მიდის. ბერძენი ასტროლოგოსები ამტკიცებდნენ: ჩვენ ღმერთებმა მოგვანიჭეს მკითხაობის უნარი და ვისაც სჯერა წრფელი გულით ჩვენი სწავლა, იგი უკვდავი გახდება და ვარსკვლავ-ღმერთებთან იცხოვრებსო. არც ერთი ცისიერი ღმერთი ცას არ სტოვებს, გარნა ადამიანი მიდის ზეცასო, – ასწავლიდა ჰერმეს ტრისმეგისტოს.

მითრას რელიგიაში გაბატონებული მრწამსი იყო – ვარ ვარსკვლავი ვარსკვლავთა შორის, რომელი თქვენთან ერთად ვალ და სიღრმიდან ვანათებ...

აპელიუსი იზისის რელიგიაში მიწიერ ვარსკვლავთ უწოდებს მამა და დედაკაცთ, რომელნი ანათებენ თავისი პირით და თეთრი სპეტაკი სამოსელით იზისის საპატივცემო მსვლელობის დროსო.

ვარსკვლავებთან საუკუნო სიცოცხლე გადაიტანეს მთელ ხალხზეც. მოსეს ცად ამაღლების შესახებ ნათქვამია –

და შენ იქნები ნეტარ, შენ ისრაელ, და შენ აღმაღლდები ცად არწივის ზურგზე და მისი ფრთებით... და ღმერთი აღგიყვანს მაღლა და დაგკიდებს ცაზე ვარსკვლავთა...

ბარუხის აპოკალიპსისში მოთხრობილია ნეტართა ცხოვრების შესახებ –

და აღარ დაგაბერებს დრო, ვინაიდან იცხოვრებ იმ ქვეყანათა სიმაღლეში; აგელოზებს დაემსგავსები და ვარსკვლავთ გაუთანასწორდები...

ეზრას აპოკალიპსისშიც თითქმის იგივეა –

პირი შენი განანათლებს ვით მზე; შენ უნდა ემსგავსო მზის სინათლეს და არასოდეს ჩაჰქრე...

ცნობილია ეგვიპტელთა ლოცვა –

უფალო მზე-ღმერთო და ყველა თქვენ ღმერთებო, რომელნიც კაცს სიცოცხლეს ანიჭებთ, მიმიღეთ მე და გადამეცით მე უკვდავ ღმერთებს ვით მათი თანამცხოვრები!... თქვენ, ორივე ღმერთო, რომელი ცაში მსვლელობთ, **რე** და **თოტ** (მზე-ღმერთო და მთვარე-ღმერთო), წაიყვანეთ იგი თქვენთან, რათა მან სჭამოს, რასაც თქვენ მიირთმევთ; რათა მან სვას, რასაც თქვენ სვამთ; რათა მან იცხოვროს, სადაც თქვენ ცხოვრობთ; რათა იგი იყოს

ძლიერი, რითაც თქვენა ხართ ძლიერ; რათა მან იმოგზაუროს, რითაც თქვენ მოგზაურობთ...

ეს რწმენა, რომ კაცი ცხოვრობს სიკვდილის შემდეგ საიქიოში, ვარსკვლავებზე ან ვარსკვლავებთან, გავრცელებულია მთელს ძველ მსოფლიოში, შუა საუკუნეთა მსოფლმხედველობაში და ყველა უბრალო ხალხშიო, – დაასკვნის პროფ. გუნდელ. 243.

ადამიანის სული მოდის ვარსკვლავიდან და უბრუნდება ვარსკვლავს – ეს არის მთავარი დებულება, რომელს ყველა იზიარებს, ქრისტიანიც და მაჰმადიანიც, და ეს აზრი დღესაც ცოცხალია.

* * *

ჰერმეს ტრისმეგისტოსის სწავლათა მიხედვით, ყოველმა სულმა უნდა გაიაროს მთელი სივრცე, რომელიც დედამიწამდე არსებობს, – ამიტომ იგი მნათობებს ვერ ასცდება; ამ მოგზაურობის დროს თითოული მნათობი-ღმერთი სულს თავის საკუთარ თვისებებს ანიჭებს და ამგვარად, მნათობნი ადამიანის შექმნაში დიდ მონაწილეობას ღებულობენ; და რადგან მნათობნი-ღმერთნი, როგორც ამას ასწავლის ჰერმესი და „პოიმანდრეს“შიც ასეა ნათქვამი, ადამიანს ანუ მის გახრწნად გვამს და გახრწნად სულს ჰქმნიან; ამიტომ მას მხოლოდ ცუდ თვისებებს შთაუნერგავენ, ხოლო უკვდავი სული რჩება უზენაეს არსებად. „კორეს კოსმოვის“ მიხედვით კი მნათობნი-ღმერთნი სულს აძლევენ არა მარტო ცუდს, არამედ კარგ თვისებებსაც. ამ თვისებათა მიღების შემდეგ სული ჩადგება ბავშის გვამში, რომელიც არის მისი საპყრობილე სიკვდილამდე. გვამის სიკვდილის შემდეგ სული ისევ ცას უბრუნდება, გაივლის მნათობებს და სტოვებს მათზე იმ თვისებათ, რომელნი მან ჩამოვლისას მიიღო; ეს თვისებანი არიან ადამიანურნი: ცუდი, ბოროტი თვისება, ცოდვა, შეცდომა და ცთუნება; სულს არ შეუძლია სუფთა სამყოფელს მიაღწიოს, სანამ ყველა თითოული მნათობისათვის შესაფერისი ბოროტი თვისებისაგან არ განიწმიდება. 63. გვ. 235, 240, 269, 266-7.

თავის თავად ეს რწმენა სულის მიერ მნათობებზე ჩამოვლისა და ავლისა, მათგან ბოროტი თვისებისა მიღების შესახებ არის ქალდეურ-სპარსული, შემდეგ საბერძნთში მტკიცედ ფეხმოკიდებული. არსებითათ ამავე შეხედულებას ვხვდებით გნოსტიკოსთა შორისაც (ბასილიდეს, ისიდორეს და უფრო ფართოდ თხუზულებაში „პისტის სოფია“).

მაკრობიუსი თავის „კომმენტარიუს ეკს ციცერონე ინ სომნიუმ სციპიონის“, ციდან დედამიწისაკენ და წინაუკმოდ სულის მოგზაურობის შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს, ოღონდ აქ სიტყვა მოკლედ მოვჭრათ – სული იწყებს ჩამოსვლას რძის გზიდან, გამოდის კირჩხიბის კარებიდან, ანუ კაცთა კარით და ადის უკანვე კარით ღმერთთა, ანუ თხისრქის კარით. სული არის ნათელი; გზა და გზა იგი მატერიის თვისებებს ღებულობს და ეს თვისებები მან უნდა გამოიყენოს, როდესაც ეს სული გვამში ჩადგება:

1). სატურნუსზე სული ღებულობს: გონებასა და აზროვნებას;

2). იუპიტერზე იგი მიიღებს: მოქმედების ძალას, ანუ აღმასრულებელ ძალას;

3). მარსი სულს აძლევს აუცილებელ ღირებულებას მოღვაწეობისათვის და ფიცხელი ქმედობისათვის;

4). მზე სულს ანიჭებს: გრძნობათა და ხელოვნებათა უნარს;

5). ვენუსი სულს შთაბერავს: სურვილთა მოძრაობას;

6). მერკურიუსი სულს უბოძებს: გამოთქმის უნარს; თავის ფიქრთა და გრძნობათა გამოცხადების უნარს;

7). და დაბოლოს მთვარე სულს აძლევს საჭირო ძალას თაობათა მოშენებისა და გვამთა ზრდისათვის.

უკან მიბრუნებისას სული ყველა მნათობზე მათ სათანადო თვისებებს სტოვებს. 111. წიგნი 1. გვ. 11, 12-3 და სხვა.

არა ერთი და ორია მოძღვრება სულთა მგზავრობის შესახებ, ოღონდ ესეც საკმაო ამ საკითხში გარკვევისათვის.

***

ინდოელი ვაჰარა მიჰირა, მეექვსე საუკუნეში, იმასაც ამტკიცებდა, იმის გამოცნობაც შეიძლება, თუ რომელი სული რომელ მნათობზე ავა, ან რომელ ვარსკვლავზე იცხოვრებსო.

***

მნათობებზე სულთა ცხოვრების რწმენა გამოიყენა თავის „დივინა კომედია“ში დიდებულმა დანტემ, როგორც ამას ჩვენ წინა გავეცანით (იხილეთ გვერდი 77–81). თითოული მნათობი ძვირფას „დივინა კომედია“ში არის სამოთხე თავისთავად. იქ ცხოვრობენ სულნი, რომელნი ღმერთს ადიდებენ და ქალწულ მარიამს უგალობენ. წმიდა ნათელი და სრული ბრწყინვალება არის მნათობებზე მცხოვრებ სულთა არსება. ბრწყინვალე შესამოსელი და მანათობელი, შუქთა მფენი სახენი გვიჩვენებენ სულთ, და მათი ფერი არის იმ მნათობისა, სადაც ისინი ცხოვრობენ და ამ სულებს დანტე ასე ანაწილებს -

მთვარეზე ცხოვრობენ სულნი კეთილ დედაკაცთა;

მერკურიუსზე – კანონმდებელნი;

მზეზე – ეკლესიის მოაზროვნენი და სწავლულნი;

მარსზე – რწმენის მოცილენი და მოკამათენი;

იუპიტერზე – მართალნი ადამიანნი და მოსამართლენი;

სატურნუსზე – განდეგილნი. 243.

ამ მცირე გახსენების შემდეგ შეგვიძლია ვეფხისტყაოსანს დავუბრუნდეთ და აქ გამოთქმულნი შეხედულებანი მზისა და სულის ურთიერთობის შესახებ გამოვარკვიოთ.

2. სულის აფრენა

ნესტანი ტარიელსა სწერს: შენს მეტს ცოლად არავის წავყვები და თუ საქმე გამიჭირდა, კლდეებზე გადავარდები, თავს მოვიკლავ, ოღონდ შენ, ტარიელ –

სული ჩემი შეივედრე, ზეცით მომხვდენ ნუთუ ფრთენი (1303).

ანუ: ღმერთს შეავედრე ჩემი სული, რათა ზეციდან (ღმრთისაგან) მერგოს, მომეცეს ფრთენი (ზეცას ასაფრენადო). და ამ თხოვნას ნესტანი კვლავ იმეორებს: შეევედრე ღმერთს, რათა მან, ღმერთმა –

მომცეს ფრთენი და აღვფრინდე, მივჰხვდე მას ჩემსა ნდომასა (1304).

მაშასადამე, ღმერთი, ნესტანის რწმენით, აძლევს სულს ფრთებს ცად ასაფრენად.

სულის ასვლა ცაში სხვა და სხვა საშუალებით ხდება, და მათ შორის, ფრთებით, ან ფრინველის მეოხებით.

ვეფხისტყაოსანში სულის აფრენა ცაში ხდება ფრთების საშუალებით. ამას ნესტანი გარკვევით ამბობს – ღმერთმა მომცეს ფრთები, რათა აღვფრინდეო!

სულის აფრენა ფრთოსანის, ფრინველის საშუალებით ძველთა ძველი რწმენაა და ეს შეხედულება რელიგიაშიც და ფილოსოფიაშიც არის აღიარებული.

პლატონი სულის ფრთებით ასვლას ცაში ეხება თავის თხუზულებაში „ფაედროს“. აქ იგი სოკრატესს ალაპარაკებს –

თუ სული სრულყოფილია, იგი სწრაფი ფრთებით მიჰქრის, ეთერულ მხარეში მოგზაურობს, და მთელ მსოფლიოს მართავს; მაგრამ როდესაც სული ფრთებს დაჰკარგავს, იგი აქეთ-იქით დაფარფატებს, დახეტიალობს სანამ იგი მკვრივს რამეს არ შეხვდება, რომელში მას დასადგურება, ჩასახლება შეეძლება... ფრთა არის ის გვამობრივი ელემენტი, რომელიც ყველაზე უფრო ნათესავია, ახლობელია ღმერთთან, და მისი თვისებაა აღაფრინოს და აიყვანოს ის, რაც ძირისაკენ, ქვემოთკენ იწევა; იგი მიისწრაფვის ზემო მხარეებში, სადაც ღმერთები ცხოვრობენ; ღვთიური არის შვენება, სიკეთე და მისთანანი; და ამით საზრდოობს ფრთა სულისა; მაგრამ როცა ფრთა საზრდოობს ბოროტით, ავით და მისთანანით, იგი ირყვნება და ძირს ეცემა. 244. გარნა როდესაც სულნი ვეღარ მისდევენ ღმერთებს და ვერც მათს არსს სჭვრეტენ, მათ უბედურება ეწვევათ და მძიმდებიან, მძიმენი ხდებიან დავიწყებისა და ცოდვათა მეოხებით, ჰკარგავენ ფრთებს, ვარდებიან მიწაზე და შედიან კანონისამებრ სხვა და სხვა გვამში და აქ, ცოდვილნი სულნი ათი ათასი წლის განმავლობაში გადადიან ერთი გვამიდან მეორეში, სანამ ისინი ფრთებს არ მიიღებენ... მხოლოდ ბრძენთ შეუძლიათ სამი ათასი წლის შემდეგ მიიღონ ფრთები და აფრინდენ ცაში. 244. გვერდი 248. სამართლიანია, რომ ბრძენთა სულნი

ფრთებს ადრე ღებულობენ, რადგან მათი მოგონება, მახსოვრობა რაც შეიძლება იგონებს არსთ, რომელნიც ქმნიან ღმრთისაგან ღვთიურ არსებას. როცა კაცი მიწიურ შვენებას ამჩნევს და ამასთან მოიგონებს ჭეშმარიტ შვენებას, იგი მიჰქრის ფრთებით და მას სურს აფრინდეს მისკენ. 244 გვერდი 249.

***

ბიბლიაშიც არის ცად აფრენის შესახებ საუბარი. მეფე დავით გალობს –

შიში და ძრწოლა მომიხდა მე, და დამფარა ბნელმან და ვთქვი, ვინცა მცა მე ფრთენი ვითარცა ტრედისანი, და აღვფრინდე მე, და განვისვენო (ფსალმუნი 54,6–7).

სულის აფრენის რწმენა ქრისტიანთა შორისაც არის ცნობილი. სინესიოსი, პტოლემაიოსის ეპისკოპოსი (მეოთხე საუკუნეში) თავის ცნობილ გალობაში ღმრთისადმი ამბობს –

ჰქმენ რამეთუ სულისა ჩემნი ფრთანი არ დარჩნენ და არ დაიჭიროს მიწის სიმძიმემ, არამედ მიენიჭოს გაქანება მათ, რათა შემეძლოს მივაღწიო შენი ძის ღვთიურ საიდუმლოებას... 245.

მე ვაშორებ ჩემს ფრთებს ფართო მატერიისაგან, რათა მოვაღწიო შენი წიაღის კარს, მხიარული მოვიდე შენს წმიდა ეზოში...

მეუფეო, განმინათლე თვალნი ჩემნი, რომელნი ცას მიმართავენ, მომეც მე სუბუქი ფრთები...

გასწყვიტე ჯაჭვნი, დაჰხსენი კვანძი ორმაგ ვნებათა, ეს კავშირნი, რომელთა მეოხებით, მაცთური ბუნება სულთ მიწისაკენ იზიდავს...

ჰქმენ, რათა გვამის საფრთხენი ავიცილო და შემეძლოს სწრაფი ფრთენით მივწვდე შენს სასახლეს, შენს წიაღს, საიდანაც სული თავის წარმოშობას ღებულობს... მომეც ნება, რათა გავუერთიანდე შემოქმედ ნათელს...

***

წმიდა ანტონმა, მეოთხე საუკუნეში, ერთხელ იხილა ცაში, ვიღაც მაღლდებოდა და რამოდენიმე კიდევ მას წინ მიუძღოდა დიდი სიხარულით. მან გაიგონა ხმა ზეციდან: ეს არის სული ამმონისაო... მერმე შეიტყო წმიდა ანტონმა, რომ თავისი ხილვის იმ დროსა და იმ საათს წმიდა ამმონ გარდაცვლილიყო და მან ასე იხილა ცად ამავალი ამმონის სული... 247.

ასეთი თქმულება მრავალია ქრისტიანულ გადმოცემაში და მწერლობაში; მაგალითთა აღნიშვნაც კი ზედმეტია...

***

დიონისიოს არეოპაგიტა განგვიმარტავს თუ რას ნიშნავს ფრენა და ფრთები (ზეცათა მღვდელმთავრობისათვის. 332გ.)

ფრთა და ფრენა არის ამაღლება სულიერი, ამაღლება ზეციური, მსვლელობა ზენასაკენ, აღსვლა, რომელი სულ ყველა სიმდაბლისაგან კაცს

ანთავისუფლებს; (332დ). ფრთათა სუბუქობა არის სიმბოლო მიწიურ მიმზიდველობათა უარყოფისა; სიმბოლო მთლიანი და წმიდა, ყოველი დამძიმებისაგან თავისუფალი გაქანებისა მწვერვალისაკენ, ზეცისაკენო. 246.

* * *

„სულის აფრენას“ ქართულ სასულიერო მწერლობაშიც ვხვდებით. მაგალითად –

შავმთელს ეკუთვნის გიორგი ათონელის ცხოვრების აღწერა (დაწერილია 1066 – 1068 წ.), სადაც სხვათა შორის ნათქვამია –

„განტევებულ იქმნა სიმეონ და განთავისუფლებულ იქმნა საკვრელთაგან ხორცთაისა, საბრხე შეიმუსრა, ხოლო სირი აღფრინდა“ - ესე იგი, სულმა დაახწია ხორცს, გვამს და ვით სირი, ანუ ფრინველი აფრინდა ცაში ღმერთთანო.

ბასილი (მეთერთმეტე საუკუნე) თავის გალობაში ევთვიმე მთაწმინდელისადმი, ამბობს–

აჰღმაღლდი ზეშთა სიმაღლედ ფრთითა სულიერითა და მიიწიე, ღირსო, დიდებასა მას გამოუთქმელსა... 177. გვ. 214, 358.

იმავე ბასილს ნათქვამი აქვს –

და ფრთოვან ჰყავ სლვაჲ სიმაღლედ მიმართ ზეცისა, რომელსა დაემკვიდრე (იქვე).

აჰმაღლდი ზეშთა სიმაღლედ ფრთითა სულიერითა და მიიწიე, ღირსო, დიდებასა მას გამოუთქმელსა, რომელსა სურვიელ იყავ... (იქვე).

„გალობანი გიორგისნი“შიც აღნიშნულია ცად აფრენა –

უცვალებელად შეგიწყნარა, გიორგი, აფრენით ზეცად ნათელმან სამებისამან... 182. გვ.794.

როგორც ვნახეთ, სულის აფრენა ქრისტიანულ შეხედულებაშიც არის დამკვიდრებული. სხვათა შორის, წმიდანთა სიაში მოხსენებულნი არიან ბენედიკტეს და სკოლასტიკა, რომელთა სულნი ცად აფრინდნენ ტრედის სახით. ამ წმიდანთა დღეობა არის თებერვალის 10ს. 248.

* * *

სულნი ზეცას რბიან ანუ სული ცად მიფრინავს. ეს გამოთქმა ვეფხისტყაოსანშიც არის და დიდ სპარსელ მგოსან ნიზამისაც აქვს. მაჰმადიანი ნიზამი და ქრისტიანი სინესიოს და სხვანიც ერთი და იგივე ენით ლაპარაკობენ.

ნიზამის თავის პოემაში „ისკენდერ ნამე“ ნათქვამი აქვს –

სული მბრძანებელისა გავიდა გვამიდან,

და მოიშორა რა მიწიური, ცათაკენ გაფრინდა...

დაივსო ვით სანთელი იგი, და ღიმილით გარდაიცვალა,

ხოლო სული მისი შემოქმედს დაუბრუნდა...

იგი ფრინველი თავის ბუდეს დაუბრუნდა

ისე სწრაფად, რომ თვალმაც კი ვერ შენიშნა... 249. (იხილეთ აგრეთვე: „სულნი მათნი ზეცას რბიან“, წიგნში: „ვტნის ღმრთისმეტყველება“)

* * *

ცად აფრენის გამოძახილი გვაქვს აგრეთვე ქართულ სიტყვაში „აღმაფრენა“, რომელიც ვეფხისტყაოსანშიც იხმარება –

იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა (20).

ანუ: მიჯნურობა არის ციური საქმე, საზეო, რომელიც აღმაფრენას იძლევა, ესე იგი, სულს ცისაკენ მიაფრენსო, აღამაღლებსო. აქ, რასაკვირველია, ლაპარაკია იდუმალ, მისტიურ სიყვარულზე – სიყვარული ღმრთისადმი!

როდესაც საუბარია ოქროსა და კაცის ურთიერთობის შესახებ, იქ ნათქვამია: ოქრო კაცს ლხენას არ აძლევს; თუ იგი მას ბევრი აქვს, მას ეხარჯება იგი: გასდის და მუდამ აკლია, ამიტომ კაცი ბედს ემდურებაო და ოქრო –

კვლა აქა სულსა დაუბამს, დაუშლის აღმაფრენასა (1197).

ანუ: ოქრო კაცის სულს ცხოვრებასთან, მიწიურთან, მატერიასთან აბამს და ამით მის სულს ამძიმებს, აფრენას, აღმაფრენას უშლის ამ ცოდვის შედეგადო. ეს აღმაფრენა არის იგივე აფრენა, რომელზეც ნესტანი ლაპარაკობს. ამავე ცნებით „აღმაფრენა“ გამოთქმულია იგივე აზრი, რომელიც „სულთა ზეცად რბენით“ არის გადმოცემული.

ამ მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ სულის ასვლა ცად ხდება აფრენით, ფრთებით, უმთავრესად: სულიერი ფრთებით.

3. სად აფრინდება სული?

ამ საკითხსა სწყვეტს თვითონ ნესტანი, როდესაც იგი ამბობს: აღვფრინდე, რათა დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასაო.

მაშასადამე: ნესტანს სურს დღე და ღამე განუწყვეტელად მზის ელვათა ფენას უცქიროს; მისი წადილია მზეზე დასახლება, სადაც იგი შემდეგ ტარიელს იხილავს.

* * *

ჩვენ ვიცით, რომ ბაბილონურ-სუმერულ-ქალდეური რწმენით, სული ცად მიდის; ეს ასტროლოგიური შეხედულება ნაწილობრივ შესულია ზარათუშტრას რელიგიაში და მაზდეანობაში; იგივე შეხედულება გაბატონებულია მითრაიზმში; სულის ასვლა ცად სჯეროდათ ეგვიპტელებსაც და ებრაელებსაც; ბერძნებმა ეს რწმენა აღმოსავლეთიდან შეითვისეს და ქრისტიანობამ იგი ბერძნული ფილოსოფიის გზით თავისად გაიხადა. ნაწილობრივ მაჰმადიანობამ და განსაკუთრებით სუფიზმმა აღიარა იგი.

ამგვარად, სულის ცად ამაღლების რწმენა თითქმის ყველა რელიგიაშია დამკვიდრებული. მაგრამ განსხვავება ამ რელიგიათა შორის იწყება იქ და იმ შეხედულებით, თუ სული ნამდვილად სად მიდის. ძველი რელიგიები, ასტროლოგიის გავლენით, და ძველი ფილოსოფიაც, აგრეთვე ასტროლოგიის გავლენით, სულს ვარსკვლავებზე აგზავნიდა; შემდეგ ხდება დანაწილება სულის საცხოვრებელ ადგილთა; ერთი ფიქრობს, სული ამა თუ იმ ვარსკვლავზე მიდისო; მეორეს ჰგონია, სული მთვარეზე, ან მზეზე ადისო; მესამეს სჯერა, სული რძის გზის ვარსკვლავებზე მიდისო; მეოთხეს ჰგონია, სული სცილდება ცათა წრეებს და მიდის უძრავ ვარსკვლავთა უკანასკნელ ცაშიო; მეხუთეს რწამს, სული ცათა ცაში ადის და იქ ღმერთის ნათელში ნეტარობსო; მეექვსე დარწმუნებულია, სული ღმერთთან ადის და მისი ხილვით ბედნიერებსო; სხვანი კიდევ გვასწავლიან, სული ერთს ანუ ღმერთს უერთდებაო და სხვა და სხვა.

ნესტანი კი ფიქრობს, სული მზეზე მიდის და იქ რჩებაო, მზის მუდმივ ხილვაშიო. ეს არის ასტროლოგიური სწავლა სულის მზეზე აფრენის შესახებ.

დასკვნა

ამგვარად:

1. ნესტანის სული ცაში მკვიდრდება;

2. ცად ასასვლელად ეს სული უნდა აფრინდეს, და ამისათვის მან ზეციდან, ღმრთისაგან ფრთები უნდა მიიღოს;

3. მზეზე მიფრინავს ის სული, რომელიც მზეს ეკუთვნის;

4. მზეს ეკუთვნის მეფისა და მეფის ასულის სული, საერთოდ დიდკაცთა;

5. ნესტანის თქმა მზეზე სულის აფრენისა და იქ დასახლების შესახებ გამოხატავს ასტროლოგიურ სწავლას მზეზე სულის ასვლის შესახებ, როგორც ეს დიდებულ იტალიელ დანტესაც აქვს აღწერილი...

* * *

ოღონდ კვლავ ისმის საკითხი: ეს რწმენა სულის მზეზე აფრენისა და მუნ დასადგურების შესახებ სადაურია და რომელ მოძღვრებას ეკუთვნის?

ვეფხისტყაოსანში წარმოდგენილი მზისა და სულის დამოკიდებულება, როგორც ვიხილეთ, არ არის არც ბაბილონურ-ასირულ-ქალდეური, არც სპარსული, არც მითრაისტული, არც ებრაული, არც ეგვიპტური და არც ბერძნულ-ჰელლენისტური; იგი არ არის არც მანიქეური, არც ქრისტიანული და არც მაჰმადიანური...

სულის ვარსკვლავებზე ასვლის შესახებ სწავლას ჩვენ გავეცანით ზარათუშტრას რელიგიაში, რომის იმპერიის უკანასკნელ წარმართობაში, სადაც იმპერატორთა სული უეჭველად მზეზე ადიოდა, და აგრეთვე თეოლოგიურ ფილოსოფიაში...

არის ნესტანის რწმენა სულის მზეზე აფრენის შესახებ რომელიმე რელიგიური, ან რომელიმე ფილოსოფიური სკოლის დებულება?

გარკვევით ვიცით მხოლოდ ერთი: ეს შეხედულება მზისა და სულის ურთიერთობის შესახებ არის წარმოშობით ასტროლოგიური, ხოლო აქედან სხვა და სხვა რელიგიაში და ფილოსოფიურ მოძღვრებებში დაბინავებული;

ვიცით აგრეთვე: სულის ვარსკვლავებზე და, კერძოდ, მზეზე აფრენის შესახები რწმენა საერთოდ გავრცელებული იყო, და ამასთანავე ხალხურიც;

ვიცით, კიდევ: „სულის აფრენა“ ლიტერატურულ გამოთქმად იყო გადაქცეული და ამ გზითაც გავრცელებული, – როგორც ამბობს აკ. ფრ. კუმონ და ინგლისელი დიდი მკვლევარი ფრაზერ – **სულის აფრენა სიმბოლო იყო მხოლოდ, რომელიც სულის ცად ასვლას გამოხატავდაო.**

ყველა ამ თქმულის თანახმად შეგვიძლია ერთ დასკვნას დავადგეთ –

ნესტანის რწმენა სულის მზეზე აფრენის შესახებ, არის ასტროლოგიური და ამავე დროს, ძლიერი, შეუდარებელი და შესანიშნავი პოეტური თქმა.

დასაწყისზე

] **ვიკტორ ნოზაძე**

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

კარი მეორე

მზის წილი

1. მზე უშენოდ
2. რა არის „წილი“?
3. ტარიელი მზის წილი
4. მისი ეტლი
5. მუნა გნახო, მადვე გსახო

დასკვნა

დანართი პირველი

დანართი მეორე

თეოლოგია მზისა რომაულ წარმართობაში

მასალათა მათითებელი

1. მზე უშენოდ

თავის შესანიშნავ წერილში ნესტანი ტარიელს, სხვათა შორის, ასე მიმართავს –

მზე უშეოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი,

განაღამცა მას ეახელ მისი ეტლი, არ თუ წბილი!

მუნა გნახო, მ ა დ ვ ე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი,

თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი! (1305).

დავხსნათ და გავშალოთ ეს შაირი –

1. ტარიელ, მზე უშენოდ ვერ იქმნება; მზე უშენოდ ვერ იარსებებს, რადგან შენ მისი წილი ხარ;

2. ამიტომ ეგრეც (განაღამცა) მას ეახელ, მას თან გაჰყევ, რადგან შენა ხარ მისი ეტლი, ანუ ზოდიაკო; და ეს ხლება შენი, ეს გაყოლა შენი მზესთან, წბილი, ანუ სამარცხვინო და გასაკიცხი არ არისო;

3. იქ (მუნა) გნახავ; მადვე გსახავ; იქ განმინათლე ჩემი ჩრდილი, დამწუხრებული გულიო.

სიტყვა „მადვე“, „მანდვე გსახო“ გასწორებულია პავლე ინგოროყვას მიერ (ვტ. 1953 წ.) ხელნაწერის მიხედვით, რადგან „მადვე“ ხელნაწერებში დადასტურებული არ არისო! მაგრამ ვიკითხოთ: საიდან გაჩნდა ვახტანგისეულ ვტნში სიტყვა „მანდვე“?!

ნესტანი ტარიელს უთვლის: „მუნა“ ანუ იქ, მზეზე გნახოო, „მასვე“ ანუ მზეს გსახო, მზედ დაგსახო, მზედ გიყურო, მზედ წარმოვიდგინო შენი თავიო და ვითარცა მზემ ჩემი ჩრდილი, ბნელი გული განმინათლე, მას ლხინი მოჰფინეო;

4. თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, დაე ჩემი სიკვდილი იყოს ტკბილიო.

ნესტანის ეს შაირი შემდეგ დებულებეს გვირდგენს –

1). მზე უტარიელოდ ვერ იქმნება,

2). ტარიელი არის მზის წილი,

3). ტარიელი მზეს უნდა ეახლოს ვით მისი ეტლი, ანუ ზოდიაკო;

4). ეს ხლება ეტლი-ზოდიაკოსი მზესთან არ არის სამარცხვინო, წბილი;

5). ნესტანი ტარიელს იქ (მუნა), მზეზე ნახავს;

6). ტარიელს ნესტანი მზეზე ნახავს, მზეზე მყოფელად მიაჩნია, ან: იგი მას მზედ სახავს, ნესტანს ტარიელი მზედ მიაჩნია;

7). ტარიელის ნახვით მზე-ტარიელისაგან ნესტანს გულის ჩრდილი გაუნათლდება;

8). ნესტანის მწარე სიცოცხლე ტკბილი სიკვდილით შეიცვლება. განვიხილოდ ეს დებულებანი.

2. რა არის „წილი“?

თუ ჩვენ სწორად გავიგებთ სიტყვას, „წილი“ რა მნიშვნელობა აქვს, მაშინ იოლად ასახსნელი იქნება მზისა და ტარიელის ურთიერთობა.

სიტყვას „წილი“ ორ გვარი მნიშვნელობა აქვს: 1. წილი – ნაწილი და 2. წილი – ხვედრი. თუ სიტყვისა „წილი“ პირველ მნიშვნელობას აღნიშნულ ლექსს მიუყენებთ, მაშინ მას ასეთი აზრი ექნება: ტარიელი არის მზის ნაწილი და ამიტომ არ შეიძლება მზე უტარიელოდ, უამნაწილოდ არსებობდეს! ვეფხისტყაოსანის ინგლისურ თარგმანში ასეა გადმოცემული: მზეს არ შეუძლია უშენოდ იქმნეს, რადგან შენ ხარ მისი ატომი, ანუ მისი წილი. სიტყვას „ატომი“ აქვს შენიშვნა და განმარტებულია ასე: წილი, ნაწილი, კერძი, ნატეხი. მარჯორი უორდროპის ასეთი თარგმანი პროფ. ნ. მარრის განმარტებაზეა დამყარებული. მართლაც, პროფ. ნ. მარრი ამ ლექსს ასე სთარგმნის – მზე ვერ იქმნება უშენოდ, რადგან შენ მისი ნაწილი ხარ; რასაკვირველია, მიეწებები შენ მას, მისი ზოდიაკო ლომი, და არა უარყოფილი (ქმნილება). 223. გვ. 45.

ასეთი განმარტება არაფერს არ გვეუბნება და იგი ვერაფერს ვერ გვიხსნის; იგი არც არსებითად არის სწორი. მაშასადამე რჩება მეორე განმარტება და ამისათვის გამოსაყენებელია სიტყვისა „წილი“ მეორე მნიშვნელობა – „ხვედრი“.

* * *

„ხვედრი“ ს. ს. ორბელიანის განმარტებით, – არის წილად ხვედრილი, გინა ვითარებათაგან ხდომილი, ანუ ის, რაც ადამიანს ხვდება; აქ „წილი“ არის „ხვედრი“ და ასტროლოგიური მცნება.

„წილი – ხვედრი“ ბერძნულად არის – კლეროს, ლათინურად – სორტუს; გერმანულად – დას ლოს, ფრანგულად – ლესორ, ინგლისურად – ლოოს, დესტიტუტ, ესპანურად – სუერტე, დესტინო, რუსულად – უჩასტ, როკ.

ყველა ეს ცნება არის ასტროლოგიური.

სწავლა „წილი–ხვედრის“ შესახებ დაკავშირებულია მზისა და მთვარის ადგილთან. ეს ადგილი ზუსტად უნდა იქმნეს გამორკვეული ბავშის დაბადების წამში. დადგენილ უნდა იქმნას ამ წამში, თუ მზე და მთვარე სად იმყოფებიან, რა ადგილზე ურთიერთისა და სხვა ვარსკვთლავთა მიმართ. ამ გამოანგარიშების მიხედვით გადასწყდება ის წერტილი, რომლის დროს ბავში დაიბადა. ამ წერტილში ირკვევა ბავშის მომავალი და მისი ბედი. ეს არის ადგილი წილისა ანუ ლოკუს ფორტუნე (ადგილი ბედის). მთელი ეს

სწავლა და გამოყენება აქ წერია წიგნში, რომელსაც ჰქვია „პანარეტოს“ (სრულიად სიკეთეთა წიგნი). ამ წიგნის შექმნას მიაწერენ „ღმერთს“ ჰერმეს ტრისმეგისტოს...

წილის ანუ ხვედრის შესახებ მოძღვრების თანახმად, თითოეულ მნათობს თავისი საკუთარი წილი აქვს, რომელიც ამ მნათობის ქვეშ დაბადებულს მიეკუთვნება.

თითოეულ შვიდ მნათობთაგანს მიეწერება თავისი საკუთარი ძალა, რომელიც ხვდერს იძლევა –

მზის წილია – აგათოს დაიმონ, გენიუს, კეთილი სული, ზეგარდმო მადლი.

მთვარისა – ტიხე, ფორტუნა, ბედისწერა კეთილი.

სატურნუსისა – ნესესიტას, ბედისწერა უბედური.

იუპიტერისა – ნიკე, ვიკტორია, გამარჯვება...

მარსისა – ტოლმა, ანიმუს, მამაცობა, მხნეობა.

ვენუსისა – ამორ, სიყვარული.

მერკურიუსისა – ანანკე, ოკკასიონალის სორს და აგრეთვე ნესესიტას, ბედი შემთხვევითი და აუცილებლობა.

ასტროლოგოსებმა ეს სწავლა შემდეგ კიდევ უფრო გააღრმავეს და სისტემის ნაირობა შეჰქმნეს. მათ შორის მნიშვნელოვანი მოძღვრება იყო სწორედ მოძღვრება ატჰლა (ათლა) ანუ ხვედრის შესახებ (არის „ატჰლა“, „ათჰლა“ ქართული „ეტლი“?).

ჩვენ აქ, რასაკვირველია, გვაინტერესებს მზე და მისი წილი – ხვედრი, რომელსაც ეწოდება „აგათოს დაიმონ“, „გენიუს“. ეს არის ხვედრი კეთილი სულის, კაცის სულიერი ცხოვრების შესახებ, რომელსაც მზე იძლევა. იგი განსაზღვრავს ვნება-გრძნობას (პასიონეს), ხელობას, პატივსა და ამ პატივის სიდიდეს. 240.

3. ტარიელი მზის წილი

აი, მგონია, ეს არის ვეფხისტყაოსანის „მზის წილი“. ამ განმარტების თანახმად, ტარიელი დაბადებულია მზეზე, ესე იგი მზის ნიშანის ქვეშ, და ამით იგი მზის წილს იზიარებს. ეს „წილი“ არის „აგათონ დაიმონ“. მაშასადამე, ტარიელი არის დაბადებული მზე-ბედნიერ ვარსკვლავზე და მისი წილია: კეთილი სული. ამიტომ არის ტარიელი მზესთან ასე მჭიდროდ დაკავშირებული, როგორც ამას ნესტანი გვაცნობებს.

ეს განმარტება დამტკიცდება აგრეთვე მეორე მხარიდანაც.

***

კარგად ვიცით, თუ ასტროლოგიურად და მასთან გადაბმულობით: პოლიტიკურად, მზეს რა მნიშვნელობა ენიჭებოდა.

უმორეულესი წარსულიდან დაწყებული, უკვე ბაბილონელ-ქალდეანთა შეხედულებით, მზე იყო მეფური მნათობი; მეფე მზის შვილია და მზესავით დაუმარცხებელი და მარადული, საუკუნო (აეტერნუს); მეფე მზესთან მარად კავშირშია, მისი მხლებელია (კომეს), მისდაგვარი, რადგან ისინი (მზე და მეფე) გაერთიანებულნი არიან ბუნების ერთობით. ამიტომ მესამე საუკუნეში რომის იმპერატორებს თაყვანსა სცემდნენ, რადგან ისინი იყვნენ „ღმერთი და უფალი დაბადებით“ (დეუს ეტ დომინუს ნატუს), ჩამომავლობით ზეციდან, მზის წყალობით. მეფის სული იმ წუთში, ოდეს განგება მას ქვეყნად წარმოგზავნის, თავის ძალასა და უფლებას მზისაგან ღებულობს. მეფე არის დედამიწაზე მზის წარმომადგენელი და სიკვდილის შემდეგ მეფის სული ისევ მზეს უბრუნდება. 93.

აი, ამიტომ ნახავს ტარიელს ნესტანი მზეზე, – ტარიელი მეფე: მზის წილია და ნესტანიც მეფის ასული არის აგრეთვე მზის წილი. და ამიტომ მიფრინავს ნესტანის სული მზეზე და მოელის იქ აგრეთვე ტარიელის სულსაც.

***

ვეფხისტყაოსანის მკვლევარი პ. ინგოროყვა „მზის წილის“ საკითხსაც ეხება და სწერს –

„ვეფხისტყაოსანის მსოფლმხედველობის თანახმად, რჩეულ ადამიანში შესაძლოა მოხდეს უშუალო განხორციელება ღვთაებისა, იმავე მზის. ასე, შოთა თითონ მეფეს თამარს უწოდებს ღმერთს, იმავე მზეს („ქართველთა ღმრთისა, ვის მზეს...). თითონ პოემის შ ვ ი დ ნ ი გ მ ი რ ნ ი არიან „მზის წილი“, ღვთაება-მზის ინკარნაცია.

„ეს არის იგივე სუფისტური სოფლ-ხედვა, რომელიც უდგება მანიქეიზმის სწავლას „სინათლის ძეთა“ შესახებ.

„თვით ნესტან-დარეჯანის წერილი, სადაც ყველაზე ნათლად არის გადმოცემული ეს იდეა, იმდენად ახლო უდგება მანიქეურ თეოსოფიას, თითქო იგი პირდაპირ იყვეს ამოღებული მანიქეური თხუზულებიდან...

სული ჩემი შეივედრენ, ზეცით მომხვდენ ნუთუ ფრთანი... მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი...

„ამიტომ ვეფხისტყაოსანში პოემის შვიდ გმირს ყოველგვარი მეტაფორის გარეშე პირდაპირ ეწოდებათ „მზე და ღმერთი“-ო, - გვაუწყებს პ. ინგოროყვა.

***

აქ წინა თავებში გარჩეულია ყველა ლექსი, რომელშიც კი მზეა ნახსენები და ამ გარჩევის შედეგად გამოტანილია ის უეჭველი დასკვნა, რომ მზე ყველგან გამოყენებულია ვტნში:

1). ან ვით შვენების განსახიერება,

2). ან ვით სილამაზის სიმბოლო,

3). ან ვით პირმზე, აგრეთვე პიროვნებისა და მისი სილამაზის გამომხატველი.

4). ან ვით ზნეობის აღმნიშვნელი,

5). ან ვით მზე სამართალისა,

6). ან ვითარცა საფიცარი, გადმონაშთი ასტროლატრიის ხანიდან,

7). ან ვითარცა ხატი ღმრთისა,

8). ან ვითარცა ხატი „მზიანი ღამისა“...

დიახ! ვეფხისტყაოსანის გმირებს პირდაპირ ეწოდებათ „მზე“, მაგრამ ეს მზე არის მხოლოდ და მხოლოდ „მეტაფორა“, პოეტური სიტყვა და ეტიკეტის, საკარისკაცო ზნეობის მაჩვენებელი და არავითარ შემთხვევაში და არც ერთ შემთხვევაში აქ მზე „ღმერთი“ არ არის.

ვეფხისტყაოსანის „მზის წილს“ საერთოდ არც ერთი მიდგომით, თუ თვალსაზრისით არავითარი კავშირი არა აქვს არც „სუფისტურ სოფლხედვასთან“ და არც მანიქეიზმის სწავლასთან „სინათლის ძეთა“ შესახებ. ეს „სინათლის შვილნი“ ანუ ძენი სწორად აქვე, წინ გავიცანით, და ვნახეთ, რომ მათ არავითარი, სრულიად არავითარი დამოკიდებულება ვტნთან არა აქვთ და ისინი არც „მზის წილნი“ არიან, და არავის აზრად არ მოსვლია ეს „მზის ძენი“ თუ „მზის შვილნი“ მზის წილად გამოეცხადებინა, რადგან მათ მზესთან დამოკიდებულება არა აქვთ; რადგან მანიქეიზმში „მზის შვილნი“ არიან წარმოშობილნი უწინარე, პირველადი ადამიანის მიერ და ეს „ძენი“ არიან მხოლოდ ნათელი ელემენტები: ეთერი, სინათლე, ქარი, წყალი და ცეცხლი, რა შუაშია აქ თინათინი, ან ავთანდილი, ან ნესტანი, სხვა ვინმე?, რომელნიც მზეს შეედარებიან დიდი პოეტური ხელოვნებით და განცდით... მაგრამ პ. ინგოროყვას რაღა მოეთხოვება მას შემდეგ, როცა იგი სწერს, რუსთაველიო „ეკუთვნოდა მანის ფილოსოფიურ-რელიგიურ ორდენს, რომლის ერთ-ერთ მთავარი დოგმატი იყო **უარყოფა** ღვთაებაში ყოველგვარი ატრიბუტისა“-ო. (იქვე, 241. გვ. 117-18). არ არის არც ერთი თანამედროვე ნარკვევი მანიქეიზმისა ან ნეომანიქეიზმის შესახებ, სადაც მანიქეური ღმერთი არ იყოს სამება (თუმცა ქრისტიანული შინაარსისაგან გამოფიტული, მაგრამ მაინც სამება!).

„შეხედულება, – განაგრძობს პ. ინგოროყვა, – რომ რჩეული ადამიანი შესაძლოა გახდეს ღვთაება – იგივე მზე, ღვთაება-მზის ინკარნაცია, ეს არის რუსთველის მსოფლიო მხედველობა; ეს არის „მწვალებლური“ იდეა, რომელიც გადმოცემულია თვით პოემაში“ო...

არავითარი „მწვალებლური“ იდეა ვეფხისტყაოსანში არ არის; იგი არის მხოლოდ თვით პ. ინგოროყვას თავში, რომელიც ამ მწვალებლური იდეით ვეფხისტყაოსანსა და მის მკითხველს აწვალებს...

აღძრული საკითხის გამო პროფ. კორ. კეკელიძე სწერდა –

„ჩვენს პოემაში (ვტნში) გამოთქმული აზრი, რომ ადამიანი „წილია მზისა“, ეკუთვნის არა მანიქეიზმს, როგორც ინგოროყვას ჰგონია (გვ. 61), არამედ ნეოპლატონიზმს, როგორც ეს თავის დროს დოკუმენტალურად აღნიშნა ნ. მარმაც“-ო. პროფ. კ. კეკელიძე – „რუსთველიანა“. კრებული „მნათობი“, ნომ. 2. თბილისი, 1927 წ. გვ. 200).

მართალია პროფ. კორ. კეკელიძე, როდესაც გვარწმუნებს, „ადამიანი“ (არა „ადამიანი“ საერთოდ, რასაკვირველია, არამედ ტარიელი, ვითარცა მეფე) „წილია მზისა“ არ ეკუთვნის მანიქეიზმსაო; ოღონდ რაც შეეხება იმ საკითხს, არის თუ არა „წილი მზისა“ ნეოპლატონური შეხედულება, ამის გამო უნდა ითქვას შემდეგი: ნ. მარრს „დოკუმენტალურად“ არაფერიც არ „აღუნიშნავს“; მან მხოლოდ **გაკვრით თქვა**, „წილია მზისა“ ნეოპლატონური შეხედულება არისო, – რაც, რასაკვირველია სწორი არ არის, რადგან ეს შეხედულება „მზის წილის“ შესახებ არის წმიდა ასტროლოგიური, როგორც ეს ძალიან კარგად ცნობილია და საერთოდ, თუ რა აღნიშნა „დოკუმენტალურად“ ნ. მარრმა, ამას ჩვენ ქვემოდ საკუთარი თვალით ვნახავთ...

4. მისი ეტლი

ტარიელი მზეს უნდა ეახლოს, მისი „კომეს“, ანუ მხლებელი უნდა იყოს –

განაღამცა მას ეახელ, მისი ეტლი არ თუ წბილი (1305).

ტარიელი მზეს უნდა ეახლოს ვით მისი ეტლი... ეს თანხლება არ არის წბილი, გასაწბილებელი, სამარცხვინო.

მზე გაივლის თორმეტ ზოდიაკოს, მაგრამ ამას გარდა მზეს ჰყავს თავისი საკუთარი ეტლი-ზოდიაკო, რომელში ყოფნის დროს იგი არის ყველა თავისი ძალითა და შვენებით უძლიერესი და უკეთესი. მზის ეს საკუთარი ზოდიაკო-ეტლი არის „ლომი“. ეს ზოდიაკო ლომი არის მზის ეტლი, მისი სადგომი, მისი სახლი 23 ივლისიდან. ამ დღეს მზე „ჯდება“ ზოდიაკო ლომზე და რჩება მასზე 23 აგვისტომდე. ამ ერთი თვის განმავლობაში ისინი ერთად მოძრაობენ, ერთად მოგზაურობენ: „ლომი“ აქ მზეს ახლავს, მას მიჰყვება, – და, რასაკვირველია, ეს ხლება წბილი არ არის, პირიქით: სავალდებულოა, რადგან მათი დაშორება ამ ერთი თვის მანძილზე შეუძლებელია.

ამგვარად, ტარიელი ლომი არის მზის ზოდიაკო „ლომი“.

5. მუნა გნახო, მადვე გსახო

„მუნა – მუნა“ არის „იქ“ (ს. ს. ორბ.). მაშასადამე, ნესტანი ტარიელს უთვლის: „იქ“ გნახავო. რა არის ეს „მუნა“, „მუნ“, „იქ“? არის ეს გარკვეული ადგილი? რომელი? არის ეს მზე? თუ სხვა რამ?

წინა შაირში ნესტანი ამბობს: ღმერთმა მომცეს ფრთები, რათა ავფრინდე და მივაღწიო ჩემს სურვილს – დღითა და ღამით მზის ელვათა, ანუ შუქთა

კრთომას ვუმზიროო. მაშასადამე, ნესტანის რწმენით, მისი სული მზეზე აფრინდება, როგორც ეს წინა თავში გამოვარკვიეთ. და თუ ნესტანის სული მზეზე აფრინდება, იმ მზეზე, რომლის ხვედრი-წილია ტარიელი, და რომელიც ვითარცა მეფე (მისი სული) მზეს უნდა დაუბრუნდეს, მაშინ, რასაკვირველია, ნესტანი ტარიელს მზეზე ნახავს, იმ მზეზე, რომლის ეტლი ტარიელი ლომია და რომელს იგი აგრეთვე მზედ სახავს. და ამ მზის ნახვით ნესტანს გული ჩრდილი გაუნათლდება.

ამგვარად „მუნ“, „იქ“ არის მზე.

ნესტანის სული აფრინდება მზეზე. ნესტანის სულს შემდეგ შეურთდება მზეზე ტარიელის სული, რომელიც აგრეთვე უეჭველად, მზეზე აფრინდება; ამიტომაც ნესტანს სიკვდილი ტკბილად მიაჩნია...

როგორც ვხედავთ სიტყვას „მუნა“ და „მადვე“ უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ სად მიდის ნესტანის სული: მზეზე, თუ სხვა სამყოფელში?

თქმა იმისა, რომ შაირი ნეოპლატონურია, მხოლოდ გაუგებლობით არის გამოწვეული.

პლოტინოსის აზრით, სული (რომელიც არის უკვდავი) მსოფლიო სულს უბრუნდება... მაგრამ რადგან სული ადამიანის გვამში ყოფნისას ფუჭდება, ცოდვილდება, ამიტომ მას სჭირდება განწმედა; და მხოლოდ ასეთი განწმედის შემდეგ სულს შეეძლება ისევ მსოფლიო სულს მიუბრუნდეს და მას შეუერთდესო. ეს დებულება ნეოპლატონიზმისათვის ზოგადია.

ხოლო ჩვენი ნესტანი სრულებითაც არ აპირებს მსოფლიო სულს, ან სულთა სერიას შეუერთდეს, პირიქით, მისი მღვივე მიზანია: მზეზე აფრენა.

* * *

აქვე ზემოდ სრულიად გარკვევით აღვნიშნე, თუ სიტყვას „მუნ“ და „მანდვე“ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს „მზეზე აფრენის“ საკითხის გამოკვლევაში. თუ „მუნა“ უეჭველად არის „მზე“; თუ „მანდვე“, „მადვე“ (და არა „მასვე“) არის უდავოდ „მზე“, მაშინ ნესტანის თქმა არის უცილოდ ასტროლოგიური.

ოღონდ თუ ეჭვი აღიძრება, რომ „მუნ“ და „მანდვე“ არ არის „მზე“ და დამტკიცდება ეს ეჭვი მას შემდეგ, რაც ვტნის აკადემიური ტექსტი დადგინდება, ამ შემთხვევაში „მუნა“ და „მადვე“, „მანდვე“ უკვე „მზე“, ჩვენი მზე კი აღარ იქნება, არამედ სულ სხვა რამ. ამ შემთხვევაში ნესტანის სული მნათობ მზეზე კი არ აფრინდება, არამედ მას დიდად გასცილდება, და მივა „მას საუკუნოსა“, საიქიოს, საიდანაც მას შეეძლება „მზისა ელვათა კრთომას“ დღისითა და ღამით „ჰხედვიდეს“. ეს „მზე“ კი იქნება არა ჩვეულებრივი, მნათობური მზე, არამედ „ღმერთი ნათელი“ – „ღმერთი გონება-მზე“, რომელსაც ჩვენ უკვე გავეცანით როგორც ნეოპლატონურ, ისე ქრისტიანულ და ისალამურ თეოლოგიურ ფილოსოფიაში. და რადგან ვეფხისტყაოსანის თეოლოგიური ფილოსოფია არის ხალასი ქრისტიანული, ამიტომაც

ნესტანის დებულებაც „მზის ელვათა კრთომის“ დღით და ღამით ნახვის შესახებ, არის ქრისტიანული დებულება.

ამის გადაწყვეტა, როგორც ვთქვი, დამოკიდებულია ვტსანის აკადემიურ ტექსტის დადგენაზე...

პირადად მე მაინც მგონია, რომ „მუნ“ და „მანდვე“ არის მნათობი მზე, და ამგვარად: ნესტანის ნათქვამიც არის ასტროლოგიური.

დასკვნა

ტარიელის პატრონი არის მზე.

ტარიელი არის მზის შვილი, მზის წილი.

წილი, ანუ ხვედრი არის დაიმონ, გენიუს, კეთილი სული.

ტარიელი დაბადებლია მზის ნიშანზე, მზიურ ბედის ვარსკვლავზე, და ამიტომ ტარიელი არის მზის წილი.

ტარიელი არის მეფე და ვითარცა მეფე იგი აგრეთვე არის მზის წილი; ამიტომ ნესტანი ფიქრობს უტარიელოდ მზე ვერ იქმნებაო.

ტარიელი არის ლომი და ვინაიდან ეს ზოდიაკო ლომი მზის ეტლია, მისი სახლია, ამიტომ ტარიელი მზეს ეკუთვნის როგორც მისი ეტლი, და ამიტომაც არის მისი მხლებელი.

ნესტანის სული ტარიელის სულს მზეზე ნახავს, რადგან ტარიელი მზის წილია, რადგან მისი მეფური სულიც უეჭველად მზეზე აფრინდება.

ამნაირად: 1) ტარიელი – მზე; 2)ტარიელი – მზის წილი; 3) ტარიელი – ზოდიაკო ლომი; 4) ტარიელი – ხელმწიფურ თვისებათა მატარებელი; 5) ნესტანისა და ტარიელის სულნი მზეზე ერთმანთს შეხვდებიან...

ყველა ეს დებულება არის ასტროლოგიური, დიდი პოეტური ხელოვნებით ვეფხისტყაოსანში გამოყენებული.

* * *

დანართი პირველი

საჭიროდ მიმაჩნია ყურადღება შევაჩერო პროფ. ნ. მარრის შეხედულებაზე, რომელიც მან გამოთქვა თავის წერილში ვეფხისტყაოსანის შესახებ. (ტექსტი ი რაზისკანია. პეტერბურგ, 1910. ტ. 12 გვ. 46-48).

პროფ. ნ. მარრს წაუკითხავს ფრანს კიუმონის ნარკვევი მზის თეოლოგიის შესახებ რომაულ წარმართობაში, ამოუღია იქიდან ამონაწერიც, უნახავს იქვე პროკლოსის სახელიც და დაუსკვნია – შოთა რუსთაველი „ნეოპლატონიკი“ იყოო! და ქართველმა მკვლევარებმა ეს შეხედულება განუკითხავად, ზეპირად განიმეორეს, როგორც მაგალითად –

ქართული მწერლობის დიდი მკვლევარი პრ. კორ. კეკელიძე ამბობს: შოთა რუსთაველი ნეოპლატონიკი არისო (ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი, 1924. გვერდი 110). ან კიდევ: „მართლაც, როგორც დაამტკიცა პროფ. ნ. მარრმა, ავტორი ვეფხისტყაოსანისა არის ნეოპლატონიკი“ (იქვე, გვერდი 99).

იუსტინე აბულაძე სწერს – „ეს წიგნი (ვეფხისტყაოსანი) იმდროინდელ საქართველოს ნეოპლატონისტურ შეხედულებათა საუკეთესო გამოხატულებაა“-ო. („ძველი საქართველო“, თბილისი, 1909. წ 1. გვ. 110). ანუ კიდევ – „ნეოპლატონიკური იდეებით გაჟღენთილია ამ ნაწარმოების საუკეთესო ადგილი. საკმაოა აღვნიშნოთ ავთანდილის ანდერძი, რომელშიც ავტორი ნეოპლატონიკურად აფილოსოფოსებს თავის გმირს ავთანდილს (იხილეთ ხანა 770–774 და 778–779)... ხოლო თვით გამოყვანილი სიყვარული ამ დიდებული ნაწარმოების მთელი ჭახრაკის ამომაძრავებელი, განმაცოცხლებელ ჭევლად მიმდინარი მთელს პოემის შინაარსში საბუთი არ არის იმისა, რომ ჩვენი პოეტი ეკუთვნის ნეოპლატონიკურ სკოლას?“ (იქვე გვერდი 110).

სარგის კაკაბაძე სწერს –

„ნეოპლატონიზმის ერთიერთი მთავარი დამახასიათებელი დებულებაა – სიყვარულის რწმენა (პლატონის მოძღვრებასაც ახასიათებს ეს რწმენა განუსაზღვრელი სიყვარულის სიძლიერეში) კერძოდ ქართულ ლიტერატურულ შემოქმედებას უხსნიდა ახალ ასპარეზს. ხოლო ქართულ სოციალურ-კულტურულ ცხოვრების განვითარების მაღალი დონე ამ შემოქმედებას კერძოდ პოეზიაში, მკვეთრად ჩამოყალიბებულ რაინდულ იდეოლოგიასთან დაკავშირებით, ფრიად მნიშვნელოვან, საყურადღებო და თავისებურ მიმართულებას აძლევდა. ასეთ პირობებში წარმოიშვა რაინდობისა და მიჯნურობის აპოლოგია – შოთა რუსთაველის პოემა“. (სარგის კაკაბაძე – ვეფხისტყაოსანი. შესავალი. გვ. 125-127. თბილისი, 1927.).

აი, რა ღირსებებით ყოფილა შემკობილი ნეოპლატონიზმი სიყვარულის, მიჯნურობის განვითარების და ქართული რაინდობის დარგში... საკვირველია, საკვირველი...

* * *

პროფ. ნ. მარრი ენათმეცნიერების დარგში იქნებ დიდი მკვლევარი არის, მაგრამ ვეფხისტყაოსანს რომ მან ზიანი მიაყენა, ეს უეჭველია. მან ბევრი ზერელე თქმა და დაუსაბუთებელი აზრი გადმოისროლა და ამით ამ შესანიშნავი პოემის კვლევა დააბნია... აქ ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ პროფ ნ. მარრი სწერდა – „ნეოპლატონიზმიდან, ალბათ ქართული ნეოპლატონიზმიდან, ნესტან-დარეჯანს ამოაქვს თავისი შეხედულება საიქიო ცხოვრებაზე. განმარტებაში მთლიანად აღნიშნული მაქვს ის ნაწყვეტი, სადაც იგი მომავალს რწმენით შეჰყურებს, როდესაც ტარიელი, მზის წილი, სიკვდილის შემდეგ ისევ მას შეუერთდება, მზეზე, და იგი (ნესტანი) იქნება იქ ბედნიერი მას უმზიროს (1281). ფრანს კიუმონი თავის

„თეოლოჟი სოლერ დჲუ პაგანიზმ რომენ“ში უძღვნის (მზის) საკითხს ჩვენთვის დამარიგებელ სტრიქონებს „ასტროლოგებისათვის“, – ვკითხულობთ აქ (გვ. 463 – 464 =17 – 18), „ადამიანის სული წარმოადგენს ცეცხლად არსს, რომელიც იმავე ბუნებისა არის ვით ციურნი მნათობნი. მაშასადამე, შუქთა მფენი მზე განუწყვეტლივ აგზავნიდა თავისი გავარვარებული დისკოსის ნაწილაკებს გვამებში, რომელთაც იგი სიცოცხლისაკენ მოუწოდებდა. ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ არიან სხვა და სხვა ნაწილნი, ანუ უნარნი, ამიტომ მზეს მიაწერდნენ მათ შორის უუმაღლესის წარმოშობას, სახელდობრ იმისას, რომელიც აგრეთვე მართავს ჩვენს არსებას როგორც მზე-მნათობი ბატონობს ქვეყანაზე. სიცოცხლის სათავე, რომელიც ჩვენს გვამს ასაზრდოებს და მას ზრდის, არის მთვარული წარმოშობისა; მზისაგან კი წარმოსდგება ჩვენი გონება; მისგან არის დამოკიდებული ყველა სულიერი თვისება; მისი წყალობით ჩვენ გვაქვს უნარი მივიღოთ გრძნობა და სიბრძნე.

„პირიქით, როდესაც სიკვდილი დაშლის ელემენტებს, რომელნიც ადამიანის შემადგენლობაში შედიან, როდესაც სული მიატოვებს ხორციელ უკანასკნელ გარესკნელს, რომელშიც იგი არის დამწყვდეული, მზე იზიდავს მას (ამ სულს) ისევ თავისაკენ“ (ხაზი პროფ. ნ. მარრისა).

„ეს შეხედულება, – განაგრძობს პროფ. ნ. მარრი, – მოთხრობილია არა მიუთითებელად ისეთ ნეოპლატონიკოსზე, როგორიცაა პროკლოსი. ნეოპლატონიკოსები საერთოდ არიან სწორედ უკანასკნელნი მოქადაგენი წმიდა ფორმულისა მეფე-მზის შესახებ.

„ქართული ნეოპლატონიზმის ფილოსოფია-შინაკითხობით აიხსნება აგრეთვე 864,4 ლექსის ფრაზეოლოგია, ტარიელის სიტყვაში:

დამშლიან ჩემნი კავშირნი, შეჰრთვიან სულთა სირასა, ანუ დაიშალნენ ჩემნი კავშირნი (ელემენტები) და შეუერთდნენ სულთა ოჯახს (სირასა)ო. სიტყვა კავშირი, ელემენტი, საწყისი – აღმოსავლური წარმოშობისაა; სირა – ვეფხისტყაოსანის განმამარტებელნი ამ სიტყვას ურევენ „სირი“ – ფრინველინ, მაშინ როცა იგი არის ბერძნული სიტყვა სეირა, ჯაჭვი, **მნიშვნელობით წარმოშობის ხაზისა, მოდგმისა, ოჯახისა, კატეგორიისა.** (ხაზი პროფ. ნ. მარრისა). ორივე ტერმინი ჩვეულებრივია, მაგალითად, იოანე პეტრიწონელის შრომაში; სპეციალურად ამ ჩვენს ლექსში სირას გასაგებად საინტერესოა ადგილი პროკლოსის საღმრთისმეტყველო დასაბამთა მეცხრე თავის სხოლიოდან:

ხ, არიან სირასა შინა თითოეულსა. ვ, რ ღმერთთასა. ვ, რ გონებათასა. ვ, რ სულთასა. ვ, რ ბუნებათასა. ვ, რ სხეულთასა. ვინაი ამ, თ ყ თა შ, ს. რ, ნიმე არიან უმახლობელეს თ, სთა მიზეზთა საწყალოთა და რ, ნი-მე უშორიელეს. ანუ რუსული თარგმანის მიხედვით –

და იმყოფება თითოული (საგანი) თავის კატეგორიაში (სირა); მაგალითად, კატეგორიაში ღმერთთა, ან მაგალითად – გონებათა, ან მაგალითად – სულთა, ან მაგალითად – ბუნებათა, ან მაგალითად – გვამთა; ყველა მათ

(საგანთა) შორის ერთნი არიან უმახლობელესნი თვისთა მიზეზთა და საწადოთა, ხოლო რომელნიმე უშორეულეს მათგანო.

„ქართული ნეოპლატონიკური წყაროდან შეიძლება, სხვათა შორის, წარმომდგარი იყოს აზრიც, მეფეთათვის ვინც კვდება, მათი გაიგივება წმიდა მოწამეებთან. ძველ ქართულ თარგმანში ნემესიოსის „ბუნებისათვის კაცისა“ ვკითხულობთ:

„და კუალად სხუაი ივნებ ბაძვად სხუათა რაითა ვნექაი იგი მისი იდდოს და სხუათა აღიშურონ დიდებისა თვის სასოებით მერმეთა კეთილთა ვითარ წმიდათა მოწამეთა ზედა და მამულისა და თან – ტომთა თვის გინა – თუ პატრონთა თვის მომწყდართასა“.

ანუ რუსული თარგმანის მიხედვით – „და სხვა კიდევ ივნებს (ვნებას მიიღებს) იმისათვის, რომ სხვებმა წაბაძონ, რათა ვნება (ტანჯვა) მისი იდიდოს და სხვები აღიშურნონ დიდებისათვის იმ იმედით, რომ მომავალში ექნებათ კეთილი ნეტარება, როგორც აქვთ წმიდა მოწამეებს, რომელნიც მოსწყდნენ (დაიხოცნენ) მამულისათვის და თანატომთათვის გინა თუ პატრონთათვის“ო.

„მაგრამ წმიდა ლიტერატურულნი ნაწარმოებნი, რომელთაგან შოთა რუსთაველს შეეძლო ესა თუ ის შეხედულებანი შეეთვისებინა, იყვნენ ალბათ მეტად ნაირნაირნი და მრავალრიცხოვანი. სპარსულის მხრივ მხოლოდ ასეთ წყაროთა წრე სრულებით არ შეიძლება განსაზღვრულ იქმნას მარტოდ ჩვენამდე მოღწეული ძეგლებით, და ისიც ქართული თარგმანით. ამ შემთხვევაში საკითხია არა მარტო ქართველი მწერალის მიერ სპარსული ლიტერატურის ცოდნის ხარისხი, არამედ იმ სპარსელის ცოდნაც, რომელიც შოთა რუსთაველმა მასალად გამოიყენა თავისი თხუზულებისათვის...

„სიუჟეტი მისი ნასესხებია სპარსული ლიტერატურიდან, მაგრამ სპარსულ ენაზე აქამდე ვერ ვპოულობთ დედანს, ან რაიმე მის კვალს; სპარსული მოთხრობა გადამუშავებულია მგოსანის (რუსთაველის მიერ) მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნის ქართველთათვის, როგორც უნდა სჩანდეს, მღვიეე ქრისტიანთათვის, ოღონდ პოემა (ვეფხისტყაოსანი) გაჟღენთილია ქრისტიანული საეკლესიოსაგან განთავისუფლებული საერო სულით; წესობრივნი წვრილმანნი, რომელნიც ხანდახან გამოსჩანან, იმაზე მიუთითებენ, რომ გმირები მუსულმანურ მრევლს ეკუთვნიან, და ამავე დროს თხუზულების ძირითადი იდეა – ქალის კულტი, მსგავსია იმისა, რასაც ჩვენ ქრისტიანულ ევროპაში ვხედავთ“ო, – დაასკვნის პროფ. ნ. მარრი.

აი, ასე მსჯელობს პროფ. ნ. მარრი, მსჯელობს ზერელედ, მსჯელობს არა-მეცნიერულად. თითოულ აქ მოტანილი დებულება არის მხოლოდ შეცდომაზე დამყარებული და ნ. მარრის განმეორებლებმა ეს შეცდომა ჭეშმარიტებად მიიღეს და განუკითხავად განიმეორეს. ამის გამო, რასაკვირველია, ვეფხისტყაოსანის გარშემო დიდი ბურუსი დადგა...

გავერკვეთ ამ საკითხებში და შევეცადოთ გავფანტოთ ბურუსი...

შეცდომა პირველი. პროფ. ნ. მარრის მიერ მოტანილი ფრანს კიუმონის წინადადებიდან აშკარად სჩანს, რომ სულის მზეზე ასვლის საკითხი არის ასტროლოგიური. თურმე ამ საკითხთან დაკავშირებით კიუმონს ნეოპლატონიანი პროკლოსიც დაუსახელებია. და შემდეგ პროფ. ნ. მარრი გვაცნობებს: ნეოპლატონიანნი იყვნენ მეფე-მზის შესახებ უკანასკნელნი მოქადაგენიო, რაც თავის თავად ვეფხისტყაოსანისათვის სრულებით არაფერს არ ამბობს.

ჩვენ თითქმის დაწვრილებით მიმოვიხილეთ მზის თავგადასავალი და ვნახეთ, რომ მზის ისტორიაში სულისა და მზის ურთიერთობა უუძველესია, იმ ხანისა, როდესაც ნეოპლატონიზმის ხსენებაც კი არ იყო. ჩვენ გავიგეთ, რომ სულის ვარსკვლავებზე ასვლას და კერძოდ მზეზე სულის დასადგურება რწამდათ, ძველ ბაბილონში, ძველ სპარსეთში, ძველ ინდოეთში, ძველ ეგვიპტეში. ეს სწავლა განვითარებულია და ჩამოყალიბებული ასტროლოგიურ თეოლოგიაში, და ამ აღმოსავლური ასტროლოგიიდან შეითვისა იგი ბერძნულმა ფილოსოფიამ, კერძოდ: პითაგორასიანთა სკოლამ, სტოელთა სკოლამ, ნეოპითაგორასიანთა სკოლამ და დაბოლოს: ნეოპლატონიანთა სკოლამ.

ნესტანის შეხედულება საიქიო ცხოვრებაზე: მზეზე სულის აფრენა და მზის ელვათა კრთომის ხილვა, – რატომ უნდა იყოს მაინც და მაინც ნეოპლატონური შეხედულება? ან პლოტინოსისა? ან იამბლიხოსი?, ან პორფირიოსისა?, ან პროკლოსისა? ან იმპერატორ იულიანოსისა?, ან სხვა რომელიმესი? რატომ? როგორც ვიცით, ეს შეხედულება არის ასტროლოგიური და ხალხშიაც ფრიად გავრცელებული! არ არის სრულებით აუცილებელი (და სინამდვილეში არც არის), რომ ნესტანის შეხედულება იყოს ნეოპლატონური. ამავე მოსაზრებით იგი შეიძლება იყოს ნეოპითაგორასული: იგი შეიძლება იყოს მრავალრიცხოვან სტოელთა მოძღვრებიდან; იგი შეიძლება იყოს ჰერმეს ტრისმეგისტოს და აგრეთვე მრავალრიცხოვან გნოსტიკოსთა სწავლიდან, და სხვა. ალბათ პროფ. ნ. მარრმა წარმოიდგინა, რომ მზისა და სულის ურთიერთობის საკითხი მარტო ნეოპლატონიანთ ჰქონდათ აღიარებული და ამიტომაც მიაწერა მათ ნესტანის აზრიც. მაგრამ პროფ. ნ. მარრის აზრი კიდეც რომ გავიზიაროთ და მას ამაზე დავეთანხმოთ, რომ ნესტანი ნეოპლატონიანთა ენით ლაპარაკობს, მაინც ყოვლად შეუძლებელია და ყოვლად მიუღებელია იმის თქმა, რომ შოთა რუსთაველი „ნეოპლატონიკი“ არისო! კაცს სრულებით არავითარი წარმოდგენა არ უნდა ჰქონდეს ნეოპლატონიზმზე, რომ ასეთი დებულება წარმოადგინოს!

შეცდომა მეორე. პროფ. ნ. მარრს ნეოპლატონური ჰგონია აგრეთვე ტარიელის თქმაც: დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევრთვივარ სულთა სირასთან.

ეს დებულება გვამის შემადგენელ კავშირებად დაშლის შესახებ, რასაკვირველია, არ არის ნეოპლატონური; იგი ძველ და შუა საუკუნეთა ფილოსოფიაში გაბატონებული დებულება იყო. სულთა სირა არ არის

ნეოპლატონური. სირა ვეფხისტყაოსანში არის რიგი, წყობა, კატეგორია და იგი ნეოპლატონური არ არის, რადგან ამ სირას, ანუ სერიას ნეოპლატონიზმში, და კერძოდ, პროკლოსის ფილოსოფიაში სულ სხვა მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეს ვეფხისტყაოსანშია. ვეფხისტყაოსანის სულთა სირა, ანუ სერია არ არის ნეოპლატონური სულთა სერია. (ამის შესახებ იხილეთ დაწვრილებით ჩემს წიგნში: „ვტნის ღმრთისმეტყველება“).

შეცდომა მესამე. პროფ. ნ. მარრი ფიქრობს, თითქო შესაძლებელია, ვეფხისტყაოსანში ნათქვამი: ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცად რბიან, – ნეოპლატონური იყოსო, და დახეთ! ისიც ქართული წყაროდან (რატომ „ქართული წყაროდან“, როდესაც მის მიერ დასახელებული ნემესიოს ემესელის თხუზულება ბერძნულიდან იყო ნათარგმნი და თვით ნემესიოსი კი იყო ქრისტიანი ფილოსოფოსი?!). აქ აღნიშნული დებულება ძველთა ძველია და მას ნეოპლატონიმთან წარმოშობითი კავშირი არა აქვს. (იხილეთ თავი „სულნი ზეცად რბიან“, „ვტნის ღმრთისმეტყველება“).

შეცდომა მეოთხე. თურმე რუსთაველს თავისი ცოდნა მიუღია კიდევ იმ სპარსული დედანიდან, რომლის თარგმანი, თუ რომლის ნათარგმნის გალექსული ასლი ვეფხისტყაოსანი ყოფილა! ამაზე რა უნდა ითქვას, როცა თვით ნ. მარრი გვაცნობებს: დღემდე არ აღმოჩნდა ეს დედანი და არც მისი რაიმე კვალიო! და ისიც გავიხსენოთ, რომ სულ უკანასკნელად, აკადემიკოსმა ნ. მარრმა გამოგვიცხადა: ვეფხისტყაოსანი წმიდა ქართული ეროვნული ნაწარმოებიაო!...

შეცდომა მეხუთე. პროფ. ნ. მარრი ფიქრობს, ვტნის ძირითადი იდეა არის „ქალის კულტი“, რომელსაც ჩვენ ქრისტიანულ ევროპაში ვნახულობთო! თუ ვტნის ძირითადი იდეა არის „ქალის კულტი“, როგორ შეიძლება ეს პოემა იყოს საერთოდ მუსულმანური, ან კერძოდ: სპარსული?, ან არაბული?, ან ავღანური?, ან ინდური?, ან ბერბერული?, ან ჯანდაბური? „ქალის კულტი“ აღმოსავლეთის მსოფლმხედველობამ არ იცის, და არც არსებობს არც ერთი თხუზულება, რომელში „ქალის კულტი“, რომელიც მართლაც ვეფხისტყაოსანის ძირითადი იდეა არის, განვითარებული იყოს...

* * *

რათა პროფ. ნ. მარრის შეცდომა აშკარად და ყველასათვის დასანახად გავხადო, გადავწყვიტე ქართველ მკვლევართა და მკითხველთ მივაწოდო ის მოხსენება, რომელიც აკადემიკოს ფრანს კიუმონს ეკუთვნის და რომელზეც პრ. ნ. მარრი თავის წერილში ეყრდნობა. ფრანს კიუმონის ეს ნარკვევი მეტად ძნელი მოსაპოვებელია. იგი წარდგენილ იყო ვით მოხსენება საფრანგეთის აკადემიის წინაშე და დაბეჭდილია თვით ამ აკადემიის „მემუარებ“ში. ჩემმა უანგარო დამხმარე დოკტორ მარკოს ტუღუშმა მომაწოდა ფრანს კიუმონის მოხსენების ფოტოკოპია (რის გამო მას დიდ მადლობას მოვახსენებ), და ეს მოხსენება არც დიდი არის, ამიტომ შეძლებისამებრ გადავთარგმნე იგი; გამოვტოვე მხოლოდ მითითებანი სხვა და სხვა ლიტერატურულ მასალაზე, რაც ჩვენთვის საინტერესონი არ არიან.

თავის თავად ეს მოხსენება დიდად მნიშვნელოვანია და ჩვენთვისაც უეჭველად საგულისხმო.

აი, აკადემიკოს ფრანს კიუმონის მოხსენება...

დანართი მეორე

თეოლოგია მზისა (მზიური თეოლოგია) **რომაულ წარმართობაში**

მ. ფრანს კიუმონისა

(გვერდი 1 – 447) – მზის თაყვანება (ჰელიოლატრია) იყო უკანასკნელი სახე, რომელი რომაულმა წარმათობამ (პაგანიზმმა) მიიღო. იმპერატორმა აურელიანუსმა მას ოფიციალური კურთხევა მიანიჭა, როდესაც მან **სოლ ინვიკტუს**-ის (დაუმარცხებელი მზის) დიდებული ტაძარი ააგო, დაწესებულ მღვდელმთავართა მომსახურეობით, რომელნიც იყვნენ მაგალითნი ძველი „კოლლეგიუმ პონტიფიკუმ“ის წევრთა; და შემდეგ საუკუნეში, უკანასკნელმა წარმართმა, რომელს დაკავებული ჰქონდა კეისართა ტახტი, იულიანოს აპოსტატამ, დაგვიტოვა სიტყვა, რომლითაც იგი ამართლებს, ვითარცა გამჭრიახი თეოლოგოსი და მღვივე მორწმუნე, მიძღვნილ კულტს ვარსკვლავ-მეფისადმი, რომლის ძედ იგი თავის თავსა სთვლიდა. დაუმარცხებელი მზე, რომელიც აყვანილ იყო უმაღლეს ხარისხამდე ღვთიურ იერარქიაში, იყო განსაკუთრებული დამცველი იმპერატორთა და იმპერიისა, ცდილობს თავის თავში შეითვისოს, ან დაიქვემდებაროს ძველი ოლიმპოსის ყველა სხვა ღვთაება.

ეს ამბავი ხშირადაა მოთხრობილი და ზედმეტია მასზე გავჩერდეთ. ოღონდ, თუ უკვე დიდი ხანია დადგინდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომელს მზის თაყვანება ღებულობს იმპერიული ხანის რელიგიაში; თუ უკვე აღიარებულია აღმოსავლური წარმოშობა, და უფრო ზუსტად, სირიული წარმოშობა ღმერთი-მზისა, რომელიც სხვა და სხვა სახელით, მეფობს რომაულ პანთეონში; მაინც საკმაოდ ნათლად შემჩნეული არ არის, თუ რა მოსაზრებანი იყვნენ ისინი, რომელთა ძალით მას (მზეს) მიენიჭა ეს უზენაესობა და იდეა მისი ბატონობისა რომელ თეოლოგიურ საფუძველზე ემყარებოდა. (გვერდი 2 – 448) – თაყვანება ვარსკვლავისა, რომელზე თვით ჩვენი ქვეყანის არსებობაა დამოკიდებული, ითქმის რასაკვირველია, გაცხოველებულია მისი (მზის) ყოველდღიურ ქველ მოქმედებათა ხილვით და იმ მნიშვნელობის შეგნებით, რომელიც ამ უუზარმაზარ ძალას ფიზიკურ მოვლენებში აქვს. იგი (მზის თაყვანება) იყო ლოღიკური დასასრული წარმართობისა, რომელიც აღმერთებდა რა ბუნებას, აუცილებელად უნდა აღეარებინა უაღრესობითი ძალა იმისა, რომელიც არის უფალი ბუნებისა. რენანმა ერთჯერ ამაზე გამოთქვა მოსაზრება: „ჩვენი მნათობის სიცოცხლეს აქვს სინამდვილეში წყარო მზისა, ყველა ძალა არის სახეცვალება მზისა... სანამ რელიგია მიაღწევდა გამოეცხადებინა, რომ ღმერთი უნდა იყოს

აბსოლუტში და იდეალში, ესე იგი, მსოფლიოს გარეშეო, ერთად ერთი კულტი გონივრული და მეცნიერული იყო კულტი მზისა“ო. უეჭველია; ოღონდ ესაა საუბარი თანამედროვე კაცისა, რომელიც გალილეოსის, ლაპლასისა და ბერთელოს თეორიებს იხსენიებს. ძველნი დიდი ხნის განმავლობაში სხვა აზრისა იყვნენ. სწორედ მათ აღმოაჩინეს ნელ-ნელად შეუდარებელი მნიშვნელობა დღის ვარსკვლავისა მსოფლიურ სისტემაში, და მართალი ითქვას, მათ არც კი ჰქონდათ სრული წარმოდგენა მის შესახებ. პერიკლესის ათინაში, ანეკსაგორასი მოსჩანს გამბედავ ახალის მთქმელად, როდესაც იგი ამტკიცებდა, რომ მზე (ჰელიოს) ნამდვილადაც დიაღ უფრო დიდი არის პელოპონესზეო. მაგრამ ალექსანდრიული მეცნიერების განვითარების შემდეგ, არისტარხოს სამოსაელისა და სელევკოს სელევკიელის გენიოსურ მოსაზრებათა მიუხედავად, რომელნიც იყვენენ პირველნი დამცველნი ჰელიოცენტრული თეორიისა (რომ მზე არის მსოფლიოს ცენტრი), ასტრონომოსები მიწყივ ასწავლიდნენ, რომ ციური დიდი მანათობელი არის მნათობი, სხვა ექვსთან ერთად, მოტრიალე ჩვენი დედამიწის გარშემოო. ფიზიკურნი მოქმედებანი, რომელთ იგი (მზე) ანამდვილებს, ენიჭებოდნენ მას მხოლოდ ნაწილობრივ, და ისიც შედარებით მოგვიანო ხანაში. ციცერონის თანამედროვეს, მეცნიერ გემინოსს რწამდა (გვერდი 3 – 449) – კიდევ თავის მოვალეობად, უარეყო მაშინ გავრცელებული შეხედულება: თითქო ზაფხულის სიცხენი გამოწვეულნი არიან კანიკულას გამოჩენითო და განემარტებინა, რომ მათი მიზეზი ყოველწლიური მობრუნება (მზისა) არისო.

ამგვარად, თუ ავყვებით ისტორიულ დროთა წარმოშობას, ვნახავთ, რომ ბერძნები **ჰელიოსს** და რომაელები ძველ **სოლ ინდიგესს** მხოლოდ შეკვეცილ ძალაუფლებას და მდაბალ მდგომარეობას ანიჭებდნენ. მაგრამ აღმოსავლეთში (ორიენტში), სადაც ვარსკვლავთა თაყვანება (ასტროლატრია) განვითარდა, ბაბილონის მთავარი ღმერთი – რამეთუ იგი აღჭურვეს მამობრივი სქესით –, თავდაპირველად იყო მთვარე, სინ, და მან შეინარჩუნა თავისი პირველი ადგილი კარრჰაე (პარრან)-ში, ოსჰოენში, და მესოპოტამიის დიდ ნაწილში თვით რომაული იმპერიის ბატონობის დროსაც. ცხელ ქვეყნებში მზე არის უმთავრესად მტერი, რომლის წინააღმდეგ თავს იცავენ, და მესოპოტამიის დამწვარ ველთა მცხოვრებნი ამჯობინებდნენ ამ ვარსკვლავს (მზეს), რომლის ალნი ჰაერს აღვივებდნენ, მიწას აგვალვებდნენ და გვამთ ამოსწურავდნენ, ამჯობინებდნენ მას იმ ვარსკვლავს, (მთვარეს), რომლის ტკბილი ნათელი მათ უნათებდა და მათ საფრთხეში არ აგდებდა. ღამეთა სიგრილეში მთვარე აფრქვევდა ქველმოქმედ ცვართ და ნათელი მისი ხელმძღვანელობდა მაშინ, ისე ვით დღესაც, ქარავანებს უდაბნოთა გასწრივ. ყველგან მისი (მთვარის) ფაზანი, ცხადნი ყველა თვალისათვის, ემსახურებოდნენ დროთა საზომად მანამ კიდევ, სანამ გაიგებდნენ წელიწადის სიგრძეს; და კალენდარნი წმიდანი მისი (მთვარის) მსვლელობის მიხედვით რელიგიურ წესებს და სამოქალაქო ცხოვრებას აწესრიგებდენენ. როცა მისი (მთვარის) პირი ბნელდებოდა, ამ დაბნელებაში საშინელ წინასწარმეტყველებას ხედავდნენ და ძლიერ

ღვთაებას მრავალ საიდუმლო გავლენას მიაწერდნენ (გვერდი 4 – 450) –, რომელთა მოგონება დაშთა ასტროლოგიაში და მუდმივად ხალხურ ცრუმორწმუნოებაში განმტკიცდა. ქალდეაში, მზე-შამაშ არის მეორე ხარისხოვანი პიროვნება, რომელი მისდევს სინს (მთვარეს) ვითარცა მსახური.

ეს გახლდათ ასტრონომოსები, რომელთაც გადააყირავეს როლნი იმ პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობის დადგენით, რაც აქვს მზეს ციურ მექანიზმში. მისი (მზის) უპირატესობა იზრდებოდა იმდენად, რამდენად მას უკეთესად ეცნობოდნენ ისინი მას (მზეს) თანდათან აყენებდნენ უფრო შორეულ სივრცეში და მისი ვეებერთელა გვამის შესახებ უფრო და უფრო ზუსტ ცნობებს ღებულობდნენ. როდესაც მათ შეისწავლეს მისი (მზის) მიმოქცევანი, მათ გაიგეს, თუ რა დამოკიდებულებანი აკავშირებდნენ მათ ფიზიკურ მოვლენებთან და წლის დროთა (არეთა, სეზონთა) მიმდევნობასთან. უკანასკნელი ლახვარი ჩასცეს მთვარის ძველ დიდებას, როდესაც აღმოაჩინეს, რომ მთვარე ბრწყინავდა ნასესხები ნათელით, ანუ როგორც იტყოდნენ, ბუში ნათელით. მზის თაყვანება არის არსებითად მეცნიერული კულტი; იგი გაიზარდვა თვით მეცნიერებასთან ერთად და გაგრძელდა საბოლოოდ იმ ხანამდე, როცა ამან (მეცნიერებამ) თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია ძველ ქვეყანაში. ვერსად ვერ შეამჩნევთ უთრო ნათლად ვიდრე აქ იმ კავშირთ, რომელნი აღმოსავლეთის რელიგიებში ცოდნათა ძიებასა და სარწმუნოების განვითარებას აერთებენ. ეს უკანასკნელი ხანდახან დაგვიანებული ნაბიჯით, ცოდნის წინ მსვლელობას მისდევს. ეგვიპტელები (გვერდი 5 – 451) –. შეჩერდნენ შუა გზაზე და მიუხედავად ძალიან დიდ ცდათა, რათა გაუნაწილებელი უზენაესობა მზე-რა-სი დაემყარებინათ, დაბოლოს მაინც ვერ გადასწყვიტეს მთვარე მისი უფლობისაგან განეძარცვათ და როგორც ცაში ისე დედამიწაზე წმიდა მონარქიას ამჯობინეს გაერთიანებული ხელისუფლება დისა და ძმისა, ცოლისა და ქმარისა, იზისისა და ოზირისისა. ეს დუალიზმი სულს უდგამს კიდევ პტოლემეოსთა ხანის ალექსანდრიულ მისტერიებს და ეგვიპტურ ასტოროლოგოსთა სწავლაში მკვიდრდება. გარნა სემიტთა შორის, განათლებულმა სამღვდელოებამ, რომელიც მემკვიდრეობით ვარსკვლავიანი ცის სწავლაზე ბეჯითობდა, უფრო გაბედულად გამოიტანა რელიგიურნი დასკვნანი თავის მეცნიერულ აღმოჩენათაგან. ჩვენი სურვილი იქნებოდა აქ გვეჩვენებინა, თუ რომელ ასტროლოგიურ ცნებებზე ემყარებოდა უდავო უპირატესობა, რომელითაც სარგებლობდა ღმერთი-მზე წარმართობის დასარულს, და თუ რომელი გამოცდილებითი მონაცემებიდან დაასკვნეს მთელი თეოლოგია, რამაც თავისი ყოვლად ძლიერება დაამტკიცა.

„ქალდეანთა“ სწავლის მიხედვით, მზეს უკავია მეოთხე კიბე მნათობთა რიგში. სამი მის ზემოდ არის – მარსი, იუპიტერი, სატურნუსი, – სამი მის ქვემოდ არის – ვენუსი, მერკურიუსი და მთვარე. ყველაზე ზემოდ, მორგვალებულია თაღი უძრავ ვარსკვლავთა, რომელიც მსოფლიოს საზღვარს აღნიშნავს; უფრო ქვემოდ დაკიდულია ხმელეთი, უძრავი მის (ამ

მსოფლიოს) ცენტრში. სხვა სიტყვით, მზე (გვ. 6 – 452) – იმყოფება ციურ სფეროთა შუაში, უკავია მას შუა მხარე შვიდთა შორის, ან თუ გნებავთ, ქვეყნიერობის ცხრათა წრეთა შუა.

ეს სწავლა აღნიშნავდა წინსვლას წინასთან შედარებით. ჯერ კიდევ პლატონს სჯეროდა, რომ მზე იმყოფება მაშინათვე მთვარის შემდეგო და ქვემოდ სხვა ხუთი მნათობისაო, ანუ მზეს იგი ათავსებდა ძალიან ახლოს ჩვენთან. რიგი მზე, მარს, იუპიტერ, სატურნუს –, ჭეშმარიტებას უფრო უახლოვდებოდა: ეს რიგი მიაკუთვნებდა მზეს მხოლოდ იმ ადგილს, რაც ნამდვილად ხმელეთს ეკუთვნის; მათი დამოკიდებითი მანძილი ზუსტად იყო ცნობილი; საკმარისია შესცვალოთ იგი, რათა მიიღოთ ჰელიოცენტრული სისტემა.

ეს ასტრონომიულნი აღმოჩენანი ძველ რელიგიურ იდეებს შეეკავშირნენ: უკვე დიდი ხანია შამაშ (მზე) იყო აღმოსავლეთში, როგორც იგი გახდა მერმე სოლ ინვიკტუს (მზე დაუმარცხებელი) რომში, ხელმწიფეთა მფარველი ვარსკვლავი. ცაში სხვა მნათობნი თითქო აკეთებდნენ წრეს მის (მზის) გარშემო, ან უფრო სწორად, იყვნენ მისნი მხლებელნი და ასტროლოგოსებს მოსწონდათ ეჩვენებინათ „მეფე-მზე“ (ბასილეუს ჰელიოს), მსვლელი თავის თანმხლებელთა შორის, ისე ვითარცა ამქვეყნიურნი მეუფენი, რომელთა მფარველი იგი იყო, მიდიან გარშემორტყმულნი თავიანთი მცველებით. მათი წყალობით (გვ. 7 – 453) –. ეს წმიდა ფორმულა გამუდმივდა თვით წარმართობის (პაგანიზმის) დასასრულამდე უკანასკნელ ნეოპლატონიანთა შორის. [შენიშვნაში დასახელებულია, სხვათა შორის, პროკლოსი-ც. ვ. ნ.].

კიდევ მეტი, „ქალდეანებმა“ გამოიგონეს თავისებური გადაწყვეტა საკითხისა, რაც ძველ ასტრონომოსებს ძალიან აწბილებდა, და რაც მნათობთა არა-წესიერ მსვლელობას წარმოადგენდა. მათ შეამჩნიეს, რომ სრბოლა, სადგურნი, აშკარა უკუსვლანი მნათობთა დაკავშირებულნი იყვნენ მზის ქცევასთან, (გვ. 8 – 454) – სინამდვილეში მიწისა – და მათ დაასკვნეს, რომ ეს (მზე) მათ მოძრაობას ბრძანებლობდა; იგი (მზე) იყო ვითარცა ხორიფეოსი, რომელი ცთომილ ვარსკვლავთა რითმიულ განვითარებას ხელმძღვანელობდა.

გამოიგონეს ამ მოვლენათა მითოსური განმარტებანი: ამბობდენ, რომ მზეს, გამორტყორცნილს შემოქმედის მიერ მის ექვს მხლებელთა შუაში (გვ. 9 – 455) – ეჭირა წონასწორობაში მათი ჰარმონიულნი სარტყელნი; ან კიდევ: მნათობნი ვეღარ უძლებდნენ რა მის (მზის) შუქთა სიცხეს, გაექცნენ მის სიახლოეს და ზოდიაკოთა ნიშანს შეეხიზვნენ, რომელიც უკვე მათი სახლი (ოიკოს) გახდა; მხოლოდ სატურნუსი; რომელს მიეწია (მზის სიცხე), გადაიბუგა და მიიღო მან უკვე ბნელი ფერი. მაგრამ მეცნიერებმა ეს ზღაპარი შესცვალეს მკაცრი მათემატიკური სწავლით. მათდა თანახმად, მზე თავის მსვლელობაში ითრევდა არა მარტო მერკურიუსსა და ვენუსს, რომელნი, როგორც ეს დაადგინეს, მას მხოლოდ და მხოლოდ მცირე მანძილით შორდებოდნენ, არამედ იგი (მზე) აწესრიგებდა აგრეთვე ზემოდ მყოფ სამი მნათობის მოძრაობასაც, და იგი ზემოქმედებდა მათზე თავისი

სიცხის ძალით, დაახლოებით ისე როგორც მიწიურ ორთქლზე, რომელი მას ზემოდ ააქვს, ან ქვემოდ უშვებს. „იმ მდგომარეობის მიხედვით, რომელიც მას (მზეს) მათ (მნათობთა) მიმართ უჭირავს, იგი მათ სტყორცნის წინ, აჩერებს მათ, ან მიაქანებს უკან; და ეს მექანიკურად, თავისი ძლიერების მოქმდებით, ვით მთელი ასტროლოგიური გავლენით, თანახმად განსაზღვრულ კუთხეთა, ანუ „ასპეკტთა“ მიხედვით“. ძალიან დაშორებულ და ძალიან დიდ მნათობთათვის, როგორიც არიან სატურნუსი და იუპიტერი, მზის დაკვრა საჭირო ძლიერებას არ აღწევს, რათა შესცვალოს მოძრაობის მიმართულება ტრიგონის ასპექტში, როცა მზე არის მნათობის მიმართ 120 გრადუსით ახლოს მარჯვნივ თუ მარცხნივ. სამაგიეროდ ვარსკვლავი (გვ. 10 – 456) –, სუბუქი და ახლოს მყოფი ემორჩილება, – ყოველ შემთხვევაში პლინიუსი ასე ჰგონებდა – უფრო ზომიერ დაკვრას, რომელსაც იგი აკეთებს კვადრატის ასპექტში, ესე იგი, 90 გრადუსით კუთხის ქვეშ მარჯვნივ თუ მარცხნივ. ბეროსოსმა განსაკუთრებულად გამოიყენა იგივე ძირითადი თეორია ფაზათა განსამარტებელად: ნახევარი მისი (მთვარისა) არის ბრწყინვალე, მეორე ნახევარი კი – ბნელი: როცა იგი იმყოფება მზესთან ახლოს, იგი „შეპყრობილია მისი შუქით და მისი სიცხის ძალით“ და იგი მას აიძულებს მიაბრუნოს თავისი ბრწყინვალე პირი მისი ნათელისაკენ. წინააღმდეგ, როცა იგი (მთვარე) მას (მზეს) შორდება რა, ეს იგივე ძალა სუსტდება და ბნელი, მთელი, ან ნაწილი, მისი ნახევარისა მაშინ მიმართულია ვარსკვლავისაკენ, რომელზეც იგი (მთვარე) დამოკიდებულია.

ქალდეანებმა გაავრცელეს ეს განმარტება კომეტებზედაც, რომელში ზოგი მათგანი ხედავდა საბუთიანად ერთგვარ მნათობებს, რომელთაც ხანდახან მზის სიმხურვალე ითრევდა თავის სწრაფ სრბოლაში; და რომ მოელვარე ვარსკვლავს შეეძლო შთაენთქა ისინი თავის ბრწყინვალებაში; და რომ იგი შემდომად მათ უშვებდა მოშორებოდენ ცის სიღრმეში, სადაც ისინი იკარგებოდნენ როგორც თევზნი ზღვის უფსკრულში შთავარდნილნი. იქამდისაც მივიდნენ, რომ გამოაცხადეს (გვ. 11 – 453) – დამოკიდებულად უძრავ ვარსკვლავთა ქცევანი: იგი (მზე) ასულდგმულებს თავისი ღვთიური სიცოცხლით, მათ შორის გავლით, ამ მერვე სფეროსაც, ისე ვით შვიდ სხვა მნათობსაც.

ეს არსებითი აზრი, რომელიც მთელ ამ მოძღვრებას ასულდგმულებს ის არის, რომ მზე, თავისი მძაფრი სიცხით, უკუგდებისა და მიმზიდველობის ძალას ცვალებადად ფლობს: ხან იშორებს თავისაგან ციურ გვამთ, ხან მოიყვანს მათ თავისთან; იგია კერა ერთადერთი ენერგიისა, რომელიც ყველას მათ ამოძრავებს. ეს მექანიკური სწავლა, რომელშიც არის მსოფლიური მიზიდულობისა და ჰელიოცენტრული სისტემის წინათგრძნობა, უნდა გამხდარიყო მთელი მეცნიერული თეოლოგიის ასაგებად.

მართლაც, ქალდეან ასტროლოგოსებისათვის, უძრავნი ვარსკვლავნი და განსაკუთრებით მნათობნი, არიან მსოფლიოს ყველა მოვლენის ავტორნი და არაფერი აქ ქვემოდ არ ხდება გარდა მათ ნაერთ მოქმედებათა გარეშე. იგი, რომელიც (გვ. 12 – 458) – მათ ქცევას და მათ ასპექტთა რთულ თამაშს

აწესრიგებს, უეჭველად იქნება გარდამწყვეტი ბედისა, უფალი მთელი ბუნებისა. განჩინებული დიდი მსოფლიური გვამის ცენტრში, იგი (მზე) ასულდგმულებს ყოვლადობას, ისე როგორც გული ანარჩუნებს ჩვენში სიცოცხლეს, და მოსწონდათ, როგორც მეცნიერულ ნარკვევებში ისე მისტიურ გალობებში, აღენიშნათ იგი (მზე) ვითარცა „გული მსოფლიოსი“.

ერთი თქმა სტოელ ფილოსოფოსისა, რომლის შესახებ ამბობენ, იგი არისო პოსეიდონიოსი, განგვიმარტავს, თუ როგორ არიგებდნენ ამ იდეას მეორესთან, რომლის მიხედვით დედამიწას ეჭირა მოძრავ სფეროთა ცენტრი, რომლისათვის იგი იყო ვითარცა ღერძი; „მსოფლიოს, რომელიც ასულდგმულებულია, - ამბობს იგი, - აქვს მზეში თავისი სიცოცხლის სადგომი; თითქო ეს ვარსკვლავი მარად ცხელი, იყოს მსოფლიოს გული თავისი მოძრაობისა, თავისი სიდისა და თავის მხლებელთა (სატელიტთა) თანხლების გამოო. რამეთუ ყველა არსებაში, რომელიც ასულდგმულებულია მოქმედების ცენტრისაგან, ანუ სხვანაირად, ცხოველისაგან ვითარცა ცხოველისაგან, განსხვავდება მისი ტევადობის (ვოლუმის) ცენტრისაგან. ამგვარადვე ჩვენ, ვით ცოცხალ კაცთ გვაქვს სიცოცხლის ცენტრი გულში, რომელიც არის მუდმივ მოძრაობაში, მუდმივად ცხელი, და ამის გამო, არის პრინციპი სულის ყველა ძალისა, ძალა სასიცოცხლო, ძალა მძრადი, უნარი (გვ. 13 – 459) – სურვილთა, წარმოდგენისა და გაგებისა. ცენტრი ჩვენი ტევადობისა არის განსხვავებული და იმყოფება იგი ჭიპისაკენ. იგივე არის მთელი მსოფლიოს შესახებაც, თუ კი შეიძლება წარმოიდგინოთ მცირე, შემთხვევით და მოკვდავ არსებათა მიხედვით მოვლენანი ფრიად დიდნი, ფრიად დიდებულნი, და ფრიად ღვთიურნი: თავისი ტევადობის ცენტრად მას აქვს დედამიწა, ცივი და უძრავი, ოღონდ ვითარცა სულდგმულ ქვეყანას, მას აქვს თავისი სასიცოცხლო ცენტრი მზეში, რომელიცაა მსოფლიოს გული. და ესაა, – ამბობენ –, რომ მისმა სულმა მიიღო წარმოშობა. რათა მთლიანად შევიდეს თავისი გავრცელებით მის უშორეულეს ნაწილებშიცო“.

ამგვარად, დღის ბრწყინვალე ვარსკვლავი, დაყენებული ციურ სფეროთა შუაში, ასულდგმულებს თავისი სითბოს ძალით უუზარმაზარ მაკროკოსმოსს (დიდ მსოფლიოს), სადაც შუქდებიან მისნი ცეცხლნი. მას ქებას ეტყვიან არა მარტო ლექსით და თხრობით როგორც ისეთს, რომელს მოაქვს თავისი ნათელით აქ, ქვემოდ სითბო, ნაყოფიერება და ლხინი, არამედ კიდევ ფართოვდება ძველი გაგება და ზუსტდება იგი მეცნიერებასთან შეხებით: მზე გარდაიქცევა მსოფლიური ჰარმონიის მომწყობელად, უფალად ოთხთა ელემენტთა და ოთხთა დროთა, ციურ ძლიერებად, რომელიც თავისი წლიური მარადი ცვალებადობით წარმოჰქმნის, ასაზრდოებს და სპობს ცხოველთ და მცენარეთ, და დღისა და ღამის ცვლით აცხელებს და აცივებს, ახმობს ან ანედლებს მიწასა და ატმოსფეროს. მაგრამ (გვ. 14 – 460) – ის იქმნება განსაკუთრებით ვარსკვლავურ რელიგიაში იგი, რომელიც ვარსკვლავთა მოძრაობას უზენაესი მომწყობელი, მათ მოქმედებებს ყოველ წამს მოწესრიგების შეუწყვეტელად, იწვევს; იგი, რომელს ეკუთვნის მათი (ვარსკვლავთა) ყველა

ღირსება და იქნება კიდეც, – ზოგს სჯეროდა, – მათი ნათელი. პლინიუსი უკვე სცნობდა, მასში (მზეში) უზენაეს ღვთიურობას, რომელიც ბუნებას განაგებდა. (გვ. 15 – 461) –. მაგრამ ეს ასე კარგად მოწყობილი მსოფლიო არ შეიძლება განგებულ ყოფილიყო ბრმა ძალის მიერ. მისნი მგზნებარე ეტლნი, რომელნიც სრბიან სივრცეში ისე, რომ ერთმანეთს არასოდეს არ ეჯახებიან, არც თავიანთი გზისაგან გადაუხვევენ, უნდა ნახელმძღვანელნი ყოფილიყვნენ წინარ მხედველი მეეტლეს მიერ. ძველთა ერთ ერთი საყვარელი საბუთი იყო. რათა ეჩვენებინათ ღვთიური განგების არსებობა, სწორედ განსაცვიფრებელი წესრიგი, შეუცვლელი თანხმობა ვარსკვლავთა ქცევის დროთა. მზე, რომელიც მათ სტყორცნის სივრცეში და მოჰყავს ისინი უკანვე თავისთან შეუცდომელი სიზუსტით, უნდა ყოფილიყო ცეცხლი გონებრივი ან – ასტროლოგოსთა ჩვეულებადი განმარტების თანახმად – „ნათელი გონებრივი“ (ფოს ნოერონ).

მას შემდეგ, რაც ეს კერა გონებრივი არის მძრადი ყოვლად ძლიერი, რომელიც ვარსკვლავთა გზას გადასწყვეტს, ბუნების ყველა მოვლენას წარმოჰქმნის, – იქმნება იგი წარმართ თეოლოგოსთათვის ვითარცა გონება მმართველი მსოფლიოსი, მენს მუნდი ეტ ტემპერაციო.

(გვერდი 16 – 462) –. აქედან გამოიტანეს ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნანი, რამეთუ მზე, გონება მსოფლიოსი, ხდება უფალი და შემოქმედი კერძო გონებისა, რომელიც ადამიანურ მიკროკოსმოსს (პატარა მსოფლიოს) ხელმძღვანელობს. უკვე დიდი ხანია მას (მზეს) თაყვანსა სცემდნენ როგორც ისეთს, რომელიც ავრცელებს რა ნათელსა და სითბოს, აცოცხლებს ბუნუბას, – და განაგრძეს ეს თაყვანება მისი როგორც თაობათა (წარმოშობათა) უზენაესი ავტორისა, რომელიც თავისი მარად განმანახლებელი მოქმედებით, მუდმივად მატერიას ანაყოფიერებს. (გვ. 17 – 463). – მაგრამ მას შემდეგ რაც იგი (მზე) გაგებულ იქმნა ვით პრინციპი გონებრი, ამ პირველყოფილმა იდეამ ზუსტი სახე მიიღო: მას (მზეს) მიაწერენ სულთა სახვას (სულთა შექმნას), მაშინ როდესაც გვამი ვითარდება, – სჯეროდათ – მთვარის გავლენითო. ასტროლოგოსებისათვის ადამიანის სული არის არსი აღჭურვილი იმავე ბუნებით, როგორც ცეცხლნი ციურნი. შუქთა მფენი მზე აგზავნის მუდმივად თავისი მღვივე დისკოსის ნაწილაკებს გვამებში, რომელთა სიცოცხლისაკენ იწვევს. როდესაც განასხვავეს სულში სხვა და სხვა უნარი, ანუ ნაწილნი, მას მიაწერეს უუმაღლესი წარმოშობა, იმისა, რომელიც მართავს ჩვენს არსებას ისე, როგორც ვარსკვლავი-მეფე (მზე) განაგებს მთელ მსოფლიოს. სასიცოცხლო პრინციპი, რომელიც ასაზრდოებს და (გვ. 18 – 464) – ზრდის ჩვენს ორგანიზმს, არის მთვარული; მზისაგან გვაქვს ჩვენ: გონება. ეს მისგანაა, რომლისაგან დამოკიდებულია ყველა სულიერი (სპირიტული) ღირსება; ეს მისი წყალობითაა, რომ ჩვენში იღვიძებს გრძნობა და სიბრძნე.

წინაუკმოდ, როდესაც სიკვდილი დაშლის ელემენტთ, რომელნიც ადამიანურ შემადგენლობას ჰქმნიან, სული სტოვებს ხორციელ საკველს, სადაც იგი იყო ჩაკეტილი, და მზე ისევ მიიზიდავს მას თავისთან. იმდაგვარათვე, როგორც მის მღვივე სიცხეს დედამიწიდან ააქვს ყველა

მატერიული არსი, მის მიჰყავს თავისაკენ უხილავი არსი, რომელიც გვამს ასულდგმულებს. გონება კაცისა, განწმენდილი მთვარისაგან, ამაღლდება თავის წარმომშობ წყაროსაკენ და იქ იკარგება ღვთიურ კერაში, რომელიც ყველა გონებას წარმოშობს. ბრწყინვალე ღმერთის შუქნი არიან წამყვანნი სულთა მათი აღსვლისას უმაღლეს მხარეებში. იგი არის „ანაგოგეს“, რომელსაც გამოჰყავს სული მისი გამაჭუჭყიანებელ ხორცთაგან. ძველნი აღმოსავლურნი რწმენანი, რომელთა თანახმად (გვ. 19 – 465) – ციურნი მნათობნი იყვნენ გარდაცვალებულთა სამყოფელნი, ასტროლოგოსებმა გადაასხვაფერეს და წესრიგში მოიყვანეს. ასე, ძველმა ქალდეანებმა გახვრიტეს მათ მტკიცე სამყაროში ორი კარი. რათა შამაშის (მზის) ეტლს შეძლებოდა იქ შესვლა და იქედან გამოსვლა; ეს კარნი ახლა გარდაიქცნენ სულთა გასავლელ ადგილად; ერთი კარი იყო (ზოდიაკო) კირჩხიბისა, რომელიც სულთა გამოსვლას ემსახურებოდა; მეორე იყო (ზოდიაკო) თხისრქა, სულთა ასასვლელად, ხოლო მზე ყოველთვის რჩებოდა გუშაგად.

ასეთი არის საერთო მოხაზულობით თეოლოგიური სისტემა, რომელიც გახდა რომაული მზისთაყვანების (ჰელიოლატრიის) საფუძველად და გამართლებად. ასტრონომიულ მოფიქრებათაგან ქალდეანებმა დაასკვნეს მთელი რელიგიური დოგმატიკა. მზე, მყოფი ზემომდგომ მნათობთა შუა, აწესრიგებს მათ ჰარმონიულ მოძრაობას; მისი სიცხე მიერეკება მათ წინ; მერმე მოჰყავს ისინი უკან, (გვ. 20 - 466) –. იგი მუდმივ, მათ სხვა და სხვა ასპექტთა მიხედვით, უცვლის მათ მსვლელობათა გზას და მათ ზემოქმედებას დედამიწაზე. მსოფლიოს მხურვალე გული, იგი (მზე) აცოცხლებს მთელ ამ დიდ ორგანიზმს, ბრძანებლობს ვარსკვლავთ, განაგებს მსოფლიოს; მისი ბრწყინვალების შუქთა ფრქვევა ანათებს ღვთიურ განუსაზღვრელ სიდიდეს ცათა, ოღონდ ამავე დროს, გონებრივი სიცხადე, იგი არის წარმომშობი ყველა გონებისა და შეუწყვეტელად, ვით დაუღალავი მთესველი, სულთა სიმრავლეს ქვემოდ აგზავნის. ჩვენი გარდამავალი სიცოცხლე არის ერთი კერძო სახე მსოფლიური სიცოცხლისა. ფიზიკური სწავლანი, მიყენებულნი მნათობთა მიმოსვლის მოძრაობაზე, გავრცელებულ იქმნენ ვარსკვლავ-მეფის დამოკიდებულებებზე ფიზიკურ არსებებთან, რომელნიც მას ემორჩილებიან. გამოფრქვევათა და შთანთქმათა შედეგად იგი (მზე) ცვალებადად აგზავნის ქვემოდ თავის ცეცხლად გამონაკრთომთ გვამებში, რომელთაც ასულდგმულებს, და სიკვდილის შემდეგ, იგი მათ (სულებს) აგროვებს, რათა აღიყვანოს ისინი თავის წიაღში. ეს მიმოქცევა გადასახლება-დასახლებისა, რაც ხდება ცისა და ხმელეთს შორის, არის შედეგი იმავე მიმზიდველობისა და უკუქცევის ძალისა, რომელიც მნათობთა ქცევას გარდაწყვეტს; რომელსაც ატმოსფეროში ააქვს მაღლა ორთქლნი და უშვებს წვიმად, რაც ზრდის მცენარეულობას და ხმარობს მას. ამგვარად, თავის სწრაფ სრბოლაში, იგი (მზე) რიგრიგობით იახლოებს და უკუაგდებს სხვა ციურ გვამთ, აერთიანებს და დაქსაქსავს ელემენტებს, მოაქვს ცვლილება დროთა და დღეთა, იწვევს ერთბაშად დაბადებასა და სიკვდილს; ეს კერა მცხინვარე (მზე), მარადი წყარო ყველა ენერგიისა, გამაერთიანებელი თავის თავში მოწინააღმდეგე

ძალთა, რომელნიც წონასწორობაში არიან მსოფლიური რიტმის კანონთა შედეგად, მატერიულ და ზნეობრივ მოვლენათა დაუსრულებელ რიგთ წარმოჰქმნის. გასაგებია, რომ ამ დაწყობილმა და დიდებულმა თეოლოგიამ, დამყარებულმა ძველი ასტროლოგიის აღმოჩენებზე, თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალზე, ნელ ნელა თავს მოახვია და დააკისრა წარმართობას კულტი „დაუმარცხებელი მზისა“, მთელი ბუნების უფალისა, კაცის შემქმნელისა და დამხსნელისა (მაცხოვარისა).

(გვერდი 21 – 461) –. ამ ასტრონომიულ პანთეიზმს, რომელიც მსოფლიოს აღმერთებდა, ადვილად შეეძლოს სტოელთა ჰილოზოიზმს შეთანხმებოდა. მაგრამ იმ ხანიდან, როდესაც იგი გავრცელდა, მას უნდა ებრძოლა მათ წინააღმდეგ, რომელნიც ღმერთს ათავსებდნენ მსოფლიოს საზღვართა გარეშე, და გარდაექმნა იგი, რათა იგი აღარ ყოფილიყო თვით საგანში მყოფ არსებად, არამედ გარდაქცეულიყო უზეშთაესად, ზეგრძნობად არსებად, რომელიც განსხვავებული იქმნებოდა ყველა მატერიისაგან. აღმოსავლეთის კულტი უკვე ადრიდანვე იძულებული იყო ამ იდეალიზმის წინაშე დათმობა მოეხდინა, და მეორე საუკუნედან ვხედავთ, რომ იმარჯვებს თვით სირიელ მღვდელთა შორისაც ის სწავლა, რომ იუპიტერი „დიდად მაღალი“, სუფევს ეთერში, რომელიც განივრცობა ცის უუმაღლესი თაღის ზემოდ. მას შემდეგ მზე ხდება უზენაესი ღვთიურობის ქვეშევრდომ ძალად, გამონაშუქად, ამ გრძნობად გამოხატულებად. მაგრამ რათა ტრადიცია არ დაერღვიათ, ჩვენ გამანათებელ მნათობისაგან გამოჰყვეს მსოფლიური „გონება“, რომელს უწინ იქ ჰქონდა კერა და წარმოიდგინეს მეორე მზის არსებობა, რომელიც იყო წმიდა სულიერი (გონებრივი), რომელიც ბრწყინავდა და მეუფებდა გონების მსოფლიოში (ნოეროს კოსმოს) და გადაიტანეს მასში ყველა ღირსება, რაც უკვე მატერიასთან შეუთავსებელი იყო. ჩვენ შეგვიძლია მივსდიოთ ამ სწავლის განვითარებას ნეოპლატონიანთა შორის და ვიხილოთ ცნებანი იულიოს აპოსტატის მოსაზრებებში (გვ. 22 – 468) –. „გონებრივი“ (ნოეროს) მზე გახდა შუადგომი „გასაგები“ (ნოეტოს) ღმერთისა და ხილულ მსოფლიოს შორის, მაგრამ დღის ვარსკვლავი (მზე) დარჩა ციურ სფეროთა მოტორად, ელემენტთა ბატონად, ადამიანურ სულთა შემქნელად, რომელნიც მან, ამ დედამიწის სიღრმიდან უნდა აიყვანოს და წაიყვანოს უზენაეს მხარეებში. შეიძლება დაწვრილებით ნახოთ სიტყვაში „მზე-მეფის“ შესახებ, რომელშიც იულიანუს გვაცნობებს, იამბლიხოსის მიხედვით, ეს პლატონური თეოლოგია, ყველა დაკავშირება, რომელიც მას გადააბამს ამ ძველ ასტროლოგოსებს, და შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად შესწორებათა, რომელიც ამ თეოლოგიას უნდა მოეხდინა, მაინც სწავლა დამკვიდრებული არა ერთი საუკუნის უწინარეს ქალდეანთა მიერ, დარჩა მეცნიერულ საფუძველად მზის კულტისათვის წარმართობის დასასრულამდე.

ჩვენ ვამბობთ, რომ ამ თეოლოგიის, რომელიც იმპერიის დროს ასე ხანგრძლივი მოწონებით სარგებლობდა, ავტორები არიან ქალდეანნი. მართლაც, ძველი მწერლები თანახმანი არიან მათ მიაწერონ ამ თეოლოგიის მამობა, და თუ განიხილავთ ასტროლოგიური ტრადიციის მთლიანობას,

აღიარებთ, რომ ეს სისტემა, რომელიც მზეს ცის ბატონობას ანიჭებს, ეწინააღმდეგება მეორეს, უეჭველად ეგვიპტური წარმოშობის სწავლას, რომელიც ამ უზენაესობას ანაწილებს მზესა და მთვარის შორის. ეს უკანასკნელი აქ არ იყო სავსებით განძარცული (გვ. 23 – 469) – თავისი ძველი უპირატესი პირველობისაგან. წინააღმდეგ, მოქიშპე თეორია ეთანხმება, როგორც ვთქვი, მეცნიერულ ცოდნათა წინსვლას; იგი არის შრომა იმ სემიტურ მღვდელთა, რომელნიც ყოველთვის მონდომებულნი იყვნენ თავისი ვარსკვლავური რელიგია თავიანთ ასტრონომიულ აღმოჩენებთან შეეთანხმებინათ.

სიტყვებს: „ხალდაიოს“, „ხალდაეუს“ ძველნი მიმდევრობით ძალიან სხვა და სხვა მნიშვნელობას აძლევდნენ. პირველად ყოვლისა მით აღინიშნებოდნენ ხალდეის (ქალდეას, კარდუს) მცხოვრებნი; შემდეგ განსაკუთრებით – ბაბილონურ მღვდელობის წევრნი; მერმე მით იწოდებოდნენ, ვით საპატივო სახელით, ბერძნები, რომელნიც მათ (ქალდეანთა) მოწაფედ თავსა სთვლიდნენ (გვ. 24 – 470) –. და დაბოლოს, ეს სახელი ემსახურებოდა ყველა მოლაქლაქეს, რომელიც (ყველას) ვარსკვლავთა მიხედვით მომავლის მკითხაობას ჰპირდებოდა. ამიტომაც საგულისხმოა გაირკვეს მათი მნიშვნელობა ჩვენ ტექსტებში და ამისათვის გადასწყდეს ის ხანა, თუ როდის შეიქმნა ის სისტემა, რომელიც მათ მიეკუთვნება.

ზოგი რამ, რაც მის (ამ სისტემის) შემადგენლობაში შედის, უეჭველად, ძალიან ძველია. მთავარი იდეა, რომელზე იგი დამყარებულია, ის არის, რომ მზიური სიცხე რიგრიგობით მიზიდავს და უკუაგდებს ციურ გვამთ, და ეს შეხედულება სჩანს უკვე, – სინამდვილე აღსანიშნავი –, აქვს ბეროსოს, ბელ-ის მღვდელს, რომელმაც მესამე საუკუნის დასაწყისში ბერძენთ გადაუთარგმნა „ქალდეანთა ფილოსოფემანი“. ამგვარათვე, ის შეხედულება, რომელიც ვარსკვლავურ ესხატოლოგიას შეიცავს, რომ ადამიანური სული არის ცეცხლადი არსება, იგივე ვარსკვლავური ცეცხლისა, რომლისაკენ იგი სული სიკვდილის შემდეგ მიემართება, ალბათ არსებობდა უკვე ბაბილონში ალექსანდრეს დაპყრობამდე. მაგრამ თუ ამ სწავლის მთლიანობას განვიხილავთ, რომელიც ახლახან აღვნიშნეთ, სტოელთა სწავლის გავლენა, რომელიც ასე ძლიერი იყო მთელს ასტროლოგიაში, აქ ცხადდება აშკარად და მას არ შეეძლო სავსებით განვითარებულიყო ჰელლენისტურ ხანამდე. იგი შეიქმნა არსებითად (გვ. 25 – 471) – ძველ აღმოსავლურ რწმენათა და პორტიკის ფილოსოფიის შეზავებისაგან.

უკანასკნელ ვადას გვაძლევს თვით მნათობთა რიგი, რომლის მიხედვით მზე ამ მნათობთა შუა არის მოთავსებული. ეს წესი, რომელიც აშკარა ქალდეურადაა გამოცხადებული, არის შედარებით ახალი დროის წარმოშობისა. ევდოკსოს და პლატონი, გავიხსენოთ (გვ. 452) მზეს ჯერ კიდევ ათავსებდნენ დიდად ახლოს დედამიწასთან, დაუყონებლივ მთვარის შემდეგ, და მაშასადამე, მერკურიუსისა და ვენუსის ქვემოდ. სურდათ პატივი ეცათ მეორე სწავლისათვისაც პითაგორასიანთა, რომლის თანახმად, მათ უნდა შეექმნათ მოსაზრებათა ფუძე სფეროთა მწყობრის (ჰარმონიის) შესახებ. მაგრამ ტანნერიმ გვაჩვენა, რომ ეს შენაზავები არის

საკმაოდ ახალი ხანისა, და ალბათ მისი ავტორი უნდ ყოფილიყო ასტრონომოსი ჰიპსკლეს (170 წ. ქრ. წ.). ნამდვილად, ეს მნათობური სისტემა არსად არა სჩანს მეორე საუკუნეზე ადრე. ალბათ ეს იყო ჰიპარხოსი, რომელმაც მას გაამარჯვებინა თავისი დასტურით, და ყველაზე უფრო ძველი ფილოსოფოსი, რომელმაც იგი აღიარა, სჩანს, იყო სტოელი დიოგენეს ბაბილონელი, რომელიც გარდაიცვალა (გვ. 26 – 472) – 150 წელს, და რომელიც, ცხადია, „ქალდეანთა“ სკოლის შეხედულებათა მიმდევარი იყო. ამ საკითხში იმ იდეათა აღიარებით, რომელიც გავრცელებული იყო მისი სამშობლოს ობსერვატორიებში, მან გასწყვიტა კავშირი სტოელთა ჩვეულებასთან, რომელიც მანამდე, მის დრომდე პლატონისა და არისტოტელესის სწავლათა ერთგული იყო.

ნაკლებ შესაძლებელია, რომ თვით მესოპოტამიაში, უკვე დიდი ხნით ადრე მეორე საუკუნისა, მზეს მიეკუთვნებოდა მეოთხე ადგილი შვიდთა მნათობთა რიგში, რადგან ამ შემთხვევაში, ბერძნებს, რომელთაც სელევკიდთა იმპერიის ხანაში მჭიდრო კავშირი დაიჭირეს ადგილობრივ მკვიდრ მეცნიერებთან, არ შეეძლოთ ჰელენისტური დროის დასასრულამდე არ სცოდნოდათ ეს კოსმოგრაფია, უფრო განვითარებული და წინ წასული, ვიდრე მათი. სხვათა შორის, დღემდე არაა აღმოჩენილი არავითარი კვალი ამის შესახებ კუნეიფორმის ტექსტებში. როცა დასავლეთის ავტორები ლაპარაკობენ „ხალდეის“ შესახებ, უნდა ვიგულისხმოთ აქაც, როგორც ხშირად სხვა შემთხვევაშიც, ჰელლენისტური ხანის ბაბილონელი ასტროლოგოსები.

(გვ. 27 – 473) – რომელმა ძლიერმა სპეკულატურმა სულმა ააგო პირველად დიდებული შენობა ამ მზიური თეოლოგიისა? ყოველთვის საეგებიო იქნება დავთქვათ სახელი მისი ამ დიდ გაურკვევლობაში, სადაც ჩვენ ვიმყოფებით; ძველეთის თხუზულებანი დაკარგულნი არიან. მაგრამ იგი, რომელმაც პირველად ყოვლისა აშკარად სახე მისცა, ან გაავრცელა მაინც ძლიერად სისტემის მთლიანობა, სჩანს, იყო ყველაზე უფრო გავლენიანი სტოელი პირველი საუკუნისა, სირიელი პოსეიდონიოს აპამეაელი. შემდგომ მწერლობაში, მთელ რიგ გაბნეულ ცნობებს ამ საერთო წყაროსთან მივყევართ.

გაგახსენებთ, რომ ცნება მზისა ვითარცა მნათობთა ბატონისა, მსოფლიოს გულისა და გონებისა, უკვე ცხადდება ორ ნაწერში, რომელიც მჭიდროდ დანათესავებულია „სციპიონის სიზმართან“ და „ბუნების ისტორიასთან“. ყველა ამაზე თანახმაა, რომ ციცერონის თხუზულება პოსეიდონიოსის თეოლოგიას გადმოგვცემს, და ამისაგან არის აგრეთვე წარმომდგარი ნაწერი პლინიუსისა ვარრონის მეოხებით. თვით ვარრონთან ადის, დასაჯერია, კიდევ მთავარი ნაწერი „ქალდეურ“ მოსაზრებათა შესახებ, რომლითაც ცენსორინმა თავისი პატარა წიგნი შეამკო.

დაბოლოს, ესხატოლოგიურ იდეათა წარმოშობა, განვითარებული პლუტარხუსის მიერ თავის „დე ფაციე ი ორბე ლუნაე“ში (მ. ჰაინცმა ჩვენ ეს გვაჩვენა), უნდა მოიძებნოს აგრეთვე პოსეიდონიოსთან. იქ არის (გვ. 28 –

474) – ღირსმნიშვნელოვანი შეთანხმება ნაყოფთა, რომელნიც მიღებული იქმნენ ფილოსოფიურ ძიებათაგან, რითაც ყოველი ერთსა და იმავე წერტილში შედის.

პოსეიდონიოსმა გაარკვია ღვთიურობა, ვითარცა „ცეცხლადი თხევადი და გონივრული“, რომელიც, გავრცელებული ცაში, ჰაერში, წყალში და მიწაში, ყველაფერს აცოცხლებს. ჩვენს თეოლოგიაშიც აგრეთვე მზე არის „არსი ცეცხლადი, ნათელი გონიერი“, რომელიც აავსებს ყველაფერს თავისი ნათელით; სული მსოფლიოსი, რომელიც შედის მასში მთლიანად უკანასკნელ ნაწევრებამდე; გონება, რომელიც ვრცელდება ციურ სივრცეთა გასწრივ და ეთერიდან ჩამოდის აქ, ქვემოდ. მსგავსება ანუ უფრო, იგივეობა ამ ორი შეხედულებისა, ცხადია. მაგრამ მაინც არსებობს მნიშვნელოვანი სიძნელე. ჩვენ ვიცით, რომ პოსეიდონიოსმა მოათავსა „ეგემონიკონ“, მსოფლიური გონება ცაში, ესე იგი, უძრავ ვარსკვლავთა სფეროში, რომელიც ყველა დანარჩენს შეიცავს. განიხილავდა იგი მზეს როგორც უზენაეს ღმართს? შეიძლება მისმა პათეიზმმა მიაღწია შეერიგებინა ორი სწავლა, გარეგნულად მოწინააღმდეგე, ისე როგორც გააკეთეს ერთჯერ მზისა და დედამიწის შესახებ, რომელნიც გარდააქციეს მსოფლიოს ცენტრად ორი სხვა და სხვა მნიშვნელობით (გვ. 458.). წინააღმდეგობა მართლაც არსებობს „სციპიონის სიზმარში“, რაც უფრო მგრძნობიარეა თვით ამ მოხსენების სიმცირის გამო, და როგორც სჩანს, ამას ციცერონი არ შეუწუხებია. თეოლოგიურმა გამჭრიახობამ (გვ. 29 – 475) – ალბათ მიაღწია იმას, რომ ეს ორი დებულება, რაც ჩვენ ერთი მეორის საწინააღმდეგოდ გვეჩვენება, ერთი მეორესთან შეათანხმეს.

მაშასადამე, მეცნიერული ჰელიოლატრიის დამაარსებელი უნდა ყოფილიყო პოსეიდონიოსი, ან ვინმე თეორეტიკოსი წარმართობისა, რომელმაც მისი იდეების პირდაპირი გავლენა განიცადა.

მთელი გავლენა, რომლითაც უხვად სარგებლობდა ციცერონის ოსტატი, საკმაო არ იქნებოდა რომაელთათვის თავზე მოეხვია კულტი მზისა, ღმერთთა და კაცთა უფალისა, თუ კი ეს სწავლანი მარტო წმიდა მწერლობითი გზით ვრცელდებოდნენ. მაგრამ ფილოსოფოსთა სწავლას მხარს უჭერდნენ თანამგზავრნი ცდანი რელიგიური ფართო ქადაგებისა. თეოლოგიას, რომელიც გამომუშავდა სტოიციზმის მოქმედებით, მოწაფეებად ჰყავდა, უეჭველია, ზოგ აღმოსავლურ კულტთა მღვდელნი, და მათთან ერთად გავრცელდა იგი იმპერიაში. ამნაირად, თუ მითოსი სულის ხვედრის შესახებ, რომლეს გვაცნობებს პლუტარხუსი, როგორც ვთქვით, იყო პოსეიდონიოსისაგან ნასესხები, ეს არ მოხდა პირდაპირი გზით. იმ ხანად, როდესაც სწერდა მორალისტი ხერონე, სტოელი ფილოსოფოსი უკვე გარდაცვალებული იყო ერთი საუკუნისა და ნახევარის წინ; მისი იდეები ძალიან ფართოდ იყო გავრცელებული, და წარმართმა მღვდლებმა არ დაიგვიანეს იგი თავისად გაეხადათ. პირდაპირი წყარო პლუტარხუსისა იყო ვინმე დემეტრიუს, ტარსელი გრამატიკოსი, რომელსაც იმპერატორის მიერ დავალებული ჰქონდა სამეცნიერო ამოცანა ბრიტანეთში, ამის დაპყრობის შემდეგ. ეს უცნაური პიროვნება (გვ. 30 – 476) – დაინტერესებული იყო

ყველა უცხო კულტით; იგი ბეჯითად კითხულობდა წმიდა წერილებს და ხდებოდა მიწევნილი ყველა მისტერიისა, და მას უნდა ეპოვნა კართაგოს ტაძრებში ეტრატები, მიწაში ჩაფლული. ის, რასაც იგი ჩვენ გვაძლევს ვით თავის კვლევათა მოგონებას ჩრდილოეთის საკვირველ ქვეყანათა შესახებ, სადაც მიაღწია რომაულმა ფლოტმა, არის პოსეიდონიოსის ესხატოლოგია, ოღონდ უკვე გადასხვაფერებული რელიგიურ გავლენათა შედეგად.

სხვათა შორის, მითრაული რელიგია, რომელიც შედგენილ იყო სპარსულ ტრადიციათა და ბაბილონურ ვარსკვლავთ თაყვანების შეზავებით, ამ მიწევნილთ მსგავს სწავლას უმჟღავნებდა. ჩვენი წყარონი გარკვეულად მას მიაწერენ ამ თეოლოგიის ორ მთავარ დოგმას: პირველი, რომ მითრა, ესე იგი, მზე მყოფი მნათობთა შუა, „ასრბოლებდა ამ ცთომილ ვარსკვლავთ“, და მეორე, რომ მასში (მზეში) ხედავდნენ სულთა შემოქმედსა და მაცხოვარს.

ეს ქალდეურ-ირანული კულტი პირველი საუკუნიდან გავრცელდა დასავლეთში. მეორე საუკუნეში შედგენილ იქმნენ განთქმულნი „ქალდეურნი ორაკულნი“, რომელთა გამარჯვება ნაწილობრივ იმის წყალობით მოხდა, რომ განახლდა ინტერესი ბაბილონურ სიძველეთა მიმართ, ტრაიანუსის დაპყრობათა შედეგად. ეს შრომანი („ქალდეურნი ორაკულნი“), ბნელნი მისტიკოსურნი, არიან ნაწილობრივ მართლაც ისინი, რასაც იძლევიან: ძველნი რწმენანი, გადაკავშირებულნი არიან ჰელლენისტურ თეორიებთან (გვ. 31 – 477) –. და სახელდობრ, ქალდეანთა მზის თაყვანების გაბატონებული იდეები იქ ხალასად გამოკვეთილი არიან.

მესამე საუკუნეში, მანიქეიზმი, რომლის წმიდა წიგნები დაიწერა ბაბილონში, და რომელიც თითქმის მთლიანად დამოუკიდებელია ბერძნული ტრადიციისაგან, ითვისებს თავის დუალისტურ მოძღვრებაში ვარსკვლავური თეოლოგიის ძირითად სწავლას. მისთვის (მანიქეიზმისათვის), როგორც ასტროლოგოსებისათვისაც, მთელი არსი ამ მსოფლიოსი შერეულია ღვთიური ნათელისაგან, რომელიც ციდანაა ჩამოსული. მთვარისა და მზის ქცევას აქვს ამოცანად მიიზიდოს ნათელნი ნაწილაკნი, ჩაჭერილნი მატერიაში, და აიყვანოს ისინი ემპირეუმის მარადიულ ნათელამდე. განსაკუთრებით კაცთა სულნი, ციურ ცეცხლთაგან მოწყვეტილნი ნაწილაკნი, თავისუფლდებიან გვამთა სიკვდილით, სადაც ისინი ტყვედ იყვნენ, და აიყვანებიან ამ ორი ვარსკვლავის (მზისა და მთვარის) მიერ უუმაღლეს მხარეებამდე.

დაბოლოს, როდესაც ფილოსოფიამ განაახლა პლატონური იდეალიზმი და ღმერთი გამოაცხადა ზესთა გრძნობად და მსოფლიოს გარეშედ მყოფ არსებად, ძველი შეხედულება ქალდეურ-სტოელთა, რომელიც მზეს განიხილავდა მთელი მსოფლიოს ღვთიურ გულად, უკვე მისაღებად არა სჩანდა. მაგრამ აღმოსავლეთის ერთმა მოაზროვნემ, როგორც სირიელმა პოსეიდონიოსმა, იამბლიხოს ხალკელმა, მოარგო და შეუთვისა ამ თეორიებს ახალი სისტემა თავისი თანამემამულისა, და მოაქცია კიდევ უკანასკნელი იმპერატორი თავის უზესთაეს, ტრანსცენდენტურ

ჰელიოლატრიაზე. ამ მოვლენის გამოძახილნი (გვ. 32 – 478) – გვიან, შემდეგ, დიდ ხანს უნდა გავრცელებულიყვნენ ქრისტიანულ მწერლობაში.

თუ ერთ თვალს გადავავლებთ ამ ტრადიციის მთლიანობას, გაგვაკვირვებს ამ მზიური თეოლოგიის ძალა, დამყარებული ქალდეან ასტროლოგოსთა ძველ რწმენაზე, გადასხვაფერებული ჰელლენისტურ ხანაში ორმაგი გავლენით ასტრონომიულ აღმოჩენათა და სტოელთა აზროვნებით, და მომქმედი საუკუნეთა განმავლობაში რომის იმპერიის რელიგიური ცხოვრების სხვა და სხვა გამოცხადებაში. ეს სისტემა არის საერთო ნაღვაწი მღვდელთა და ფილოსოფოსთა მესოპოტამიაში და სირიაში, ამ ქვეყანათა ტაძრებში; იგი ალბათ უკვე ბატონობდა სელევკიდთა ხანიდან და გამოიწვია მან ყველგან ადგილობრივ ბაალ-თა გარდაქმნა ვარსკვლავურ ღვთაებად. აზიიდან იგი გადავიდა ევროპაში, სადაც იგი გავრცელდა ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგიდან, და გაავრცელეს იგი ერთბამად პოსეიდონიოსის მოწაფეებმა და საუცხოო მისტიკოსებმა. როდესაც მესამე საუკუნეში ჰელიოგაბალუსი სძებნიდა ემესაში, და აურელიუსმა იპოვნა პალმირში ღმერთი მზიური, რომლითაც მათ შესძლეს შეეცვალათ ძველი ადამიანური იუპიტერი (გვ. 33 – 479) – მიტოვებული მოთაყვანეთაგან; რომაულ კერპთ თაყვანების წინაშე მათ აღიარეს უპირატესობა აღმოსავლეთის ამ მსოფლიური რელიგიისა, რომელიც თეოლოგოსთა მოსაზრებებმა აამაღლეს ერთგვარ მონოთეიზმამდე. იგივე სემიტური რასა, რომელმაც გამოიწვია წარმართობის დამხობა, არის იგი, რომელმაც ფრიად დიდი ძალა დახარჯა მის გადასარჩენად.

ფრანს კიუმონ

თეოლოგია მზისა (მზიური თეოლოგია) Extrait des Mémoires présents par divers

რომაულ წარმართობაში savants a l'Academie des Inscriptions et

Belles Lettres. Tome XII. IIe partie.

LA THEOLOGIE SOLAIRE

DU PAGANISME ROMAIN Paris, MDCCCCIX

par M: Franz Cumont

აქ მსურს აღვნიშნო შემდეგი:

წიგნში „ვტნის ვარსკვლავთმეტყველება“ მოთავსებულია მიძღვნა მისს მარჯორი უორდროპისადმი; ეს მიძღვნა ჩასმულია ჩარჩოში, რომლის ერთი ფრთა გადმოღებულია ხახულის ხატის ერთი ნაწილიდან და შემდეგ გაორებული.

Este libro se terminó de imprimir en la
Imprenta „El Imparcial“ de la ciudad
de Santiago de Chile el dia 30 de
Septiembre de 1957.

ვეფხიტყაოსნის შესახებ გამოცემული ტექსტები

ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

COMENTARIO DE LA OBRA

Espiritualmente unido a Georgia, por la amistad y por el conocimiento de sus valores literarios, a petición del autor de esta obra, considero un privilegio el poder decir algunas palabras, a titulo de comentario acerca de ella; y el poder, también, destacar el valor inestimable que constituye el poema épico de Shotha Rusthaveli "El Caballero de la Piel de Tigre", sobre la cual versa.

Georgia es un país de excepcionales condiciones de hermosura natural, aquella Cólquida legendaria que, otrora, fué la meta de Jasón, en conjunto con los argonautas, tripulantes del "Argos", quienes consiguieron el triunfo de su empresa en las cercanías de los majestuosos montes Cáucasos.

Su idioma al decir de un poeta turco „es como el rugido de un león“ expresión valedera solo para aquéllos pasajes que, onomatopéyica mente, exigen esta representación de lenguaje, ya que, es reconocido que, en sus canciones de cuna y en sus poemas líricos, en que se alterna la aliteración con la rima, ese idioma puede ser tan suave y acariciador como el italiano y, en sus pasajes filosóficos, tan sonoro y digno como el idioma de Castilla.

He tenido la suerte y el privilegio de leer „E! Caballero de la Piel de Tigre“, poema caballeresco, en la traducción inglesa de Marjory Scott Wardrop, traductora, profundamente conocedora del idioma georgiano y de las costumbres del país el cual, también, visitó. Su traducción fué el resultado de detenidos y pacientes

estudios, prolongados por más de treinta años con la consecuencia de que, salvo pequeños detailes, es lo mas exacto que existe en esta materia, debidamente confrontado con el original del poema. He vertido su texto al castellano y con los consejos del autor de este libro, Dr. Victor Nosadse y del señor Avthandil Merabachvili, he ceñido, la traducción, al original creyendo haber obtenido una difícil formula de identidad poética.

Así como Ulises, al regreso de la guerra de Troya, visitó el país de los lotófagos y atravesó el mar surcado de sirenas, con las consecuencias de un arraigo, si hubiese comido de las flores de loto, o si no hubiese resistido la caricia engañadora de las voces de quienes lo atraían al seno del mar; así también, la lectura del poema de Rusthaveli, rustaveliza al lector por la sugestión inevitable de la narración, no exenta de los principios filosóficos, propios de un pueblo, entonces en su edad de ore, por la grandeza de su Gobierno y por el florecimiento de sus Artes y sus Letras.

Preciso es que nos ubiquemos en el Siglo XII, en la época de la Reina Thamara, que por sus cualidades de Gobernante mereció el nombre de Rey Thamara, precursora del feminismo y protectora de todo lo que pudiese significar una expresión de rácter estético y exponente de eficiencia y de cultura. Con razón Rusthaveli la inmortalizó en su poema en la figura de Thinathin, hija del Rey Rosteván!

El erudito Dr. Victor Nosadse, hondamente vinculado a los círculos científicos y universitarios europeos, ha dedicado gran parte de su vida a profundos estudios críticos de la obra antes aludida, trabajos que constituyen el mas completo análisis del poema, desde el punto de vista interpretativo, abarcando aún, en sus trabajos, aspectos reservados a las ciencias herméticas con sus ocultos simbolismos.

A su pluma y a su esfuerzo personal; porque el mismo trabaja en la linotipia para escribir sus obras, debemos sus dos primeros libres, antes publicados, el primero, impreso en Buenos Aires sobre „El simbolismo de los colores“ en el „epos“ de Rusthaveli; y el segundo, publicado en Chile, hace pocos meses, sobre „La significación de la Astronomía y la Astrología“ en el mismo poema. En ambas obras, ıl autor, con una paciencia china, y un vasto conocimiento de la cultura clásica y medioeval, analiza en forma minuciosa las materias por él tratadas.

Hoy ve la luz su tercer libro y el interesante tema, elegido por el autor para esta primicia, es „La significación del Sol en el „epos“ de Rusthaveli“.

En su propósito de aclarar, por entero, la presencia del Sol en el poema, el autor rastrea e investiga la historia del Sol, curiosa afirmación que significa que el autor, como un maduro fruto de sus estudios de muchos años, nos revela la verdadera significación del Sol en la historia de la cultura de la humanidad.

Con meridiana claridad el Dr. Nosadse nos relata la significación e importancia del Sol en la religión de los pueblos antiguos justificando la cita de Cicerón que, al repetir un concepto del acervo cultural de la antigüedad afirma; „Sol est mens et temperatio mundi“, o sea, el Sol es la mente y el gobierno del mundo, afirmación

profética confirmada en la época moderna en que el hombre ha emprendido el manejo de su energía para su felicidad o para su destrucción.

Nos lleva el autor a trabar conocimiento con el concepto del Sol como Dios entre los súmeros, súmerobabilonios, asirios, caldeos, iranios, egipcios, hebreos y otros pueblos del Asia Occidental como japoneses, chinos, hindúes, etc.

Posteriormente emprende el autor el estudio del Sol en la antigua Grecia y Roma. También conocemos a través de sus páginas la significación del Sol en el mitraismo, en las teorías relacionadas con el Hermes Trismegistos, en el gnosticismo, en el islamismo y entre los sabeos.

El resultado de sus investigaciones lo lleva a comprobar que en la civilización babilónica caldea y helenísticaromana el Sol era un Dios; pero un Dios entre los otros Dioses; pues, las antiguas religiones no pudieron establecer un Dios único y alcanzar un monoteísmo que es el privilegio de un Moisés, un Cristo, o un Mahoma.

Asi, el autor de la obra, desentraña la significación del Sol en la filosofía, desde Anaximandro y Platón hasta los estoicos, estudiando, en especial, las teorías de la escuela alejandrina, –la tesis del Sol espiritual– el papel del Sol en el neoplatonismo, desde Plotino hasta Proclo y en el cristianismo neoplatonizado hasta la escolástica. Continúa con el examen de su significación en la fisolofía del Islam.

En esta forma podemos apreciar la conclusión de la existencia del Dios Un: el Dios la Luz, cuya imagen es el Sol que es un símbolo de Un. Esta teoría de que el. Sol es la representación de Un, símbolo a su vez del Dios Unico, es común a las teologías neoplatónicas y cristianas.

Viene tratada a continuación la influencia del Sol en la literatura hindú, babilónica, asiría, egipcia, griega y romana y en la literatura bíblica y cristiana hasta el Siglo XIII.

En ellas también aparece Un (el Dios) cuya imagen es el Sol.

Enfoca el autor el problema solar en la literatura persa analizando las obras del poeta Firdusi, del poeta Nizami y de otros conocidos, para detenerse en la poesía árabe, particularmente en la literatura hispanoárabee e hispanohebrea de la Península Ibérica.

En toda la literatura de Oriente y de Occidente los poetas utilizaban al Sol con amplitud para expresar con propiedad la belleza y la grandeza. El Sol es el más estimado y adecuado símbolo de la hermosura, de la mujer y del hombre.

En las Bellas Artes del Oriente y Occidente predomina el Sol como dominante metáfora.

Se examina también la significación del Sol en la política, en la arquitectura, en la plástica, en la pintura, en la música y en el arte, en general, donde muestra este astro su señorío.

Terminada la historia de la influencia del Sol en la cultura del mundo, el Dr. Nosadse aborda el estudio del astrorey en la civilización georgiana donde el Sol es de género femenino, como en alemán, y donde muchos de los nombres de sus mujeres guardan con él intima relación.

Desfilan en la obra las leyendas georgianas sobre el Sol remontándose al período de su culto en Georgia en relación con el mitraismo dando ejemplos poéticos emanados de la lírica popular donde el Sol es símbolo de la belleza femenina.

Nos familiariza también el autor con la significación del Sol en la literatura religiosa cristiana en que se emplea al Sol como metáfora poética en la descripción de lцs santos y en la poesía religiosa.

En el campo de la historia georgiana, los historiadores muchas veces usaban al Sol como un símbolo revelador de la grandeza y el esplendor de los Reyes y la belleza de las Reinas.

En la poesía cortesana y en las novelas georgianas de los Siglos XI al XII, es decisiva la intervención del Sol para expresar la belleza, el esplendor y la grandeza de los héroes.

También el Sol tiene en el epos de Rusthaveli una situación de eje o figura dominante. En las diferentes narraciones y contenido de „El caballero de la Piel de Tigre“ figura solo y con otros planetas, como también con la Luna, con la rosa, con la Muerte („sin sol no hay vida“), con Saturno y con los Zodíacos: Leo, Cáncer, etcétera.

Aparece la presencia del Sol frente al Dragón interpretando milenarias leyendas, subsistentes en la época medioeval, respecto de que el Sol, casi es engullido por un Dragón en los eclipses.

Los nombres y las mujeres de regia estirpe, en el poema de Rusthaveli, siempre son semejantes al Sol, tienen la belleza del Sol, el rostro de Sol, siendo apostrofados en los vocativos como Soles.

Se produce un fenómeno de gramática poética en que el Sol substantivo pasa a ser otra parte de la oración: es pronombre, va en lugar del nombre de los héroes y cada verso del poema es analizado por eo crítico dentro de esta relación pronominal. Estudia también el autor, mediante la adecuada comparación y paralelismo, el poema de Rusthaveli con el poema iranio de Firduzi, „El Libro de los Reyes“ con los poemas del poeta persa Nizami y con la novela del „Amor de Vis y Ramín“, obra georgiana que he conocido en una traducción al alemán, emprendida por la señorita Ruth Neukomm y el doctor Kita Tschenkéli. El Dr. Nosadse estima que, en Rusthaveli, el empleo de la palabra Sol como metáfora poética, signo de belleza,

excelencia y cortesía protocolar, es mas frecuente que en las demás obras en estudio.

Es por ese Sol de la verdad y de la generosidad por el cual los héroes del poema pronuncian sus juramentos, por ese mismo Sol al que también se atribuye significación astrológica y de simpatía cósmica, participando de la alegría y del pesar de los héroes. Es, por ultimo, a ese mismo Sol al cual por respeto y precedencia se eleva, en primer lugar la plegaria de Avthandil el personaje del poema que se dirije al Sol comparándolo con las mejillas de su amada Thinathin.

Anota también el Dr. Nosadse, que en el poema de Rusthaveli el Sol es imagen de Dios, de acuerdo con las concepciones del „Un“, y examina también la presencia del Sol como el símbolo de la Noche Asoleada.

Esta es la obra del Dr. Nosadse, este enamorado del poema, que esperamos siga exprimiendo, de su texto, el jugo inagotable de sus enseñanzas, su belleza y su sabiduría, a través de nuevos estudios desde diversos ángulos; su obra silenciosa e inapreciable merece el entusiasta aplauso del público ilustrado de su patria y del universo literario. Su honradez de escritor, su perseverancia y su estoicismo personal, quedarán para siempre grabados en el espíritu de quienes hemos sido sus amigos, el resultado de su obra queda entregada a la élite de los círculos universitarios del Mundo.

No quiero dar término a este prefacio sin hacer un resumen y una descripción de la obra maestra que ha motivado tanto estudio. „El Caballero de la Piel de Tigre“ de Shotha Rusthaveli.

Comienza el poema con una introducción en que, el poeta hace una apología del Amor, en su aspecto puro y elevado, da una explicación de lo que debe entenderse por poesía y hace un examen de las condiciones que debe reunir un poeta incluyendo, además, una invocación para obtener la maestría y la elegante y propia expresión de los símbolos poéticos.

Dejemos hablar al autor! „Me ordenó preparar dulces versos en su alabanza, aplaudir sus cejas y sus pestañas; sus cabellos, sus labios; sus dientes que cortan el rubí y el cristal distribuidos en filas“ „Un yunque de suave plomo corta, aún la dura piedra“. „La Gaya Ciencia es, antes que nada, una rama de la Sabiduría, divinamente inteligible para quienes poseen pasta de Dioses; agradable es, también, cuando el auditor es un nombre digno; en pocas palabras se pronuncia un largo discurso; aquí es donde reside la excelencia de la poesía“. „El poeta no debe gastar, en vano, sus esfuerzos“ „A él, uno le parecería digno de su amor y a uno debe dedicar su sentimiento“. „Debe emplear todo su arte para con ella, alabarla, hacer resaltar la gloria de su amada dedicándole exclusivamente su deseo“. „Solo para ella debe afinar musicalmente su lengua“.

La parte narrativa, que constituye un verdadero libro de caballería, sin las extravagancias que como optima consecuencia dieron origen al Quijote, y no desprovista de sanos adagios, que han convertido a este libro en modelo de las

virtudes fundamentales del pueblo georgiano, donde reconocemos los principios esenciales de libertad, igualdad y fraternidad, nos presenta la historia de una trilogía heroica compuesta por Avthandil, jefe de los ejércitos del Rev Rosteván, siendo su amada Thinathin la Reina; Tariel y su amada Nestán Daredjan y Asmath, personaje femenino, símbolo de la amistad, que comparte el futuro heroico de los tres personajes.

Describe Rusthaveli al Rey Rosteván con estas precisas, y elegantes palabras: „Hubo una vez, en Arabia un Rey, por la gracia de Dios, de nombre Rosteván, feliz, de elevada alcurnia, generoso, modesto, señor de muchos ejércitos y caballeros, justo, clemente, poderoso, vidente, el mismo un guerrero sin par, y, además, fluente en su discurso".

El Rey Rosteván decide abdicar el trono en manos de su hija Thinathin, a la cual, en este acto, prodiga sus valiosos consejos, renuncia inspirada en que se encuentra afectado por la senectud, ya que, este, el mas triste de todos los males, pesa sobre él, Escuchemos los consejos: „No llores hija, sino escucha con atención mi consejo. Hoy tu eres Reina de Arabia, designada por mí. De aquí en adelante este Reino te esta confiado. Ojalá que puedas ser discreta en tus hechos, modesta y dotada de discernimiento!". Agregando: „Así como el Sol brilla, tanto sobre la rosa, como sobre la yerba mal oliente, así también no te canses de derramar tu misericordia sobre el grande y sobre el pequeño". Para decirle a continuación, en una sugerencia no exenta de pre-maquiavelismo: „La munificencia en los Reyes es como el áloe plantado en el Paraíso. Todos, aún el desleal, son obedientes para con el generoso. Es muy satisfactorio el comer y el beber; pero, gen qué aprovecha el atesorar? Lo que tú das es tuyo, lo que guardas esta perdido".

Después vienen las aventuras de Avthandil, Tariel y Asmath, hasta el desenlace feliz de la unión de los héroes con sus respectivas amadas.

La obra que es una tentativa de enlace entre Oriente y Occidente favorecida por la posición privilegiada equidistante del país del autor, representa, al mismo tiempo, una obra de consulta y de ejemplo para el pueblo georgiano, ya que es una costumbre el obsequiar un ejemplar del poema a los recién casadoš que lo reciben y poseen como seguro guía y Norte de su nuevo estado.

Mil seiscientos sesenta y nueve estrofas en forma de cuartetos y seis mil seiscientos sesenta y seis versos de dieciséis silabas, componen su estructura métrica.

La obra que en un próximo futuro verá la luz en español, para el difundido conocimiento de sus méritos, abarca múltiples temas incluyendo: minerales y piedras preciosas, fauna, flora, astronomía, astrología, religión, supersticiones, costumbres, hechicería, relaciones sociales, ética, números, pesos y medidas, caza y deportes, milicia y marina, obras públicas y edificios y música.

Su grandeza de imágenes y belleza poética, unida a la fantasía propia de un cuento persa, le dan a su texto el carácter de un bello tapiz en que se entrecruzan las mas finas fibras.

Con razón Rusthaveli, este apologista del Amor y de la Amistad, al referirse a su obra maestra en la introducción dice: „Este cuento persa al georgiano vertido, ha llegado a ser hoy, como una perla de gran precio pasando de mano en mano. Ahora la he encontrado y la he engastado sobre versos. El arrebato de mi razón generoso y bello me dio impulso para hacerlo“.

Santiago, 5 de Septiembre de 1957.

GUSTAVO DE LA TORRE BOTARRO

Traductor del Poema „El Caballero de la Piel

de Tigre“ al idioma castellano.

ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება

მასალათა მათითებელი

1. E. Blochet – Les sources orientales de la Divine Comédie. Paris, 1907.

2. Leo Frobenius – Das Zeitalter des Sonnengottes. Berlin, 1904.

3. Prof. Will Durant – Histoire de la civilation. Paris, 1937. vol. 1; p. 84.

4. S. Langdon – La religion Assyrobabilonienne. Hitoire géner, des religions, sous la direction de MM. Maxime Gorce et Raoul Mortier. Paris, 1948. vol. 1.

5. Arthur Ungnad – Die Religion der Babylonier und Assirier. lena, 1921.

6. Prof. Dr. A. Jeremias – Handbuch der altorientalischen Ceisteskultur. Berlin, 1929. 165.

Prof. A. Jeremias – Sterne, in Roscher's Lexikon dar griechischen und römischen Mythologie. B. IV. S. 1427.

A. Jeremias – Shamash, der babylonisch assirische Sonnengott, in Roschsr's lexikon. B. IV. S. 534.

Prof. P. B. Jevons – Comparative religion Cambridge, 1913; p. 70.

7. Prof. H. Zimmern – Babilonians and Assirians, in Hastings Encyclopaedia of Religion and Ethics. Edinbourgh, 1909; vol. II. p. 309.

8. Fr. Martin – Textes religieux assyriens et babiloniens. Paris, 1900; p. 15.

9. Ad. Frank – Dictionnaire des sciences philosophiques. Paris, 1875; p. 260

10. Maxime Gorce et Raoul Mortier – Histoire generale des religions. Paris. 1948; 1948; vol.-I. XII. p. 80.

11. Mauris Caney – Sun, Moon, and Stars, in Hastings Encycl. of Religion and Ethics. Vol. XII. p. 80.

12. Adolf Lods – Israel. Paris, 1930. p. 272.

13. Prof. Ernst Zinner – Die Geschichte der Sternkunde. Berlin, 1931. S. 164.

14. J. Kroll – Die Lehren des Hermes Trismegistos. Beitraege zur Geschichte der Philosophie des Mittelalters. B. XII. Heft 2.4. S. 332.

15. G. Ryckmans – Les religions arabe preislamiques, dans l'Histiore № 10. Vol. IV p. 327.

16. Prof. F. B. Jevons – Comparative religion. Cambridge, 1913. p. 70.

17. Hastings Encycl of Religion and Ethics. New Jork, 1928. Vol. XII. p. 74. P. Fu – Sun, Moon, and Stars (Chinese).

18. Prof. Alfred Fouillée – Histoire de la philosophie. Paris, 1920. p. 4,

19. L. F. Alfred Maury – Croyances et légendes de l'Antiquité. Paris, 1863. p. 56.

20. Prof. E. H. Moore – Creencias antiguas. Buenos Aires, 1948. p. 98.

21. Prof. E. W. Hopkins – Origine and evolution of religion. New Haven, 1923. p. 58.

22. S. Giden – Sun, Moon, and Stars, in № 17. Vol. XII. p. 84.

23. Edward Thomas – Budthist Sun, Moon, and Stars, in № 17. Vol. XII. p; 71.

24. Louis Renou – Anthologie Sanscrite. Paris, 1947. p. 155.

25. Edmond Hardy – Indische Religionsgeschichte. Leipzig, 1904. S. 35.

26. Prof. E. Hopkins – Origine and evolution of religion. N. H. 1928. p. 300.

27. Prof. S. de Harlez – Manuel du Pehlevi, des livres religieux et historiques de la Perses. Paris, 1880. p. 200.

28. Prof. E. Zinner – Die Geschichte der Sternkunde. Berlin, 1931. S. 168.

29. O. G. Wesendonk – Das Weltbild der Iranier. Muenchen, 1933. S. 106.

30. Prof. C. de Harlez – Avesta, Paris, 1881. P. C.CI,

31. James Freeman Clarke – Ten Great Religions. Boston, 1889. p. 194.

32. Prof. G. F. Moore – History of Religions. New York, 1916. p.183.

33. Roeder – Sonne und Sonnengott nach aegiptischer Vorstellung, in Roscher's Lexikon der Altertumswissenschaften. B. IV. S. 1155.

34. Rene Berthelot – La pensée de l'Asie et l'Astrobiologie. Paris, 1949. p. 295.

35. Hugo Prinz – Altorientalische Symbolik. Berlin, 1915. S. 20.

36. E. Cahen – Sol, dans la Dictionnaire des Antiquités Grecques et Romaines. Vol. VI. p. 1373.

37. Jessen – Helios, in Pauly Wissowa Lexikon. B. VIII. S. 58.

38. Franz Cumont – Soleil. Dictionnaire des Antiquites Grecques et Romaines.

39. Audin – Les fêtes solaires. Paris, 1945. p. 148.

40. Prof. Carl Roth – Cultura del Imperio Bizantino. Barcelona, 1926. p. 77.

41. Von Marbach – Sol, der Sonnengott der Roemer, in Pauly Wissowa's Lexikon. B. III. S. 902.

42. F. Richter – Sol, in Roscher's Lexikon. Leipzig. 1909-1915. B. IV. S. 1138.

43. Prof. G. F. Moore – History of religions. New York, 1916. p. 577.

44. Fr. Cumont – Die Mysterien des Mithra. Leipzig , 1911.

Fr. Cumont – Les religiones orientales dans le paganisme romain. Paris, 1929.

Prof. Arthur Drews – Der Sternhimmel, lena, 1923.

45. Kurt Pfinster – Dar Untergang der antiken Welt. Leipzig, 1943. etc.

46. St. George Stock – Hermes Trismegistus, in № 17. Vol. VI. p. 626.

47. Kroll – Die Lehren des Hermes Trismegistos. in N? 14. S. 84.

48. A. I. Fustugiére – Hermetisme et Gnose paienne, dans le № 10. Vol. III. p, 63.

49. Simon Pétrement – Le dualisme chez Platon, les gnostiques et les manichéens.

Paris, 1947. p. 175.

50. Henzi – Charles Puech – Le Manichéismes. № 10. Vol. III. p. 73.

51. M. Groce – Le cristianisme dans le monde romain. № 10. Vol. III. p. 271.

52. Prof. Dr. Franz Boll – Die Sonne im Glauben und in der Weltanschauung der alten Voelker. Stuttgart, 1922. S. 22.

53. René Berthelot – La pensée de l'Asie et l'Astrobiologie. Paris, 1949, p. 273.

54. M. Guyot – Dictionnaire universel des hérésies. Paris, 1847.

55. L'Abbe Bergier – Dictionnaire de Théologie. Paris, 1843. Vol. I. p. 192.

56. Fessier – Mani. Hergenroether Kirchenlexikon, Freiburg, 1893. B. VIII. S. 604.

57. L'Abbe Bergier – Dictionnaire de Théologie. Paris, 1843. Vol. IV. p. 212.

58. A. A. Bevan – Manicheisme, in № 17. N. York, 1915. p. 392.

59. Fr. Cumont – Afterlife in Roman paganisme. New Haven , 1922. p. 94.

60. Salomon Reinach – Orfeo. Historia general de las religiones. Madrid, 1910. p. 87.

61. Prof. Albert Dufourcq – Etude sur les Gesta Maltyrum Romains. T. IV. Le Neo-Manichéisme et la légendes chrétienne. Paris, 1910. p. 6. 83, 84, 85, 117. 118.

62. Charles Puech – Le Manichéisme, in №10. Vol. II. p. 85-116.

62a. Prof. E. F. Gautier – Moeurs et coutumes des Musulmans. Paris, 1955. p. 198.

63. Actes du Sixиème Congres des Orientalistes. Leyden, 1888. Vol. II. p. 285.

64. D. S. Margoliouth – Harranians, in № 17. Vol. VI. p. 519.

65. Actes du Sixième Congr. des Orientalistes, tenue en 1883 à Leide. Deuxième partie. Section I. Sémitique; publié en 1885 par E. I. Bill. p. 283-299.

66. Satchi Name – pripisiwaemaja Urfi Chirazsbomu. Drewnosti Wostotschnie. Moskwa, 1896, Vol. III. Vip. I. str. 6.

67. Handwoerterbuch des Islam. Leiden, 1941. S. 226.

68. იოანე ბატონიშვილი – კალმასობა, თბილისი, 1862. გვ, 74.

69. René Dussaud – Histoire et Religion des Nosiris. Paris, 1900. Cap. I et II.

70. Karl Fridriech Neumann – Versuch einer Geschichte der armenischen Literatur. Leipzig, 1863. S. 107.

70a. Prof. Steven Runciman – Le manichéisme médiévale, paris, 1949, p. 56. note 115.

71. Zorck – Sonnenkinder, in Wetzer und Weste's Kirchenlexikon. Freiburg, 1899. S. 5081.

72. Drewnosti wostotschnia. Peterburg; 1911. Tom II. Vip. I. str. 21.

73. M. Ad. Frank – Dictionnaire des sciences philosophiques. Paris, 1875. p. 1294.

74. Prof. E. Hopkins – Origin and evolution of religion. N. Haven, 1923. p. 52.

75. Walter Kranz – Die griechische Philosophie. Leipzig, 1941. S. 78;

76. E. Palhoriès – Vie et doctrines des grands philosophes. Antiquité. Paris, 1936. p. 30.

77. Prof. N. Y. Schwartz – Manuel de l'histoire de la phlosophie ancieene. Lieège, 1846. P. 405.

77a. Albert Rivaud – Histoire de la Philosophie. Paris, 1948. Vol. I: p. 358-374.

78. Prof. Franz Boll – Die Entwicklung des astronomischen Weltbildes im Zusammenhang mit Religion und Philosophie. Die Kultur der Gegenwart. Astronomie, unter der Redaction von I. Hartmann. Berlin, 1923. Band III. S. 12.

79. I. F. Zelinskij – Drewne-Gretscheskaja religia. Petrograd, 1918. str. 139.

80. Dialogues of Plato, transi, by B. Jowett. Oxford, 1875. Vol. VI. p. 505-507.

80a. Platon – Oeuvres compl. trad. et notes par Léon Robin. Paris, 1940.

81. Plato – Politeia. Vol. VI. Cap. 517.

81a. Prof. Kurt Schilling – Platon. Wurzach, 1948. S. 143.

82. Plato – Timaeus. Cap. 38.

83. Prof. G. Moore – History of religions. N. York , 1916. p. 508.

84. F. Palhoriès – Vie et doctrines des grands philosophes. Paris, 1936. p. 148.

85. Prof. Emile Boutroux – Etudes d'Histoire de la philosophie. Paris, 1913. p. 147.

86. Prof. Charles Werner – La philosophie grecque. Paris, 1946. p. 206.

87. W. Enfield – The History of Philosophy. London, 1791. p. 338.

88. Prof. G. F. Moore – History of religions. New York, 1916. p. 5199.

89. Prof. E. Hopkins – Origin and evolution of religion. New Haven, p. 300.

90. Prof. Ed. Zeller – Grundriss der Geschichte der griechischen Philosophie. Leipzig , 1886. S. 292.

91. M. Nisard – Collection des Auteurs latins. Paris, 1863. Macrobius – Commentarius ex Cicerone in Somnium Scipionis. p. 62.

92. Franz Cumont – Afterlife in roman paganism. N. Haven, 1922. p. 96,

93. J. Kroll – Die Lehren des Hermes Trismegistos. in № 14. S. 98-100.

94. Prof. C. Baeumker – Beitraege zur Geschichte der Philosophie des Mittelalters. Muenchen, 1908. B. III. Heft II.

95. Adolf Juelicher – Kultur der Gegenwart. Berlin, 1922. S. 104.

96. T. Guyot – Diet. univ. des heresies.

97. P. F. Palhoriés – dans № 84. p. 216.

98. Plotin – Les Ennéades, trad. fran. par M. N. Bouillet. Paris, 1861. Vol. III. p. 83.

99. Prof. Ed. Zeller – Grundriss der Geschichte der griechischen Philosophie. Leipzig, 1886. S. 292.

100. Jules Simon – Histoire de l'Ecole de l'Alexandrie Paris, 1845. Vol. II. p. 210.

101. M. Degerando – Histoire comparée des systèmes des Philosophes. Paris, 1823. p. 398.

102. Prof. Emile Bréhier – Histoire de la philosophie. Paris, 1927. p. 465.

103. Oeuvres complètes de l'Empereur Julien, trad, du grec en fran. ... par R. Tourlet. Paris, 1821. Vol. I. p. 375-424.

104. Prof, Cl. Baeumker – Beitraege zur Geschichte der Philosophie... B. III. Heft II. S, 357-391.

104a. Proclus le Philosophe – Commentaire sur le Parménide, trad. par prof. A. Ed. Chaignet. Paris, 1901. Tome II. p. 243-246. Procl. in Plat. Theol. II. p. 98.

Conf. Procl., in Tim. 264. c.

105. Prof. Wulf – Histoire de la philosophie médiévale. Paris, 1900. p. 117.

106. Prof. E. Brehier – Histoire de la philosophie. Paris, 1927. Vol. I. p. 511.

106a. W Florowski – Wostotschnie Otzi IV weka. Paris, 1931. str. 108.

106b. Tricalet – Bibliothèque portative des pères. Paris, 1761. Tome IV. p. 157.

I06c. Prof. Clemens Baeumker – Witello. Beitraege zur Geschichte der Phil. des Mittelalters. Muenster, 1908. B. II. Heft II. S. 372

107. ib. B. III. Heft II. S. 357-391.

108. Prof. Gaston Sostais – Eléments de philosophie. Paris, 1909. p. 305.

108a. Albert Rivaud – Histoire de la Philosophie. Paris , 1950. Tome II. p. 364.

108b. Johannes Hirschberger – Geschichte der Philosophie. Freiburg, 1949. B. I. S. 367.

109. Palhoriès – Vie et doctrines des grands philosophes. Moyen Age. Paris, 1936. p. 23.

110. Handwoerterbuch des Islam. Leiden, 1941. Art. Ismailya. S. 226.

111. Dupuis – Abrégé de l'origine de tous les cultes. Bruxelles, 1825. Vol. I. p. 323.

112. Prof. E. W. Hopkins – Origin and evolution of religion. N. Haven, 1923. p. 62.

113. Louis Renou – Antologie Sanscrite. Paris, 1947. p. 307.

114. გილგამეშიანი. თარგმანი მ. წერეთელისა. კონსტანტინოპოლი, 1924. გვ. 31.

115. Baumgartner – Die Literaturen Westasiens und der Nillaender. Freiburg, 1901. S. 70.

116. Fr. Cumont – Soleil. Daremberg-Saglio. P. 1375.

Em. Caen – Soleil. Vol. VI. p. 1373.

117. Les petits poèmes grecs, trad, par E. Falconnet. Paris, 1842. p. 102.

118. Hymnes orphiques, trad, par Leconte de Lisle. Paris, p. 91.

119. Poggendorf – Biographisch-Literarisches Handwoerterbuch. Leipzig. 1863. S. 55.

120. Delambre – Histoire de l'Astronomie ancienne. Paris, 1817. p. 61.

121. W, Smith – Dictionary of Greek and Roman Biography and Mythology. Boston, 1849. p. 917.

M. Delambre – Histoire de l'Astronomie ancienne. Paris, 1817. p. 81.

122. Al. Baumgartner – Die griechische und lateinische Literatur des klassischen Altertums. Freiburg, 1900. S. 314.

123. Ovide – Oeuvres complètes, plbliees sous la direction de M. Nisard. Paris, 1864.

124. Collections des Auteurs latins, avec la traduction en fran., publiée sous la direction de M. Nisard. Paris, 1878. p. 638.

125. Al. Baumgartner – Die lateinische und griechische Literatur der christlichen Voel ker. Freiburg, 1900. S. 36.

126. Les petits poèmes grecs, trad, par Ernest Falconnet. Paris, 1842. p. 568.

127. J. Matter – Histoire de l'Ecole d'Alexandrie. Paris, 1848. Vol. III. p. 40.

128. Prof. Franz Boll – Sphaera. Leipzig, 1903.

129. S. Pétrement – Le dualisme chez Platon, les gnostiques et le manichéens. Paris, 1947 P. 236.

130. F. Ozanam – Les poètes franciscaines en Italie. Paris, 1852. p. 88.

131. Baumgartner – Die italianische literatur. Freiburg, 1911. S. 65.

132. F. Ozanam – Introduction à La Divine Comédie, p. 18.

133. Tito Zarandelli – Dante et ses précurseurs. Bruxelles, 1895. p. 160.

134. Al. Baumgartner – Die lateinische und gnechischs Literatur der christlichen Voel ker. Freiburg, 1900. S. 598.

135. Dr. M. Sachs – Die religioese Poesie der Iuden in Spanien. Berlin, 1901. S. 72.

136. Enciclopedia Espano-americana. Barcelona Vol. I. p. 797.

137. Le Livre des Rois par Abou'l Kasim Firdousi, publie, traduit et commanté par M. Jules Mohl. Paris, 1838. Vol. I. p. 3.

138. Prof. A. Mueller – Der Isiam im Morgen und Abendlande. Berlin, 1877. B. II. S. 63.

139. Prof. Edward G. Brown – A history of Persian literature under Tartar dominion (A. 1265-1502). Cambridge,1920. p. 105.

140. ირანელი ლირიკოსები. თარგმანი ამ. ჭელიძისა. თბილისი, 1936. გვ. 227.

141. Reynold Alleyne Nicholson – Studies in Islamic Poetry. Cambridge, 1921. p. 17.

142. Guilstan de Sadi de Chiraz, par N. Semelet. Paris , 1843. p. 28.

143. Henri Massé – Anthologie persane. Paris, 1950. p. 28.

144. Nisami – Pijat poem. Moskwa, 1946.

145. Nisami – ib. Primetschanie 188.

146. Ar. Kahn – La litterature arabe. Paris. p. 40.

147. S. Prampolini – Historia universal de la literatura. Buenos Aires, 1940. p. 526.

148. Ar. Kahn – La litterature arabe. Paris, p. 179.

149. Les Mille et Une Nuits, trad, par Galland. Paris. Vol, I. p. 22.

150. A. R. Nykl – Hispano-Arabie Poetry and its relation with the Old Provençal Troubadours. Baltimore, 1946. p. 21.

151. Antologia de poetas armenios. Montevideo 1943. p. 55.

152. Franz Cumont - Iupiter summus exsuperantissimus. Archiv fuer Religionswissen schaften. 1906. B. IX. S. 335.

153. Fr. Cumont – Die Mysterien des Mitra. Leipzig, 1911. S. 166-178.

154. Louis Hautcoeur – Luis XIV. Roi Soleil. Paris, 1953. p. 31.

154a. Prof. A. J. Wensinck – La pensée de Ghazzali. Paris, 1940; p. 92-93.

155. Prof. Fritz Saxl – Beitraege zu einer Geschichte der Planetendarstellungeh im Orient und im Okzident. Der Islam. B. III. Strassburg, 1912.

156. Pauly-Wissowa Lexikon. B. III. Sonne.

157. Piper – Mythologie der christlichen Kunst S. 116-199.

Goetzlnger's Reallexikon. Leipzig; 1885. S. 925.

158. Grand Dictionnaire universel du XXème siècle. Paris, Art. Soleil.

159. J. Hackin – Recherches archéologique ou Col de Khair Khaneh. Paris, 1936. Vol. VII. p. 169.

160. Prof. Sachs – La musica en la Antigüedad. Barcelona, 1927. p. 51.

161. Ingemar-Duering – Ptolemaios und Porphirios ueber die Musik. Goetenberg, 1934. S. 280.

162. Jules Rouanet – La musique arabe. Encyclopedie de la musique. Paris, 1922. 1ère partie. Vol, IV. p. 2801.

163. Prof. Clément Huart – Musique persane. Encyclopedie de la musique. Paris, 1922. 1 partie. Vol. V. p. 3068.

164. O. G. von Wesendonck – Ueber georgisches Heidentum. Caucasica; Leipzig, 1924. S. 2.

165. Prof. Craford Howell Toy – Introduction to the History of religions. Boston, 1913. p. 139.

166. Dr, Oskar Ruehle – Sonne und Mond im primitiven Mythos. Tuebingen, 1925. S. 8.

167. F. von Oelfelde – Sun, in № 17. Vol. XII.

168. ივ. ჯავახიშვილი – ქართველი ერის ისტორია. თბილისი, 1913. წიგ. 1 გვ. 103.

169. Piper's Evangel. Kalender. 1860. S. 107.

170. O. G. von Wesendonc – Das Weltbild der iranier. Muenchen, 1933. S. 304.

170a. Prof. Steven Runciman – Le manichéisme médiéval. Paris , 1949. p. 33.

170b. E. V. Scott – Gnosticism. Hastings Enc. of Rel. and Ethics. N. Y. 1913. Vol. VI.

171. B. S. Esadse – Letopis Grusii. str. 160,

172. Prof. J. Karst – Code géorgien du Roi Vachtang XI. Commentaires. Vol. II. p. 17.

173. აკად. ივ. ჯავახიშვილი, პროფ. ნ. ივ. ბერძენიშვილი, აკად. ს. ჯანაშია – საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე. თბილისი, 1943. გვ. 84.

174. პროფ. არქიმანდრ. გრიგოლ ფერაძე – „ჯვარი ვაზისა“. პარიზი, 1932. გვ. 30.

175. ს. ს. ორბელიანის ლექსიკონი. თბილისი, 1928.

176. ექვთიმე თაყაიშვილი – არხეოლოგიჩესკიე ეკსკურსიი. ტიფლის, 1913. გვ. 18.

176ა. „ძველი საქართველო“. თბილისი, 1909. გვერდი 82.

177. სოლ. ყუბანეიშვილი – ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. თბილისი, 1946.

178. Prof. Max Mueller – Essais sur l'histoire des religions. Paris, 1872. p. 238.

179. Prof. J. Scheftelovitz – Altiranische Studien. Zeitschrift der Deutschen Morgen. laendischen Gesellschaft. Leipzig, 1903. B. 57. S. 108.

180. პროფ. კორ. კეკელიძე – ძველი ქართული ლიტერატურა. თბილისი, 1923. წ. 1. გვ. 658.

180a. Michel Nicolas – Essais de Philosophie et d'Histoire religieuse. Paris, 1863. p. 316.

181. ია ეკალაძე – ანთოლოგია. გვ. 18.

182. პავლე ინგოროყვა – გიორგი მერჩულე. თბილისი, 954. გვ. 076.

183. N. A. Zaozerski i A. Chachanow – Nomokanon Ioanna Postnika. Moskwa, 1902. str, 10, 24.

184. თეიმურაზ ბატონიშვილი – მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის. „ძველი საქართველო“. თბილისი, 1909. გვ. 13, 20.

185. ქართლის ცხოვრება. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა. თბილისი, 1897. გვ. 23.

186. ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლის ვარიანტი. ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით. თბილისი, 1906. გვ. 15.

187. კ. კეკელიძე და ა. ბარამიძე – ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი, 1954. გვ. 157.

ტექსტი ი რაზისკანია. პეტერბურგ. 1902. წიგნი 4.

188. Drewnosti Wostotschnie. Peterburg, 1911. Tom H. Vip. I. str. 55.

189. Diesterwegs populaere Himmelskunde und matematische Geographie. Leipzig, 1941. Kap. II.

190. ზურაბ ავალიშვილი – ვეფხისტყაოსნის საკითხები. პარიზი, 1931. გვ. 78.

190a. Prof. Henri Massé – Les croyances et coutumes persanes. Paris, 1938. V. I. p. 172

191. A. S. Khakhanow – Grusinskaia rukopisnaia poema "Basrsowa Koja". Drewnosti wostotschnie. Tom II. Vip. I. M. 1896.

192. ნოდარ ციციშვილი – შვიდი მთიები (ბარამ-გურ). თბილისი, 1930. გვ. 176, 198.

193. A. Calmet – Dictionnaire historique. Paris, 1848. p. 199.

194. L. Walk. – Sonne. Lexikon fuer Theologie und Kirche. von Dr. M. Buchberger. Freiburg, 1937. S. 662.

195. Prof. Cl. Huart – Littérature arabe. Paris, 1912. p. 48.

196. Lucianus – De Saltat. 17.

197. Ch. Daugthy – Arabia Deserta. p. 267.

197ა. ვეფხისტყაოსნი. ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ. თბილისი, 1937.

197b. Ali Mazaheri – La vie quotidienne des Musulmans au Moyen Age. Paris, 1951 p. 71, 74.

198. Prof. Franz Boll – Astronomie, unter der Redaction von J. Hartmann. Leipzig, 1921 S. 37.

199. Prof. J. Erstlin Carpenter – Comparative religion. London, p. 244.

200. Oeuvres complètes de l'Empereur Julian, trad, par R. Tourbet. Paris, 1821. Vol. I p. 318-390.

201. Vahara Mihra – Brihat Jataka. Vorwort S. 14.

202. Fernando Nicolay – Historia de las creenclas. Buenos Aires. Tomo I. p. 67.

203. L.'Hautcoeur – Luis XIV. Roi-Soleil. Paris, 1953. p. 32.

204. მ. საბინინი – საქართველოს სამოთხე. პეტერბურგი, 1889 გვ. 72.

205. Firdousi – Le Livre des Rois, tra., par M. Jules Mohl. Vol. VI. p. 161.

206. Franz Cumont – Les religions orientales dans le paganism romain. Paris, 1929. p. 160.

207. M. S. Karppe – Quelques mots d'Astrologie talmudique. Journal Asiatique. Neuvième série. Vol. V. p. 316.

208. Franz Cumont – L'Egypt des Astrologues. Bruxelles, 1937. p. 1-23.

209. H. von Klokler – Kursus der Astrologie. B. II. Leipzig, 1932.

J. von Weldegg – Horoskop und das Schicksal. Leipzig, 1928.

Prof. Wilhelm Gundel – Sterne und Stern bilder. Bonn, 1922. S. 258, 309.

210. A. Bouché-Leclercq – Histoire de la divination dans l'Antiquite. Paris, 1879. Vol. I. p. 248.

211. M. Bailly – Histoire de 1'Astronomie ancienne, Paris, 1775. p. 130.

212. D'Herbelot – Bibliothèque Orientale. Paris, 1697. p. 670.

213. Louis H. Grey – Persian Calendar, in № 17. Edinbourgh, 1910. p. 130.

214. Ulysse Bouchet – Hémértologie. Paris, 1868. p. 109.

215. Al-Biruni Chronology of Ancient Nations. London, 1879. p. 203.

216. Z. von Kazwin Kosmographie. Leipzig, 1868. S. 164.

217. Prof Ed. G. Brown – A History of Persian Literature of modern Times. Cambridge, 1924. p. 135.

218. O. G. von Wesendonk – Aus der kaukasischen Welt. Berlin. S. 317.

219. Ali Mazahéri – La vie quotidienne des Musulmans au Moyen Age. Paris, 1951. p. 184.

219a. Prof. Henri Massé – Croyances et coutumes persanes. Paris, 1938. Vol. I. p. 145.

220. Swante Arrhenius – Theories of solutions. London, 1912. p. 1.

221. Prof. Walter Kranz – Die griechische Philosophie. Leipzig, 1941. p. 183.

222. ს. ს. ორბელიანი – ქართული ლექსიკონი.

223. ტექსტი ი რაზ. პეტერბ. კნ. 1. სტრ. 45.

224. Les Enneades de Plotin par M. N. Bouillet. Paris, 1857.

225. Walter Stettner – Die Seelenwanderung bei Griechen und Boemern. Stuttgart - Berlin, 1934. S. 71, 73, 77, 81.

225a. Thomas Whittaker – The Neoplatonists. Cambridge, 1928. p. 292.

226. L. Frank – La-Kabale, p. 224.

227. Nemesius – De la Nature de l'homme, trad. de M. Thibault, Ch. Vol. n. p. 54.

228. H. Lammers – L'Islam. Paris, 1926. p. 189

229. B. carra de Vaux – Tanasukh, in Handwoerterbuch des Islam. Leiden, 1941. S. 727.

230. Prof. A. von Harnack – Dogmengeschichte. B. II. S. 513, 522.

231. Prof. Bousset – Hauptprobleme der Gnosis. S. 343 ff.

232. Hans Heinrich Schraeder – Urform und Fortbildung des manichaeischen Systems. Vortraege der Bibliothek Warburg, heraus gegeben von Fritz Saxl. Vortraege 1924 - 1925. Leipzig , 1927. S. 67 ff.

232a. M. Bloomfield – Religion of the Veda. N. York , 1908. p. 96.

233. Prof. W. Gundel – Neue astrologische Texte des Hermes Trismegistos. Muenchen, 1936. S. 314.

234. Saint Denys l'Aréopagite – Oeuvres, trad. du grec, précédées d'une introduction par M. Darboy, Archev. de Paris. Paris, 1932.

235. P. G. Théry – Etudes Dyoniciennes. Paris, 1937. Vol. II. p. 443.

236. Prof. A. Jeremias – Handbuch der altorientalischen Geisteskultur. Berlin, 1929. S. 165.

237. Prof. A. Emann – Die aegyptische Religion. Berlin, 1905. S. 7-10.

238. Plinius - Naturalis Historiae. Vol. II. Cap. 32.

239. Franz Cumont – Astrology and Religion among the Greecs and Romans. New York 1912. p. 48, 95.

239a. Henri Sérouya – Le Misticismie. Paris, 1956. p. 7.

239b. Dante Alighieri – La Divina Comedia, trad. de Juan de ia Pezuela, conde Chieste. Madrid, 1952. p. 833, 909.

240. (233). S. 314-316.

241. პავლე ინგოროყვა – რუსთველიანა. თბილისი, 1926. გვ. 61–62.

242. Prof. Bpll-Gundel – Sternbiüder, Sternglaube und Sternsymbolik bei Griechen und Roemern, in Roscher's Mythologie. B. IV. S. 925.

Riess – Astrologie in Pauly-Wissowa's Lexikon. B. II. S. 1802.

243. Prof. W. Gundel – Sternglaube, Sternbilder und Sternorakel. Leipzig, 1933. S. 1-52.

244. The Dialogues of Plato, ed. by B. Jowett. Oxford , 1875. Vol. II. p. 123.

245. Les petits poèmes Grecs, trad, par Ernest Falconnet. Paris, 1842. p. 502.

246. Oeuvres coml. du Pseudo-Denys L'Aréopagite, trad. par M. Gandillac. Paris, 1943. P. 239.

247. Prof. René Draguet – Les pères du désert. Paris, 1949. p. 48.

248. Heiligenverehrung, in Reallexikon der Deutschen Aeltertuemen, bearb. von Dr. E. Goetzinger. Leipzig, 1885. S. 385.

249. Nisami – Piat poem. Moskwa, 1946. str. 637.

Este libro se terminó de imprimir en la

Imprenta „El Imparcial“ de la ciudad

de Santiago de Chile el día 30 de

Septiembre de 1957.